განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორები: დავით გურგენიძე
რაფაელ გუსმან ტირადო

GANATLEBA

Georgian Technical Unicversity
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditors: Davit Gurgenidze
Rafael Guzman Tirado

№ 1 (40) 2023

ISSN 2346-8300
DOI: https://doi. org/10.36073/2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

1(40)
2023

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 1(40), 2023 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორები:

დავით გურგენიძე — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

პასუხისმგებელი რედაქტორი: ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პასუხისმგებელი მდივანი: ლია ქათამაძე — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სარედაქციო კოლეგია:

აბრალავა ანზორ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბერიაშვილი მამუკა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბონდარენკო თამარ — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გაბისონია ირაკლი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი
გაგოშიძე გიორგი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
გასიტაშვილი ზურაბ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
კოპალიანი კარლო — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
კუტუბიძე იაშა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკადემიური საბჭოს მდივანი
მაღრაძე ვახტანგ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მებუკე თამარ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მენთეშაშვილი ლია — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
მეტრეველი ლია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქურდაძე მარინა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ყიფიანი გელა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ჩაჩხიანი ზურაბ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ხახუტაშვილი ელისაბედ — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ჯაგოდნიშვილი ივანე — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დეკანი
ჯავახიშვილი ნიკო — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
იურე ზოვკო — პროფესორი, ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)
ზდისლავ კრასნოდებსკი — პროფესორი, ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
ერიკო ჰაიაში — პროფესორი, ჯანმრთელობის ფონდის კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი (იაპონია)
ნენსი კ. გიში — პროფესორი, პოტრლანდის უნივერსიტეტი (აშშ)
ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)
სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805ბ

ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858

web-გვერდი: https://gtu.ge/Journals/newsletters/

ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 1(40), 2023

EDITOR – **Temur Jagodnishvili,** Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

COEDITORS:

Davit Gurgenidze –Academician of the National Academy of Sciences of Georgia, Rector of Technical University of Georgia
Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA)

RESPONSIBLE EDITOR – **Asmat Pipia,** Doctor of Business Administration

RESPONSIBLE SECRETARY – Lia Katamadze – Associate professor Georgian Technical University

EDITORIAL BOARD:

Abralava Anzor – Professor, Georgian Technical University
Beriashvili Mamuka – Professor, Georgian Technical University
Bondarenko Tamar – Associate professor Georgian Technical University
Gabisonia Irakli – Professor, Georgian Technical University
Gagoshidze Giorgi – Professor, Georgian Technical University. Full member of the Georgian Academy of Agricultural Sciences, Academician
Gasitashvili Zurab – Professor, Georgian Technical University, Deputy rector in the scientific field
Kopaliani Karlo – Professor, Head of Administration of Georgian Technical University
Kutubidze Iasha – Professor, Georgian Technical University, Secretary of the Academic Council
Magradze Vakhtang – Professor, Georgian Technical University
Mebuke Tamari – Professor, Georgian Technical University
Menteshashvili Lia – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
Metreveli Lia – Professor, Georgian Technical University
Kurdadze Marina – Professor, Georgian Technical University
Kipiani Gela – Professor, Georgian Technical University
Chachkhiani Zurab – Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences
Khakhutashvili Elisabeth – Associate professor, Georgian Technical University
Jagodnishvili Ivane – Professor, Georgian Technical University
Javakhishvili Niko – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Irji Klapka – professor, Karlos University (Czechia)
Jure Zovko – Professor, University of Zadar (Croatia)
Zdzislaw Krasnodebski – professor, University of Warshaw (Poland)
Eriko Hayashi – Professor, The Joundation for Global Health Care, Research Institute (Japan)
Nancy K. Gish – Professor, University of Portland (USA)
Tomas Schmidt – Professor, University of Bern (Switzerland)
Cecilia Ode – University of Amsterdam (Netherlands)

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU
TEL.: (032) 236 57 07
web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters
e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300

შინაარსი

განათლების მეცნიერებანი

ხათუნა ქერაშვილი
კოვიდვითარებით გამოწვეული პრობლემები განათლებაში 11

ჟანა ხელაშვილი
დისტანციური სწავლება პანდემიის დროს 15

ფილოლოგია

ვაჟა დანელია
დიდგორი - ქართული მარათონი?! 19

ჟურნალისტიკა

თემურ ჯაგოდნიშვილი, დავით გოცირიძე
საქართველო გლობალურ ტრანსფორმირებად სოციო-პოლიტიკურ რეალობაში და
მედიის განვითარების ვექტორი 24

ქეთევან გიორგობიანი
პოპულარული ჟურნალები ესპანეთში 35

რუსუდან ლორთქიფანიძე, იზოლდა რიკაძე
ფაქტი თუ მოსაზრება? როგორ მივაწოდოთ მკითხველს ფაქტი და მოსაზრება 39

ალეკო სოლოღაშვილი, ელისაბედ ხახუტაშვილი, შალვა კვირკველია
ინტერნეტსაგნების (IOT) ზეგავლენა საზოგადოების კომუნიკაციასა და ფსიქოლოგიაზე 43

მაია თაბაგარი
პოსტპანდემიური ჟურნალისტიკის გამოწვევები და შესაძლებლობები 47

ნანა გაბადაძე
კომუნიკაციის ინტერაქციული ბუნება და მისი ლინგვოპრაგმატიკა 55

ნათია აბულაძე, იაშა კუტუბიძე
თამაშდამოკიდებულების ზიანის შემცირების გზები თვითკონტროლის და
სოციალური კონტროლის თეორიული პერსპექტივიდან..... 59

ლიანა ჩარკვიანი, თემურ ჯაგოდნიშვილი
დეზინფორმაციასთან ბრძოლა მედიაწიგნიერების საშუალებით
(მედიაჰიგიენა, როგორც მედიაგანათლების ტექნოლოგია)..... 63

სოციალური მეცნიერებები

იაშა კუტუბიძე, თამარ მერაბიშვილი
კონტროლის ლოკუსის კვლევა ტიპოლოგიის ჭრილში..... 68

ლელა მენაბდიშვილი
ტრანსნაციონალური ოჯახები..... 74

ნანა მენაბდიშვილი
შვილთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში..... 78

თინათინ ჭარხალაშვილი
ბულინგის გამომწვევი ფსიქო-სოციალური ფაქტორები და მათი პრევენციის გზები..... 83

მარიტა ზუბიაშვილი, ვაჟა გურგენიძე
PR-ის განვითარების ეტაპები და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე..... 87

მარიამ კუკულაძე, არსენ ბურჯალიანი
ოჯახური ძალადობა - „დამკვირვებლის“ როლი..... 92

იზაბელა ქირია, თინათინ აფხაიძე
სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა და გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე 96

საერთაშორისო ურთიერთობები

ედიშერ გვენეტაძე, ზაზა ადეიშვილი
ვაცლავ ჰაველი - გზა დისიდენტობიდან პრეზიდენტობამდე 102

ზაზა ადეიშვილი
რომის პაპი იოანე პავლე II - დემოკრატიისა და პროგრესის მხარდამჭერი პონტიფიკოსი 107

ირაკლი გოგიბერიძე
თურქეთის პოლიტიკა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში 111

ლევან კვირკვაია
ნატოს „დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების პოლიტიკა” და თანამედროვე გამოწვევები..... 115

კახა ტაბატაძე
ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური კონცეფცია ევროპასთან
ეტაპური ადაპტაციის პროცესში..... 120

ჯონი ტატუნაშვილი
სივრცით-ტერიტორიული ფაქტორების გავლენა ევრაზიულ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებზე... 127

როლანდ ძნელაძე
გეოპოლიტიკური სამკუთხედი აშშ-რუსეთი-ირანი ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში 133

ბექა კუჭავა
,,გაყინული კონფლიქტები“ და მათი გავლენა რეგიონზე..... 137

ანა ჯაგოდნიშვილი
ევროპული სამეზობლო პოლიტიკა..... 141

ისტორიის მეცნიერებები

ნინო გომართელი, მარინე მესხია
ნაპოლეონის ეპოქის მეწარმე ქალი 145

მარინე სურმავა
ხალხის „უდრეკი ბებია“- გოლდა მეირი..... 149

არქეოლოგია

თამარ ხოხობაშვილი, ლამარა გიორგაშვილი
ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია..... 153

შორენა ყიფშიძე
ნეოლითისა და ადრესამიწათმოქმედო კულტურის ურთიერთობის საკითხები..... 158

ლამარა გიორგაშვილი
დიდი მცხეთის საფორტიფიკაციო - თავდაცვითი ნაგებობანი 164

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

რუსუდან გოგიბერიძე
წრფივი პროგრამირების ორეული ანუ მეორადი ამოცანები 169

მაია გიგინეიშვილი, ნინო თავაძე, მანანა ჩიხლაძე, მარიამ გულაშვილი
დამოკიდებულება თბილისისხლიანთა მასასა და მოხმარებულ ჟანგბადს შორის 177

ეკონომიკა და ბიზნესი

გიორგი ცაავა, ანა ტატიშვილი
საბანკო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ხერხები 180

მაია აბალოიძე
ინოვაციური საწარმოო სისტემების ენტროპიული ანალიზის მეთოდოლოგია 185

რუსუდან ქუთათელაძე, ელზა ვეკუა
საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო მომსახურებებისა და
პროდუქტების ბაზრის თავისებურებები 189

ივანე ოსაძე, ასმათ ფიფია
სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები შუა საუკუნეების საქართველოში 193

სოფიო გურგენიძე
ადამიანური რესურსების ფორმირება განვითარების ტენდენციები 199

თეიმურაზ გოდერძიშვილი
რევოლუციური ცვლილებები, კომპანიებში კანდიდატის შერჩევის პროცესში, ხელოვნური
ინტელექტის უპირატესობები და ნაკლოვანებები 204

ლელა კალანდია
მარკეტინგული ხარჯების ბიუჯეტირება კორპორაციულ ფინანსებში და
ქართული კორპორაციების პრაქტიკა 209

ალექსი ქურდოვანიძე
სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი პრინციპები 216

ლელა კალანდია
ფინანსური რისკების მართვის ასპექტები კორპორაციებში 220

ნინო კარგაძე
ავტომატური საინფორმაციო სისტემის შესაძლებლობები სამედიცინო დაწესებულებებში 227

ანა მელქაძე
საჯარო ინფორმაციის მიღების კანონიერი შეზღუდვა 231

მილანა წულაია
შრომის მოტივაციის გავლენა ორგანიზაციის წარმატებაზე 237

ნინო ელისაბედაშვილი
პირველადი ჯანდაცვა საქართველოში: დანიშნულება, გატარებული რეფორმები და
დღეს არსებული გამოწვევები 241

ანა ტატიშვილი
პასუხისმგებლიანი დაკრედიტება და კრედიტუნარიანობის გაანგარიშების მაჩვენებლები 249

CONTENTS

EDUCATION SCIENCES

Khatuna Kerashvili
Problems in education caused by the Covid-19 situation 11

Zhana Khelashvili
Distance Learning During the Pandemic 15

PHILOLOGY

Vaja Danelia
Didgori - Georgian marathon?! 19

JOURNALIZM

Temnur Jagodnishvili, Davit Gotsiridze
Georgia in the global transforming socio-political reality and media development vector 24

Ketevan Giorgobiani
Popular magazines in Spain 35

Rusudan Lortkiphanidze, Izolda Rikadze
Fact or opinion? How to provide the reader with fact and opinion 39

Aleko Sologashvili, Elizabed Khakhutashvili, Shalva Kvirkvelia
The impact of the things (loT) society communication and psychology 43

Maia Tabagari
Media Challenges and Opportunities in Pandemic Conditions 47

Nana Gabadadze
Interactive nature of „communication“ and its linguopragmatics 55

Natia Abuladze, Iasha Kutubidze
The ways of reducing harm associated with gambling behavior from the perspective of Self-control and Social control theories 59

Lilana Charkviani, Temur Jagodnishvili
Fighting Disinformation through Media Literacy (Media Hygiene as a Technology of Media Education) 63

SOCIAL SCIENCES

Iasha Kutubidze, Tamar Merabishvili
A study of locus of control in a typological context 68

Lela Menabdishvili
Transnational family 74

Nana Menabdishvili
Optimal number of children in the family 78

Tinatin Charkhalashvili
Psychosocial Factors Causing Bullying and Ways of Prevention 83

Marita Zubiashvili, Vaja Gurgenidze
Stages of development of PR and its influence on the formation of public opinion 87

Mariam Kukuladze, Arsen Burjaliani
"Domestic violence - the role of the "observer" 92

Izabela Kiria, Tinatin Apkhaidze
Importance and impact of socio-psychological factors on consumer behavior 96

INTERNATIONAL RELATIONS

Edisher Gvenetadze, Zaza Adeishvili
Vaclav Havel – the way from dissidence to the presidency 102

Zaza Adeishvili
Pope John Paul II – Pontiff- the Supporter of Democracy and Progress 107

Irakli Gogiberidze
Turkish Policy Regarding Russian Occupied Georgian Territories 111

Levan Kvirkvaia
NATO's "Big strategic security policy" and contemporary challenges 115

Kakha Tabatadze
Military-political concept of the United States of America with Europe
In the process of gradual adaptation 120

Joni Tatunashvili
Influence of spatial-territorial factors on Eurasian regional integration processes 127

Roland Dzneladze
The US-Russia-Iran geopolitical triangle in the Middle East and Central Asia 133

Beka Kuchava
"Frozen conflicts" and their impact on the region 137

Ana Jagodnishvili
European neighborhood policy 141

HISTORY SCIENCES

Nino Gomarteli, Marine Meskhia
Napoleonic Era Entrepreneur Woman 145

Marine Surmava
Relentless grandmother of jewish people - Golda Meir 149

ARCHAEOLOGY

Tamar Khokhobashvili, Lamara Giorgashvili
The residence of the kings of Kartli (Iberia) 153

Shorena Kipshidze
The relationship issues between Neolithic period and early agricultural culture 158

Lamara Giorgashvili
Fortification - defense buildings of Mtskheta 164

S C I E N C E S

Rusudan Gogiberidze
Dual or Secondary Problems of Linear Programming 169

Maia Gigineishvili, Nino Tavadze, Manana Chikhladze, Mariam Gelashvili
The relationship between the mass of warm-blooded animals and the consumed oxygen 177

ECONOMICS AND BUSINESS

Giorgi Tsaava, Ana Tatishvili
Methods of provision and improvement of banking services 180

Maya Abaloidze
Methodology of entropy analysis of innovative production systems 185

Rusudan Kutateladze, Elsa Vekua,
Peculiarities of the market of educational services and products of
Georgian higher education institutions 189

Ivane Osadze, Asmat Pipia
Trade and economic relations in medieval Georgia 189

Sophio Gurgenidzse
Human Resource Formation and Development Trends 193

Teimuraz Goderdzishvili
Revolutionary changes in the process of selecting the candidate in companies, advantages and
disadvantages of Artificial Intelligence 199

Lela Kalandia
Budgeting of marketing expenses in corporate finance and practice of Georgian corporations 204

Aleksi Kurdovanidze
Basic principles of insurance activity 216

Lela Kalandia
Aspects of financial risk management in corporations 220

Nino Kargadze
Opportunities of automatic information system in medical institutions 227

Ana Melkadze
Legal restriction of receiving public information 231

Milana Tsulaia
The influence of work motivation on the success of the organization 237

Nino Elisabedashvili
Primary health care in Georgia: purpose, implemented reforms and current challenges 241

Ana Tatishvili
Responsible lending and creditworthiness calculation indicators 249

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

კოვიდვითარებით გამოწვეული პრობლემები განათლებაში

ხათუნა ქერაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განათლება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, რომელსაც გაფრთხილება, შენარჩუნება და, რაც მთავარია, მუდმივი ზრუნვა სჭირდება. მისმა შემაფერხებელმა გარემოებებმა, შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნას სამყაროს განვითარების პროცესს. ამის ნათელი მაგალითია ბოლო დროს მთელ მსოფლიოზე დამტყდარი უბედურება, რომელიც ახალმა კორონა ვირუსმა, კოვიდ 19-მა, გამოიწვია და უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა. კაცობრიობამ მთელი ძალისხმევით დაიწყო ბრძოლა გადარჩენისათვის.

ძირეული ცვლილებები ერთნაირად შეეხო ყველა მიმართულებას, არსებულმა სიტუაციამ განსხვავებულად წარმოაჩინა მიმდინარე მოვლენები. ახალ პლატფორმაზე უმცირეს დროში გადასვლამ ნათლად დაგვანახა, რომ **ყველა სფეროს საფუძველი განათლებაა, ხოლო თითოეული მათგანი განათლების პროდუქტია.**

რასაკვირველია, პანდემიამ თავად განათლების სისტემაზეც იმოქმედა და ძირეულად შეცვალა მისი არსებობის ფორმები, მიდგომები, შესაძლებლობები. ეს ცვლილებები ბოლოდროინდელია, ამიტომ ჯერ კიდევ კვლევის საგანია და დინამიკურ დაკვირვებასა და საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს. ასევე, საინტერესოა ის შედეგებიც, რომლებიც დღეს მოგვეპოვება.

სტატიაში განხილულია კოვიდვითარების, როგორც ყველაზე აქტუალური სიტუაციური ფაქტორის, გავლენა თანამედროვე განათლების სისტემაზე, გამოკვეთილია განათლების მენეჯმენტის პრობლემები დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით, შეჯამებულია დადებითი და უარყოფითი შედეგები, შემუშავებულია ეფექტიანი მართვისთვის საჭირო რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, განათლების მენეჯმენტი, პრობლემები, სიტუაციური ფაქტორი.

შესავალი

განათლების განვითარების ხელშეწყობა ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხია. საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოებმა კარგად გააცნობიერეს, რომ ის წინსვლისა და წარმატების მთავარი პირობაა. საქართველო დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანაა, რომელიც ყოველთვის ფეხს უწყობდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. აქ ოდითგანვე არსებობდა საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებშიც საკმაოდ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართველი მწერლები, მთარგმნელები თუ მეცნიერები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოღვაწეობას არ ჰქონდა კარჩაკეტილი ხასიათი, ყოველთვის იკვეთებოდა ინტერესი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების მიმართ და ისიც შეიძლება ითქვას, რომ შეინიშნებოდა ერთგვარი სწრაფვა გლობალიზაციისკენ (მაგალითისთვის გავიხსენოთ იტალიელი მისიონერები შუა საუკუნეებში) .

ასეთი წარსულის მიუხედავად, ბოლო პერიოდში ვითარება არცთუ ისე საამაყოა და მაინცდამაინც კარგ შედეგებს არ გვიჩვენებს: PISA-ს 2018 წლის კვლევის მიხედვით, საქართველო 79 ქვეყნიდან დაახლოებით 70-ე ადგილს იკავებს მოსწავლეთა ცოდნის დონით სამი მიმართულებით: კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები [1].

კვლევაში მონაწილე ქართველ მოსწავლეთა 36% მოექცა მიღწევის მეორე დონეზე ან უფრო მაღლა (შედარებისათვის, OECD-ის ქვეყნების საშუალო

მაჩვენებელია 78%). მაღალი მიღწევის ჯგუფში (მე-5 და მე-6 დონეები) მოსწავლეთა 1%-ზე ნაკლები აღმოჩნდა, ხოლო მოსწავლეთა 64% - დაბალი მიღწევის ჯგუფში (მე-2 დონის ქვემოთ).

ჩვენი შედეგები უტოლდება საუდის არაბეთს, პანამას, ინდონეზიას და მაროკოს მონაცემებს, თუმცა საუდის არაბეთი გვისწრებს და მნიშვნელოვ-ნად ჩამოვრჩებით რუსეთს.

კოვიდვითარებით გამოწვეულმა პანდემიამ კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა და ნათლად დაგვანახა, რომ განათლება საქართველოში საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა: გარემომ და გარემოებებმა უდიდესი როლი ითამაშა ზოგადად ცხოვრებაზე და განსაკუთრებით - განათლების სისტემაზე.

ძირითადი ნაწილი

სამყაროს თავს დამტყდარმა უბედურებამ, რომელიც კოვიდ 19-მა გამოიწვია, დააზარალა ყველა ქვეყანა, საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს მდგრადი განვითარების ,,ამბიციურ და საყოველთაო დღის წესრიგს", რომლის მიზანსაც მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლა წარმოადგენს. UNESCO-ს მიერ 2015 წელს დასახული 17 მიზნიდან , რომლებიც 2030 წლისთვის უნდა განხორციელდეს და კაცობრიობის გადარჩენისკენ არის მიმართული, ერთ- ერთი განათლებაა (მე-4 მიზანი) და ის დანარჩენების მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტია. ,,განათლება წარმოადგენს როგორც მიზანს, ასევე მდგრადი განვითარების სხვა მიზნების (SDG) მიღწევის საშუალებას. იგი მდგრადი განვითარების არა მხოლოდ განუყოფელ ნაწილს შეადგენს, არამედ მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მყარ საფუძველსაც წარმოადგენს. სწორედ ამიტომ განათლება არის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ერთ-ერთი არსებითი და უმნიშვნელოვანესი სწორედ ამიტომ განათლება არის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ერთ-ერთი არსებითი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგია." [1]

საქართველოში კოვიდ 19 პირველად 26 თებერვალს დაფიქსირდა, 22 მარტს კი შიდა გადაცემის ფაქტი გამოვლინდა. ვითარების შესაბამისად, საჭირო გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 23 მარტის N 181 დადგენილებით, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" [2] ამოქმედდა საგანგებო ვითარება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გამკაცრდა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21 აპრილამდე შეჩერდა სასწავლო პროცესი, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლები გადავიდნენ დისტანციური სწავლების გამოყენებაზე. ეს შეზღუდვა შეეხო სამეცნიერ- კვლევით დაწესებულებებს და ყველა სახის ტრენინგის, კონფერენციის, სემინარის ჩატარებას, გარდა ონლაინისა. ამ სიტუაციამ ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია, რაც მოულოდნელი და მოუმზადებელი ვითარებით იყო განპირობებული, სწორედ ამიტომ თავდაპირველად სწავლა-სწავლების პროცესი შეფერხდა და შეიძლება ითქვას, ,,დაპაუზდა" კიდეც.

2020 წლის მთავრობის ანგარიშში ნათქვამია, რომ პანდემიის ყველა ეტაპზე სამინისტრო უზრუნველყოფდა თავის დაქვემდებარებაში არსებულ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ სივრცეებში უსაფრთხო გარემოს შექმნას. გარდა ამისა, ,,სამინისტრომ შეძლო, შეენარჩუნებინა განათლების უწყვეტობა, ხარისხი და ხელმისაწვდომობა" [3].

მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის [4] ფარგლებში განისაზღვრა, რომ დისტანციური სწავლების შედეგებიდან გამომდინარე, სასწავლო წელი აკადემიურად არ გამოცხადებულიყო და მოსწავლეები მომდევნო კლასში გადასულიყვნენ. 4 მარტს შეჩერებული სასწავლო პროცესი 15 მარტიდან საპილოტე რეჟიმში გადავიდა.

გატარებული ინიციტივების მიუხედავად , ყურადღების მიღმა დარჩა მთელი რიგი საკითხები, და, შესაბამისად, საკმაოდ სერიოზულმა პრობლემებმა იჩინა თავი.

კოვიდვითარება შეიძლება შევაფასოთ კრიტიკულ (კრიზისულ) სიტუაციად, რომელმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების სისტემა და სწავლა-სწავლებისა თუ მართვის კუთხით ახლებური მიდგომები მოითხოვა, რაც საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვდა არსებული რეალობიდან გამომდინარე.

სასწავლო დაწესებულებებში სწავლის პროცესის შეჩერების პერიოდი მძიმე და საკმაოდ დაძაბული იყო: გაურკვევლობის განცდას საზოგადოებაში ხშირად ენაცვლებოდა სტრესი და პანიკა, რომლებსაც ჯანმრთელობის საფრთხის გაცნობიერება და ამასთან დაკავშირებული რეგულაციები, შეზღუდვები და ცხოვრების ახალი სტილი იწვევდა. ამ დროს განათლების სისტემა ცდილობდა, შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა ახალ პლატფორმაზე გადასასვლელად.

[1] ქიან ტანგი, მეცნიერებათა დოქტორი, განათლების გენერალური დირექტორის თანაშემწე.

1 აპრილს საყოველთაოდ დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადართვა შეიძლება ჩაითვალოს პირველ ქმედით ნაბიჯად, თუმცა სისტემა ჯერ კიდევ არ იყო გამართული: სკოლებს არ ჰქონდათ დისტანციური სწავლების გამოცდილება, პედაგოგთა ნაწილიც არ ფლობდა შესაბამის კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს . ჯერ არ იყო გამართული Teams-ის პლატფორმა, იყო ტექნიკური პრობლემები, გაკვეთილები ტარდებოდა მესინჯერის ან Zoom-ის საშუალებით.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ყველაზე არსებითი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა, ეს იყო ხარისხიანი განთლების მიღებისა და ერთნაირად ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა, რაც სოციალურ მდგომარეობითა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებიებთან წვდომის ნაკლებობით იყო განპირობებული.

ეს იყო ყველაზე სუსტი მხარე, რომელმაც საფრთხეს შეუქმნა განათლების მიღების უფლებას, განსაკუთებით, მოსწავლეთა მოწყვლად ნაწილს.

ინტერნეტთან ნაკლები ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ ყველაზე ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. დისტანციური სასწავლო პროგრამა TEAMS-ით კი მასწავლებლებისა და მოსწავლეების 11%-ს საერთოდ არ უსარგებლიათ [5].

დისტანციური სწავლების მოდელი პედაგოგებისგან მოითხოვდა სათანადო უნარ-ჩვევებს, თუმცა მათ არ ჰქონდათ გამოცდილება, რაც გარკვეულ სირთულედ ექცათ. გარდა ამისა, გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს პრობლემა გახდა ტექნიკური რესურსები და ონლაინსწავლების მეთოდოლოგია, გარკვეულ შემთხვევებში კი - ენობრივი ბარიერიც [6].

დასკვნა

განათლებაზე ეპიდვითარების გავლენის კვლევამ ნათლად დაგვანახა, რომ ზემოთ აღნიშნულმა პრობლემებმა საკმაოდ მძიმე კვალი დატოვა. მისი შედეგებიდან გამომდინარე, სისტემა დღესაც რთული გამოწვევების წინაშე დგას, რომლებთან გამკლავებაც დიდ პროფესიონალიზმს, ინოვაციურ მიდგომებს, სწრაფ რეაგირებას, გამართლებულ რისკიანი გადაწყვეტილებების მიღებასა და მართვის ეფექტური სტრატეგიების შემუშავებას საჭიროებს.

პრობლემების შესაბამისად, საჭიროდ მიგვაჩნია საკმაოდ არსებითი ღონისძიებების გატარება, რომლის განსახორციელებლად შეიძლება გამოგვადგეს შემდეგი რეკომენდაციები:

სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის აღება, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პანდემიის პერიოდის გავლენიდან გამომდინარე, მოსწავლეთა სწავლისა და სოციალური განვითარების აქტიური ზონის დადგენა და უახლოეს ზონაში გადაყვანისთვის შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება, მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლება, სასკოლო საზოგადოებაში ფსიქო- ემოციური მდგომარობის კვლევა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიდერების სათანადო მომზადება სიტუაციური ფაქტორების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf
2. საქართველოს მთავრობის 2020 წის 23 მარტის N181 დადგენილება ,,საქართველოში
3. ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების
4. დამტკიცების შესახებ.
5. https://www.gov.ge/files/78044_78044_380617_.mes.gov.ge.pdf
6. https://stopcov.ge/ka/Gegma
7. ,,განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19-ის პანდემიის პირობებში“ (წყარო: ,,ღია
8. საზოგადოების ფონდი) https://osgf.ge/ganatlebis-seqtoris-mimokhilva-covid-19-pandemiis-pirobebshi/
9. არავიაშვილი მაია, ,,დისტანციური სწავლების გამოწვევები- მასწავლებელთა
10. გამოკითხვის შედეგები“, სკოლის მართვა, ჟურნალი 2, 2021;
11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი : www.mes.gov.ge
12. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №15/ნ, ,,საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისი. 2020 წლის 31 იანვარი;
13. პოპიაშვილი ნონა, „როგორ გავუმკლავდეთ COVID პანდემიის პირობებში შექმნილ რეალობას“, სკოლის მართვა, ჟურნალი 2, 2021;

Problems in education caused by the Covid-19 situation

Kerashvili Khatuna, PhD student
Georgian Technical University

Summary

Education is the greatest achievement of mankind, which needs to be protected, preserved and constantly cared for. Its impeding circumstances may cause a serious threat to the world's development process. A clear example of this is the disaster that has befallen the whole world recently, which was caused by the new corona virus, Kovid 19, and became the most important challenge. Humanity began to fight for survival with all its efforts.

Fundamental changes affected all directions in the same way. The current situation presented the current events differently. The transition to the new platform in the shortest time has clearly shown us that the **basis of all fields is education, and each of them is a product of education.**

Of course, the pandemic affected the education system itself and fundamentally changed its forms of existence, approaches, and capabilities. These changes are recent, so they are still the subject of research and require dynamic observation and thorough study. Also, the results obtained today are interesting.

The article discusses the impact of the Covid-19 situation as the most relevant situational factor on the modern education system, highlights the problems of education management in connection with distance learning, summarizes the positive and negative results, and develops recommendations for effective management:

aking responsibility on the part of the state, introducing innovations and new technologies, depending on the impact of the pandemic period, determining the active zone of learning and social development of students and developing appropriate strategies for transferring them to the nearest zone, updating the outdated infrastructure, researching the psycho-emotional state of the school community and solving the identified problems.

Also we should make proper preparations of leaders of educational institutions to match the situational factors.

The study of the impact of the epidemic on education clearly showed us that the above-mentioned problems left a rather heavy mark on the education system. Based on its results, the system is still facing difficult challenges today. Dealing with them requires great professionalism, innovative approaches, quick response, making justified risky decisions and developing effective management strategies.

Key words: pandemic, education management, problems, situational factor.

Distance Learning During the Pandemic

Zhana Khelashvili, PhD student
Tbilisi State University

Abstract

The paper deals with the examination of the influence of COVID 19 in Georgian educational system on a school and university level. It examines Georgian students' educational experiences, attitudes, and approaches to distance learning. The research is based on the examples of several public schools and universities.

The recent global explosion of COVID 19 has closed the borders of different countries, restricted the free movement of the population, created the need to protect social distance, and moved the world to a new mode of life. New conditions necessitated changes in the education system as well. Various online learning platforms have appeared in the Georgian learning space, as well as around the world. As a result, each discipline and/or subject has been technologically improved. Virtual learning sites gave students unprecedented autonomy to control their own learning. The flexibility of the teaching-learning process was also facilitated by the diversity of programs.

The following research paper proposes the results of distance education and aims to reveal the several advantages and disadvantages of online learning. The paper also talks about the challenges that arose during the pandemic in the education system of Georgia. In addition, the problem, its causes and consequences are named in this research.

The research uses quantitative methodology to analyze the issue of distance learning, its challenges and results during COVID 19. This method was used through an online questionnaire. Quantitative data via an online Google platform was collected. They were based on the perception of Georgian students. The results were focused on the following aspects: learning experience, relationships, and anxiety levels while using online learning tools.

To sum up, the pandemic period caused great damage to the education system of Georgia. Distance learning seems to have a negative effect on the learning process compared to face-to-face learning because most of the respondents thought that their learning ability had deteriorated with distance education. Regarding social interaction, the majority of students reported that their relationship with teachers, lecturers, classmates or group members did not change or got worse. As for anxiety, the majority of respondents consider that it also was not changed. The findings obtained in this study may be useful in the education sector. The research will be of interest to lecturers, teachers, and experts of educational institutions.

Keywords: Distance education, distance education issues, online learning, learning during the pandemic, face-to-face learning

Introduction

The COVID-19 pandemic has changed our normal life. This disease reached all corners of the globe and caused the deaths of millions of people. It impacted every aspect of our lives and changed our health, socio-economic and educational perspectives. The coronavirus disease was confirmed in Georgia on February 2020, when the first case was discovered. The pandemic led to the closure of educational organizations including schools. They were first closed in March in Georgia. 2000 schools closed and 600,000 students switched to online classes. Most of the schools remained closed for a whole academic year. During the pandemic, the school where I work closed several times, too. A lot of studies show that the pandemic resulted in increased psychiatric disorders in adolescents and adults. The special challenges faced by the educational system of Georgia. The educational process soon shifted from classroom teaching to online/distance learning. It should be noted that at the first stage, during the implementation of the distance learning a lot of challenges appeared in Georgian educational system, as well as in Georgian schools and universities, mainly:

- The lack of pupils' and teachers experience in using digital media devices
- The lack of students and teachers' experience in using e-platforms and programs like Microsoft Teams, Zoom, e-mail, power point, word, excel, etc.
- A small number of e-materials, online books and resources
- Lack of students' motivation
- Lack of electronic devices such as computer, mobile phone, smartphone, tablet, etc.

Materials and Methods

A survey was conducted in Georgia in May 2022. The questionnaire included 15 questions on the experience of distance learning during a pandemic compared to participation in a classroom or auditory. The students answered the 15 questions via an online Google platform. Quantitative data were collected based on students' perceptions. The results focused on the following aspects: learning experience, relationships, and anxiety levels.

The questionnaire was answered by 222 students enrolled in schools and universities in Georgia. Among them, there were 34.7% male, 61.3% female, and 4.1% agender students. 25.2% of the respondents were between 6 and 10; 34.7% - 10 and 15; 16.7% - 15 and 20; 23.4% were more than 20 years old. 63.5 % of the respondents were from public schools. Whereas 35.6% study in universities. 52.7% live in a city; 34.7 % live in a town and 12.6% - in a village.

The collection of primary data was carried out in Georgia, the online questionnaire was delivered to the school and university students. The aim of the survey was to report students' experiences in distance learning.

Results

The survey reveals that in Georgia most students used computers (77%) or mobile phones (81.1%) during the pandemic. 51.4% of respondents shared a computer with their brothers or sisters for distance learning. To the question which regards how often the respondents were involved in online learning, 40.1% answered "always", 32,9% - "usually", 12.6% - "sometimes" and 11.3 % - "rarely". To the question concerning the general distance learning experience compared to standard classroom learning, students from Georgia reported that it was better (18%), worse (48.6%), or without changes (33.3%). To the question that deals with students' attention during distance learning, 19.8% reported that their attention increased; 50% answered that it decreased, whereas for 30.2% of students, it wasn't changed. In the question that examines relationships with teachers and lecturers, 15.3% reported that it was better; 20.7%

Table 1. List of questions

Questions	Answers
How old are you?	6-10/ 10-15/ 15-20/ 20+
What gender do you identify with?	Female/ male/ other
Which educational institution do you study at?	University/ collage/ public school/ private school
Where do you live	Village/ town/ city
How often do you involve in distance learning?	Always/ usually/ sometimes/ rarely/ never
Do you have your own computer?	Yes / NO
Do you have your own mobile phone?	Yes / NO
Which device do you use for online learning?	Computer/ smartphones/ tablet/ other
Do you have brothers and/or sisters?	Yes / NO
Do you share a computer with them that you use for distance learning?	Yes / NO
Do I learn by distance learning.....?	Better/worse/no change
With distance learning my attention.....	Increased/decreased/no change
By distance learning my relationship with teachers/lecturers is now	Better/worse/no change
By distance learning my relationship with classmates/group members is now.....	Better/worse/no change
With distance learning, my anxiety with learning and homework has	Better/worse/no change

thought that it was worse, and 64% replied that it wasn't changed. As for relationships with classmates and group members, 14.4% regarded that it was better; 26.6% replied that it was worse, and 59% thought that it wasn't changed. To the question concerning anxiety with learning and homework, 19.4% replied that it was better. 31.1 % reported that it was worse. 49.5% of the students believed that it wasn't changed. Data on the experience of distance learning are reported in the following Figures:



Figure 1

Figure 2



Figure 3



Figure 4

Figure 5

Conclusions

The research reported the experiences of distance learning among school and university students of Georgia. It should be noted that distance learning was the only solution for teaching and learning continuity for Georgia as well as other countries. The analysis focuses on three main aspects: online learning, relationships, and anxiety. The results showed several advantages and disadvantages of online learning. Therefore, distance education seems to have a negative effect on the learning process itself because most of the respondents thought that they learned worse with distance education. That's why their motivation was lower if we compared it to face-to-face learning. Regarding social interaction, the majority of students reported that their relationship with teachers, lecturers, classmates or group members did not change or got worse. As for anxiety, the majority of respondents consider that it was not changed too. It must be said that online learning is not sufficiently inclusive in Georgia. Still, there are students who don't have a personal computer or other electronic devices. In conclusion, it must be said that the pandemic caused great damage to the education system of Georgia. Although nobody had the experience to deal with the circumstances, it is nevertheless our responsibility to support our students and alleviate their situation.

References:

1. Apriyanti, C. (2020). Distance learning and obstacles during Covid-19 outbreak. Jurnal Ilmiah Pendidikan Dasar, 7(2), 68-83.
2. Guessoum, S.B.; Lachal, J.; Radjack, R.; Carretier, E.; Minassian, S.; Benoit, L.; Moro, M.R. Adolescent psychiatric disorders during the COVID-19 pandemic and lockdown. Psychiatry Res. 2020, 291, 113264.
3. Gvelesiani, I.; Mumladze, E. COVID-19 and multilingual education-challenges and perspectives https://www.researchgate.net/publication/353390190_COVID-19_AND_MULTILINGUAL_EDUCATION_-_CHALLENGES_AND_PERSPECTIVES
4. Lage, A.; Carrapatoso, S.; Sampaio de Queiroz Neto, E.; Gomes, S.; Soares-Miranda, L.; Bohn, L. Associations Between Depressive Symptoms and Physical Activity Intensity in an Older Adult Population During COVID-19 Lockdown. Front. Psychol. 2021, 12, 1680
5. Webpage Burduli, T. (2021, April 29) The Digital Divide: How the Pandemic Has Exposed Inequalities in the Georgian Education System https://civil.ge/archives/416960

დისტანციური სწავლება პანდემიის დროს

ჟანა ხელაშვილი, დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომი ეხება COVID 19-ის ზეგავლენის გამოკვლევას ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე, სასკოლო და საუნივერსიტეტო დონეზე. კვლევაში განხილულია ქართველი სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილება, დამოკიდებულებები და მიდგომები დისტანციური სწავლების მიმართ. ნაშრომი ეფუძნება რამდენიმე საჯარო სკოლისა და უნივერსიტეტის მაგალითებს.

COVID 19-ის ბოლოდროინდელმა გლობალურმა აფეთქებამ ჩაკეტა სხვადასხვა ქვეყნის საზღვრები, შეზღუდა მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება, შექმნა სოციალური დისტანციის დაცვის აუცილებლობა და სამყარო გადაიყვანა ცხოვრების სხვა რეჟიმზე. ახალმა პირობებმა განაპირობა ცვლილებები განათლების სისტემაშიც. ქართულ სასწავლო სივრცეში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ონლაინ სწავლების სხვადასხვა პლატფორმა გამოჩნდა. შედეგად, თითოეული დისციპლინა და/ან საგანი ტექნოლოგიურად გაუმჯობესდა. ვირტუალური სასწავლო საიტებმა სტუდენტებს უპრეცედენტო ავტონომია მიანიჭა საკუთარი სწავლის გასაკონტროლებლად. სწავლა-სწავლების პროცესის მოქნილობას ხელს უწყობდა პროგრამების მრავალფეროვნებაც.

კვლევითი ნაშრომი გთავაზობთ დისტანციური განათლების შედეგებს და მიზნად ისახავს გამოავლინოს ონლაინ სწავლის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ასევე საუბარია იმ გამოწვევებზე, რომლებიც წარმოიშვა პანდემიის დროს საქართველოს განათლების სისტემაში. გარდა ამისა, კვლევაში დასახელებულია პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

ნაშრომში დისტანციური სწავლების საკითხის განხილვისას და შედეგების გასაანალიზებლად გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდოლოგია. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა ონლაინ კითხვარის მეშვეობით, Google პლატფორმის დახმარებით. დაფუძნებულია ქართველი სტუდენტების აღქმაზე. შედეგები ფოკუსირებული იყო შემდეგ ძირითად ასპექტებზე: გამოცდილება, ურთიერთობები და შფოთვის დონე ონლაინ სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენებისას.

შეჯამებისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანდემიის პერიოდმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს განათლების სისტემას. დისტანციური სწავლება, როგორც ჩანს, უარყოფითად მოქმედებს სწავლის პროცესზე პირისპირ სწავლასთან შედარებით. რესპონდენტთა უმეტესობამ დააფიქსირა, რომ მათი სწავლის უნარი გაუარესდა დისტანციური განათლების მიღებისას. რაც შეეხება სოციალურ ინტერაქციას, სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი ურთიერთობა მასწავლებლებთან, ლექტორებთან, თანაკლასელებთან ან ჯგუფის წევრებთან არ შეცვლილა ან/და არ გაუარესებულა. რაც შეეხება შფოთვას, რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უცვლელი დარჩა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები სასარგებლო იქნება განათლების სექტორისათვის. აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორების, მასწავლებლებისა და ექსპერტებისათვის.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური განათლება, დისტანციური საგანმანათლებლო საკითხები, ონლაინ სწავლა, სწავლა პანდემიის დროს, პირისპირ სწავლა.

ფილოლოგია

PHILOLOGY

დიდგორი - ქართული მარათონი?!

ვაჟა დანელია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს მეტაფორის როლი, როგორც მეორეული სახელების ფორმირების ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალება. სტატიაში განხილულია, მეტაფორიზაციისას, ანუ სიტყვის სემანტიკური მოცულობის გაფართოებისას, სამყაროს აღქმის მოდელი თუ როგორ იქცევა დიდ მეტაფორად, შემდეგ გადადის ტერმინში, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ამბავი. კონკრეტულ მაგალითზეა ნაჩვენები ლექსიკის ტერმინოლოგიზაციის პროცესის შედეგი - საკუთარი არსებითი სახელი მარათონი თუ როგორ იქცა სასპორტო ტერმინად და ოლიმპიურ დისციპლინად. მნიშვნელობის მეტაფორულმა გადაცემამ სპორტის სფეროში ახალი ტერმინის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

შედარება-შეპირისპირების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყოფითი ისტორიული ამბის - დიდგორის ბრძოლის ქართველი ერის კულტურულ ღირებულებათა სისტემაში დასამკვიდრებლად ყოველწლიურად გაიმართოს ქართული მარათონი - 40-კილომეტრიანი რბენა, სახელწოდებით - დიდგორი.

საკვანძო სიტყვები: მეტაფორა, ტერმინოლოგიური მეტაფორიზაცია, მარათონული რბენა, ფიდიპიდე, ოლიმპიური თამაშები, ლექსიკური ერთეული, დიდგორი.

შესავალი

მეტაფორა უძველესი დროიდან ყურადღებას იპყრობდა როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტი. უწინ ის განიხილებოდა მეტყველების დამამშვენებელ, ენაში ხატოვნების შესაქმნელ საშუალებად, სტილისტურ ხერხად. ორი ობიექტის ან ფენომენის მსგავსებაზე დაყრდნობილი ამ ტერმინის პირველი განმარტება არისტოტელემ მოგვცა - მისი ცნება რიტორიკიდან მოდის [1]. იმ დროიდან მოყოლებული მეტაფორა შეკუმშულ შედარებად განიხილება, სადაც აღმოფხვრილია შედარების საფუძველი. ბოლო წლებში მეტაფორა განიხილება როგორც სააზროვნო პროცესების გამომხატველი და შედეგი.

ესპანელი ფილოსოფოსის, პუბლიცისტისა და სოციოლოგ ხოსე ორტეგა ი გასეტის თქმით, „მეტაფორა არ არის მხოლოდ გამოხატვის საშუალება, ის ასევე აზროვნების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია“. მეტაფორა, როგორც სამყაროს აღქმის მოდელი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენაში - სიტყვების ნაკლებობას ავსებს ახლად წარმოქმნილი ცნებების აღსანიშნავად და ტერმინოლოგიის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, რადგან მეტაფორა წარმოადგენს ნომინაციის ახალი ერთეულის (ანუ ტერმინის) ფორმირების საშუალებას, რისთვისაც უკვე მზა, საერთო ენაში არსებული ერთეული გამოიყენება - ლექსიკური ერთეულის სემანტიკის შევიწროების ან გაფართოების პროცესები ლექსიკური ერთეულების ტერმინოლოგიურ სფეროში გადასვლას იწვევს: ახალი მოვლენა აღინიშნება ძველი ტერმინით, რომელიც ეხება ცნობილ მოვლენებს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს ტერმინი მოქმედებს როგორც მეტაფორა, რომელშიც გამოსახულია სხვადასხვა მოვლენის თვისებები [2]. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ერთი

სასპორტო ტერმინის ჩამოყალიბება გვინდა განვიხილოთ და ახალი სასპორტო ლექსიკური ერთეული შემოგთავაზოთ.

ძირითადი ნაწილი

ყოველი ერის ისტორიას მრავლად ამშვენებს ღირსშესანიშნავი მოვლენები, რომლებმაც ქვეყნის ცხოვრებასა და მატიანეში წარუშლელი კვალი დატოვა. მაგალითად, ბერძნებისთვის გამორჩეული თარიღია ძველი წელთაღრიცხვის 490 წლის 12 სექტემბერი, როცა მარათონთან ელინელთა არმიამ მასზე ბევრად მრავალრიცხოვან სპარსელებზე გაიმარჯვა.

ამ ისტორიულ ამბავს უკავშირდება ლეგენდა, რომლისმიხედვითაცერთ-ერთმაბერძენმამეომარმა ფიდიპიდესმა (ფიდიპიდე) მთაგრეხილებით მავალი ბილიკებით შეუსვენებლად ირბინა 40 კილომეტრზე მეტი მარათონიდან ათენამდე, რომ თანაქალქელებისთვის ეცნობებინა ისტორიული გამარჯვების შესახებ. ქალაქის კარიბჭესთან გამოჩენისთანავე მან მოუთმენლად მომლოდინე თანამემამულეებს აუწყა - „გიხაროდენ, ჩვენ გავიმარჯვეთ“ და უსულოდ დაეცა მიწაზე.

მკვლევართა აზრით, ამ ლეგენდის მართებულობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან საამისოდ საფუძველი არ არსებობს - თანამედროვეთა ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი. არადა, ასეთი გმირობა უყურადღებოდ არ დარჩებოდა. მარათონის ბრძოლიდან მხოლოდ 700 წლის შემდეგ ფიდიპიდე პირველად მოიხსენიება პლუტარქეს ტრაქტატების ფურცლებზე.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მეორე ბერძენმა ავტორმა ლუკიანემ აღწერა „მარათონელი მორბენლის“ ისტორია. ჰეროდოტეს ვერსიით კი, ის იყო მაცნე, შეტყობინების მიმტანი. ისტორიის მამის მტკიცებით, ფიდიპიდესი ათენიდან სპარტაში გაგზავნეს დახმარების სათხოვნელად.

ფიდიპიდეს ფაქტი გამოიგონეს თუ რეალურად არსებობდა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ანტიკური ეპოქის ბერძნის გონება მიხვდა, რომ თუნდაც არყოფილი გამოეგონებინა. ადამიანს ამის გაკეთება შეუძლია და შეუძლია არა სხვას, არამედ - ელინელს. რაკიღა ძნელად შესაძლებელი და ადამიანის ღირსების წარმომჩენი კონცეპტია, ამიტომ აიზიდა კულტურის რანგში - იმ ერის შვილი ვარ, რომელიც ამის უნარით არის დაჯილდოებული.

ვფიქრობთ, ფიდიპიდეს ამბავი კულტურული ღირებულების ელემენტად, მარკერად, ადამიანის სულიერ-ინტელექტუალი ძალმოსილების დემონსტრირებად იქცა, ამიტომაც დაისვა საკითხი, რომ რეპრეზენტირების ფუნქციით, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერ-ინტელექტუალური გამოცდა შესულიყო სასპორტო შეჯიბრებათა ნუსხაში. აქ მნიშვნელოვანი მომენტია ყოფითი ფაქტის კულტურული ღირებულების ელემენტად გადაქცევა და მისი კულტურულ ღირებულებათა სისტემაში დამკვიდრება.

ცნობილია, რომ ვიდრე სიტყვა სიტყვად იქცევა თავისი კონკრეტული შინაარსით, ისტორიულად გრძელ გზას გადის, შემდგომ იმკვიდრებს ადგილს ენობრივ სისტემაში, როგორც სამყაროს აღქმის კონკრეტული მოდელი. თავიდან ეს მოდელი იქცევა დიდ მეტაფორად, შემდეგ გადადის ტერმინში, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ამბავი.

ფიდიპიდესი იყო ლეგენდა, რომლის სახელიც ყველა ბერძენმა იცოდა. ამით ისარგებლა ფრანგმა ფილოლოგმა, სორბონის 60 წლის პროფესორმა მიშელ ბრეალმა და ის თავისი იდეის საფუძვლად გამოიყენა. როგორც ამბობენ, ბრეალი დარწმუნებული იყო, რომ ბერძენთა გულის მოსაგებად აღორძინებულ ოლიმპიურ თამაშებს რაღაც უფრო მეტი სჭირდებოდა, ვიდრე - ანტიკური ოლიმპიური თამაშებიდან გადმონერგილი ბადროს ტყორცნა.

აუცილებელი იყო ისეთი სასპორტო მოვლენა, რომელიც მარათონიდან ათენამდე ფიდიპიდეს რბენის ლეგენდას გააცოცხლებდა. ამიტომაც უთხრა ფრანგმა მეცნიერმა 1894 წელს აღორძინებული ოლიმპიური თამაშების სულიჩამდგმელ ბარონ პიერ დე კუბერტენს, „ათენის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი თამაშების პროგრამაში თუ შეიტანს სარბენ დისციპლინას, რომელიც მარათონელი ჯარისკაცის დიდებულ გმირობას აღადგენს, მაშინ სიამოვნებით დავაწესებ რაღაც პრიზს“. ახლადშექმნილი ოლიმპიური კომიტეტის წევრები ენთუზიასტს დაეთანხმნენ - მეომარი-მაცნეს სახელის უკვდავსაყოფად მარათონიდან ათენამდე რბენა საბერძნეთის დედაქალაქში გამართული 1896 წლის პირველი აღორძინებული ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს [3].

გრძელ დისტანციებზე რბენას საბერძნეთში არანაირი ტრადიცია არ ჰქონია, ის არც ძველბერძნული თამაშების პროგრამაში იყო. მაშ, ორგანიზატორებმა მაშინვე რატომ მიიღეს შეთავაზება? ცხადია, მათზე იმოქმედა არა პრიზმა - ოქროს თასმა, არამედ ეროვნული სიამაყის გრძნობამ. ისედაც, როგორც ამბობენ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ყველაფერი ანტიკური ხომ მოდაში იყო... მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური მარათონი შთაგონებულია ძველი ბერძნებით,

სრულყოფილად თანამედროვე გამოგონებაა.

იქნებ, სრულიად მართებულად ფიქრობენ მკვლევრები, რომ ლუკიანეს რიტორიკულ პროზაში ფიდიპიდე ჩნდება არა როგორც რეალური გმირი, შიკრიკი, მარათონიდან ათენამდე ამბის მიმტანი, ანუ მწერალი აღწერს არა მაშინდელი ამბების სიმართლეს, არამედ იგი გამოიგონა მომხდარი მოვლენის სიმბოლიკად. მორბენალი მაცნე იქნებ, მართლაც, იდეალური ხორცშესხმაა ბრძოლის ველზე დაცემული იმ ათასობით უსახელო ათენელი ჯარისკაცისა, რომლებმაც უთანასწორო ომში ელადის თავისუფლება დაიცვეს. და თუ ეს არის „მამაცობის ქრესტომათიული მაგალითი“, ბერძნებისთვის გმირული სულის გამარჯვების აღმნიშვნელი კონკრეტული საკუთარი სახელი მარათონი - მეტაფორა, მაშინ, ბრეალის წყალობით, ამბავმა გარკვეული ტერმინოლოგიური შინაარსი შეიძინა, ანუ ახალი სახელისთვის მეტაფორა გახდა საწყისი.

რუსი მკვლევრის სვეტლანა დუდეიკაიას თქმით, ტერმინოლოგიური მეტაფორიზაცია ბუნებრივი მოვლენაა და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ახალი ტერმინოლოგიური სისტემების ფორმირებაში, როდესაც საჭიროა ადრე დაუსახელებული ცნებების სახელდება [4, გვ. 5]. სწორედ ფრანგი პროფესორის დამსახურებით მარათონი სრულიად სამართლიანად იქცა სასპორტო ტერმინად და ოლიმპიურ დისციპლინად.

ეს არ ყოფილა შემთხვევითი, რადგან სპორტის ლექსიკურ ფონდში არსებული ტერმინები საყოველთაოდ გამოყენებული ლექსიკის ტერმინოლოგიზაციის პროცესის შედეგია. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ რაგბი: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის სახელწოდება სპორტის სახეობად იქცა, ანუ ეს არის მნიშვნელობის გადატანის სიმბოლო, რომლის საფუძველზეც მოხდა მნიშვნელობის ხელახალი გააზრება. აქედან გამომდინარე, ჩვენს შემთხვევებში მეტაფორას განვიხილავთ, როგორც ახალი მოვლენების სახელდების საშუალებას მნიშვნელობის შეცვლით. მნიშვნელობის მეტაფორულმა გადაცემამ კი სპორტის სფეროში ახალი ტერმინების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი ჯეიმს კონოლი (1868-1957), ბოსტონელი სტუდენტი, რომელმაც სამხტომში 13 მეტრითა და 71 სანტიმეტრით გაიმარჯვა. ძნელად თუ ვინმეს გაახსენდება მისი სახელი - პირველი თამაშების გმირად ხომ მარათონულ რბენაში ჩემპიონი ბერძენი მერწყულე და ფოსტალიონი სპირიდონ (სპიროს) ლუისი აღიარეს, რომელმაც დისტანცია 2 საათში, 58 წუთსა და 50 წამში დაფარა.

1896 წლის 10 აპრილის, ნაშუადღევს, 5 ქვეყნის 17 მორბენალი შეიკრიბა მარათონის უძველესი ბრძოლის ველთან. მათ შორის 13 ბერძენი იყო და 4 უცხოელი: ამერიკელი არტურ ბლეიკი (მარათონულ დისტანცია ჩამოშორდა 23-ე კილომეტრზე), ფრანგი ალბენ ლერმიუზო (მესამე ადგილი 1500 მეტრზე, მარათონული რბენა შეწყვიტა 32-ე კილომეტრზე), ავსტრალიელი ედვინ ფლეკი (ოლიმპიური ჩემპიონი 800 და 1500 მეტრზე, რბენა დაასრულა 37-ე კილომეტრზე) და უნგრელი დიულა კელნერი. შეჯიბრების ცხრა მონაწილემ 40 კილომეტრი გაირბინა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 330 წელს აშენებულ ათენის მარმარილოს (პანათენის) სტადიონამდე. იმის მიუხედავად, რომ ნახევარ გზაზე გაჩერდა კვერცხის საჭმელად და ჭიქა ღვინის დასალევად, 23 წლის ბერძენი სპირიდონ ლუისი პირველი მორბენალი იყო, რომელიც სტადიონზე შევიდა. ტრიბუნებზე შეკრებილი 80.000-მდე გულშემატკივარი მას ოვაციითა და ტაშის გრიალით შეეგება. საბერძნეთის პრინცი და მისი ძმა ტრიბუნიდან ტრასაზე გადახტნენ, რათა ლუისს შეერთებოდნენ, როცა ის სტადიონზე ფინიშის ხაზს გადაკვეთდა. მეორე ადგილი ბერძენმა ხარილაოს ვასილაკოსმა (3:06.03) დაიკავა, მესამე ადგილზე დიულა კელნერი (3:06.35) გავიდა. ფაქტობრივად, 3:06.30-ით მესამე იყო ბერძენი სპირიდონ ბელოკასი, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ დისტანციის გარკვეული ნაწილი მან ოთხთვალათი გაიარა და დისკვალიფიკაციასაც ვერ ასცდა [5].

ლუისს მეტი არასოდეს ურბენია მარათონი, ანუ 42 კილომეტრი და 195 მეტრი, მაგრამ მისმა გამარჯვებამ ამ შეჯიბრებისადმი ინტერესი გააღვივა. მარათონული რბენის მანძილი 1896 წლიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს სხვადასხვა იყო, კერძოდ: 1896 წელს - 40 კმ, 1900 – 40.26, 1904 – 40, 1906 – 41.86, 1908 – 42.195, 1912 – 40.2, 1920 – 42.75, 1924 წლიდან კი - 42.195 კმ. ეს ბოლო დისტანცია 1908 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბაძვით გახდა საყოველთაო. მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით, დედოფალმა ალექსანდრამ სთხოვა ორგანიზატორებს, რომ რბენა დაეწყოთ უინძორის ციხის გაზონიდან, რათა სამეფო ოჯახის ყველაზე პატარა წევრებსაც შესძლებოდათ სასახლის ფანჯრიდან მათი ყურება. გარბენის დისტანციის შემთხვევითი მატება იმით დასრულდა, რომ 1921 წელს მარათონის სიგრძე ოფიციალურად განისაზღვრა - 26,2 მილი (ანუ 42,195 კილომეტრი),

თუმცა 2004 წელს ათენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე თავად ვიყავი დამსწრე, ათლეტებმა მარათონიდან ათენამდე თუ როგორ ირბინეს იმ შემოკლებული მარშრუტით, როგორც 1896 წელს პირველ ოლიმპიადაზე [6].

მარათონულმა რბენამ მალევე მოიცვა ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა. ჩაისახა სპორტის კიდევ ერთი სახეობა, სიტყვა „მარათონმა“ კი ახალი მნიშვნელობა შეიძინა. დღეს ეს უკვე აღარ არის ზებუნებრივი სიგრძის მანძილი - ის ადამიანის გამძლეობის გამოცდაა და მთელ პლანეტაზე ძალიან ბევრმა ეს გამოწვევა სიამოვნებით მიიღო.

მსოფლიოში ყველაზე „მაღალი“ მარათონი ევერესტზე იმრთება: დედამიწის უმაღლესი მწვერვალი (8848 მ) არა მარტო მთამსვლელებს, არამედ რბენის მოყვარულებსაც ეგებება. ყოველწლიური გარბენი Tenzing Hillary Everest Marathon მოწოდებულია საიმისოდ, რომ თენსინგ ნორგეი შერპას და ედმუნდ ჰილარის 1953 წელს ევერესტზე პირველი წარმატებული ასვლა აღინიშნოს. საწყისი ხაზი 5364 მეტრის სიმაღლეზეა.

როგორც ყველა ერს, ქართველებსაც გვაქვს ჩვენთვის დაუვიწყარი და საამაყო დღე - 12 აგვისტო. 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა დიდგორის ბრძოლა, ანუ „ძლევაი საკვირველი“: ქართველთა ლაშქარმა დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან) თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარების წინააღმდეგ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

დავიჯეროთ, ჩვენს წინაპრებს მაცნე-მალე-მსრბოლი არ ეყოლებოდათ, რომ ეს სასიხარული ამბავი დედაქალაქელებისთვის ეცნობებინათ? ცხადია, ეყოლებოდათ, მაგრამ...

„ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და... ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“, - წერდა ჯერ კიდევ 1880 წელს ილია ჭავჭავაძე [7].

ქართველებისთვის 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ბრძოლა ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორიც ბერძნებისთვის მარათონი - ერის სულის გამოხატულება და ელინთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. საოცარი დამთხვევაცაა - დიდგორიდან თბილისამდე თითქმის იგივე მანძილია (39.11 კმ), რაც მარათონიდან - ათენამდე.

ხომ არ დადგა დრო, 902 წლის წინანდელი ჩვენთვის ყოფითი ისტორიული ამბავი ქართველი ერის კულტურულ ღირებულებათა სისტემაში დავამკვიდროთ და ყოველწლიურად 12 აგვისტოს გავმართოთ 40-კილომეტრიანი რბენა სახელწოდებით დიდგორი - ქართული მარათონი, მართლაც, დიდი მეტაფორული მოვლენა.

დასკვნა

მარათონის ფენომენის, ანუ რბენით დაფარული მანძილის კულტურის კონცეპტად - კულტურის ღირებულებითი სისტემის ელემენტად ქცევა იმას ცხადყოფს, თუ როგორ კვებავს ერის სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროს კონკრეტული ყოფითი ფაქტი და ის კულტურის კონცეპტში მენტალობის განმსაზღვრელ ელემენტად როგორ იქცევა.

დიდი ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, „არ ვიცით სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ-კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს” [8, გვ.1].

კარგი იქნება, თუ კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პარლამენტის სპორტის კომიტეტის, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტის, თბილისის მერიისა და მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციის, ასევე, ქართველი მეცენატების ძალისხმევით, „დიდგორს“ ქართულ მარათონად ვაქცევთ - მსოფლიოს ახალ მძლეოსნურ დისციპლინა „დიდგორს“ (40 კმ) შევთავაზებთ.

ვიცი, ზოგიერთები წამომძახებენ - ეს მიბაძვაა, ხომ არისო მარათონი და ნახევარმარათონი...

ვინც მძლეოსნობის ისტორიას იცნობს, დამეთანხმება, რომ ანტიკურ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კარგა ხანს ერთ სტადიაზე (192.27 მ) რბენა შედიოდა, მერე ორ სტადიაზე რბენა შემოიღეს. დღეს კი მძლეოსნობას რბენის რამდენიმე დისციპლინა ამშვენებს. ვფიქრობთ, „დიდგორის“ დამატებითაც არაფერი დაშავდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://ru.frwiki.wiki/wiki/M%C3%A9taphore;
2. Ивин А.А., Никифоров А.Л. Словарь по логике. М.: Гуманитарный издательский центр ВЛАДОС, 1997. - 384 с. - ISBN 5-691-00099-3;
3. Захарова В. В. История зарождения марафонского бега, https://studik.net/istoriya-zarozhdeniya-marafonskogo-bega/;
4. Дудецкая С. Г. Метафоризация как способ терминообразования (на материале английской терминологии черепно-челюстно-лицевой хирургии и стоматологии): автореф. дис. … канд. филол. наук. Самара, 2007. 23 с.;
5. https://en.wikipedia.org/wiki/Athletics_at_the_1896_Summer_Olympics_%E2%80%93_Men%27s_marathon;
6. https://dtf.ru/life/789605-o-sport-ty-mir-istoriya-olimpiyskih-igr-s-drevnih-vremen-i-do-nashih-dney;
7. ილია ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობა; https://poetry.ge/poets/ilia-chavchavadze/publication/20-dzveli-saqartvelos-ekonomiuri-wkoba;
8. ილია ჭავჭავაძე, გაზეთი „ივერია“, N17, 24 იანვარი, გვ.1;

Didgori - Georgian marathon?!

Vaja Danelia
Doctor of Social Sciences

Summary

Metaphor has attracted attention as an object of scientific research since ancient times. Previously, it was considered as a means of embellishing speech, using imagery in the language, as a stylistic technique. In recent years, metaphor has been considered as an expression and result of thought processes. Metaphor, as a model of perception of the world, plays an important role in language - it fills the lack of words to denote newly formed concepts and has become one of the important sources of terminology formation.

It is known that before a word becomes a word with its specific content, it goes a long way historically, and then takes a place in the language system as a specific model of world perception. At first this model becomes a great metaphor, then it turns into a term based on a historical story.

Pheidippides was a legend whose name was known to all Greeks. A French philologist, 60-year-old Sorbonne professor Michel Breal, took advantage of this and used it as the basis of his idea. It is said that Breal was convinced that to win the hearts of the Greeks, the revived Olympic Games needed something more than the ancient Olympic Games of Badro. It was necessary to have such a sporting event that would revive the legend of Pheidippides' run from Marathon to Athens. Thanks to Breal, the story acquired a certain terminological content, that is, a metaphor became the starting point for a new name. The metaphorical transfer of the meaning of the marathon contributed to the formation of new terms in the field of sports.

On August 12, 1121, the Georgian army under the command of Davit IV Agmashenebeli won a historic victory against the Turkish-Selchuk coalition forces in the Didgori Valley (near Tbilisi). This battle is as important as the marathon for the Greeks - it is an expression of the spirit of the nation and an integral part of the life of the Hellenes. It is an amazing coincidence - the distance from Didgori to Tbilisi is almost the same (39.11 km) as from Marathon to Athens.

Perhaps, the time has come to establish the historic story of 902 years ago in the cultural value system of the Georgian nation and to hold a 40-kilometer run called Didgori - Georgian Marathon every year on August 12, a great metaphorical event. With this, we will offer the world a new athletic discipline "Didgori" (40 km).

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

საქართველო გლობალურ ტრანსფორმირებად სოციო-პოლიტიკურ რეალობაში და მედიის განვითარების ვექტორი

თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით გოცირიძე, პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

მედიის ფუნქციონირების მეცნიერული შესწავლის ამოცანა გამოწვეულია იმ როლით, რომელსაც მედია ინფორმაციულ ეპოქაში თამაშობს. უახლოესმა პროცესებმა მედიის ფენომენის ახლებური გააზრება მოითხოვა, ვინაიდან ცვლილებები მისი ფუნქციონირების მთელ სტრუქტურას შეეხო: დაწყებული ჟურნალისტის სტატუსის ტრანსფორმაციიდან და დამთავრებული მედიაადრესატის სპეციფიკაციიდან – საკომუნიკაციო კოდების სემიოტიკური ფაქტურების ძირეული ცვლილებებით. ამან დღის წესრიგში დააყენა ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის ფაკულტეტებზე სასწავლო პროცესის მოდერნიზაციის აუცილებლობა და ახალი სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვია პროგრამულ კურიკულუმებში. ასე, მაგალითად, ევროპული უნივერსიტეტების პროგრამებში გაჩნდა ისეთი კურსები როგორიცაა: ინტერნეტ-მედია, კონვერგენტული ჟურნალისტიკა, ციფრული მედიოლოგია და სხვა. სხვათა შორის, ეს საკითხები გათვალისწინებულია სტუ-ში მომზადებულ ახალ (მათ შორის ინგლისურენოვან) პროგრამებში. კიდევ ერთ ტენდენციას, რომელიც დამახასიათებელია ევროპული უნივერსიტეტებისთვის და შესაბამისად აისახა ევროპული უნივერსიტეტების პროგრამებში, წარმოადგენს ჟურნალისტიკის დარგობრივი სფეროების სეპარატიზაციის ტენდენცია, რის შედეგადაც, ვიწრო სპეციალიზაციიდან გამომდინარე, ჟურნალისტები ცალკე კვალიფიკაციას იღებენ. ასე, მაგალითად - სპორტული, მედია-ბიოლოგიის, სამხედრო, ტექნიკური სფეროს ჟურნალისტები განსხვავებულ დიპლომებს იღებენ.

მასმედია, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სპეციფიკური ინსტრუმენტი, მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია პოლიტიკურ, სამართლებრივ, ზნეობრივ და აქსიოლოგიურ ინსტიტუციებთან. ამიტომ მედიაში მიმდინარე პროცესები უნდა განვიხილოთ იმ პოლიტიკური და სოციალური სისტემის გარდაქმნის ანალიზის გარეშე, რომლის შედეგად ტრანსფორმაცია განიცადა საზოგადოების ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემამ. უნივერსალური პროცესების გარდა (მასკომუნიკაციის მონაწილეთა როლებრივი პარტიტურის შეცვლა, საკომუნიკაციო არხების ფუნქციონირების სისტემის ჩამოყალიბება, ახალ ტექნოლოგიურ სტანდარტებზე გადასვლა), პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში, ჩამოიშალა კომუნიკაციის იერარქიული მოდელი, გაფართოვდა კონტაქტურ კულტურათა ინტერაქციული ველი, რომელიც ტერიტორიულ საზღვრებზე აღარ არის დამოკიდებული, შეიცვალა თვით საზოგადოების სტრუქტურა, ახლებურად იქნა გააზრებული დროის ფაქტორი, რაც, პირველ რიგში, ოპერატიულობასა და ინფორმაციის მოძრაობის სისწრაფეში აისახა.

დასავლეთში მიმდინარე პროცესები: გლობალიზაცია, საინფორმაციო სფეროს პლანეტარიზაცია, ტექნოლოგიური რევოლუცია მეოცე

საუკუნის 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც შეეხო, ვინაიდან ამ პერიოდის გეოპოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად მოხდა „გლობალური სოფლის“ სტრუქტურაში“ ახალი ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) შესვლა. გეოპოლიტიკური კატაკლიზმების, პოლიტიკურ სისტემის ტრანსფორმაციისა და სამეცნიერო-კულტურული რევოლუციით გამოწვეული მრავალი პრობლემის შედეგად პოსტსაბჭოთა ქვეყნები ახალ სოციო-პოლიტიკურ პარადიგმაში აღმოჩნდნენ, რომელსაც ,,ინფორმაციის საუკუნეს" უწოდებენ.

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ცალკეული ნაწილების სახით ქვეყნდება, ეხება ქართული ცნობიერების გარდამტეხ პერიოდს, პოსტსაბჭოთა რეალობიდან გლობალურ საინფორმაციო სამყაროში გადასვლასა და დაიწყო „გლობალური სოფლის“ სტრუქტურაში ქვეყნის კულტურულ-სახელმწიფოებრივი იმიჯის ფორმირებისა და განმტკიცების დაწყებას.

ამ პერიოდში, როდესაც ხდება „გლობალური სოფლის“ სტრუქტურაში შემავალ კულტურათა კონტაქტური ველის გაფართოება და ახალი კულტურების იმპლემენტაციის პროცესი მსოფლიოში ინფორმაციული საზღვრების მოშლის ტენდენციის ფონზე. ნიშანდობლივია, რომ საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკურად დამოუკიდებელი სტატუსით გამოდის და ახალი რეალობის შესაბამის პარტნიორული ურთიერთობის რეჟიმზე გადადის, მათ შორის ისეთ ქვეყნებთან, რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოებას ახლო წარსულში წარმოდგენაც კიარჰქონდა.კომუნიკაციურისივრცის ახალ სოციო-კულტურულ პარადიგმაში გააზრების აუცილებლობა და კომუნიკაციის კონტაქტური ველის გაფართოება თვისობრივად ცვლის საზოგადოების ინფორმაციული უზრუნველყოფის მოდელს, რაც უაღრესად საინტერსოა მასმედიის ფუნქციონირების თეორიული საფუძვლების შესწავლის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი, გლობალიზაცია, დომინანტური იდეოლოგია, მედიაკომუნიკაცია.

შესავალი

ამჟამინდელი ცვლილებები მედიასფეროში რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო მედიისა და ცნობიერების მიმართების სპეციფიკის დადგენა, ვინაიდან ახალ გლობალურ სამყაროში ყალიბდება თანამედროვე მედიაფილოსოფიის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას.

ამ მიზნით განხილულია გლობალიზაციის პერიოდის იდეოლოგიური დომინანტის – პოსტმოდენიზმის – საკითხი დასავლურ ცნობიერებაში და პოსტმოდერნისტული კატეგორიების ქართულ ცნობიერებასთან თავსებადობის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოსტმოდერნიზმისა და ქართული მედიის ურთიერთობას. პოსტმოდერნიზმმა ფილოსოფიური სისტემის სტატუსი, მართალია, ფილოსოფიაში ვერ დაიმკვიდრა, მაგრამ მედიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა და საკმაოდ მნიშვნელოვანი როლიც ითამაშა. ჩვენი ნაშრომი თვალისწინებს პოსტმოდერნიზმსა და მედიაცნობიერების ურთიერთობასთან დაკავშირებული ნაშრომების სიმწირეს და მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რა როლი ითამაშა პოსტმოდერნიზმმა ქართული მედიასივრცის ჩამოყალიბების პროცესში. ამ მიზნით განვიხილავთ პოსტმოდერნიზმის იმ საკვანძო პრინციპებს და კატეგორიებს, რომლებმაც გარკვეული კვალი დააჩნიეს თანამედროვე ქართული მედიაცნობიერების ჩამოყალიბებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური რევოლუციითა და საბჭოთა იდეოლოგიის ჩამოშლით გამოწვეული ინერციული პროცესები და ცვლილებები ქართულ ინფო სფეროში, რამაც წარმოშვა ახალ სოციო-პოლიტიკურ სივრცეში აქსიოლოგიური ორიენტაციის პრობლემა. ამასთანავე ნაშრომში განხილულია აგრეთვე ის ინსტიტუციური ძვრები, რომელიც დარგის მარეგულირებელ სფეროს შეეხო. გლობალიზაციის ეპოქის ღირებულებებისა და პოსტმოდერნისტული ცნობიერების შემდეგ შევეხებით ქართული მედიის საკვანძო პრობლემებს: ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესს, მედიაკომუნიკაციის არსობრივ ტრანსფორმაციას, მედიაკომუნიკაციის აქტორთა ახლებურ როლებს, საკუთრების ფორმის ცვლილების ზეგავლენას მედიასაშუალებებზე და სხვ.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციამ კულტურათშორისი კომუნიკაციის კონტაქტური ველი შეცვალა და შესაძლებელი გახადა კომუნიკაციის განსხვავებული კულტურების ინტერაქცია. საბჭოთა კავშირში არსებულ „სიტყვის მონოპოლიის“ გაქრობამ ტერმინ „საკომუნიკაციო სივრცეს“ რეალური შინაარსი შესძინა. ამრიგად, ჩვენი განხილვის საგანია პოსტმოდერნიზმის, როგორც ინფორმაციული საზოგადოების მსოფლმხედველობის ზეგავლენა მედიაში მიმდინარე პროცესებზე და მსოფლმხედველობრივი ცვლი-

ლებების ანალიზი ტექნოლოგიური ინოვაციების პრიზმაში.

მედია, როგორც ცნობიერების ფორმირების ფაქტორი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია ქართული მედიალანდშაფტის მასტრუქტურირებელი ფაქტორების გამოყოფა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემების განვითარებისტენდენციების შედარებისას გამოიყოფა უნივერსალური და სპეციფიკური ტენდენციები. უნივერსალურად ითვლება პოსტმოდერნიზმის, როგორც გლობალური სამყაროს იდეოლოგიის, ზეგავლენა მასკომუნიკაციის სფეროზე.

ძირითადი ნაწილი

პოსტსაბჭოთა პერიოდი საქართველოში რევოლუციური ცვლილებებით აღინიშნა, როგორც პოლიტიკის, ასევე ცნობიერების სფეროში. საზოგადოებრივი აზროვნების ახალი ფილოსოფია ქართული ცნობიერების რადიკალურ გარდაქმნას ისახავდა მიზნად და მედიას ამაში განსაკუთრებულ როლს აკისრებდა.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებულმა რთულმა და მრავალფეროვანი ისტორიული მოვლენებით დატვირთულმა პროცესებმა თავისებური გავლენა მოახდინა ქართულ მედიაზეც. იგი თავისი დინამიზმითა და პოლიფაქტურული გამომსახველობითი პოტენციალით ყველაზე ორგანულად მოერგო ღირებულებების ტოტალური გადაფასების ეპოქის სპეციფიკას. ეპოქის სოციალური შეკვეთა ითვალისწინებდა მედიის სფეროში ტექნოლოგიური ინოვაციების მზარდი შესაძლებლობების გამოყენებასა და ახალი ფორმების მოძიებას თავისუფალი აზრის გამოსახატავად. სოციო-პოლიტიკური კატაკლიზმების პროცესში ძალზე სწრაფად და დინამიკურად იცვლება კულტურულ ღირებულებათა სისტემა, რაც იწვევს ძველი და ახალი სისტემების მკვეთრ დაპირისპირებას, ღირებულებათა აღრევას და ახალი კულტურული სიმბოლოების წარმოშობას, რომლებიც შეცვლილ სოციალურ გარემოსა და პირობებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის მსოფლმხედველობას ასახავენ. ისიც, რომ სოციალური კავშირების რღვევა გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მათი აღდგენა.

მძაფრი რევოლუციური ხასიათის კატაკლიზმებმა, რომლებმაც საზოგადოებრივი ცნობიერების რადიკალურად შეცვლა მოითხოვა, ღირებულებათა გადაფასების აუცილებლობაც გამოიწვია. ისევე, როგორც ყოველთვის, რევოლუციური ცვლილებები წინა თაობების ღირებულებათა უარყოფით დაიწყო. ეპოქალურმა ძვრებმა ასევე მოითხოვეს მასკომუნიკაციის მთავარ მონაწილეთა ფუნქციებისა და როლების ახლებური გააზრება ტრანსფორმირებად სოციო-პოლიტიკურ პარადიგმაში.

ქართული საზოგადოებრივი აზრის დინამიკის გაცნობიერებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ XX საუკუნის ბოლოს განვითარებულმა პროცესებმა რადიკალურად შეცვალეს არა მარტო ტრადიციული ყოფითი წარმოდგენები დროსა და სივრცეზე, არამედ საკომუნიკაციო სივრცის ტრადიციული გაგება ჩაანაცვლეს სამყაროს, როგორც „გლობალური სოფლის" კონცეფციით და კულტურათშორისი კომუნიკაცია ახალ ტრანსფორმირებად სოციო-კულტურულ გარემოში გაიაზრეს. პოსტსაბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში გავლილ წინააღმდეგობებით აღსავსე გზას შეიძლება ეწოდოს „მოძრაობა „რკინის ფარდიდან" „გლობალურ სოფლამდე".

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ადამიანის მსოფლაღქმა დეტერმინირებულია სამყაროს მისტიფიცირებული მოდელით, რომელიც მის სოციო-ეკოსფეროში რეალიზდება, უნდა ვაღიაროთ, რომ გლობალური სოციო-პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელების აუცილებელ პირობას მისი იდეოლოგიური ვექტორის განსაზღვრა და შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელსაც პოსტრევოლუციური ქვეყნების სინამდვილეში უნივერსალური ხასიათი აქვს, წარმოადგენს პროცესებში ჩაბმული გაუთვითცნობიერებული მასის აქტიური პრეტენზიები. ნებისმიერი პოსტრევოლუციური პერიოდი ის დროა, როდესაც წინა პლანზე წამოწეულია მასის ფაქტორი, რომლის ეფექტური მართვაც ხშირ შემთხვევებში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ამიტომ საჭირო ხდება „კულტურული რევოლუციით" გამოწვეული საფრთხეების გათვალისწინება და ამის შესახებ საზოგადოების ოპერატიული ინფორმირება. ბრბოს სტიქიურ ბუნება და უმართაობა არაერთხელ გამხდარა ე.წ. „მასის ადამიანის" ძალაუფლებრივი პრეტენზიების მიზეზი, როდესაც საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი ნებსით თუ უნებლიედ ექცევა მისი გავლენის ქვეშ და თმობს თავის პრინციპებს. „პარადიგმათა შეჯახების" პროცესმა,

რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის XX საუკუნის 90-იან წლებს უკავშირდება, წარმოქმნა სიტუაცია, რომელმაც ქართული საზოგადოება ეროვნული იდეალების საფუძველზე გააერთიანა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის კონცეფციის შემუშავება მოითხოვა (რომლის ფორმირებაში ხშირად ერეოდნენ „რევოლუციური მანდატით“ აღჭურვილი „მასის ადამიანები“).

საქართველოს საბჭოთა ტოტალიტარული სის-ტემიდან გამოსვლა და საერთაშორისო თა-ნამეგობრობაში დამოუკიდებელი სტატუსით შესვლა პირველ რიგში გულისხმობდა საერთა-შორისო საზოგადოებასთან პარტნიორული ურთი-ერთობების პრინციპების განსაზღვრას, დასავლურ ღირებულებებზე ქვეყნის დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და აქსიოლოგიური პრინციპებთან შეჯერებას. სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორ-მირება აზროვნების ახალი ტიპის დამკვიდრებასა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის გარდაქმნას მოითხოვდა. ამ პროცესში განსაკუთ-რებულ სირთულეს კომუნიკანტთა ცნობიერების არაერთგვაროვნება წარმოადგენს, რომელიც ხში-რად ხდება კომუნიკაციურ კონფლიქტთა მიზეზი.

საქართველოს მიერ არჩეული დასავლური კურსის განხორციელება მექანიკური პროცესი არ არის და გულისხმობს საბჭოთა იდეოლოგიური შლეიფისგან განთავისუფლებას, აგრეთვე იმ ღირე-ბულებების გაცნობიერებასა და გაზიარებას, რომ-ლებიც ევროპული აქსიოლოგიის საფუძველს წარმოადგენს.

დასავლურ სამყაროს ქართული საზოგადოება, ძირითადად, მხატვრული ლიტერატურით იცნობ-და, თუმცა ეს არჩევანიც შეზღუდული იყო იმ შესაძლებლობით, რომელსაც საბჭოთა ცენზურა არეგულირებდა. რეალური ინფორმაცია დასავლურ სამყაროზე და მის ღირებულებებზე საქართველოში, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ და ისიც, ხშირ შემთხვევაში, ფრაგმენტული.

XX საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ ვითარე-ბაში აუცილებელი გახდა ევროპული ღირებულე-ბების გაცნობის პროცესის დაჩქარება რათა პირ-დაპირი კონტაქტებით ჩამოყალიბებულიყო დასავლეთთან სოციო-პოლიტიკური და კულტუ-რული ურთიერთობის პლატფორმა.

აღნიშნული პროცესების ხელშეწყობის თვალ-საზრისით განსაკუთრებულად გამოიკვეთა მედი-ის, როგორც მაინტეგრირებელი სოციოკომუნიკა-ციური ინსტიტუტის, როლი. ქართულმა მედიამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ამ პროცესის ინ-ფორმაციულ უზრუნველყოფაზე იყო დამოკიდე-ბული პოზიციათა შემდგომი დაახლოება და ქვეყნის საკვანძო ღირებულებების ევროპულთან თავსე-ბადობის პერსპექტივა. შექმნილი პოზიტიური საერ-თაშორისო კონიუნქტურისა და ციფრული ეპო-ქის უახლოესი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენებით ქართულმა მედიამ უმოკლეს დროში, ოპერატიულად მოახდინა ევროპული ღირებულებების შესახებ არსებული უზარმაზარი ინფორმაციული მასივების გადამუ-შავება, ტრანსლირება და ქართული საზოგადო-ებისთვის მიწოდება.

თავად ევროპა ამ პერიოდში გლობალური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა, სადაც მოქმედებდა თამაშის ერთიანი ანგარიშგასაწევი წესები. „გლობა-ლური სოფლის“ სტრუქტურაში ორგანულად ჩართვის პროცესში საქართველოს უნდა მოეხდინა გადაწყობა ევროპული ცნობიერების მოდელზე, რომლის იდეოლოგიურ საყრდენს ამ პერიოდში პოსტმოდერნისტული ცნობიერება წარმოადგენდა. ვითარება, რომლის ფონზეც ხდებოდა ქართული პოსტსაბჭოთა მედიაცნობიერების ჩამოყალიბება და ტრანსფორმირებადი რეალობის ასახვა, უშუალოდ უკავშირდება გლობალიზაციის პრო-ცესს და მის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას პოსტმოდერნისტული თეორიის სახით.

თუ გავითვალისწინებთ მედიის (მათ შორის ევროპული) მჭიდრო კავშირს შესაბამისი ეპოქის მსოფლმხედველობასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ პოსტმოდერნისტულმა მსოფლიო აღქმამ, რომელიც დომინანტური იყო ევროპული ცნობიერებისთვის, გარკვეული როლი ითამაშა პოსტსაბჭოთა პერი-ოდის ქართული მედიის განვითარების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტმოდერნიზმის ფენომენი თითქმის საუკუნეა ყურადღების ცენტრშია, ჯერაც ვერ მოხერხდა მისი შეფასების ერთიანი მიდგომის შემუშავება. უფრო მეტიც, პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსი უმბერტო ეკო თვლის, რომ ამ პრობლემის გასაღები ისტორიულ კონტექსტში უნდა ვეძიოთ: ,,ყოველ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი პოსტმოდერნი, ისევე, როგორც ყოველ ეპოქას აქვს თავისი საკუთარი მანერიზმი" (ეკო 1999; 588).

პოსტმოდერნიზმი არ არის არც „ჟანრი“, არც „სტილი“ და, მით უმეტეს, არც „სკოლა“, რომელსაც შეიძლება მიეკუთვნებოდე. პოსტმოდერნიზმი არის სიტუაცია, ერთგვარი არსებობა, „ყოფიერება“, რომელიც ცნობიერებას განსაზღვრავს, რომელიც პოსტმოდერნისტულ სიტუაციაში მოხვდა. ამიტომ პოსტმოდერნიზმზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საუბარია არა ჟანრობრივ

კანონზომიერებებსა და სტილურ თავისებურებებზე, არამედ შემოქმედებითი აქტივობის ზოგიერთ ასპექტზე (ილინი 1996:41)

„პოსტმოდერნი", აღნიშნავს ლიოტარი, - არ წარმოადგენს რაღაც ერთიანი მდგრადი ნიშან-თვისებებით გაერთიანებულ მოვლენას. იგი არის სპეციფიკური მდგომარეობა კულტურაში, საზოგადოებასა და მეცნიერებაში, რომელიც შესაბამის გააზრებას მოითხოვს. პოსტმოდერნიზმი წარმოადგენს უფრო გუნება-განწყობილებას, ინტელექტუალურ სტილს, ვიდრე ფილოსოფიურ სკოლას ან მიმდინარეობას, მსგავსად პოსტპოზიტივიზმისა, ნეოკანტიანელობისა, ან ფენომენოლო-გიისა" (ლიოტარი 1998:24).

ი. ილინის მიხედვით პოსტმოდერნიზმი არც ფილოსოფიის, არც ისტორიის, არც იდეოლოგიის სფეროს არ განეკუთვნება და არც არავითარ ჭეშმარიტებას არ ეძებს. ის წარმოადგენს თავისებურ რეაქციას სიახლის მოდერნისტულ კულტზე და, ამავდროულად, ელიტურ რეაქციას მასობრივ კულტურაზე, ეთიკურ-ესთეტიკურ პარადიგმის პოლიცენტრულ მდგომარეობას. ამასთანავე ის განიხილება როგორც რეაქცია კულტურის ტოტალურ კომერციალიზაციაზე და როგორც ოფიციალურ კულტურასთან დაპირისპირება (ილინი 1996:41).

პოსტმოდერნისტთა შორის არ არსებობს აზრთა ერთიანობა იმაზე, თუ რა სახის ფენომენია - პოსტმოდერნიზმი - და საჭიროა თუ არა საერთოდ მისი განმარტება. იმის გამო, რომ სამყაროში ყველაფერი მუდმივ მოძრაობაშია, ნებისმიერი ტერმინი, როგორც სოციალური და ინდივიდუალური კონსტრუქტი, ასევე განიცდის ცვლილებებს. შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს პოსტმოდერნიზმის შეუზღუდავი რაოდენობის განმარტება. რაც უფრო მეტი იქნება ამგვარი განმარტება, მით უფრო სრულად გამოვლინდება ფენომენის არსი (ეკო 1984: 47).

უფრო რადიკალურია ზოგიერთი მკვლევარის აზრი. ასე, მაგალითად,ხ.ლეტენი და ს.სულეიმენი თვლიან, რომ პოსტმოდერნიზმი, როგორც მხატვრული მოვლენა, არ არსებობს, მასზე შეიძლება საუბარი მხოლოდ მოდერნიზმის პოსტულატების გადაფასების ჭრილში. პოსტმოდერნული რეაქცია კი მათ მიერ გაიაზრება, როგორც მითი (ლეტენი 1986:234; სულეიმენი 1986:257) .

პოსტმოდერნიზმის კლასიკოსი ჟ. ფ. ლიოტარი ფიქრობს, რომ პოსტმოდერნისტული ეპოქა დაიწყო 1950-იანი წლების ბოლოს, როდესაც, ეპისტემიოლოგიური კრიზისისა და განმანათლებელთა პროექტის ჩავარდნის ფონზე, მოხდა მოდერნიზმის ჩანაცვლება პოსტმოდერნიზმით. ლიოტარი ვარაუდობს, რომ პოსტმოდერნი არ არის მოდერნის ანტითეზა, იგი მოდერნსაც მოიცავს და მის ნაწილსაც წარმოადგენს (ლიოტარი 1998; 24)

პოზიციათა არაერთგვაროვნების მიუხედავად, პოსტმოდერნის განსაზღვრა, როგორც თეორეტიკოსების და მკვლევარების უმეტესობა ამტკიცებს, შეიძლება მხოლოდ ''მოდერნიზმთან'' სოციალურ-ისტორიულ კონტექსტში მოხდეს. „პოსტმოდერნიზმი" მათ მიერ აღიქმება, როგორც ამბივალენტური ტერმინი, რომელიც ნიშნავს მოდერნიზმის როგორც გაგრძელებას, ასევე გადალახვას.

ცხადია, რომ პოსტმოდერნიზმის ერთიანი განსაზღვრება ეწინააღმდეგება თვით მის ბუნებას. იგი, როგორც ნონკონფორმიზმის უკიდურესი გამოვლინება, უარყოფს ნებისმიერ ტრადიციას, საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტებს, ნებისმიერ შეხედულებათა სისტემას, რომელსაც სამყაროს ახსნის პრეტენზია აქვს.. პოსტმოდერნისტულ ცნობიერებაში, როგორც ცნობილია, სამყაროს აღიქმება, როგორც ქაოსი, მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს მოკლებული კონგლომერატი. ფრაგმენტარულ და მოუწესრიგებელი სამყაროს წვდომა შეუძლებელია ლოგიკის ტრადიციული ფორმალიზებული აპარატისა და სისტემური ფილოსოფიის მეშვეობით. შესაბამისად გამოდის,რომ არ შეიძლება ერთიან პარადიგმაში (განსაზღვრებაში) გაერთიანდეს ის, რასაც არ გააჩნია ლოგიკური შინაგანი კავშირი და საფუძველი.

მიუხედავად პოსტმოდერნიზმის ყველასთვის მისაღები დეფინიციის არარსებობისა, მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს მის ზოგიერთ მახასიათებელს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლოა აღნიშნული მოვლენის ერთიანი სურათის წარმოდგენა. პოსტმოდერნიზმის საკლასიფიკაციო ნიშნების შედარების შედეგად, (ბრაინინ -პასეკისა (2004) და იჰაბ ჰასანის კლასიფიკაციების (1971) ბაზაზე, რომლებიც სხვადასხვა რაკურსებიდან აფასებენ მოვლენას), შესაძლებელია გამოვყოთ პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი პრინციპები, რომლებიც პრაქტიკაში პირდაპირი თუ ფარული ფორმით წარმოჩნდა. ესენია:

რაციონალური წყობის მოდელიდან ქაოსისა და კრიზისის შეგრძნებაზე გადასვლა. პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსების განმარტებით ჭეშმარიტი სიბრძნე ლოგიკური აზროვნების საპირისპირო მხარეს ძევს;

სამყაროს, როგორც მუდმივად ცვალებადი, ამორფული, პოლივარიანტული რეალობის, აღქმა

(ჟ. ლიოტარი თანამედროვე სამყაროს ქაოტურ, „პოსტმოდერნისტულ მდგომარეობის“ დახასიათებისას, აღნიშნავს, რომ მასობრივი კომუნიკაციის განვითარების შედეგად ხდება რეალური სამყაროს კომპიუტერული ილუზიით ჩანაცვლება) (ლიოტარი 1998);

წინარე კულტურული პარადიგმის უარყოფა, ტრადიციული ფორმების ნგრევა, ესთეტიკური ობიექტის დეკონსტრუქცია, დეკანონიზაცია; სტილისტური ეკლეკტიზმი და ჟანრების აღრევა, მოზაიკურობა, მონტაჟის პრინციპი, კოლაჟურობა ;

გაურკვევლობა, ორაზროვანება, ქაოტურობა, ფრაგმენტულობა, დისკურსის უსრულობა, განუსაზღვრელობა, მასობრივი და ელიტარული კულტურის ნიველირების ტენდენცია, აქსიოლოგიური პლურალიზმი, სიმახინჯის ესთეტიზაცია, პაროდირება და კარნავალიზაცია, როგორც კულტურული დისბალანსის დაძლევის ხერხი; ინტერტექსტუალურობა, ორმაგი კოდირება, სემიოტიკური კოდების მრავალფეროვნება: მეტაფორები, ალუზიები, სიმბოლურობა; ციტატურობა;

პროცესუალობა, კომბინაციურობა, ირონიულობა, კონტრინტერპრეტაცია/ მეორადი პოზიცია, წინარე ეპოქის ტექსტების პრაგმატული გამოყენება და ირონიული ციტირების მაღალი ხარისხი;

კონფორმიზმი, პათოსის უქონლობა, არადეკლარირებული დემოკრატიულობა, ანტიუტოპიურობა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პოსტმოდერნიზმი“ ახალ ცოდნას კი არ ქმნის, არამედ ეჭვს თესავს „ძველი ცოდნის“ ჭეშმარიტებაში.

იმის გამო, რომ მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, პოსტმოდერნიზმი მხოლოდ მოდერნიზმთან დიალექტიკურ კავშირში არსებობს, უპრიანია შედარებისთვის მოვიყვანოთ ამ უკანასკნელის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა ფონზე უფრო გასაგები ხდება პოსტმოდერნისტული კატეგორიების არსი. ესენია: სკანდალურობა, ანტიმეშჩანური პათოსი, წინა პერიოდის ემოციური უარყოფა, პოზიციის პირველადობა, დეკლარირებული ელიტარულობა, იდეალურის პრიმატი მატერიალურზე, მაღალი ხელოვნების რწმენა, ფაქტობრივი კულტურული მემკვიდრეობითობა, მკვეთრი საზღვარი ხელოვნებასა და არახელოვნებას შორის. ბუნებრივია, ეს ჩამონათვალი არც სრულია და არც საბოლოო, მაგრამ გარკვეულად გვიღრმავებს წარმოდგენას პოსტმოდერნიზმის ცნებით კატეგორიებზე.

პოსტმოდერნისტული ტენდენციების შემოსვლა ქართულ კულტურაში (კერძოდ, მედიასივრცეში) თავისებურ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში მოხდა. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში კარგად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა მოდერნისტული მიმართულება და თბილისში თავი მოიყარა (ობიექტური მიზეზების გამო) ავანგარდისტული მიმართულების ბევრმა ცნობილმა ქართველმა თუ უცხოელმა წარმომადგენელმა. 20-იან წლებში დაწყებულ უაღრესად საინტერესო ექსპერიმენტებს ხელი შეუშალა პოლიტიკურმა მოვლენებმა, რის გამოც საქართველოსა და მთლიანად საბჭოთა სახელმწიფოში შემავალ ხალხებს არ მიეცა შესაძლებლობა განევითარებინათ მოდერნიზმი. 20-იანი წლების ავანგარდიზმი, სამწუხაროდ, საკმაოდ სწრაფად ჩანაცვლდა ტოტალიტარული მიდგომით.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მსგავსი პროცესები განვითარდა ჰიტლერულ გერმანიაშიც, რომელმაც, როგორც ცნობილია, ისევე როგორც საბჭოთა კავშირმა, არ გამოიყენა ავანგარდის რევოლუციური პათოსი, ანტიხალხურ ხელოვნებად გამოაცხადა და უბრალოდ აკრძალა, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში ის შესანიშნავ მოკავშირეს წარმოადგენდა.

ჩვენი აზრით, პოსტმოდერნიზმისადმი ამბივალენტური დამოკიდებულებით აიხსნება. საბჭოთა კავშირში პოსტმოდერნიზმი, როგორც ცნობილია, ორგვარი მოდუსით წარმოჩნდა: ერთი მხრივ, ის წარმოადგენდა პროტესტსა და რეაქციას დასავლეთის ხელოვნებაში არსებულ ვითარებაზე, რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან მიმართებაში სრულიად მისაღები იყო საბჭოთა იდეოლოგებისთვის; მეორე მხრივ, ის აღიქმებოდა, როგორც უცხო იდეოლოგიის დანერგვისა და იმპორტის ეფექტიანი საშუალება, რომელიც აქცენტს მასობრივი კულტურის პოპულარიზაციაზე და მისი მეშვეობით შესაბამისი ღირებულებების დანერგვაზე აკეთებდა (ამას კი, როგორც ცნობილია, საბჭოთა იდეოლოგია სერიოზულ საშიშროებად აღიქვამდა).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პოსტმოდერნიზმი წარმოადგენს თავისებურ სიტუაციას, განწყობას, რომელიც დეტერმინირებულია სიტუაციური კონტექსტით,უნდა ვაღიაროთ, რომ პოსტმოდერნისტული რეაქცია, მოვლენის განვითარების პროცესში სხვადასხვა სახეს იღებს (დაწყებული პროტესტის გამოხატვის ფორმიდან დამთავრებული სოციალური კონფორმიზმით).

დასავლური ღირებულებების იმპლემენტაციის პროცესში პოსტსაბჭოთა საქართველოს უნდა

გაეცნობიერებინა ევროპული საზოგადოების მსოფლაღქმა, ე.წ. „პოსტმოდერნული მდგომარეობა“. მართალია, საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა პოსტმოდერნიზმის საფუძვლები (ვინაიდან მისი ალტერნანტი - მოდერნიზმი ჩანასახშივე იყო ჩაკლული), პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ „მტრული იდეოლოგიის“ ესთეტიკურმა პრინციპებმა მაინც შემოაღწია საქართველოში. ეს, პირველ რიგში, იყო გამოწვეული საბჭოთა იდეოლოგიის კრიზისული მდგომარეობით, რომლის შედეგად მოხდა აქსიოლოგიური სისტემის სრული ჩამოშლა. ახალი ღირებულებების ძიებაში ახალგაზრდობამ დასავლურ კულტურას მიაპყრო იმედის თვალი. ამას დაემთხვა 60-იანი წლებიდან დაწყებული იდეოლოგიური წნეხის შესუსტება, იდეოლოგიური პოსტულატების გადასინჯვა, დასავლეთის ქვეყნებთან კონტაქტების გაფართოება და ხელოვნებისა და კულტურის „ეზოპეს ენაზე“ გადასვლა.

როგორც ცნობილია, ერთი და იგივე მოვლენა განვითარების სხვადასხვა სტადიაზე შეიძლება განსხვავებულ მნიშვნელობას იძენდეს. როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ავანგარდისტულმა მიმართულებებმა დასავლეთში თანდათან დაკარგეს ოპოზიციური ხასიათი, რევოლუციური ენერგეტიკა, თავდაპირველი პოლიტიკური აქტუალობა და ესთეტიკური ტრადიციის სახით მხოლოდ მხატვრული შემოქმედების სფეროში შემორჩნენ. ქართული პოსტმოდერნიზმი, რომელიც ქვეყანაში მოგვიანებით, იმპორტული სახით შემოვიდა, მოგვევლინა არა მოდერნიზმის, არამედ ტოტალიტარიზმისა და სოციალისტური რეალიზმის ანტითეზად. სწორედ ამან მიანიჭა ქართულ პოსტმოდერნიზმს ის ოპოზიციური ხასიათი და რევოლუციური ენერგეტიკა, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო გარდამავალი პერიოდის ქართული კულტურისთვის. პოსტმოდერნისტული რეაქცია საქართველოში მნიშვნელოვანი იყო, როგორც პროტესტის გამოხატვის ფორმა და შესაძლებლობა.

მიუხედავად მოვლენის გარშემო არსებული აზრთა არაერთგვაროვნებისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ფილოსოფიისგან, სადაც პოსტმოდერნიზმმა ფილოსოფიური სისტემის სტატუსი ვერ დაიმკვიდრა, ხელოვნებასა და ლიტერატურაში მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა და საკმაოდ მნიშვნელოვანი როლიც ითამაშა. მიუხედავად პოსტმოდერნიზმთან დაკავშირებული კვლევების მრავალფეროვნებისა, საკმაოდ მწირია ნაშრომები, რომლებიც უშუალოდ ეხება მედიასთან მისი დამოკიდებულების საკითხს. სწორედ ეს წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის მიზანს: გავარკვიოთ, თუ რა როლი ითამაშა პოსტმოდერნიზმმა ქართულ მედიასივრცის ჩამოყალიბების პროცესში. ამ მიზნით განვიხილავთ პოსტმოდერნიზმის იმ საკვანძო პრინციპებს, რომლებმაც გარკვეული კვალი დაამჩნიეს თანამედროვე ქართული მედიაცნობიერების ჩამოყალიბების პროცესს.

პოსტმოდერნიზმის ზოგადი მახასიათებლებიდან, რომელიც მის მსოფლგანწყობას გამოხატავს და სხვადასხვა სფეროს მოიცავს, შეიძლება გამოვყოთ ქაოსის შეგრძნება. ქაოსი მედიასისტემაში ცალკეულ ტენდენციაში მჟღავნდება. მასების ესთეტიკურ მოთხოვნილებებზე გადაწყობა, რომლის შედეგადაც ხდება მაღალ და მასობრივ კულტურას შორის სხვაობის ნიველირება და საზღვრების წაშლა, უშუალო ზემოქმედებას ახდენს მედიის ენაზე, ირღვევა ლიტერატურული ნორმები. ლიოტარის სიტყვებით: „ქაოსმა განაპირობა ის, რომ „განადგურდა ესთეტიკური ტაბუს „ნარჩენები“, შეფასების აბსოლუტური წესები და კრიტერიუმები, წაიშალა ზღვარი „ელიტარულსა“ და „მასობრივს“, ,,მაღალსა“ და ,,დაბალს“, „ჩვეულ“ მშვენიერსა და „ჩვეულ“ უსახურს შორის“ (ლიოტარი 1998:11).

ქაოსი, როგორც ნებისმიერი რევოლუციური ეპოქის სიმბოლო, მედიაესთეტიკაშიც აისახა. პოსტმოდერნიზმის დამოკიდებულება ტრადიციული მედიისადმი აქსიოლოგიურ ანარქიაში გამოვლინდა და ირონიულ სპექტრში იქნა გააზრებული. ასე,მაგალითად, მოხდა ტრადიციული და ახალი მედიის დაპირისპირება; სოციალურმა მედიამ ეჭვს ქვეშ დააყენა თვით ჟურნალისტის პროფესიული სტატუსის განსაზღვრის შესაძლებლობა, გამოიკვეთა ახლებური კავშირები მედიასა და აუდიტორიას შორის, მოხდა მედიამომხმარებლის ფრაგმენტაცია და ა.შ.

ქაოსი არა მარტო საზოგადოებრივ პროცესებსა და ზოგადფილოსოფიურ საწყისებს შეეხო, არამედ ტექსტსაც, რომელიც პოსტმოდერნიზმში ინფორმაციის არსებობის ფორმად და ოპერაციულ ერთეულად მიიჩნეოდა. ეს უკანასკნელი ცნობიერების ფიქსაციის ერთადერთ საშუალებად ჩაითვალა (ეკო 1989).

პოსტმოდერნისტული კულტურის უმთავრესი პრინციპი, ე.წ. „ორმაგი კოდირება“, რომელიც ერთი მეგატექსტის სტრუქტურაში განსხვავებული სტილისტიკისა და სემიოტიკური ფაქტურების სიმბიოზს გულისხმობს, ძალზე აქტუალური აღმოჩნდა მედიასივრცეში. ახალმა ტექნოლოგიურმა საშუალებებმა მიმოქცევაში

შემოიტანა ტექსტის კომბინირებული ნაირსახეობა-ჰიპერტექსტი-მედიატექსტის ახალი კონკურენტუნარიანი სემიოტიკური ფაქტურა, რომელიც აერთიანებს აუდიალურ, ვიზუალურ, კინესიკურ ზემოქმედებით შესაძლებლობებს. მიზნობრივი აუდიტორიისთვის ბრძოლაში დაპირისპირებული ბეჭდური (ზოგიერთ წყაროში - „ქაღალდის“), რადიო და ტელეჟურნალისტიკა კიდევ უფრო შეავიწროვა ახალმა ჟურნალისტიკამ, ინტერნეტმედიის სახით, რაც ამ უკანასკნელის პოლიფაქტურულობით, ინტერაქტიულობით, რევერსულობით და თავისუფლების მაღალი ხარისხით იყო განპირობებული. ახალმა მედიამ გააფართოვა მედიატექსტების ჟანრობრივი მხარე და ელექტრონული კომუნიკაციის ახალი ფორმები შემოიტანა („ჩათი“, „sms-ი“, ბლოგის მასალაც დღეს სოციალურ მედიაში განიხილება როგორც მედიატექსტი!).

დეკონსტრუქციის მეთოდის მეშვეობით ირღვევა ქვეწყობა - ცენტრალური/ მარგინალური და სტრუქტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს უტოლდება და ანაცვლებს, რაც სტრუქტურის დინამიკასა და მოქნილობას განაპირობებს. პოსმოდერნისტული მედიის ადრესატი იმთავითვე „დეცენტრირებული", გახლეჩილია და მთლიანობას მოკლებულია.

პოსტმოდერნისტულ ეპოქაში წაიშალა ცენტრისა და პერიფერიის ოპოზიცია, რაც წარმოუდგენელი იყო საბჭოთა პერიოდში. „გლობალური სოფლის გავლენით“ შეიცვალა საინფორმაციო სივრცის სტრუქტურა და მასშტაბები. ტერმინი „რეგიონალური პრესა“ თანამედროვე გამოკვლევებში ხშირად მთლიანად ევროპას, ავსტრალიას, ან სამხრეთ ამერიკას მოიცავს, რაც საქართველოში მიღებულ ტრადიციულ ოპოზიციას - „ცენტრალური“ და „რეგიონალური“ პრესა მნიშვნელობას უკარგავს. საინფორმაციო სივრცის სწრაფი დინამიკა გარკვეულ დისპროპორციას ქმნის ინფორმაციულ საზოგადოების მოთხოვნილებებსა და მედიის შესაძლებლობებს შორის. აშკარაა, რომ ეს წინააღმდეგობები გავლენას ახდენს ინფორმაციული სივრცის განვითარების პრინციპებსა და ბუნებაზე. ბრძოლამ საინფორმაციო სივრცისათვის გლობალური მასშტაბები მიიღო. საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, აქტიურად შემოდიან მედიაჰოლდინგები და საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც მნიშვნელოვნად ავიწროებენ ადგილობრივ მედიასივრცეებს. პატარა ქვეყნები ნელ-ნელა კარგავენ ინფორმაციულ დამოუკიდებლობას. ამასთან დაკავშირებით სპეციალური ტერმინიც კი წარმოიშვა „მედია იმპერიალიზმი“.

კიდევ ერთ პოსმოდერნისტულ კატეგორიას – ჟ. ბოდრიარის სიმულაკრის კონცეფციას – კარგად მოერგო თანამედროვე ფეიქ-ნიუსების ფილოსოფია. ისევე როგორც ფეიქი, სიმულაკრი მოდელირებულ რეალობას, არარსებულ „ორიგინალთა“ იდენტურ ასლებს ქმნის. „სიმულაკრი“ ისევე როგორც ფეიკი, ისეთი აღმნიშვნელია, რომელიც არარსებული მოჩვენებით „ორიგინალთა“ იდენტურ ასლებს უკავშირდება. ორივე შემთხვევაში მოიაზრება სახე, რომელიც შთანთქავს რეალობას, თუმცა ფეიქის შემთხვევაში ამას მხატვრული კი არა, არამედ დესტრუქციული ფუნქცია აქვს. სიმულაკრის ფენომენს ჟ. დერიდას მიერ ჩამოყალიბებული ნიშნის პირველადობის თეზისი განმარტავს, რომლის თანახმად, ნებისმიერი ნიშანი არის აღმნიშვნელი, მაგრამ არასოდეს ,,თავად საგანი“, როგორიც ის ჩვენს წინაშე წარმოდგება (ბოდრიარი - „სიმბოლური გაცვლა და სიკვდილი“ (1976). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პოსტმოდერნისტული ,,ახალი ფილოსოფია“ უარყოფს ობიექტურობას და სიზუსტეს და ისეთი ცნებები, „როგორიც ,,სამართლიანობა“ ან ,,ჭეშმარიტება“, შინაარსისგან დაცლილად ითვლება, უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი მიდგომა ფეიქის ავტორს რეალურ პასუხისმგებლობას არიდებს.

პოსტმოდერნიზმის ორგვარმა ადრესაციამ, მასაზეც და ელიტურ საზოგადოებაზეც ორიენტაციამ მას არა მარტო პათოსი დაუკარგა, არამედ გაურკვეველი გახადა მიზნობრივი აუდიტორიის ტიპიც. ამან ერთგვარი პრობლემები შეუქმნა თანამედროვე მედიას, რომელსაც დღეს სულ უფრო ხშირად იყენებენ ზემოქმედებითი ფუნქციით, განსაკუთრებით პოლიტიკოსები. მოხდა, ერთი მხრივ, მედიის სპეციფიკაცია (მიზნობრივ აუდიტორიის დისემინაცია) და, მეორე მხრივ, ინტერაქციული მეთოდების დანერგვა, (ეს განსაკუთრებით კარგად გაითვალისწინა სოციალურმა მედიამ); ტექნოლოგიური სიახლით გამოწვეულმა მიზნობრივი აუდიტორიის შეცვლამ განაპირობა ჟურნალისტის როლის ტრანსფორმაცია. ახალმა მედიამ, ფაქტობრივად, წაშალა ზღვარი პროფესიონალსა და არაპროფესიონალს შორის. ნებისმიერი პიროვნება, ვინც სოციალურ ქსელებში წერს, უკვე ჟურნალისტად მიიჩნევს თავს.

პოსტმოდერნისტული ქაოსით გამოწვეულ გაურკვევლობასა და ორაზროვანებას მასმედია ემოციურ რეაქციაზე გათვლილ მედიატექსტებში

იყენებს. ასე, მაგალითად, სარეკლამო მედიატექსტები, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მედიაპროდუქციაში, პროვოცირებას უკეთებენ ადრესატს და შესაბამის ინტერესს აღუძრავენ. გარდა კომერციული ფაქტორისა, რაც აისახა რეკლამური ფუნქციის აქტივიზაციაში, იკვეთება ისთი ტენდენცია, როგორიცაა მედიის გავლენის გავ-რცელების მცდელობა ადამიანის საქმიანობის განსხვავებულ სფეროებზე (პოლიტიკაზე, რელიგიაზე და სხვ.). გაურკვევლობისა და ორაზროვანების სიტუაციებთან დაკავშირებული განმარტებების ძიება, ადრესატს განსაკუთრებით პოლიტიკურ კომუნიკაციაში, ძალაუნებრივად აქცევს ინფორმაციული ზემოქმედების ველში. სარეკლამო და პოლიტიკური მედიადისკურსი თითქმის სრულ ანალოგიას ამჟღავნებენ. განსხვავება იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში მომხმარებელს არწმუნებენ სამომხმარებლო პროდუქტის ღირსებებში, ხოლო მეორეში - პოლიტიკური პოზიციების (იდეოლოგიური პროდუქტის) სასიცოცხლო მნიშვნელობაში.

პოსტმოდერნისტული ეპოქისთვის დამახასიათებელია „კლიპური“ აზროვნება, რომელსაც ახასიათებს შთაბეჭდილებათა ცვლის სისწრაფე, შინაარსისა და სიღრმის დეზაქტუალიზაცია. ეს თავისებურ გამოხატულებას პოულობს პოსტმოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვან კატეგორიაში - კარნავალიზაციის ხერხში. როგორც ცნობილია, რომ მასების ორგანიზაციის ტრადიციული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხერხი სანახაობაში ჩართვა იყო. თანამედროვე ტელემედიამ კარგად გამოიყენა უახლესი ტექნოლოგიური საშუალებები და განავითარა ინტერაქციული გასართობი ჟანრები: ტელეშოუ, ვიქტორინები, კონკურსები, კონცერტები, სპორტული სანახაობები და სხვა. კარნავალიზაციის ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ მიტინგიც, რომელიც უხვად შეიცავს შიუს ელემენტებს და რომელსაც პოლიტიკოსები საპროტესტოსთან ერთად დამრაზმველ ფუნქციასაც ანიჭებენ.

ინფორმაციის დამაჯერებლობის გაზრდის მიზნით ჟურნალისტები ხშირად იყენებენ დემონსტრირების პრინციპს – მოქმედების ადგილიდან ჩართვას. მოვლენებში უშუალო ჩართულობა მნიშვნელოვნად ზრდის ზემოქმედების ეფექტს.

პოსტმოდერნის ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია მზა ფორმების გამოყენება. შტამპები და სტერეოტიპები დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც ტრადიციული მედიის ეპოქაში, ვინაიდან ძალზე მოსახერხებელია ვინმეს, ან რაიმეს დისკრედიტაციისთვის.

მედიაში განსაკუთრებით პოპულარულია ე.წ. „იარლიყების მიწებება“, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდები საქართველოში ჯერაც ვერ მოიძებნა. მზა ფორმების სპეციფიკურ ნაირსახეობას სიმბოლო წარმოადგენს, რომელიც თავისებურ ციტატად ითვლება და ტოტალური იდეოლოგიების მითოლოგიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს წარმოადგენს და რომელსაც ზემოქმედების უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

ჟურნალისტები მუდმივად ცაიტნოტის მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინაიდან მათ მიერ მომზადებულმამასალამძალზესწრაფად,შესაძლოა, წუთებშიც კი დაკარგოს აქტუალობა. მხატვრულ ფორმაზე ფიქრისთვის ჟურნალისტს დრო აღარ რჩება. ამიტომ ხშირია შტამპებისა და კლიშეების გამოყენება. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა სოციალურ მედიაში, რომელშიც ლიტერატურული ნორმა გერის მდგომარეობაშია. სოციალური ქაოსი ენობრივ ქაოსში გადავიდა. დარღვეულია სტილისტური კანონები, ფაქტობრივად გაქრა მაღალი სტილი, დროის დამახასიათებელი სიძულვილის ენა შესაბამის დაბალი სტილის (მათ შორის სკაბრეზულის) გამოყენებას უწყობს ხელს. ჩნდება საშიშროება, რომ ენის ნორმატიული ანარქია შესაძლოა ცნობიერების ანარქიაში გადავიდეს.

დასკვნა

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები „მოულოდნელად" აღმოჩნდნენ „პოსტმოდერნულ მდგომარეობაში", იმ ტიპის მსოფლმხედველობის პირისპირ, რომელსაც დასავლეთის წამყვანი ქვეყნები ამკვიდრებდნენ.

მასობრივი საზოგადოება მისთვის შესაფერის „მასობრივ ესთეტიკურ გამოცდილებას წარმოშობს“, ხოლო მედია ცდილობს შექმნილ მდგომარეობაში გამოსავალი მოიძიოს და დროის მოთხოვნებს აუწყოს ფეხი.

კულტურული სიმბოლოებისა და ღირებულებების სისტემების მკვეთრი ცვლილების გამო ჩვენს საზოგადოებას უხდება კულტურული რევოლუციის ყველა საშინელებისა და ახალი კულტურის დამკვიდრების სიძნელეების გადატანა. ჩნდება კითხვა: რამდენად ლეგიტიმურია საუბარი იმ ქვეყნების პოსტმოდერნიზმის სივრცეში შესვლაზე, რომლებიც არ მიეკუთვნებიან დასავლეთის სამყაროს სახელმწიფოებს?.

გლობალური პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელების იდეოლოგიური უზრუნველყოფა მნიშვნელოვნადაა გართულებული პოლიტიკური

სიტუაციის დაუბალანსებლობით, როდესაც, ხშირ შემთხვევაში, პარტიული და კომერციული ინტერესები ქვეყნის ინტერესებზე მაღლა იდგა. ეს პოსტმოდერნისტული ქაოსი პირდაპირ აისახება მედიაზე, რომელიც, ფაქტობრივად, პარტიულ - კომერციულ სტრუქტურად იქცა და მედიის თავისუფლება მედიაკონფორმიზმით ჩაანაცვლა.

მკვლევართა დიდი ნაწილი პოსტმოდერნიზმს ახალი კულტურული ეპოქის გარდამავალ ეტაპად მიიჩნევს, ვინაიდან, როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, სტაბილური კულტურა შეუძლებელია არსებობდეს გარკვეული ღირებულებათა სისტემის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული ნ. რა მომავალი აქვს ბეჭდურ მედიას ციფრულ სამყაროში. რადიო „თავისუფლება“ ,იანვარი 15,2016.https://www. radiotavisupleba. ge/a/bechduri-media/27490046.html).
2. დეფორი მელვინ, ევერეტ დენისი, ,,მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის“, გამომცემლობა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა, 2009.
3. დუმბაძე მ. გუნაშვილი. საქართველოში თავისუფალი პრესის განვითარების ზოგიერთი ასპექტი. გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში. თბილისი, 2003.
4. კინწურაშვილი თ. (რედ.) ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები. თბილისი, 2003.
5. კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ. ქართული მედიის 15 წლიანი მარათონი. საგამომცემლო სახლი “სახე(ლ)ების” ყოველწლიური გამოცემა, თბილისი, 2007).
6. მახარაძე ი. თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტები“ (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2014.
7. ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები.ბროშურა გამოცემულია ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. თავისუფლების ინსტიტუტი, 2003.
8. რეპკოვა ტ. ახალი დროება: „პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარება დემოკრატიის პირობებში”, თბილისი, 2006.
9. შოშიტაშვილი ნინო. ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტრევოლუციურ (2003-2009) საქართველოში. თბილისი, 2010.
10. Chen, G. M., & Zhang, K. New media and cultural identity in the global society. In R. Taiwo(Ed.), Handbook of Research on Discourse Behavior and Digital Communication: Language Structures and Social Interaction. Hershey, PA: Idea Group Inc. 2010. – P.801-815.
11. Freedom of the press. Country report: Georgia. The Freedom House, 2007. Retrieved from: http: //www. freedomhouse.org/template.cfm?=251& country= 7881&year=2007.
12. Olson, S. R., & Pollard, T. The muse pixelipe: Digitalization and media literacy education.2004.
13. Potter W.J. (2014). Media Literacy. L.A.: Sage, 2014.
14. Qian, H., & Scott, C. R. Anonymity and selfdisclosure on weblogs. Journal of Computer-Mediated Communication, 12(4), 2007.

Georgia in the global transforming socio-political reality and media development vector

Temur Jagodnishvili, professor
Georgian Technical University

Davit Gotsiridze, professor
Tbilisi State University

Summary

The task of scientific study of the functioning of the media is due to the role that the media plays in the information age. The recent processes required a new understanding of the media phenomenon, since the changes affected the entire structure of its functioning: starting from the transformation of the journalist's status and ending with the specification of the media addressee - with fundamental changes in the semiotic textures of communication codes. This highlighted the necessity to modernize the training process at journalism and mass communication faculties, resulting in new structural alterations in program curricula. So, for example, such courses as: internet media, convergent journalism, digital mediaology and others appeared in the programs of European universities. By the way, these issues are taken into account in the new (including English language) programs prepared at Stu. Another trend, which is characteristic of European universities and is reflected in the programs of European universities, is the tendency to separate the fields of journalism, as a result of which, based on narrow specialization, journalists receive separate qualifications. So, for example, sports, media-biology, military, technical journalists receive different diplomas.

Mass media, as a specific tool of public relations, is causally connected with political, legal, moral and axiological institutions. Therefore, we should consider the current processes in the media without analyzing the transformation of the political and social system, as a result of which the society's information provision system underwent a transformation. In addition to universal processes (changing the role score of mass communication participants, establishing a functioning system of communication channels, transitioning to new technological standards), in the post-Soviet countries, and in particular in Georgia, the hierarchical model of communication was dismantled, the interactive field of contact cultures expanded, which no longer depends on territorial borders, itself changed. The structure of the society, the time factor was understood in a new way, which, first of all, was reflected in the efficiency and speed of information movement.

The processes taking place in the West: globalization, planetaryization of the information sphere, technological revolution in the 90s of the twentieth century also affected the post-Soviet countries, since as a result of the geopolitical cataclysms of this period, new countries (including Georgia) entered the structure of the "global village". As a result of geopolitical cataclysms, transformation of the political system and many problems caused by the scientific and cultural revolution, the post-Soviet countries found themselves in a new socio-political paradigm, which is called the "Information Age".

The present paper, which is published as separate parts, refers to the transitional period of Georgian consciousness, the transition from the post-Soviet reality to the global information world, and the beginning of the formation and strengthening of the country's cultural-state image in the structure of the "global village".

In this period, when there is an expansion of the contact field of cultures included in the structure of the "global village" and the process of implementation of new cultures in the background of the tendency to break informational boundaries in the world. It is significant that Georgia appears on the international arena with a politically independent status and moves to the regime of partnership relations in line with the new reality, including countries that the general public had no idea about in the recent past. The need to understand the communicative space in a new socio-cultural paradigm and the expansion of the contact field of communication qualitatively changes the information provision model of the society, which is extremely interesting from the point of view of studying the theoretical foundations of mass media functioning.

Key words: postmodernism, globalization, dominant ideology, media communication.

პოპულარული ჟურნალები ესპანეთში

ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია იმ ჟურნალების შესახებ, რომლებიც ესპანეთში პოპულარობით სარგებლობს და მედიამომხმარებლის ნაკლებობას არ განიცდის; ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონულმა მაუწყებლობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ბეჭდურ მედიას, რომელიც მთელ მსოფლიოში რთული ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე დგას და არსებობის შესანარჩუნებლად არცთუ მარტივი წინააღმდეგობების დაძლევა უწევს, ესპანეთი ის ქვეყანაა, სადაც ბეჭდურ მედიას მეტ-ნაკლებად ჰყავს მუდმივი მკითხველი. ამას ჟურნალისტთა დიდი არმია მრავალფეროვანი, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებზე მორგებული მედიაპროდუქტის შექმნითა და მკითხველთა მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინებით ახერხებს; აღნიშნულია, რომ, მართალია, ჟურნალები ესპანეთში მრავალფეროვანი, თემატურად განსხვავებული და რაოდენობრივად შთამბეჭდავია, მაგრამ მათი ტირაჟი დიდი არ არის, მათი უმრავლესობა კვირაში ან თვეში ერთხელ გამოდის. სტატიაში განხილულია ესპანეთში ყველაზე კითხვადი და პოპულარული ჟურნალები: სატირული, ბულვარული, სამედიცინო, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სამეცნიერო, ლიტერატურული, ქვეყნის მუსიკალური ცხოვრების ამსახველი, კინემატოგრაფიის საკითხების მიმომხილველი და ა.შ. ესპანელ მკითხველს აინტერესებს ის რჩევები და რეკომენდაციები, რომლებსაც ჟურნალების ფურცლებიდან ეცნობიან და საჭიროებისამებრ იყენებენ კიდეც. შეიძლება ითქვას, რომ მძაფრ კონკურენციულ პირობებში ესპანური ჟურნალები ახერხებენ მედიასივრცეში საკუთარი ადგილის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: ჟურნალების მახასიათებლები და თავისებურებანი; პოპულარობის მიზეზები; პასუხისმგებლობა და ვალდებულება; კონკურენცია; ახალი მოთხოვნები და გამოწვევები; ხელმისაწვდომობა; ტენდენციები.

შესავალი

ელექტრონულმა მაუწყებლობამ რომ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ბეჭდურ მედიას, აშკარაა. ჟურნალ-გაზეთებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმისთვის, რომ თავი გადაირჩინონ, მიაგნონ ახალ გზებს მკითხველის დასაინტერესებლად და მისაზიდად, შეეცადონ მრავალფეროვანი, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებზე მორგებული მედიაპროდუქტი შესთავაზონ მედიამომხმარებელს. ფაქტია, რომ ბეჭდური მედია მთელ მსოფლიოში მართლაც რთული ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე დგას და არცთუ მარტივი წინააღმდეგობების დაძლევა უწევს არსებობისთვის. ესპანეთი ის ქვეყანაა, სადაც ბეჭდურ მედიას მეტ-ნაკლებად ჰყავს თავისი მუდმივი მკითხველი, რომელთა შესანარჩუნებლად ჟურნალისტთა დიდი არმია თავს არ ზოგავს და ცდილობს მაქსიმალურად დაკმაყოფილოს მათი მოთხოვნები. ამჯერად იმ ჟურნალებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც ესპანეთში პოპულარობით სარგებლობს.

ძირითადი ნაწილი

ესპანურ ჟურნალებს შორის გამოირჩევა სატირული ყოველკვირეული ჟურნალი „Jueves" („ხუთშაბათი"), რომელიც დაარსდა 1977 წელს, გამოდის ბარსელონაში 72-80 გვერდის მოცულობით. მისი სრული სახელწოდებაც კი „ El jueves, la revista gue sale los Mercoles" („ხუთშაბათი, ჟურნალი, რომელიც გამოდის ოთხშაბათობით") იუმორისტული ელფერის მატარებელია. ჟურნალის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მძაფრი კრიტიკით გაჟღენთილი სტატიები და სატირული კუთხით დანახული მოვლენების ანალიზი, რომელიც მმართველი ძალების უკმაყოფილებას და შესაბამის რეაქციას იწვევს, მაგ. 2007 წლის 20 ივლისს ჟურნალის მთელი ტირაჟი პოლიციის მიერ იქნა განადგურებული სამეფო ოჯახის შეურაცხყოფის, ასტურიის პრინცის ფილიპესა და მისი მეუღლის კარიკატურის გამო. ჟურნალმა იუმორისტულად გააშუქა მთავრობის ინიციატივა დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად ყოველ ახალშობილზე ან ნაშვილებ ბავშვზე ჯილდოს დაწესებასთან, ორი ათას ხუთასი ევროს გადახდასთან დაკავშირებით. პრინცი მიმართავს ორსულ თანამეცხედრეს „არასოდეს მიგვრძნია ასე მძაფრად, რას ნიშნავს იმუშაო და გამოიმუშაო". ამ შარჟის გამო ჟურნალის ორი თანამშრომელი 300 ევროთი დაჯარიმდა. მოსამართლემ კარიკატურა პიროვნების პატივისა და ღირსების შემბღალვე-

ლად ჩათვალა და თანაც მიიჩნია, რომ არ შეიცავდა მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას. პრინცი ფილიპე და მისი მეუღლე ლეტიცია სხვა დროსაც გამხდარან ჟურნალისტთა თავდასხმის ობიექტი. მათ ქორწილთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნდა ცნობა, რომ გრანდიოზული საზეიმო ღონისძიება დაფინანსდა სახელმწიფო ხაზინიდან, გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე.

ესპანეთში პოპულარულია ჟურნალები, რომლებიც კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს აშუქებს. მაგ. ჟურნალი „Fotogramas", რომელიც გამოდის თვეში ერთხელ და კინემატოგრაფიის საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. მისმა პირველმა ნომერმა 1946 წლის 15 ნოემბერს იხილა დღის სინათლე. ჟურნალის დამაარსებლად ითვლება ბარსელონის ერთ-ერთი კინოთეატრის მფლობელი მარელანდ ანტონიო ნადალე. ჟურნალმა დააარსა პრემია სახელწოდებით „Fotogramas de plata", რომელიც კინემატოგრაფიის დარგში მოღვაწე ხელოვანებს გადაეცემა. ჟურნალის ფასი 3 ევროს შეადგენს, შემოკლებული ფორმატით კი მისი შეძენა მსურველებს 1,90 ევროდ შეუძლიათ.

ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებას მიმოიხილავს ჟურნალი „Musica", რომელიც ბარსელონის განათლების სამინისტროსთან არსებული მუსიკალური საბჭოს ბეჭდვითი ორგანოა. საბჭოში შედიან ესპანეთის ცნობილი კომპოზიტორები და მუსიკალური მოღვაწეები. ესპანელი ხალხის ინტერესი მუსიკალური ხელოვნების მიმართ დიდია, შესაბამისად, ჟურნალს მკითხველი არ აკლია, სიამოვნებით ეცნობიან სტატიებს ესპანელ კომპოზიტორთა შემოქმედების, ნაციონალური ფოლკლორის, კამერული მუსიკის, მუსიკალური გამომცემლობების და ა.შ. შესახებ. ჟურნალის პირველივე ნომერი საინტერესო გამოდგა. სწორედ აქ გამოქვეყნდა მინისტრთა საბჭოს 1937 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების ამსახველი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის შექმნას 115 მუსიკოსის შემადგენლობით, განისაზღვრა ამ ახალი მუსიკალური კოლექტივის ამოცანები, ფუნქცია, მოვალეობები და უფლებები.

ესპანეთში პოპულარობით სარგებლობს სამედიცინო ჟურნალი „Forbes". მადრიდსა და ბარსელონაში განლაგებულ ქვეყნის ყველაზე თანამედროვე და ინოვაციურ ჰოსპიტლებში საკმაოდ კვალიფიციური ექიმები მუშაობენ და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. სწორედ მათ საქმიანობას ეძღვნება ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები; ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ქვეყანას შეუძლია იამაყოს ჯანდაცვის განვითარებული სისტემით. ჟურნალში რეგულარულად ქვეყნდება ესპანეთის 100 საუკეთესო ექიმის სია. ბუნებრივია, ჟურნალის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობა სიახლეებს მედიცინის სფეროში.

მართლაც საინტერესო და საგულისყუროა ჟურნალები, რომლებიც ფილოსოფიური საკითხების გაშუქებით და მეცნიერების ამ სფეროს ტენდენციების კვლევით არის დაკავებული. ზოგადად, მსგავსი პროფილის ჟურნალების რაოდენობა ყოველ 15-20 წელში ორმაგდება, ფართოვდება მისი გეოგრაფიული არეალი და იკვეთება სპეციალიზაციის ტენდენცია. ფილოსოფიური ჟურნალი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის სპეციფიკური ფორმა, გამოჩნდა მე-17 საუკუნის ბოლოს, იბეჭდებოდა ფილოსოფიური შინაარსის წერილები, ფილოსოფიის თემაზე დაწერილი წიგნების რეცენზიები. საკუთრივ ფილოსოფიური ჟურნალი კი, სრულყოფილი და სპეციფიკას მორგებული, მე-18 საუკუნეში შეიქმნა გერმანიასა და შემდეგ საფრანგეთში. ესპანურ ენაზე გამომავალ ამ ტიპის ჟურნალებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „Analisis Filosofico", რომელიც გამოდის არგენტინაში 1981 წლიდან, რომელიც არის არგენტინის ანალიტიკური ფილოსოფიის საზოგადოების (SAPAF) სპეციალიზებული გამოცემა და ეძღვნება ფილისოფიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. ჟურნალი გამიზნულია არა მარტო ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის, არამედ დაინტერესებულ პირთათვისაც. აღსანიშნავია, რომ აქ დაბეჭდილი ყველა სტატია გადის რეცენზირებას. ჟურნალი გამოდის წელიწადში ორჯერ - მაისსა და ნოემბერში როგორც ფიზიკური ვერსიით, ისე ელექტრონული სახით. რადგან ინტერესი ამ ჟურნალის მიმართ საკმაოდ დიდია, ინგლისურ ენაზეც იბეჭდება.

ქვეყნის ყველაზე დიდი უნივერსიტეტის მიერ, რომელიც მდებარეობს მადრიდში და ეწოდება „Universidad Complutense de Madrid", 1998 წლიდან გამოიცემა ჟურნალი, რომელიც ფსიქოლოგიური საკითხების გაშუქებით არის დაინტერესებული და ძირითადად განკუთვნილია ფსიქოლოგიისა და სამედიცინო სფეროს სპეციალისტებისთვის. არცთუ მცირეა ამ ჟურნალის მკითხველთა რაოდენობა, რომელშიც მოიაზრებიან ფსიქოლოგები, პედაგოგები, ფიზიოლოგები, ბიოლოგები, ექიმები, მეცნიერ-მკვლევარები, სტუდენტები. ჟურნალის მიზანია დაინტერესებულ პირებს, თანამედროვე სამეცნიერო საზოგადოებას გააცნოს მნიშვნელოვანი

ემპირიული კვლევები და მეთოდოლოგიური ნაშრომები. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის ეს გამოცემა არ იყოფა რუბრიკებად, თეორიული ხასიათის ნაშრომები არ მიიღება დასაბეჭდად. ჟურნალი გამოდის წელიწადში ორჯერ, ინგლისურ ენაზე. მთავარი რედაქტორია მადრიდის უნივერსიტეტის პროფესორი ხავიერ ბანდრესი, რედკოლეგიაში კი შედის 20 მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

საკმაოდ საინტერესო და არაორდინალურია ჟურნალები, რომლებიც ხელსაქმეს, კერძოდ კი ქსოვას ეძღვნება. ზოგადად, ამ ტიპის გამოცემები ბევრი არ არის. ესპანეთის დედაქალაქში გამომავალი ამგვარი ჟურნალები ძირითადად არის გამომცემლობის „Muestras y Motivos" პროდუქტი. მკითხველს აძლევენ იმის გარანტიას, რომ თუკი მიჰყვებიან რჩევებს და მითითებებს, შეძლებენ სრულყონ ქსოვის ტექნიკა, დამოუკიდებლად შექმნან სასურველი ნაწარმი, თუნდაც მოდური პლედი ან გადასაფარებელი, განახორციელონ ორიგინალური პროექტები, ეზიარონ ნამდვილ სილამაზეს.

როდესაც ესპანეთში პოპულარულ ჟურნალებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ „Revista de Occidentes", რომელიც მეცნიერებასა, კულტურასა და ლიტერატურაზეა ორიენტირებული. დაარსდა 1923 წელს, 1936 წლამდე გამოდიოდა ხოსე ორტეგა გასეტის ხელმძღვანელობით. 1962 წელს განახლდა ხოსე ორტეგა გასეტის ვაჟისა და ქალიშვილის მიერ. წელიწადში გამოდის 11 ნომერი. ერთი რამ უნდა აღინიშნოს, ესპანეთში ბევრი ჟურნალი ვერ უძლებდა კონკურენციას და წყვეტდა არსებობას. მკითხველთა რაოდენობის შემცირების გამო ფინანსური სიძნელეები იჩენდა თავს და მდგომარეობის გამოსწორება ვეღარ ხერხდებოდა. მაგალითად, ასეთი ბედი ეწია ყოველთვიურ ჟურნალს „Revista oficial Nintendo", რომლის სპეციალიზაცია კომპიუტერული თამაშები იყო. გამოსცემდა „Axcel Springer Espana". ჟურნალი დაარსდა 1992 წლის დეკემბერში, გამოდიოდა მხოლოდ ფიზიკურ ფორმატში, შეწყვიტა არსებობა 2018 წელს მფლობელის გადაწყვეტილებით.

კიდევ ერთ ჟურნალზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს გახლავთ „Argia", რომელიც კვირაში ერთხელ გამოდის ბასკურ ენაზე, დაარსდა 1919 წელს, რედაქცია მდებარეობს ლა-სარტუ-ორიაში. ჟურნალის სრული სახელწოდება იყო „Zeruko Argia" („ზეციური ნათელი"). სამოქალაქო ომის პერიოდში, 1936-1963 წლებში, ჟურნალი არ გამოდიოდა, რადგან ფრანსისკო ფრანკოს რეჟიმის დროს აკრძალული იყო პუბლიკაციები ბასკურ ენაზე.

ბულვარული ბეჭდური მედიაც საკმაოდ პოპულარულია ესპანეთში. იქ ე.წ. ყვითელ პრესას უწოდებენ „Revistas del corazon" და „Prensa rosa" („გულის ჟურნალები" და „ვარდის პრესა"). ამ ტიპის ჟურნალებიდან აღსანიშნავია „Pronto" („სწრაფი"), რომელიც მხოლოდ ერთი ევრო ღირს (ალბათ, ესეც განაპირობებს იმას, რომ მკითხველი არ აკლია). გამოდის კვირაში ერთხელ. დღეისთვის მის თითოეულ ნომერს კითხულობს 3 მილიონზე მეტი ადამიანი. მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს სიახლეებს მოდის სფეროში, ჯანმრთელობისა და სილამაზის შენარჩუნების რეცეპტებს, ცნობილი პერსონების ბიოგრაფიებს, იურისტთა რეკომენდაციებს, რჩევებს პოპულარული სერიიდან „როგორ გახდე ბედნიერი". ამ ჟურნალის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად ითვლება ყოველკვირეული „Hola" („გამარჯობა"), რომლის მკითხველთა რიცხვი ორ მილიონზე მეტია, გამოდის 1944 წლიდან, აქვს დამოუკიდებელი რედაქციები ლათინური ამერიკის ქვეყნებში, კანადაში, რუსეთში. ჟურნალის ესპანურ ვერსიაში ვხვდებით რუბრიკებს: „სილამაზე", „მოდა", „ჯანმრთელობა", „ჰოროსკოპი" და სხვა. ესპანელ მკითხველთათვის საყვარელი ჟურნალებია ასევე „Diez minutes" და "Semana" („ათი წუთი" და „კვირა"). მკითხველის ინტერესს იწვევს სიახლეები შოუბიზნესის ცნობილ წარმომადგენელთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, გასართობი და თავშესაქცევი ამბები; რჩევები, მაგ. როგორ უნდა მოამზადონ გემრიელი სადილი, ან რა უნდა მოიქმედონ, რომ უკეთ გამოიყურებოდნენ.

დასკვნა

ჟურნალები ესპანეთში თემატურად განსხვავებული და რაოდენობრივად შთამბეჭდავია, მაგრამ მათი ტირაჟი დიდი არ არის. მათი უმრავლესობა გამოდის კვირაში ან თვეში ერთხელ. მართალია, ესპანეთში არის ახალი ამბების და პოლიტიკური ჟურნალები, მაგრამ ბევრად მეტია ისინი, რომლებიც ეძღვნება გართობას, სპორტს, ხელოვნების სფეროს. პოპულარობით სარგებლობს ქალებისთვის განკუთვნილი ჟურნალები, სადაც „სუსტი სქესის" წარმომადგენლებისთვის საინტერესო რუბრიკებია, შუქდება მოდის ტენდენციები, კულინარია; მოწოდებულია ინფორმაცია თავის მოვლის ახალი საშუალებების, თანამედროვე საოჯახო აქსესუარების და ა.შ. შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მძაფრ კონკურენციულ პირობებში ესპანური ჟურნალები ასე თუ ისე ახერხებენ მედიასივრცეში თავიანთი ადგილის შენარჩუნებას, ცდილობენ არ ჩამორჩნენ ახალ მოთხოვნებს და გამოწვევებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://ajournal.info
2. https:/Azertag.az >xeber>z Humal
3. https: //alphapedia.ru>
4. https://pandia ru>
5. https://ru.wikipedia.org.>wiki>

Popular magazines in Spain

Ketevan Giorgobiani, associate professor
Georgian Technical University

Summary

The article discusses magazines that are popular in Spain and do not suffer from a lack of media users; The fact is emphasized that although electronic broadcasting has created serious problems for the print media, which is facing difficult tasks and challenges all over the world and has to overcome difficult obstacles to maintain its existence, Spain is the country where the print media has a more or less consistent readership. It is noted that although magazines in Spain are diverse, thematically different, and quantitatively impressive, their circulation is not large; the majority of them are published once a week or once a month. A large army of journalists is able to accomplish this by producing a diverse media product tailored to the interests of different layers of society and taking the readers' requirements into consideration to the greatest extent possible. The article discusses the most readable and popular magazines in Spain: satirical, tabloid, medical, philosophical, psychological, scientific, literary, reflecting the musical life of the country, reviewing issues of cinematography, etc. Spanish readers are interested in the tips and recommendations that they get to know from the pages of magazines and even use them as needed. It can be said that in the intense competitive conditions, Spanish magazines manage to keep their place in the media space.

Key words: characteristics and features of magazines; Reasons for popularity; responsibility and obligation; competition; new requirements and challenges; availability; trends.

ფაქტი თუ მოსაზრება?
როგორ მივაწოდოთ მკითხველს ფაქტი და მოსაზრება

რუსუდან ლორთქიფანიძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

იზოლდა რიკაძე, დოქტორანტი
საქარეთველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში საუბარია ფაქტისა და მოსაზრების რაობაზე, ასევე მათი გამიჯვნის ფორმებსა და ხერხებზე თანამედროვე ბეჭდურ მედიაში. სტატიაში მოხმობილია არაერთი მედიამკვლევრისა და პრაქტიკოსი ჟურნალისტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიეწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია. უნდა იყოს ის ფაქტების სრული სიზუსტით აღწერა, თუ მიწოდებულ ინფორმაციას მოსაზრება და მსჯელობაც უნდა ახლდეს.

არაერთი მედიაკრიტიკოსი მკაფიოდ აყალიბებს პოზიციას, რომ ჟურნალისტის მოსაზრება მის ნაშრომში არ უნდა ისახებოდეს, მეორე ასევე მრავალრიცხოვანი არმია პრაქტიკოსი ჟურნალისტებისა და მედიამკვლევრებისა დარწმუნებულია, რომ მეტად ღირებული სწორედ ჟურნალისტური მსჯელობა, ანალიზია და სწორედ ანალიტიკური მასალის წერის უნარი წარმოადგენს ჟურნალისტის პროფესიული სიმწიფის მაჩვე-ნებელს.

სტატიაში ორივე შეხედულების მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების არგუმენტების განხილვისა და შეპირისპირების შედეგად შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რეალურად როგორი ჟურნალისტური პროდუქტი იქნება უფრო საინტერესო მკითხველისთვის და ასევე დააკმაყოფილებს მედიასტანდარტებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზოგჯერ ძნელია ზღვარის დადება ფაქტსა და ჟურნალისტის მოსაზრებას შორის, მკითხველის დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად და პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე, რედაქტორები ფაქტებსა და მოსაზრებებს მკითხველს სხვადასხვა გვერდზე სთავაზობენ. ეს კეთილსინდისიერი მიდგომაც არის მომხმარებელთან და ერთგვარად მისი დროის დაზოგვაც. ვისაც მხოლოდ ფაქტი აინტერესებს, ის გაზეთის ახალი ამბებისა და ფაქტებისათვის განკუთვნილ გვერდს გადაშლის, ხოლო თუ ვინმეს ანალიზი და ჟურნალისტის მსჯელობის წაკითხვა უნდა, იმ გვერდს მოძებნის, რომელიც ანალიტიკური მასალისთვის არის დათმობილი.

ფაქტისა და მოსაზრების არსზე მსჯელობისას სტატიაში მოყვანილია ამ ორი ცნების ყველაზე მკაფიო წყალგამყოფი, განმასხვავებელი ნიშანი: ფაქტს დადასტურება, დამტკიცება სჭირდება, ხოლო მოსაზრების კონსტატაციის შემთხვევაში მტკიცებულების წარდგენის აუცილებლობა არ არსებობს.

სტატიაში ასევე მოხმობილია განმარტებები საქართველოს კანონმდებლობიდან, კერძოდ, საქართველოს კანონიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოების კანონმდებლობის შესაბამისად, აზრის გამოხატვის თავისუფლებას საკანონმდებლო დონეზე. უზრუნველყოფს.

იქიდან გამომდინარე, რომ მკითხველისთვის ღირებულია მხოლოდ მიუკერძოებელი ინფორმაციისა თუ მოსაზრების გაცნობა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტურ ეთიკას და ჟურნალისტის კეთილსინდისიერებას. სტატიაში მოცემულია მსჯელობა მედიისა და ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობაზეც.

ხშირად ჭირს ფაქტსა და ჟურნალისტის მოსაზრებას შორის ზღვარის გავლება, ამიტომაც ჩვენ არაერთხელ გავხდით მომსწრეები, რომ სხვადასხვა გამოცემის წინააღმდეგ სარჩელი შევიდა სასამართლო ინსტანციაში და სასამართლოს მოუწია იმის გარკვევა, მოცემულ შემთხვევებში ჟურნალისტები არღვევდნენ მედია სტანდარტს, თუ მამხილებელ ჟურნალისტებს დაინტერესებული პირები უსაფუძვლოდ ედავებოდნენ.

შესავალი

სავსებით საფუძვლიანად არის მიჩნეული, რომ მხოლოდ ფაქტების მიწოდება მკითხველს საშუალებას აძლევს იფიქროს, განსაჯოს და გააკეთოს დასკვნა მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი მკითხველს თავს არ ახვევს მის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხზე. მეორე დადებითი მხარე, რაც ფაქტებით გაჯერებულ მედიაპროდუქტს აქვს არის ის, რომ ფაქტი მტკიცებულებებს შეიცავს და შესაბამისად,

დამაჯერებლობის ხარისხიც მაღალი აქვს. ცნობილი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი ნაწარმოებში „საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილი კაცის ნაამბობი“ აღწერს როგორ გამოაქვეყნა გაზეთმა „ელ ესპექტადორმა“ მისი ავტორობით კონტრაბანდით დატვირთული ხომალდის დაღუპვის ამბავი, რომლის შესახებაც მას ერთადერთმა გადარჩენილმა მეზღვაურმა ლუის ალეხანდრო ბელასკომ უამბო. მეზღვაურის მონათხრობი კოლუმბიის მთავრობამ უარყო და მაშინ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობის დასადასტურებლად გაზეთმა გემბანზე გადაღებული მეზღვაურთა ფოტოები გამოიყენა. „სურათებზე გამოსახულ მეზღვაურთა უკან ისე აშკარად ჩანდა კონტრაბანდის ყუთები, რომ მათზე ფირმის მარკის გარჩევაც შეიძლებოდა დიქტატურამ მკაცრი რეპრესიებით გვიპასუხა, რაც გაზეთის დახურვით დამთავრდა,“- წერს გაბრიელ გარსია მარკესი და ამ კონკრეტული მაგალითით კარგად გვაჩვენებს, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ჟურნალისტს, რომელიც ფაქტს, ამბავს უყვება საზოგადოებას. ამ მაგალითიდან ასევე მკაფიოდ ჩანს, როგორ ჭირს და უფრო მეტიც, ფაქტობრივად შეუძლებელია დიქტატურის პირობებში ობიექტური მედიის ფუნქციონირება.

დღეს საქართველოში აზრისა და გამოხატვის თავისუფლება საკანონმდებლო დონეზეა გარანტირებული. „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით“, თუმცა ჟურნალისტური სტანდარტი და ეთიკა ითვალისწინებს იმასაც, რომ საკუთარ თავისუფლებას გამოდევნებულმა სხვისი თავისუფლება ან ღირსება არ შელახოს.

ძირითადი ნაწილი

დემოკრატიულ საზოგადოებაში სრული კონსენსუსია იმ საკითხზე, რომ მედია სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს. „სიმართლე არის დასაბუთებული ინფორმაცია, ანუ ფაქტი და საზოგადოებისთვის სასარგებლო და ფასეული ჟურნალისტის პირადი შეფასებებისა და მოსაზრებებისაგან თავისუფალი, დაბალანსებული და სიმართლეზე დაფუძნებული ფაქტების მიწოდება,“ - მიიჩნევს ესტონელი რედაქტორი ანდრეი კრაშევსკი.

დანიელ პატრიკ მოინიხანი, რომელიც აშშ-ის 4 პრეზიდენტის კონსულტანტი იყო, წერდა: „თითოეულს აქვს უფლება ქონდეს საკუთარი აზრი, მაგრამ არამც და არამც საკუთარი ფაქტი“ . ამით ის ხაზს უსვამს, რომ ჟურნალისტმა ყოველთვის უნდა ეძებოს ფაქტები და მას დაეყრდნოს.

მედიამკვლევარი სტივ სტიუარტი კატეგორიულად აცხადებს, რომ ახალი ამბების სტატიაში მოსაზრება არ უნდა იყოს. „ნებისმიერმა შესაძლოა დაირქვას ჟურნალისტი, მაგრამ კარგი ჟურნალისტები ამაყობენ იმით, რომ ეძიებენ სიმართლეს და მათი სტანდარტი ჟურნალისტთა ეთიკის კოდექს შეესაბამება. მაშ როდის შეიძლება ჟურნალისტმა საკუთარი აზრი გამოიყენოს ახალი ამბების სტატიაში? პასუხია ერთია - არასდროს!“

პოზიციას, რომელიც ახალი ამბების გაშუქებისას მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობას ემხრობა, მოწინააღმდეგეები მრავლად ჰყავს. არსებობს შეხედულება, რომ პირიქით, სასარგებლო და აუცილებელია ახალი ამბების ანუ ფაქტების გადმოცემას ახლდეს განმარტება ანუ მოსაზრება.

მართლაც, რა უფრო საინტერესოა გაზეთების მკითხველებისთვის ახალი ამბები თუ მოსაზრებები? ზოგადად, ალბათ, ორივე, რადგან მოსაზრებას შეუძლია ინფორმაციის გადამუშავებასა და მის ცოდნად გარდაქმნაში დაგვეხმაროს.

როგორც მედიაკრიტიკოსები მიიჩნევენ, მოსაზრების სუბიექტურობა გარდაუვალია, ამიტომ ჟურნალისტმა უნდა უზრუნველყოს მოსაზრების გადმოცემა კეთილსინდისიერად და სამართლი-ანად, ფაქტებისა და გარემოებების დაუმახინჯებლად.

მედიამკვლევარები თანხმდებიან, რომ არათუ საზოგადოებას, თავად ჟურნალისტებსაც უჭირთ ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის ზუსტი ზღვარის დადება.

ჟურნალისტური სტანდარტების თანახმად, პროფესიულ გამოცემაში ფაქტი და მოსაზრება ერთმანეთისაგან გამიჯნულია.

ფაქტებისა და მოსაზრებების მკაფიოდ გამიჯვნის პრინციპი გულისხმობს მომხმარებლისთვის ინფორმაციის ისეთი სახით მიწოდებას, რომ აუდიტორიამ დაინახოს განსხვავება ფაქტსა და შეფასებას შორის.

სლოვაკ ჟურნალისტ ტატიანა რეპკოვას მიაჩნია, რომ გაზეთში უნდა გაიმიჯნოს ფაქტებისა და მოსაზრებების გვერდი. მოსაზრებებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ერთ-ერთი გვერდი, სადაც ავტორები შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას, ყველა სხვა გვერდზე იბეჭდება მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობილი რეპორტაჟები.

ობიექტურობა ანუ სიმართლე ჟურნალისტიკაში არის მოვლენების იმგვარად გაშუქება, რომელიც გამორიცხავს ემოციებს, ერთმანეთისგან ყოფს ფაქტებსა და მოსაზრებებს. ობიექტურობა ბევრისთვის არის მოვლენებისა და ფაქტების ზუსტი

გაშუქება მიუკერძოებელი აღწერის სახით. თუმცა ობიექტურობის თეორია ბოლო დროს დასაშვებად მიიჩნევს მოვლენების ანალიტიკურ გაშუქებას, რომელიც სცილდება მხოლოდ მიუკერძოებელი აღწერის საზღვრებს.

ბლოგერი და პროფესორი სკოტ მაკლეოდი თავს სტატიაში „ახალი ამბებისა და ფაქტების გამოყოფა მოსაზრებისგან" გამოთქვამს აზრს, რომ როდესაც უამრავი ინფორმაციიდან ჩვენ ერთ რომელიმეზე ვაჩერებთ ყურადღებას, და ვირჩევთ გასაშუქებლად, ეს გარკვეულწილად უკვე არის სუბიექტურობა. სკოტ მაკლეოდის აზრით, „არის გარკვეული სუბიექტურობა იმაში, რა თემის მოცვაც ჩვენ გადავწყვიტეთ. ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი, როგორც ამას აკეთებს ახალი ამბების ყველა წყარო. მე მომწონს ერთი და იგივე ისტორიების კითხვა, რომელიც გაშუქებულია სხვადასხვა წყაროებით კერძოდ Wall Street Journal და New York Times. ეს ქვეყანაში ორი საუკეთესო გამომცემლობაა, რომელთაგან ერთი იხრება კონსერვატულობისკენ, მეორე კი უფრო ლიბერალური კურსის გამტარებელია. ეს ის სავარჯიშოა, რომელსაც მე შევთავაზებდი ყველას, ვისაც ნამდვილად უნდა აქტუალური პოლიტიკური პრობლემის ორივე მხარის დანახვა"

ფაქტებისა და მოსაზრებების გაუმიჯნაობის ბრალდებით გაზეთ „ასავალ-დასავალის" მიმართ სასამართლო დავა დაიწყო ენათმეცნიერმა ალექსანდრე ფოცხიშვილმა. 2012 წელს ამ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო სიტყვისა და გამოხატვის, აგრეთვე პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

როგორც საქმის მასალებიდან გავარკვიეთ, ა. ფ-მ „ასავალ-დასავალში" ვ. ხ-ს მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და შპს გაზეთ ''ასავალ-დასავალისგან" მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება იმის გამო, რომ გაზეთში გამოქვეყნდა ცილისმწამებლური წერილი, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. თბილისის საქალაქო სასამართლოს და შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 3000 ლარის ოდენობით. თუმცა მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციისა და ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა, შპს გაზეთ ,,ასავალ-დასავალის" სარჩელი. აღნიშნულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ცილისწამების განსაზღვრისათვის აუცილებელი პირობაა ფაქტისა და მოსაზრების (აზრის) გამიჯვნა, ვინაიდან ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ'' კანონის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და, შესაბამისად, შეფასებითი მსჯელობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო წერილში მითითებული გამონათქვამები მხოლოდ ავტორის მოსაზრებების გავრცელებას ემსახურებოდა და არ შეიცავდა კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას.

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსაზრება ღირებული მაშინ არის, როდესაც ის ფაქტებს შეიცავს. ჟურნალისტიკაში ფაქტები და მოსაზრებები უნდა იქნეს გამიჯნული ერთმანეთისგან. ფაქტი - ეს არის დასაბუთებული ინფორმაცია და ფაქტი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ სიმართლეს. შესაბამისად, არ არსებობს მცდარი ან ალტერნატიული ფაქტის ცნება. რაც შეეხება მოსაზრებას, ის არ არის ფაქტი. ადამიანებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ გვაქვს ჩვენი აზრი, დამოკიდებულება. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ მოსაზრებაც ფაქტებს უნდა ემყარებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მოსაზრების მოსმენა ან გათვალისწინება არ ღირს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტატიანა რეპკოვა, „ახალი დროება: პროფესიული გაზეთის შექმნა განვითარებადი დემოკრატიის პირობებში', თბ. 2006
2. მარკესი გ., „საზღვაო კატასტროფაში მოხვედრილი კაცის ნაამბობი', თბ. 2014
3. საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=7
4. Separating news and facts from opinions -
5. https://smokymountainnews.com/archives/item/30044-separating-news-and-facts-from-opinions

Fact or opinion?
How to provide the reader with fact and opinion

Rusudan Lortkipanidze, associate professor
Georgian Technical University

Izolda Rikadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

This article talks about the difference between fact and opinion, as well as the forms and methods of their separation in modern print media. The article calls out the position of a number of media researchers and practicing journalists regarding how information should be provided to the public. It should be a complete description of the facts, if the provided information should be accompanied by opinion and reasoning.

A number of media critics clearly formulate the position that the journalist's opinion should not be reflected in his work, the second is also a numerous army of practicing journalists and media researchers who are sure that it is journalistic reasoning, analysis, and the ability to write analytical material that is an indicator of a journalist's professional maturity.

In the article, as a result of discussing and comparing the arguments of supporters and opponents of both views, we tried to prove what kind of journalistic product would be more interesting for readers and also meet media standards.

Due to the fact that sometimes it is difficult to draw a line between the fact and the journalist's opinion, in order to avoid confusion of the reader and due to professional ethics, the editors offer the facts and opinions to the reader on different pages. This is a conscientious approach to the customer and somehow saves his time. Those who are only interested in facts will turn to the news and facts page of the newspaper, and if someone wants to read the analysis and reasoning of the journalist, he will look for the page devoted to analytical material.

While discussing the essence of fact and opinion, the article mentions the clearest watershed, distinguishing mark of these two concepts: the fact needs to be confirmed, and in the case of establishing the opinion, there is no need to present evidence.

The article also calls for clarifications from the legislation of Georgia, in particular, from the law of Georgia on freedom of speech and expression, which in accordance with the legislation of democratic states, freedom of expression of opinion at the legislative level. provides.

Due to the fact that only unbiased information or opinion is valuable for readers, journalistic ethics and journalist's integrity are of utmost importance. The article also discusses the social responsibility of media and journalists.

It is often difficult to draw a line between a fact and a journalist's opinion, that's why we have repeatedly witnessed lawsuits filed against various publications in court, and the court had to find out whether the journalists violated the media standard in these cases, or whether the whistleblower journalists were unreasonably disputed by the interested parties.

ინტერნეტსაგნების (IOT) ზეგავლენა საზოგადოების კომუნიკაციასა და ფსიქოლოგიაზე

ალეკო სოლოღაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შალვა კვირკველია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღეს, ბიზნეს ფორუმებზე და სამთავრობო შეკრებებზე მკვეთრად განიხილება საზოგადოების გაციფროების საკითხი. პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და მეცნიერების მოღვაწენი საუბრობენ ინტერნეტ საგნების და ინტერნეტის განვითარებაზე მთლიანად. წინა პლანზე გამოიტანება უსაფრთხოების ციფრული საკითხები, საკანონმდებლო ბაზის განახლება და ინფრასტრუქტურის გაციფროების გაფართოება. მნიშვნელოვანია აგრეთვე ყურადღება მიექცეს იმას, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ციფრული ტექნოლოგიების ქსელები ადამიანის ფსიქოლოგიურ შემეცნებით პროცესებზე.

საკვანძო სიტყვები: გაციფროება, ინტერნეტ საგნები, კომუნიკაცია, საზოგადოებრივი შემეცნება, აზროვნება, კოგნიტური პროცესები.

შესავალი

დღეს, ციფრული ტრანსფორმაციის საკითხი განიხილება გლობალურ დონეზე. როგორც მსოფლიო მეცნიერები აღნიშნავენ, ციფრული სისტემის მასობრივი დანერგვა ჩვენს ცხოვრებაში ბლოქჩეინის დიდი მონაცემების ტექნოლოგიებს პერსონალიზირებს პროგრამულ უზრუნველყოფას, სიტყვიერ ტექნოლოგიებს 5G-ს, მანქანურ უზრუნველყოფას [1] და სხვა.

მსოფლიო მასშტაბით დღეს ტექნოლოგიური ტალღის მამოძრავებელ ძალად გახდა ეკონომიკა, სწორედ ბევრი განვითარებული სახელმწიფოს თანამშრომელი ჩართულია ციფრული ეკონომიკის ინტეგრაციის საბაზრო გარემოში.

საზოგადოების გაციფროების და ინტერნეტ საგნების (IOT) პროცესის ანალიზისას, მეცნიერები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ პირველ რიგში ძირეული ცვლილებები მოხდება ყველა სასიცოცხლო ინფრასტრუქტურაში. შეგნების გაციფროება IOT-ის ზემოქმედებით კომუნიკაციის ფორმატით ადამიანებს უპირველესად აზროვნების დონეზე, ბევრი თვლის რომ ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. ადამიანი ამარტივებს ბევრ კოგნიტურ პროცესებს და მანქანის მსგავსად შეუძლია თავისუფლად და სწრაფად მიიღოს მოკლე მესიჯები ორიენტირებულ ინფორმაციულ ნაკადებში და უფრო ეფექტურად განათავსონ თავიანთი დროებითი და ენერგეტიკული რესურსები.

ძირითადი ნაწილი

ციფრული ტექნოლოგიები, მიუხედავათ ყველაფრისა, მიმართულია ადამიანის შეგნების ცვლილებაზე, რის გამოც მარტივდება მართვა, რადგან ტვინი იმუშავებს მანქანის ალგორითმის ანალოგიურად [2].

დღეს, ასეა თუ არა, ძნელია პასუხის გაცემა, ჩვენი ამოცანა იმაშია, რომ არსებული საშიშროებაა ადამიანის აზროვნებით პროცესში უნდა გაკეთდეს ვარაუდი ინტერნეტ საგნების ზეგავლენა საზოგადოების კომუნიკაციაზე და ფსიქოლოგიაზე. [2].

ამასთან დაკავშირებით, დასახული იქნა მიზანი, რათა შესწავლილი იქნას ინტერნეტ საგნების (IOT) ტექნოლოგიური კომუნიკაციები, რათა გაკეთდეს ვარაუდი შესაძლო სოციალურ კომუნიკაციაზე. კვლევის ჩარჩოში შეიძლება მოიძებნოს პასუხები შემდეგ შეკითხვებზე:

- რას წარმოადგენს ინტერნეტ საგნები (IOT)?
- როგორ არის დაკავშირებული ინტერნეტ საგნები კომუნიკაციებთან?
- როგორი იქნება IOT-ის ზეგავლენა საზოგადოებაზე, მომხმარებლის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე?

ჰიპოტეზის საფუძვლად აღებული იქნება შემდეგი იდეა: ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივაში ოპტიმიზაციის პროცესების დონე სახელმწიფო საყოფაცხოვრებო და ბიზნეს გარემოში იქნება ტექნიკური თვალსაზრისით.

IOT წარმოადგენს გლობალურ ინფრასტრუქტუ-

რას, რომელიც შედგება მრავალი საგნებისგან (Things) შეერთებული ინტერნეტთან და ერთმანეთთან გაცვლით დაკავშირებული. ეს საგნები შეიძლება არსებობდნენ როგორც ფიზიკურად (რობოტები, კომპიუტერები, ელექტრული ხელსაწყოები), ასევე ვირტუალურ გარსში (მულტიმედიური კონტენტი). თითოეულ ასეთ საგანს აქვს ინფორმაცია ციფრული სახით, რომლის შეყვანა, შენახვა, დამუშავება, გავრცელება და ვიზუალიზაცია შეიძლება. მთავარი მინიმალური მოთხოვნაა ქსელთან შეერთება, წინააღმდეგობის გადალახვა ღრუბლოვანი პლატფორმისკენ, რომელზეც მიმდინარეობს ყველა ძირითადი პროცესები რეალური დროის რეჟიმში. IOT - ეს ინფორმაციული კომუნიკაციური ტექნოლოგიების ერთ-ერთი ურთულესი და უნიკალური კონცეფციაა. ეს მდგომარეობს იმაში, რომ სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სხვა IT - ტექნოლოგიების და საკვანძო ბიზნეს-პროცესების ინტეგრაცია. სხვა სიტყვებით, ინტერნეტ საგნები - ეს ტექნოლოგიების ნაერთია, რომლებიც მუშაობენ ერთობის პრინციპით.

ინტერნეტ საგნები (IOT) საშუალებას იძლევიან:

- პროცესების მართვის;
- შრომის დანახარჯების შემცირებას;
- რესურსების რეგულირების;
- პროფილაქტიკის ჩატარების;
- მომსახურების გაუმჯობესების;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

IOT - საგნები, ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიური უპირატესობის გარდა გათვლილია ცხოვრების ყველა სფეროზე: ტრანსპორტზე, ჯანმრთელობაზე, ქალაქის გარემოზე, ელექტროენერგეტიკაზე, სასოფლო მეურნეობაზე, ლოჯისტიკაზე და მრეწველობაზე. სექტორებში ძირითადად დაკავშირებულია ბიზნეს-პროცესები, აქცენტები კეთდება კომფორტზე და უსაფრთხოებაზე, თუმცა საგნების ინტერნეტი ეფუძნება „ჭკვიან მტვერსასრუტს“, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ტექნოლოგიურისგან. და მათი მეშვეობით ფუნქციონირებს „ჭკვიანი ქალაქი ან/და სახელმწიფო“.

IOT ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე. წინათ ვარკვევდით განსხვავებას საშინაო ინტერნეტ საგნებსა და სამრეწველო ტექნოლოგიებს შორის, პრაქტიკულად არ არის განსხვავება. ამასთან, თუ შევხედავთ ადამიანების „მანქანებთან“ კონტაქტს, ის ასჯერ მაღალია საშინაო ინტერნეტ საგნების სფეროში. ამაზე დაყრდნობით, შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ როგორ პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ინტერნეტ საგნების მოწყობილობა ადამიანის ფსიქიკური შეგრძნების პროცესებზე: ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თემა დღევანდელ დღეს ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი.

დღესდღეობით, საკმაოდ მკვეთრად დგას შესწავლა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვა, მაშინ როცა ადამიანის პრობლემა ამ ციფრულ სისტემაში და მისი აღქმა გადატანილია მეორე პლანზე [3].

ამჟამად მრავალი ფსიქოთერაპევტი იკვლევს ინფორმაციულ გარემოს ზეგავლენას ადამიანის აზროვნებასა და ფსიქიკაზე.

წინათ, განსხვავება სახლის ინტერნეტ საგნებსა და სამრეწველოს შორის ტექნოლოგიურ გეგმაში პრაქტიკულად არ იყო. მიუხედავად იმისა, თუ ადამიანების კონტაქტი არსებობდა მანქანებთან, მაშინ ის 100-ჯერ მეტია, სახლის ინტერნეტ საგნებთან შედარებით.

დღევანდელ დღეს მოცემული თემა ჯერ კიდევ ღრმად არ არის შესწავლილი, მაშინ როცა ადამიანის პრობლემა ციფრულ სისტემაში და მისი მეორე პლანზეა.

თანამედროვე ადამიანის აზროვნება და აღქმის ფსიქოლოგია ექსპერტთა აზრით შეიცვალა. ეს უკვე სამედიცინო ფაქტია. მათთვის რთულია ყურადღების კონცენტრირება და ინფორმაციის ხმამაღლა აღქმა, მათი აზროვნება გახდა უფრო ვიზუალური, ლინგვისტურად ნაზი. ამის მიზეზია ზედაპირული ინფორმაციის მოთხოვნა. ტვინზე ჩატარებული კვლევის შედეგად, ექიმი-ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ უწყვეტად უკავშირო კონტენტის პრიმიტიულად გამოყენება, ადამიანის ტვინის ნაწილი დაკავშირებულია აზროვნებასთან. „ნაწილი ძილში მიდის“. იმისათვის, რომ ტვინის ნაწილი დაკავშირებული იყოს აზროვნებასთან „ძილში ვარდება“. ტვინი რომ ჩაიდო და დააძალო აზროვნება, ნანახი გააანალიზოს და იაზროვნოს, აუცილებელია 23 წუთი (უწყვეტად).

გამოკითხვის მონაცწემები აჩვენებენ, რომ ადამიანი ითიშება ტელეფონზე ყოველი 15 წუთი. ის მარტივად ვერ ასწრებს ფიქრს. ამავე დროს მეცნიერები აჩვენებენ ტვინის აქტივობას იმის მიხედვით, თუ სად მდებარეობს ტელეფონი - დასანახ სივრცეში თუ მის გარეთ. თუ ტელეფონი გვერდით დევს, ეს ახდენს სურვილის პროვოცირებას მისი აღებისა, რაც აიახება ტვინის მუშაობის დაბალი ხარისხით.

განხილული მაგალითისა, ჩატარებული იქნა

ხარისხობრივი ანალიზი ინტერნეტ-საგნების ზემოქმედების საზოგადოებაზე და შეგვიძლია დავასკვნათ:

საზოგადოება შეწუხებულია საკითხებით, რომელიც ეხება ინტერნეტ საგნების ზემოქმედებას აზროვნებაზე. დროთა განმავლობაში, ტექნოლოგიები დაიხვეწება და ადაპტირდება სხვადასხვა ცხოვრების წესის მიხედვით. ხელოვნური ინტელექტი ფარავს ანალიზის ყველა ინტელექტს გავრცელებულ ინფორმაციებს, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელ და კომპლექსურ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას. მოცემულ ეტაპზე ინტერნეტ საგნებინი სახლები მოიაზრება საქათველოშიც. ხელოვნური ინტელექტი აჩვენებს ანალიზის ყველა ეტაპებს, ინფორმაციის გავრცელებასა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას.

ამჟამად, მსოფლიოს სხვადსხვა ადგილებში არსებობს ინტერნეტ საგნებიანი ქალაქები.

დასკვნა

უდავოა ის ფაქტი, რომ საზოგადოება შეწუხებულია ინტერნეტ საგნების (IOT) ზეგავლენის საკითხებით ადამიანის აზროვნების პროცესზე. დროთა განმავლობაში ტექნოლოგიები იხვეწება და დიდი სისწრაფით ადაპტირდება სხვადასხვა ცხოვრებისადმი და მთლიანად ადამიანის მიმართ. ხელოვნური ინტელექტი ფარავს ანალიზის, გაცვლის და ინფორმაციის გავრცელებას, ეს ყველაფერი ხელს უწყობს ციფრული ტექნოლოგიების კომპლექსურ განვითარებას.

ამჟამად ინტერნეტ საგნები - IOT საქართველოში არსებობენ იდეის ფორმატში. სხვადასხვა ბიზნესსტრუქტურები უახლოვდებიან ციფრულ მომავალს და ამზადებენ მათთვის ეკოსისტემას. საგანმანათლებლო განვითარების პროგრამა, სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური სექტორები გადატანილია 21-ე, 22-ე საუკუნეებში. ციფრული მომავალი შენელებული ფსიქოლოგიური აღქმითი პროცესებით მიდის. ადამიანური ბუნება მიმართულია სწრაფ შეჩვევასთან კომფორტულ გარემოსადმი, ამ დროს აღიძვრება შემდეგი ხასიათის პრობლემები:

- ცხოვრებისადმი შეუთავსებლობა,
- ტექნოლოგიური არსებობა.
- გაზრდილია დამოუკიდებლობა:
- მომხდარის ანალიზირების უნარის დაქვეითება და პროგნოზების გაკეთება;
- ყურადღების და უნარის დაკარგვა მარტივი ამოცანების შესასრულებლად.

ამრიგად, მნიშვნელოვანია საკითხი თუ როგორ დავიცვათ ინტერნეტ საგნების IOT არაკონტროლირებადი ზეგავლენა. თემის განვითარებისათვის რეკომენდირებულია შემდეგი რეკომენდაციები: ისინი უზრუნველყოფენ პირველ ეტაპზე ციფრულ ინტეგრაციას თანამედროვე რეალობაში.

1. უპირველესად აუცილებელია ადგილის მოძებნა ადამიანისთვის კომუნიკაციის დროს, ადამიანი გააკონტროლებს ციფრული შუამავლის მუშაობას ინფორმაციის გაცვლის პროცესში.
2. აუცილებელია მეტის გაგება და ციფრული ინფრასტრუქტურის დანერგვა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე.
3. დიდი რაოდენობა საყოფაცხოვრებო მიკროდონეზე ინტერნეტ საგნების ტექნოლოგიების პერიოდულად შემოწმდეს მათი მუშაობა.
4. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რატომ ვყიდულობთ ამა თუ იმას ჭკვიანი სახლების „კოლექციიდან“.
5. ბოლოს, აუცილებელია საკუთარი გადაწყვეტილების მიღება და ალგორითმის ზედამხედველობის ქვეშ სოციალურ ქსელებში და ინტერნეტ საგნების სისტემაში.

აუცილებელია საკუთარი გადაწყვეტილების მიღება და არა ალგორითმების ზეგავლენა სოციალურ ქსელებში და ინტერნეტ საგნების სისტემაში.

მიზანშეწონილად ჩაითვლება თავიდან აცილებული იქნას სიახლენი და რეკომენდაციები პუბლიკაციების ნახვისთვის რომელსაც გამოიყენებენ და არ მიენდობიან ხელოვნური ინტელექტის არჩევისთვის.

მიზანშეწონილად ჩაითვლება საკუთარი გადაწყვეტა და არა ალგორითმის ზეგავლენის ქვეშ სოციალურ ქსელებში და ინტერნეტ საგნების სისტემაში.

მიზანშეწონილად ცაითვლება თავიდან აცილება სიახლეებისა და რეკომენდაციების. დამოუკიდებლად უნდა განვსაზღვროთ ინფორმაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სოლოღაშვილი, შ. კვირკველია, ე. ხახუტაშვილი „ციფრული ეკონომიკა და ინტერნეტ საგნები (IOT)“. სტუ ჟურნალი „განათლება“ N3 (38)2022
2. ე. ხახუტაშვილი, ნ. ღიბრაძე „ციფრული მარკეტინგის როლი სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებაში.“ სამეცნიერო ჟურნალი, სტუ. „განათლება“ N3 (22), 2018.
3. Явуз Шефика, Мелиса Сабахаттинонна. Влияние интернета вещей на общество, коммуникации и психологии. Журнал «Международные коммуникации» , М., 2017.

The impact of the things (IoT) society communication and psychology

Aleqsandre Sologashvili, PHD
Georgian Technical University

Shalva Kvirkvelia, Assoc. Prof.
Georgian Technical University

Elisabed Khakhutashvili, Assoc. Prof.
Georgian Technical University

Summary

Nowadays the issue of society digitalization is appeared to be one of the most discussible questions during business, forums and government meetings. Politicians, businessmen and scientists are talking about their prospects of the internet of things and the internet of everything. The main focus is on ensuring digital security, on the updating of the legislative framework and on the expansion of digital infrastructure Nevertheless, it is paramount to pay attention to the impact ecosystems on the human psychological cognitive processes.

Key words: digitalization, internet of Things, communication, public consciousness, mental process, cognitive processes.

პოსტპანდემიური ჟურნალისტიკის გამოწვევები და შესაძლებლობები

მაია თაბაგარი, ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

რეზიუმე

პანდემია რეალურად არის ერთგვარი სტრეს ტესტი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემისთვის, რომელმაც ინფორმაციის შეუზღუდავი ნაკადიდან, რთულ და არაპროგნოზირებად გარემო პირობებში უნდა შეასრულოს მისი უპირველესი მისია: უპასუხოს საზოგადოების ინფორმირების საჭიროებებს. ამ ფონზე ახალი ამბის მიღების, დამუშავების, მომზადებისა და გავრცელების პროცესში უმთავრეს ამოცანად თავად ინფორმაციის გადარჩენა და მისი მიწოდების სწორი გზების გამონახვა რჩება. საზოგადოება ითხოვს ახალ ამბებს და მასთან ერთად, თხრობის ახალ სტილსა და საუბრის ახალ ტონს. ეს მოცემულობა კი, თავის მხრივ საჭიროებს ახალი ამბების რედაქციების მუშაობაში სიახლეების დანერგვას, ნიუსრუმის მენეჯმენტისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის ახლებურ გააზრებას.

ახალმა ინფორმაციულმა ხანამ ბევრი სრულიად ახალი რამ მოგვიტანა - როგორც კარგი, ასევე არასასურველიც. რაც კარგია, ეს არის საინფორმაციო ველის უსასრულობა, როდესაც გარკვეული უნარებითა და შესაძლებლობებით შეგიძლიათ იპოვოთ ყველაფერი, რაც გჭირდებათ. მაგრამ არის ასევე უარყოფითი - თანამედროვე საინფორმაციო სივრცემ ყველაფრის ვირტუალიზაცია მოახდინა - ერთი მხრივ, დაჩრდილა ჟურნალისტიკის როლი და ფუნქცია, მეორე მხრივ, ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ყალბი ამბების უკონტროლოდ ტირაჟირებას.

შესავალი

პანდემია, როგორც ჟურნალისტიკის სტრეს-ტესტი მართლაც გლობალური აღმოჩნდა. მას შეიძლება მედიამოვლენაც ვუწოდოთ, ასეთ დროს კი ადამიანებს უწევთ და მოსწონთ კიდეც ამ მოვლენის შესახებ სიახლეების გაცნობა.

კორონავირუსის პირველ ეტაპზე მედიამ მოიგო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეების ინტერესი გაიზარდა ამ ახალი, უჩვეულო და მეტიც, ჯერ კიდევ ამოუცნობი ვირუსის მიმართ. ამ დროს საზოგადოებისთვის ბენეფიციარები გახდნენ ტელევიზია და ინტერნეტი და არა ვთქვათ, კინოთეატრები ან ღამის კლუბები.

პირველად ბოლო წლების განმავლობაში ახალ-გაზრდების დიდი ნაწილი გადაერთო ტელევიზიისაკენ, თუმცა ეს ქცევა დიდხანს არ გაგრძელებულა და მალევე შეიცვალა, დაუბრუნდა უწინდელ ჩვევას - ახალგაზრდებმა კვლავ ინტერნეტს, ძირითადად კი - სოცქსელებს მიშურეს, ხანდაზმულები კი კვლავ ერთგულ ტელემაყურაბლებად დარჩნენ.

პანდემიის საწყის ეტაპზე ტვ და ონლაინ ვიდეოსერვისებმა მაქსიმუმი გამოადნეს: აუდიტორიის ჯამურმა ზრდამ მაქსიმუმს მიაღწია კარანტინის დროს. თუმცა, შემდგომ დაიწყო ვარდნა და ჩვეულ ნიშნულამდე დაბრუნება. პოპულარობა და ყურებადობა შეინარჩუნეს ტელესერიალებმა, ახალგაზრდა აუდიტორია ისევ დაშორდა სატელევიზიო ეკრანს და კვლავ ქსელებს მიაშურა, სადაც დღესაც წარმატებით რჩება.

საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია კანტარი, რომელიც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ოპერირებს, მიუთითებს სოცმედიის მომხმარებლების უპრეცედენტო ზრდაზე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ორგანიზაციის მონაცემებით, 18-დან 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში სოციალური პლატფორმების მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 40%-ით.

კანტარმა გაზომა არა მხოლოდ მაყურებელთა წილი, არამედ ნდობის ხარისხიც. საერთაშისო კვლევითმა საკონსულტაციო კომპანიამ დაადგინა, რომ საზოგადოებაში არის მედიისადმი ნდობის კრიზისი. ნაციონალური მაუწყებლების ნდობა შეადგენს 51%-ს, ხოლო სოცმედიის მომხმარებლების მხოლოდ 11%-ს აქვს სანდო ინფორმაციის მოლოდინი.

„როდესაც არ ვიცით ფაქტები, არ გვაქვს რეალობის საერთო ხედვა, გავრცელებული ტყუილი ცვლის ფაქტებს, სიმართლე კი ჩრდილში რჩება - ამბობს ფინელი ჟურნალისტი მარია რესა, - დღეს, როდესაც ადამიანები სოციალური მედიიდან იღებენ ინფორმაციას, ხშირად - არაზუსტს, ჟურნალისტიკა უფრო მნიშნელოვანი გახდა, ვიდრე ადრე“.

ძირითადი ნაწილი

პანდემიის ზემოქმედება მედიაზე - ჟურნალისტიკა ვირუსის პირისპირ

კორონავირუსის ორწლიანი პანდემიის პირობებში საქმიანობამ ჟურნალისტიკის ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. განსაცდელის პირისპირ

მდგარი პროფესიის მომავლის განსაზღვრისათვის დღის წესრიგში, უპირველესად, მდგომარეობის შეფასებისა და შესწავლის აუცილებლობა დადგა, რადგან ძალების აღდგენა საზოგადოებასთან ერთად საზოგადოების სამსახურში მყოფ მედიას სჭირდება.

კარანტინისა და იზოლაციის შემდეგ ოფისში დაბრუნებულმა ზოგიერთმა ჟურნალისტმა აღმოაჩინა, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა, ნაწილმა კი მათი საქმიანობის გაურკვეველი პერსპექტივა და ბუნდოვანება დაინახა, ზოგიერთისათვის ნიუსრუმი საერთოდ „გაქრა“.

ჯერ კიდევ პანდემიის საწყის ეტაპზე, ლოქდაუნის დროს უმაღლესი დონის დისკუსია გაიმართა სახელწოდებით „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება და დამოუკიდებლობა კოვიდ-19-ის დროს“. პრესის თავისუფლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის თაოსნობით იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ოდრი აზულემ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა მიშელ ბაჩელეტმა ეპიდემიის კონტექსტში მედიის თავისუფლებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ თავისუფალი, დამოუკიდებელი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის თაობაზე ჟურნალისტთა მსოფლიო გაერთიანებების ხელმძღვანელებთან ერთად იმსჯელეს.

„პანდემიამ არ უნდა გამოიწვიოს თავისუფალი პრესის „გაქრობა“, დამოუკიდებელი, ფაქტებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, - ეს განცხადება ანტონიო გუტერეშმა სოლიდური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე და მედიასაშუალებათა ფინანსური მდგომარეობის შესახებ არსებული მონაცემების შეფასებებისას გააკეთა.

გაეროს ხელთ არსებული მონაცემებით, გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რაც ეპიდემიის გავლენით თავისუფალი მედიის განვითარების გზაზე დაბრკოლებად იქცა.

1. ჟურნალისტთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. გამოკითხული ჟურნალისტების დაახლოებით 70 პროცენტი აღიარებს, რომ პანდემიის ემოციური და ფსიქოლოგიური ასპექტები მათთვის ყველაზე რთული იყო.

2.ფინანსური სირთულეები. გაეროს მონაცემებით, მხოლოდ ბეჭდური პრესის ზარალმა წელიწადში 30 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საველე კორესპონდენტების და შტატგარეშე თანამშრომლების ორმა მესამედმა დაკარგა სამსახური ან არ მიიღო დაპირებული ანაზღაურება, ჟურნალისტების 40 პროცენტის შემოსავალი შემცირდა.

3.დეზინფორმაციის გაზრდილი ნაკადი. „კორონავირუსის ინფექციის გავრცელებასთან ერთად, პანდემიამ გამოიწვია კიდევ ერთი - დეზინფორმაციის პანდემია - ჯანმრთელობის მავნე რჩევებიდან გიჟური შეთქმულების თეორიებამდე. მედია იძლევა ანტიდოტს - დადასტურებულ, მეცნიერულ, ფაქტებზე დაფუძნებულ ამბებს და ანალიტიკას. ანტიდოტი მედიის თავისუფლება და ფაქტების მიუკერძოებლად გაშუქებაა. ეს არის ჟურნალისტიკა შიშისა და მიკერძოების გარეშე. ეს ბევრად მეტია ვიდრე სლოგანი, ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი“ - ამბობს გაეროს გენერალური მდივანი.

სოციალურ მედიაში ყალბი ამბების მიერ მიყენებული ზიანის ბრალდებების საპასუხოდ, Facebook-ის სპიკერი მონიკა ბიკერტი აღიარებს პრობლემას, თუმცა, ხაზგასმით მიუთითებს თავისი კომპანიის ძალისხმევაზე, გამოავლინოს, გამოასწოროს და ზოგ შემთხვევაში, წაშალოს ყალბი ამბები, შეუსაბამო ფაქტები, დეზინფორმაცია, განზრახ გამოქვეყნებული მავნე შინაარსი. „ვცდილობთ, ჩვენი ალგორითმები უფრო გამჭვირვალე და მრავლისმომცველი გავხადოთ. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა წინასწარ გვქონდეს სანდო ინფორმაცია და არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ დეზინფორმაციაზე რეაგირებით.

დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავრცელების მზარდი ტენდენცია დასახელებულია გავლენიანი მედიაორგანიზაციებისა და ავტორიტეტული კვლევითი ცენტრების მიერ ჩატარებულ კვლევებშიც. ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრისა (ICFJ) და კოლუმბიის უნივერსიტეტის ციფრული ჟურნალისტიკის ცენტრის ერთობლივი კვლევაში ჟურნალისტური საქმიანობის მნიშვნელოვან ნეგატიურ ფაქტორად დასახელებულია დეზინფორმაცია, რომელსაც გამოკითხულ ჟურნალისტთა 28% იგებს დღეში რამდენიმეჯერ, 35% კი -კვირაში რამდენიმეჯერ. ჟურნალისტები დეზინფორმაციის შემდეგ წყაროებს ასახელებენ: რიგითი მოქალაქეები (49%), პოლიტიკური ლიდერები და თანამდებობის პირები (46%), სამთავრობო უწყებები და მათი წარმომადგენლები 25%. სოციალურ პლატფორმებს შორის დეზინფორმაციის გამავრცელებელთა შორის გამოკითხულები ასახელებენ შემდეგ სოცმედიებს: Facebook- 66%, Twitter - 42 %, Whatsapp- 35 %. მეტიც, რესპონდენტთა 46% ამბობს, რომ უკმაყოფილოა

ან ძალიან უკმაყოფილოა სოცმედიაკომპანიების რეაგირებით იმ საჩივრებზე, რომლებითაც ჟურნალისტები მიმართავენ მათ ადმინისტრაციებს.

ბევრი ჟურნალისტი აქტიურად რეაგირებს „დეზინფორდემიის“ წინააღმდეგ. გამოკითხულთა 29% აცხადებს, რომ ისინი თავად აქტიურად იყვნენ დაკავებული ფაქტებისა და ცნობების გადამოწმებით, იგივე რაოდენობა ამბობს, რომ გადამოწმებისათვის იყენებდნენ შესაბამის ციფრულ ინსტრუმენტებს, 20% კი თანამშრომლობდა სხვა ორგანიზაციებთან, არასამთავრობოებსა და მეცნიერებთან კოოპერაციით ცდილობდა ყალბი ამბების გამოვლენასა და აღმოფხვრას.

არავინ არის მზად ცხოვრების ჩვეულებრივი წესიდან ექსტრემალურზე გადასვლისათვის. ომისა და კატასტროფის კორესპონდენტად ყოფნა უკიდურესი საფრთხის შემცველი საქმიანობაა, როცა გადიხარ სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე, როცა, შეიძლება, გიმსხვერპლოს ტყვიამ, აფეთქდე ნაღმზე, იყო ტერორისტის სამიზნე და აღმოჩნდე მსხვერპლი. თუმცა ეს სულ სხვა სახის ომი აღმოჩნდა ისეთი გამოცდილების მქონე ჟურნალისტისთვის, როგორიც საერთაშორისო ამბების მთავარი რედაქტორი, ქრისტიან ამანპურია. „40 წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ყველა ომის, ეპიდემიის, კატასტროფის, გენოციდისა თუ რევოლუციისგან განსხვავებით, რომლებიც გამიშუქებია, ეს სრულიად განსხვავებული მოცემულობა’ - ამბობს ის, - პროფესიული ინსტიქტი ყოველთვის კატაკლიზმებისკენ მიბიძგებდა, მაგრამ ეს არ ჰგავს ომს ან ტერორიზმს, სადაც წინააღმდეგობას გაუწევ და აჩვენებ, რომ არ გეშინია. ახლა ყველანი ვართ ომში არა ბრძოლის ველზე, არამედ შინ“.

CNN-ის რეპორტიორი იხსენებს, რომ რეპორტაჟების მომზადებამ ისეთი ცხელი ადგილებიდან, სადაც იყო ომი, ტერორიზმის საფრთხე, მალარიის ზონა, გენოციდის ეპიცენტრი, სიცოცხლის რისკის მიღმა მას აპოვნინა სინათლის სხივი. სწორედ ამ რთულ პროფესიულ გამოცდილებას უკავშრებს ის ერთგვარ მზადებას, ტრენინგს იმ რთული პირობებისთვის, რაც გლობალურმა პანდემიამ მოიტანა. „ზოგჯერ ყველაზე ბნელ დღეებს მოაქვს ყველაზე სწორი ცვლილება“, - ამბობს ამანპური.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრმა (ICFJ) კოლუმბიის უნივერსიტეტის ციფრული ჟურნალისტიკის ცენტრთან ერთობლივი ფართომასშტაბიანი კვლევა „ჟურნალისტიკა და პანდემია: გლობალური გავლენის სურათი“ მიზნად ისახავდა, მსოფლიო მასშტაბით ჟურნალისტიკაზე პანდემიის გავლენის შეფასებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებას პოსტპანდემიური აღდგენის პროცესში. გამოიკითხა 125 ქვეყნის 1400-ზე მეტი ჟურნალისტი. კვლევა მედიაპლატფორმების თანამშრომელთა ფართო სპექტრს მოიცავდა - ახალი ამბების რეპორტიორებიდან - აღმასრულებელ დირექტორებამდე.

პირველადი შთაბეჭდილება, რაც კვლევიდან რჩება, არის ის, რომ პანდემია, ყველაზე რბილი შეფასებით, იყო მკაცრი ჟურნალისტიკის მიმართ. ბევრ სხვა გამოწვევასთან ერთად, ჟურნალისტებს მოუწიათ გამკლავებოდნენ ისეთ საფრთხეებს, როგორებიცაა: ფინანსური არასტაბილურობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა და ფიზიკური უსაფრთხოების რისკი.

ჟურნალისტთა 70%-მა ყველაზე ნეგატიურ ფაქტორად კოვიდ-19-ის ფსიქოემოციური გავლენა მიიჩნია. 67%-მა პანდემიის ყველაზე მნიშვნელოვან სირთულედ ფინანსური პრობლემები დაასახელა. საფრთხეების ჩამონათვალში მათ მოსდევს: ინტენსიური დატვირთვა, სოციალური იზოლაცია და ვირუსით რეალურად დაინფიცირების რისკი.

პანდემიის ფონზე, მოულოდნელად შეიქმნა სიტუაცია - გაიზარდა მაყურებელთა რაოდენობა, მოიმატა მომხმარებლის ჩართულობამ, იკლო - სარეკლამო შემოსავლებმა. სარეკლამო ბაზრის კვლევა აჩვენებს, რომ სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების საერთო რიცხვმა დაახლოებით 10 პროცენტით დაიწია.

ლოგიკურად, მედია მოხმარების ზრდას შემოსავლების ზრდაც უნდა მოჰყოლოდა, თუმცა მოხდა პირიქით - და ამგვარი დისბალანსის მიზეზიც იგივე იყო, რაც მაყურებლის რაოდენობის ზრდისა - პანდემია. ლოქდაუნის დროს დაეცა გაყიდვები როგორც სავაჭრო ობიექტების დაკეტვის, ტრანსპორტის შეჩერების ასევე მსყიდველუნარიანობის შემცირების, ქვეყნის ეკონომიკების ვარდნისა და სამუშაო ადგილების შეკვეცის გამო.

ტელევიზია, ეს არის ერთარხიანი პლატფორმა, იმ დროს, როცა ინტერნეტი მრავალშრიანი საშუალება. რეკლამა შეიძლება განთავსდეს საიტზეც და მრავალ სოციალურ მედიაპლატფორმაზე. სწორედ ამიტომ, ონლაინ მედია უფრო მოთხოვნადი გახდა როგორც მომხმარებელთათვის, ასევე სარეკლამო კომპანიების მხრიდანაც, სარეკლამო სააგენტოებმა თანხები მეტნაკლებად ონლაინ სააგენტოებზე მიმართეს, თუმცა შეზღუდეს სატელევიზიო რეკლამა და, ქუჩის ბანერებიც კი. ამას თავისი ახსნაც აქვს - ლოქდაუნის დროს ხალხი ქუჩაში არ

არის, ხალხმა ინტერნეტში გადაინაცვლა.

ინფორმაციის ბეჭდური ვერსიის ხარჯები - ბეჭდვაზე, ლოჯისტიკაზე - ისედაც ზრდადი იყო, ხოლოინტერნეტიმანამდეცავიწროვებდაქაღალდის გამოცემებს, თუმცა პანდემიის პერიოდმა ძალზედ დააჩქარა ეს პროცესი. საგრძნობლად შემცირდა ბეჭდური მედიის მომხმარებლების რაოდენობა, რამაც გამოიწვია როგორც გაყიდვებიდან, ისე რეკლამებიდან შემოსავლების მკვეთრი ვარდნა. რაც შეეხება რადიოს - ამ პლატფორმის მსმენელები ძირითადად იყვნენ მძღოლები და მგზავრები. კარანტინის დროს, ლოგიკურად შემცირდა მათ მომხმარებელი, თუმცა ტრანსპორტის ამუშავებასთან ერთად, რადიო ძველ ნიშნულს დაუბრუნდა როგორც მსმენელების ასევე შემოსავლების მიმართულებითაც. რადიოს ჰყავს ლოიალური აუდიტორია.

თუმცა, ყველაფერი მაინც არ ყოფილა სრულად ნეგატიური. გამოკითხული ჟურნალისტები პანდემიის პოზიტიურ მხარეებზეც მიუთითებდნენ. აუდიტორიის გაზრდილი მოცულობა (63%), მომხმარებლების მზარდი ჩართულობა (38%) - ეს საზოგადოების უკუკავშირის პოზიტიური ტენდენციებია, დადებითი დინამიკაა ნაჩვენები ჟურნალისტთა პროფესიული უნარების მიმართულებითაც: გამოკითხულ ჟურნალისტთა 61% მიუთითებს ანგარიშვალდებულების მომატებულ აუცილებლობაზე.

გამოკითხულთა 43%-მა თქვა, რომ მათ იგრძნეს აუდიტორიის გაზრდილი ნდობა მათი ჟურნალისტური პროდუქტისა თუ მედიაორგანიზაციის მიმართ პანდემიის პირველი ტალღის დროს. 38%-მა აღნიშნა აუდიტორიის პოზიტიური ჩართულობა, ხოლო 61%-მა კი ყურადღება მიაპყრო მათი პროფესიული დანიშნულებისა და მისიის გაზრდილ მნიშვნელობას.

ეს შედარებით ოპტიმისტური მიგნებები შეიძლება აღმოჩნდეს რეალური გასაღები (კარიბჭე) პოსტპანდემიური ჟურნალისტიკისათვის, როგორც პროფესიულ მისიაზე დამყარებული და აუდიტორიის ინტერესებზე ორიენტირებული საჯარო საქმიანობის ხელახალი სუნთქვისთვის. - ვარაუდობენ ავტორები.

„ჰიბრიდული“ გამოსავალი

კოვიდ 19-ის პანდემიამ შეცვალა ადამიანების ცხოვრება მთელ მსოფლიოში, მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ვირუსის დრამატული გავლენის პარალელურად, მან მთლიანად შეარყია საზოგადოების ცხოვრების ჩვეული მიმდინარეობა, მათ შორის, რადიკალურად შეცვალა ფუნქციონირების, საქმიანობის დღის წესრიგი და ოფისების როლი. როდესაც ქვეყნების მთავრობებმა პირველი ლოკდაუნი გამოაცხადეს, მედიასაშუალებებს მოუწიათ ახალ რეალობასთან სწრაფად ადაპტირება და თანამშრომლების დისტანციურ მუშაობაზე ოპერატიულად გადაყვანა.

ზოგიერთი მაუწყებლობა, ახალი ამბების სააგენტო და გაზეთიც კი იწარმოებოდა დისტანციურად მომუშავე გუნდების მიერ, რაც ალბათ წარმოუდგენელი გვეგონა პანდემიამდე. სხვა პროფესიების მსგავსად, მედია ინდუსტრიის წარმომადგენლების ყოველდღიურობაშიც ბუნდოვანი გახდა საზღვარი სამსახურებრივ და საშინაო საქმიანობას შორის.

ლოქდაუნების მოხსნის შემდეგ, ოფისებმა, სადაც უსაფრთხოების ზომების დაცვა შესაძლებელი იყო, მუშაობა განაახლა. მედიასაშუალებები სრული დისტანციური მუშაობიდან ახალ ჰიბრიდულ ფაზაში გადავიდნენ. (ჰიბრიდული მუშაობა - სხვადასხვა სამუშაო გარემოში მონაცვლეობის პრაქტიკა, როდესაც ზოგიერთი თანამშრომელი მუშაობს ოფისში, ნაწილი კი რჩება სახლში). დადგა დრო, როცა მედიაკომპანიებმა უნდა გააკეთონ არჩევანი, მუშაობის რა ფორმებს სთავაზობენ თანამშრომლებს, იპოვონ ბალანსი საქმის მოთხოვნებსა და მომუშავე პერსონალის უსაფრთხოებასა და მათ საჭიროებებს შორის. შვედურმა გამოცემამ, Dagens Nyheter-მა ჩაატარა გამოკითხვა, საიდანაც გაირკვა, რომ „რედაქციის ათი თანამშრომლიდან ცხრა მომავალშიც დისტანციურად მუშაობის გაგრძელების მომხრეა, თუმცა ამასთან, გარემოებების გათვალისწინებით, ასევე სიამოვნებით იმუშავებენ ნიუსრუმშიც“, - ამბობს გამოცემის მენეჯერის მოადგილე რედაქტორი მატილდა ე. ჰანსონი. Dagens Nyheter-ის ხელმძღვანელობამ, გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, გამართა შეხვედრა კოლექტივთან, სადაც შეთანხმდნენ, რომ დისტანციური მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ არა უსასრულოდ და ეს დამოკიდებული იქნება შესაბამის ვითარებაზე. ჰანსონმა ხაზი გაუსვა თანამშრომლებთან ღია და გამჭვირვალე ურთიერთობისა და კომუნიკაციის მნიშვნელობას, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები და დგება შეთანხმება, რომ შესაძლოა გეგმები შეიცვალოს, ვირუსთან დაკავშირებული ბუნდოვანების გამო.

მსხვილ მედია ორგანიზაციებში, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა დეპარტამენტსა და გუნდს განსხვავებული პრიორიტეტები აქვს, აირჩიეს მიდგომა, რომლის

დროსაც მენეჯერებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რა არის საუკეთესო მათი გუნდისთვის, რამდენ ხანს ან/და როდის უნდა იყვნენ ოფისში: „ჩვენ დიდ ნდობას ვუცხადებთ ჩვენს გუნდს. ლიდერებმა და მენეჯერებმა შეადგინონ ის, რაც საუკეთესოა მათი გუნდებისთვის, რადგან გუნდების მოთხოვნები ძალიან განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რას აკეთებენ ისინი, - თქვა ქეთი ლოიდმა, BBC News & Current Affairs-ის განვითარების დირექტორმა. მედიაზე პანდემიით მიყენებული ზიანის შესწავლა და ახალი შესაძლებლობების წარმოჩენა იყო კიდევ ერთი მასშტაბური კვლევის საგანი. როიტერსის ინსტიტუტმა ოქსფორდის უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა კვლევა, რომელიც 42 ქვეყნის 132 მაღალი რანგის მედიამენეჯერის გამოკითხვასა და სიღრმისეულ ინტერვიუებს ეყრდნობა. ანგარიშში მოცემულია ინიციატივების ნიმუშები, რომლებიც განხორციელდა პანდემიით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად ავსტრალიიდან ზიმბაბვემდე, კოლუმბიიდან მალაიზიამდე.

პირველი და უმთავრესი მიგნებაა „ჰიბრიდული საქმიანობის“ გარდაუვალობა. მკვლევარები მიუთითებენ, რომ ამგვარი სინთეზი მალე გახდება სტანდარტი, ნორმა მედიასაშუალებების თანამშრომელთათვის. მედიაინდუსტრიის ამოცანად კვლავ რჩება პროფესიონალი კადრების მოზიდვა და მრავალფეროვნების დეფიციტის აღმოფხვრა.

რესპონდენტთა უმრავლესობა (70%) ამბობს, რომ მოქნილმა მუშაობამ საინფორმაციო ორგანიზაციები უფრო ეფექტიანი გახადა. იძულებითი დისტანციური მუშაობის დროს ჩატარებული ონლაინ შეხვედრები ხშირად უფრო ხანმოკლე და საქმიანი იყო, ხოლო მგზავრობის დროის შემცირებამ გაათავისუფლა დრო უფრო პროდუქტიული მუშაობისთვის.

ახალ რეალობაზე აქტიური გადაწყობის მიუხედავად, ბევრი მედიამენეჯერი ჰიბრიდული მუშაობის არასრულფასოვნებაზე წუხს. მათი მთავარი არგუმენტი სამი კ-ს პრინციპს ეფუძნება. მენეჯერები ამბობენ, რომ შერეული ფორმატი კრეატიულობის, კომუნიკაციისა და კოოპერაციის დილემას აჩენს.

„როიტერსის“ მედია ამბების სტრატეგიის რედაქტორი, ჯეინ ბარეტი მიუთითებს, იძულებითი დისტანციური მუშაობის შედეგად „კავშირის“ გაქრობაზე. ის „კავშირს“ უწოდებს მეოთხე კ-ს, რომელიც გარდაუვლად აუცილებელია რედაქციის მუშაობაში დანარჩენ სამ კ-სთან ერთად: კოოპერაციას, კრეატიულობასა და კომუნიკაციასთან ერთად: „ძნელია ადამიანებთან კონტაქტი სხეულის ენის გარეშე და თითქმის შეუძლებელია კომპიუტერის ეკრანიდან მომზირალ კოლეგებთან ურთიერთობის ენერგეტიკის შექმნა,“ - ამბობს ბარეტი.

„კორონავირუსის პანდემია არ არის არც სკანდალური ახალი ამბავი, არც სენსაცია. ეს არის მოვლენა, რომელსაც ყველა, მათ შორის ჟურნალისტებიც, ვგრძნობთ საკუთარი სხეულით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით; გვეხება ჩვენ, ახლობლებს, ოჯახებს. ამიტომ, პირველი, რაც სწრაფად უნდა დაგვეძლია, იყო სწორედ ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური მომენტი. ეს მალე მოგვეხსნა, რადგან ემოციები და გრძნობები ყოველთვის არ არის საქმეში კარგი თანამგზავრი,“ - ამბობს ირინა დეკანოიძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ გვერდის მთავარი რედაქტორი. ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენლები უცხოელი კოლეგების მსგავსად, ფსიქოემოციურ ფაქტორს, ყალბი ამბების გავრცელების მომატებული რისკს, სოციალური იზოლაციასა და ვირუსით რეალურად დაინფიცირების რისკს გამოყოფენ. პირადი ინფორმაციის გასაჯაროების რისკი - ეს იყო მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც პანდემიის დასაწყისში „იმედინიუსი“ აღმოჩნდა. „პანდემიამდე არ გვქონდა იმის გამოცდილება, რომ შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ყველა კანონით კონფიდენციალურია, გასაჯაროვდეს, თანაც ისე, რომ ეს არ ჩაითვალოს მისი უფლებების დარღვევად, - ამბობს მთავარი რედაქტორი, თამარ ნეფარიძე, - როდესაც საქართველოში პირველ ცნობილ ადამიანს დაუდასტურდა კორონავირუსი და ამის შესახებ ინფორმაციამ კულუარებიდან გამოჟონა, მაგრამ თავად ან მისი ოჯახის წევრები დუმდნენ, აღმოვაჩინე, რომ არ ვიცოდი ასეთ დროს როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ერთი მხრივ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო საჭირო იყო საზოგადოებაში არსებულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, მეორე მხრივ, არ უნდა დარღვეულიყო პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა“.

როგორც შემდგომმა დღეებმა აჩვენა, კორონავირუსმა შეცვალა ყველაფერი, მათ შორის მედიის მუშაობის წესებსა და სტანდარტებშიც შეიტანა გარკვეული კორექტივები. რაც ადრე პირადი ინფორმაციის დარღვევად ითვლებოდა, შემდეგ ეს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი პირობა გახდა. კიდევ უფრო მოგვიანებით, ერთგვარ კამპანიადაც იქცა იმის აღიარება, რომ ადამიანი კოვიდინფიცირებულია ან ის, რომ მან დაამარცხა კორონავირუსი. შესაბამისად, კოვიდინფიცირებულთა შესახებ ინფორმაციის

გავრცელება არათუ პირადი ინფორმაციის გამჟღავნება, არამედ სიცოცხლისთვის ბრძოლის ნაწილად იქცა. ამავე დროს დაიმსხვრა სტიგმა, რომ თუნდაც გადამდები ინფექციის შესახებ ხმამაღლა საუბარი სირცხვილია.

დეზინფორმაციის მომატებული საფრთხე პანდემიის დროს არც ქართული მედიისთვის ყოფილა უცხო. ისეთ დროსაც კი, როდესაც საკითხი ადამიანის სიცოცხლეს ეხება, ყალბი ამბის მსხვერპლი შეიძლება ნებისმიერი მედიასაშუალება აღმოჩნდეს. ჩვენი რესპონდენტები ფაქტების გადამოწმებისა და ვერიფიკაციის მრავალფეროვან ხერხს მიმართავდნენ, თუმცა უპირველესი მაინც ჯანდაცვის უწყებებსა თუ სამედიცინო სამკურნალო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტი და კოორდინაცია იყო. „თუ გადამოწმების და დადასტურების საშუალება არ იყო, არ იწერებოდა ნიუსი, - იხსენებს ირინა დეკანოიძე, - გვქონდა ასეთი შემთხვევაც კი, როცა ექიმმა ერთ-ერთ პაციენტზე კომენტარისას პირდაპირ თქვა, რომ მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდებოდა... რა თქმა უნდა, ეს კომენტარი ნიუსად არ ქცეულა“.

გამოწვევა, რომელიც შესაძლებლობად იქცა ქართული მედიასაშუალებებისათვის, დისტანციური მუშაობა იყო. სახელდახელო რეჟიმში მოხერხდა ტექნიკური უზრუნველყოფა, ასევე, თანამშრომლების მიერ სამუშაო გარემოსა და ოჯახის შეთავსება და ახალ გამოწვევასთან ადაპტაცია.

მედიამენეჯერები მიიჩნევენ, რომ ონლაინ მედიისთვის დისტანციურად მუშაობა რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობაა. შემცირდა სამსახურში დაგვიანება სატრანსპორტო საცობების გამო, ხოლო თანამშრომლებს დაეზოგათ 1-2 საათი მგზავრობის დრო, სატრანსპორტო და კვების ხარჯები. შესაძლებელი გახდა ნებისმიერი წერტილიდან მუშაობა, რაც სამუშაოს შესრულების ხარისხზე არანაირად აისახება, დასაქმებულის სამუშაო გარემოს კი მნიშვნელოვნად ცვლის და გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა. ამავე დროს თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ მუდმივად იყოს უშუალო ვიზუალური და ხმოვანი კავშირი თანამშრომლებს შორის, რაც ერთი მხრივ ქმნის ჩვეულებრივ სამუშაო გარემოს, მეორე მხრივ კი დაცულები არიან დაავადებების გავრცელებისგან, ხალხმრავლობით გამოწვეული უჰაერობისა და ხმაურისგან.

სატელევიზიო პროდუქტმა ციფრული მაუწყებლობის პროდუქტისკენ კოვიდამდეც გადადგა დიდი ნაბიჯები, თუმცა თუ პანდემიამდე საინფორმაციო საშუალებები აქეთკენ ბუნებრივად მიდიოდნენ, ახლა ნახტომის გაკეთება მოუხდათ. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისებისა და მედიასაშუალებების მიერ მათი ადაპტირების კონსერვატიული პროცესი ერთგვარად დაჩქარდა.

ოფისებში დაბრუნებული ახალი ამბების რედაქციები ცდილობენ, ახალ რეალობას მოარგონ ოფისები, განაახლონ სამუშაო სივრცე და ტექნოლოგიები, გადახედონ თანამშრომელთა კონტრაქტებს, გადატვირთონ და მოქნილი გახადონ მთელი სამუშაო პროცესი. მედიამფლობელები, გამომცემლები და მენეჯერები ცდილობენ, მოიზიდონ ტექნოლოგიებისა და ციფრულ მონაცემთა მცოდნე თანამშრომლები ან/და შეინარჩუნონ ისინი.

დღეს ახალი ამბების რედაქციები ფიქრობენ, როგორ აღმოფხვრან ნაკლოვანებები, დაიცვან თანასწორობის პრინციპი, მოიზიდონ მეტი ინოვაცია, გახდნენ უფრო მრავალფეროვანნი, იყვნენ უფრო მოქნილი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დინამიკა და ადამიანების ცხოვრების ტემპის აჩქარება, თავისთავად მოითხოვს ამ მიმართულებით ქცევის და ფორმატის ცვლილებებს. კოვიდის პერიოდმა, მისგან ჟურნალისტებზე განხორციელებულმა პრესმა ამ მიმართულებით მედიასაშუალებებს გარკვეული ნაბიჯები გადაადგმევინა კიდეც; გაძლიერდა ვებ და სოცმედია მიმართულებები, რიგ შემთხვევაში ჩაიდო კიდეც ინვესტიცია და შეიქმნა იმ სიღრმის კომპეტენცია, რომელიც ახლა უფრო მოკლე და გრძელვადიანი პერიოდისათვის მედიასაშუალებას გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანს გახდის.

როგორც ჩანს, ჰიბრიდული მომავალი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ, დისტანციური მუშაობის ფორმა. ეს არის ერთგვარი ოპერაციული მოდელი, სადაც სამუშაო სრულდება ადგილმდებარეობის მითითების გარეშე, სადაც ცოდნა და ნიჭიგამოიყენებაუფროეფექტიანად,სადაციერარქია ნაკლებად ფორმალურია და ურთიერთობაში სხვადასხვა ჯგუფია ჩართული. გამოწვევების მიუხედავად, ჩანს რეალური შესაძლებლობები, რომ ჟურნალისტებმა შეძლონ სიღრმისეული კვლევა, გახდნენ მეტად ინკლუზიურები, უფრო დაუახლოვდნენ აუდიტორიას და იყვნენ რელევანტურები პროცესების მიმართ.

ეფექტიანი ჰიბრიდული მუშაობა მოითხოვს უფრო მკაფიო წესებს, ალგორითმებს, გრაფიკებს, რასაც მენეჯერებისა და თანამშრომლების ტრენინგები და გადამზადებაც სჭირდება. გასაუმჯობესებელი და დასახვეწია ონლაინ ინსტრუმენტების ხარისხი ვიდეო და აუდიო

კონფერენციების ჩათვლით. პოსტპანდემიურ რეალობაში მედიასაშუალებებს სჭირდებათ უფრო სტრუქტურირებული და დოკუმენტირებული კომუნიკაცია, ვიდრე ეს იყო წარსულში, სპონტანური ონლაინ მუშაობის დროს. მედიასა-შუალების საქმიანობა დაზღვეული უნდა იყოს ხარვეზებისაგან, რაც შეიძლება მოიტანოს შერეულმა მუშაობამ - ნაწილობრივ ოფისიდან და ნაწილობრივ - სახლიდან. როდესაც თანამშრომლები თანაბრად არ არიან წარმოდგენილი ოფისში. მნიშნელოვანია როლების განაწილებაც, თანამშრომელთა რესურსების თანაბრად გამოყენება. არსებობს რისკი, რომ ჰიბრიდულმა მუშაობამ შეცვალოს თანასწორობის პრინციპიც. პრევენციული ზომები უნდა გატარდეს თანამშრომელთა გადინების პრევენციისათვის, და პირიქით, შეიქმნას შესაძლებლობები კვალიფიციური და მაღალპროფესიონალური პერსონალის მოსაზიდად.

დასკვნა

პანდემიის რთულმა ვითარებამ ძალზედ რთული კითხვები გააჩინა, რომელზეც მარტივი პასუხები არ არსებობს და დიდი ძალისხმევაა საჭირო მათ მოსაფიქრებლად. ამდენად, გამოწვევებს თანმიმდევრულად და ეტაპობრივად, სწორად დაგეგმილი სცენარით უნდა უპასუხონ, თანამშრომელთათვის შექმნან ისეთ პირობები, რომ ოფისში სრულად დაბრუნებულ თანამშრომლებს ნიუსრუმი არ დახვდეთ ისეთი, როგორიც პამდემიამდე ახსოვთ, არამედ დახვდეთ უკეთესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://news.un.org/ru/story/2021/04/1401912?fbclid=IwAR0GQ4vJv1XFen96zX5Idt-stoYvOHyiHYB7bYi4lOQLKWy_3Xksf0gPGet4
2. https://whatsnewinpublishing.com/key-to-reimagining-post-pandemic-journalism-how-the-challenges-unleashed-by-the-pandemic-have-also-unveiled-real-opportunities/?fbclid=IwAR0mp3-C6W6hsS7LsT-mo_iYIYiApx2HCEc_3n1vkX_yhiDTlELupF93z-Sg
3. https://www.icfj.org/our-work/journalism-and-pandemic-survey
4. https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/changing-newsrooms-2021-hybrid-working-and-improving-diversity-remain-twin-challenges-publishers?fbclid=IwAR2HdIL58YsDb5hQhABFq4HwFy8-5YGrW-E4Bn5-dcvr8KENrCC9XdhXxAWE
5. https://www.instyle.com/celebrity/christiane-amanpour-cnn-essay?fbclid=IwAR1GHkG_ZmrywrVxYqB-GK0We5OVjAPG6XuCIGXPmywlVpUbTwg6be31fMY4

Media Challenges and Opportunities in Pandemic Conditions

Maia Tabagari
Associate Professor at Grigol Robakidze University
School of Humanities and Social Sciences

Summary

A pandemic is actually a kind of stress test for an information communication systems. These systems must fulfill their primary mission of responding to the needs of informing the public in a difficult and unpredictable environment. Due to the unrestricted flow of information, doing so is challenging. The main task in the process of receiving, processing, preparing and disseminating news is to save the information itself and find the right ways to deliver it. The public demands news and with it, a new tone of conversation.

The new information age has brought us many completely new things. The good thing, of course, is the infinity of the information; with certain skills and abilities you can find everything you need. But there is also a downside - the modern information space has virtualized everything - on the one hand, it has overshadowed the role and func-

tion of journalism, on the other hand, it has created fertile ground for uncontrolled circulation of fake news.

The pandemic as a stress test for journalism turned out to be truly global. It can also be called a media event - when people have to and even would like to get news about this event.

In the first stage of the coronavirus, the media won even in the sense that the interest of citizens in this new, unusual and, moreover, still unknown virus has increased. Television and the Internet, not the cinemas or nightclubs, became beneficiaries of the public interest at this time.

For the first time in recent years, a large proportion of young people have switched to television, but this behavior did not last long and soon changed. Returning to its former habit - young people again turned to the Internet, mostly social networks, while the elderly remained loyal to Television.

In the early stages of the pandemic, TV and online video services reached their maximum: total audience growth reached 53 percent during quarantine. However, then it started to fall and return to the previous mark. Maintaining popularity and viewership of TV series, the young audience again moved away from the TV screen and again switched to networks where it remains successful to this day.

კომუნიკაციის ინტერაქციული ბუნება და მისი ლინგვოპრაგმატიკა

ნანა გაბადაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

სტატია „კომუნიკაციის“ ინტერაქციული ბუნება და მისი ლინგვოპრაგმატიკა“ შედგება ორი საკითხისაგან – „კომუნიკაციური ინტერაქციის მაპროვოცირებელი სეგმენტი“ და „კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციული სეგმენტი“. მასში ნაჩვენებია, რომ კომუნიკაციის ფენომენის ინტერპრეტაციისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონტაქტის სემას. კომუნიკაციის დიალოგურ სტრუქტურას ვერ უარყოფენ ავტოკომუნიკაციის არსებობის მომხრეებიც კი. საკუთარ თავთან საუბრის დიალოგურობაზე მეტყველებს ისეთი ტერმინის არსებობა, როგორიცაა “alter ego”. ასევე განხილულია კომუნიკაციის მონაწილეთა როლებრივი პარტიტურა კითხვა-პასუხის დიალოგური მთლიანობის ფარგლებში. კომუნიკატთა ინტენციები შეიძლება გამოვლინდეს ადრესატის რეაქციაში, როგორც თავად კითხვის შინაარსთან, ისე ადრესანტის მიმართვის ფორმასა და პიროვნებასთან.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპონსივების პრაგმატული მნიშვნელობები გარკვეულ სისტემას ქმნიან, რომლის ფარგლებში ისინი თავისი ენობრივი (სამეტყველო) მნიშვნელობების რეალიზებას ახდენენ. მოცემული სისტემა წარმოადგენს ცენტრისა და პერიფერიის ოპოზიციას. ცენტრში განლაგებულია ბირთვული რესპონსივები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო მოვლენის იმანენტურ ბუნებას შეადგენენ. ცენტრთან უფრო ახლოს განლაგებულია რესპონსივების ის პრაგმატული ვარიანტები, რომლებიც დაკავშირებულია რესპონსივების ირიბ მნიშვნელობებთან და კონვენციონალიზაციის ტენდენციას გამოხატავენ. პერიფერიაზე განლაგებულია დაბალი სიხშირის მქონე რესპონსიული მნიშვნელობები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეულ სამეტყველო სიტუაციებში რესპონსიული სამეტყველო აქტების როლში გამოსვლა.

როგორც ცნობილია, ენობრივი განვითარების პროცესები საკმაოდ დინამიკურია, და მათი შედეგია სისტემაში ცალკეული ერთეულების ადგილისა და როლის ახლებურად გააზრება. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ სისტემის პერიფერიაზე მყოფი მოვლენები შეიძლება ცენტრისკენ გადაადგილდეს (შესაბამისი პირობების არსებობის შედეგად). მსგავს პროცესებს შეიძლება დავაკვირდეთ კითხვის პრაგმატული მნიშვნელობების სისტემაში, სადაც კითხვითი ფორმის მქონე კონვენციონალიზებული სტრუქტურები ბევრი მეცნიერის მიერ ეროთეტიკული სამეტყველო აქტების სრულუფლებიან წევრებად აღიქმება და მოიაზრება, როგორც მითითებული სისტემის ბირთვული სტრუქტურის კომპონენტები.

რესპონსიული სამეტყველო აქტების პრაგმატული მნიშვნელობების იერარქია შეიძლება სქემატურად გამოვსახოთ. ჩვენი გაგებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კითხვით ნაწილთან კავშირის ხასიათს, რომელიც ადრესატის რეაქციას განაპირობებს.

საკვანძო სიტყვები: პრაგმატიკა, რესპონსივები, ლინგვისტიკა, კონვენციონალიზმი, სამეტყველო აქტები, სიტუაციურობა

შესავალი

კვლევა გვიჩვენებს, რომ რესპონსივების კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს მათი კატეგორიალური ნიშნები. პასუხი წარმოადგენს სამეტყველო რეაქციას შეკითხვით გამოწვეულ კაუზატორზე. რესპონსივების მსგავსი ინტერპრეტაციისას ჩვენ გვექმნება შესაძლებლობა გავმიჯნოთ სამეტყველო აქტის პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობები. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის „პასუხი“ გამოვარჩიოთ „საპასუხო რეაგირების“ სხვა ტიპებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოხატული იყოს სხვადასხვა კინესიკური საშუალებებით და უფრო რთული საკომუნიკაციო ქმედებითაც კი – ანუ საქციელით. უნდა შეგახსენოთ, რომ „საპასუხო რეაგირების“ ფორმები ყოველთვის არ კაუზირდება შეკითხვით, რაც კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც რესპონსივების სპეციფიკასთან არის დაკავშირებული. ამ უკანასკნელთა ონტოლოგიურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს რეაგირების სამეტყველო ფორმა, რომელიც მას სემიოტიკური ექვივალენტებისგან (თავის დაქნევა, ჟესტი, საკომუნიკაციო დუმილი და სხვ.) განასხვავებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონსივების სემიოტიკური ექვივალენტების ტაქსონიმიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელთათვის ენის სწავლების პროცესში. სამწუხაროდ, წინამდებარე

კვლევის ფარგლებში ჩვენ არ გვაქვს საშუალება უფრო ვრცლად გავჩერდეთ მოცემულ პრობლემაზე, ვინაიდან ეს ძირითადი თემისგან გადახვევის რისკს ქმნის.

წარმოადგენენ რა დიალოგური მთლიანობის ნაწილს, რესპონსივები, როგორც აღნიშნული იყო, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კითხვით ნაწილთან. დიალოგურ ტექსტში ბმულობის გამოვლენის სპეციფიკას თავისი თავისებურებები აქვს და რიგ ფაქტორზეა დამოკიდებული: ურთიერთობის ბალანსზე, რომელიც სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს მოიცავს და რესპონდენტის კომუნიკაციურ სტრატეგიას განსაზღვრავენ, აგრეთვე კაუზაციის აზრობრივი ან ფორმალური მხარეზე (კითხვითი წინადადებაზე).

ძირითადი ნაწილი

როგორც აღინიშნა, დიალოგური ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია „ურთიერთობის ბალანსი", რომელიც კომუნიკანტთა სოციალურ და ფსიქოლოგიურ კოორდინაციის ასპექტებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო დიალოგური ურთიერთობის ტიპში მაკაუზირებელ ფაქტორად კითხვითი ნაწილი გამოდის, ადრესატი მრავალ შემთხვევაში გვევლინება, როგორც სრულიად დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც სურვილიდან გამომდინარე შედის ან არ შედის ადრესანტთან კონტაქტში.

სიტუაციები, როდესაც ადრესატმა შეიძლება უარი თქვას პასუხზე, შეიძლება საკმაოდ მრავალი იყოს, თანაც მოტივაცია ყოველთვის როდია საჭირო. ჩვენ გვგონია, რომ მოტივაცია მსგავს შემთხვევაში შეიძლება შევაფასოთ როგორც საპასუხო რეაგირების თავისებური ფორმა. ამ უკანასკნელის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი შემთხვევების გამოყოფა: 1) კოოპერაციის სრული იგნორირების ან არამოტივირებული უარის; 2) მოტივირებული უარის. (1 გვ.10)

კოოპერაციის თავისებურ ტაქტიკურ მოტივებად შეიძლება ჩაითვალოს განმეორებით კითხვა, თემის შეცვლა. ფორმით კოოპერაციულად, მაგრამ არსებითად არაკოოპერაციულად შეიძლება მივიჩნიოთ შემთხვევები, როდესაც ადრესატი შეგნებულად ამახინჯებს ინფორმაციას, აბუჩად იგდებს ადრესანტს, ირონიას მიმართავს და ა.შ.

სრული ინტეგრირების შემთხვევები უპირატესად დაკავშირებულია ისეთ შემთხვევებთან, როდესაც ადრესანტი და ადრესატი ან საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს, ან დაძაბულ ურთიერთობებში არიან. ადრესატი შეიძლება გააღიზიანოს ადრესანტის არაკორექტულობამ ან ფამილარულობამ. იგნორირება შეიძლება დაკავშირებული იყოს ინფორმაციის გაცემის სურვილის უქონლობასთან და ა.შ. პასუხზე არამოტივირებული უარის თქმა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს როგორც თავაზიანობის კოდექსის დარღვევა. მეორე მხრივ, არამოტივირებული უარის თქმა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება განიხილებოდეს როგორც პროტესტის თავისებური ფორმა და გამოხატავდეს უპატივცემლობას, წყენას. გარკვეულ შემთხვევებში მსგავსი იგნორირება შეიძლება ადრესატის სულიერ მდგომარეობასთანაც იყოს დაკავშირებული.

„პასუხებსა" და „არაპასუხებს" შორის შუალედურ ადგილს პასუხისგან მოტივირებული უარის თქმის შემთხვევები იკავებს. აქ შესაძლოა შემდეგი ტიპის სხვადასხვა შემთხვევები: „ეს საიდუმლოა", „არ არის საჭირო იცოდე", „გაიზრდები, გაიგებ", „სამწუხაროდ, ვერ გეტყვი", „სამწუხაროდ, ძალიან მეჩქარება", „არ მინდა შენთან ურთიერთობა", „არ მაქვს უფლება" და ა.შ. (2. გვ. 20)

პერლოკუციური ეფექტის ქმედითობის თვალსაზრისით კითხვაზე რეაქცია შეიძლება საპასუხო რეაგირების სხვადასხვა სტრატეგიებს ეყრდნობოდეს: თანაგრძობა, თანაგრძნობის არარსებობა, იგნორირება. უკანასკნელ კატეგორიას ჩვენ ზემოთ შევეხეთ, მაგრამ მას ახალი პარადიგმის ფარგლებში მნიშვნელობის სხვა ნიუანსებიც შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ იგნორირების ისეთ ფორმას ვგულისხმობთ, როგორიცაა „გულგრილობა". ეს უკანასკნელი თავისებური პასუხია კითხვაზე, რომელიც კაუზაციაზე ადრესატის თვალსაზრისს გამოხატავს და პოზიტიურად (თანაგრძნობა) და ნეგატიურად (თანაგრძნობის არარსებობა) შეფერილ რეაქციებს უპირისპირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსგავს გულგრილობას შეიძლება „კოოპერაციული იგნორირება" ეწოდოს.

როგორც ცნობილია, კონცეპტი „გულგრილობა" „სემანტიკური პრიმიტივების" რიცხვს განეკუთვნება, რომელიც „მენტალური ენის" ლექსიკონს შეადგენენ. როგორც ს. ა. გოლუბცოვი აღნიშნავს: „გულგრილობას ძალუძს გამოვიდეს როგორც აქსიოლოგიური შეფასების ლოგიკის, ისე გრძნობების ლოგიკის ოპერატორი...

ჩვენ მასალასთან მიმართებაში ეს ნიშნავს, რომ მსგავსი რეაქცია შეიძლება როგორც ეროთეტულ აქტს განეკუთვნებოდეს, ისე ადრესანტს.

ე. თოფურია გვიჩვენებს, რომ გულგრილობის მაჩვენებლები ქართულ ენაში რამდენიმე ჯგუფს ქმნიან:

ა) მოდალური ალტერნატივის არჩევის მიმართ გულგრილობის ფუნქციური კლასი;

ბ) სუბიექტში ობიექტზე ემოციური რეაქციის არარსებობის მქონე ჯგუფი;

გ) „სუსტი გულგრილობის“ თემატური ჯგუფი. აქვე განიხილება ავტორის მიერ „ნაცრისფერი ზოლი“, ე. ი. საშუალოობას მიკუთვნებული მოვლენები. ნეიტრალური მოდალობის მაჩვენებლები თვითშეფასების ფუნქციაში გამოიყენება.

რაც შეეხება „გულგრილობის“ პრობლემას ურთიერთობის ბალანსის პრობლემასთან დაკავშირებით შევეხეთ და შევუპირისპირეთ მას ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „თანაგრძნობა“ და „თანაგრძნობის არარსებობა“.

„გულგრილობის“ კატეგორიას როგორც ინტერაქციის ნულოვან კატეგორიას განვიხილავთ, რომლის ფონზე ვლინდება ადრესატის დადებითი („თანაგრძნობა“) და უარყოფითი („თანაგრძნობის არარსებობა“) დამოკიდებულება.

ადრესანტის მიმართ თანაგრძნობიანი დამოკიდებულება ვლინდება იმაში, რომ ადრესატი მასთან კონტაქტში შედის. მსგავსი კონტაქტის „ნებაყოფლობითობა“ შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. ადრესატის მხრიდან კითხვაზე პასუხის ჭეშმარიტი სურვილის გარდა, შესაძლებელია შემთხვევები, როდესაც ის ამას სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ აკეთებს: ეტიკეტის ნორმების, სოციალური სტატუსის, შიშის და ა.შ. გავლენით. შესაბამისად, საპასუხო რეაქციების ჭეშმარიტება მსგავსი „ნებაყოფლობითი კოოპერაციისას“ ყოველთვის არ არის აბსოლუტური და გარკვეულ შემთხვევებში დეზინფორმაციის მიზეზს წარმოადგენს.

ფორმის მიხედვით საკმაოდ კორექტული რეაგირებისას შეიძლება ადრესანტის მიმართ საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება იმალებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ირიბი სამეტყველო მნიშვნელობები შეიძლება რესპონსივებსაც ჰქონდეთ.

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ ურთიერთობის კოოპერაციული ფონი, რომელიც საპასუხო რეაგირების სამ ტაქტიკას მოიცავს: 1) თანაგრძნობას; 2) თანაგრძნობის არარსებობას; 3) იგნორირებას; 4) გულგრილობას.

შეკითხვის ფორმულირებისას ადრესანტი ადრესატის შესაძლო რეაქციებს გეგმავს და პროგნოზის შესაბამისად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიას: ასტიმულირებს პასუხს ეტიკეტის ნორმების დაცვით, მიმართავს ემოციურ და ინტელექტუალურ ფაქტორებისადმი აპელაციას, ცდილობს ადრესატზე ზემოქმედება მოახდინოს „ძლიერი პოზიციით“ და ა.შ. როგორც აღვნიშნეთ, ურთიერთობის ბალანსი საპასუხო რეაგირების სამ ტაქტიკას მოიცავს: 1) ადრესანტის პიროვნებიდან; 2) მიმართვის ფორმიდან და 3) თავად ინფორმაციიდან გამომდინარე. (3. გვ.50)

სამივე ფაქტორი შეიძლება საფუძვლად დაედოს რესპონსივის განსაზღვრებას, თუმცა კლასიკური გაგებით პასუხი მესამე ვარიანტი იქნება. ადრესანტის პიროვნებისადმი დამოკიდებულება ურთიერთობის კოოპერაციული რეგისტრის არჩე-ვანს განსაზღვრავს, ხოლო მიმართვის ფორმა მნიშვნელოვანწილად აისახება ადრესატის სურვილზე შევიდეს ან არ შევიდეს კონტაქტში და შეიცავს რეაქციას ტაქტიკაზე, რომლის მეშვეობითაც ადრესანტი აპირებს სასურველი საპასუხო რეაგირების მიღწევას.

თავად საკითხის შინაარსისადმი დამოკიდებულება რეალიზდება კითხვის ოთხელემენტიან მოდელზე რეაქციის ფარგლებში. კონკრეტული მასალის ანალიზმა მოგვცა საშუალება გამოვავლინოთ რესპონსივების სხვადასხვა მნიშვნელობა.

რესპონსივ-ინფორმატივები წარმოადგენენ ინფორმაციას დასმული საკითხის ირგვლივ და რეალიზდება რესპონსივებისთვის სპეციფიკური სტრუქტურებით: დიახ/არა ფორმის მიხედვით, ე.წ. არასრული წინადადებებით, რომლებსაც ჩვენ რესპონსივების ნორმატულ ვარიანტად, „ვის” სტრუქტურაზე სარკისებური პასუხის შემცველ წინადადებებად ვთლით.

კითხვების ირიბ პრაგმატულ მნიშვნელობებზე რეაქციებს შორის ყველაზე ტიპიურია რეაქციები ირიბ თხოვნებზე, რჩევებზე, ბრძანებებზე და ა.შ. საინტერესოა, რომ საპასუხო რეაგირების ტაქტიკას მსგავს შემთხვევებში სპეციფიკური ხასიათი აქვს და „რესპონსივ-ინფორმატივების“ ტაქტიკისგან განსხვავდება. თუ კითხვების ტიპიურ „კლასიკურ“ ტიპებზე რეაქციას ფიქსირებული ენობრივი სტანდარტი აქვს, კითხვით ფორმაში გამოხატულ კაუზატორებს თავისი სპეციფიკა გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Макаров М.Л. Интерпретативный анализ дискурса в малой группе. Тверь, 1998.
2. Kaplan B. Selected Works 1993.
3. Топурия Э. Избранные труды. – Т., 2004.

Interactive nature of „communication“ and its linguopragmatics

Nana Gabadadze
Doctor of Philological Sciences

Summary

The second chapter: “Interactive nature of “communication” and its linguopragmatics” consists of two sections: “Provoking segment of communication interaction” and “Reactive segment of communication interaction”. It is shown that during communication phenomenon intepretation special importance is attached to contact seme. Even the supporters of autocommunication existence can’t reject the dialogue structure of communication. The presence of such a term, as “alter ego” is, points at the dialogueness of speaking to self (soliloquium). In the same chapter there is considered a role score of communication participants within a dialogue integrity of question/answer. Communicants intentions may be manifested in addressee’s response, regarding both question content itself and the form of address and personality of the addressant.

It should be noted that pragmatic meanings of responsives create a certain system, within frameworks of which they actualize their linguistic (speech) meanings. The given system is an opposition of center and periphery. In the center, there are disposed nuclear responsives, which comprise immanent nature of the event interesting for us. Closer to center there are disposed those pragmatic options of responsives, which are associated with indirect meanings of responsives and show the tendency toward conventionalisation. At the periphery there are located low-frequency responsive meanings, which are able to play the role of responsive speech acts in certain speech situations.

As is known, linguistic development processes are quite dynamic, and are resulted in newly comprehension of place and role of separate units in the system. In given case we bear in mind a fact that events located at system periphery may shift to the center (as a result of availability of appropriate conditions). Similar processes can be observed in the system of pragmatic meanings of question, where conventionalized structures of interrogative form are perceived by many scientists as full-fledged members of speech acts and are conceived as components of the nuclear structure of the mentioned system.

The hierarchy of pragmatic meanings of responsive speech acts may be represented schematically. In our opinion, we have to pay special attention to the nature of linkage with interrogative part that predetermines addressee’s reaction.

keywords: pragmatic, responsives, conventionalisation, speech acts, situations

თამაშდამოკიდებულების ზიანის შემცირების გზები თვითკონტროლის და სოციალური კონტროლის თეორიული პერსპექტივიდან

ნათია აბულაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

იაშა კუტუბიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია აზარტულ თამაშობებზე დამოკიდებულების პრობლემა, მისი რისკ-ფაქტორების შემცირების გზები სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული კვლევის პერსპექტივიდან. სხვა ქცევითი ადიქციებისგან განსხვავებით, საკმაოდ რთულია თამაშდამოკიდებულების ფენომენის ახსნა და მისი პრევენციული მიდგომის შემუშავება. რაიმე ნივთიერებაზე დამოკიდებულების მაგივრად, აქ სახეზეა კონკრეტული ქცევის რეგულარულად განხორციელების, დაუძლეველი სურვილი. აზარტული თამაშობები, თანამედროვე ეტაპზეც საზოგადოებრივი დისკურსის ნაწილს წარმოადგენს და მკაფიო ამბივალენტურობა ვლინდება, როცა საქმე ეხება ეკონომიკურ სარგებელსა და სოციალურ ზიანს-ადამიანური კაპიტალის დანაკარგს. (ბოლქვაძე.ბ, 2021, გვ.14) სტატიაში ასევე განხილულია თამაშდამოკიდებულების განვითარების რისკ-ფაქტორები, პრობლემის მართვის და ზიანის შემცირების საშუალებები სხვადასხვა თეორიული მოდელიდან გამომდინარე. აზარტულ თამაშობებზე დამოკიდებულების მოსალოდნელი ზიანის შემცირება თვითკონტროლის და სოციალური კონტროლის თეორიის მიხედვით შეიძლება აიხსნას. სოციალური კონტროლის თეორია ადამიანისმიერადიქციურიქცევისგანხორციელების მიზეზად მოიაზრებს მის ბუნებას, რომელიც კონტროლის გარეშე, მიდრეკილია სწორედ მსგავსი ქცევებისკენ. ინდივიდები, რომლებიც სოციალური ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, აქვთ გარემოსთან და საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირი, ნაკლებად ცდილობენ გაწყვიტონ ეს სოციალური კავშირები და განახორციელონ დელიქვენტური ქცევა. (ბანძელაძე.თ, 2022, გვ.26) „სოციალიზაცია არ არის სრულყოფილი, თუ საზოგადოების წევრთა საქციელის რეგულირება და ნორმებისადმი მორჩილება ავტომატურად არ ხდება.“ (კალჰუნი.ქ, ლაითი.დ, კელერი.ს, 2008, გვ.250) წინააღმდეგ შემთხვევაში არაფორმალურ და ფორმალურ სოციალური კონტროლის მექანიზმებს მიმართავენ. ადამიანური ქცევა იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია მას მხოლოდ ბიოლოგიური ახსნა მოვუძებნოთ. უდიდეს როლს თამაშობენ გარემო ფაქტორები, თუ როდის შეიძლება გამოვლინდეს ეს თვისება. ბავშვები, რომლებიც ანტისოციალურ, ფსიქიკური აშლილობის მქონე ოჯახის წევრებთან იზრდებიან, თვითკონტროლის უნარს მოკლებულნი არიან. მხოლოდ რეგულაციების არსებობა შედეგს ვერ მოიტანს, აქ აუცილებელია ინტეგრაციული კომპონენტის არსებობა. საზოგადოება ცდილობს კავშირების მოძებნას, ხოლო ინდივიდი აკავებს შინაგანად დელიქვენტურ ქცევას. სოციალური კონტროლიც სწორედ ამ შინაგანი და გარეგანი მექანიზმების კომბინაციას წარმოადგენს.(Hirschi.T, Schreck.CH, 2009, გვ 2)

საკვანძო სიტყვები: თამაშდამოკიდებულება, თვითკონტროლის თეორია, სოციალური კონტროლის თეორია, ზიანის შემცირება.

შესავალი

თამაშის ისტორია საუკუნეებს ითვლის, მათი უმრავლესობა შეჯიბრებას, პაექრობას გულისხმობდა, რომელშიც ვლინდებოდა მოთამაშის ემოციური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობები, თუმცა გარკვეულწილად წარმოადგენს შემთხვევითობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ადამიანთა მოდგმის აღსანიშნად შემოიღეს ტერმინი „Homo Sapiens”, ანუ გონიერი ადამიანი. მალევე ამ ტერმინის გვერდით გაჩნდა „Homo Faber”, „ადამიანი-მკეთებელი“. დასავლური კულტუროლოგიის და კულტურის ისტორიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჰოლანდიელმა მეცნიერმა იოჰან ჰაიზინგამ თავის ნაშრომში „Homo Ludens” შემოიღო ტერმინი „მოთამაშე ადამიანი.“თამაში კულტურაზე და შემოქმედ ადამიანზე ძველია. „თამაში მეტია, ვიდრე წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენა ანდა ფიზიოლოგიურად განსაზღვრული ფსიქიკური რეაქცია. თამაში, როგორც ასეთი, სცილდება წმინდა ბიოლოგიური თუ წმინდა ფსიქიკური მოღვაწეობის საზღვრებს. იგი საზრისის მქონე ფუნქციაა.“ (ჰაიზინგა.ი, 2004, გვ.8-10) უნდა

აღინიშნოს, რომ სახეობის, აღწერილობის და კლასიფიკაციის მიხედვით თამაშები სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა: კომერციული, აზარტული, ინტელექტუალური, სპორტული.(ჯოჯუა.კ, 2012, გვ.5) სტატიაში ძირითადი აქცენტი, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრობლემის მასშტაბების შემცირებაზე იქნება.

„აზარტული თამაში გულისხმობს ფულის ან რაიმე მატერიალური ღირებულების საგნის ფსონად დადებას გაურკვეველი შედეგის მქონე აქტივობაზე დამატებითი ფულის ან მატერიალური საგნის მოგების განზრახვით“ (ქუთელია.ლ, 2020, გვ.10) სანამ აზარტულ თამაშობებს მიიჩნევდნენ, როგორც ზიანის შემცველ აქტივობად, თამაშთან დაკავშირებულ პრობლემებს განიხილავდნენ სხვადასხვა მხატვრულ ლიტერატურაში თუ რელიგიურ ქადაგებაში, ფილმებსა და სიმღერებში. შემდგომში მოხდა მისი, როგორც დაავადების კონცეპტუალიზაცია. თამაში წარმოადგენს პიროვნების ერთ-ერთ სერიოზულ ქცევით აშლილობას, რომელიც საჭიროებს პრევენციას და შემდგომ უკვე მკურნალობას და რეაბილიტაციას. თამაშისადმი მიზიდულობა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი იმდენად მძაფრია, რომ დამოკიდებული ადამიანი მოკლებულია ოჯახის წევრებზე ზრუნვის თუ პასუხისმგებლობის შეგრძნებას.

ძირითადი ნაწილი

დღესდღეობით, აზარტულ თამაშობებზე დამოკიდებულების პრობლემის მართვამ მეცნიერული ხასიათი მიიღო. 2018 წელს ონტარიოს ექსპერტთა ინტერდისციპლინარულმა გუნდმა მოახდინა აზარტული თამაშობების კლასიფიკაცია და კონკრეტული კონცეპტუალური ჩარჩოს დადგენა:

- კომერციული აზარტული თამაში- მნიშვნელოვან ფულად დანაკარგს განიცდიან მოთამაშეები პროვაიდერების მიმართ.
- პირადი სახის აზარტული თამაშობები- როგორც წესი ძირითადად მოიცავს ფსონების დადებას არაფორმალურ სოციალურ გარემოში.
- რეკრეაციული აზარტული თამაში - თამაში გართობის, უარყოფითი ემოციების, სტრესის და დაძაბულობის მოხსნის მიზნით.
- არალეგალური აზარტული თამაში-კომერციულისგან განსხვავებით, არალეგალური თამაშების პროვაიდერები არ არიან კანონის წინაშე პასუხიმგებელნი და ე.წ „იატაკქვეშა“ საქმიანობით ხასიათდება.
- გეიმინგი-ხშირად გემბლინგის სინონიმად გვხვდება ლიტერატურაში, თუმცა სრულიად არ აღნიშნავს ერთსა და იმავე აქტივობას. გეიმინგი მოიცავს ძირითადად კომპიუტერულ, ვიდეო თამაშებს და შემთხვევითობის პრინციპს არ ემყარება. ის მეტად არის მოთამაშის უნარებსა და შესაძლებლობებზე დამოკიდებული.

„აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებული აშლილობა კომორბიდობის მაღალი ხარისხით ხასითდება ისეთ ფსიქიკურ აშლილობებთან, როგორებიცაა: ნივთიერების მოხმარების აშლილობები, დეპრესიული აშლილობები, შფოთვითი და პიროვნული აშლილობები“ (ქუთელია, 2020, გვ. 22). საზოგადოებაზე აზარტული თამაშობების გავლენა არაერთგვაროვანია და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: ქვეყნის განვითარებაზე, აზარტული თამაშობების სახეობებზე, რეკლამაზე, მოთამაშეთა სოციალურ პორტრეტზე, სათამაშო ბიზნესის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე[1], მათ ინვესტიციებზე და ა.შ. სათამაშო ბიზნესის მიერ საკუთარი პროდუქტის რეკლამირების, გაყიდვის და განვითარების ტექნიკები და პროცედურები ხშირად სრულიად ეწინააღმდეგება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ამოცანებს.

პრობლემის მართვა და ზიანის შემცირება იწყება პირველადი პრევენციით, რაც ზოგადი პოპულაციის გადარჩენას ისახავს მიზნად დამოკიდებულების განვითარებისგან. თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სპეციალისტების უდიდესი ნაწილი აღნიშნავს, რომ რესურსი და ძალისხმევა სასურველია მოხმარდეს უმეტესწილად პირველადი პრევენციის განხორციელებას, რადგან შემდგომში მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემები გაცილებით უფრო დიდია და რეაბილიტაცია ურთულეს პროცესს წარმოადგენს. თამაშდამოკიდებულების პრობლემა მრავალგანზომილებიანია და მისი მართვისა და გადაჭრის უმთავრესი წინაპირობა სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობით მსჯელობაა. თვითკონტროლი, უმთავრესად პიროვნული მახასიათებელია, რომელიც ცხოვრებისეული გამოწვევების მიმართ მოწყვლადობას განსაზღვრავს. დაბალი თვითკონტროლის უნარის მქონე ინდივიდები ტრევის ჰირშის თეორიის მიხედვით, გაცილებით მეტად ავლენენ პრობლემურ

1 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა-გულისხმობს ბიზნესის კეთილ ნებას, საკუთარი საქმიანობით არ მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანებსა და ბუნებრივ გარემოზე და წვლილი შეიტანოს საზოგადოების კეთილდღეობაში.

ქცევას და გარემო პირობების მიმართ მეტად მოწყვლადნი არიან. ისინი გაცილებით მეტად არიან საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულნი. ეს შესაძლებელია აიხსნას აღზრდის დროს დაშვებული შეცდომებით, რაც გულისხმობს სითბოს, მზრუნველობის ნაკლებობას და ემპათიის უნარის არქონას ოჯახის და მშობლების მხრიდან. (Hirschi.T, Schreck.CH, 2009)

დასკვნა

რაც შეეხება სოციალური კონტროლის თეორიას, ანტისოციალური ქცევის, დამოკიდებულების განვითარების წინაპირობად არა ინდივიდუალურ ფაქტორებს, არამედ სოციალურ გარემოცვას მიიჩნევს. ამ თეორიის მიმდევრები ფიქრობენ, რომ გარემოცვა ხდება მაპროვოცირებელი ფაქტორი იმისა, რომ ადამიანი საზოგადოების სოციალური მოლოდინებისგან განსხვავებულ, დელიქვენტურ ქცევას ახორციელებს. კონფორმულობა უზრუნველყოფს ნორმების დაცვას, ნორმების დაცვა კონტროლის მექანიზმების გზით ხორციელდება. ფსიქოლოგები, დევიანტურ ქცევას, ხშირ შემთხვევაში ხსნიან სხვების მიმართ გულცივი დამოკიდებულებით. კონტროლის თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ოჯახური კავშირები და სიყვარული პირდაპირ კორელაციაშია დელიქვენტური ქცევის განხორციელებასთან. მათი კვლევების მიხედვით, ბავშვის მშობელთან ემოციური კავშირები ხელს უწყობს სამართალდამრღვევებს შორის სისუსტეს და აქედან გამომდინარეობს დასკვნაც, რომ ოჯახური კავშირები უდიდეს ზეგავლენას ახდენს როგორც ბავშვის სოციალიზაციაზე, ისე განამტკიცებს მის სამომავლო კონფორმულობას საზოგადოების მიერ მიღებული წესების მიმართ.

საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მჭიდრო კავშირი, ასევე დელიქვენტური ქცევის კარგად დასაბუთებულ მაჩვენებელს წარმოადგენს. სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებიც დადებით კავშირს ავლენენ სკოლის და მასწავლებლების მოსაზრებების მიმართ, როგორც წესი ნაკლებად არიან დელიქვენტური ქცევის მქონე.

სოციალური და თვითკონტროლის მექანიზმები, გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. მაგალითად ინდივიდმა, რომელსაც აქვს ძლიერი თვითკონტროლის უნარი, შესაძლოა ნაკლებად განახორციელოს პრობლემური ქცევა, რადგან გარკვეულწილად გრძნობენ წნეხს საზოგადოების მხრიდან და კონფორმულები არიან სოციეტალური მოლოდინების მიმართ.(Hirschi.T, Schreck.CH, 2009, გვ.3)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბანძელაძე.თ, „პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობის ფსიქოსოციალური ფაქტორები ქართველ მოზარდებში“, თბ.2022
2. ბოლქვაძე.ბ, „სათამაშო ბიზნესი და ეკონომიკა“, თბ.2021, გამომცემლობა „საარი“
3. კალჰუნი.ქ, ლაითი.დ, კელერი.ს „სოციოლოგია“, თბ.2008
4. ქუთელია.ლ, „აზარტული თამაშები-რას გვეუბნება ადიქციის მეცნიერება“, თბ.2020
5. ჯოჯუა.კ, „მოგების დრო აზარტულ თამაშებში“, თბ.2012
6. ჰაიზინგა.ი, „კაცი-მოთამაშე“, თბ.2004
7. Hirschi.T, Schreck.CH, “Social control theory”, 2009
8. www.csrgeorgia.com „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია“, თბ.2002

The ways of reducing harm associated with gambling behavior from the perspective of Self-control and Social control theories

Natia Abuladze, PHD student
Georgian Technical University

Iasha Kutubidze, professor
Georgian Technical University

Summary

The article explores the issue of gambling addiction and proposes ways to reduce its associated harms from the perspective of self-control and social control theories. Compared to other behavioral addictions, gambling is a complex phenomenon that is difficult to understand, and primary prevention approaches are not well-established. Individuals with gambling addiction have an insatiable desire to engage in specific behaviors regularly. In contemporary society, gambling is a subject of ongoing social discourse, given that it can generate substantial economic profits but often at the cost of significant social harm, such as the loss of human capital.

The article discusses the risk factors of gambling addiction and ways to reduce the associated harms through practical research and theoretical perspectives. Self-control and social control theories can explain the predictable negative results and harm reduction associated with gambling. The social control theory suggests that addictive behavior arises from an individual's personality, which directs them to engage in such behavior without control. Individuals with high social integrity, who have close connections with society, are less likely to engage in delinquent behavior.

Environmental factors play a significant role in shaping human behavior, and children who grow up in an antisocial environment or with family members who have mental disorders often lack self-control abilities. It is essential to have an integrative component in place for effective regulation of gambling behavior. The society's role is to provide connections and support for individuals to abstain from delinquent behavior. Social control is a combination of internal and external mechanisms.

In summary, the article discusses the ways to reduce the harm associated with gambling behavior from the perspective of self-control theory. The social control theory explains how individuals with high social integrity are less likely to engage in delinquent behavior, and environmental factors play a significant role in shaping human behavior. It is important to have an integrative component to regulate gambling behavior effectively.

Key words: Gambling, Self-control theory, Social control theory, The harm reduce ways.

დეზინფორმაციასთან ბრძოლა მედიაწიგნიერების საშუალებით (მედიაჰიგიენა, როგორც მედიაგანათლების ტექნოლოგია)

ლიანა ჩარკვიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

21-ე საუკუნეში საინფორმაციო საზოგადოებას მსოფლიოში არსებობის საკუთარი წესები აქვს დამკვიდრებული. უდავოა, რომ ინფორმაცია არის ყველაზე გავრცელებული პროდუქტი, რომელსაც კაცობრიობა მოიხმარს. ამიტომ მასზე მოთხოვნაც ყოველთვის მაღალი იყო. განსაკუთრებით გაიზარდა მისი როლი და მნიშვნელობა დღევანდელ პირობებში. ინფორმაციაზე მოთხოვნა გავლენას ახდენს არა მხოლოდ მისი გავრცელების საშუალებებზე, ტიპებზე, არამედ მის მთავარ ამოცანაზე, არსზე. მედიაგარემოში არის ინფორმაციის ნაკადების მიზანმიმართული გავლენა ადამიანების ღირებულებებზე, განსჯაზე, მოსაზრებებსა და ქცევაზე.

დღეს მსოფლიოში განსაკუთრებით მავნებლურია ინფორმაციით მანიპულირების ურთულეს პრობლემებთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტა. ერთის მხრივ ეს გამოწვეულია და კვებავს მასობრივი მედიასაშუალებების ანგაჟირებულ, ზოგჯერ ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, ხოლო ეს, მეორე მხრივ, ნეგატიურად აისახება მოქალაქეების სოციალურ მოქმედებაზე, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების მომენტში. ჩვენს ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა, სამწუხაროდ, ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს მედიის საშუალებით ავთენტური, ნამდვილი სანდო ინფორმაციის მიწოდებას. არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა გამოვიმუშავოთ სხვადასხვა თანამედროვე მიდგომა, რათა თავი დავიცვათ მასმედიაში გავრცელებული დამნაშავეობრივი და ანტისახელმწიფოებრივი ინფორმაციის ზეგავლენისგან.

მედიაწიგნიერება არის სწორედ ის საშუალება, რომელიც ამაში დაგვეხმარება. ის განიხილება, როგორც პიროვნების ინფორმაციული უსაფრთხოების კომპონენტი მედიაგარემოში მზარდი დაძაბულობის, მავნე ინფორმაციის გავრცელების კონტექსტში.

მედიაგანათლების ტექნოლოგიებს შორის ერთ-ერთია მედიაჰიგიენა, იგივე ფაქტჩეკინგი (ფაქტების შემოწმება).

მედიაჰიგიენის ტექნოლოგიის ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალისტებისათვის. ეს არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული ინფორმაციის სისწორის ასახვას და მისი სწორი ინტერპრეტაციის უზრუნველყოფას. შეიძლება ვთქვათ, რომ ის წარმოადგენს ჟურნალისტის პროფესიულ აუცილებლობას, რადგან ჟურნალისტის არასაკმარისი პროფესიული კომპეტენცია შეიძლება ყალბი ინფორმაციის გავრცელების მიზეზი გახდეს. ამიტომ ყველა ჟურნალისტი ფაქტჩეკინგის ტექნოლოგიას განსაკუთრებულად კარგად უნდა ფლობდეს.

წინამდებარე სტატიაში მედიაჰიგიენა გაანალიზებულია როგორც გარკვეული ბარიერი დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ, ჩამოთვლილია ამ ტექნოლოგიის ინსტრუმენტები, რომლებიც გვეხმარება ფაქტების გადამოწმებაში.

საკვანძო სიტყვები: „მედიაწიგნიერება“, „მედიაგარემო“, „დეზინფორმაციასთან ბრძოლა“, „მედიაგანათლების ტექნოლოგია“, „მედიაჰიგიენა“, „ფაქტჩეკინგი“.

შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიების, კერძოდ, ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ საშუალება მოგვცა ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ჩვენი პლანეტის ნებისმიერ ადგილას ხდება, რამდენიმე წამში გავიგოთ, ამ მოვლენის ეპიცენტრიდან ათასობით კილომეტრის დაშორებითაც კი. ინტერნეტმა, წარმოუდგენელ მასშტაბებამდე დააჩქარა, როგორც ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელების პროცესი, ასევე, გააფართოვა მისი აღქმის შესაძლებლობები.

დღეს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ტემპი გადავიდა მედიის აქტივობებსა და ინფორმაციის გაცვლის პროცესებზე. ის, რაც ხდება გარკვეულ სივრცეში, ინფორმაციის მომხმარებლამდე რამდენიმე წამში აღწევს. ამიტომ საზოგადოებაში შეიქმნა ინტერაქტიული გარემო, რომელშიც მოსახლეობას აქვს ინფორმაციის გაცვლაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

თანამედროვე ადამიანს სიახლე არ უნდა გამოეპაროს, რადგან მისი გადაწყვეტილებები, დამოკიდებულებები, ყოველდღიურობა სწორედ იმ ინფორმაციაზეა დამოკიდებული, რომელსაც უკვე ყოველწამიერად, ძალიან დიდი დოზით ისრუტავს. ამ ვითარებაში მეორეხარისხოვანი გახდა გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანი ხომ უშუალოდ აღიქვამს თავის გარშემო არსებულ სიგნალებს, მათ შორის ინფორმაციას. ადამიანი ყოველთვის ორიენტირებული არ არის იმაზე, სწორია თუ არა ინფორმაცია, რომელსაც იღებს ან გადასცემს, ამიტომ ღებულობს მას ბრმად, სჯერა მისი. თუ გაუმართლებს, სწორ ინფორმაციას იღებს, ხოლო თუ არ გაუმართლებს, დეზინფორმაციის მსხვერპლი ხდება. მსხვერპლი ზუსტი სიტყვაა, რადგან დეზინფორმაცია სხვადასხვა მიზნებისთვის და ინტერესებისთვის იქმნება და მასზე მომუშავე ადამიანების ამოცანა ადრესატების ემოციებით მანიპულირება, კონფლიქტების გაღვივება, ჯანსაღი საზოგადოებრივი პროცესების ხელშეშლა, ზოგჯერ გარშემომყოფების სიცოცხლისთვის პირდაპირი საფრთხის შექმნაცაა.

დეზინფორმაციის გავრცელებას განსაკუთრებით ხელს უწყობს სოციალური მედია, რადგან ის შესაძლებელს ხდის მომხმარებელთა შორის ინფორმაცია გაიცვალოს ყოველგვარი ფილტრაციის, გადამოწმებისა თუ რედაქტირების გარეშე. ცრუ მედია პროდუქტი და სანდო მედია ერთსა და იმავე სიბრტყეზე განიხილება. ისეთი ინტერნეტ პლატფორმები, როგორიცაა Google და Facebook მომხმარებელთათვის მიწოდებული ინფორმაციის ნაკადს აკონტროლებენ ალგორითმების მეშვეობით, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ პოსტებს, რომლებიც უფრო მეტ გამოხმაურებას იწვევს - ანუ ახალისებენ ზუსტად იმ ეფექტს, რა მიზნითაც იქმნება მცდარი ინფორმაცია. ეს იწვევს საზოგადოებაში სიცრუის - ყალბი ინფორმაციის გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ დღეს არამარტო ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში, არამედ სერიოზული ელექტრონული მედიის სიახლეებში, განსაკუთრებით საინფორმაციო საიტებზე, საკმაოდ ბევრია დეზინფორმაცია. ცრუ ინფორმაციამ, რომელსაც შეცდომაში შევყავართ, შეიძლება უარყოფითად აისახოს აუდიტორიის ცნობიერებაზე და ძირი გამოუთხაროს ადამიანებს შორის ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს, საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსა და წესებს, გამოიწვიოს ღირებულებებისა და ტრადიციების რღვევა.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მედიამომხმარებელმა ყოველთვის გადაამოწმოს ინფორმაციის ხარისხი და სანდოობა, რათა არ მოექცეს დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ და თვითონაც არ გახდეს ყალბი ამბებისა და პროპაგანდის გამავრცელებელი.

დეზინფორმაციის პრობლემა უმნიშვნელოვანესი თემაა თანამედროვე ჟურნალისტიკისათვის.

ძირითადი ნაწილი

დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ გზად განიხილავენ მარეგულირებელი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც ონლაინ პლატფორმებს მათ მიერ შექმნილი ინფორმაციის შინაარსზე უფრო მეტ პასუხისმგებლობას დააკისრებს. უნდა აღინიშნოს, რომ ცრუ ინფორმაცია რაოდენ დამაზიანებელიც არ უნდა იყოს, არ არის უკანონო. შესაბამისად, შეუძლებელია მათი გავრცელების გამო პასუხისმგებლობა დაეკისროს კონკრეტულ ადამიანს თუ ონლაინ პლატფორმას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი ინფორმაცია შეიცავს სიძულვილის ენის, ძალადობის წაქეზების, საავტორო უფლებების დარღვევის ან ცილისწამების ელემენტებს.

აღსანიშნავია ევროკომისიის რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავს ონლაინ პლატფორმების მიერ სიძულვილის ენის შემცველი შინაარსის სწრაფ აღმოჩენას და წაშლას (აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ დირექტივა და ინტერნეტში უკანონო სიძულვილის ენასთან ბრძოლის ქცევის კოდექსი). ევროკავშირის მიერ შექმნილი სტრატეგიული კომუნიკაციების სამუშაო ჯგუფი, შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსების მიუხედავად, ასევე მიზნად ისახავს დეზინფორმაციის მზარდი ტალღისა და ევროკავშირის საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის წინ აღდგომას. ანალოგიურად, ჩეხეთში შეიქმნა პოლიციის სააგენტო, რომელიც ახდენს სოციალურ მედიაში გავრცელებული დეზინფორმაციის და სხვა „ჰიბრიდული საფრთხეების" სკრინინგს. რადიკალურ მეთოდს მიმართა საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა 2017 წლის აპრილში, როდესაც თავისი საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა აუკრძალა ორ რუსულ საინფორმაციო საშუალებას - Russia Today-სა და Sputnik-ს.

სახელმწიფოს მიერ საზოგადო ინტერესის დაცვისთვის საკანონმდებლო რეგულირების გზა აირჩია გერმანიის მთავრობამ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი

რეგულაციებით, შესაძლოა, უსაფრთხო, სანდო ინტერნეტის ნაცვლად მივიღოთ ცენზურა, რითაც სიტყვის თავისუფლება შეიზღუდება.

ამას გარდა, არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც დეზინფორმაციის შემქმნელთა ქსელების იდენტიფიცირებას ახდენენ და ყოველდღიურად მუშაობენ, რათა ინტერნეტში შესვლისას სულ უფრო ნაკლები ადამიანი იქცეს მსხვერპლად. საქართველოში არაერთი ასეთი ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მუშაობის პროცესში ისინი, ადამიანურ რესურსთან ერთად დეზინფორმაციის მასშტაბების სიდიდის გამო, არაერთ ტექნოლოგიურ პროდუქტს იყენებენ (ხშირ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტის ჩართვით); თუმცა არ არსებობს ქართულენოვანი ხელსაწყო, რომელიც სწრაფად მზარდ პლატფორმებზე დეზინფორმაციის მონიტორინგს გახდიდა შესაძლებელს. ამის მიზეზი ის არის, რომ ქართული ენისათვის ასეთი ხელსაწყოების შექმნა გართულებულია, რადგან მსოფლიოში ქართულენოვანი მომხმარებელი ცოტაა და შესაბამისად, ტექნოლოგიური გიგანტები (მაგალითად, Google), ყალბი ამბების ამოსაცნობად ქართულენოვანი ხელსაწყოების შექმნაზე ნაკლებად მუშაობენ.

მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ კიბერსამყარო დღითიდღე ვითარდება, იზრდება ონლაინ რესურსების პოპულარობა. ადამიანის დაცვა ინფორმაციის თავისუფალი ნაკადისგან შეუძლებელი ხდება, ამავე დროს, უმჯობესდება პროპაგანდისტული პრაქტიკა, დეზინფორმაციის გამავრცელებელი ჯგუფები ახალ არხებს პოულობენ, სადაც მათი კონტროლი რთულდება. შესაბამისად, იზრდება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების რისკები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, დეზინფორმაციასთან ბრძოლის უპირველეს საშუალებად რჩება მედიაწიგნიერება - 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი უნარი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდის (სოციალური ჯგუფის) ზოგადი ინფორმაციული უსაფრთხოების კომპონენტად. თანამედროვე ადამიანი არა მხოლოდ თავისუფლად უნდა მოძრაობდეს მიღებული ინფორმაციის უწყვეტ ნაკადში, არამედ მან უნდა შეძლოს ინფორმაციის სწორად აღქმა და გადაცემა, მისი კრიტიკულად შეფასება, მიღებულ ინფორმაციაზე ადეკვატური რეაგირება, რაც თავისთავად ყალბი ამბების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას და მათგან მომდგარი შესაძლო ზიანის თავიდან აცილებას გულისხმობს.

„სწორი განათლება აუცილებელია დეზინფორმაციის პრობლემის გადაწყვეტისთვის, რადგან ხშირად მომხმარებლები ერთმანეთს უზიარებენ კონტენტს მხოლოდ მისი სათაურის წაკითხვის შემდეგ, ინფორმაციის წყაროს სანდოობაზე კი ძალიან ცოტა ფიქრობს. ეს კულტურული პრობლემაა, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა ფასეულობებში, ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ წესწყობილებაში. ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ონლაინ დეზინფორმაციისა და მისი გავლენის შესახებ დებატების დროს არ გამოგვრჩეს იმ ქვეტექსტების ანალიზი, რის გამოც ინდივიდებს სჯერათ ცრუ ინფორმაციის და არ ენდობიან მეინსტრიმულ მედიას“, - წერდა „სამართლიანი არჩევნების” ვებ-გვერდზე ამ ორგანიზაციის სტაჟიორი ლაციოდან ვიტორია ძანელატი, რომელიც ამ საკითხებზე საკუთარ კვლევით პროექტზე მუშაობდა.

დეზინფორმაციასთან ბრძოლის სამი საშუალებიდან პირველ ადგილზე მედიაწიგნიერებას აყენებს უილიამ დუნბარიც, USAID Information Integrity Program-ის

დირექტორის მოადგილე, წარსულში კი ჟურნალისტი, მკვლევარი და კონსულტანტი. „ყალბი ნარატივების საფუძველშივე ჩახშობა, სანამ მათ გავრცელებას შეძლებენ, გამჭვირვალობის გაზრდა და აუდიტორიის დახმარება, რათა მათ ყალბი ამბების იდენტიფიცირება დამოუკიდებლადაც შეძლონ“, - ასე განმარტავს დუნბარი მედიაწიგნიერების არსს. მედიაწიგნიერი ადამიანი მედიაგანათლების ხანგრძლივი და მუდმივი პროცესის შედეგად ხდება.

მედიაგანათლების მრავალ ტექნოლოგიებს შორის, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი მედიაწიგნიერი ხდება, ერთ-ერთია მედიაჰიგიენა, იგივე ფაქტჩეკინგი (ფაქტების შემოწმება).

მედიაჰიგიენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალისტებისათვის. ის არის ჟურნალისტიკის ანა-ბანა, წარმოადგენს ჟურნალისტის პროფესიულ აუცილებლობას და არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული ინფორმაციის სისწორის ასახვას და მისი სწორი ინტერპრეტაციის უზრუნველყოფას.

2018 წლის იუნესკოს სახელმძღვანელოში „Journalism, fake news & desinformation: handbook for journalism education and training” მოყვანილია აშშ-ს ნიუ-იორკის შტატის სენატორის, ინდოეთსა და გაეროს ელჩის დენიელ პატრიკ მოინიჰანის (Daniel Patrick Moynihan) ცნობილი გამონათქვამი: „ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი აზრი, მაგრამ არა საკუთარი ფაქტები“.

ფაქტი საერთოა ყველასათვის, მისი პრივატიზირება, შეცვლა და არასწორად ინტერპრეტაცია არ შეიძლება. ეს ძალიან კარგად უნდა ახსოვდეს ჟურნალისტს და მან ყოველთვის უნდა გამიჯნოს მოსაზრება და ფაქტი, რომლის გადამოწმება ყოველთვის შეიძლება მოსაზრებისგან განსხვავებით.

ფაქტჩეკინგის განხორციელების შესახებ ინფორმაცია ბევრ ლიტერატურაში შეიძლება მოვიძიოთ, მაგალითად, მედია და ინფორმაციული ლაბორატორიის (MilLab) ონლაინ პლატფორმაზე, მედიის განვითარების ფონდის საიტზე და სხვ.

ფაქტჩეკინგისთვის შეიძლება იყოს გამოსადეგი ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა Image Search და TinEye (ფოტოების გადამოწმებისათვის), FotoForensics ვებსაიტი (სურათზე გრაფიკული ცვლილებების შემოწმებისთვის) და Amnesty International-ის YouTube Data Viewer ინსტრუმენტი (ვიდეოებისთვის).

Washington Post-ის რედაქტორების მიერ შექმნილია სპეციალიზებული პროექტები და სერვისები: Storyful.com, FactCheck.org, PolitiFact.com და The Fact Checker. ვებგვერდის შინაარსის შემოწმებისთვის შექმნილია: Trooclick, Truth Goggles, Lazy Truth, Skeptive, Genius, CrossCheck-ის პლატფორმა, რომელზეც მოცემულია ყოველი გამოქვეყნებული მასალის შინაარსის სანდოობის ანალიზი მისი სარედაქციო ლოგოს ტიპის ან რესურსის ლოგოთი. ბოლო-ბოლო შესაძლებელია ისეთი მარტივი ვებ ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა Yandex ან Google საძიებო სისტემები. მათი საშუალებით მოწმდება სათაურები, ტექსტის გარკვეული ფრაგმენტები ან ფრაზები.

დასკვნა

ყალბი ფაქტები ამახინჯებს ადამიანის შეხედულებას სამყაროს შესახებ, მათი ავტორები კი საკუთარ პოზიციას ახვევენ ადამიანებს მათი მანიპულირების მიზნით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მანიპულაციური გავლენისადმი მდგრადობის ჩამოყალიბებას, მოქალაქეთა ცნობიერებაზე, სოციალურ-პოლიტიკური დისკურსის შინაარსზე, დამახინჯებულ ლოკალურ და გლობალური დღის წესრიგის ფორმირებაზე მედიის გავლენის შესაძლო მექანიზმების გაგებას შევძლებთ მედიაწიგნიერებით, რომელიც მიიღწევა მედიაგანათლების მუდმივი პროცესით სხვადასხვა ტექნოლოგიების, მათ შორის მედიაჰიგიენის, იგივე ფაქტჩეკინგის გამოყენებით.

საეჭვო მონაცემების ყოველდღე შემოწმების ჩვევა იძლევა ინფორმაციული დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას, აქცევს ყველას ინფორმაციის უფრო ცნობიერ მომხმარებლებად. მედიაჰიგიენის ძირითადი პრინციპების დაცვა ეხმარება მედია მომხმარებელს ფაქტების მოსაზრებებისგან განსხვავებასა და საინფორმაციო გარემოში მანიპულაციის წინააღმდეგობის გაწევაში, იცავს მას თაღლითებისგან, არ პროპაგანდისტების სატყუარად. ხოლო ჟურნალისტებს ის დამატებით ეხმარება არა მხოლოდ ახალი ამბების, არამედ ანალიტიკური მასალების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეზინფორმაციასთან გამკლავება წინასაარჩევნოდ - არის თუ არა ონლაინ რეგულირება შესაძლო გამოსავალი? https://www.isfed.ge/geo/blogi/ dezinformatsiastan-gamklaveba-tsinasaarchevnod-aris-tu-ara-onlain-regulireba-shesadzlo-gamosavali
2. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 10 მარტის №2010/13/EU დირექტივა (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი NL 95/1, 15.10.2010) https://www.comcom.ge
3. მედიაწიგნიერების სახელმძღვანელო
4. https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo- tsesebi1/article/712985
5. მედიაწიგნიერების გზამკვლევი. როგორ ვებრძოლოთ მანიპულაციას და ყალბ ინფორმაციას. http://mdfgeorgia.ge/uploads/library/69/file/Guidelines-web.pdf
6. მედია და ინფორმაციული წიგნიერების სწავლება. http://mdfgeorgia.ge/uploads/library/105/file/media_da_informaciuli_wignierebis_swavleba.pdf
7. ჟურნალისტიკა, "ყალბი ამბები" და დეზინფორმაცია: ჟურნალისტიკის სწავლებისა და ტრენინგის სახელმძღვანელო, UNESCO. 2021
8. ჟურნალისტიკა, "ყალბი ამბები" და დეზინფორმაცია: ჟურნალისტიკის სწავლებისა და ტრენინგის სახელმძღვანელო, UNESCO. 2021. გვ. 78

9. Sala de lectură. Potențialul și perspectivele Educației pentru media au fost discutate în cadrul a șase masterclassuri la Moldova Media Literacy Forum (მედიაგანათლება - წარმატების გასაღები ამ გაუგებრობებისა და გაურკვევლობის ზვავში). https://educatia.mediacritica.md/ro/2022/12/09
10. Н.Ф.Муратова, Н.К.Тошпулатова, Г.Б.Алимова. Fake News: Дезинформация в
11. медиа. Пособие для студентов направлений журналистики и массовых коммуникаций. Ташкент – "Инновацион ривожланиш нашриёт-матбаа уйи", 2020
12. Основы медиагигиены: как сейчас читать СМИ, пользоваться соцсетями и не
13. сойти с ума. https://daily.afisha.ru/cities/22656-osnovy-mediagigieny-kak-seychas- chitat-smi- polzovatsya-socsetyami-i-ne-soyti-s-uma/

Fighting Disinformation through Media Literacy (Media Hygiene as a Technology of Media Education)

Liana Charkviani, PhD student.
Technical University of Georgia

Supervisor: Temuri Jagodnishvili, professor.
Georgian Technical University

Summary

In the 21st century, the Information-Oriented Society has established its own rules of existence in the world. There is no doubt that information is the most common product consumed by the mankind. Therefore, the demand on it is always very high. Nowadays its role and importance have been particularly increased. The demand on the information affects not only the means and types of its dissemination, but also its main point and objectives. There is a targeted influence of information flows on people's values, judgments, opinions, and behavior in the media environment.

In today's world, it is particularly harmful to solve problems related to the most difficult problems of information manipulation. On the one hand, this is caused and feeds the engaged, sometimes anti-government activity of the mass media, and on the other hand, it has a negative impact on the social action of citizens, especially at the moment of making the most important, state-important decisions. Unfortunately, the current legislation in our country cannot ensure the delivery of authentic, truly reliable information through the media.

In order to solve the existing problems, we need to develop various modern skills in order to protect ourselves from the influence of the criminal and anti-state information spread in the mass media.

The Media literacy - the most important skill of the 21st century - helps us to avoid this influence. It is considered as a component of personal information security in the context of increasing tension and the spread of harmful information in the media environment.

Among the many technologies of media education, through which a person becomes media literate, one of them is media hygiene, the same fact-checking.

Knowledge of media hygiene technology is especially important for journalists. It is an action aimed at reflecting the correctness of specific information and ensuring its correct interpretation. We can say that it is a professional necessity of a journalist, because the journalist's insufficient professional competence can become the reason for the spread of false information. That's why all journalists should know fact-checking technology exceptionally well.

The present article analyzes media hygiene as a certain barrier against disinformation, lists the tools of this technology that help us verify facts.

Keywords: "Media Literacy", "Media Environment", "Fighting Disinformation", "Media Education Technology", "Media Hygiene", "Fact-Checking".

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

კონტროლის ლოკუსის კვლევა ტიპოლოგიის ჭრილში

იაშა კუტუბიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ მერაბიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეხება ჰ. აიზენკის ტიპოლოგიისა და ჯ. როტერის კონტროლის ლოკუსის მიმართების კვლევას.

ჰ. აიზენკის შეხედულების მიხედვით, ექსტრავერსია-ინტროვერსია კონტინუუმია, რომელზეც გადანაწილებულები არიან ტიპები. სკალაზე გამოიყოფა 7 ტიპი: ტიპიური ექსტრავერტი, ძლიერად გამოხატული ექსტრავერტი, სუსტად გამოხატული ექსტრავერტი, შერეული ტიპი, სუსტად გამოხატული ინტროვერტი, ძლიერად გამოხატული ინტროვერტი და ტიპიური ინტროვერტი. ნებისმიერი ადამიანი კონტინუუმის კონკრეტულ წერტილზე თავსდება.

ასევე, აიზენკის თეორიის თანახმად, გამოიყოფა ნევროტიზმი-სტაბილობის სკალა, სადაც კონტინუუმზე განთავსებულია ნევროტიზმის 5 დონე დაბალი მაჩვენებლიდან მაღლისკენ.

კონტროლის ლოკუსი არის ადამიანის საერთო მოლოდინი, რწმენა, თუ რა დონეზე აკონტროლებს ის საკუთარ ცხოვრებას. ჯ. როტერის მიხედვით, კონტროლის ლოკუსი ასევე კონტინუუმია, რომელზეც განლაგებულია 5 ორიენტაცია: ძლიერი ინტერნალობა, სუსტი ინტერნალობა, შერეული ინტერნალობა-ექსტერნალობა, სუსტი ექსტერნალობა, ძლიერი ექსტერნალობა.

თუ აიზენკი თვლიდა, რომ ექსტრავერსია-ინტროვერსიისა და ნევროტიზმი-სტაბილობის სკალები დისპოზიციურია, როტერი მიიჩნევდა, რომ კონტროლის ლოკუსის ჩამოყალიბება მომდინარეობს აღზრდიდან. ამიტომ, მისი ორიენტაციები შესაძლებელია ცხოვრების მანძილზე შეიცვალოს.

ექსტრავერსია-ინტროვერსიის ტიპოლოგიასთან დაკავშირებით არსებულ მრავალ კვლევათა რიგს გვსურს შევმატოთ სიახლე და შევისწავლოთ კონტროლის ლოკუსი ტიპებთან მიმართებაში.

ხშირად მიიჩნევა, რომ ექსტრავერტი მეტად სტაბილური ტიპია, გამოირჩევა დაბალი ნევროტიზმის დონით და მეტად ადაპტურია გარემოში. ხოლო კონტროლის ლოკუსის თვალსაზრისით კი ინტერნალობა ხასიათდება დაბალი ნევროტიზმით, სტაბილურობითა და ადაპტურობით. ასევე, როდესაც საქართველოში აიზენკისა და როტერის ტესტების ადაპტაცია-სტანდარტიზაცია მოხდა, გაირკვა, რომ ქართველებში ჭარბობდნენ ექსტრავერტები, ხოლო კონტროლის ლოკუსის მიხედვით მეტად დამახასიათებელი იყო ექსტერნალობა. ამიტომ საინტერესოა, ექსტრავერსია-ინტროვერსია როგორ მოდიან კორელაციაში კონტროლის ლოკუსის ორიენტაციებთან?

აქედან გამომდინარე ჩვენი კვლევის ჰიპოთეზაა: ვფიქრობთ, რომ ექსტერნალობა-ინტერნალობის დონე ნევროტიზმ-სტაბილობასთან არის კავშირში და ამიტომ ჩვენი ვარაუდით, ტიპოლოგიის მხრივ კონტროლის ლოკუსის ორიენტაციების თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ იქნება. ჩვენი კვლევის შედეგები ამართლებს აღნიშნულ ჰიპოთეზას.

საკვანძო სიტყვები: ტიპოლოგია, კონტროლის ლოკუსი, ექსტრავერსია-ინტროვერსია, ექსტერნალობა-ინტერნალობა, ნევროტიზმი.

შესავალი

პიროვნების, მისი მთლიანობის და სტრუქტურის შესწავლა ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პიროვნების მთლიანობითი ბუნების სწავლა კი უპირველეს ყოვლისა ტიპოლოგიის გაგებასთან არის დაკავშირებული.

არსებული ტიპოლოგიებიდან გამოვყოფთ შვეიცარიელი ფსიქოლოგის კ. იუნგის მიერ შემოტანილ ექტრავერსია-ინტროვერსიას, რადგან მას აქვს ყოველდღიური, პრაქტიკული გამოყენება ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოთერაპიის, პროფესიული შერჩევის ამოცანების გადაწყვეტისას.

ძირითადი ნაწილი

ინგლისელმა ფსიქოლოგმა ჰ. აიზენკმა ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად გამოყო ადამიანის თანდაყოლილი 3 ურთიერთსაპირისპირო მახასიათებელი, რომლებიც 3 კონტინუუმზე, სკალაზე განთავსდა: ექსტრავერსია-ინტროვერსია, ნევროტიზმი-სტაბილობა და ფსიქოტიზმი-ძლიერი სუპერეგო. ამის მიხედვით, თითოეული ადამიანი სამივე კონტინუუმზე კონკრეტულ ადგილს იკავებს.

ამ შეხედულების მიხედვით ადამიანები ან ექსტრავერტები არიან ან ინტროვერტები. პირველნი, გარეთ, ობიექტური სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ხასიათდებიან შემდეგი ნიშნებით: მოუსვენარი, აგრესიული, იმპულსური, ოპტიმისტი, აგზნებადი, აქტიური, გულღია, მხიარული, მოლაპარაკე, უზრუნველი, ლიდერობის მოყვარული და სხვა.

ექსტრავერტის საწინააღმდეგო პოლუსზე დგანან ინტროვერტები. ისინი შიგნით, საკუთარი სულიერი სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ახასიათებთ ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიწყნარე, სიმშვიდე, სიდინჯე, პესიმიზმი, თავშეკავებულობა, პასიურობა, გულჩათხრობილობა, მოწყენილობა, სიტყვამცირობა და ა.შ. [1]

კონტროლის ლოკუსი წარმოადგენს საერთო მოლოდინს იმისა, თუ ადამიანები რა დონეზე აკონტროლებენ საკუთარ ცხოვრებას. ის უკავშირდება ჯ. როტერის სოციალური დასწავლის თეორიას, რომლის მიხედვით არსებობს ექსტერნალური და ინტერნალური კონტროლის ლოკუსი.

ექსტერნალები თვლიან, რომ მათი წარმატება და წარუმატებლობა რეგულირდება გარეგანი ფაქტორებით, ისეთებით, როგორიცაა ბედი, იღბალი, ბედნიერი შემთხვევა, გავლენიანი ადამიანები. ინტერნალებს, პირიქით, სჯერათ, რომ წარმატება და წარუმატებლობა განისაზღვრება მათი საკუთარი ქმედებებითა და შესაძლებლობებით. ამიტომ „ინტერნალები“ გრძნობენ, რომ ისინი დიდი დოზით გავლენას ახდენენ საკუთარ ქცევაზე, ვიდრე ადამიანები ექსტერნალური კონტროლის ლოკუსით. ექსტერნალთან და ინტერნალთან დაკავშირებულია ისეთი ცნება, როგორიცაა თვითფლობა. ექსტერნალებს აქვთ დაბალი თვითფლობის უნარი, ხოლო ინტერნალებს მაღალი თვითფლობა. კონტროლის ლოკუსის კონსტრუქციაც უნდა განვიხილოთ როგორც კონტინუუმი, რომლის ერთ ბოლოში გამოხატულია „ექსტერნალობა“, ხოლო მეორეზე - „ინტერნალობა“, ადამიანთა რწმენები კი განლაგებულია მათ შორის. [2]

ექსტრავერსია-ინტროვერსიის ტიპოლოგიასთან დაკავშირებით არსებულ მრავალ კვლევათა რიგს გვსურს შევმატოთ სიახლე და შევისწავლოთ კონტროლის ლოკუსი ტიპებთან მიმართებაში.

ხშირად მიიჩნევა, რომ ექსტრავერტი მეტად სტაბილური ტიპია, გამოირჩევა დაბალი ნევროტიზმის დონით და მეტად ადაპტურია გარემოში. ხოლო კონტროლის ლოკუსის თვალსაზრისით კი ინტერნალობა ხასიათდება დაბალი ნევროტიზმით, სტაბილურობითა და ადაპტურობით. ასევე, როდესაც საქართველოში აიზენკისა და როტერის ტესტების ადაპტაცია-სტანდარტიზაცია მოხდა, გაირკვა, რომ ქართველებში ჭარბობდნენ ექსტრავერტები, ხოლო კონტროლის ლოკუსის მიხედვით მეტად დამახასიათებელი იყო ექსტერნალობა. ამიტომ საინტერესოა ექსტრავერსია-ინტროვერსია როგორ მოდიან კორელაციაში კონტროლის ლოკუსის ორიენტაციებთან? [3]

აქედან გამომდინარე ჩვენი კვლევის ჰიპოთეზაა: ვფიქრობთ, რომ ექსტერნალობა-ინტერნალობის დონე ნევროტიზმ-სტაბილობასთან არის კავშირში და ამიტომ ჩვენი ვარაუდით, ტიპოლოგიის მხრივ კონტროლის ლოკუსის ორიენტაციების თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ იქნება.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის აპრობირებული და სტანდარტიზებული კვლევის ინსტრუმენტები:

1) აიზენკის ტიპოლოგიის და ნევროტულობა - სტაბილობის განმსაზღვრელი კითხვარი [Eysenck Personality Questionnaire (EPQ)] არკვევს ექსტრავერსია - ინტროვერსიის დონეს და ნევროტულობა - სტაბილობის დონეს; აიზენკის კითხვარის ადაპტაცია -სტანდარტიზაცია (არუთინოვი ლ; გრიგოლავა ა.)

2) როტერის კონტროლის ლოკუსის საკვლევი სკალა [Rotter Locus of Control Scale]. მეთოდის

ადაპტაცია-სტანდარტიზაცია (არუთინოვი ლ., გრიგოლავა ა.) [3]

კვლევის აღწერა და დამუშავება

ჩვენს კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვა-დასხვა ასაკისა და სქესის 260-მა ზრდასრულმა, პრაქტიკულად ჯანმრთელმა რესპოდენტმა.

სიხშირეები ტიპოლოგიისა და კონტროლის ლოკუსის მიხედვით

ექსტრავერსია-ინტროვერსია

ტიპი	**რაოდენობა**
ტიპიური ინტროვერტი	7
ძლიერად გამოხატული ინტროვერტი	26
სუსტად გამოხატული ინტროვერტი	70
შერეული ტიპი	21
სუსტად გამოხატული ექსტრავერტი	64
ძლიერად გამოხატული ექსტრავერტი	65
ტიპიური ექსტრავერტი	7

აიზენკის ტიპოლოგიის კვლევის ინსტრუმენ-ტის მიხედვით ექსტრავერსიის სკალაზე გამოიყოფა 7 დონე: ინტროვერსიის 3 დონე, შერეული ტიპები და ექსტრავერსიის ასევე 3 დონე. მიღებული მაჩვენებლებით სიხშირეთა დაახლოებით 27% სუსტად გამოხატულ ინტროვერტებზე მოდის.

კონტროლის ლოკუსი

კონტროლის ლოკუსის დონე	რაოდენობა
ძლიერად გამოხატული ინტერნალობა	52
სუსტად გამოხატული ინტერნალობა	101
შერეული ექსტერნალობა-ინტერნალობა	82
სუსტად გამოხატული ექსტერნალობა	21
ძლიერად გამოხატული ექსტერნალობა	4

კონტროლის ლოკუსის სკალაზე გამოვყავით 5 დონე. აქედან რესპოდენტთა დაახლოებით 40% სუსტად გამოხატული ინტერნალია. ეს მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ ინტერნალობის დონე ქართულ პოპულაციაში გაზრდილია ნორმატიულ მაჩვენებლთან შედარებით (13,22 - შერეული ექსტერ-ნალობა-ინტერნალობა) (დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი; როტერის კონტროლის ლოკუსის საკვლევი კითხვარის ადაპტაცია-სტანდარტიზაცია (არუთინოვი ლ., გრიგოლავა ა.)). [3] აღნიშნული კვლევის ავტორების მიხედვით, ზოგა-დად, ქართულ პოპულაციაში შედარებით ჭარბობდნენ ექსტერნალები, ჩვენი კვლევის მიხედვით კი - შედარებით მეტი ინტერნალობის დონეა.

რას შეიძლება მივაწეროთ ინტერნალობის დონის მატება ქართველებში?

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ეპოქაში ადამიანთა ცხოვრება წინასწარგანსაზღვრული მოცემულობით გამოირჩეოდა. ბავშვი სკოლის პერიოდში იყო პიონერი, შემდგომ კომკავშირელი, შემდეგ ზრდასრული ასაკიდან ის ხდებოდა პარტიული და ასე ეტაპობრივად მიიწევდა წინ მისი წინასწარგანსაზღვრული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრება. ადამიანმა იცოდა, რომ დიდწილად ბევრს ვერ მიაღწევდა აღნიშნული ეტაპების გარეშე, ამიტომ მინდობილი იყო ეპოქალურ რეჟიმს და თავად მაშინდელი ეპოქა განსაზღვრავდა მის ცხოვრებას, წარმატება-წარუმატებლობას. ადამიანმა იცოდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ აუცილებლად მოეწყობოდა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გამოცდებითა თუ უგამოცდოთ და სწავლის დამთავრებისთანავე გაანაწილებდნენ სადმე სამუშაოდ, უმუშევრობა დაუშვებელი იყო. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, შეიძლება საიმედოდ და პოზიტიურად ჟღერს, მაგრამ მეორე მხრივ, ადამიანს არ სჭირდებოდა დიდი ძალისხმევის გაწევა, კონკურენციის პირობებში ყოფნა, სამსახური და შემოსავალი მაინც ექნებოდა. ეს ფაქტორი უფრო პასიურს და „ბედს“ მინდობილს ხდიდა საბჭოთა მოქალაქეს. სწორედ ეს ნიუანსები განაპირობებდა კონტროლის ლოკუსის თვალსაზრისით ექსტერ-ნალობის წამყვან დონეს. 90-იან წლებში, რო-დესაც როტერის კონტროლის ლოკუსის კითხვა-რის ადაპტაცია-სტანდარტიზაცია მოხდა და ქართველი პოპულაცია, ზოგადად, უფრო მეტად ექსტერნალებად შეფასდა, იმით იქნებოდა განპირობებული, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ ახალი გამოსული იყო საბჭოთა კავშირის ერიდან და მათი ცხოვრება და საქმიანობა მიმსგავსებული იყო იმ ეპოქის მახასიათებლებს.

თანამედროვე საზოგადოება კი ზემოთაღწე-რილი პარამეტრების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულად გამოიყურება. დღესდღეობით, ადამიანმა თავად თუ არ გააკონტროლა საკუთარი თავი, საკუთარი ქმედებები, განათლებისა და მიღწევის დონე, არ ჩადგა კონკურენციის პირობებში და თავად არ იმუშავა საკუთარ თავზე, ბევრს ვერაფერს მიაღწევს. დღესდღეობით აქტუალურია საზოგადოებაში საკუთარი ცოდნითა და მუშა-ობით მოპოვებული საკუთარი საქმე, ბიზნესი, start-up, თვითდასაქმება, რაც ბევრად მეტად ცვლის ადამიანის საყრდენის ვექტორს გარედან შიგნით, ადამიანი მეტად ორიენტირებული

ხდება საკუთარ თავზე, მეტად პასუხისმგებელია საკუთარ ნაბიჯებზე, ვიდრე საბჭოთა ერაში. მაშინ თუ სახელმწიფო განსაზღვრავდა მის ცხოვრებას, ახლა მან თავად უნდა განაგოს საკუთარი ბედი. აღნიშნული გარემოება კონტროლის ლოკუსის ვექტორს ცვლის და სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ინტერნალობის მაჩვენებლების მეტ-ნაკლები ზრდა ჩვენს პოპულაციაში. როტერის თანახმად, ვიცით, რომ ექსტერნალობა-ინტერნალობა ტიპოლოგია არ არის ექსტრავერსია-ინტროვერსიისგან განსხვავებით, ამიტომ მათი მაჩვენებლები შესაძლოა ცხოვრებისეული ტენდენციების შესაბამისად შეიცვალოს.

საშუალოთა გადანაწილება კონტროლის ლოკუსის მიხედვით
T-test; კორელაციური ანალიზი

კონტროლის ლოკუსი / პარამეტრი	ძლიერად გამოხატული ინტერნალობა	სუსტად გამოხატული ინტერნალობა	შერეული ჯგუფი	სუსტად გამოხატული ექსტერნალობა	ძლიერად გამოხატული ექსტერნალობა
ექსტრავერსია ინტროვერსია	11.5	13.2	13	12.1	6
ნევროტიზმი	9.8	12.5	15.1	15.3	20

პარამეტრი	დადებითი კორელაცია	უარყოფითი კორელაცია
კონტროლის ლოკუსი	სქესი ნევროტიზმი	-

აღნიშნულ ჯგუფებში t-test-ით სანდო სტატისტიკურ განსხვავებებს ვხვდებით შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ექსტრავერსია-ინტროვერსია, ნევროტიზმი.

აღსანიშნავია, რომ ექსტრავერსია-ინტროვერსიის მიხედვით განსხვავება უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებს, ვიდრე კონკრეტულ ტენდენციაზე შეგვიძლია საუბარი. მაგალითად, ძლიერად გამოხატულ ინტერნალობასთან ექსტრავერსიის დონე 11.5 ბალია, ანუ სუსტად გამოხატული ინტროვერსია, ხოლო ძლიერად გამოხატულ ექსტერნალობასთან კი - 6 ბალი, ძლიერად გამოხატული ინტროვერსია, სუსტად გამოხატულ ინტერნალობასთან ვხვდებით 13.2 ქულას, შერეულ ჯგუფში - 13 ქულას, რაც ექსტრავერსიის სკალაზე შეესაბამება სუსტად გამოხატულ ექსტრავერსიის დონეს, ხოლო სუსტად გამოხატულ ექსტერნალებს შეესაბამება 12.1 ქულა, შერეული ექსტრავერსია-ინტროვერსია. მსგავსი მონაცემები გვიჩვენებს, რომ რაიმე კონკრეტულ ტენდენციასთან კი არ გვაქვს საქმე, რომ მაგ., ინტერნალობის ჯგუფი ინტროვერსიას შეესაბამება და ექსტერნალური კონტროლის ლოკუსი - ექსტრავერსია, ან პირიქით. ან თუნდაც, ექსტერნალობის დონის ზრდა რომელიმე ტიპის დონის ზრდადობას ან კლებადობას კი არ გვიჩვენებს,არამედ ნებისმიერ ტიპს ექსტრავერსიის სკალაზე შესაძლოა გამოხატული ჰქონდეს ექსტერნალობა-ინტერნალობის კონკრეტული დონე და ეს სტატისტიკური სხვაობები ჯგუფებს შორის შემთხვევითი ხასიათისაა, თუ როგორ განაწილდნენ ტიპები კონტროლის ლოკუსის ჯგუფებში. ასევე, სხვაობას ვხვდებით მხოლოდ ძლიერად გამოხატულ ინტერნალობასა და ექსტერნალობას შორის, სხვა ჯგუფებში სანდო სხვაობები არ გვხვდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კორელაციური ანალიზით, კონტროლის ლოკუსი არ მოდის დადებით ან უარყოფით კორელაციაში ექსტრავერსიასთან. მაშასადამე, კონტროლის ლოკუსს ჩვენი კვლევის მონაცემების მიხედვით, არ აქვს კავშირი ექსტრავერსია-ინტროვერსიასთან.

რაც შეეხება ნევროტიზმს, აქ სრულებით განსხვავებულ სურათს ვიღებთ. ძლიერად გამოხატულ ინტერნალობას შეესაბამება 9.8 ქულა ნევროტიზმის სკალაზე, ხოლო ძლიერად გამოხატულ ექსტერნალობას - 20 ქულა. ნევროტიზმის მიხედვით განსხვავება ლოგიკური და ტენდენციურია, სანდო სტატისტიკურ განსხვავებებს სხვა ჯგუფებთანაც ვხედავთ. ასევე კორელაციური ანალიზით, კონტროლის ლოკუსი დადებით კორელაციაშია ნევროტიზმთან, რაც მეტად იზრდება ექსტერნალობის დონე, მით მეტად იზრდება ნევროტიზმი რესპოდენტებში. აღნიშნული შედეგით მართლდება ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც კონტროლის ლოკუსი უფრო მნიშვნელოვნადაა

დაკავშირებული ნევროტიზმ-სტაბილობასთან, ვიდრე ექსტრავერსია-ინტროვერსიასთან. ჩვენი ჰიპოთეზისა და კვლევის შედეგების განსამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ლიტერატურაში განხილული კვლევები კონტროლის ლოკუსთან დაკავშირებით. კვლევები აჩვენებს, რომ ექსტერნალებს ბევრად მეტად აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები, ვიდრე ინტერნალებს (Lefcourt 1982; 1984; Phares 1976; 1978). მაგალითად, ფარესი გვატყობინებს, რომ შფოთვა და დეპრესია ექსტერნალებთან უფრო მაღალია, ვიდრე ინტერნალებთან. ასევე ფსიქიკური დაავადების გამოვლენის ალბათობა ინტერნალებთან უფრო დაბალია, ვიდრე ექსტერნალებთან. ასევე დამტკიცებული იყო, რომ თვითმკვლელობის დონე პოზიტიურად კორელირებდა ექსტერნალობის საშუალო დონესთან (Boor, 1976). [2]

აღსანიშნავია, რომ კონტროლის ლოკუსი ასევე დადებითად კორელირებს სქესთან, ანუ კვლევის მონაცემებით, ექსტერნალობის დონე იზრდება მდედრობითი სქესის სასარგებლოდ. ჩვენი მონაცემების მსგავსად, სხვა კვლევებიც აჩვენებს, რომ მამაკაცები უფრო არიან მიდრეკილნი კონტროლის შინაგანი ლოკუსისაკენ, ვიდრე ქალები (Silverman; Shrauger, 1970). კონტროლის ლოკუსის მხრივ ამ სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას გენდერულ სტერეოტიპებთან ვაკავშირებთ, რომლებიც აიძულებს კაცებს იყვნენ უფრო დამოუკიდებლები და გაბედულები, ხოლო ქალებს - უფრო მზრუნველები და კონტაქტურები. ამიტომ მამრობით სქესში ინტერნალობის უფრო მაღალი დონე გენდერული სტერეოტიპებითა და მათ მიმართ არსებული მოლოდინებითა და როლებით შესაძლოა დასაბუთდეს.

დასკვნა

მაშასადამე, კონტროლის ლოკუსის კვლევა ტიპოლოგიასთან მიმართებაში ამართლებს ჩვენს ჰიპოთეზას, რომ ექსტერნალობა-ინტერნალობის ორიენტაციები ექსტრავერსია - ინტროვერსიასთან არ არის დაკავშირებული იმდენად, რამდენადაც ნევროტიზმ-სტაბილობის დონესთან. ორივე ტიპისთვის სუსტი ინტერნალობაა დამახასიათებელი, ხოლო მაღალი ნევროტიზმის დროს უფრო მაღალ ექსტერნალობას აქვს ადგილი, ვიდრე დაბალი ნევროტიზმის დროს. მაჩვენებლები სანდოდ განსხვავებულია. თან ნევროტიზმი დადებით კორელაციაშია კონტროლის ლოკუსთან, ე.ი. ნევროტიზმის ზრდა იწვევს ექსტერნალობის დონის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მერაბიშვილი გ. - ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგია - თბილისი. 1998
2. Хьелл Л. Зиглер Д. – Теории личности – Питер. 1999
3. დ. უზნაძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები - „მეცნიერება“, თბილისი. 1999

A study of locus of control in a typological context

Iasha Kutubidze, Professor
Georgian Technical University

Tamar Merabishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article refers to search the relation of H. Eysenck typology and J. Rotter control of locus.

According to the view of H. Eysenck extroversion-introversion is a continuum where the types are divided. There are 7 types allocated on the scale: typical extrovert, strong extrovert, weak extrovert, mixed type, weak introvert, strong introvert, typical introvert. Each person is located on the specific point of the scale.

Also, according to the theory of Eysenck, neuroticism-stability scale is released and 5 levels of neuroticism are located on the continuum from low indicator to high level.

Locus of control is the entire expectation, belief of a human being at what level he controls his life. According to J. Rotter locus of control is also a continuum where 5 orientations are divided: strong internality, weak internality, mixed internality-externality, weak externality, strong externality.

While Eysenck believed that scales of extroversion-introversion and neuroticism-stability are dispositional, Rotter considered that the formation of locus of control comes from upbringing. Therefore, its orientations may change during the lifetime.

We intend to add novelty to the researches about extroversion-introversion typology and study locus of control in typological context.

It is often considered that an extrovert is more stable, distinguished by a low level of neuroticism and much more adaptive in the environment. And in terms of locus of control, internal control is characterized by a low neuroticism rate, stability and adaptivity. Also, when Eysenck and Rotter tests adaptation and standardization took place in Georgia, it revealed that Georgians were mainly extroverts and according to the locus of control, they were mainly characterized by external control. So, it is interesting, how extroversion-introversion come in correlation with the locus of control orientations.

Therefore, the hypothesis of our research is the following: external-internal level is mainly related to neuroticism-stability level, so we assume that locus of control orientations will not show important differences according to typology. The results of our research justifies the following hypothesis.

Keywords: Typology, Locus of control, Extroversion-introversion, External-internal, Neuroticism.

ტრანსნაციონალური ოჯახები

ლელა მენაბდიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და
სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

საერთშორისო მიგრაციის გარდაუვალი შედეგია ტრანსნაციონალური ოჯახები. რომელთა რაოდენობაც სულ უფრო მეტად იზრდება და სულ უფრო გავლენიან როლს თამაშობს ოჯახური ცხოვრების მრავალი ასპექტის შეცვლაში.

ტრანსნაციონალურ ოჯახებში ოჯახური ურთიერთობები შენარჩუნებულია ფართო გეოგრაფიულ დისტანციაზე. აღიარებულია, რომ მხოლოდ ემოციური, ფინანსური და პრაქტიკული მხარდაჭერის გაცვლაა შესაძლებელი ტრანსნაციონალურად, რაშიც უდიდესი როლი აკისრია დღვანდელ საკომუნიკაციო საშუალებებს. საერთშორისო მიგრაცია, ტრადიციულად, გაიგივებული იყო მამაკაცების მოძრაობასთან, მაგრამ ვითარება შეიცვალა. გლობალური მიგრაციის ახალი ტალღის კრიტიკული ასპექტი ეხება ქალის შრომის მნიშვნელობას. გაიხსნა მათი დასაქმების შესაძლებლობები, რამაც გაზარდა ემიგრანტი ქალების რიცხვი. იუნაიტედის ცნობით ქვეყნების სტატისტიკით, მიგრანტების დაახლოებით 49,6% ქალია. ქალების აქტიურმა ჩაბმამ საერთშორისო მიგრაციაში ჩამოაყალიბა ტრანსნაციონალური დედობა. ეს არის დედა რომელიც სამშობლოში ტოვებს შვილებს და ემიგრაციაში მიდის, რათა უზრუნველყოს მათი მომავალი. ის ხდება საკუთარი შვილებისა და მეუღლის სპონსორი. საქართველოში ტრადიციის მიხედვით ასეთი საქციელი არ იყო მიღებული, თუმცა დღეს მათი რიცხვი არც თუ მცირეა (54,6%). სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებდნენ, რომ დედას ყველაზე მეტი ემოციური კავშირი აქვს შვილებთან, ის არის მათი მრჩეველი, მესაიდუმლე და მეგობარი. ყველაზე მეტად გახსნილი ურთიერთობები დედასთან აქვთ. ტრანსნაციონალურ დედებთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობები სუსტდება. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ჩვენი საზოგადოების სიძლიერეში მიგრაცია უფრო დიდ როლს თამაშობს ვიდრე რეპროდუქცია. ტრანსნაციონალური ოჯახი, იმის გამო რომ მიმდინარეობს საზღვრებსა და საზღვრებს მიღმა, ანადგურებს დაბადების, სიცოცხლის და სიკვდილის დამთხვევის შესაძლებლობებს. თუმცა მისი დადებითი მხარე ვლინდება სამშობლოში დარჩენილი ოჯახის ცხოვრების დონის ამაღლებაში, ასევე, მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისათვის.

საკვანძო სიტყვები: საერთშორისო მიგრაცია; ტრანსნაციონალური ოჯახი; ტრანსნაციონალური დედობა.

შესავალი

დღეს ყველა ერი და სახელმწიფო ჩართულია გლობალიზაციის დაჩქარებულ ტემპში. ტრანსნაციონალური ქსელები და ურთიერთობები განვითარდა ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში. წარმოიშვა ტრანსნაციონალური საზოგადოება, რომელიც სულ უფრო გავლენიან როლს თამაშობს ოჯახური ცხოვრების მრავალი ასპექტის შეცვლაში. 21-ე საუკუნის საზოგადოებისათვის ოჯახური კავშირები და ურთიერთობები, რომლებიც შენარჩუნებულია ფართი გეოგრაფიულ დისტანციაზე, გავლენიან როლს თამაშობს ყოველდღიურ ცხოვრებაში. საერთშორისო მიგრაციის ერთ-ერთი გარდაუვალი შედეგია „გლობალური“ ან „ტრანსნაციონალური ოჯახების“ რიცხვის ზრდა. ე.ი. ოჯახებს, რომელთა წევრები ფიზიკურად განცალკევებულნი არიან ორ ან მეტ ეროვნულ სახელმწიფოს შორის, მაგრამ ინარჩუნებენ კავშირ - ურთიერთობებს, კოლექტიური ურთიერთობებისა და ერთიანობის გრძნობას, მოკლედ რომ ვთქვათ, „ოჯახურობას“.

ოჯახის ეს არის სახელმწიფოს საყრდენი. ძლიერი ოჯახი ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს. ოჯახს მნიშვნელოვანი როლი აქვს თითოეული ერის ფიზიკური და კულტურული აღწამოების პროცესში. ნებისმიერ ქვეყანაში შობადობის დონე, მოკვდაობის დონესთან და მიგრაციის მაჩვენებელთან ერთად მოსახლეობის სტრუქტურას ქმნის და მის განვითარებას განაპირობებს. ამიტომ ეს მაჩვენებლები დემოგრაფიული ვითარების ცვლილების კომპონენტებად მიიჩნევა. შობადობაც, მოკვდაობაც და მიგრაციაც ოჯახს უკავშირდება და მასთან ერთად მოიაზრება. ამიტომ მნიშვნელოვანია ოჯახთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესწავლა, მათ შორის, ტრანსნაციონალური ოჯახის. დემოგრაფიული პროცესებში მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენება.

ძირითადი ნაწილი

ტრანსნაციონალური ოჯახური წყობა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. მიგრანტების მიმღებ ქვეყნებში მკაცრი მიგრაციის პოლიტიკის გამო სირთულეს წარმოადგენს ოჯახების ერთად მიგრაცია. ამიტომ ოჯახის რომელიმე წევრი ერთვება ემიგრაციაში და იქმნება ტრანსნაციონალური ოჯახი. ტრანსნაციონალური ოჯახებისთვის დამახასიათებელია ფესვების შენარჩუნება საკუთარ სამშობლოში და ამავდროულად ახალი კავშირების შექმნა მასპინძელ ქვეყანაში. სამწუხაროდ ასეთი ოჯახების ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია, თუნდაც არალეგალური მიგრაციის გამო. არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთშორისო ორგანიზაციები (Save the Children და UNICEF) თავიანთ ანგარიშებში მიუთითებენ, რომ მიგრანტების გაგზავნის შერჩეულ ქვეყნებში ბავშვების დაახლოებით 25%-ს მინიმუმ ერთი მშობელი ჰყავს საზღვარგარეთ [nih.gov].

ტრანსნაციონალური ოჯახების შესახებ ბრაისონი (Bryson, 2019) ადასტურებს, რომ: „ტრანსნაციონალური ოჯახები არ არის ახალი, მაგრამ ისინი ნამდვილად უფრო მრავალრიცხოვანია ახლა, ვიდრე ოდესმე. ისინი წარმოადგენენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების განვითარებად ინსტიტუციურ ფორმას, რომელიც ემსახურება მატერიალურ და ემოციურ მოთხოვნილებებს ოცდამეერთე საუკუნის გლობალიზაციის სამყაროში. ტრანსნაციონალური ოჯახი წარმოადგენს მიგრანტთა მრავალგანზომილებიან სივრცით და დროებით დამხმარე გარემოს და ასევე უზრუნველყოფს მიგრაციის მოტივაციის სტიმულს"[Anastasia Christou, Eleonore Kofman (2022)].

ძალიან ხშირად მიგრაციის ან სხვა ქვეყანაში გადასვლის მთავარი მოტივი არის მზაობა გააუმჯობესოს ცხოვრების პირობები, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მთელი ოჯახისთვის. შესთავაზოს შვილებს უკეთესი და ნათელი მომავალი. ეს კი ხდება ოჯახის წევრებისაგან ხანგრძლივი განშორების ფასად. ოჯახის წევრის მიგრაცია აუცილებლად ცვლის ოჯახური ცხოვრების წესს. საქმე ეხება ერთმანეთთან კომუნიკაციას, გადაწყვეტილების მიღებას, იდეების გაცვლა ყველაფერ იმას რასაც ოჯახურად ცხოვრება გულისხმობს. დღევანდელი საკომუნიკაციო საშუალებები, სატელეფონო და ინტერნეტ ინფრასტრუქტურა იძლევა სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან კონტაქტის შენარჩუნების საშუალებას, მაგრამ ასეთი კონტაქტი არ არის ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრების ტოლფასი.

ოჯახური ურთიერთობების სიღრმე მერყეობს კონკრეტული საჭიროებების მიხედვით, იქნება ეს ეკონომიკური თუ ემოციური, ისევე როგორც სოციალური ქსელების გაფართოების სტარატეგიული სტიმული ეთნოკულტურულ ან რელიგიურ პარამეტრებში, რომლებმაც შესაძლოა განსაზღვრონ ჯგუფის საზღვრები. ინდივიდუალური მიგრანტები და მათი ოჯახები მხოლოდ ფსიქიკურ და ემოციურ საზღვრებს არ კვეთენ თავიანთ მობილურ ცხოვრებაში. ისინი ხშირად იბრძვიან უამრავი ლოჯისტიკური, იურიდიული, ბიუროკრატიული და პრაგმატული „საზღვრების გადასაკვეთად", როგორიცაა: რეზიდენტობა, მოქალაქეობა, იმიგრაცია და შრომითი პოლიტიკა და ა.შ. და ეს ხდება ხშირად მოულოდნელი გეოპოლიტიკური შოკებისა და ფართო გლობალური ტურბულენტობის პირობებში.

საერთშორისო მიგრაცია, ტრადიციულად, გაიგივებული იყო მამაკაცების მოძრაობასთან, ქალები კი მათ მიმდევრებად მიიჩნეოდნენ და მას განიხილავდნენ როგორც მეორად მიგრაციად. მაგრამ ვითარება შეიცვალა. გლობალური მიგრაციის ახალი ტალღის კრიტიკული ასპექტი ეხება ქალის შრომის მნიშვნელობას. გაიხსნა მათი დასაქმების შესაძლებლობები, რამაც გაზარდა ემიგრანტი ქალების რიცხვი. იუნაიტედის ცნობით ქვეყნების სტატისტიკით, მიგრანტების დაახლოებით 49,6% ქალია.[Morrison, Schiff & Sjöblom (2008)]

საქართველოში 2002 წელს მოსახლეობის საყოველთაო აღწერით და იმავე პერიოდში ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით, ემიგრანტებში ქალთა წილი 43% იყო. შემდგომში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით 54,6%-ს მიაღწია. ქალთა მიგრაცია ძირითადად შრომითი ხასიათისაა. ისინი უცხო ქვეყნებში იწყებენ ოჯახებში დამხმარეებად, ბავშვებისა და მოხუცების მომვლელებად და სხვა მომსახურების სფეროებში მუშაობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალები გახდნენ ქმრების, შვილების და მშობლების სპონსორები. გაჩნდა ახალი ტერმინი „ტრანსნაციონალური დედები". ამ უკანასკნელში მოიაზრება იმ ქალთა რიცხვი, რომლებმაც სამშობლოში დატოვეს შვილები არსებული შეზღუდული შესაძლებლობების გამო და წავიდნენ ემიგრაციაში რათა მათთვის უზრუნველყონ უკეთესი ცხოვრება. სხვადასხვა დროს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები[1]

[1] სოციოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებში 2010, 2015წწ. . გამოიკითხა1200; 800 სტუდენტი სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებიდან.

ცხადყოფენ ქალის - დედის უდიდეს როლს ოჯახში. ძირითადად ის არის ოჯახის ემოციური საყრდენი. შვილები ყველაზე მეტად დედასთან ურთიერთობაში არიან გახსნილები, რჩევას ყველაზე მეტად მისგან იღებენ და საიდუმლოსაც მას უმხელენ. იგივე სოციოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ მამასთან ამგვარი ურთიერთობები ნაკლებად აქვთ და, ღია ურთიერთობებში, მასზე წინ მეგობრებს აყენებენ. ტრანსნაციონალური დედა ვერ ასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც ის შვილებთან ერთად ყოფნის დროს შეასრულებდა. მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ ტრანსნაციონალურად მხოლოდ ემოციური, ფინანსური და პრაქტიკული მხარდაჭერის გაცვლაა შესაძლებელი.

ტრანსნაციონალური ოჯახები და ტრანსნაციონალური დედები საქართველოსთვის არატრადიციულია. რადგან საუკუნეების მანძილზე საქართველოში ოჯახის მარჩენლად მამაკაცი ითვლებოდა, ხოლო ქალის შემოსავალი ითვლებოდა მის დამხმარედ. ამ ახალ ვითარებაში ქალები გამოდიან როგორც ოჯახის ძირითადი მარჩენლები. ისინი წლების განმავლობაში ცხოვრობენ ოჯახისაგან მოწყვეტით, უზრუნველყოფენ სამშობლოში დარჩენილ ახლობლებს მატერიალურად და სხვა როლები, მოვალეობები, ვალდებულებები ოჯახის წევრების მიმართ აღარ გააჩნიათ. ხანგრძლივი განშორების გამო ოჯახის წევრებისათვის ხშირად გაუცხოებულებიც არიან.

ბალდასარი და სხვა მკვლევარები (Baldassar et al 2007) ვარაუდობენ, რომ ტრანსნაციონალური ოჯახის იდეა „მიზნად ისახავს მზარდი ცნობიერების აღქმას, რომ ოჯახის წევრები ინარჩუნებენ კოლექტიურობისა და ნათესაობის გრძნობას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ერში არიან“[Anastasia Christou, Eleonore Kofman (2022)].

ემიგრანტთა ძირითადი ნაკადი შრომითი ემიგრანტია. მნიშვნელოვანია მათი გზავნილები. რაც აისახება მიგრანტებისა და მათი სამშობლოში დარჩენილი ოჯახების კეთილდღეობაზე. 2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოში საბანკო ქსელით შემოსული ფულადი გზავნილები 1079 მლრდ. აშშ დოლარია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გზავნილების 40% არასაბანკო გზით შემოდის, მაშინ, სავარაუდოთ, მთელი ფულადი გზავნილები 1800 მლრდ აშშ დოლარს აღწევს (2014 წელი). დაბრუნებულ მიგრანტთა შესწავლით დადგინდა, რომ ქალთა მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილების წილი მთლიანად გზავნილებში ნახევარზე მეტია. [შელია მ. 2018. 119. 133-134] ფულადი გზავნილების რაოდენობა თუ 2010-2013 წლებში იზრდებოდა, 2014-2015 წწ-ში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა (2014წ - 1 440 754 000 აშშ დოლარი, 2015წ - 1 079 952 000 აშშ დოლარი). 2014 წელს ფულადი გზავნილების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 2,5%-ით შემცირადა. [https://migration.commission.ge/files/geo__1_.pdf]

2021 წელს საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა 2 მლრდ 349 მლნ აშშ დოლარს აღემატებოდა, რაც 2020 წლის მაჩვენებელზე 25%-ით მეტია. TOP-10 ქვეყნის ჩამონათვალი საიდანაც გასულ წელს საქართველოში ყველაზე მეტი თანხა გადმოირიცხა ასეთია: რუსეთი, იტალია, აშშ, საბერძნეთი, ისრაელი, გერმანია, თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი. [https://businessformula.ge/News/6535] თუ მ. შელიას ზემოთ მოხსენიებულ გაანგარიშებას გავითვალისწინებთ, მაშინ მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ემიგრანტ ქალთა შემოსავლები არა მხოლოდ აუცილებელია სამშობლოში დარჩენილი ოჯახის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც. ამასთან, მნიშვნელოვანი ასპექტია ჩვენი ქვეყნის მშპ-სთვის.

მიგრაციულ პროცესებში ძირითადად ებმებიან რეპროდუქციული ასაკის ადამიანები, ეს კი მნიშვნელოვან დარტყმას აყენებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას. საქართველოდან ყოველწლიურად გასული ემიგრანტების ნახევარზე მეტი რეპროდუქციული ასაკისაა. რაც იმას ნიშნავს, რომ დაოჯახებულების შემთვევაში, შესაძლოა არ მოხდა სასურველ შვილთა რაოდენობის სრული რეალიზება, მაგრამ თუ მათ შორის არიან დასაოჯახებლები, ისინი დაქორწინებას გადაწევენ მანამ სანამ უცხოეთში წასვლის მიზანს გარკვეულ დონეზე მაინც არ აისრულებენ. გადავადებული ქორწინება კი სასურველზე ნაკლებ შვილს ნიშნავს. აღწარმოების დონეზე მუდმივი დაბალი შობადობის მაჩვენებელი და მაღალი მიგრაცია მოსახლეობის დაბერებას და მისი რაოდენობის შემცირებას განაპირობებს, რის წინაშეც უკვე დგას საქართველო.

ამერიკელი დემოგრაფი დუგლას მასეი (Douglas Massei. 2000., 134) ამტკიცებს, რომ „მიგრაცია უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე რეპროდუქცია, ჩვენი საზოგადოების სიძლიერისა და ტენორის განსაზღვრაში“ [Anastasia Christou, Eleonore Kofman (2022)].

ტრანსნაციონალური ოჯახი, იმის გამო რომ მიმდინარეობს საზღვრებსა და საზღვრებს მიღმა, ანადგურებს დაბადების, სიცოცხლის და სიკვდილის დამთხვევის შესაძლებლობებს.

დასკვნა

ტრანსნაციონალური ოჯახი ჩვენი მზარდი გლობალიზებული ცხოვრების სიმპტომია. მისი ზრდა შეუქცევადი პროცესია და მას დიდი როლი აკისრია საზოგადოების სიძლიერის განსაზღვრაში. ეს არის ოჯახის ტიპი, სადაც ოჯახის ცხოვრება, ოჯახური ურთიერთობები რადიკალურადაა შეცვლილი, სადაც ოჯახის წევრებს შორის მხოლოდ ემოციური, ფინანსური და პრაქტიკული მხარდაჭეის გაცვლაა შესაძლებელი და ისიც ტრანსნაციონალურად საკომუნაციო საშუალებებით. მისი დადებითი მხარე ვლინდება სამშობლოში დარჩენილი ოჯახის ცხოვრების დონის ამაღლებაში, ასევე, მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შელია მ. (2018.) საქართველოს ქალთ შრომით ემიგრაციის თვისებურებები. წიგნში: მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში.
2. Anastasia Christou, Eleonore Kofman (2022). Transnational Families, Intimate Relations, Generations. https://link.springer.com
3. Morrison, Schiff & Sjöblom (2008). The International Migration of Women. Washington: The World Bank. Page 2
4. Pat Chambers, Graham Allan, Chris Phillipson,(2009) Eight Globalisation and transnational communities: implications for family life in old age . https://doi.org/10.1332/policypress/9781847420534.003.0008
5. Transnstional families –Legal desire
6. https://migration.commission.ge/files/geo__1_.pdf
7. https://businessformula.ge/News/6535
8. nih.gov https://www.ncbi.nlm.nih.gov › ...

Transnational family

Lela Menabdishvili
Ilia State University of Demography and
Researcher of the Institute of Sociology, Doctor of Sciences

Summary

Transnational families are an inevitable consequence of international migration. whose number is increasing and playing an increasingly influential role in changing many aspects of family life. Family relations in transnational families are maintained over a wide geographical distance. It is recognized that only emotional, financial and practical support can be exchanged transnationally, in which today's means of communication play a major role. International migration has traditionally been equated with the movement of men, but the situation has changed. A critical aspect of the new wave of global migration concerns the importance of women's work. Opportunities for their employment opened up, which increased the number of immigrant women. According to the United Nations statistics, about 49.6% of migrants are women. Women's active involvement in international migration has shaped transnational motherhood. It is a mother who leaves her children in her homeland and goes to emigrate to ensure their future. He becomes the sponsor of his own children and wife. According to tradition, such behavior was not accepted in Georgia, although today their number is not small (54.6%). Sociological studies confirmed that the mother has the most emotional connection with her children, she is their adviser, confidant and friend. They have the most open relationship with their mother. Such close ties with transnational mothers are weakening. Researchers argue that migration plays a bigger role in the strength of our society than reproduction. The transnational family, because it takes place across borders and borders, destroys the possibility of coincidence of birth, life and death. However, its positive side is manifested in raising the standard of living of the family remaining in the homeland, and it is also an important aspect for the gross domestic product of the country.

Keywords: International migration; Transnational family; Transnational mothers.

შვილთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში

ნანა მენაბდიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

ოჯახის როლი მოსახლეობის აღწარმოების პროცესში შეუცვლელია. ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა კლებადია და დემოგრაფიული დაბერება აღინიშნება, მნიშვნელოვანია მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის შესწავლა. მათი დამოკიდებულების განსაზღვრა ოჯახში ბავშვთა ოპტიმალური რიცხვის შესახებ. წარმოდგენილი ნაშრომი სწორედ ამ საკითხს ეხება. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კაცობრიობის ისტორიაში ეპოქების ცვლის მიხედვით იცვლებოდა ოჯახში სასურველ ბავშვთა რაოდენობაზე მოთხოვნილება და, შესაბამისად, ბავშვთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში. მაგრამ არ იცვლებოდა მისი მორალური ღირებულება. კაცობრიობის ისტორიამ გაიარა დიდი გზა მრავალშვილიანობიდან მცირეშვილიანობამდე. ბავშვებმა დაკარგეს ეკონომიკურ სარგებლიანობა. ისინი ძირითადად იწყებენ მშობლების მხოლოდ ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რისთვისაც ხშირ შემთხევაში 1-2 ბავშვია საკმარისი. მაგრამ ქართველი ერი მომაკვდავ ერთა სიაშია და ჩვენთვის 1-2 ბავშვი საკმარისი არ არის. ქვეყნის მოსახლეობა კლებისკენ მიდის, როდესაც ოჯახში საშუალოდ ერთი ბავშვი იბადება, ხოლო ორი ბავშვის შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობა უცვლელი რჩება. დემოგრაფები იძლევიან რეკომენდაციას სამი და მეტი შვილის ყოლაზე. სოციოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში განსხვავებული მოსაზრებაა ოჯახში ბავშვთა ოპტიმალური რიცხვის შესახებ. გამოიკვეთა მართლმადიდებობის დადებითი გავლენა შვილთა რაოდენობაზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მართლმადიდებელ მორწმუნეებში (ბავშვთა იდეალური რაოდენობა 3,32 და ბავშვთა 3,21 სასურველი რაოდებობა). სარწმუნოებიდან გამომდინარე, მათი უმეტესობა აცხადებს, რომ ოჯახში ბავშვთა რაოდენობა ღმერთის მიერ წყდება. მართლმადიდებელ მორწმუნეთა მაჩვენებელი აღემატება მეწარმეებისა და ბიზნესმენების მაჩვენებელს. ერთმანეთს შევადარეთ დასაქმებული დაოჯახებული და უმუშევარი რესპოდენტების მოსაზრებები ოჯახში შვილთა ოპტიმალური რიცხვის შესახებ და უმუშევრები ასახელებენ 3,10 ბავშვს, ხოლო დასაქმებულები 2,88-ს. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ - ოჯახში შვილთა ოპტიმალურ რაოდენობაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს შემოსავლები. მნიშვნელოვანია ინდიიდის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისება. რაც გამოიხატება იმაში, რომ ბავშვების გარეშე და მათი შესაფერისი რიცხვის გარეშე ინდივიდი, როგორც პიროვნება განიცდის დაბრკოლებას. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვან კლებას, აუცილებელია მყარ ჩვეულებად ან ტრადიციად გადავაქციოთ ქართულ ოჯახში მინიმუმ სამი შვილის ყოლა.

საკვანძო სიტყვები: ოჯახი, შვილთა ოპტიმალური რიცხვი.

შესავალი

საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა. ქვეყანა იმ ქვეყნებს შორისაა, რომლის მოსახლეობაც კლებადია. ქართველი ერი მომაკვდავ ერთა სიაშია. მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან აღინიშნება და ახალი საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის ბუნებრივი კლებით - დეპოპულაციის ღია ფორმით ვლინდება. დღეს ქვეყნაში დემოგრაფიული დაბერების პროცესია, რაშიც პირველი, მნიშვნელოვანი წვლილი შობადობის შემცირებამ შეიტანა.

ოჯახის როლი მოსახლეობის აღწარმოების პროცესში შეუცვლელია. ამიტომ დემოგრაფების მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ოჯახის რეპროდუქციული ქცევის შესწავლას. მასში მოიაზრება ქცევა, რომელიც მიმართულია შვილთა სასურველი რაოდენობის ყოლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შვილთა ყოლის მოთხოვნილება განსხვავდება საზოგადოების, ცალკეული სოციალური ჯგუფების, ოჯახების და პიროვნების დონეზე. შესაბამისად იცვლება შვილთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში. მრავალშვილიანობის, საშუალოშვილიანობის და მცირეშვილიანობის ნორმებს შეუძლიათ რამდენიმე თაობაში ხანგრძლივი დროით შენარჩუნებულ

მყარ ჩვეულებად ან ტრადიციად გადაიქცნენ, მათი გამომწვევი გარემოებებისა და ცხოვრების პირობების შეცვლის შემდეგაც კი. ამდენად, მნიშვნელოვანი და აქტუალურია ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობის შესწავლა.

ძირითადი ნაწილი

კაცობრიობის ისტორიაში ეპოქების ცვლის მიხედვით იცვლებოდა ოჯახში სასურველ შვილთა რაოდენობაზე მოთხოვნილება და, შესაბამისად, შვილთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში. რეპროდუქციული ქცევა, ისევე როგორც ყველა სხვა ქცევა, ვითარდება თანმიმდევრულად მოთხოვნილებისა და განწყობის ფორმირებიდან მოქმედებისა და შედეგებისაკენ. რეპროდუქციული ქცევის ცვლილებას მოსდევს შვილთა ოპტიმალური რაოდენობის ცვლილება. თუმცა, როგორც პაატა გუგუშვილი აღნიშნავდა შვილებზე მოთხოვნილება კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უნივერსალური ფასეულობაა, ის მარადიული ფენომენია და საპატიო ადგილი უჭირავს ადამიანის მორალური ფასეულობების სისტემაში [გუგუშვილი, 1985].

პატრიარქარული ტიპის გაფართოებული ოჯახი პოლიფუნქციონალური იყო. ოჯახის არსებული ავტონომიის ფარგლებში სხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში საოჯახო ცხოვრების წესი პიროვნების ყოფის თითქმის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა. საოჯახო კოლექტივის კეთილდღეობა განაპირობებდა ინდივიდის კეთილდღეობასაც. საოჯახო-ნათესაობრივ კოლექტივზე ასეთი ორიენტაცია აძლიერებდა მრავალშვილიანობის მოტივებს. მრავალშვილიანობის განწყობა პიროვნებაში გამყარებული იყო ავტორიტარული საოჯახო სტრუქტურით და პიროვნების მშობლობის სტატუსით თემში. ბავშვთა სოციალიზაციის მოკლე პერიოდი, მათი ადრეული ასაკიდან მონაწილეობა საშინაო საქმეებში, წარმოებაში ხელს უწყობდა მრავალშვილიანობაზე მოთხოვნილების შენარჩუნებას, რადგან ბავშვებისაგან მიღებული სარგებელი აღემატებოდა მათზე დახარჯულ ხარჯებს.

ფეოდალიზმის დროს ოჯახი და ეკონომიკა განუყოფელი ცნებები იყო. საწარმოო ურთიერთობები არსებობდნენ საოჯახო, დემოგრაფიული ურთიერთობების ფორმით. საოჯახო პრობლემები საკუთრებისა და შრომის საკითხების გაგრძელებას წარმოადგენდნენ. ბავშვები განიხილებოდნენ როგორც კმაყოფაზე მყოფები და მომუშავე პირები. ასეთ ოჯახში უფროსები დამოკიდებულნი იყვნენ შვილებზე, სჭირდებოდათ რა მათი მხარ-დაჭერა სიბერეში. ამის გამო უზარმაზარი ყურადღება ეთმობოდა ოჯახის ეკონომიკური რესურსების მომდევნო თაობისათვის გადაცემას. ოჯახში მყარდებოდა ურთიერთობა, როცა თითოეულის კეთილდღეობა მთელი ოჯახის კეთილდღეობით იყო განპირობებული, შესაბამისად ჩამოყალიბებული იყო ოჯახსა და შინამეურნეობაზე ორიენტირებული სისტემა. ოჯახის ცხოვრება განუყოფლად მიწასთან იყო დაკავშირებული. ოჯახის ქცევის მოტივაციის განმსაზღვრელი იყო ბავშვებზე ორიენტირებული მიწის გამოყენება, რაც განსაზღვრავდა მრავალშვილიანობას.

კაპიტალიზმის განვითარებამ ღრმა ცვლილებები გამოიწვია მოსახლეობის ცხოვრების წესში. ოჯახის წევრები საოჯახო წარმოებიდან დაქირავებულ შრომაში ჩაებნენ და მრავალშვილიანობის სტიმულებამაც თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ოჯახი გახდა სამეურნეო-მომხმარებლური უჯრედი. ბავშვთა დიდი რაოდენობა ოჯახში თანდათან კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას. ბავშვთა სოციალიზაციის პერიოდის გახანგრძლივებამ და ბავშვების სოციალური როლის შეცვლამ გამოიწვია მათი მშობლებზე ეკონომიკური დამოკიდებულების გაძლიერება და შეამცირა რეპროდუქციული მოტივაცია, პირველ რიგში, მრავალშვილიანობის ეკონომიკური და სოციალური მოტივები. მრავალშვილიანობის ნორმათა სპონტანურ შემცირებას, მათ რედუცირებას ხუთი და უფრო ნაკლები შვილის ყოლამდე ხელი შეუწყო მოკვდაობის თანდათანობით შემცირებამ. ახლა დაბადებულ შვილთა რიცხვი მიუახლოვდა სრულწლოვანებას მიღწეულ ბავშვთა რიცხვს. ეს გარემოება კი საბოლოოდ სპობს რეპროდუქციულ ციკლში ჩარევაზე აკრძალვას. ბავშვები კარგავენ ეკონომიკურ სარგებლიანობას და იწყებენ მშობლების მხოლოდ ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რისთვისაც ხშირ შემთხვევაში 1-2 ბავშვია საკმარისი.

რუსმა დემოგრაფმა ვ. ბორისოვმა გამოიანგარიშა მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო ბავშვთა რაოდენობა. მისი აზრით: ერთ ეფექტურ ქორწინებაზე[1] საშუალოდ უნდა მოდიოდეს 2,6 ბავშვი, ხოლო გათხოვილი ქალის მიერ გაჩენილი უნდა იყოს საშუალოდ 2,15 ბავშვი. ეს არის საიმედო მაჩვენებელი ბავშვთა იმ რიცხვისათვის, რომელიც აუცილებელია დეპო-

[1] ეფექტური ქორწინება გულისხმობს მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში არსებულ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაყოფიერების უნარს მქონე ქორწინებას.

პულაციის თავიდან ასაცილებლად. სინამდვილეში კი ქორწინებათა რაღაც ნაწილი მთელი ცხოვრება უნაყოფო რჩება. ამის საკომპენსაციოდ საჭიროა სამი და მეტ ბავშვიან ოჯახთა მეტი ხვედრითი წილი. ე.ი. ოჯახების განაწილების მოცემული ტიპი:

- უშვილო ოჯახები – 4%
- მხოლოდ ერთი ბავშვის გამჩენი ოჯახები – 10%
- ორი ბავშვის გამჩენი ოჯახები – 35%
- სამი ბავშვის გამჩენი ოჯახები – 35%
- ოთხი ბავშვის გამჩენი ოჯახები – 14%
- ხუთ და მეტი ბავშვის გამჩენი ოჯახები – 2%

მოცემული გაანგარისებით მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოების შენარჩუნებისთვის აუცილებელია, რომ სამი და მეტ ბავშვიანი ოჯახები შეადგენდნენ საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს [ბორისოვი, 2001, 257].

ვ. ბორისოვმა უშვილო ოჯახებს ოთხი პროცენტი მიაკუთვნა, თუმცა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონცემებით, თანამედროვე პირობებში ქორწინებათ 10-15% უნაყოფოა. ამასთან, ქალების უშვილობა 50-70%-ია, ხოლო მამაკაცების 30-50%. თითქმის იგივე მონაცემებია საქართველოშიც. აქ რეპროდუქციული ასაკის 35000 უნაყოფო წყვილია [ვერულავა, 2015].

მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის შესასწავლად სოციოლოგები და დემოგრაფები გამოიყენებენ კითხვებს ბავშვთა საშუალო იდეალური და სასურველი რიცხვის შესახებ. ბავშვთა საშუალო იდეალური რიცხვი ახასიათებს ადამიანის წარმოდგენას, საერთოდ, ოჯახში ბავშვთა საუკეთესო რაოდენობის შესახებ, ხოლო სასურველი რიცხვი არის მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე ახლოს ახასიათებს ბავშვებზე ინდივიდუალურ მოთხოვნილებას. ამ მონაცემში რესპოდენტი ავლენს ოჯახში ბავშვების რაოდენობის მიმართ პიროვნულ უპირატესობას. ჩვენ ოჯახში ბავშვთა ოპტიმალური რაოდენობის შესახებ სწორედ ამ მონაცემებით ვიმსჯელებთ. რეპროდუქციული განწყობა ხშირ შემთხვევაში არ არის რეპროდუქციული ქცევის იდენტური. რადგან რეპროდუქციულ ქცევაზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი, თუმცა იძლევა წარმოდგენას ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობის შესახებ.

ოჯახში შვილთა ოპტიმალური რიცხვის შესახებ პასუხი უბრალო როდია. ბევრი რამ დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე, მეუღლეთა ჯანმრთელობაზე, მათ ასაკზე, დაქორწინების დროზე და ა.შ. გასათვალისწინებელია მეუღლეთა მორწმუნეობის ხარისხი, მათი აღმსარებლობა. სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა მართლმადიდებელ მორწმუნეებში აჩვენა, რომ მათთვის ბავშვთა იდეალური რაოდენობა შეადგენს 3,32 ბავშვს, ხოლო სასურველი 3,21-ს. ფაქტიურად სხვაობა ბავშვთა იდეალურსა და სასურველ რაოდენობას შორის მინიმალურია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მორწმუნეთა უმეტესობის აზრით ოჯახში ბავშვთა რაოდენობა ღმერთის მიერ წყდება.

მართლმადიდებელი მორწმუნეებისაგან განსხვავებით სტუდენტებში დაბალია ბავშვთა იდეალური და სასურველი რაოდენობის მაჩვენებელი. შესაბამისად ის შეადგენს 2,94 და 2,82 ბავშვს. სტუდენტთა უმრავლესობა დასაოჯახებელია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რეპროდუქციული განწყობა არ ნიშნავს მის გარდაუვალ რეალიზაციას. „რეპროდუქციული განწყობის აღმოცენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების შესაბამისი სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობის არსებობა, ურთიერთდამთხვევა და ერთდროული ზემოქმედება“ [წულაძე, 2000, 231] უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სტუდენტების სოციალურ ღირებულებათა სისტემაში ოჯახსა და შვილებს არ უკავიათ წამყვანი პოზიციები. ამ ღირებულებებს ისინი მხოლოდ განათლების, კარიერის და მატერიალური უზრუნველყოფის მერე ასახელებენ.

დაოჯახებული დასაქმებული რესპოდენტების აზრით ოჯახში ბავშვთა ოპტიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 2,88 ბავშვს. ამ რესპოდენტებს შორის იყვნენ ისეთებიც ვინც თვლის, რომ ოჯახში ბავშვთა რაოდენობა დამოკიდებულია მეუღლეთა შესაძლებლობებზე.

მ. შელიამ შეისწავლა შვილთა რაოდენობისადმი განსხვავებული სოციალური ჯგუფების პოზიცია. ჩვენ მხოლოდ ორი მათგანის შედარებას მოვიყვანთ. მეწარმეებისა და ბიზნესმენების აზრით ბავშთა იდეალური რიცხვი ოჯახში არის 3,10, ხოლო სასურველი რაოდენობა 2,83-ის ტოლია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმავე მკვლევარის მიერ უმუშევართა მოსაზრების შესწავლამ აჩვენა უმნიშვნელო სხვაობა ბიზნესმენებისა და მეწარმეების მოსაზრებისაგან. უმუშევართათვის ბავშვთა იდეალური რაოდენობა 3,06, ხოლო სასურველი 2,53. [შელია, 2022, გვ. 27] ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ბავშვთა ოპტიმალური რაოდენობა ოჯახში დიდად არ არის დამოკიდებული ოჯახის ბიუჯეტზე. ამის ნათელი მაგალითია 2007 წლის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მოწოდება, რომელსაც სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

დემოგრაფ ექსპერტთა მოსაზრებით ოჯახში მინიმუმ სამი შვილი უნდა იყოს. ა. თოთაძე მოსახლეობას მოუწოდებს: „სამი შვილის ყოლა თითოეული ქართველისთვის ნორმად უნდა იქცეს, რადგან მხოლოდ სამი და მეტი ბავშვის დაბადება განაპირობებს მოსახლეობის რაოდენობის ზრდას“ [თოთაძე, 2023].

მიჩნეულია, რომ პირველი შვილის ყოლა აუცილებელია ახალგაზრდა ოჯახის თვითდამკვიდრებისათვის, საკუთარი სოციალური მდგომარეობის ასამაღლებლად, ოჯახის განსამტკიცებლად და ქორწინების ახალ თვისობრივ მდგომარეობაში გადასაყვანად. მეორე შვილი ოჯახს უფრო სრულფასოვანს ხდის, ასევე აუცილებელია, რომ ყოველ ბავშვს ჰყავდეს მეგობარი – ძმის ან დის სახით მთელი ცხოვრების მანძილზე. შეიძლება ითქვას, რომ მეორე შვილი პირველის აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების საშუალებას იძლევა. გავიზიარებთ ა. თოთაძის მოსაზრებას და ვითყვით, რომ მესამე შვილი აუცილებელია სამშობლოსათვის რათა ქართველი ერი არ გადაშენდეს. თანაც, ზოგადად ითვლება, რომ ოჯახში ბავშვთა რაოდენობის ზრდა უზრუნველყოფს ოჯახის სიმტკიცეს და ხელს უწყობს ჰარმონიულ ურთიერთობებს.

დასკვნა

ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება განსხვავდება საზოგადოების, ცალკეული სოციალური ჯგუფების, ოჯახის და პიროვნების დონეზე, რასაც განაპირობებს მათ მოთხოვნილებათა ერთიანი სისტემიდან პრიორიტეტების გამოკვეთა. ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებაში გაერთიანებულია ბიოლოგიური და სოციალური ელემენტები. ის წარმოადგენს ინდიიდის სოციალურ-ფსქოლოგიურ თვისებას, ეს გამოიხატება იმაში, რომ ბავშვების გარეშე და მათი შესაფერისი რიცხვის გარეში ინდივიდი, როგორც პიროვნება განიცდის დაბრკოლებას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოში მკვიდრი მოსახლეობა კლებას განიცდის და მომაკვდავ ერთ სიაშია აუცილებელია მყარ ჩვეულებად ან ტრადიციად გადავაქციოთ ქართულ ოჯახში მინიმუმ სამი შვილის ყოლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბორისოვი ვ. 2001. დემოგრაფია.
2. გუგუშვილი პ. 1985. მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა.
3. ვერულავა თ. ხაბეიშვილი მ. 2015. უშვილობის მკურნალობა საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „ჯანდაცვის პოლოტიკა და დაზღვევა“.www.hepoins.com
4. თოთაძე ა. 2023. ქუთისმა დათმო „მეორე ქალაქია“ ტიტული და ამჟმად მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თბილისის შემდეგ, ბათუმი ლიდერობს. გაზეთი „ასავალი-დასავალი“. 23-29. 01 №5 (1469).
5. შელია მ. 2022. საქართველოს სტუდენტობა სოციალურ - შრომით და დემოგრაფიულ პრიზმაში.
6. წულაძე გ. 2000. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი.
7. საქართველოს მართლმადიდებელ მორწმუნეთ დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი. 2016,

Optimal number of children in the family

Nana Menabdishvili
Ilia State University of Demography and
Associate Researcher of the Institute of Sociology,
doctor of Science

Summary

The role of the family in the process of population reproduction is irreplaceable. In countries where the population is decreasing and demographic aging is observed, it is important to study the reproductive behavior of the population. Determination of their attitude about the optimal number of children in the family. The presented paper deals with this issue. The paper shows that the demand for the desired number of children in the family and,

accordingly, the optimal number of children in the family changed according to the change of epochs in the history of mankind. But its moral value did not change. Human history has come a long way from having many children to having few children. Children have lost their economic usefulness. They mainly begin to satisfy only the emotional needs of parents, for which 1-2 children are often enough. But the Georgian nation is on the list of dying nations and 1-2 children are not enough for us. The population of the country is decreasing when on average one child is born in the family, and in the case of two children the number of the population remains unchanged. Demographers recommend having three or more children. Based on sociological studies, the paper shows that different social groups have different opinions about the optimal number of children in the family. The positive influence of Orthodoxy on the number of children was revealed. The highest rate was observed among Orthodox believers (ideal number of children 3.32 and desired number of children 3.21). Based on their beliefs, most of them claim that the number of children in a family is decided by God. The rate of Orthodox believers exceeds the rate of entrepreneurs and businessmen. We compared the opinions of employed, married and unemployed respondents about the optimal number of children in the family, and the unemployed named 3.10 children, and the employed 2.88. Based on the obtained results, we can conclude - the optimal number of children in the family is not significantly influenced by income. The socio-psychological feature of Individual is important. Which is expressed in the fact that without children and without their appropriate number, the individual as a person experiences an obstacle. Considering the significant decline of the indigenous population in Georgia, it is necessary to make it a solid custom or tradition to have at least three children in a Georgian family.

Keywords: Family; Optimal number of children.

Psychosocial Factors Causing Bullying and Ways of Prevention

Tinatin Tcharkhalashvili, Assistant Professor
Georgian Technical University

Abstract

The term "bullying" is an English word and in Georgian, it means to bully. Bullying is an unwanted, aggressive type of behaviour that occurs mostly in adolescence. Bullying is a form of physical and psychological violence that is widespread among young peers and is expressed by one party oppressing and ridiculing the other. Bullying is a very urgent problem, both in the world and in Georgia. A bullied teenager constantly experiences fear, anxiety, feels humiliated or depressed and lowers self-esteem.

Bullying can be verbal, for example: making negative, demeaning and insulting comments, spreading false information, or physical, for example: hitting, throwing things, etc. There are other forms of bullying; it can be done remotely, by calling, texting, social networking, e-mail and other electronic means.

In all of the above-mentioned cases, the aggressive behaviour may lead to mental problems in a teenager or an adult, however, depending on the peculiarities of the psychological development of the teenager, according to the opinion given in the psychological literature, oppression during adolescence affects the psyche of the person in adolescence and such vulnerable groups, who differ from their peers in both physical and mental characteristics. The risk group includes children with different physical data, peculiar character and behaviour, and children of other nationalities. The motivation of bullying is diverse, including revenge, competition, non-acceptance, obedience, restoration of justice, character traits.

Based on this, the purpose of the report is to find out the psychosocial factors that cause bullying/oppression and ways to prevent them.

Key words: bullying, oppression, adolescence, social factors, prevention.

Introduction

The United States Department of Education defines bullying as harming or attempting to harm another person, which is a repeated negative action that causes physical or psychological trauma.

Bullying is a kind of social phenomenon, which, according to specialists, is mainly characteristic of an organized group of children; first of all, it is a school. Any teenager can become a victim of violence in the children's society, but the victims of bullying are more often children who are different in some way, be it physical or psychological, ethnic, religious, etc. The motivation of bullying is different - revenge, competition, non-acceptance, obedience to the leader, restoration of justice, etc.

Bullying is immature and highly aggressive behaviour, which is caused by the imbalance of real and internal power according to scientific analysis. Due to the nature of bullying, it tends to repeat itself, which puts the victim in constant fear and stress, If adults once quarrelled or humiliated a peer, or were expelled from the team once, this does not qualify as bullying, but if a cult of unpunished violence is formed in a group of children, it already creates a feeling of impunity for the oppressors.

As already mentioned, bullying is a form of physical and psychological violence, which is mainly spread among adolescent peers and is expressed by one party mocking and ridiculing the other. When talking about bullying, most people think of physical confrontation, but it should be noted that this type of aggression is only one type of bullying, besides which there is also verbal bullying, cyber bullying, racial and religious bullying.

Physical bullying is the most pronounced form of violence. In physical bullying, adolescents want to gain power and control over their peers and resort to physical violence to achieve this goal. This form of oppression is the easiest to recognize. It should also be noted that schools paid more attention to physical bullying than to other forms of bullying.

Cyberbullying is a form of bullying that occurs through the Internet and social networks and is different from face-to-face bullying and threats. This form is usually permanent, public and anonymous. Cyberbullies can be shy, quiet kids who hide away from computers. Since this type of bullying is public, the victim is not sure who is doing it and who to fear. Cyberbullying can lead to low self-esteem, anxiety, anger, depression, truancy, poor grades, violence against others, and suicide.

Religious bullying is one of the important forms of bullying. Teachers in the United States of America say that there are cases when Muslim children are bullied by their peers for obvious reasons, seeing followers of this religion as terrorists. Unfortunately, the arena for this battle is often the classroom. A child labelled as a minority becomes a victim of bullying. Rarely, even a Christian child becomes an object of ridicule for being sarcastic.

As for verbal bullying, it is the most primitive form of violence and includes verbal intimidation, spreading false information, making rude, stereotypical and humiliating comments.

Main part

The process of forming a person as a person, first of all, involves socialization. By acquiring social experience, establishing relationships with other people, expressing one's own position, confronting others, showing independence, "checking" oneself, setting prospects for further activities, the child becomes an adult.

The process of transition from childhood to adulthood is usually intense and sometimes dramatic. Conflicting tendencies of social development are intertwined in it. This difficult period is characterized by negative manifestations - personality disharmony, change of already formed interests, protesting behaviour towards adults and others. Among these behaviours, the most notable is bullying among adolescents, which mainly takes place at school.

Bullying at school is one of those problems that is rarely talked about aloud. Often older people call it another name, childish teasing. In fact, bullying is a serious issue and it has a significant impact on the psycho-emotional development of children.

Many international studies show that bullying is a serious problem, therefore, interest and attention to this phenomenon is increasing. The study of violence against children in Georgia was conducted by the United Nations Children's Fund (UNICEF) in 2007-2008. According to the research, a fairly high rate of violence against children was recorded in Georgia. In total, 80% of children experienced physical and psychological abuse. Violence between children is more common at school. Such a high rate of bullying may be due to the fact that this phenomenon was not perceived as a significant problem by adults for a long time. As for Georgia, according to the research conducted in Georgia, which is published by the Ministry of Education and Science of Georgia, we read that the production of statistics on bullying cases began in 2015 and 674 cases were registered until 2020, although there is no data divided into categories. However, these statistics do not include all schools and the data of the 1700th school is not described.

American psychologist, education specialist, Anita Woolfolk, in her book "Psychology of Education" asks the reader an important question: "When you remember your school days, what do you remember first of all?" Academic knowledge gained there or feelings fear and friends experienced during that period?' With this question, the author shows the reality that school education does not only involve cognitive development of the adolescent, and it is important for teachers and school administrations to work systematically to reduce and, at best, eliminate school aggression (Woolfolk, 2009).

It is important to note that although the school may be the epicentre of bullying, the school also plays a large role in the prevention of bullying. Sean Slade, director of the Association for Curriculum Development (ASDC) based in Virginia, believes that adolescent growth and development (including academic development) cannot be complete unless there is a system that meets most of the students' needs and basic requirements (Slade, 2013).). These directions are:

A. Health - each school student should have the opportunity to engage in some kind of sport; additionally, an active and healthy lifestyle should be encouraged in all general educational institutions;

B. Safety - physical and emotional safety must be ensured for each adolescent;

C. Involvement - students should be actively involved in school life;

D. Support - every student should feel supported by the school administration and teachers. Support should mean having a curriculum or other resource tailored to his needs; Psychological nature of bullying and its determining factors.

E. Readiness for challenges - the school must prepare each student for academic and personal challenges so that he can succeed in the learning process or at the next level of education, be able to start working and integrate into the global space.

Conclusion

Unfortunately, violence occurs in all countries and in all walks of life. However, very often, violence against adolescents goes unnoticed because they are not able to fully formulate and understand it. Violence begets violence. When a child is a victim of violence, he or she becomes a victim of violence against others. He/she tries to solve problems by violent methods. That is why violence and aggression prevail in society. Children who are victims of violence are also at great risk of not being able

to develop normally and realize their potential. Abused children experience aggression, emotional effects, which they often transfer to weaker children or animals. Their aggressiveness is manifested during the game without any reason. Some of them, on the contrary, show special passivity. In both cases, contact and relationship with peers is disturbed. Children try to get attention in any way, which is why they often behave defiantly and aggressively.

How to deal with bullying? "First of all, you should not close your eyes to the problem. The person attending it (the whole school) should be the first to recognize the existence of the mentioned problem. It is desirable that both children and parents join the school staff. It is necessary to involve a professional (be it a school psychologist or an invited specialist), who will help the school, the children involved in bullying, and their families to eliminate the problem.

How to deal with bullying? "First of all, you should not close your eyes to the problem. The person attending it (the whole school) should be the first to recognize the existence of the mentioned problem. It is desirable that both children and parents join the school staff. It is necessary to involve a professional (be it a school psychologist or an invited specialist), who will help the school, the children involved in bullying, and their families to eliminate the problem. It is not only the victim who needs help. Help is also very necessary for a violent child, because often, the child is also a victim of violence, but not at school, but at home. A plan should be developed, according to which the problem will be solved step by step.

Bullying at school is one of those problems that is rarely talked about aloud. Often older people call it another name, childish teasing. In fact, bullying is a serious issue and it has a significant impact on the psycho-emotional development of children. What are the motives behind bullying? Who are the bullies? By what principle do they choose the victim? What should we do so that bullying at school no longer remains a hidden problem? Recommendation to parents and teachers, support your children as much as possible, do not block them, do not compare them to anyone, do not embarrass them, and do not scold them. Reassure them that what is happening is not their fault. Share your experiences, be open and patient, and most importantly never lose faith in your child. Every child has the resources to deal with problems and it depends on you how he can do it."

Used Literature

1. Graham S. Victims of bullying in schools. Theory Into Practice. 2016.
2. Modecki KL, Minchin J, Harbaugh AG, Guerra NG, Runions KC. Bullying prevalence across contexts: A meta-analysis measuring cyber and traditional bullying. Journal of Adolescent Health. 2014
3. Swearer SM, Hymel S. Understanding the psychology of bullying: Moving toward a social-ecological diathesis–stress model. American Psychologist. 2015;70(4)
4. Rigby K. Bullying in schools: Addressing desires, not only behaviours. Educational Psychology Review. 2012
5. Rigby, K. (1996). Bullying in School and what to do about it. London.
6. Slade, S. (2013). A Whole Child Approach to Students Success . KEDI Journal of Education Policy
7. Nadirashvili, Sh. (1975). Social psychology of personality. Tbilisi.
8. Nadirashvili, Sh. (1983). Psychology of Mood Volume I. Tbilisi.
9. Nadirashvili, Sh. (2001). Anthropic theory of mood. Tbilisi: D. of the Georgian Academy of Sciences. Uznadze Institute of Psychology.
10. Patchin W, Hinduja S. Summary of our Cyberbullying Research (2004-2016). Cyber bullying Research Center; 2016. Available from: http://cyberbullying.org/summary-of-our-cyberbullying-research
11. Anton-Erxleben K, Kibriya S, Zhang Y. Bullying as the main driver of low performance in schools: Evidence from Botswana, Ghana, and South Africa. 2016;75555. https://mpra.ub.uni-muenchen.de/id/eprint/75555
12. AlBuhairan F, Abbas OA, El Sayed D, Badri M, Alshahri S, de Vries N. The relationship of bullying and physical violence to mental health and academic performance: A cross-sectional study among adolescents in Kingdom of Saudi Arabia. International Journal of Pediatrics and Adolescent Medicine. 2017 Feb 9. DOI: 10.1016/j.ijpam.2016.12.005
13. Espelage DL, Hong JS, Rao MA, Low S. Associations between peer victimization and academic performance.

Theory Into Practice. 2013 Oct 2;52(4):233-240. DOI: 10.1080/00405841.2013.829724
14. Akar AP. School psychological Counselors' opinions about Causes & Consequences of cyber bullying&preventive policies at schools. AC-EITAI. 2017 Aug 10;2017:445
15. Jones JR, Augustine SM. Creating an anti-bullying culture in secondary schools: Characterists to consider when constructing appropriate anti-bullying programs. American Secondary Education. 2015 Jul 1;43(3):73

ბულინგის გამომწვევი ფსიქო-სოციალური ფაქტორები და მათი პრევენციის გზები

რეზიუმე

ბულინგი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა რომელიც ჩვენს ყოველდღიურობაში მწვავედ დგას. ბულინგი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმაა, რომელიც მოზარდ თანატოლთა შორის არის გავრცელებული და ერთი მხარის მიერ მეორის დაჩაგვრასა და დაცინვაში გამოიხატება. ბულინგის მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც მოზარდი, ისევე მოზრდილი ადამიანი. ბულინგის მსხვერპლი შეიძლება ხანგრძლივი დროის განმრავლობაში ვერ განიკურნოს ფსიქიკური და ფიზიკური ტრავმისაგან, განიცდიდეს მუდმივ შიშს შფოთვას, თავს დამცირებულად ან დათრგუნულად გრძნობდეს და დაუქვეითდეს თვითშეფასება.

ბულინგის მრავალ შემთხვევას ძირითადად ისეთ სოციალურ გარემოში ვხვდებით როგორებიც არის სკოლა, ოჯახი და სამუშაო ადგილი. თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი ყველაზე აქტუალური სასკოლო ცხოვრებაშია, რადგან მოზარდობის ასაკში განხორციელებული ჩაგვრა გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქიკაზე.

მუდმივად ისმის კითხვა თუ როგორ უნდა აღმოვფხვრათ ბულინგის პრობლემა და სად ვეძებოთ მისი პრევენცის გზები. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ ის ფსიქო-სოციალური ფაქტორები რომლებიც იწვევენ ბულინგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, სტატია მიზნად ისახავს გამოარკვიოს ბულინგის/ჩაგვრის გამომწვევი ფსიქო-სოციალური ფაქტორები და მათი გადაჭრის გზები.

სტატია შედგება სამი ნაწილისაგან, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. შესავალში ბულინგის კლასიკურ და თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით ახსნილია აღნიშნული ფენომენის რაობა, ბულინგის ფორმები (ფიზიკური ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური) და მათი გამომწვევი ფაქტორები. ძირითად ნაწილში განხილულია ის სოციალური გარემო (სკოლა) სადაც აღნიშნული მოვლენა ყველაზე მძაფრად არის გამოხატული და ბულინგთან ბრძოლის კონკრეტული მექანიზმები სკოლებში. ასევე, თუ როგორ რეაგირებენ და რას განიცდიან ბულინგის მსხვერპლი მოზარდები. სტატიის ამავე ნაწილში ნაჩვენებია ბულინგის სტატისტიკა და უახლესი კვლევების მეცნიერული ანალიზი. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ბულინგთან ბრძოლის და ამ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

PR-ის განვითარების ეტაპები და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე

მარიტა ზუბიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვაჟა გურგენიძე, სტუ პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში PR-ის განვითარების ეტაპები და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, განხილულია საზოგადოებრივი ურთიერთობების (იგივე PR) მნიშვნელობა, საჭიროება, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები და ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გამოყენებაც გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, საზოგადოების მიმართ მისი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდას და კავშირების გამყარებას სხვა აქტორებთან.

თანამედროვე მსოფლიო რეალობა დღესდღეობით წარმოუდგენელია საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტების გარეშე, PR-ი აქტიურად გამოიყენება საზოგადოებასა და სხვადასხვა სუბიექტებს შორის ურთიერთობის, მათ შორის კავშირისა და შეთანხმების მისაღწევად.

Public Relations (PR) ითარგმნება როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობა. (ქართულად შემოკლებული ვარიანტი - პიარი). მისი სამშობლოა ამერიკა, მართალია ტერმინი პირველად „Public Relations„ მე-19 საუკუნეში გამოიყენეს, მაგრამ თანამედროვე გაგება ამ ტერმინმა გაცილებით გვიან შეიძინა.

საზოგადოებრივი ურთიერთობები (PR), როგორც სოციალური მეცნიერება და მეცნიერულ - გამოყენებითი დისციპლინა წარმოადგენს მართვის ნებისმიერი სისტემის უმთავრეს ელემენტს. PR-ს დაინტერესებულ პიროვნებასა და დარწმუნების ფაქტორზე დაყრდნობით შეუძლია მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვება. PR-ი საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება, აქცენტს აკეთებს საერთო საქმესა და საერთო ინტერესებზე. ხელს უწყობს ურთიერთგაგებას, კონსესუსის მიღწევას და ეფუძნება მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობის პრინციპებს.

მსოფლიოს წამყვან PR-ის მკვლევრებსა და დარგის ექსპერტებს დღეს უკვე ვეღარ წარმოუდგენიათ საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროები, როგორიცაა – პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, ეროვნებათაშორისი ურთიერთობები და სხვ. მეცნიერების ამ დარგის უშუალო თანამონაწილეობისა და მისი აქტიური, პოზიტიური როლისაგან დამოუკიდებლად, PR-ის საფუძველია კეთილგანწყობილი და პოზიტიური დამოკიდებულება პარტნიორებთან, რომელიც გვხვდება პოლიტიკაში, ბიზნესში, არასამთავრობო სექტორში და ა. შ. პიარი ისევე როგორც დასავლეთის ქვეყნებში ასევე საქართველოში ნებისმიერი მმართველობითი სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებასთან, ხალხთან.

საკვანძო სიტყვები: „საზოგადოებრივი ურთიერთობები", „პოლიტიკა", „საზოგადოებრივი აზრი", „იმიჯი", „მედია", „ცნობადობა" „კომუნიკაცია"

შესავალი

პიარის ექსპერტები დღემდე მსჯელობენ იმაზე, თუ სად და როდის წარმოიშვა პირველად პიარის ცნება და ვინ გამოიგონა ეს ტერმინი. ზოგიერთი ისტორიის მკვლევარი ამ იდეას ტომას ჯეფერსონს მიკუთვნებს, რომელმაც 1807 წელს პირველმა გააერთიანა ეს ორი სიტყვათა შეთანხმება. სხვებს მიაჩნიათ, რომ ამ დასახელების ავტორი იყო იურისტი დორმან იტონი, რომელმაც გამოიყენა ტერმინი საზოგადოებასთან ურთიერთობა 1882 წელს იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან მისალმებისას. თუმცა, იმ დროს პიარის ცნება არ გამოიყენებოდა იმ გაგებით, როგორიც დღესაა და ასე იყო 1897 წლამდე, როცა იგი გამოიყენეს „რკინიგზის თემატიკის პუბლიკაციათა ყოველწლიურ ანგარიშში", რომელიც ამერიკის რკინიგზათა ასოციაციამ გამოსცა, მაგრამ ამ ტერმინის რეალურ ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს ედუარდ ბერნეიზი, რომელსაც ირვინ როსმა უწოდა „პირველი და მთავარი პიარის იდეოლოგი". საკმაოდ რთულია იმის დადგენა, თუ რა პერიოდიდან იწყება საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესია. იმდენად, რამდენადაც მისი დანიშნულება საზოგადოებასა და მასთან

ურთიერთობასთან არის დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, მოიცავს არა მარტო ადამიანების ნდობის მოპოვებას, არამედ გავლენის მოხდენას მათ მოქმედებასა და ქცევაზე, ამიტომაც მიიჩნევა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარების კულტურა ისეთივე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა. იმისათვის, რომ მოეხდინათ ადაპტაცია საზოგადოებაში, ადამიანებს ესაჭიროებოდათ და სჭირდებათ თანხმობის შენარჩუნების განსაზღვრული მინიმუმი და ეს თანხმობა, მიიღწეოდა და მიიღწევა პიროვნებათშორისი და ჯგუფური კომუნიკაციის საშუალებით. ცნობილია, რომ თანხმობის მიღწევა მხოლოდ ინფორმაციის ერთმანეთში ინტერაქციის გზით არ არის შესაძლებელი, არამედ ის მოითხოვს ისეთი მნიშვნელოვანი დეტალების გამოყენებასაც, როგორიც არის დარწმუნება, ანუ ნდობის მოპოვების ცოდნა და გავლენის მოხდენა ანუ ზემოქმედება. ნდობის მოპოვება ანუ დარწმუნება დღესაც წარმოადგენს პიარის მთავარი მიზანს. იმისთვის, რომ სხვა დაარწმუნო, ამ სფეროს თანამედროვე პროფესიონალები ხშირად იყენებენ იმ ტაქტიკას, რომელსაც ათასწლეულების განმავლობაში მიმართავდნენ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები. ანტიკური ხანის უდიდესი მოაზროვნე არისტოტელე (384-322 წწ. ჩვ.წ.მდე) თვლიდა, რომ აუდიტორიის დარწმუნება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიპოვებ მის კეთილგანწყობას და სიმპათიას შენს მიმართ. ანტიკური ხანის მეორე უდიდესი მოღვაწე, ძველი რომის სახელმწიფო და პოლიტიკური წარმომადგენელი, შესანიშნავი ორატორი, ციცერონი (106-43 წწ.ჩვ.წ.აღ-მდე) თავის შრომებში რიტორიკის შესახებ, მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა საზოგადოების ფსიქოლოგიის, ინტერესების, გემოვნების შესწავლას. მისი მოსაზრებით, ორატორის მთავარი ამოცანაა დააკმაყოფილოს პუბლიკა ესთეტიურად, გავლენა მოახდინოს, იმოქმედოს მის ნებაზე და ადამიანებზე [3].

„შეიქმენი კარგი რეპუტაცია და ის იმუშავებს შენთვის“ – ამ ცნობილი გამოთქმის ავტორი, ჩინელ ფილოსოფოსი კონ ფუ-ძი გახლავთ, როგორც ცნობილია, კარგი რეპუტაცია და იმიჯი ხშირ შემთხვევაში, სწორედ ეფექტურად წარმართულ პიარზე გადის. პიარი კომუნიკაციაა, კომუნიკაციას კი ნებისმიერ სტრუქტურაში, ყოველდღიურ ცხოვრებასა, თუ ურთიერთობაში უდიდესი როლი აქვს მინიჭებული, სწორედ მისი წყალობით ვიგებთ, თუ რისი თქმა სურს მესიჯის ავტორს და რას მოელის იგი ჩვენგან.

ძირითადი ნაწილი

საქართველოშიპიარისწარმოშობა90-იანიწლებს უკავშირდება, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და აქტიურად წარმოიშვა საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის დაწყებაზე მოთხოვნილება. 1993 წელს შეიქმნა პირველი ქართული ორგანიზაცია, რომელსაც „საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი“ ეწოდა. 1995 წელს კი ტექნიკურ უნივერსიტეტში პირველი პიარის ფაკულტეტი გაიხსნა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ შეიქმნა პიარსააგენტოები, მოგვიანებით სხვა უნივერსიტეტებში პიარისსპეციალობები იწყებს ჩამოყალიბებას, ბიზნესისა და დემოკრატიის ზრდასთან ერთად, სადაც თავისუფალ აზრს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, საქართველოში პოპულარული გახდა პიარსპეციალისტის პროფესია, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პრესსამსახურები გადაკეთდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებად. საქართველოში ყველაზე დიდი მოთხოვნა პოლიტიკურ და ბიზნეს პიარზეა. ,,ოცდამეერთე საუკუნეში ვინც მართავს ინფორმაციას, მას აქვს ძალაუფლება'' ამიტომ, პიარს დიდი როლი ენიჭება დღევანდელ საზოგადოებაში, რადგანაც ის გვევლინება ინფორმაციის მმართველად და წამყვან ძალად.

დღესდღეობით პიარის მართვისა და გამოყენების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ინტერნეტ-სივრცე მიიჩნევა. სოციალურმა ქსელებმა, როგორც პიარის უმნიშვნელოვანესმა ინსტრუმენტმა პიარმენეჯერებს საშუალება მისცა უზრუნველყონ მომხმარებელთან ეფექტური კომუნიკაცია მარტივად და უმოკლეს დროში, მიიღონ მათგან უკუკავშირი, შესთავაზონ პროდუქტი და სერვისი ნებისმიერი ლოკაციიდან ნებისმიერ კუთხეში, რაც როგორც მათ, ასევე მომხმარებელს უქმნის კომფორტულ პირობებს და პიარს ხდის უფრო ეფექტურს. ინტერნეტ სივრცეში სწორად გათვლილი და პროფესიონალი ექსპერტების მიერ დაგეგმილი პიარკამპანია მიიჩნევა იმ საშუალებად, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს მოკლე დროში მიაღწიონ წარმატებას.

რა განსხვავებებია მედიასა და პიარს შორის?

პიარი სტრატეგიული კომუნიკაციის პროცესია, რომელიც ორგანიზაციებსა და მათ აუდიტორიებს შორის აყალიბებს პოზიტიურ ურთიერთობას. აუდიტორიაში პოტენციური მომხმარებელი, თანამშრომლები და ამ სფეროში მოღვაწე სხვა კონკურენტი ორგანიზაციებიც იგულისხმებიან. მედია ურთიერთობები კი ამ წრეს უფრო ავიწროებს.

მედიისთვის აუდიტორია ზოგადი ცნებაა.

აუდიტორია, რომელიც კონკრეტული მედია პროდუქტის მომხმარებელია. განსხვავებები მედიასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებს შორის შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. პიარი გამოიყენებს სხვადასხვა მრავალფეროვან საშუალებებს (არხებს) კომუნიკაციისთვის. მედია კი ერთ ხერხს იყენებს. პიარის ამოცანაა პოზიტიური ურთიერთობების დამყარება კომპანიასა და მომხმარებელს შორის, რისთვისაც საზოგადოებრივი ურთიერთობების სამსახურის თანამშრომლები იყენებენ სხვადასხვა საინფორმაციო კონტენტებს, ესენია: კომპანიის ბლოგი, სოციალური მედია, სპეციალური ღონისძიებები და სხვა.

2. შედარებისთვის წარმოვიდგინოთ მართკუთხედი და კვადრატი, საზოგადოებრივი ურთიერთობები მართკუთხედს ჰგავს, მედია კი კვადრატს, როგორც მათემატიკაში გვხვდება, ყველა კვადრატი მართკუთხედია, მაგრამ ყველა მართკუთხედი კვადრატი არ არის. ეს სიმართლეა რადგან მართკუთხედის განსაკუთრებული ფორმაა კვადრატი. პიარსა და მედიას შორისაც ასეა, ყველა მედიაურთიერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაწილია, მაგრამ ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობა მედიაურთიერთობა არა არის.

3. საზოგადოებრივი ურთიერთობების დისციპლინის მთავარი ამოცანა ძირითადი სათქმელის, მესიჯის აუდიტორიამდე სწორი მიწოდება მოიაზრება, ხოლო მედიას კი მეგაფონის ფუნქცია გააჩნია, მან უნდა გაახმოვანოს მესიჯი.

პიარდისციპლინის ძირითად ამოცანაა შეიმუშაოს ეფექტური მესიჯი რომელმაც უცვლელად უნდა მიაღწიოს აუდიტორიამდე, მედიის ძირითადი მოვალეობაში კი იგულისხმება არა მესიჯის ფორმირება, არამედ ამ მესიჯის გავრცელება და აუდიტორიამდე მიტანა.

პიარის სპეციალისტებმა ხშირად უნდა განახორციელონ მედია მონიტორინგი, რაც საშუალებას აძლევს საკუთარ მუშაობაზე და კომპანიაზე შეიტყონ ახალი და საინტერესო ინფორმაცია. პრაქტიკოსი პიარსპეციალისტების 80% -ზე მეტი ამას ძლიერ იარაღად მიიჩნევს პიარის სფეროში. თუმცა მედიამასალების შენახვა უფრო კოლექციონირებაა, ვიდრე კვლევა. ბოლო წლებში მედია ანალიზი პიარის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. პიარის ჯგუფები ძირითადად მნიშვნელოვანი მედია მასალების სათაურების კვლევით შემოიფარგლებიან.

მედიის როლის განხილვისას, ვოთსონი და ნობლი (Watson and Noble) აღნიშნავენ, რომ მედიას უმნიშვნელოვანესი როლი გააჩნია, პიარ კამპანიის საწარმოებლად, მედიაში გამოქვეყნებული მასალები გამოსავლის ძებნაში გვეხმარება. მედიაში გამოქვეყნებული მასალები პიარისთვის უნდა იყოს არა შედეგი, არამედ გზა ახალი გამოსავლის საძიებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ დეტალებს:

- სტატიების(მასალის) რაოდენობა;
- რამდენად ხშირადაა ნახსენები სამიზნე საკითხები;
- მეტოქეების ან წყაროების რა რაოდენობაა ნახსენები;
- ე. წ ,,გასაღები შეტყობინებების'' (მესიჯის) რაოდენობა;
- შესაძლებლობები, რომლების შესახებ ინფორმაციამ აუდიტორიამდე მიაღწია;
- გავრცელების ხარისხი (რამდენად მიეწოდა ინფორმაცია სამიზნე ჯგუფს) [4. 20].

ტექნოლოგიური პროცესების განვითარებამ თანამედროვე ეპოქაში, ადამიანის ცნობიერებასა და ცხოვრების წესის განსაზღვრის ყველაზე მძლავრ იარაღად მასმედია მიიჩნია, მასვე დაეკისრა დღევანდელ ინფორმაციულ ერაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემაში გადამწყვეტი და შეუცვლელი სუბიექტის ფუნქცია. ძირითადად, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მასმედია ცდილობს, რომ სახელმწიფო და კერძო არხებით (სპეციალური მაუწყებლობის გარდა) საზოგადოებას მიაწოდოს ზნეობრივი და საერთოდ, დადებითი ღირებულების მქონე ტელეპროდუქცია და ფილმები, იმისათვის, რომ პიარ მენეჯერმა შეძლოს მისი კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე სასურველი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის (რა თქმა უნდა ამ კომუნიკაციურ პროცესში იგულისხმებიან ჟურნალისტებიც) მან უნდა შეძლოს ადვილად, სწორად, კორექტულად, საზოგადოებისთვის გასაგებ ენაზე გადასცეს ეს ინფორმაცია, რათა შედეგი იყოს საზოგადოების მიერ არა მხოლოდ ამ ინფორმაციის მიღება, არამედ გათავისება და მისი მოქმედებაში მოყვანა, ანუ ჩართულობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მედიასთან ურთიერთობას შემდეგი ეტაპების გათვალისწინებით ახორციელებს:

- განსაზღვრავს მედიასაშუალებებს;
- განაახლებს მედიაკონტაქტებს;
- შეიმუშავებს მედიაგეგმას;
- პასუხობს მედიის შეკითხვებს;
- ავრცელებს მომზადებულ საინფორმაციო მასალას;
- აწარმოებს მედიამონიტორინგს;
- გეგმავს მედიაღონისძიებებს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა არხის მეშვეობით და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს რეპორტიორი, უნდა ვაღიაროთ, რომ მედია მაინც რჩება ახალი ამბების მთავარ მომწოდებლად. სოციალური მედიის საშუალებით ბუნებრივია უამრავ სიახლეს ვხვდებით და ვიგებთ, თუმცა პროფესიონალურ დონეზე სიახლეების ,,სერვისს'' მხოლოდ სოციალური მედია უზრუნველყოფს. ამასთანავე, მედია რჩება იმ ავტორიტეტად (მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში გარკვეული მედიასაშუალებებისადმი ნდობა არ არის მაღალი საქართველოში) რომელიც ფორმირებას უწევს საზოგადოებრივ აზრს. შესაბამისად პიარმენეჯერებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი გავლენიანი პარტნიორი, როგორიც მედიაა, თუმცა, მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ეფექტიანი თანამშრომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც საზოგადოება გრძნობს და ხედავს ამ ინფორმაციის ურთიერთსარგებლიანობას და როდესაც პიარმენეჯერი არის კარგი მოსაუბრე და კომუნიკატორი.

ედუარდ ბერნეიზი, ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი პიარსპეციალისტი, პიარმენეჯერის ფუნქციის განმარტებას ასეთ სახით გვთავაზობს: „პიარმენეჯერი არის ექსპერტი, რომელიც აწარმოებს კონსულტაციებს საზოგადოებასთან. იგი ცდილობს განსაზღვროს მომხმარებლის სოციალურად მნიშვნელოვანი მახასიათებლები, კვლევების საფუძველზე გამოავლინოს თავის კლიენტსა და მასთან დაკავშირებულ საზოგადოებას შორის მოქმედების შესაბამისობა ან შეუსაბამობა. ურჩევს კლიენტს, შეცვალოს მოქმედების მოდელი, პოზიციები საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს. როდესაც იცვლება კლიენტის ქცევა, შესაბამისად იცვლება საზოგადოების მისადმი დამოკიდებულება, ამიტომ პიარისსპეციალისტმა უნდა შეძლოს საზოგადოების დარწმუნება კლიენტის მოქმედების სისწორეში.

პიარმენეჯერს თავისი სამუშაოს შესრულებისას მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი თვისება თუ ღირსება მან საკუთარი კომპანიისა თუ დაწესებულების ინტერესებისათვის გამოიყენოს, რაც აუცილებლად ემსახურება საზოგადოების ინტერესებსა და სარგებელს.

რაც შეეხება მედიასა და პიარს შორის ურთიერთობას, ამაზე განსხვავებული აზრები არსებობს, ეთიკური და კარგად გამართული საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური მედიისთვის ძალიან სასარგებლოა, რადგან თუ პიარი კარგად მუშაობს ის მედიის წარმომადგენლებისთვისაც სასარგებლო ინფორმაციის წყარო ხდება. კვლევებმა აჩვენა, რომ მედიაში გამოქვეყნებული მასალების 80% სწორედ პიარსამსახურების მიერ მომზადებული და მიწოდებული ინფორმაციაა. თუმცა ეს კვლავ დავის საგანია.

დასკვნა

პიარტექნოლოგიების გამოყენებამ დღეს, თანამედროვე პირობებში, მიაღწია ისეთ მოცემულობას, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ურჩევენ არა მხოლოდ იმას, თუ რა თქვან, არამედ უსაზღვრავენ ქმედებას თუ რა უნდა გააკეთონ. 1960-იან წლებში პიარის სპეციალისტები მხოლოდ იღებდნენ და ავრცელებდნენ იმ შეტყობინებებს, რომელსაც ზემოდან კარნახობდნენ – „უკეთესად როგორ ვთქვათ ამის შესახებ, 60-იანი წლების ბოლოს, როცა საჭირო შეიქმნა სოციალური უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და ა. შ. პიარის სპეციალისტები უკვე ასეთ კითხვას სვამენ: `რა უნდა ვუთხრათ საზოგადოებას? 80-იანი წლებიდან პიარი შევიდა ახალ სტადიაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელები საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალისტებს ეკითხებიან: „რა უნდა გაკეთდეს?“ [3]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://pragenti.wordpress.com/2011/05/14/
2. https://ptgmedia.pearsoncmg.com/images/9789810677947/samplepages/9810677944.pdf
3. ხ. ჩარკვიანი PR-ის როლი პოსტ-საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში (1995-2005წწ.)
4. Tom Watson and Paul Noble, Evaluating Public Relations, London and Philadelphia 2005, p. 20
5. მ. ლომიძე საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები, სალექციო კურსი, 2021, გვ. 8

Stages of development of PR and its influence on the formation of public opinion

Marita Zubiashvili, PhD student
Georgian Technical University

Vazha Gurgenidze, professor
Georgian Technical University

Summary

The article “Stages of development of PR and its influence on the formation of public opinion”, the importance and need of public relations (the same PR), the stages of its formation and development, and the main principles, the use of which implies the formation of public opinion, increasing its accountability and transparency towards society, and the connection to strengthen with other actors.

Modern world reality today is unimaginable without public relations institutions, PR is actively used to achieve relations between society and various entities, including connection and agreement.

Public Relations (PR) is translated as public relations. (abbreviated variant in Georgian - PR). Its homeland is America, although the term "Public Relations" was first used in the 19th century, but the modern understanding of this term was acquired much later.

Public relations (PR), as a social science and a scientific-applied discipline, is the most important element of any management system. PR can gain the support of large masses of the population based on the personality and the persuasiveness factor. PR serves public interests, focuses on common cause and common interests. It promotes mutual understanding, consensus building and is based on the principles of moral and ethical responsibility.

Today, the world's leading PR researchers and experts in the field can no longer imagine such important areas of public life as politics, economy, culture, inter-ethnic relations, independent of the direct participation of this field of science and its active, positive role, the basis of PR is benevolent and positive Relationships with partners found in politics, business, the non-governmental sector, and more. Public relations, like in Western countries, in Georgia is the most important part of any governance system, which is related to society, people.

Keywords: "public relations", "politics", "public opinion", "image", "media", "awareness" "communication"

ოჯახური ძალადობა - „დამკვირვებლის“ როლი

მარიამ კუკულაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: პროფესორი არსენ ბურჯალიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ერთ-ერთი შედეგი, „ოჯახური ძალადობა - „დამკვირვებლის“ როლი“ შესწავლილი და განხილულია, რომელიც ოჯახური ძალადობის მოწმის „დამკვირვებლის“ როლსა და პოზიციას უკავშვირდება. „დამკვირვებლში“ საზოგადოება მოიაზრება, რომელიც თავისი პოზიციით შეიძ-ლება აძლიერებდეს მოძალადის ქცევას, ან სხვა შემთხვევაში პირიქით, მსხვერპლის დამცველი იყოს. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია „დამკვირვებლის“ ტიპები და მათი მნიშვნელობა ოჯახურ ძალადობაში. დამკვირვებლების საშუალებით მოძალადე გრძნობს, რომ იძენს ძლიერის იმიჯს; განცდას, რომ სუსტ მსხვერპლზე ძალადობა მას უპირატესობას ანიჭებს და ამიტომ თავისი საქციელის გამეორების მიზეზი აქვს. საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მოძალადის თვითშეფასების გაძლიერება არა მხოლოდ მისი ემოციური მდგომარეობიდან და მსხვერპლის მორჩილების დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, არამედ მოწმეებისა და იმ პირთა რეაქციებიდანაც, რომლებზეც მას გავლენა აქვს. ნაშრომში იკვეთება კიდევ ერთი ასპექტი, კერძოდ ის, რომ ამა თუ იმ გზით დამკვირვებლის როლის გაძლიერება მნიშვნელოვანი ფაქტორია ოჯახური ძალადობის ინციდენტში. იგი შეიძლება მოვიაზროთ პრევენციის მექანიზმად, მიუხედავად იმისა, რომ ერთის მხრივ შეიძლება თავად იყვნენ მოძალადის გავლენის ქვეშ და განიცდიდნენ შიშს, ხოლო მეორეს მხრივ, შეიძლება ძალადობის სამიზნეები გახდნენ.

ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ, სატელეფონო გამოკითხვა. დარეკვა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდა, სადაც მოსახლეობის თითოეულ წევრსა და წევრთა ერთობლიობას შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი საშუალება აქვს. შემთხვევითი შერჩევით მიღებული მონაცემები ასახავს ქვეყნის დემოგრაფიის (ასაკი, სქესი, რეგიონი) სურათს. 95%-იანი სანდობიის მიხედვით, შერჩევის ცდომილება არის 3.1%. სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდა Surveycto.com პლატფორმის გამოყენებით, სადაც აიტვირთა კითხვარი და ასევე ხდებოდა მიღებული შედეგების ასახვა. ველის პროცესი 2022 წლის ნოემბერში მიმდინარეობდა. კვლევის პროცესში გამოიკითხა 18+ 1000 საქართველოს მოქალაქე.

საკვანძო სიტყვები: დამკვირვებლები; დამკვირვებლის როლი; ოჯახური ძალადობა; მსხვერპლად ქცევის პროცესი.

შესავალი

დღეს, თანამედროვე სამყაროში ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი მწვავე, აქტუალური და ყველას მიერ აღიარებული სოციალურ პრობლემაა. იგი განპირობებულია სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ფაქტორებით და იმავდროულად საზოგადოების სოციალური აღქმების შედეგიცაა. ოჯახური ძალადობა გავლენას ახდენს როგორც მსხვერპლის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, ასევე, ოჯახსა და სრულიად საზოგადოებაზე. ოჯახური ძალადობა მრავალმხრივი შესწავლის საკითხია. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ოჯახურ ძალადობაზე „დამკვირვებლის“ როლი და მისი მნიშვნელობა. ქვემომდებარე სტატიაში „დამკვირვებლად“ საზოგადოებას მოვიაზრებთ და განვიხილავთ რა როლს ასრულებს „დამკვირვებელი“ ოჯახური ძალადობის თვითმხილვერის პოზიციაში და რა გავლენა აქვს ოჯახური ძალადობის პრევენციის საკითხებში.

ძირითადი ტექსტი

ოჯახური ძალადობა ვლინდება ძალადობის როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ფორმით. ოჯახურ ძალადობის მონაწილეები ძირითადად არიან მოძალადე, მსხვერპლი. ხოლო ხშირად ოჯახის სხვა წევრები, მეზობლები, ნათესავები და საზოგადოება ოჯახურ ძალადობაში მონაწილეობენ დამკვირვებლების სახით. ძალადობის მოწმეები ხშირად ხელს უწყობენ მოძალადის ქცევას, სწორედ „დამკვირვებლის“ პოზიციის გამო. ისინი ერთის მხრივ, თითქოს იცავენ მსხვერპლს, ხოლო მეორეს მხრივ, მას გულგრილად უყურებენ.

„დამკვირვებლებს“ შეუძლიათ გავლენა იქონიონ ძალადობის შედეგზე. დამკვირვებლების ფსიქიკური, სოციალურ-ემოციური და სოციო-კოგნიტური მდგომარეობა განსაზღვრავს ძალადობაზე მათი რეაქციის ბუნებას. დამკვირვებლის როლი ძალადობის ეპიზოდებში შეიძლება გადამწყვეტი იყოს ძალადობის შედეგისთვის და დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, მაგალითად როგორიცაა მათი დამოკიდებულება მოძალადის ან მსხვერპლის მიმართ. კერძოდ, დამკვირვებლებს შეუძლიათ მოძალადის მხარდაჭერა, მსხვერპლის დაცვა, ნანახის ან მოსმენილის უგულებელყოფა. ატლასისა და პეპლერის (Atlas. Pepler) კვლევის თანახმად, [1] დამკვირვებელთა 24% მიიჩნევს, რომ ძალადობის ეპიზოდში ჩართვა მათი პასუხისმგებლობაა. თუმცა, ჰინდუჯა და პაჩინი (Hinduja Patchin) [2] ამტკიცებენ, რომ „არაფრის კეთებით დამკვირვებლები რაღაცას აკეთებენ“ [3].

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვირვებლის სამი ტიპი არსებობს. მოძალადის „გულშემატკივრები“ იცინიან მოძალადის საქციელზე ან ნათქვამზე და არაფერს აკეთებენ [3; 4]. „მსხვერპლის დამცველები“ განიცდიან მსხვერპლთან იდენტიფიცირებას, საუბრობენ და რეაგირებენ დანაშაულზე, ხშირად განიცდიან მსხვერპლის ემოციების მსგავს ემოციებს: სირცხვილს, შიშს, დანაშაულის გრძნობას, შფოთვას, ეძებენ დახმარებას მსგავს მდგომარეობაში მყოფი სხვა ადამიანებისგან ან დახმარებას ითხოვენ მშობლების, ნათესავების, საზოგადოების ან შესაბამისი უწყებებისგან [4].

დამკვირვებლის მესამე ტიპი „დაბნეული დამკვირვებლები“ დამკვირვებელთა უმრავლესობას შეადგენენ. მათ არ გააჩნიათ ემოციური კავშირი არც მოძალადესთან და არც მსხვერპლთან. მსხვერპლის დახმარების სურვილის მიუხედავად, საკუთარი ძალების არ სჯერათ და მიიჩნევენ, რომ მათი ჩარევა არაეფექტურია. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის ეპიზოდის ან/და მისი შემდეგების გამო ისინი ნეგატიურ ემოციებს განიცდიან, მათ მიერვე შერჩეული „დამკვირვებლის“ პოზიციის გამო მაინც კმაყოფილი არიან [4].

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სოციალური რეაქციებით გამოწვეული ოჯახის ხელახალად მსხვერპლად ქცევის პროცესის დადგენა და გამოკვეთა, რადგან ეს პროცესი ჩვენი აზრით, ხელს უშლის ოჯახური ძალადობის დანაშაულის პრევენციას და აღმოფხვრას. კერძოდ, დავინტერესდით რას ფიქრობს საზოგადოება ოჯახური ძალადობაზე, მის გამომწვევ ფაქტორებზე, მსხვერპლის დუმილის მიზეზებზე, აქვს თუ არა საზოგადოებას ნდობა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური უწყებებისა და ინსტიტუტების მიმართ, რა გავლენას ახდენს სოციალური რეაქციები ოჯახურ ძალადობაზე. და ბოლოს, რამდენად აქვს საზოგადოებას ოჯახური ძალადობაზე რეაგირების სოციალურ-სამართლებრივი ვალდებულება. ყველა აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა „დამკვირვებელის“ მნიშვნელოვანი როლი, კერძოდ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ დამცავ სოციალურ მექანიზმს, რომელსაც შეუძლია ოჯახურ ძალადობაში მყოფი პირების ხელახლა მსხვერპლად ქცევის პროცესის პრევენცია და აღმოფხვრა ან/და პირიქით, დუმილის ან უგულებელყოფის მეშვეობით მისი ხელშეწყობა. **კვლევაში მონაწილეობდა სხვადასხვა რეგიონის სხვადასხვა ასაკის მაცხოვრებელი.**



რაოდენობრივი კვლევის მეთოდად შეირჩა სატელეფონო ინტერვიუ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გამოიკითხა საქართველოს 18+ ათასი (1000) მოქალაქე. „დამკვირვებლის“ როლი და მისი მნიშვნელობა ძირითად გამოიკვეთა, როდესაც რესპოდენტეპმა უპასუხეს კითხვას: „როგორ ფიქრობთ ძალადობის თვითმხილველის პოზიციაში როგორი იქნებოდა თქვენი ქცევა“. უმეტესობა - 54% თავად ეცდებოდა პრობლემის მოგვარებას, 41% -კი დარეკავდა შესაბამის უწყებებში, 14% -კი სხვა ადამიანს მიმართავდა დასახმარებლად.

დამკვირვლების პირველი ტიპი „მოძალადის გულშემატკივრები“ ჩვენი კვლევის შედეგებით არ ვლინდება, თუმცა ისინი შეიძლება მოვიაზროთ იმ 1%-ში, რომლებიც ძალადობის ეპიზოდის აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვან არცერთ სოციალურ რეაქციას არ მიიჩნევენ მართებულად.

დამკვირვებლების მეორე ტიპი „მსხვერპლთა დამცველები“ - გამოკითხულთა 14% დამკვირვებლის ის ნაწილია, რომელიც ოჯახური ძალადობის ხილვისას დასახმარებლად სხვას მიმართავს: მეზობელს, მეგობარს, ნათესავს და ა.შ. ამ ტიპის დამკვირვებლები ხშირად განიცდიან მსხვერპლის მსგავს ემოციებს.

დამკვირვებლების მესამე ტიპი „დაბნეული დამკვირვებლები“ - 54% ჩვენი კვლევის დამკვირ-



კითხვაზე „რატომ არ ჩაერეოდა ოჯახური ძალადობის ეპიზოდში“ „დამკვირვებელთა“ აზრი შემდეგნაირად გაიყო, ხოლო სწორი სოციალური რეაქცია დამკვირვებლის უმრავლესობისთვის კი სრულიად სხვაა.



N=12 რესპონდენტები, ვინც დასახელა, რომ არ დარეკავდა შესაბამის უწყებებში



N= 1000 პროცენტული ჯამი შეადგენს 100% - ზე მეტს, რადგან რესპონდენტებს ჰქონდათ რამდენიმე პასუხის არჩევის შესაძლებლობა

ვებელთა უმრავლესობას შეადგენენ. მათ სურთ მსხვერპლის დახმარება, მაგრამ არ ენდობიან ისეთ სოციალურ რეაქციებს, რომლებიც სოციალურ უწყებეში დარეკვას ითვალისწინებს, რადგან აღნიშნული მიიჩნევა სხვის ოჯახის საქმეში ჩარევად. ისინი ძალადობის ინციდენტის მოგვარებას თავად ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის თანახმად დამკვირვებლების 62% სწორ სოციალურ რეაქციად შესაბამის უწყებებში დარეკვა მიაჩნია, ამგვარად არ რეაგირებენ.

დასკვნა

ჩვენი კვლევით დასტურდება ოჯახური ძალადობის მიმართ „დამკვირვლებლების“ მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც შეუძლია სწორი სოციალური რეაქციით ოჯახურ ძალადობაში მყოფი პირის ხელახლა მსხვერპლად ქცევის პრევენცია და აღმოფხვრა. ფაქტი ისიცაა, რომ დამკვირვებლის მხრიდან შიში, უგულებელყოფა, ჩაურევლობა ხშირად იწვევს ძალადობრივი ქცევის დამალვას, გამართლებას, რომლებიც მსხვერპლის თვითშეფასეფასების დაქვეითებას, უიმედობის განცდას და ძალადობის წახალისებას უწყობს ხელს. ოჯახური ძალადობის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია „დამკვირვებლის“ ცნობიერების ამაღლება ობიექტური ინფორმაციისა და კოლექტიური ძალისხმევის მეშვეობით. მიგვაჩნია ეს იქნება ერთ-ერთი სწორი გადადგმული ნაბიჯი იმ რთულ გზაზე, რომელსაც ოჯახური ძალადობის პრევენცია ეწოდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mestry, R., Van der Merwe, M., & Squelch, J. (2006). Bystander behavior of school children observing bullying. SA-Educ Journal, 3(2), 46-59.
2. Holfeld, B. (2014). Perceptions and attributions of bystanders to cyber bullying. Computers in Human Behavior, 38, 1-7.
3. Gini, G., Pozzoli, T., Borghi, F., & Franzoni, L. (2008). The role of bystanders in students' perception of bullying and sense of safety. Journal of School Psychology, 46(6), 617-638.
4. Twemlow, S. W., & Sacco, F.C. (2013). How & why does bystanding have such a startlingimpact on the architecture of school bullying and violence? International Journal of AppliedPsychoanalytic Studies, 10(3), 289-306.

"Domestic violence - the role of the "observer"

Mariam Kukuladze, PhD student
Georgian Technical University

Arsen Burjaliani, professor
Georgian Technical University

Summary

In the article "Domestic violence - the role of the "observer" one of the results of our research, which is related to the role and position of the witness of domestic violence, is studied and discussed. In "observer" society is considered, which by its position can strengthen the behavior of the abuser, or in other cases, on the contrary, be the defender of the victim. Accordingly, the paper discusses the types of "observer" and their importance in domestic violence. Through observers, the violator feels that he is gaining the image of the powerful; The feeling that violence against a weak victim gives him an advantage and therefore he has a reason to repeat his behavior. According to the study, the perpetrator's self-esteem is strengthened by his emotional state and the victim's attitude of obedience, as well as by the reactions of witnesses and those who are influenced by him. Another aspect is highlighted in the paper, namely, the strengthening of the role of one or another spectator is an important factor in the incident of domestic violence. It can be considered as a prevention mechanism, although on the one hand, it may be under the influence of the abuser and enter into fear on the other hand, the targets of violence may appear. We conducted quantitative research, specifically a telephone survey. Calling took place at random, the number of which was in the set. Based on random sampling, the data provide an overview of the country's demographics (age, gender, region). At 95% confidence, the sampling error is 3.1%. The telephone survey was conducted using the Surveycto.com platform, where the questionnaire was uploaded and the results were reflected. The field process took place in November 2022. During the research process, 18+ 1000 Georgian citizens were interviewed.

Keywords: observers; the role of the observer; Family Violence; The process of becoming a victim.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა და გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე

იზაბელა ქირია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: პროფესორი თინათინ აფხაიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია სოციალურ და ფსიქოლოგიურ გავლენებზე, პროცესებზე რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია გავლენა მოვახდინოთ სხვებზე – შევცვალოთ მათი რწმენები, ქცევები და დამოკიდებულებები. სტატიაში განხილულია პირდაპირი და ირიბი გავლენის თავისებურებანი, მომხმარებელთა ქცევის ძირითადი თეორული მიდგომები, როგორიცაა: გადაწყვეტილების გამოტანის თეორიები, ემოციური/განცდითი თეორიული მიდგომა, ბიჰევიორისტული მიდგომის თეორია.

სოციალურ გავლენებზე საუბრისას განსაკუთრებით გამოიკვეთა კონფორმიზმი, დამთმობობა და მორჩილება, რომლებიც მეტნაკლებად კარგადაა შესწავლილი.

- კონფორმიზმი, როცა ინდივიდი ცვლის თავის ქცევას, რწმენას ან ატიტუდს არსებული სოციალური ნორმების ზეგავლენით. ამრიგად, კონფორმიზმი განიხილება როგორც საშუალება რომლითაც ჯგუფი ან საზოგადოება აყალიბებს თავისი წევრების აქტიობას. ეს ხორციელდება იმ ფორმალური და არაფორმალური წესებით, რომლებიც მიუთითებენ თუ რომელია სწორი (მისაღები) ქცევა.
- დამთმობობა – წარმოადგენს სოციალური გავლენის უფრო პირდაპირ და პიროვნულ ფორმას. დამთმობობასთან გვაქვს საქ¬მე როცა ინდივიდი ცვლის თავის ქცევას სხვისი მოთხოვნით.
- მორჩილება – ხორციელდება სიტუაციაში სადაც ინდივიდი ცვლის თავის ქცევას სხვისი პირდაპირი ბრძანებით. ჩვეულებრივ ინდივიდს რომელიც ბრძანებას იძლევა იგულისხმევა რომ აქვს ძალა დაიმორჩილოს სხვა, რომ მას აქვს ძალაუფლება.

სტატიაში განხილულია ასევე სოციალური გავლენის სამი სპეციფიკური სფერო, ესენია:

- ინტერპერსონალური, - როდესაც ზემოქმედება მცირე ჯგუფში მიმდინარეობს. ეს შეიძლება იყოს ოჯახი, სამეზობელო, სამეგობრო წრე, კოლეგები.
- სპეციალიზირებული - ამ დროს გავლენა გამიზნულ კონკრეტულ აუდიტორიაზე ხორციელდება.
- მედიასივრცე - მისი ზემოქმედება ხორციელდება მთელ საზოგადოებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ფსიქოლოგიურ გავლენაზე, რადგან ეს უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოციალური გავლენა. კერძოდ, ფსიქოლოგიურ გავლენაში მოიაზრება გაცილებით მეტი რაოდენობის ფაქტები, აგრეთვე საგნები და მოვლენები, ვიდრე სოციალურ ზეგავლენაში. ფსიქოლოგიური გავლენა შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც პირდაპირი დირექტიული, ასევე ფარული მინიშნების მეთოდებით.

სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების შეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილია მიგნებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებელთა გადაწყეტილების პროცესებზე.

საკვანძო სიტყვები: სოციოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქლოგია, სოციალური გავლენები, ფსიქოლოგიური გავლენები, საზოგადოება, მომხმარებელი, მომხმარებლის ქცევა.

შესავალი

თანამედროვე სამყაროში ადამიანი მრავალი სოციალური ინსტიტუტის ზეგავლენის სამიზნეა. ადამიანის ბუნება სოციალურია და მიდრეკილია განიცადოს სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება. XXI საუკუნეში სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს და მათ გავლენას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც გამოწვეულია ტექნოლოგიების განვითარებით, მრავალფეროვანი ზემოქმედების წყაროების შექმნითა და გავრცელებით, ცხოვრების დაჩქარებული ტემპითა და სხვა სუბიექტური, თუ ობიექტური გარემოებებით. არსებული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე საზოგადოება ისრუტავს ყველა მიღებულ ინფორმაციას და ხშირ შემთხვევაში გაფილტვრის

გარეშე ექცევა ზემოქმედების ქვეშ. საზოგადოების (მომხმარებელთა) ქცევა შესაძლებელია გამომდინარეობდეს უკვე წინასწარ განსაზღვრული, ხელოვნურად შექმნილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. ამ მოთხოვნილებათა საფუძველს კი სწორედ სოციალურ ფსიქოლოგიური ფაქტორები წარმოადგენენ.

სოციალურ მეცნიერებებზე დაყრდნობით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის სოციალური ბუნებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს რომ ის სოციუმის გავლენას უნდა დაემორჩილოს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ცხოვრობენ ინდივიდუალობისა და სოციუმისადმი დამორჩილების ღირებულებებს შორის მუდმივ კონფლიქტში.

ინდივიდმა ერთის მხრივ უნდა დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, ამას გარკვეული თვითდამკვიდრების მნიშვნელობა აქვს და მეორეს მხრივ საზოგადოების ნორმებისადმი დაქვემდებარებასაც გვერდს ვერ აუვლის. ამ კონფლიქტის არსის გარკვევა, მისი გადაწყვეტის გზების ძიება სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. მისი გადაწყვეტა კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება გაცნობიერებული სოციალური გავლენების ფსიქოლოგიური კანონზომიერებები. როგორ შეიძლება მოვახდინოთ გავლენა სხვებზე? რა უნდა ვიცოდეთ, რომ შევცვალოთ მათი ქცევები, ატიტუდები და გრძნობები სასურველი მიმართულებით? რა სიტუაციური და პიროვნული მახასიათებლების ცოდნაა საჭირო რათა ეფექტურად გადავწვიტოთ პრობლემები?

ესაა საკითხები რომლებიც სოციალური ფენომენების იმ სფეროში განიხილებიან, რომელიც სოციალური გავლენების სახელწოდებითაა ცნობილ.

გამომდინარე აქედან ნაშრომში ძირითადი აქცენტები გაკეთდება ისეთ საკითხებზე

როგორიცაა:

- სოციალური გავლენები
- ფსიქოლოგიური გავლენები
- ბიჰევიორიზმი

ძირითადი ნაწილი

სოციალური გავლენები

სოციალიზაციის პროცესის თანამდევ ფაქტორს წარმოადგენს სოციალური გავლენა. სოციუმი გავლენას ახდენს საკუთარ წევრებზე. სოციალური გავლენა ყველგანაა და ყველაზე მუდმივად მოქმედებს. ზემოქმედების უწყვეტი ნაკადი ქმნის ერთგვარ ენერგეტიკულ ველს, სადაც ყოველი ადამიანი ერთდროულად გავლენის როგორც - სუბიექტს, ისე - ობიექტს წარმოადგენს. სოციალური გავლენის სამ სპეციფიკურ სფეროს განიხილავენ. ესენია: ინტერპერსონალური, - როდესაც ზემოქმედება მცირე ჯგუფში მიმდინარეობს. ეს შეიძლება იყოს ოჯახი, სამეზობელო, სამეგობრო წრე, კოლეგები. სპეციალიზირებული - ამ დროს გავლენა გამიზნულ კონკრეტულ აუდიტორიაზე ხორციელდება. მედიასივრცე - მისი ზემოქმედება ხორციელდება მთელ საზოგადოებაზე. შემეცნების ბაზისური მოთხოვნილება, ადამიანს აიძულებს თვალი ადევნოს სამყაროში მიმდინარე მოვლენებს; გაეცნოს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მომხდარ საინტერესო ფაქტებს. მასმედია, ფაქტობრივად, წარმართავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. რაც უფრო იზრდება ინფორმაციის მიწოდების ტემპი და მასშტაბები, მით უფრო მეტად ძლიერდება მისი გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე. სოციალურ ფსიქოლოგიაში ერთმანეთისგან განასხვავებენ გავლენას და ზეგავლენას. სოციალური პროცესების გავლენას ადამიანზე, რომელიც არამიზანმიმართულად, ცნობიერი მიზნის გარეშე მიმდინარეობს, აღინიშნება ტერმინით სოციალური გავლენა; ხოლო ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, რომელიც ცნობიერი ზეგავლენის მიზნით ხორციელდება, სოციალური ზეგავლენის ტერმინით მოიხსენიებენ.

სოციალურ ფსიქოლოგიაში ასევე ნაკვლევია და დადგენილია მთელი რიგი პროცესები, რომელთა გამოყენებით შეიძლება გავლენა მოვახდინოთ სხვებზე – შევცვალოთ მათი რწმენები, ატიტუდები და ქცევები, მათ შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა კონფორმიზმი, დამთმობობა და მორჩილება, რომლებიც მეტნაკლებად კარგადაა შესწავლილი.

მორჩილება წარმოადგენს სოციალური გავლენის ფორმას, რომელშიც ერთი ან მეტი ინდივიდი ემორჩილება სხვის ბრძანებას. იგულისხმება, ინდივიდი რომელიც იძლევა ბრძანებას, ფლობს გარკვეულ ძალაუფლებას გავლენა მოახდინოს სხვაზე. ჩვეულებრივ არჩევენ ძალაუფლების ექვს წყაროს:

დაჯილდოვების ძალაუფლება, დასჯის ძალაუფლება, ექსპერტული ძალაუფლება, ინფორმაციული ძალაუფლება, რეფერენტული ძალაუფლება და კანონიერი ძალაუფლება. როცა მორჩილებაზე ვსაუბრობთ, ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ ის ემყარება კანონიერ ძალაუფლებას, თუმცა არ არის გამორიცხული ძალაუფლების სხვა წყაროებიც თამაშობდნენ აქტიურ როლს. (ბალიაშვილი, 2010)

რაც შეეხება დათმობას ის წარმოადგენს სოციალური გავლენის უფრო პირდაპირ და პიროვნულ ფორმას, როცა ინდივიდი თავის ქცევას ცვლის სხვისი მოთხოვნით. სოციალურ გავლენებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ვრცლად შევეხოთ ამ თემის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ- კონფორმულობას. როცა ინდივიდი ცვლის თავის ქცევას, რწმენას ან ატიტუდს არსებული სოციალური ნორმების ზეგავლენით, ამას კონფორმიზმი ეწოდება. არსებობს აზრი, რომ სწორედ სოციალური ნორმებისადმი მორჩილება გვიცავს „სოციალური ანარქიისგან.“ ამ კუთხით თუ შევხედავთ კონფორმულობა შესაძლოა სასარგებლო ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არაა. ჩვენ მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქცევას საზოგადოებაში, თუ საზოგადოების გარეთ გარკვეული მიზეზი და მოტივი განაპირობებს. კონფორმულობასაც, როგორც ფსიქო-სოციალურ ქცევას გარკვეული მოტივები გააჩნია. პირველი ესაა ნორმტიული გავლენა-როცა ინდივიდს სურს ჯგუფმა მიიღოს და არ დარჩეს მისგან გარიყული. შეიძლება ითქვას ეს არის სურვილი მოსწონდე სხვებს.

კონფორმიზმის თემა შემოქმედებაშიც საკმაოდ აქტუალურია. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ცნობილი იტალიელი კინორეჟისორის ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმი-„კონფორმისტი“, რომელიც გადაღებულია ალბერტო მორავიას ცნობილი მოთხრობის მიხედვით. აქ წამოჭრილია კონფორმულობის სწორედ ის პრობლემა, როდესაც ადამიანს საკუთარი პრინციპების საწინააღმდეგოდ უწევს მოქმედება. ამ ფილმის ახსნისას საჭიროა გავიხსენოთ მილგრამის ექსპერიმენტის შედეგი, რომ ადამიანები ხშირად მიყვებიან ავტორიტეტის ბრძანებას მაშინაც კი, როცა ბრძანება უკავშირდება უდანაშაულო ადამიანების ტანჯვას. ფილმის გმირი, მიუხედავად შინაგანი ბრძოლისა, ვერ ახერხებს ფსიქოლოგიური და პიროვნული მდგრადობის შენარჩუნებას და საბოლოოდ ნაცისტური კონფორმიზმის მსხვერპლი ხდება.

ადამიანის მოთხოვნილებაა გრძნობდეს საკუთარ უნიკალურობას და ამავე დროს მიეკუთვნებოდეს გარკვეულ სოციალურ ჯგუფს. ყოველი ჩვენგანის ამოცანაა დაიცვას ბალანსი დამოუკიდებლობასა და დაქვემდებარებას შორის, პირად ცხოვრებასა და საზგადოებრივ ცხოვრებას შორის, ინდივიდუალურობასა და სოციალურ იდენტობას შორის. ცნობილი ფსიქოლოგი კარლ როჯერსი ამბობდა: „მხოლოდ ერთ საკითხს აქვს მნიშვნელობა, ვცხოვრობ ისე, რომ ჩემი ცხოვრება სრულიად მაკმაყოფილებს და მაძლევს საკუთარი უნარების რეალიზების საშუალებას.“ რადგან საკუთარი უნიკალურობის განცდა ადამიანის კომფორტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიობაა, როჯერსის ეს სიტყვები ალბათ საუკეთესო განმარტებაა იმისა თუ რა გზით შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა სიმშვიდეს. იცხოვროს მაღალი სოციალური და პიროვნული ღირებულებებით და ამვე დროს მართოს შინაგანი კონფლიქტები, იყოს ფსიქიკურად მდგრადი და მიიღოს საკუთარი თუ სხვისი ცხოვრებისთვის დადებითი გადაწყვეტილებები, იყოს უნიკალური საკუთარი ღირებულებებითა და ცხოვრების წესით.

ფსიქოლოგიური გავლენა

ფსიქოლოგიური გავლენა ეს უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოციალური გავლენა. კერძოდ, ფსიქოლოგიურ გავლენაში მოიაზრება გაცილებით მეტი რაოდენობის ფაქტები, აგრეთვე საგნები და მოვლენები, ვიდრე სოციალურ ზეგავლენაში. ფსიქოლოგიური გავლენა შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც პირდაპირი დირექტიული, ასევე ფარული მინიშნების მეთოდებით.

პირდაპირი და ირიბი გავლენა, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთისგან განსხვავდება ზემოქმედების მეთოდებით. პირდაპირი გავლენის მექანიზმებია დარწმუნება და ჩაგონება. პირდაპირი ღია გავლენის შედეგები ასევე პირდაპირ, ღიად აღიქმება. ამ დროს, მანიპულატორი მიზნად ისახავს მიაღწიოს გარკვეულ კონკრეტულ შედეგს ზემოქმედების ობიექტისგან. ირიბი გავლენის პროდუქტია „გადადება“ და „მიბაძვა“. „მიბაძვა“ ირიბი გავლენის გაცნობიერებული შედეგია. გადადება კი, ეს არის ადამიანის გაუცნობიერებელი, უნებური მიმბაძველობა. თუ პირდაპირი ზემოქმედებისას ადამიანი ღიად ემორჩილება მანიპულატორის მოწოდებას განახორციელოს გარკვეული ქმედება ან იაზროვნოს შესაბამისად, ირიბი გავლენისას, ის ფარული ზემოქმედების მსხვერპლია. (ნადირაშვილი, 2009)

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ რეკლამა, როდესაც სარეკლამო სიუჟეტში რომელიმე ნივთს იყენებს მაყურებლისთვის საყვარელი ადამიანი, მსახიობი, ტელეწამყვანი, სპორტსმენი, ეს საგანი უცებ მაყურებლისთვისაც საჭირო ხდება. ე.წ. გადადების მაგალითებია: მოდას აყოლა, სპორტში ჩაბმანდა ა.შ. ამერიკელი ფსიქოლოგი რობერტ ჩალდინი თავის ცნობილ წიგნში „გავლენის ფსიქოლოგია“ აღწერს ეფექტური ზემოქმედების მეთოდებს, რომლებიც გარკვეულ ფსიქოლოგიურ

კანონზომიერებებს ექვემდებარებიან. მეცნიერმა შემოგვთავაზა შემდეგი მექანიზმები, რომლებიც გავლენის პროცესს წარმართავენ: თანმიმდევრულობა /სტერეოტიპული აზროვნება/ - ცნობიერების ცრურწმენა, რომლის მიხედვით თუ ადამიანი ერთხელ უკვე კარგად ნაცად ქცევას მიმართავს, წარმატებას მიაღწევს. (მეტრეველი, ხურცია, 2021)

მიუხედავად ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობებისა ისინი ხშირად იღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება ლოგიკას. სამწუხაროდ ხშირად ვერ ვხვდებით შეცდომებს, რადგან ვერ ვაცნობიერებთ საკუთარ გადაწყვეტილებას, ქვეცნობიერში გვჯერა, რომ ის რასაც ვაკეთებთ 100%-ით სწორია. ადამიანები ხშირად ირაციონალურები არიან, მაგალითად გიფიქრიათ იმაზე, თუ რატომ აქცევთ ყურადღებას კონკრეტულ ბრენდს და არა პროდუქციის ხარისხს? გარითმულ სათაურებს? და რატომ ირჩევთ არსებული ორი ვარიანტიდან მესამეს? ეს ყველაფერი თქვენი, ადამიანების ფსიქოლოგიის ნაწილია. მიუხედავად იმისა, მოგწონთ ეს თუ არა, სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ხერხები ყველა ჩვენთაგანზე ახდენს გავლენას.

მომხმარებლის ქცევის, როგორც დისციპლინის არსებობის მანძილზე გაჩნდა სხვადასხვა კვლევითი ორიენტაციები/მიდგომები. ეს ორიენტაციები/მიდგომები შეიძლება დავყოთ იმის მიხედვით, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას მომხმარებლის მიერ პროდუქტის შეძენის პროცესზე:

- გადაწყვეტილების გამოტანის თეორიები
- ემოციური/განცდითი თეორიული მიდგომა
- ბიჰევიორისტული მიდგომა

გადაწყვეტილების გამოტანის თეორიები 70-იანი წლების ყველაზე პოპულარული მიდგომაა, რომლის მიხედვით შემსყიდველობითი ქცევა აღიქმება როგორც გადაწყვეტილების გამოტანის პროცესი;

ქცევის ანალიზი იწყება პრობლემის აღქმიდან და ასახავს მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესს ნაბიჯ-ნაბიჯ. ეს ნაბიჯები მოიცავს პრობლემის ცნობის, ძიებას, ალტერნატული ვარიანტების შეფასებას, არჩევას, მყიდველობითი ქცევის შემდგომ ეტაპს და სხვა. მისი ფესვები კოგნიტურ და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში და ეკონომიკის ზოგიერთ სფეროშია.

ამ მიდგომის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება აღიქმება, როგორც რაციონალური პროცესი. ადამიანი არსებულ ალტერნატივებს ანიჭებს პლიუსებს და მინუსებს და საბოლოოდ ირჩევს იმ ალტერნატივას, რომელსაც უფრო მეტი პლიუსი დაუგროვდება. თეორიის მიხედვით ადამიანი ამ პროცესის დროს სრულიად ობიექტურად, მიუკერძოებლად იქცევა.

მაგალითად, ადამიანს უნდა შეიძინოს სპორტულ ფეხსაცმელი. ამ თეორიის წარმომადგენლები შემდეგნაირად აღწერენ ამ პროცესს: მომხმარებელი აფასებს ფეხსაცმლის ფერს, შემდეგ ფიქრობს ხარისხზე, ფასზე, კომფორტულობაზე; აწონ-დაწონის ყველა ამ კრიტერიუმს და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. ანუ მის მიერ განხორციელებული მყიდველობითი აქტი შედეგია გარკვეული ალტერნატივების შეფასებისა, რაციონალური მსჯელობებისა.

განცდითი ორიენტაციის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ მომხმარებელი უმრავლეს შემთხვევაში არ მოქმედებს რაციონალურად, არ იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას, იგი იმპულსურად მოქმედებს ყიდვისას. ხშირად მომხმარებლები მართლაც მსჯელობენ შესასყიდი საქონლის ავ-კარგზე, მაგრამ ბოლოს გადაწყვეტილებას იღებენ სრულიად იმპულსურად, თუმცაღა ჰგონიათ, რომ ბევრი იფიქრეს და სწორედ ასე მიიღეს გადაწყვეტილება. განცდითი ორიენტაციის წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ საქონლის შეძენის ემოციურ ასპექტებზე, ადამიანი იშვიათად ხელმძღვანელობს საღი აზრით ყიდვისას, აქ გრძნობები და ხშირად დაფარული უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამ ორიენტაციის ფესვები მოტივაციურ თეორიებშია.

ბიჰევიორისტული გავლენის პერსპექტივა - ეს მიმდინარეობა ყურადღებას ამახვილებს ძლიერ გარემო ძალებზე, რომლებიც ქმნიან პირობებს მომხმარებლის მიერ პროდუქტის შესასყიდად. ეს ძალები აწვებიან მომხმარებელს და იგი ყიდულობს პროდუქტს ყოველგვარი ემოციებისა და საკუთარი მსჯელობების გარეშე. ეს ძალებია: ძლიერი ფასის ვარდნა, შეღავათები, კულტურული ნორმები, ეკონომიკური პრესი... ამ მიდგომის ფესვები არის ბიჰევიორისტული დასწავლის თეორიაში. (ბალიაშვილი, 2010)

უმრავლეს შემთხვევაში შესყიდვის აქტები სამივე პერსპექტივის ელემენტს შეიცავენ. ეს დამოკიდებულია თავად შესასყიდ პროდუქტის კატეგორიაზე. მაგალითად, მანქანას უმრავლესობა ყიდულობს გადაწყვეტილების გამოტანის ხანგრძლივი პროცესის შედეგად, რადგან ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცაღა ზოგიერთი მანქანის მყიდველი შეიძლება იმპულსურიც კი იყოს, რადგან მანქანა დაკავშირებული ძლიერ პოზიტიურ გრძნობებთან.

დასკვნა

ამრიგად, აბსტრაქტის დასკვნისას, მეცნიერების თეორიებზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს მეორე ადამიანის აქტივობა. ამ პროცესების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება. იგი ორი ფორმის, პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის სახით ვლინდება. პირდაპირი სოციალურ-ფსიქოლოგიური ზეგავლენა ადამიანთა უშუალო ურთიერთობის პროცესში ვლინდება და გარკვეულ კანონზომიერებათა საფუძველზე ხორციელდება, რომლებიც თავისთავადაა ადამიანებზე მქონენი, რომელთა მიმართ ადაიანს აქვს აქვს ურთიერთობის ან განრიდების მოთხოვნილება.

სოციალური გავლენა კი ეფუძნება იმას, რომ მეორე ადამიანის სიტუაციაში შემოსვლა თავისთავად ახდენს გავლენას მის ფსიქიკურ აქტივობაზე. ეს გავლენა ძირითადად დადებითია. ის აადვილებს ადამიანის საქმიანობას. ადამიანთა ჯგუფები, უმრავლესობა გავლენას ახდენს ინდივიდზე და უმცირესობაზე, ისინი თანდათან ემხრობიან იმ შეხედულებებსა და შეფასებებს, რომლებსაც უმრავლესობა გამოთქვამს გარკვეული მოვლენების შესახებ, მაგრამ არსებობს განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, რომელთა გამოყენებითაც უმცირესობა ზეგავლენას ახდენს უმრავლესობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ.მეტრეველი, ი.ხურცია გავლენის ფსიქოლოგია, გამომცემელი- ჩემი გამომცემლობა თბილისი 2021
2. მ.ბალიაშვილის "სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა მწიგნობარი, 2010წ.
3. დ.ნადირაშვილი სოციალურ-ფსიქოლოგიური გავენა, გამომცემლობა ნეკერი 2009წ
4. ი.ბელჩი მარკეტინგი და პრომოცია - თავი v, გამომცემლობა დიოგენე 2013წ.
5. მომხმარებელთა ქცევა - მაია ვეშაგური
6. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები - ამირან ბერძენიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
7. მღებრიშვილი ბ, თოდუა ნ. მარკეტინგის საფუძვლები. თბილისი 2009
8. უილკოქსი დ. ლ, კამერონი გ. ტ. საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგია და ტაქტიკა. თბილისი
9. მარი ბანძელაძე სოციოლოგიური კვლევები მარკეტინგსა და PR-ში - თბილისი 2012 წელი
10. ლილი ხეჩუაშვილი - შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში - თბილისი 2013
11. ნესტან ლომაია - სოციალური ფსიქოლოგია - თბილისი 2015

Importance and impact of socio-psychological factors on consumer behavior

Izabela Kiria, PhD student
Georgian Technical University

Supervisor: Tinatin Apkhaidze, professor
Georgian Technical University

Summary

The article talks about social and psychological influences, processes that can be used to influence others - to change their beliefs, behaviors and attitudes. The article discusses the characteristics of direct and indirect influence, the main theoretical approaches of consumer behavior, such as: decision-making theories, emotional/feeling theoretical approach, behaviorist approach theory.

When talking about social influences, conformity, compliance and obedience, which are more or less well studied, were particularly highlighted.

• Conformism, when an individual changes his behavior, beliefs or attitudes under the influence of existing social norms. Thus, conformity is seen as the means by which a group or society shapes the actions of its members. This is

done through formal and informal rules that indicate what is correct (acceptable) behavior.

• Condescension – represents a more direct and personal form of social influence. Acquiescence is when an individual changes his behavior at the request of another.

• Obedience - is carried out in a situation where an individual changes his behavior at the direct command of another. The usual individual who gives an order means that he has the power to obey another, that he has power.

The article also discusses three specific areas of social influence, namely:

• Interpersonal, - when the impact takes place in a small group. It can be a family, a neighborhood, a circle of friends, colleagues.

• Specialized - at this time, the influence is carried out on a specific target audience.

• Media space - its influence is carried out on the whole society.

Special attention is paid to psychological impact, as it is a broader concept than social impact. In particular, psychological influence includes a much larger number of facts, objects and events than social influence. Psychological influence can be carried out by both direct directive and covert hint methods.

Findings are presented based on the comparison and analysis of social and psychological factors that influence consumer decision-making processes.

keywords

Sociology, social psychology, psychology, social influences, psychological influences, society, consumer, consumer behavior.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

ვაცლავ ჰაველი - გზა დისიდენტობიდან პრეზიდენტობამდე

ედიშერ გვენეტაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზაზა ადეიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ყველა თანხმდება იმაზე, რომ უახლესი ისტორიის პოლიტიკურ მოღვაწეთა გალერეაში ვაცლავ ჰაველზე პოზიტიური და საერთო კეთილგანწყობის ფოკუსში მყოფი პერსონა ძნელად რომ მოიძებნოს.

1989 წლის ნოემბერში ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ანტიკომუნისტური გამოსვლები დაიწყო. ორ კვირაში დაემხო რეჟიმი, რომელიც ქვეყანას ოთხი ათეულ წელზე მეტხანს მართავდა. ეს მოვლენები ისტორიაში ,,ხავერდოვანი რევოლუციის" სახელით შევიდა, რადგან უსისხლოდ - ყოველგვარი მსხვერპლისა და ნგრევის გარეშე დასრულდა. რევოლუციის ლიდერი ცნობილი ჰუმანისტი, დრამატურგი, ფილოსოფოსი და დისიდენტი ვაცლავ ჰაველი იყო, რომელიც მალევე ქვეყნის პრეზიდენტი ხდება. მისი მმართველობის დროს ჩეხოსლოვაკია გაიყო (ჩეხეთს გამოეყო სლოვაკეთი), მაგრამ ჰაველი ჩეხებისთვის მაინც დარჩა გმირად და ზნეობრივ ორიენტირად. ზუსტად ასე აფასებენ მას მთელს მსოფლიოშიც.

ვაცლავ ჰაველი (1936-2011) პრაღაში, მდიდარი ჩეხი მეწარმის ოჯახში დაიბადა. მას მერე, რაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა, ჰაველს მისი ოჯახის სოციალური სტატუსის გამო განათლების პრობლემა შეექმნა. დიდი დაბრკოლებების მიუხედავად ის მაინც ამთავრებს უნივერსიტეტს და თეატრში იწყებს მუშაობას. 1968 წლის ცნობილი ,,პრაღის გაზაფხულის" შემდეგ ის ტექსტებს წერდა რადიოსადგურისთვის ,თავისუფალი ჩეხოსლოვაკია". იგი აქტიურად ერთვება ოპოზიციურ საქმიანობაში და ხდება ავტორი ,,ქარტია 77"-ის - დოკუმენტის, რომელშიც კომუნისტურ რეჟიმს აკრიტიკებენ და რომელიც სხვა ქვეყნებისთვის მაგალითად იქცა. დისიდენტური მოღვაწეობისთვის ვაცლავ ჰაველი რამდენიმეჯერ დააპატიმრეს.

ჰაველმა დაამტკიცა, რომ რეალური პოლიტიკის წარმოება ზნეობრივ ავტორიტეტსაც შეუძლია. პრეზიდენტის პოსტი, რომელიც მან დაიკავა, ძირითადად წარმომადგენლობითი და ცერემონიული მნიშვნელობის იყო, მაგრამ ამან მისცა მას საგარეო პოლიტიკაში აქტიური საქმიანობის შესაძლებლობა. ის ნაყოფიერად ლობირებდა ჩეხეთის და სხვა აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გაწევრიანებას ნატოსა და ევროკავშირში.

მართალია ევროკავშირში ჩეხეთი 2004 წელს შევიდა, მაგრამ ეს მთლიანად მათი პირველი პრეზიდენტის დამსახურება იყო. ვაცლავ ჰაველმა მოახერხა მთავარი - არ აჰყვა პოსტკომუნისტური რეალობის გავრცელებულ ტენდენციებს, არც ფანატიკოსი თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულ ბელადად იქცა და არც პრაგმატულ ლიდერად. ჩეხოსლოვაკიის დაშლაც ღირსეულად მიიღო და ზნეობრივი პოლიტიკის სიმბოლოდ იქცა.

თავისი პრეზიდენტობის სტილით ჰაველმა დროს გაუსწრო. იგი მეგობრობდა დალაი-ლამასთან; კულტურის საკითხებში განსაკუთრებული წარმომადგენლის თანამდებობაზე ნიშნავს ფრენკ ზამპას; თავის რეზიდენციაში მასპინძლობს The Rolling Stones-ს; ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ბილ კლინტონი მიჰყავს ლუდხანაში; პრეზიდენტობის

შემდგომ პერიოდში აქტიურად უჭერს მხარს მწვანე მოძრაობას.

თვალსაჩინო პოლიტიკურ ფიგურასთან ერთად ვაცლავ ჰაველი უდიდესი მოაზროვნე და ინტელექტუალი იყო. მან არაერთი მნიშვნელოვანი პიესა, პუბლიცისტური წერილი და წიგნი გამოსცა.

ერთი დიდი ენციკლოპედიური გამოცემა დასჭირდება იმის აღრიცხვას, თუ რამდენი ჯილდო, ორდენი, მედალი, პრემია ჰქონდა მიღებული და მინიჭებული ვაცლავ ჰაველს, რამდენი უნივერსიტეტისა და აკადემიის ნამდვილ წევრად იყო არჩეული.

შესავალი

ცნობილი ჩეხი ანტიკომუნისტი პოლიტიკოსი, მწერალი, დრამატურგი, დისიდენტი, ,,ხავერდოვანი რევოლუციის" ერთ-ერთი ავტორი **ვაცლავ ჰაველი** 1936 წლის 5 ოქტომბერს დაიბადა ქ. პრაღაში. იგი იზრდებოდა საზოგადოებისთვის ცნობილ მდიდარ ინტელექტუალთა ოჯახში. მეორე მსოფლიო ომამდე ჰაველების ოჯახი ფლობდა კინოსტუდია ,,ბარანდოვს", სარესტორნო ფირმა ,,ლიუცერნას", მონადირეთა სახლს ჩეხეთ-მორავიის მაღლობზე და საცხოვრებელ სახლს პრაღაში მდ.ვლტავას ნაპირზე. ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ ჰაველების ოჯახს მთელი ქონება ჩამოართვეს. თავად ვაცლავსაც პრობლემები შეექმნა სკოლაში, როგორც ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგის შვილს. სკოლიდან გარიცხვის შემდეგ ჰაველი საღამოს გიმნაზიას ამთავრებს და აბარებს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის ფაკულტეტზე. 50-იანი წლების ბოლოს ახალგაზრდა ჰაველი კინემატოგრაფმა გაიტაცა. ის პრაღის ერთ-ერთ თეატრში იწყებს მუშაობას, სადაც მის მომავალ მეუღლეს ოლგა ჰავლოვას გაიცნობს, რომელთანაც იქორწინებს 1964 წელს. ამავე პერიოდში წერს პიესებს. თეატრი მისთვის თვითგამოხატვისა და დემოკრატიული იდეალების გავრცელების ერთგვარი საშუალება იყო.

ძირითადი ნაწილი

1968 წლის მოვლენებმა, რომელიც ,,პრაღის გაზაფხულის" სახელითაა ცნობილი, ჰაველი აიძულა უფრო ღიად და მძაფრად დაპირისპირებოდა კომუნისტურ რეჟიმს. 1975 წელს ჰაველმა ღია წერილით მიმართა პრეზიდენტ ჰუსაკს, რითაც მან დემონსტრაციულად გამოიწვია არსებული მმართველი რეჟიმი. მალე ვაცლავ ჰაველი ისტორიულ დოკუმენტის - ,,ქარტია 77"-ის თანაავტორი ხდება. ქარტია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური მთავრობისგან ადამიანის უფლებების შესახებ იმ ხელშეკრულებების დაცვას მოითხოვდა, რომელზეც მას ხელი ჰქონდა მოწერილი. ქარტიის ავტორებზე მკაცრი რეპრესიები განხორციელდა. ჰაველი ციხეში მოხვდა. 1977 წლიდან 1989 წლამდე დისიდენტური აქტივობებისთვის ვაცლავ ჰაველი სამჯერ დააპატიმრეს. საპატიმროში მას მნიშვნელოვნად გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ის ძალიან ბევრს ეწეოდა და ფილტვების ქრონიკული პრობლემები დაეწყო. სწორედ ფილტვების და სასუნთქი გზების დაავადება იყო მთავარი ფაქტორი, რომელმაც ის 75 წლის ასაკში იმსხვერპლა.

პოლიტპატიმრიდან ვაცლავ ჰაველი ,,ხავერდოვანი რევოლუციის" ლიდერად იქცა, რომლის შედეგად მშვიდობიანად შეიცვალა კომუნისტური რეჟიმი, ხოლო ჰაველი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს. ის ერთ-ერთი იშვიათი პრეზიდენტი იყო მათ შორის, რომელიც ძალაუფლების წყურვილის გარეშე მოხვდა ამ თანამდებობაზე და თან ოთხგზის. იყო ჩეხოსლოვაკიის მეათე და უკანასკნელი პრეზიდენტი (1989-1992 წწ) და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი (1993-2003 წწ). დააფუძნა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია ,,სამოქალაქო ფორუმი". ვაცლავ ჰაველის მმართველობის დასაწყისშივე ჩეხოსლო-ვაკია გავიდა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდან, ქვეყანა დატოვა საბჭოთა საოკუპაციო არმიამ, ჩეხოსლოვაკია გადის ვარშავის პაქტიდან და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოდან. მისი ხელმძღვანელობით ქვეყანაში გატარდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები, რომლებმაც ქვეყნის ეკონომიკა ეტაპობრივად საბაზრო ეკონომიკაზე გადაიყვანა. ბუნებრივია ჰაველს, როგორც ყველა პოლიტიკურ ლიდერს, ჰყავდა კრიტიკოსებიც. პირველად თანამდებობა 1992 წელს დატოვა ჩეხოსლოვაკიის დაშლის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო, თუმცა მოგვიანებით თითქმის ყველამ, მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც, აღიარეს რომ პრეზიდენტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

როდესაც სლოვაკეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჰაველმა თქვა, რომ ცუდია თუ სლოვაკებს მათთან ცხოვრება არ სურთ, მაგრამ თუკი ეს ნება ხალხმა რეფერენდუმით გამოხატა, რა გაეწყობა. ამ პოზიციით ბევრი მოიმდურა, ლანძღავდნენ, ამერიკის მარიონეტს, ქვეყნის დამშლელს უწოდებდნენ. გარკვეული პერიოდის მერე, როგორც ავღნიშნეთ, ყველამ აღიარა, რომ

ჰაველი სწორად მოიქცა. სწორედ მისი წყალობით არ დაერია სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს ეს ორი ერი. უაღრესად განათლებულმა და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა კარგად იცოდა სლოვაკეთში ჰიტლერის მიერ ჩადებული ნაღმის შესახებ. მას მხოლოდ უნდა შეხებოდნენ და ის აფეთქდებოდა. ჰაველი ყველაფერთან ერთად კარგი ,,გამნაღმველიც" აღმოჩნდა.

1993 წელს ის კვლავ ბრუნდება ხელისუფლებაში. ვაცლავ ჰაველი იყო ცალსახად პროდასავლური, დემოკრატიული ლიდერი, რომელმაც მნიშვნელოვნად მოუმზადა საფუძველი ჩეხეთის ევროკავშირში გაწევრიანებას.

,,პოლიტიკოსებზეა დამოკიდებული ადამიანებში არსებული საუკეთესო თვისებების მობილიზება მოხდება თუ ცუდის. ჩემი აზრით, პოლიტიკოსების მოღვაწეობა დიდ პასუხისმგებლობას გულისხმობს საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობაზე და მათი მოვალეობაა ადამიანებში გამოძებნონ და განავითარონ ყოველივე საუკეთესო. ზოგიერთებს გულუბრყვილო მეოცნებე ვგონივარ. მეოცნებე, რომელსაც არათავსებადის, ანუ პოლიტიკისა და ზნეობის შეთავსება სურს. ეს ძველი სიმღერაა!.." (კალანდია, 2012) ამ გულუბრყვილო მეოცნების მმართველობის 13 წლის მანძილზე ქვეყანამ რადიკალური და რაც მთავარია შეუქცევადი დადებითი ცვლილებები განიცადა. 2003 წელს ხელისუფლებიდან წავიდა. წავიდა მშვიდად, მადლობით და ამავდროულად მობოდიშებით: ,,მათ ვისაც იმედები გავუცრუე, გულწრფელად ვწუხვარ და მჯერა, რომ მაპატიებთ" (კალანდია, 2012).

მართალია ევროკავშირში ჩეხეთი 2004 წელს შევიდა, მაგრამ ეს მთლიანად მათი პირველი პრეზიდენტის დამსახურება იყო. ვაცლავ ჰაველმა მოახერხა ყველაზე მთავარი - არ აჰყვა პოსტკომუნისტური რეალობის გავრცელებულ ტენდენციებს, არც ფანატიკოსი თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულ ბელადად იქცა და არც პრაგმატულ ლიდერად. ჩეხოსლოვაკიის დაშლაც ღირსეულად მიიღო და ზნეობრივი პოლიტიკის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

ვაცლავ ჰაველი მხოლოდ პოლიტიკური ფიგურა არ ყოფილა, იგი უდიდესი მოაზროვნე და ინტელექტუალი იყო. მან არაერთი პიესა, მნიშვნელოვანი პუბლიცისტური წერილი და წიგნი გამოსცა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ,,წასვლა" (მისი უკანასკნელი პიესა), ,,ბაღის წვეულება" (ერთ-ერთი პირველი პიესა), ,,მემორანდუმი" (დაიდგა ნიუ-იორკში ბროდვეიზე) და წიგნი პოლიტიკურ ძალაუფლებაზე - ,,ძალა უძალოთა".

,,თანამედროვე ადამიანის ტრაგედია ის კი არ არის, რომ საკუთარი ცხოვრების აზრს არ უღრმავდება, არამედ ის რომ ამაზე სულ უფრო ნაკლებს ფიქრობს"- წერს ჰაველი (ჰაველი, 2020).

აქტიური პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ჰაველი ლიტერატურას დაუბრუნდა, თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ბოლომდე ჩართული დარჩა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა დალაი-ლამასთან, რომელმაც ის მოინახულა პრაღაში. ჰაველმა და დალაი-ლამამ ერთად მოაწერეს ხელი დეკლარაციას, რომელიც მხარდაჭრას უცხადებდა ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის, სირიის და სხვა ქვეყნების დისიდენტებს. საქართველოს მოქალაქეებს მუდამ ემახსოვრებათ, რომ ვაცლავ ჰაველი ერთ-ერთი იყო იმ ღია წერილის ხელმომწერებს შორის, რომელიც 2009 წლის სექტემბერში დასავლეთის თითქმის ყველა წამყვან გამოცემაში გამოქვეყნდა და რუსეთ-საქართველოს შორის შექმნილ ვითარებას ეხებოდა. ,,ვაკვირდებით რა დღევანდელ ევროპას, ჩვენთვის სრულიად აშკარა ხდება, რომ ისტორია არ დასრულებულა და ის ჯერაც ტრაგიკული რჩება. ნახევარი კონტინენტის ემანსიპაციიდან ოცი წელი გავდა, ევროპაში კი ახალი კედელი შენდება - ამჯერად საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე" - ვკითხულობთ წერილში. ,,ეს უაღრესად სერიოზული გამოწვევაა ევროპის მოქალაქეებისთვის, ინსტიტუტებისა და მთავრობებისთვის. მზად ვართ დავყაბულდეთ ვითარებას, როცა პატარა ქვეყნის საზღვრები ძალის გამოყენებით და ერთპიროვნულად იცვლება? მზად ვართ, მოვითმინოთ ძლიერი სახელმწიფოს მიერ უცხო ტერიტორიების დე ფაქტო ანექსია?" (ასათიანი, 2009)

ამ კითხვებისთვის, რომ ყური დაეგდოთ მაშინდელ ძლიერთ ამა ქყეყნისა და არამარტო ყური დაეგდოთ, არამედ პასუხებიც მოეძებნათ, დიდი ალბათობით ავირიდებდით მიმდინარე საომარ მოქმედებებს უკრაინაში, რომელმაც მთელი ევროპის უსაფრთხოებას შეუქმნა საშიშროებები. ,,ნაკლები სახელმწიფო" - ხშირად ისმოდა მის საუბარში. ეს სიტყვები ჟღერს პიესაშიც ,,წასვლა". ჰაველი იყო ავტორიტარიზმის წინააღმდეგ დაუძინებელი მებრძოლი პოლიტიკოსი. კაცი, რომელიც ძალაუფლებამ ვერ შეცვალა, ვერ გარყვნა. მისი პრეზიდენტობის დროს ჩეხეთში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ამის გამოც ხშირად ხდებოდა კრიტიკის

ობიექტი. ამბობდნენ, რომ მას, როგორც მდიდარი ოჯახის შვილს, სოციალური პრობლემები ბევრად უფრო ნაკლებად აღელვებდა, ვიდრე სამოქალაქო უფლებები. მემარჯვენეები მას მემარცხენედ თვლიდნენ და პირიქით. თუმცა თვითონ ამბობდა: ,,მე იდეოლოგიებით შეპყრობილობას მივიჩნევ ყველაზე საშიშად საზოგადოებრივ ფენომენებს შორის" (ჰაველი, 2015).

ჩვენს მიერ ნახსენებ თავის უკანასკნელ პიესაში ,,წასვლა" ის ხაზს უსვამს, თუ როგორ უჭირს პოლიტიკოსს ძალაუფლებასთან გამომშვიდობება. პიესაში გამჟღავნებულია ძალაუფლებით შეპყრობილი კაცის ტრაგედია, თუმცა ეს გრძნობა თავად ჰაველისთვის სრულიად უცხო იყო.

1995 წლის 12 მაისს, ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისას წაკითხულ ლექციაზე, ვაცლავ ჰაველმა უახლესი ეპოქის მთავარი საზრუნავის ასეთი ფორმულირება მოგვცა: ,,პატივი უნდა ვცეთ უზენაეს ფასეულობებს: სამყაროს, დედამიწას, ბუნებას, სიცოცხლეს და რეალობას" (ვ. ჰაველის ლექცია ჰარვარდის უნივერსიტეტში, 2013).

ალბათ ერთი დიდი ენციკლოპედიური გამოცემა დასჭირდება იმის აღრიცხვას, თუ რამდენი ჯილდო, ორდენი, მედალი, პრემია ჰქონდა მიღებული და მინიჭებული ვაცლავ ჰაველს, რამდენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად და აკადემიის ნამდვილ წევრად იყო არჩეული.

დასკვნა

საბჭოთა კომუნიზმის დამარცხების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემოქმედი ვაცლავ ჰაველი 2011 წლის 18 დეკემბერს გარდაიცვალა. ალბათ ძალიან ცოტა პოლიტიკურ ლიდერს თუ ხვდომია წილად ისეთი გულწრფელი ცრემლები, ემოციები და სიყვარული, რაც ჩეხმა ხალხმა და მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებმა გამოამჟღავნეს ჩეხური ,,ხავერდოვანი რევოლუციის" უპირველესი გმირის - ვაცლავ ჰაველის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰაველი ვ. ,,ძალა უძალოთა", scroll.ge, თბილისი, 6.09.2020; https://scroll.ge/19479/vatslav-haveli-dzala-udzal/
2. ასათიანი ს. ,,ვაცლავ ჰაველი რადიო თავისუფლებას გეოპოლიტიკაზე ესაუბრება", radiotavisupleba.ge, თბილისი, 23.10.2009; https://www.radiotavisupleba.ge/a/1858729.html
3. ჰაველი ვ. ,,წასვლა", თბილისი, ,,სიესტა", 2015; ,,ვაცლავ ჰაველის ლექცია ჰარვარდის უნივერსიტეტში", საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ,,არილი'', arilimag.ge, თბილისი, 6.11.2013; http://arilimag.ge/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%B0%E1%83%90/ (გადამოწმებულია 10.07.2022);
4. კალანდია ნ. ,,ვაცლავ ჰაველი - ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი პრეზიდენტი", intermedia.ge, თბილისი, 15.03.2012; https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/288- %E1%83%95%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95- %E1%83%B0%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%93-%E1%83/
5. Havel v. Summer meditations, translated from the Chech by Paul Wilson, New York, vintage Books, 1993.

Vaclav Havel – the way from dissidence to the presidency

Edisher Gvenetadze, professor
Georgian Technical University

Zaza Adeishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Everyone agrees that in the gallery of political figures of recent history, it is difficult to find a person who is more positive and widely regarded with indisputable respect than Vaclav Havel.

In November 1989, anti-communist demonstrations began in Prague, the capital of Czechoslovakia. In two weeks, the regime that had been ruling the country for more than four decades was overthrown. These events went down in history under the name of the "Velvet Revolution", because they ended without blood – without casualties or destruction. The leader of the revolution was the famous humanist, playwright, philosopher and dissident, Vaclav Havel, who soon became the president of the country.

During the period of his presidency, Czechoslovakia was divided the Czech Republic was separated from Slovakia), but Havel remained a hero and a moral guide for the Czechs. That's exactly how he is praised and appreciated all over the world.

Vaclav Havel (1936-2011) was born in Prague, in the family of a rich Czech entrepreneur. After the communist regime was established in Czechoslovakia after the end of the Second World, Havel faced the problem of the education due to the social status of his family. Despite the big obstacles, he still graduated from the university and started working in the theatre. After the famous "Prague Spring" of 1968, he wrote texts for the radio station "Free Czechoslovakia".

He was actively involved in opposition activities and became the author of "Charter 77" – a document in which the communist regime was criticized and which became an example for other countries. Vaclav Havel was arrested several times for his dissident activities.

Havel proved that moral authority can produce real politics. The post of the president he held was mainly representative and ceremonial, but it gave him the opportunity to be actively involved in foreign politics. He successfully lobbied for the Czech Republic and other Eastern European countries to join NATO and the European Union.

Although the Czech Republic joined the European Union in 2004, it was entirely thanks to their first president. Vaclav Havel managed the main thing – he did not follow the prevailing trends of the post – communist reality, neither became a leader surrounded by fanatical admirers, nor a pragmatic leader. He accepted the disintegration of Czechoslovakia with dignity and became a symbol of moral policy.

With his presidential style, Havel was ahead of his time. He was friends with the Dalai Lama; appointed Frank Zampa as a special representative for culture; hosted Rolling Stones in his residence; Bill Clinton, who was on an official visit and he took him to the brewery; During the post-presidential period, he actively supported the green movement.

Along with being a prominent political figure, Vaclav Havel was a great thinker and intellectual. He published a number of important plays, journalistic letters and books.

One large encyclopedic edition would be needed to record how many awards, orders, medals, prizes Vaclav Havel received and was given, and how many universities and academies he was elected as full member.

რომის პაპი იოანე პავლე II - დემოკრატიისა და პროგრესის მხარდამჭერი პონტიფიკოსი

ზაზა ადეიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე პავლე მეორე განსაკუთრებული მოვლენა იყო პაპიზმის ისტორიაში. ის იყო პირველი არაიტალიელი პაპი ბოლო 455 წლის განმავლობაში და საერთოდ პირველი სლავური ქვეყნის წარმომადგენელი (ეროვნებით პოლონელი) კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი პირის რანგში; მისი პონტიფიკატი თითქმის 27 წელი გრძელდებოდა, რითაც რომის პაპების ისტორიაში მესამე იყო პაპობის ხანგრძლივობით.

სტატიაში მოკლედ არის აღწერილი იოანე პავლეს, ერისკაცობაში კაროლ ვოიტილას, ბიოგრაფიის პოლონური პერიოდი. ეს არის ამბავი პოლონეთის პროვინციულ ქალაქში დაბადებული და გაზრდილი, ძალიან ადრე დაბადებული ბიჭისა, რომელიც იყო სკოლის ფეხბურთელთა გუნდის მეკარე და დამწყები ლიტერატორი, გატაცებული იყო ხელოვნებითა და ფილოსოფიით. იგი არ ყოფილა უნიკალური ბავშვი, არც სტუდენტობისას გამოირჩეოდა გენიალურობით და არც მისი სასულიერო პირად ხელდასმა ყოფილა რაიმე განსაკუთრებული მოვლენა, მაგრამ სწორედ ის გახდა ხალხის უსაყვარლესი პონტიფიკოსი კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში.

იოანე პავლე მეორეს მოღვაწეობის მთავარი მიზანი სახელმწიფოებსა და რელიგიებს შორის მეტი ნდობისა და ურთიერთგაგების გაღვივება იყო. ამისთვის ის ძალიან ბევრს მოგზაურობდა. მან უფრო მეტი მანძილი დაფარა, ვიდრე ყველა პაპმა ერთად აღებულმა. მისი პონტიფიკატის მანძილზე იგი 129 ქვეყანას ეწვია და ამ მოგზაურობებში მის მიერ დაფარულმა მანძილმა 1,2 მლნ კილომეტრს გადააჭარბა. მისი ქადაგების მოსასმენად ასიათასობით (ერთხელ 5 მლნ-იც კი) ადამიანი იკრიბებოდა.

იოანე პავლე მეორეს უდიდესი რეპუტაციის შექმნას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ,,ცივი ომის“ უზარმაზარი დაპირისპირების ფონზე იგი, ერთის მხრივ თავისი მშობლიური პოლონეთისა და საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებში მოქცეული სხვა ქვეყნების განთავისუფლებისთვის იბრძოდა, რასაკვირველია მშვიდობიანი გზით; ხოლო მეორეს მხრივ იგი არ ურიგდებოდა დასავლური კაპიტალიზმის მატერიალისტურ მერკანტელიზმს და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური თანასწორობისკენ მოუწოდებდა ცივილიზებულ სამყაროს. პოლიტიკური მიზნების გარდა, იოანე პავლე მეორე, მთელი თავისი პაპობის მანძილზე კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების შერიგებისა და ზოგადად მსოფლიოში ყველა რელიგიური კონფესიების აღმსარებლებს შორის მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის დამყარებას ცდილობდა.

სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იოანე პავლე მეორეს საქართველოში ვიზიტს, რომელიც 1999 წლის 8-9 ნოემბერს განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში რომის პაპი საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძესა და კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შეხვდა, გაკეთდა ორმხრივი მიმართვები; მოინახულეს სვეტიცხვლის საკათედრო ტაძარი, შეხვდნენ ქართული კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებს.

ყველგან სადაც კი პაპი ჩადიოდა, მოუწოდებდა ხელისუფალთ ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვისკენ, აქტიურად გამოდიოდა ძალადობისა და ომების წინააღმდეგ.

,,სიცოცხლე კაცის ვალია ღვთის წინაშე, ვალი რომელიც უნდა დააბრუნო დროულად და ღირსეულად“ - წერდა იოანე პავლე მეორე. მან მართლაც ღირსეულად დააბრუნა თავისი ვალი ღვთისა და ადამიანის წინაშე...

შესავალი

ყოველგვარი გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ იოანე პავლე მეორე განსაკუთრებული მოვლენა იყო პაპიზმის ისტორიაში. იგი იყო პირველი არაიტალიელი პაპი ბოლო 455 წლის განმავლობაში და იყო პირველი სლავური ქვეყნის წარმომადგენელი. მისი პონტიფიკატი თითქმის 27 წელი გაგრძელდა (1978-2005), რითაც რომის პაპების ისტორიაში მესამე იყო პაპობის ხანგრძლივობით წმინდა პეტრესა და პიუს IX-ს შემდეგ.

იოანე პავლე მეორეს მოღვაწეობის მთავარი მიზანი სახელმწიფოებსა და რელიგიებს შორის მეტი ნდობისა და ურთიერთგაგების გაღვივება იყო. ამისთვის ის ძალიან ბევრს მოგზაურობდა. მან

უფრო მეტი მანძილი დაფარა, ვიდრე ყველა პაპმა ერთად აღებულმა. მისი პონტიფიკატის მანძილზე იგი ეწვია 129 ქვეყანას და ამ მოგზაურობებში 1 200 000 კილომეტრზე მეტი დაფარა. ის მუდმივად აგროვებდა უდიდეს აუდიტორიებს - ადამიანთა დიდ მასებს და იყო შემთხვევა, კაცობრიობის ისტორიაში ადამიანთა თავყრილობის რეკორდიც კი დაამყარა, როდესაც ფილიპინების დედაქალაქ მანილაში სტუმრობისას მისი ქადაგების მოსასმენად 5 მილიონამდე ადამიანი შეიკრიბა.

ძირითადი ნაწილი

იოანე პავლეს უდიდესი რეპუტაციის შექმნას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ,,ცივი ომის" უზარმაზარი დაპირისპირების ფონზე იგი, ერთის მხრივ მშობლიური პოლონეთისა და საბჭოეთის მიერ დამონებული სხვა ერების განთავისუფლებისთვის იღწვოდა, რასაკვირველია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ხოლო მეორეს მხრივ იგი არ ურიგდებოდა დასავლური (ანგლო-ამერიკული) კაპიტალიზმის მატერიალიზმს და საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური თანასწორობისკენ მოუწოდებდა ცივილიზებულ სამყაროს. პოლიტიკური მიზნების გარდა, იოანე პავლე, მთელი თავისი პაპობის მანძილზე კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების შერიგებასა, და ზოგადად, მსოფლიოში ყველა რელიგიური კონფესიების აღმსარებლებს შორის მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის დამყარებას ცდილობდა.

იოანე პავლე მეორე - ერისკაცობაში კაროლ იოზეფ ვოიტილა დაიბადა 1920 წლის 18 მაისს პოლონეთის ქალაქ ვადოვიცეში. მომავალი პაპი 8 წლის იყო დედა, რომ გარდაეცვალა. ერთი წლის შემდეგ კაროლმა უფროსი და დაკარგა, ხოლო ოცი წლის ასაკში მამაც მოუკვდა და სრულიად ობოლი დარჩა.

1942 წელს კაროლ ვოიტილა ჩაეწერა კრაკოვის იატაკქვეშა სასულიერო სემინარიის კურსებზე. ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში, გარდა მშობლიური პოლონურისა, ის საკმაოდ კარგად ფლობდა ათ უცხო ენას - ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს, რუსულს, უკრაინულს, სლოვაკურს, ესპანურს, იტალიურს, პორტუგალიურს. ასევე რაღათქმაუნდა იცოდა ლათინურიც.

1978 წლის 16 ოქტომბერს, 58 წლის ასაკში, იოანე პავლე მეორე გახდა რომის პაპი. იგი თავიდანვე შეუდგა თავისი თანამდებობის გაუბრალოებას: პაპმა უარი თქვა კორონაციაზე და მის ნაცვლად ჩაატარა უბრალო ინტრონიზაცია; ის არ ატარებდა პაპის თავსაბურავს - ტიარას და მუდამ ხაზს უსვამდა ტიტულში აღნიშნულ როლს - Servus Servorum Dei (ღვთის მონების მონა).

აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანთან ერთად სწორედ იოანე პავლე მეორის სახელს უკავშირდება საბჭოეთის კომუნისტური რეჟიმის დამხობის, ბერლინის კედლის დანგრევის, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და თავად საბჭოთა რესპუბლიკების განთავისუფლების ეპოქა. 1979 წლის 2 ივნისს, რომის პაპი პირველად ეწვია მშობლიურ პოლონეთს. მან აშკარად დაუჭირა მხარი ქ.გდანსკში დაწყებულ გაფიცვას და მის ორგანიზატორებს - თავისუფალი პროფკავშირების ,,სოლიდარობის" სახით. მან მოუწოდა პოლონელ ეპისკოპოსებს, რიგგარეშე სესია მოეწვიათ ჩენსტოხოვაში და მიეღოთ დადგენილება გაფი-ცულთა მოთხოვნების მხარდასაჭერად. (გულუა, 2013)

,,მის გარეშე კომუნიზმი არ დამთავრდებოდა, ან უკიდურეს შემთხვევაში, ეს მოხდებოდა ბევრად გვიან და დიდი სისხლით",(სტოურტონი,2013)- აღნიშნა იმჟამინდელი პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ,,სოლიდარობის" ლიდერმა, ხოლო სოციალისტური რეჟიმის შეცვლის შემდეგ პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ.

არ დააყოვნა კომუნისტურმა ტერორმაც. 1981 წლის 13 მაისს, წმ. პეტრეს მოედანზე, თურქული ულტრამემარცხენე დაჯგუფების ,,რუხი მგლების" წევრი მეჰმეთ ალი აგჯა თავს დაესხა რომის პაპს და რამდენიმე ტყვია ესროლა. სპეციალურმა საგამოძიებო კომისიამ, დიდ ბრიტანეთში გაქცეული ,,КГБ"-ს არქივის ყოფილი უფროსის ვ.მიტროხინის ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ იოანე პავლე მეორის თავიდან მოშორების ინიციატორები სსრკ-ის მაშინდელი პოლიტიკური ხელმძვანელობა და სპეცსამსახურები იყვნენ. პაპმა ოთხი ჭრილობა მიიღო მუცლის არეში, გაიარა სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე, მაგრამ მაინც გადარჩა და გააგრძელა მოღვაწეობა. ინციდენტის შემდეგ პაპმა ხალხს მოუწოდა: ,,ილოცეთ ჩემი ძმისთვის... რომელსაც მე გულწრფელად ვაპატიე". 1983 წელს პონტიფიკოსი ალი აგჯას ციხეში ესტუმრა და მათ პირისპირ ისაუბრეს. 2000 წელს, პაპის თხოვნით იტალიის პრეზიდენტმა კარლო აძელიო ჩამპიმ ალი აგჯა შეიწყალა. (kvira.ge, 2021)

აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე პავლე მეორის დროს კათოლიკურმა ეკლესიამ შეურიგებელი პოზიცია დაიკავა აბორტებისა და კონტრაცეპციისადმი. იგი მკაცრად გმობდა ჰომოსექსუალურ ქორწინებებსა და ევთანაზიას, ერთმნიშვნელოვნად უარყოფდა ქალების მღვდლად ხელდასმას და მხარს უჭერდა ცელიბატს. პაპი წერდა: ,,თავისუფლება ნიშნავს არა იმის კეთებას რაც მოგეპრიანება, არამედ

უფლებას აღასრულო შენი ვალი. თუ თავისუფლებას არ აქვს მიზანი, თუ იგი არ ცნობს ადამიანის სულზე აღბეჭდილ ზნეობრივ კანონს და ყურს არ უგდებს სინდისის ხმას, მაშინ იგი საზოგადოებას უპირისპირდება“. (სტოურტონი,2013)

რელიგიური დოგმებისა და კანონების დაცვასთან ერთად იოანე პავლე მეორემ დაამტკიცა, რომ კათოლიკურ ეკლესიას შეუძლია ცივილიზაციასთან და სამეცნიერო პროგრესთან ფეხდეფეხ განვითარება. ის მიიჩნევდა, რომ ,,მეცნიერება ეხმარება რელიგიას შეცდომებისა და ცრურწმენებისგან განწმენდაში“.

პაპმა იოანე პავლე მეორემ პატიება ითხოვა ჯვაროსნული ლაშქრობებისა და ინკვიზიციის დროს ჩადენილი დანაშაულებებისთვის, მოახდინა ნიკოლოზ კოპერნიკისა და გალილეო გალილეის რეაბილიტაცია, აღიარა კათოლიკური ეკლესიის ბრალეულობა ბართლომეს ღამის ხოცვა-ჟლეტვაში. იერუსალიმში გოდების კედელთან პაპმა პატიება ითხოვა ებრაელთა დევნისთვის და ასევე კათოლიკური ეკლესიის უმოქმედობისთვის მეორე მსოფლიო ომისა და ჰოლოკოსტის დროს. ამგვარი მონანიება არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, მსგავსი რამ არ გაუკეთებია არც ერთ რელიგიასა თუ კონფესიას. იგი მოუწოდებდა სხვა ქრისტიანულ კონფესიებს აქტიური თანამშრომლობისკენ, ის გახდა პირველი პაპი, რომელმაც მოინახულა ლუთერანული და ანგლიკანური ეკლესიები, მან პირველმა შეაბიჯა სინაგოგასა და მეჩეთში. 2001 წლის 4 მაისს იოანე პავლე მეორე საბერძნეთს ეწვია. ეს გახლდათ რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის პირველი ვიზიტი საბერძნეთში კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის 1054 წელს მომხდარი განხეთქილების შემდეგ.

მძიმე სენის მიუხედავად, 1999 წლის 8 ნოემბერს, 79 წლის რომის პაპი საქართველოში ჩამობრძანდა. ეს იყო დიდი პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობის ისტორიული ვიზიტი. მსოფლიო მედიის ყურადღება ჩვენი ქვეყნისკენ იყო მოპყრობილი. აი რას წერდა 9 ნოემბერს ,,ნიუიორკ თაიმსი“: ,,დღეს პაპი იოანე პავლე მეორე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს შეხვდა ისეთ გარემოებაში, რომელიც ნათლად აჩვენებს იმ არსებულ წინააღმდეგობებს, რომლებიც პაპის დიდი ხნის ოცნებას - რომის კათოლიკური ეკლესიისა და აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის შერიგებას - უშლის ხელს.“ (კენკაძე, 2020)

თბილისის აეროპორტში მისასალმებელ სიტყვაში რომის პაპმა აღნიშნა, თუ რა ბედნიერი იყო, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძველ ქრისტიანულ ქვეყანაში მიეცა ჩამოსვლის შესაძლებლობა.

საპასუხო მიმართვაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა: ,,ამ რეგიონში, ასეთი დაძაბული ვითარების დროს, საქართველოსა და მთელი კავკასიისათვის მნიშვნელოვანია, თქვენო უწმინდესობავ, თვენი ჩამობრძანება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისეთი ცხელი წერტილების პრობლემა, როგორიც არის აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი და სხვა, საერთაშორისო ძალისხმევით, მშვიდობიანი გზით გადაწყდება. თქვენმა ვიზიტმა უფრო მეტად დააახლოვა ჩვენი ხალხები, ჩვენი ეკლესიები, ჩვენი ქვეყნები და ამას მადლიერებით ავღნიშნავთ“. (ფიფია, 2016)

ყველგან, სადაც კი ჩადიოდა, პაპი მოუწოდებდა ხელისუფალთ ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვისკენ, აქტიურად გამოდიოდა ძალადობისა და ომების წინააღმდეგ. იოანე პავლე მეორე გახლავთ 120-ზე მეტი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ნაშრომისა და 5 წიგნის ავტორი.

2005 წლის 30 მარტს იოანე პავლე მეორე უკანასკნელად გამოჩნდა ხალხის წინაშე, ხოლო 2 აპრილს, 84 წლის რომის პაპი გარდაიცვალა. იტალიაში, პოლონეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ეგვიპტეში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში პაპის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მრავალდღიანი გლოვა გამოცხადდა. რაოდენ სიმბოლურია, რომ მისი დაკრძალვის დღეს ცენტრალურ ამერიკაში მზის დაბნელება მოხდა.

,,სიცოცხლე კაცის ვალია ღვთის წინაშე, ვალი, რომელიც უნდა დააბრუნო დროულად და ღირსეულად“ (ოდილავაძე,2013) - წერდა იოანე პავლე მეორე. მან მართლაც ღირსეულად დააბრუნა თავისი ვალი ღვთისა და ადამიანის წინაშე.

დასკვნა

პოლონეთის პროვინციულ დაბაში გაზრდილი ობოლი ბიჭუნა; სკოლის ფეხბურთელთა გუნდის ფეხშიშველა მეკარე და დამწყები ლიტერaტორი; მოწიფულობაში 27 წლის განმავლობაში რომის კათოლიკური ეკლესიის პონტიფიკოსი; ადამიანი, რომელიც უკომპრომისოდ იბრძოდა ძალმომრეობის, ჩაგვრის, ტირანიის და ომების წინააღმდეგ; ადამიანი, რომელმაც ცხოვრებაში უსაზღვრო მოთმინება და ამტანობა გამოავლინა და ამით იქცა ქრისტიანული ტანჯვის დათმენის მაგალითად; პაპი, რომლის გარდაცვალებასაც ათობით მილიონი ადამიანის გულწრფელი ცრემლი და ემოცია გაჰყვა... 2014 წელს 27 აპრილს იოანე პავლე მეორე კანონიზირებული იქნა კათოლიკური ეკლესიის მიერ...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტოურტონი ე. ,,იოანე პავლე II“, თბილისი, ქართული ბიოგრაფული ცენტრი, 2013;
2. ,,მეჰმედ აგჯა და იოანე პავლე II - პაპის მკვლელობის მცდელობა და პატიება“, kvira.ge, თბილისი, 23.092021;
3. http://kvira.ge/691063 (გადამოწმებულია 14.07.2022);
4. კენკაძე კ. ,,იოანე პავლე მეორეს ვიზიტი საქართველოში“, The Georgian Times”, თბილისი, 18.05.2020;
5. https://geotimes.com.ge/?m=5&news_id=76235 (გადამოწმებულია 13.07.2022);
6. ფიფია ბ. ,,როგორ გაათია ღამე რომის პაპმა თბილისის უსახლკაროთა თავშესაფარში“, sputnik-georgia, თბილისი, 29.09.2016;
7. https://sputnik-georgia.com/20160929/rogor-gaatia-game-romis-papma-tbilisis-usakhlkarota-tavshesafarshi-233341778.html (გადამოწმებულია 14.07.2022);
8. ოდილავაძე ზ. ,,რომის პაპი ნეტარი იოანე პავლე II“, ზურა ოდილავაძის ბლოგი, wordpress.com, თბილისი, 25.01.2013;
9. გულუა ნ. ,,პოლონეთის კრიზისი და პაპ იოანე მეორეს დიპლომატია“, სამეცნიერო ჟურნალი ,,საისტორიო ვერტიკალები“, თბილისი #28, 2013.

Pope John Paul II – Pontiff- the Supporter of Democracy and Progress

Zaza Adeishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

It can be admitted without exaggeration that John Paul II was the second truly outstanding pope in the history of papacy.

He was the first non-Italian Pope in the last 455 years and the representative of a Slavic country (Polish by nationality) as the highest person of the Catholic Church; His pontificate lasted almost 27 years, making him the one with the third longest papacy in the history of Popes.

The article briefly describes the Polish period of the biography of John Paul, the layman Karol Wojtyla. This is the story of a boy born and raised in a provincial town in Poland, a born very precociously who was the goalkeeper of the school football team and as aspiring writer, who was passionate about art and philosophy. He was not a unique child, nor was he distinguished by genius as a student, nor was his ordination to the priesthood a special event, but he became the most popular pontiff in the history of the Catholic Church.

The main goal of John Paul II's work was to foster more trust and mutual understanding between states and religions. He travelled a lot for that. He covered more distance than all the Popes combined. During his pontificate, he visited 129 countries and the distance covered by him in these trips exceeded 1.2 million kilometers. Hundreds of thousands (once even 5 million) people gathered to listen to his sermons.

The great reputation of John Paul II was created by the help of his, of course, peaceful fight for the liberation of his native Poland and the other countries under the rule of the Soviet Union and communist ideology and all these processes happened in the period of the "Cold War". On the other hand, he did not agree with the materialistic mercantilism of Western capitalism and called for the social and economic equality of the society in the civilized world. In addition to political goals, John Paul II, throughout his papacy, tried to reconcile the Catholic and Orthodox churches and generally to establish peace and mutual respect between the confessors of all religious denominations in the world.

An important place in the article is given to John Paul II's visit to Georgia, which took place on 8-9,1999. Within the framework of his visit, the Pope met the President of Georgia of that time, Eduard Shevardnadze and Catholicos-Patriarch Ilia II, mutual appeals were made; They visited Svetitskhoveli Cathedral, had meetings with the representatives of Georgian culture and science. Wherever the Pope went, he called on the government to protect human rights, actively spoke out against violence and wars.

"Life is a man's debt to the God, a debt that must be returned on time and with dignity" – wrote John Paul II. He truly repaid his debt to the God and man in a dignified way…

თურქეთის პოლიტიკა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში

ირაკლი გოგიბერიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თურქეთის საგარეო პოლიტიკა ზოგადად კავკასიის რეგიონისა და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ქართულ ტერიტორიებთან მიმართებაში მის დამოკიდებულებასა და პოზიციაზე. განხილულია ასევე თურქეთის პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული მიმართულები, მისი ამბიციები და რეალური შესაძლებლობები. განხილულია ასევე თურქეთის მირ 2000-იანი წლების დასაწყისში შემუშავებული „რბილი ძალის“ პოლიტიკა, რომელიც მეზობლებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისკენაა მიმართული და ასევე აღნიშნული პოლიტიკის ეტაპობრივი ცვლილება, რომელიც უშუალოდ ყარაბახის პროცესებს უკავშირდება. ასევე განხილულია ცვლილებები ჯერ კიდევ ათათურქის მიერ შემუშავებულ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პოსტულატში, რომლის მიხედვით თურქეთი არ უნდა ჩართულიყო რეგიონში არსებულ კონფლიქტებში და თურქეთის აქტიური მცდელობა წარმოჩინდეს, როგორც დომინანტი და მთავარი ძალა უშუალოდ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში.

სტატიაში ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა თურქეთის დამოკიდებულებას რუსეთთან მიმართებაში, რომელიც საინტერესო ნიუანსებით ხასიათდება. მიუხედავად ისტორიულად მტრული დამოკიდებულებისა, ამ ეტაპზე რუსეთსა და თურქეთს შორის კონფრონტაცია მათი სტრატეგიული ინტერესების რეალიზებას ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება, შესაბამისად, ორივე სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს არსებული და დროდადრო წარმოქმნილი უთანხმოებების ნელნელა დაძლევას და მთელ რიგ საკითხებში ერთ პლატფორმაზეც კი დგანან და მიუხედავად ხშირად აქტიურად მოქმედებენ ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებაში სტრატეგიული პარტნიორობის სფეროს თითქმის ყველა მიმართულებით, უსაფრთხოების ჩათვლით. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით კარგად წარმოჩინდა ყარაბახის კონფლიქტის და შემდგომ უკვე „სამშვიდობო“ პროცესების დროსაც. მნიშვნელოვანი ყირადღება ეთმობა რასაკვირველია ასევე ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხებსაც.

მნიშვნელოვანი ადგილი სტატიაში რასაკვირველია ეთმობა ასევე თურქეთის პოლიტიკას საქართველოსთან და რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორებთან მიმართებაში, თურქეთის მცდელობებს გამოვიდეს როგორც კონფლიქტის დარეგულირებაში მონაწილე მნიშვნე-ლოვანი აქტორი და ამავე დროს განხილულია ის ეკონომიკური ინტერესები რაც თურქეთს უშუალოდ აფხაზეთში გააჩნია და გახშირებული კონტაქტები აფხაზეთის ე.წ. ხელმძღვანელობასთან, იქნება ეს ცალკეულ თურქულ ქალაქებთან სოხუმის „დამეგობრება“, აფხაზური დიასპორის აქტიურად პროცესებში ჩართვა, საგანმანათლებლობა ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარება თუ სხვა.

შესავალი

დღესდღეობით, ისევე როგორც ბოლო ათწლეულების განმავლობაში, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებას ევროინტეგრაცია შეადგენს. თუმცაღა ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეებიდან გამომდინარე, სიტუაციისადა მიხედვით ნაწილობრივ მაინც იცვლება თურქეთის ამბიციებიც და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებიც.

საგარეო პოლიტიკის კუთხით, თურქეთის მმართველი პარტია APK გამოყოფს გარკვეულ მიმართულებებს, რომელთაგან რამოდენიმე უშუალოდ საქართველოსთან ურთიერთობის კონტექსტში შეგვიძლია მოვიაზროთ. საგარეო საქმეთა მინისტრის დავითოღლუს მიერ ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში შემუშავებულ იქნა ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკა, რომელიც მეზობლებთან ყოველგვარი სახის პრობლემების მოგვარებას და მათთან სტაბილური ურთიერთობის დამყარებას ითვალისწინებს და ამავე დროს მიმართულია იქითკენ, რათა ჩამოყალიბდეს თურქეთის როგორც ძლიერი მხოფლიო ძალის ახალი სახე. ამასთან, ა.შ.შ.-სთან და ევროკავშირთან არცთუ ისე მარტივი ურთიერთობების ფონზე კვლავ გააქტიურდა „თურქული ქამრის“ იდეა, რომელიც მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიკური დივიდენტების მიღების საშუალებას მისცემს ევრაზიულ სივრცეში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად კავკასიის რეგიონში მისი გავლენის გაძლიერება და როგორც დომინანტის წინ წამოწევა წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

იმისათვის, რათა უკეთესად გავიაზროთ თურქეთის მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში, უნდა გამოვყოთ ძირითადი ასპექტები. პირველი, თუკი, სულ ცოტა პერიოდის წინაც კი, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღწეული სათანადო ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერისთვის, რათა შეძლებოდა რეგიონში საკუთარი პოლიტიკური ამბიციების სრულად გატარება, დღეს თურქეთი უკვე საკმაოდ ძლიერად აქტორად გვევლინება, თუმცა ყარაბახის კონფლიქტისგან განსხვავებით, დანარჩენ რეგიონში მის მოქმედებები რბილ ხასიათს ატარებს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ ათათურქის მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკის ძირითადი პოსტულატი, რომლის მიხედვით თურქეთი არ უნდა ჩართულიყო რეგიონში არსებულ კონფლიქტებში, შეიცვალა და 90-იანი წლებიდან პირდაპირ თუ ირიბად იგი მონაწილედ გვევლინება რეგიონში მიმდინარე პროცესებში და კონფლიქტებში აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებით, რომელიც ფორმალურად „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების“ პოლიტიკითაა ცნობილი. ამასთან ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას რეგიონში მუსულმანური და თურქულ ეთნოსთან მონათესავე თუ დაკავშირებული ხალხის მხარდაჭერა წარმოადგენს.

რასაკვირველია, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ფაქტორად რჩება ისიც, რომ რეგიონში თურქეთის ერთ-ერთ ძირითად მოწინააღმდეგედ და ამავე დროს მოკავშირედაც კვლავ რუსეთი განიხილება, საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე ირანიც.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის კონფრონტაცია მათი სტრატეგიული ინტერესების რეალიზებას ხელს შეუშლის, ისინი შუდგნენ ისტორიულად არსებული უთანხმოებების ნელნელა დაძლევას. ამ პროცესს ასევე ხელს უწყობს მათი სულ უფრო გართულებული ურთიერთობები ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ისტორიულად დამკვიდრებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები, გარკვეული კუთხით ხელის შემწყობიც კი აღმოჩნდა მათ შორის ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებაში სტრატეგიული პარტნიორობის სფეროს თითქმის ყველა მიმართულებით, უსაფრთხოების ჩათვლით.

ამ ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული დოკუმენტებით, როგორიცაა „თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა ევრაზიაში: ორმხრივიდან ყოვლისმომცველ პარტნიორობამდე“ ანდა ევრაზიული სამოქმედო გეგმა, ხელმოწერილი 2001 წლის ოქტომბერში, რუსეთი და თურქეთი აღიარებენ ერთმანეთს როგორც ევრაზიულ სივრცეში ძირითად მოქმედ ძალებს. ხაზს უსვამენ მათი სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოქცეულ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელობას და მოწოდებულნი არიან ეკონომიკისა და პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში ამ ორმხრივი ურთიერთობის ინტენსიფიკაციისა და გაღრმავებისაკენ. გარდა ამისა, რუსეთ-თურქეთის ინტერესები ემთხვევა ისეთ საკითხებში, როგორიცაა უარყოფითი დამოკიდებულება არა შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო ხომალდების არსებობისადმი შავი ზღვის აკვატორიაში, მათი საერთო შეფასებით, პოსტ საბჭოთა ქვეყნებში „ფერადი რევოლუციები“ განიხილება როგორც მადესტაბილიზებელი ფაქტორი, ასევე ეწინააღმდეგებიან ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას რეგიონში დემოკრატიის სტიმულირებისაკენ. ამასთან ერთად თურქეთისათვის ხმელთაშუაზღვაში გამავალ სრუტეებსა და საზღვაო გზებზე კონტროლი უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.

ამავე დროს, მიუხედავად ურთიერთობების გარკვეული დათბობისა, ძირითად საკითხებში სწორედ რუსეთი გვევლინება თურქეთის საგარეო პოლიტიკის გატარების უმთავრეს მოწინააღმდეგედ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებამ და ამავე დროს ყირიმის რუსეთის მიერ მიერთებამ, თურქეთის, როგორც რეგიონალური ძალის უსუსურობა და რეალურ პრობლემებთან გამკლავების უუნდარობა ნათლად წარმოაჩინა და ვერც მის მიერ შემოთავაზებულმა „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმამ“, რომელშიც თურქული მხარე, ერთგავ მედიატორად უნდა გამოსულიყო რეგიონში, ეფექტი ვერ გამოიღო.

თუმცა უკვე შემდგომში, ყარაბახის კრიზისისა და რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული სრულმაშტაბიანი ომის პირობებში, თურქეთი საკმაოდ აქტიურ მოთამაშედ გამოვლინდა როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზეც.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოსთან თურქეთის დამოკიდებულებას, დღესდღეობით, ჩვენი ქვეყანა განიხილება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორიც და ფაქტორიც. ეს გამოწვეულია არამარტო საქართველოს, როგორც ენერგეტიკული დერეფნის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი სუბიექტის როლით თურქეთის მისწრაფებაში, გახდეს ერთგვარი „ენერგეტიკული ჰაბი“ ევროპისათვის, არამედ იმითაც, რომ ჩვენ წარმოვადგენთ ერთადერთ რეალურ დამაკავშირებელს აზერბაიჯანთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთანაც, ამ უკანასკნელს კი თურქეთი თავის ეთნიკურად და კულტურულად მონათესავედ და მომავალში მისი უშუალო გავლენის სფეროდ

მოიაზრებს ზემორეაღნიშნული „თურქული ქამრის“ პოლიტიკის ფარგლებში. ყოველივე აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ჩვენ ქვეყნებს შორის არსებული ურთოერთობა ორივესთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია და გვაძლევს საკმაოდ არგუმენტირებულ ბერკეტებს თავად თურქეთთან არსებული გარკვეული ცალკეული უთანხმოებებისა თუ გაუგებრობების აღმოფხვრისა და მოგვარების მხრივ, რაც უშუალოდ უკავშირდება თურქეთის სულ უფრო მზარდ ამბიციებს აფხაზეთის საკითხებში ჩართვასთან დაკავშირებით.

აქ კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას „თურქული ქამრის“ პოლიტიკას, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას მუსულმანური და თურქულ ეთნოსთან მონათესავე თუ დაკავშირებული ხალხის მხარდაჭერა წარმოადგენს. აქაც, ისევე როგორც მთელს რეგიონში თურქეთი ხელმძღვანელობს „რბილი ძალის“ პოლიტიკით. ყოველნაირად ცდილობს წინ წამოწიოს მისი სულ უფრო მძლავრი ეკონომიკური სიძლიერე და გახდეს ერთგვარი მიმზიდველი და მისაბაძი ძალა. ამისათვის ხდება არამარტო სახელმწიფო სტრუქტურების გამოყენება, არამედ არასამთავრობო სექტორის მძლავრი ჩართვაც როგორც ეკონომიკურ ასევე კულტურულ ცხოვრებაში, იქნება ეს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა თუ ჰუმანიტარული ხასიათის ინსტიტუტები და ორგანიზაციები (ისეთი, როგორიცაა IHH-The Humanitarian Relief Foundation).

თავად თურქი ექსპერტებიც კი აღნიშნავენ, რომ თურქეთი ახდენს აფხაზეთის მისთვის „ხელახლა აღმოჩენას“, რისთვისაც იყენებს მის გეოგრაფიულ, ეთნიკურ თუ კულტურულ სიახლოვეს. თავად თურქეთი აღნიშნულ პროცესს განიხილავს, როგორც ისეთი სახის ურთიერთობას, როგორიც წლების მანძილზე ჩამოუყალიბდა კვიპროსის თურქულ ნაწილთან და რაც მას საშუალებას მისცემს, მათივე თქმით, შავი ზღვა მოიაზრებოდეს უკვე როგორც არა გამყოფი თურქეთსა და აფხაზეთს შორის არამედ როგორც საერთო დამაკავშირებელი საზღვაო ზოლი. რაშიც რათქმაუნდა მას ხელს შეუწყობს ვაჭრობის ინტენსიფიკაცია და საზღვაო მიმოსვლის გაძლიერება. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს თავის დროზე, თბილისში ვიზიტად მყოფი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ახმედ დავითოღლუს განცხადებები ახალი ურთიერთობების დამყარების შესახებ თურქეთ-საქართველო-აფხაზეთს შორის და შესაბამისი თხოვნა ე.წ. ნებართვის შესახებ თურქეთ-აფხაზეთს შორის კონტროლირებადი ურთიერთობების შესახებ, რასაც მოჰყვა უნალ ჩევიკოზის ვიზიტი აფხაზეთში.

სულ უფრო გააქტიურდა და გახშირდა კონტაქტები აფხაზეთის ე.წ. ხელმძღვანელობასთან. იქნება ეს ცალკეულ თურქულ ქალაქებთან სოხუმის „დამეგობრება“ , აფხაზური დიასპორის აქტიურად პროცესებში ჩართვა, საგანმანათლებლობა ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარება თუ სხვა.

განსაკუთრებული რეზონანსის მატარებელი იყო სოხუმში ჩატარებული პირველი აფხაზურ-თურქული ჟურნალისტური კონგრესი, რომელშიც თურქული მასმედიის 80-მდე წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, რასაც შესაბამისი რეაქცია მოჰყვა კიდეც ქართული მხრიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით საკმაოდ გართულებულია საქართველოს მხრიდან აფხაზეთის საზღვაო სივრცის კონტროლი, კვალვ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება აფხაზეთის დახურულ სექტორში თურქეთის დროშის ქვეშ მცურავი გემების უკანონო ნაოსნობის რეგულირება და მოცემულ სამართალდარღვევის ფაქტებზე სათანადო რეაგირების მოხდენა.

მიზანშეწონილია განახლდეს უკვე არსებული მოლაპარაკებები თურქეთთან აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე დიასპორის საკითხების წინ წამოწევას. მიუხედავად თურქული მხარის მცდელობისა აქცენტები გააკეთოს აფხაზებისა და თურქეთში აფხაზურ დიასპორას შორის კულტურულ თუ ეთნიკურ იდენტობაზე, აღნიშნული, მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეესაბამება სიმართლეს. საუკუნოვანმა დაცილებამ, მათ შორის საკმაოდ დიდი ნაპრალი წარმოშვა გინდ ენობრივი, სარწმუნეობრივი თუ კულტურული კუთხით. რაზედაც ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აფხაზეთში წლების მანძილზე დასახლებული რეპატრიანტთა ოჯახებიდან, დღესდღეობით მხოლოდ 25 პროცენტი თუ ცხოვრობს ისევ აფხაზეთში. თუმცაღა, ეს ყოველივე ვერ გახდება შემაკავებელი ფაქტორი თურქული მხრისათვის შემდომი ნაბიჯების გადადგმისას. აღნიშნული საკითხი, ისევ და ისევ თურქეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით შეგვიძია გარკვეულ დამხმარე ფაქტორად გამოვიყენოთ აფხაზებთან გარკვეული სახის მოლაპარაკებების დაწყების გზების ძიების კუთხით, მითუმეტეს, როცა ოფიციალური ანკარა თავად იქნება აღნიშნული პროცესით დაინტერესებული. ასევე შეგვიძლია გარკვეული სახით თურქეთში მცხოვრები ქართული დიასპორაც ჩავრთოთ აღნიშნულ პროცესში, ვინაიდან დღესდღეობით, გაცილებით მარტივი იქნება აფხაზურ დიასპორასთან სწორედ მათი მეშვეობით გასვლა კონტაქტზე.

დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხებიდან გამომდინარე და უპირველეს ყოვლისა თურქეთის მზარდი როლის, უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხებში მისი ამბიციების გათვალისწინებით კუთხით და იმისათვის, რათა არ მოხდეს მიმდინარე პროცესების სადავეების ხელიდან გაშვება რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, პირველ რიგში მიზანშეწონილია მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, რაიმე ტიპის უწყებათაშორისი მოლაპარაკების გამართვა და ერთობლივი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება რათა მოხდეს რისკების სწორი და საფუძვლიანი შესწავლა და შემდგომში შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

ლიტერატურა:

1. http://www.mfa.gov.tr/turkey_s-relations-with-southern-caucasus.en.mfa
2. Mustafa Aydin, “Foucault’s Pendulum: Turkey in Central Asia and the Caucasus”,Turkish Studies, Vo. 5, Issue 2, (2004), pp. 1-22.
3. Greg Bruno, ”Turkey at an Energy Crossroads”, Council on Foreign Relations, November 20, 2008, http://www.cfr.org/turkey/turkey-energy-crossroads/p17821.
4. Gareth Winrow, “The Southern Gas Corridor and Turkey’s Role as an Energy Transit State and Energy Hub”, Insight Turkey, Vol. 15, N°1, (2013), pp. 145-163,http://file.insightturkey.com/Files/Pdf/ insight-turkey-vol_15_no_1_2013_winrow.pdf.
5. Eleni Fotiou, “Caucasus Stability and Cooperation Platform, What is at Stake for Regional Cooperation”, International Centre for Black Sea Studies (ICBSS), Athens, Greece, N°16, 2009, http://www.isn.ethz.ch/Digital-Library/Publications/Detail/?ots591=0c54e3b3-1e9c-be1e-2c24-a6a8c7060233&lng=en&id=104737.
6. Konrad Sasztowt, “Iran, Turkey and Azerbaijan: Heading Towards a Regional Crisis?” PISM, N° 35, (September 2012), http://www.pism.pl/files/?id_plik=11387.
7. Nigar Göksel, “Turkey and Georgia: Zero Problems?” The German Marshall Fund of the United States, (June 19, 2013), http://www.gmfus.org/ wpcontent/blogs.dir/1/files_mf/1372172079Goksel_TurkeyGeorgia_Jun13.pdf.
8. Igor Torbakov, “The Georgia Crisis and Russia-Turkey Relations”, The Jamestown Foundation,(2008), http://www.jamestown.org/uploads/me-dia/GeorgiaCrisisTorbakov.pdf.
9. Turkey’s ambitions in the South Caucasus Bayram Aliyev, University of Siegen, Germany 01.06.2013
10. M. Haas, A. Tibold, V. Cillessen, “Geo-strategy in the South Caucasus,” Clingandael Institute publications (November 2006): 37.

Turkish Policy Regarding Russian Occupied Georgian Territories

Irakli Gogiberidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

In the article is given a review of Turkey's foreign policy in the Caucasus region in general and a special attention is paid to its attitude and position in relation to the Georgian territories occupied by Russia, main strategic directions of Turkey's policy, its ambitions and real possibilities. Also is discussed the "soft power" policy developed by the Turkish government in the early 2000s, which is aimed at establishing good relations with its neighbors in Region, and the gradual change of the abovementioned policy, which is directly related to the Karabakh conflict. Also in the article is given an evaluation of changes in the basic postulate of foreign policy developed by Ataturk, according to which Turkey should not be involved in the conflicts in the region, and Turkey's active attempt to appear as a dominant and main power directly in the issues of settling the Russia-Ukraine conflict.

The article also pays significant attention to Turkey's attitude towards Russia, which is characterized by interesting nuances. Despite the historically hostile attitude, at this stage the confrontation between Russia and Turkey appears to be an obstacle to the realization of the strategic interests for both of them, therefore, Turkey and Russia are trying in every way to slowly overcome the existing and occasionally arising disagreements and even stand on the same platform in a number of issues, and often are actively acting in deepening the bilateral strategical relationship at almost all areas of partnership, including security. These relations were particularly well demonstrated during the Karabakh conflict and the subsequent "peace" processes. Of course, important attention is given to economic and political issues as well.

Significant place in the article is devoted to Turkey's policy in relation to the Russian occupied territories of Georgia, to Turkey's efforts to act as an important actor in the settlement of the conflict, and at the same time, the economic interests that Turkey has directly in Abkhazia and the frequent contacts with the so-called Abkhazian authorities, be it the "friendship" of Sokhumi with different Turkish cities, the active involvement of the Abkhaz diaspora in the processes, the establishment of ties with educational organizations and universities, or others.

ნატოს „დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების პოლიტიკა" და თანამედროვე გამოწვევები

ლევან კვირკვაია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

რუსეთის მიერ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე განსაკუთრებით ინტენსიური გახდა უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხები, სტრატეგიები და თავდაცვის პოლიტიკა. თანამედროვე სამხედრო-პოლიტიკური გამოწვევების პარალელურად ნატომ და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა დაიწყეს თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკის გაუმჯობესება და შესაბამისი სტრატეგიების განსაზღვრა. ნატოს შეკავებისა და თავდაცვითი უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება ბირთვული, სტანდარტული და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი შესაძლებლობების ნაზავს, რომელიც ავსებს კოსმოსურ და კიბერ შესაძლებლობებს. აღნიშნული პოლიტიკა არის თავდაცვითი, გამოწვევების პროპორციული და სრულად შეესაბამება ალიანსის საერთაშორისო ვალდებულებებს.

ნატომ ჩამოყალიბების დღიდან გაიარა რამოდენიმე სახის ტრანსფორმაცია, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა პოლიტიკურ და სამხედრო მიმართულებებს, არსებული გამოწვევების საპასუხოდ. უსაფრთხოების ასეთმა პოლიტიკამ განაპირობა ალიანსის გრძელვადიანი სტაბილურობა პოლიტიკური მომავალი. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის დაფუძნების მთავარ იდეას სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა, წევრ სახელმწიფოებში, თანამედროვე ალიანსმა შეიძინა პოლიტიკური პერსპექტივები, რომელიც უზრუნველყოფს მრავალგანზომილებიან უსაფრთხოებას.

დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ერთობლივი მოქმედება და გლობალური დაუცველობის აღმოფხვრა, რომელსაც ქმნიან ავტორიტარი სახელმწიფოები. რუსეთი დღესდღეობით ნეგატიურ როლს თამაშობს გლობალური დაუცველობისა და არასტაბილური გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებით, რომელიც უბიძგებს სხვა სახელმწიფოებს მოიქცნენ მსგავსად და იქმნება გლობალური დაუცველობის დომინოს ეფექტი. არსებული გამოწვევების პარალელურად შეიცვალა სტრატეგიული უსაფრთხოების ელემენტები, საერთაშორისო გარემო გახდა მოწყვლადი და დაიწყო წესებზე დაფუძნებული სისტემის კოროზია. სწორედ აღნიშნული გამოწვევების გათვალისწინებით ნატო-მ გააძლიერა მისი უსაფრთხოების პოლიტიკა და სამხედრო შესაძლებლობები, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გრძელვადიან პერსპექტივაში.

შესავალი

ნატოს მთავარ და უცვლელ მიზანს წარმოადგენს მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც ემყარება კოლექტიურ ძალისხმევას, რათა დაიცვას წევრი ქვეყნები, საზოგადოებები და საერთო ღირებულებები. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ნატოს წევრი სახელმწიფოები ახდენენ საფრთხეების იდენტიფიცირებას და განვითარების შესაძლო ალტერნატივების კონცეფციალიზაციას. 2022 წელს ნატომ შეიმუშავა განახლებული კონცეფცია, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: იარაღის კონტროლის, განიარაღების და გაუვრცელებლობის სისტემის ეროზიას; რუსეთის ბირთვულ მოდერნიზაციას; ჩინეთის ბირთვული არსენალის გაფართოებას და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო სისტემების განვითარებას. აღნიშნულს განსაკუთრებულ ინტენსივობას სძენს რუსეთის სამხედრო ინტერვენცია უკრაინაში და შედეგად, ომი ნატოს საზღვრებთან [3].

დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს, დიდ და ძლიერ სახელმწიფოთა ძალისხმევას განავითარონ შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკა ასევე, შეიმუშაონ საერთაშორისო მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფენ საერთო სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში. ნატოს მიმდინარე სტრატეგიული კონცეფცია (2022) კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნატოს მთავარი მიზანია უზრუნველყოს მისი წევრების კოლექტიური დაცვა 360 გრადუსიანი მიდგომის საფუძველზე და ასახავს სამ ძირითად ამოცანას - შეკავება და თავდაცვა, კრიზისების პრევენცია და მართვა და თანამშრომლობითი უსაფრთხოება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ნატოს პოლიტიკა მიმართულია საპასუხო პროპორციული სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ.

სტრატეგიული უსაფრთხოება და ნატო

ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში ჩამოყალიბებულია ალიანსის სტრატეგია, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოება მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ. ის ასახავს ნატოს მუდმივ მიზანს, მისი ფუნდამენტური უსაფრთხოების ამოცანებს და გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებსაც აწყდება უსაფრთხოების ცვალებად გარემოში. იგი ასევე აკონკრეტებს უსაფრთხოებისადმი ალიანსის მიდგომის ელემენტებს და იძლევა მითითებებს მისი პოლიტიკური და სამხედრო ადაპტაციისთვის [3].

ნატოს მერვე სტრატეგიული უსაფრთხოების პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაუცველ გეოპოლიტიკურ გარემოს, სტრატეგიულ კონკურენციას და ავტორიტარული სახელმწიფოების თავდასხმებს, ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგზე. აღნიშნულის ფონზე იცვლება ალიანსის სტრატეგიული მიმართულებები, მათ შორის:

- ♦ ფოკუსი გაიზარდა შეკავებისა და თავდაცვის გაძლიერებაზე ასევე მდგრადობის მშენებლობაზე.
- ♦ მოხდა რუსეთის იდენტიფიცირება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე ალიანსისთვის.
- ♦ პირველად მოხდა ჩინეთის მოხსენიება, როგოც სტრატეგიული გამოწვევა, ნატოს უსაფრთხოებისთვის.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია ფოკუსირებულია შეკავებისა და თავდაცვის გაძლიერებაზე მრავალი გზით, როგორებიცაა: საჰაერო და სარაკეტო თავდაცვის გაძლიერება, თავდაცვითი ზღუდეების და საბრძოლო მასალის მომზადება/განლაგება. უფრო მეტი აქცენტი გამახვილებულია მდგრადობის მშენებლობაზე, მათ შორის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში, მიწოდების ჯაჭვებსა და უსაფრთხოებაზე, რომელიც ემსახურება როგორც ნატოს პოზიციის გაძლიერებას ევროპაში, ასევე ალიანსის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევის მოგვარებას [5].

მიუხედავად იმისა, რომ ნატო არის თავდაცვითი ალიანსი, მათი პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია მოკავშირეთა დაცვასა და გაძლიერებაზე, რათა შენარჩუნებულ იქნას მოკავშირეთა სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ნატოს შეკავებისა და თავდაცვითი უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება ბირთვული, სტანდარტული და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი შესაძლებლობების ნაზავს, რომელიც ავსებს კოსმოსურ და კიბერ შესაძლებლობებს. აღნიშნული პოლიტიკა არის თავდაცვითი, გამოწვევების პროპორციული და სრულად შეესაბამება ალიანსის საერთაშორისო ვალდებულებებს.

ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში (2022) მნიშვნელოვნად შემცირდა ყურადღება იარაღის კონტროლზე, როგორც კონფლიქტისა და შეიარაღების რბოლის მართვის პრინციპულ ინსტრუმენტზე, ბოლო (2010) სტრატეგიულ კონცეფციასთან შედარებით. აღნიშნულის ცვლილება განაპირობა რუსეთისა და ჩინეთის პოლიტიკამ, რომელიც მკვეთრად შეიცვალა წინა წლებთან შედარებით. 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია აყალიბებს რუსეთის ახალ პოლიტიკას, სადაც ნათქვამია, რომ „რუსეთის ფედერაცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე მოკავშირეების უსაფრთხოებისთვის და მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ევრო-ატლანტიკურ ზონაში“ [3].

სტრატეგიული კონცეფცია ასევე განიხილავს რისკების შემცირებას და გამჭვირვალობას, როგორც რუსეთთან და ჩინეთთან შეიარაღების კონტროლის პოტენციურად სასარგებლო გზებს. რუსეთთან დაკავშირებით მასში ნათქვამია, რომ „ნატო არ ესწრაფვის კონფრონტაციას და არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთის ფედერაციისთვის“. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად ახალი სტრატეგიული კონცეფცია და წევრი ქვეყნების პოლიტიკური მიმართულებები დაცლილია პერსპექტივებით იარაღის კონტროლის შესახებ. რუსეთი სახელდება საფრთხედ ხოლო ჩინეთი გამოწვევად, არამხოლოდ ალიანსის არამედ მსოფლიო სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის.

ნატოს სტრატეგიულ დოკუმენტებში და სამიტებზე ხშირად იყო ხაზგასმა იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საერთაშორისო წესრიგი, სტაბილურობის უზრუნველსაყობად. წესებზე დაფუძნებული წესრიგის გარანტი უნდა გამხდარიყო დიდი და ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათ აღსრულებას საერთაშორისო სამართლის პრინციპების მიხედვით. თუ ადრეულ წლებში ნატოს პოლიტიკა იყო მხოლოდ წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე ზრუნვა, დღესდღეობით მან იტვირთა საერთაშორისო ვალდებულება, დაიცვას მოკავშირე სახელმწიფოები და დემოკრატია. აღნიშნულის მისაღწევად ნატო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს თავდაცვისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით.

დიდი სტრატეგიული უსაფრთხოების უზრუნ-

ველსაყოფად მნიშვნელოვანია ერთობლივი მოქმედება და გლობალური დაუცველობის აღმოფხვრა, რომელსაც ქმნიან ავტორიტარი სახელმწიფოები. რუსეთი დღესდღეობით ნეგატიურ როლს თამაშობს გლობალური დაუცველობისა და არასტაბილური გარემოს ჩამოყალიბების მიმართულებით, რომელიც უბიძგებს სხვა სახელმწიფოებს მოიქცნენ მსგავსად და იქმნება გლობალური დაუცველობის დომინოს ეფექტი. არსებული გამოწვევების პარალელურად შეიცვალა სტრატეგიული უსაფრთხოების ელემენტები, საერთაშორისო გარემო გახდა მოწყვლადი და დაიწყო წესებზე დაფუძნებული სისტემის კოროზია. ალიანსი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სტრატეგიულ კონცეფციაში ითვალისწინებს აღნიშნულ გამოწვევებს და ცვლის მიდგომებს უსაფრთხოების პოლიტიკაში, რომელიც უფრო მოქნილი, ფართო და ძალაზე ორიენტირებული ხდება.

ნატოს თანამედროვე გამოწვევები

ნატომ ჩამოყალიბების დღიდან გაიარა რამოდენიმე სახის ტრანსფორმაცია, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა პოლიტიკურ და სამხედრო მიმართულებებს, არსებული გამოწვევების საპასუხოდ.უსაფრთხოებისასეთმაპოლიტიკამგანაპირობა ალიანსის გრძელვადიანი სტაბილურობა პოლიტიკური მომავალი. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის დაფუძნების მთავარ იდეას სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა, წევრ სახელმწიფოებში, თანამედროვე ალიანსმა შეიძინა პოლიტიკური პერსპექტივები, რომელიც უზრუნველყოფს მრავალგანზომილებიან უსაფრთხოებას. მიმდინარე რუსული აგრესიის ფონზე ალიანსმა დაამტკიცა ახალი 2022 წლის უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც მოუწოდებს მოკავშირეებს განსაკუთრებით ფოკუსირება მოახდინონ აღმოსავლეთ ფლანგის მყარ დაცვაზე და უკრაინის მხარდაჭერაზე.

დაწყებული რუსეთის მცდელობებიდან, ძირი გამოუთხაროს და დაემუქროს ალიანსს და მის პარტნიორებს და დამთავრებული ჩინეთის გაზრდილი გლობალური როლით, კლიმატის ცვლილების საფრთხე და კრიზისები ევროპის სამეზობლოში, მოკავშირეები კვლავ იძულებულნი არიან ადაპტირდნენ ნატოს ახალ გამოწვევებზე. რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან ნატო და ნატოს წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ უკრაინას, მათ შორის თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობითა და ტექნიკით. ნატო უმკაცრესად გმობს რუსეთის სასტიკ და არაპროვოცირებულ აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ - რომელიც არის დამოუკიდებელი, მშვიდობიანი და დემოკრატიული ქვეყანა და ნატოს ახლო პარტნიორი. ნატო და მოკავშირეები აგრძელებენ უპრეცედენტო დონის მხარდაჭერას უკრაინისადმი, რაც ხელს უწყობს თავდაცვის ფუნდამენტური უფლების დაცვას [4].

მიუხედავად იმისა, რომ ნატო პირდაპირ ეხმარება უკრაინას,ის ასევე უზრუნველყოფს კოორდინაციას და მხარს უჭერს მოკავშირეებს მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული, არალეტალური და ფინანსური დახმარების მიწოდებაში. ნატოს წევრი სახელმწიფოები და მათი მოკავშირეები აგზავნიან მილიარდობით ევროს ღირებულების საბრძოლო მასალასა და სამხედრო აღჭურვილობას. მადრიდში ნატოს სამიტის შემდეგ, მოკავშირეთა ლიდერები ასევე შეთანხმდნენ მხარდაჭერის გაძლიერებულ პაკეტზე, რათა დააჩქარონ არალეტალური თავდაცვის აღჭურვილობის მიწოდება, გააუმჯობესონ უკრაინის კიბერთავდაცვა და გამძლეობა და დაეხმარონ უკრაინას ომის შემდგომი აღდგენისა და თავდაცვის სექტორის რეფორმების გზაზე. რუსეთ-უკრაინის ომმა ასევე გამოავლინა რამდენად დაუცველია ევროპა შეერთებული შტატების მიერ კონტინენტზე სამხედრო ყოფნის გაძლიერების და უკრაინაში უსაფრთხოების დახმარებისა და იარაღის მიწოდების გაძლიერების გარეშე [1].

ომი უკრაინაში და რუსეთის საგარეო პოლიტიკის სრული მილიტარიზაცია ნატოს გამოწვევის სრულიად ახალი კატეგორიაა ცივი ომის შემდგომ ეპოქაში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთი ომის საფეხურზეა გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სამხედრო მიმართულებით, არა მხოლოდ უკრაინასთან და ევროპის უსაფრთხოების წესრიგთან, არამედ ევროატლანტიკურ პარტნიორებთან. ნატო ახლა იძულებულია დაუბრუნდეს თავის თავდაპირველ მისიას - დაიცვას ევროპა აგრესიული და უაღრესად მილიტარიზებული რუსული საგარეო პოლიტიკისგან. ნატო-რუსეთის ურთიერთობები შედარებით ნორმალიზდა ცივი ომის შემდგომ კონტექსტში, რის შედეგადაც შემცირდა ევროპული ინვესტიციები თავდაცვის შესაძლებლობებში. ნატომ ამ ტრაექტორიის შეცვლა მხოლოდ 2014 წელს დაიწყო, როდესაც რუსეთი პირველად შეიჭრა უკრაინაში და ახლა მნიშვნელოვნად უნდა დააჩქაროს თავისი ძალისხმევა [2].

მოკავშირეებისთვის მნიშვნელოვანია რუსეთის მოტივების გაგება და დეესკალაციის გზების

პოვნა. ეს გამოწვევაა, რადგან პუტინის ლოგიკა აშკარად განპირობებულია აღქმული ინტერესების გადაფარვითა და გაფართოებით. დასაწყისისთვის, რუსეთის გამოწვევა იყო ნატოს ღია კარის პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობა, რასაც დაუმალავად აცხადებდნენ რუსეთის ოფიციალური პირები, რომ ნატო მათი საზღვრის სიახლოვეს მიუღებელია. 2008 წლის სამხედრო ინტერვენციით საქართველოში, შემდგომ 2014 წლის ინტერვენციით უკრაინაში, რუსეთმა გააზავნა მკაფო სამხედრო გზავნილები, რომ არ დაუშვებდა ნატოს მათი საზღვრების სიახლოვეს.

უკრაინაში შეჭრამდე რუსეთი ითხოვდა იურიდიულ გარანტიებს ნატოს არ გაფართოების შესახებ, თუმცა დასავლეთმა უარყო მსგავსი გარანტიების მიცემა და განაცხადა, რომ ნატოს წევრობა დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების კონსესუსზე, ასევე ნატოში გაწევრიანების სურვილი დამოკიდებულია სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებელ განზრახვაზე. შესაბამისად რუსეთმა გადაწყვიტა სამხედრო გზით აღნიშნული საკითხის მოგვარება, რამაც შეცვალა აქამდე არსებული საერთაშორისო წესრიგი და სამხედრო პოლიტიკური პერსპექტივები.

2020 წლიდან გაზრდილი რუსული პროვოკაციების ფონზე დასავლეთის სახელმწიფოებმა დაიწყეს აქამდე შემცირებული სამხედრო ბიუჯეტის გაზრდა და გადაიარაღება. ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა დაიწყეს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება და შესაბამისი კონცენტრირება, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა რუსული სამხედრო აგრესიის პარალელურად. ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ნეიტრალური სახელმწიფოების პოლიტიკაში, როგორებიცაა შვედეთი და ფინეთი. სწორედ რუსეთის ომის პარალელურად მათ შეიტანეს განაცხადი ნატოს წევრობაზე და დაიწყეს სამხედრო სტრატეგიული შეიარაღების განვითარება.

დასკვნა

რუსეთი ომის საფეხურზეა გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სამხედრო მიმართულებით, არა მხოლოდ უკრაინასთან და ევროპის უსაფრთხოების წესრიგთან, არამედ ევროატლანტიკურ პარტნიორებთან. ნატო ახლა იძულებულია დაუბრუნდეს თავის თავდაპირველ მისიას - დაიცვას ევროპა აგრესიული და უაღრესად მილიტარიზებული რუსული საგარეო პოლიტიკისგან. დაწყებული რუსეთის მცდელობებიდან, ძირი გამოუთხაროს და დაემუქროს ალიანსს და მის პარტნიორებს და დამთავრებული ჩინეთის გაზრდილი გლობალური როლით, კლიმატის ცვლილების საფრთხე და კრიზისები ევროპის სამეზობლოში, მოკავშირეები კვლავ იძულებულნი არიან ადაპტირდნენ ნატოს ახალ გამოწვევებზე.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან ნატო და ნატოს წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ უკრაინას, მათ შორის თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობითა და ტექნიკით. ნატო უმკაცრესად გმობს რუსეთის სასტიკ და არაპროვოცირებულ აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ - რომელიც არის დამოუკიდებელი, მშვიდობიანი და დემოკრატიული ქვეყანა და ნატოს ახლო პარტნიორი. ნატო და მოკავშირეები აგრძელებენ უპრეცედენტო დონის მხარდაჭერას უკრაინისადმი, რაც ხელს უწყობს თავდაცვის ფუნდამენტური უფლების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ ნატო პირდაპირ ეხმარება უკრაინას,ის ასევე უზრუნველყოფს კოორდინაციას და მხარს უჭერს მოკავშირეებს მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული, არალეტალური და ფინანსური დახმარების მიწოდებაში.

ცივი ომის შემდგომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც დღის წესრიგში კვლავ დადგა შეიარაღების გაზრდის და უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების გაძლიერების აუცილებლობა. გაზრდილი საფრთხეების გათვალისწინებით მიმდინარეობს შეიარაღების ზრდა და სტრატეგიული თავდაცვის პოლიტიკის განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დიდი სტრატეგიული უსაფრთხოება და სტაბილურობა საერთაშორისო არენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dempsey, J. "Judy Asks: Is NATO Doing Anything for Ukraine?". Carnegie EU 2022. https://carnegieeurope.eu/strategiceurope/87799
2. Fix, L. Keil, S. "NATO and Russia after the Invasion of Ukraine". NATO IN A NEW ERA: GLOBAL SHIFTS, GLOBAL CHALLENGES 2022. https://www.gmfus.org/news/nato-and-russia-after-invasion-ukraine
3. NATO Security Strategic Concept 2022. https://www.nato.int/strategic-concept/
4. Official Page of NATO. "NATO's response to Russia's invasion of Ukraine". 2022. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_192648.htm#:~:text=To%20date%2C%20NATO%20Allies%20have,in%20the%20United%20Nations%20Charter
5. Swicord, E. "NATO's New Strategic Concept: What it is and Why it Matters". NTI 2022. https://www.nti.org/atomic-pulse/natos-new-strategic-concept-what-it-is-and-why-it-matters/

NATO's "Big strategic security policy" and contemporary challenges

Levan Kvirkvaia, PhD student
Georgian Technical University

Summary

Against the background of Russia's ongoing war in Ukraine, issues of security policy, strategies and defense policy have become particularly intense. In parallel with modern military-political challenges NATO and its member states have started to improve the defense and deterrence policy and define the corresponding strategies. NATO's deterrence and defensive security policy is based on a mix of nuclear, conventional and missile defense capabilities, complemented by space and cyber capabilities. This policy is defensive, proportionate to the ongoing challenges and fully complies with the alliance's international obligations.

Since its formation, NATO has gone through several transformations, including various political and military directions, in response to existing challenges. Such a security policy led alliance's long-term stability and political future. Although the main idea of the founding of the alliance was the provision of military security, in the member states, the modern alliance has acquired political perspectives that provide multidimensional security.

To ensure greater strategic security, it is important to act together and eliminate the global insecurity created by authoritarian states. Russia is currently playing a negative role in creating global insecurity and an unstable environment that prompts other states to do the same and creates a domino effect of global insecurity. Along with the existing challenges, elements of strategic security have changed, the international environment has become vulnerable, and the rules-based system has begun to corrode. It is with these challenges in mind that NATO has strengthened its security policy and military capabilities, the ultimate goal of which is to provide great strategic security in the long term.

The aspiration of states to establish themselves in the international relations and to pursue policies dictated by national interests is accompanied by a strategic alliance and its dynamics, which determined by the geopolitical situation of the country. The goal of any state is to improve the quality of life that comes from economic opportunities, although the latter, however is directly related to security. Because of high standards of security that countries seek to join forces and join military alliances to ensure long term security and stability.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური კონცეფცია ევროპასთან ეტაპური ადაპტაციის პროცესში

კახა ტაბატაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

2001 წელს აშშ-ს პრეზიდენტად ჯორჯ ბუში უმცროსის მოსვლის შემდეგ გაჟღერდა კონცეფცია აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ევროპული ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგების შესახებ, ამას ემატებოდა ზოგადად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ახალი კონცეფცია. მისი მთავარი არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა შექმნილიყო კარგად ეშელონირებული სისტემები, რომელიც გათვლილი იქნებოდა არაბირთვულ საშუალებებზე ბალისტიკური რაკეტების ჩამოსაგდებად ფრენის ტრაექტორიის ყველა საწყის, საშუალო და ბოლო ტრაექტორიაზე.

2006 წლის იანვარში ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ განაცხადა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მესამე პოზიციურ რაიონში, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განლაგების შესახებ 2013 წლამდე.

მესამე პოზიციურ რაიონში აშშ ფიქრობდა განელაგებინა 10 გაუმჯობესებული რაკეტსაწინააღმდეგო საშუალება პოლონეთში, ხოლო მრავალფუნქციური რადიოსალოკაციო სადგური ჩეხეთში. 2007 წ. ივნის-ივლისის პერიოდში აშშ მოლაპარაკებებს აწარმოებდა პოლონეთთან და ჩეხეთთან. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა უკვე საბოლოოდაა გარკვეული რუსეთის პოზიცია მსოფლიოს ახალი წესრიგის შესახებ. საქმე ისაა, რომ 2007წ. 10 თებერვალს მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა და ხმამაღლა განაცხადა თავისი ამბიციების შესახებ. მიუნხენის კონფერენციაზე მოხდა ცივილიზაციური, მენტალური დაპირისპირების იმანენტური გამოკვეთა, რამაც ახალი დაპირისპირებისაკენ უბიძგა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს.

ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, ჩვენი აზრით, აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მხოლოდ ერთი კომპონენტია, რომლის მიზანია აშშ-ს ტერიტორიის, მოსახლეობისა და ჯარის დაცვა. აშშ თავის პარტნიორებსა და მოკავშირეებს ნატოში არწმუნებს, რომ ეს სისტემა მათ დასაცავადაა განკუთვნილი, მაგრამ საომარი კონფლიქტის შემთხვევაში ხომ თავად ეს სახელმწიფოები აღმოჩნდებიან უპირველესი დარტყმის ქვეშ. ნებისმიერ შემთხვევაში ყველაზე მძიმე შედეგს ევროპული სახელმწიფოები მიიღებენ და არა აშშ. აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ევროპაში მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ იმიტომაა მიმართული, რომ ლიბერალური რეფორმების კრახის შემდეგ XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთი ევროპისა და აშშ-სათვის იქცა უპირველეს საფრთხედ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა აშშ-სგან იურიდიული გარანტიები იმისა, რომ რთს ევროპაში არ იქნება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული. ასეთი გარანტიები დღემდე არ არსებობს.

შესავალი

უკრაინაში რუსეთის მიერ გაჩაღებულმა ომმა ევროატლანტიკური სივრცე კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ევროპული უსაფრთხოების პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია პოლიტიკურ საკითხთა შორის. ამ უსაფრთხოებაში კი აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი კომპლექსის განთავსებას ევროპაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

დასავლეთი საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების აგებას ცდილობდა. თავიდან თითქოს საქმე ასეც წარიმართა, ევროპა დაინტერესებული აღმოჩნდა იაფი რუსული ენერგორესურსებით, თავის მხრივ კი რუსეთიც დასავლური მოწინავე ტექნოლოგიებით, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მმართველობის ბოლო წლებში აშკარად გამოიკვეთა რუსეთის ახალი იმპერიალისტური მაბიციები. რუსეთი ცდილობდა დაკარგული პრესტიჯის აღდგენას. ყოველივე ამას ხელი შეიწყო ლიბერალური რეფორმების კრახმაც რუსეთში, ხოლო ვლადიმერ პუტინის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ 200 წლიდან ვითარება კარდინალურად შეიცვალა და აშკარად გამოიკვეთა რუსეთისა და დასავლური სამყაროს ინტერესების დაპირისპირება. ამ დაპირისპირების კონტექსტში აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეო თავდაცვის სისტემას

ევროპაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს და იგი ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

ძირითადი ნაწილი

2001 წელს აშშ-ს პრეზიდენტად ჯორჯ ბუში უმცროსის მოსვლის შემდეგ გაჟღერდა კონცეფცია აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ევროპული ქვეყნების ტერიტორიაზე განლაგების შესახებ, ამას ემატებოდა ზოგადად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ახალი კონცეფცია. მისი მთავარი არსი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა შექმნილიყო კარგად ეშელონირებული სისტემები, რომელიც გათვლილი იქნებოდა არაბირთვულ საშუალებებზე ბალისტიკური რაკეტების ჩამოსაგდებად ფრენის ტრაექტორიის ყველა საწყის, საშუალო და ბოლო ტრაექტორიაზე (Романец, 2007, გვ. 12).

2006 წლის იანვარში ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ განაცხადა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მესამე პოზიციურ რაიონში, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განლაგების შესახებ 2013 წლამდე.

მესამე პოზიციურ რაიონში აშშ ფიქრობდა განელაგებინა 10 გაუმჯობესებული რაკეტსაწინააღმდეგო საშუალება პოლონეთში, ხოლო მრავალფუნქციური რადიოსალოკაციო სადგური ჩეხეთში. 2007 წ. ივნის-ივლისის პერიოდში აშშ მოლაპარაკებებს აწარმოებდა პოლონეთთან და ჩეხეთთან. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა უკვე საბოლოდაა გარკვეული რუსეთის პოზიცია მსოფლიოს ახალი წესრიგის შესახებ. საქმე ისაა, რომ 2007წ. 10 თებერვალს მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა და ხმამაღლა განაცხადა თავისი ამბიციების შესახებ. მიუნხენის კონფერენციაზე მოხდა ცივილიზაციური, მენტალური დაპირისპირების იმანენტური გამოკვეთა, რამაც ახალი დაპირისპირებისაკენ უბიძგა მსოფლი-ოს წამყვან სახელმწიფოებს (კოპალიანი & კვეტენაძე, 2021. გვ. 121). რუსეთოს ფედერაციის პრეზიდენტის მაშინდელი გამოსვლა სათანადოდ არ იქნა შეფასებული მათ შორის საქართველოშიც. ყოველდღე ამას კი სავალალო შედეგები მოჰყვა როგორ საქართველოსთვის, ისე შემდეგ უკრაინაშიც, რამაც კიდევ ერთხელ უბიძგა აშშ-ს და დასავლეთის სახელმწიფოებს საკუთარი და განსაკუთრებით ევროპულ უსაფრთხოებაზე ეფიქრათ. განსაკუთრებით მოწყვლადი კი ასეთ ვითარებაში აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი იყო. მთლიანობაში კი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ფორმირების საკითხს ჩვენ ვუდგებით გეოპოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში და არა „ცუდისა და კარგის“ პოზიციიდან, მაგრამ აქაც არის ერთი ფაქტორი გასათვალისწინებელი, რომ დასავლეთის სახელმწიფოები თანდათან რწმუნდებოდნენ იმაში, რომ რუსეთი საფრთხედ აღიქვამდა მასთან სიახლოვეს დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობას, შესაბამისად თავიანთი ბუნებრივი დასავლური ცხოვრების წესის დაცვაში მას მოკავშირედ ვერანაირად ვერ აღიქვამდნენ. ამიტომაც თავიანთი უსაფრთხოების დაცვას აშშ-ს უკავშირებდნენ. შეიძლება მათ ეს არც მოსწონდათ, მაგრამ იძულებულნი ხდებოდნენ ასე ემოქმედათ.

2009 წ. სექტემბერში აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უარი განაცხადა პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებების განლაგების შესახებ. ობამას ხელისუფლება გამოდიოდა წინადადებით შექმნილიყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ახალი არქიტექტურა, რომელშც შევიდოდა სახმელეთო და საზღვაო ბაზირების მობილური სარაკეტო კომპლექსები. ახალი კონცეფციის თანახმად ევროპაში განლაგებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტები, ჩართული იქნებოდა გაცილებით ფართო სისტემაში ე.წ. ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაში ან კიდევ ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაში. შესაძლებელია ეს ასევე ყოფილიყო მოქნილი ეტაპური მიდგომა (ფაზებისაგან შემდგარი ადაპტაციური მიდგომა, ან კიდევ ევროპული ეტაპური ადაპტაციის მიდგომა). ეს კონცეფცია წარმოადგენდა ჯორჯ ბუში უმცროსის „მესამე პოზიციური რაიონის“ კონცეფციის გაგრძელებას და გულისხმობდა აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის ელემენტების განლაგებას არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ ზოგიერთი ნატოს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზეც. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ ორ პოზიციურ რაიონში მოიაზრება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების ობიექტების ბაზირება საკუთრივ აშშ-ს ტერიტორიაზე, ალიასკასა და კალიფორნიაში.

1. აშშ-ს ოფიციალური განცხადებით რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები უნდა შექმნილიყო ირანის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის გასანეიტრალებლად (Кубышкин, 2010, გვ. 62). სისტემას უნდა გაევლო ოთხი ეტაპი.
2. პირველი ფაზის პერიოდში (2011 წლის ბო-

ლომდე) იგეგმებოდა რიგი რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების განთავსება მცირე და საშუალო ბალისტიკური რაკეტებისაგან თავის დასაცავად. ნავარაუდევი იყო ხმელთაშუა ზღვაში გემების განლაგება, რომლებიც აღჭურვილნი იქნებოდნენ მრავალმიზნობრივი კომპლექსებით „იჯისი“ (AEGIS) და დამჭერი რაკეტებით „სტენდარდ-3“ მოდ. 1A. (SM-3 მოდ. 1A) გემებზე განლაგებული რადიოლოკაციური სადგურები (რლს) ევროპაში, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა არა მარტო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისათვის, არამედ აშშ-ს ანტირაკეტებისათვის ორ პოზიციურ რაიონში.

3. მეორე ფაზა (2015 წლამდე) გულისხმობდა შედარებით გაუმჯობესებული და სრულყოფილი დამჭერების CM-3 მოდ. 1B, ასევე დამატებითი საინფორმაციო საშუალებების განლაგებას. ამ ფაზაში ასევე მოიაზრებოდა სახმელეთო რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის განთავსებაც რაკეტა „სტენდარდ-3“-ის საფუძველზე ევროპის სამხრეთით, როგორც საზღვაო ბაზების სისტემებზე დამატება.
4. მესამე ფაზა (2018 წელი) გულისხმობდა ჩრდილოეთ ევროპაში კიდევ ერთი დამატებითი რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის განლაგებას. განსაზღვრული იყო სახმელეთო და საზღვაო სისტემები „იჯისი“ აღჭურვილი ყოფილიყო „სტენდარდ 3“-ის მოდ. 2A. დამჭერებით, რაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა ევროპელი მოკავშირის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

და ბოლოს მეოთხე ფაზა (2020 წლამდე) გულისხმობდა დამატებით შესაძლებლობების მიღწევას აშშ-ს ტერიტორიის დაცვის უზრუნველსაყოფად. კონტინენტთაშორისი რაკეტებისაგან, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან იქნებოდა გაშვებული, აშშ სრულიად უნდა ყოფილიყო დაცული. ამ პერიოდში იგეგმებოდა რაკეტსაწინააღმდეგო საშუალება CM-3 -ის მოდ. 2B. გამოჩენა, ასევე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისა და საბრძოლო მარტვის სტრუქტურების მოდერნიზაცია (Кубышкин, 2010, გვ. 75).

2012 წლის 18 მაისის ნატოს სამიტზე ჩიკაგოში გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების პირველი ფაზის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება (НАТО завершила первуюфазу). თუმცა 2013 წ. 15 მარტს პრესკონფერენციაზე ვაშინგტონში აშშ-ის ახალმა თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ხაიგელმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რესტრუქტურიზაციის შესახებ გააკეთა განცხადება. ევროპული ეტაპური ადაპტაციური მიდგომის მეოთხე ფაზის რეალიზაციის ნაცვლად იგეგმებოდა ალიასკაზე 14 დამატებითი დამჭერი რაკეტის CBI-ის განთავსება და იაპონიაში კიდევ ერთი რადარის TPY-ის დამატება. გარდა ამისა, აშშ-ს თავდაცის სამინისტროში განიხილებოდა ვარიანტები ტერიტორიაზე (Amaani). ეს განცხადება ხაზგასმულია აშშ-ს თავდაცვის პოლიტიკის ახალ ოთხწლიან მიმოხილვაში, რომელიც დღის სინათლეზე 2014 წლის დასაწყისში გამოვიდა (Quadrennial defense review 2014). რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის გაძლიერებას აშშ-სა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ ხსნიდა ჩრდილოეთ კორეის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის პრევენციით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩ. ხეიგალის განცხადებაში არაფერია ნათქვამი ევროპული სარაკეტო კოპლექსის მეოთხე ფაზის სრულ უარყოფზა, იქ იყო ნათქვამი მის გადატანაზე 2020 წლამდე, აშშ-ს ბიუჯეტის შემცირების გამო (DOD News Briefing on Missile Defense from the Pentagon).

ევროპაში სთს-ის განლაგების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და დღემდე არის რუსეთის ფედერაცია, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მხრიდან არაერთხელ იქნა გაკეთებული განცხადება, რომ ეს სისტემები მიმართულია ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხის და არა რუსეთის წინააღმდეგ.

ევროპული ეტაპური ადაპტაციური მიდგომის რესტრუქტურიზაციის ობიექტური მიზეზი ასევე შეიძლებოდა ყოფილიყო შესაქმნელი სისტემის არაეფექტურობა დაგეგმილი სახით. შესაბამისად აშშ-ს თავდაცვის კომპეტენტურმა პირებმა მისი გაგრძელება არ ჩათვალეს საჭიროდ. 2012 წლის ეროვნული კვლევითი საბჭოს მოხსენებაში მსგავსი მოსაზრებაა გაჟღერებული (Making Sense of Ballistic Missile Defense..., 2015. P. 239).

აშშ, რამდენადაც რთს-ის განლაგებას ევროპაში ირანის ფაქტორს უკავშირებდა და იგივეს იმეორებდა მისი ევროპელი მოკავშირეები, ლოგიკურად თუ ისინი თავის ბირთვულ პროგრამას შეაჩერებდა რთს-ი არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, მაგრამ სინამდვილეში აშშ ირანის არცერთი ქმედებით არ აპირებდა ამ პროგრამაზე უარის თქმას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მხოლოდ ოფიციალურ ვერსიაზე არ იყო გათვლილი. აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები ჩვენი აზრით სწორედ რუსეთისგან თავდაცვას

ითვალისწინებდა, რადგან გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს მდებარე რუსეთის ფედერაციას სწორედ რომ ყველაზე ეფექტური დარტყმის მიყენება შეუძლია როგორც ევროპისათვის, ისე აშშ-სთვისაც. შემთხვევითი როდია, რომ მას შემდეგ რაც აშშ-მ რუმინეთსა და პოლონეთში განათავსა რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსები, რუსეთმა დაიწყო ახალ შემტევ რაკეტაზე მუშაობა და 2020 წელს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის ფლობს ახალ შემტევ რაკეტა „სარმატს", რომელსაც შეუძლია დაძლიოს ყველა ბარიერი.

დასავლეთის მზადება თავდაცვისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთში ლიბერალურმა რეფორმებმა განიცადა კრახი XX საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ ოფიციალურად რთს ირანისაგან და ზოგადად ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხისაგან იცავდა დასავლეთს. ვფიქრობთ ეს იყო საერთაშორისო პოლიტიკის ელემენტარული კანონზომიერება, როცა ყურადღების გადატანა ხდებოდა სხვა მიმართულებით და არ ცხადდებოდა რეალური მიზეზი, იმისა, თუ რატომ უნდა მომხდარიყო ევროპისა და აშშ-ს ეფექტური რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებების დაყენება. სხვა საკითხია მართალი იყო თუ არა აშშ და მთლიანად დასავლეთი, როცა ასეთ ნაბიჯებს დგამდა. ჩვენი აზრით, მართალი იყო, რადგან რუსეთი დასავლეთის სანდო პარტნიორად ვერ იქცა, მან კვლავაც განაცხადა თავისი იმპერიალისტური მიზნების შესახებ, თანაც ამას ღიად აცხადებდა, საბოლოო აკორდად ჩვენს მიერ ზემოთხსენებული მიუნხენის 2007 წლის კონფერენცია იქცა.

2014 წლის 11 იანვარს ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა თავის სტატიაში აღნიშნა" „ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მიზანია - დაიცვას ევროპა რეალური საფრთხისაგან. მსოფლიოში სულ ცოტა 30 ქვეყანა ან ფლობს ბალისტიკურ რაკეტებს, ან კიდევ ესწრაფვის მის მოპოვებას. ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ბალისტიკური რაკეტის შექმნისათვის სულ უფრო და უფრო ვრცელდება, ხოლო მისი მოქმედების რადიუსი კიდევ უფრო იზრდება. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც განლაგებულია ევროატლანტიკური რეგიონის მიღმა, უკვე შეიძლება დამიზნებული იქნას ევროპული ქალაქებისათვის" (Rasmussen Anders Fogh. NATO's New Frontier). ამ განცხადებამ არა ერთ რუს პოლიტიკურ თუ სამხედრო ექსპერტს აფიქრებინა, რომ რთს-ები სწორედ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ იქმნებოდა, რადგან სწორედ რუსეთი ფლობს კონტრძალისმიერ ბირთვულ პოტენციალს. 2021 წლის დეკემბრის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ადრე გაკეთებულ განაცხადს იმის შესახებ, რომ 2000-იან წლებში, რუსეთსა და დასავლეთს შორის არავითარი დაძაბულობა არ შეინიშნებოდა და ორივე მხარე მხოლოდ პარტნიორულ ურთიერთობებზე საუბრობდა, მაშ რატომღა გაგრძელდა ნატოს გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით? ერთი შეხედვით ლოგიკურია რუსეთის პრეზიდენტის მიერ საკითხის ამგვარი დასმა, მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ დასავლეთი ადევნებდა გულმოდგინედ თვალყურს რუსეთის ქცევას. გასული საუკუნის 90-იან წლების მიწურულს კი უკვე ნათელი გახდა, რომ რუსეთი რუსი გეოპოლიტიკოსის ა. დუგინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმპერიათმშენებლობის პროცესზე უარის თქმას არ აპირებდა. ეს ყველამ კარგად დაინახა დასავლეთში. შესაბამისად ამიტომაც დაიწყო აშშ-, და ევროპამ ახალი ზომების მიღება უსაფრთხოების კუთხით, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დასავლეთი დღემდე არ აცხადებს, რომ რთს-ა რუსეთისაგან თავდაცვის მიზნით კეთდებოდა. როგორც ჩანს დასავლეთში ჯერ კიდევ აქვთ იმედი იმისა, რომ რუსეთსა და ევროატლანტიკურ სივრცეს შორის კომპრომისული შეთანხმების მიღწევა მოხდება. ჩვენი აზრით ბოლოს და ბოლო ეს ასეც მოხდება, რადგან ამაზე ისტორიული მეხსიერებაც მეტყველებს. დიდი სახელმწიფოები თუ სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ხშირად შეთანხმებულად მოქმედებენ საერთაშორისო არენაზე.

რასმუსენმა თავის ზემოთხსენებულ სტატიაში ზოგადად სამხედრო ძალების განლაგებასაც გაუსვა ხაზი. „ადრე ჩვენ საზღვრებთან განლაგებული გვყავდა ტანკები, ამჯერად კი ახალ რთულ სისტემას ვაშენებთ, რომელსაც უახლესი ტექნოლოგიები სჭირდება, რასაც არაერთი მოკავშირისგან ვიღებთ, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვასა და ჰაერში" (Rasmussen Anders Fogh. NATO's New Frontier). რამდენადაც ნატოს ჩრდილოეთ კორეასთან და ირანთან საზღვრები არ გააჩნია, უნდა ვივარაუდოთ, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები რუსეთიდან მომავალი საფრთხისაგან პრევენციას ისახავდა მიზნად.

მთლიანობაში აშშ-ს გლობალური რეკატსაწინააღმდეგო თავდაცვა ახალი სამი მიმართულების: უმაღლესი სიზუსტის იარაღის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და ბირთვული

იარაღის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ დემოკრატიის ფლაგმანია მსოფლიოში, ის მაინც ძალისმიერ სახელმწიფოდაც რჩება და ყოველთვის შეეცდება ზემოქმედება მოახდინოს მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებზე, ამასთანავე ჰქონდეს სამხედრო უპირატესობა მსხვილ საერთაშორისო აქტორებთან შედარებით.

ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს მისივე კონცეფციით უნდა შემუშავებულიყო „სწრაფი გლობალური დარტყმის პროექტი“ (Promt Global Strike). ეს პროექტი ითვალისწინებდა შექმნილიყო იმგვარი სისტემა, რომელიც შეძლებდა ჩვეულებრივი იარაღით განეხორციელებინათ დარტყმა ნებისმიერ ტერიტორიაზე 4-6 საათის განმავლობაში, რომელსაც ბირთვული დარტყმის ანალოგიური შედეგი ექნებოდა. ობამას ამ კონცეფციით მაქსიმალური პროპაგანდის წარმოება უნდა მომხდარიყო (ან თუნდაც მოლაპარაკებებიც შეიძლებოდა გამართულიყო ბირთვული იარაღის შემცირებაზე იმ მომენტამდე, სანამ რუსეთსა და ჩინეთს, როგორც უმთავრეს მეტოქეების ბირთვული ძალები არ იქნებოდა შეზღუდული იმდენად, რომ „სწრაფი გლობალური დარტყმის“ ძალებით აშშ-ს ექნებოდა სრული უპირატესობა სამხედრო სფეროში.

„სწრაფი გლობალური დარტყმის“ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ეს იქნებოდა შეფარული გამაფრთხილებელი დარტყმა უზუსტესი და ზემძლავრი იარაღით, რომელსაც ერთი საათის მანძილზე აშშ_ს პრეზიდენტის ბრძანებიდან განეხორციელებინა დარტყმა პლანეტის ნებისმიერ ადგილზე (Woolf & Amy, 2013). ამ კონცეფციის ფარგლებში გათვალისწინებული იყო უზუსტესი იარაღის შექმნა. უპირველესი საფრთხე კი რაც მოდის მაღალი სიზუსტის იარაღიდან ისაა, რომ მიზნის მომენტალური დაფიქსირება პრაქტიკულად გამორიცხულია (Мизин).

რუსეთის ფედერაცია ვიდრე რაკეტა „სარმატის“ შესახებ განაცხადებდა, ყოველთვის ამტკიცებდა, რომ უზუსტესი იარაღის სფეროში ის აშშ_ს ჩამორჩებოდა, ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშნელობას ანიჭებდა მირთვულ იარაღს, რომელიც ქმნიდა მთავარ ძალთა ბალანსის ორ სახელმწიფოს შორის. ზოგადად ეს არის დიდ სახელმწიფოთა ბუნებრივი რეფლექსი. მიმდინარეობს ბრძოლა უპირატესობისათვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ არსებობისათვის და ამ ბრძოლაში არის კიდეც საერთაშორისო პოლიტიკის არსი. ამერიკის შეერთებული შტატები თავად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ასრულებს ლიდერის როლს. ევროპა კი, ჩვენი აზრით, ექცევა აშშ-ს არა მარტო სამხედრო-ტექნიკურ, არამედ პოლიტიკურ დამოკიდებულებაშიც და ეს ეხება არა მარტო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას. გავიხსენოთ რა ხდება თუნდაც ახლა უკრაინის ირგვლივ, სადაც მთავარი წინააღმდეგობა ენერგეტიკული რესურსების ჩრდილოეთ ნაკადის ირგვლივ იკვეთება. დაპირისპირებაა მიგრანტთა ტალღის ირგვლივაც.

დღეისათვის ევროკავშირს შეიძლება ითქვას, არ გააჩნია კოლექტიური უსაფრთხოების ერთიანი სისტემა. გარდა ამისა, ზემოთხსენებული უთანხმოებების გამო მხარეებს არ აქვს მკვეთრად გამოკვეთილი საერთო საგარეო პოლიტიკა და პოლიტიკა თავდაცვის სფეროში. ამ ფონზე ნატო ვერ იქცა ყველასათვის მისაღებ მექანიზმად აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზაზე. მითუმეტეს თუ ნატოს ხელმძღვანელობს აშშ. მაგ. გერმანია და საფრანგეთი, ასევე ზოგიერთი სხვა სახელმწიფო ცდილობენ ევროკავშირის უსაფრთხოების სისტემის შექმნას, მაშინ როდესაც პატარა სახელმწიფოები, მაგ. ბალტიისპირეთის ქვეყნები, რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე საკუთარ უსაფრთხოებას ნატოს უკანშირებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ევროპაში აშშ-ს ხელში ესაა ევროპაზე ზემოქმედების მექანიზმიც.

ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, ჩვენი აზრით, აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მხოლოს ერთი კომპონენტია, რომლის მიზანია აშშ-ს ტერიტორიის, მოსახლეობისა და ჯარის დაცვა. აშშ თავის პარტნიორებსა და მოკავშირეებს ნატოში არწმუნებს, რომ ეს სისტემა მათ დასაცავადაა განკუთვნილი, მაგრამ საომარი კონფლიქტის შემთხვევაში ხომ თავად ეს სახელმწიფოები აღმოჩნდებიან უპირველესი დარტყმის ქვეშ. ნებისმიერ შემთხვევაში ყველაზე მძიმე შედეგს ევროპული სახელმწიფოები მიიღებენ და არა აშშ.

დასკვნა

ამრიგად ვფიქრობთ, აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ევროპაში მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ იმიტომაა მიმართული, რომ ლიბერალური რეფორმების კრახის შემდეგ XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთი ევროპისა და აშშ-სათვის იქცა უპირველეს საფრთხედ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა აშშ-სგან იურიდიული გარანტიები იმისა, რომ რთს ევროპაში არ იქნება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული. ასეთი გარანტიები დღემდე არ არსებობს.

რუსეთი არ წყვეტს მეზობლების მიმართ

აგრესიულ ქმედებებს, მას სურს თავისი გავლენების აღდგენა, შესაბამისად ძალზე დაბალია აშშ-სა და რუსეთს შორის კომპრომისის შესაძლებლობა, რაც ზიანს აყენებს ორმხრივ ურთიერთობებს.

მეორეც, აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის ისტორიიდან ჩანს, რომ აშშ ზრდიდა დაგეგმილი სისტემის მოცულობას რთსის ერთი პოზიციური რაიონიდან „სეიფგარდით" დაწყებული სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე განლაგებით დამთავრებული. ასევე ხდებოდა აშშ-ს რთსის განლაგება მესამე პოზიციურ რაიონში, რომელიც სცდებოდა აშშ-ს საზღვრებს. ყოველივე ეს კი ხდებოდა არა მარტო სამხედრო ტექნოლოგიების გაუმჯობესების კვალდაკვალ, არამედ რაც მთავარია საფრთხის მატების პარალელურად, რომელიც უმთავრესად რუსეთიდან მოდიოდა. ეს იყო და არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც უშუალოდ უსაფრთხოების პრობლემებს უკავშირდება.

მესამეც, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის აშშ-ში მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით აქვთ განსხვავებული პოზიცია, საგარეო უსაფრთხოების საკითხებში ისინი აბსოლუტურად შეჯერებული პოზიციით მოქმედებენ, ამიტომ უსაფრთხოების კომპონენტში ევროპაში აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ფორმირების საკითხში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელი პარტიის კანდიდატი იქნება აშშ-ის პრეზიდენტი.

მეოთხეც, თავად ევროპისათვის, პირველ რიგში, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების განლაგება იწვევს მათ მუდმივ დაპირისპირებას რუსეთთან, რითაც თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის იყენებს აშშ, მაგრამ თავად აღმოსავლეთ ევროპელებს რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნას, აშშ-ს გავლენა ურჩევნიათ, არა მარტო იმიტომ, რომ ამ ქვეყნებს რუსეთთან ურთიერთობის მწარე გამოცდილება აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ რუსეთი დღეისათვის არაა მიმზიდველი სახელმწიფო, დასავლეთს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოწინავე ტექნოლოგიებით და რაც მთავარია დემოკრატიული ღირებულებებით.

მეხუთეც, მიგვაჩნია, რომ როგორი ფორმითაც უნდა იყოს განლაგებული ევროპაში აშშ-ს გლობალური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, მისი მიზანია დასავლეთის დაცვა მოსალოდნელი სარაკეტო დარტყმისაგან, მაგრამ იმავდროულად აშშ-ს სურს გლობალური სტრატეგიული ჰეგემონიის უზრუნველყოფა, რაც იწვევს კიდეც მნიშვნელოვან საერთაშორისო დაძაბულობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Романец И., Третий позиционный район ПРО США, предназначение – мнимое и реальное, Зарубежное военное обозрение. №7. 2007.
2. კოპალიანი კ., კვეტენაძე ზ., „2007 წლის მიუნხენის კონფერენცია და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები", შრომები, სტუ, თბ., 2021.
3. Кубышкин А., Степанов В., Обзорный доклад министерства обороны США по программе ПРО, ФГУП «Институт стратегической стабильности», 2010.
4. НАТО завершила первуюфазу создания системы ЕвроПРО, Деловой Петербургб http://www.dp.ru/a/2012/05/21/NATO_zavershila_pervuju_faz/
5. Amaani L., U.S. Bolstering Missile Defense, http://www.defense.gov/news/newsarticle.aspx?id=119543;
6. DOD News Briefing on Missile Defense from the Pentagon, http://www.defense.gov/transcripts/transcript.aspx?transcriptid=5205
7. Quadrennial defense review 2014. http://www.defense.gov/pubs/2014_Quadrennial_Defense_Review.pdf
8. DOD News Briefing on Missile Defense from the Pentagon, http://www.defense.gov/transcripts/transcript.aspx?transcriptid=5205
9. Making Sense of Ballistic Missile Defense: An Assessment of Concepts and Systems for U.S. Boost-Phase Missile Defense in Comparison to Other Alternatives Committee. THE NATIONAL ACADEMIES PRESS. Washington, 2015.
10. Rasmussen Anders Fogh. NATO's New Frontier, http://www.projectsyndicate.org/commentary/anders-fogh-rasmussen-presents-the-benefits-of-creating-a-european-missile-defense-system)
11. Woolf., Amy F., Conventional Prompt Global Strike and Long-Range Ballistic Missiles: Background and Issues. Congressional Research Service. April, 26, 2013. http://www.fas.org/sgp/crs/nuke/R41464.pdf

12. Мизин В., Военные угрозы – иллюзия или реальность, http://www.mgimo.ru/news/experts/document187883.phtml

The military-political concept of the United States of America in the process of gradual adaptation to Europe

Kakha Tabatadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

In 2001, after the arrival of US President George Bush Jr., the concept of deploying US anti-missile defense systems on the territory of European countries was announced, in addition to the new concept of the anti-missile defense system in general. Its main essence was as follows: well-echeloned systems should be created, which would be designed to shoot down ballistic missiles on non-nuclear means in all the initial, middle and final trajectories of the flight trajectory.

In January 2006, the administration of George W. Bush announced the deployment of the anti-missile defense system in the third position area, on the territory of Eastern Europe, until 2013.

In a third positional area, the US was considering deploying 10 advanced anti-missile systems in Poland and a multi-purpose radio location station in the Czech Republic. 2007 In the period of June-July, the USA conducted negotiations with Poland and the Czech Republic. This is the period when Russia's position on the new world order is finally certain. The point is that in 2007 On February 10, at the Munich conference, the President of the Russian Federation, Vladimir Putin, strongly criticized the existence of a unipolar world and loudly announced his ambitions. At the Munich conference, there was an immanent outlining of the civilizational, mental confrontation, which pushed the world's leading states to a new confrontation.

NATO missile defense, in our opinion, is only one component of the US missile defense, the purpose of which is to protect US territory, population and troops. The US assures its partners and allies in NATO that this system is intended to protect them, but in the event of a military conflict, these states themselves will be the first to be hit. In any case, the European states will receive the most severe consequences, not the USA. The US anti-missile system in Europe is directed against Russia, but it is directed because after the collapse of liberal reforms in the 90s of the 20th century, Russia became the primary threat to Europe and the USA. The Ministry of Foreign Affairs of Russia requested legal guarantees from the USA that RTS in Europe will not be directed against Russia. There are no such guarantees to date.

სივრცით-ტერიტორიული ფაქტორების გავლენა ევრაზიულ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებზე

ჯონი ტატუნაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

რეგიონული ინტეგრაციის პროცესთა ანალიზში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ტერიტორიის მიხედვით რესურსული და ფინანსური პოტენციალების განაწილების შესწავლას. ინტეგრაციული პროცესის მონაწილეთა შორის რესურსული და ფინანსური პოტენციალის შედარებით თანაბარი განაწილების შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მოცემულ რეგიონში მაღალი ინტეგრაციული პოტენციალის შესახებ, ვინაიდან მონაწილე ქვეყნები ერთმანეთს როგორც თანაბარ პარტნიორებს აღიქვამენ. ინტეგრაციის მონაწილეთა ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება კი შესაძლებელია ურთიერთქმედების პროცესის შენელების ფაქტორად იქცეს, ვინაიდან ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა შეიძლება სრულიად გასაგები შიში გამოავლინონ თავისი სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და თავისი უფრო ძლიერი პარტნიორებისგან დამოკიდებულებაში ჩავარდნის შიშთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, ევრაზიული რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია მსოფლიოში განუახლებელი ბუნებრივი რესურსების მარაგთა რაოდენობის მიხედვით. რეგიონს გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მსოფლიო მიწათა ფართობის 11%, რომლებიც უპირატესად ყაზახეთისა (ქვეყნის მთელი ტერიტორიის 8,9%) და რუსეთის (ტერიტორიის 7,4%) ტერიტორიაზეა განლაგებული.

რეგიონის ქვეყნებში ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 4%, მაგრამ აქვე იმყოფება ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგთა 31%, ნავთობის 17%, რკინის 23%, ოქროს 14%, სპილენძის 7%.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევრაზიული რეგიონის ერთ-ერთი პრობლემა ქვეყნების მიხედვით ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის არათანაბარ განაწილებაში მდგომარეობს. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევრაზიული ინტეგრაციის განვითარებისათვის, ვინაიდან მონაწილეთა თანაბრობა როგორც რეგიონულ და გლობალურ დონეებზე პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის კუთხით, ისე ფიზიკური ზომების თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ეს თეზისი დადასტურებულ იქნა რ. გრინბერგის მიერ „დიდი ქვეყანა: ინტეგრაციული პროცესების პერსპექტივები პოსტსაბჭოთა სივრცეში „ევრაზიული კავშირის“ ფარგლებში“ მრგვალი მაგიდის ფარგლებში გამართული დისკუსიის მსვლელობისას. მან აღნიშნა, რომ დღესდღეობით მსოფლიოში აღარ არსებობს ისეთი ინტეგრაციული გაერთიანებები, სადაც ეკონომიკის 2/3-ზე მეტი ერთ მონაწილეზე მოდის.

დაკავებული ტერიტორიის ფართობის მიხედვით რუსეთი 3-ჯერ აღემატება ევრაზიული რეგიონის ყველა ქვეყანას ერთად აღებულს, იკავებს რა რეგიონის ტერიტორიის 76%-ს.

შესავალი

რეგიონული ინტეგრაციის პროცესთა ანალიზში დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ტერიტორიის მიხედვით რესურსული და ფინანსური პოტენციალების განაწილების შესწავ-ლას. ინტეგრაციული პროცესის მონაწილეთა შორის რესურსული და ფინანსური პოტენციალის შედარებით თანაბარი განაწილების შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მოცემულ რეგიონში მაღალი ინტეგრაციული პოტენციალის შესახებ, ვინაიდან მონაწილე ქვეყნები ერთმანეთს როგორც თანაბარ პარტნიორებს აღიქვამენ. ინტეგრაციის მონაწილეთა ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება კი შესაძლებელია ურთიერთქმედების პროცესის შენელების ფაქტორად იქცეს, ვინაიდან ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა შეიძლება სრულიად გასაგები შიში გამოავლინონ თავისი სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და თავისი უფრო ძლიერი პარტნიორებისგან დამოკიდებულებაში ჩავარდნის შიშთან მიმართებით.

ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო-პოლიტიკურ ექსპერტთა შეფასებით, ევრაზიული რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია მსოფლიოში განუახლებელი ბუნებრივი რესურსების მარაგთა რაოდენობის მიხედვით (Gill, 2014, გვ. 204). რეგიონს გააჩნია

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მსოფლიო მიწათა ფართობის 11%, რომლებიც უპირატესად ყაზახეთისა (ქვეყნის მთელი ტერიტორიის 8,9%) და რუსეთის (ტერიტორიის 7,4%) ტერიტორიაზეა განლაგებული.

რეგიონის ქვეყნებში ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 4%, მაგრამ აქვე იმყოფება ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგთა 31%, ნავთობის 17%, რკინის 23%, ოქროს 14%, სპილენძის 7% (Gill, 2014, გვ. 205).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევრაზიული რეგიონის ერთ-ერთი პრობლემა ქვეყნების მიხედვით ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის არათანაბარ განაწილებაში მდგომარეობს. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევრაზიული ინტეგრაციის განვითარებისათვის, ვინაიდან მონაწილეთა თანაბრობა როგორც რეგიონულ და გლობალურ დონეებზე პოლიტიკურ-ეკონომიკური გაგვლენის კუთხით, ისე ფიზიკური ზომების თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ეს თეზისი დადასტურებულ იქნა რ. გრინბერგის მიერ „დიდი ქვეყანა: ინტეგრაციული პროცესების პერსპექტივები პოსტსაბჭოთა სივრცეში „ევრაზიული კავშირის“ ფარგლებში“ მრგვალი მაგიდის ფარგლებში გამართული დისკუსიის მსვლელობისას. მან აღნიშნა, რომ დღესდღეობით მსოფლიოში აღარ არსებობს ისეთი ინტეგრაციული გაერთიანებები, სადაც ეკონომიკის 2/3-ზე მეტი ერთ მონაწილეზე მოდის (Евгений Примаков назвал условия для успеха Евразийского союза,).

დაკავებული ტერიტორიის ფართობის მიხედვით რუსეთი 3-ჯერ აღემატება ევრაზიული რეგიონის ყველა ქვეყანას ერთად აღებულს, იკავებს რა რეგიონის ტერიტორიის 76%-ს.

ამრიგად, უზარმაზარი, რესურსებით მდიდარი რუსეთის ტერიტორია, ქვეყნის პოლიტიკური გავლენა მსოფლიო არენაზე და მისი ეკონომიკური პოტენციალი ევრაზიულ რეგიონში გეოპოლიტიკური ასიმეტრიის წარმოქმნის მიზეზად იქცევა. ეს, თავის მხრივ, ინტეგრაციული პროცესების სხვა მონაწილეთა სრულიად დასაბუთებულ შიშებს იწვევს, ვინაიდან ევრაზიული ინტეგრაციის პროექტებში მონაწილეობა არა მარტო ორმხრივად ხელსაყრელ ურთიერთ-ქმედებას გულისხმობს, არამედ ასევე თანასწორუფლებიან ურთიერთობებს მის ყველა მონაწილეს შორის, მათი ტერიტორიის ზომისგან, ეკონომიკური განვითარების, სამხედრო სიმძლავრისა თუ სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა, რუსეთთან ურთიერთობის გამოცდილებაც და მისი იმპერიალისტური ზრახვების გაძლიერებაც დამაფიქრებელიარეგიონისსახელმწიფოებისათვის. ამისათვის ახლახან მიმდინარე უკრაინის ომიც კმარა.

დღესდღეობით მაღალტექნოლოგიური გადამამუშავებელი მრეწველობა საკმაოდ მცირე წილს შეადგენს ევრაზიული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკებში. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკების ყველაზე განვითარებული სექტორია მოპოვებითი მრეწველობა, პირველ რიგში, ენერგომატარებელთა და ნედლეულის მოპოვების სფეროში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ევრაზიულ რეგიონს აქვს განუახლებელი ბუნებრივი რესურსების: ბუნებრივი აირის, ნავთობის, რკინის, ოქროს, სპილენძის უმდიდრესი მარაგი(Gill, 2014, გვ. 105).

ევრაზიული რეგიონის ზოგიერთ სახელმწიფოში ენერგორესურსების დიდი მარაგების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი ეკონომიკების განვითარებაზე. ქვეყნების ენერგეტიკული და სანედლეულო პოტენციალის მაღალი მაჩვენებლები ეკონომიკის საექსპორტო ორიენტირებულობას განაპირო-ბებენ, ამასთან, გარდა თავად ნედლეულის ექსპორტისა, სახელმწიფო ასევე ენერგორესურსებზე დაწესებული საექსპორტო გადასახადისგანაც იღებს შემოსავალს. აღსანიშნავია, რომ ენერგორესურსების სიმდიდრე არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაზე ახდენს გავლენას, არამედ მის ქცევაზეც რეგიონული ინტეგრაციის პროცესში: ბუნებრივი რესურსების არსებობა უფრო განკერძოებული საგარეო პოლიტიკის წარმართვის, ან ინტეგრაციის პირობებზე საკუთარი ინტერესების შესაბამისად გავლენის მოხდენის საშუალებას იძლევა.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ევრაზიულ რეგიონში და მთლიანად მსოფლიოში შექმნილი პირობების გათვალისწინებით, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ახლო მომავალში რეგიონის სახელმწიფოები შეიძლება მომდევნო განვითარების გზის არჩევის წინაშე დადგნენ. ამ შემთხვევაში, მდიდარი რესურსული პოტენციალი სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ დისტანცია და მოერიდონ სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას (Лукьянов, 2014, გვ. 8). ეს გარემოება, და ასევე მსოფლიოში ძალთა სხვა ცენტრებთან კავშირები, რომლებიც რეგიონის ფარგლებს სცდება, ამ სახელმწიფოებს უფრო დამოუკიდებელს ხდის საგარეოპოლიტიკურ ქმედებებში.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ევრაზიული რეგიონის ქვეყნები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სამი ძირითადი ენერგომატარებლის – ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ნახშირის მარაგებისა და მოპოვების მოცულობების მიხედვით. რესურსებით მდიდარ ქვეყნებს შორის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ რუსეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი. ეს ქვეყნები – ენერგომატარებელთა ექსპორტიორები არიან, მათი ეკონომიკები მშპ-ში მიმართ ენერგომატარებელთა ექსპორტის მნიშვნელოვანი წილით გამოირჩევა.

რუსეთი ლიდერის პოზიციებს იკავებს რეგიონში ყველა ძირითადი ბუნებრივი რესურსის მარაგთა მიხედვით: ნავთობის მსოფლიო მარაგთა 6,1% (BP Statistical Review of World Energy, June 2015. P. 6) (0,6%-ით მეტი, ვიდრე 2014 წლის ანალოგიური მონაცემების მიხედვით (BP Statistical Review of World Energy, June 2015. P. 48); იგი შეიძლება შევადაროთ არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და ქუვეიტის მარაგებთან), ბუნებრივი აირის 17,4% (ასევე 0,6%-ით მეტია 2014 წელთან შედარებით; შეიძლება შევადაროთ ირანის მარაგებთან) და ნახშირის 17,6% (1,3-ჯერ აღემატება ჩინეთის მარაგებს, მაგრამ 1,5-ჯერ ჩამორჩება აშშ-ს) (BP Statistical Review of World Energy, June 2015. pp. 20, 30). ნავთობისა და გაზის მაჩვენებელთა მნიშვნელობების ზრდა 2014 წელს ნახშირწყალბადების ახალი საბადოების გახსნასთან იყო დაკავშირებული (Геологи открыли в России 33 месторождения нефти и газа).

ამასთან, რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვება ნავთობის მსოფლიო მოპოვების 12,7% (534,1 მლნ ტონა, 0,6%-ით მეტი, ვიდრე 2014 წელს), გაზის 16,7% (578,7 მლრდ. კუბ. მეტრი, 4,3%-ით ნაკლები, ვიდრე 2014 წელს) და ნახშირის 4,3% (170,9 მლნ ტონა ნავთობის ექვივალენტში, 1,2%-ით მეტი, ვიდრე 2016 წელს).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის ზომები, გეოპოლიტიკური მდებარეობა და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი გეოპოლიტიკურ ასიმეტრიას ქმნიან ევრაზიის რეგიონში. რუსეთ-შია განლაგებული პოსტსაბჭოთა სივრცის ენერგორესურსების მარაგთა უმეტესობა: ნავთობის 70%, გაზის 59% და ნახშირის 68%.

ნავთობის არა იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც რუსეთს, მაგრამ მაინც საკმარისი მარაგები (100 მლნ ტონა, მსოფლიო მარაგის 0,03%) აქვს თურქმენეთს. ამასთან, თურქმენეთის ტერიტორიაზე რუსეთის შემდეგ ბუნებრივი აირის ყველაზე დიდი მარაგები იმყოფება (17,5 ტრლნ კუბ. მეტრი, მსოფლიო მარაგების 9,4%), თურქმენეთი ამ ენერგორესურსის მსხვილი ექსპორტიორია (ექსპორტის მსოფლიო მოცულობის 4,4%), რაც ხელსაყრელ პოზიციას უქმნის ამ ქვეყანას ევრაზიული რეგიონის სხვა სახელმწიფოებს შორის.

თურქმენეთის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი ინვესტიციური ჩაკეტილობა: რესურსების მოპოვებით მრეწველობაში უცხოურ ინვესტორებს მხოლოდ მოპოვების რთული პირობების მქონე საბადოებთან ეძლევათ წვდომის საშუალება (Вардомский, 2012, с. 316). ამრიგად, თურქმენეთი ჩაკეტილობის პოლიტიკას ატარებს, იკავებს რა ეკონომიკური განკერძოებულობის პოზიციას.

რაც შეეხება ყაზახეთს, მის წილად ნავთობის მსოფლიო მარაგის 1,8%, ბუნებრივი აირის 0,8% და ნახშირის 3,8% მოდის (BP Statistical Review of World Energy, June 2015. P.30). ყაზახეთის ნავთობის მოპოვებითი მრეწველობა უზრუნველყოფს ნავთობის მსოფლიო მოპოვების 2%, გაზის 0,5% და ნახშირის 1,5% (BP Statistical Review of World Energy, June 2015. P.30). 2013 წელს ნახშირის ექსპორტმა მსოფლიო მოცულობის 2,5% შეადგინა (32 მლნ ტონა) (Key World Energy Statistics 2014. P. 15).

2000-იანი წლების პირველ ნახევარში ყაზახეთის სწრაფი ეკონომიკური ზრდა აღინიშნა, რაც ნავთობმოპოვებითი მრეწველობის აქტიური განვითარების ხარჯზე მოხდა. ენერგორესურსების მაღალი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ყაზახეთის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში რიგი ტრანსფორმაციები განხორციელდა: შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის წილი, რომელიც ნაწილობრივ სამრეწველო წარმოებით, მოპოვებითი მრეწველობითა და მომსახურების სფეროთი იქნა ჩანაცვლებული. ექსპერტთა მიერ ასევე აღინიშნება რეგიონების ჰიპერსპეციალიზაციის ტენდენცია დარგების მიხედვით, რომელმაც ენერგორესურსების გლობალურ ბაზარში ინტეგრაციის ხარჯზე უზრუნველყო ლიდერის პოზიციების მოპოვება იმ რეგიონებისთვის, რომლებიც ენერგორესურსების მოპოვებაზე არიან ორიენტირებული (Основные торговые партнеры Казахстана).

უნდა აღინიშნოს ყაზახეთის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი თავისებურებაც: სავაჭრო პარტნიორთაგან დამოკიდებულებით, ქვეყანა ერთდროულად როგორც ენერგორესურსების ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი გამოდის. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საბაჟო კავშირის ფარგლებში ყაზახეთი იმპორტიორის როლი ეკუთნის, ხოლო მესამე ქვეყნებთან ენერგორესურსებით

ვაჭრობის შემთხვევაში, ყაზახეთი ექსპორტიორის როლში გვევლინება (Энергетическая политика Казахстана). ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მესამე ქვეყნებთან ვაჭრობა, ჯერ ერთი, მეტ თავისუფლებას ანიჭებს ქვეყანას ფასწარმოქმნაში, მეორე, ექსპორტიორი ქვეყანა საექსპორტო ბაჟს იღებს, რომელიც ექსპორტირებული რესურსისგან იქნება გადახდილი.

ამრიგად, ყაზახეთი მნიშვნელოვანი აქტორია ევრაზიულ რეგიონში ენერგორესურსული პოტენციალის თვალსაზრისით, რაც, ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში მისი წევრობის გათვალისწინებით, ქვეყანას ევრაზიული ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ წამყვან მონაწილედ ხდის.

აზერბაიჯანზე ნავთობის მსოფლიო მარაგების 0,4% და ბუნებრივი აირის მარაგების 0,5% მოდის. აზერბაიჯანის ნავთობაირმოპოვებით მრეწველობაზე ნავთობის მოპოვების 1,1% და გაზის 0,5% მოდის (Key World Energy Statistics 2014. 2014. P11). საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აზერბაიჯანს განვითარებული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ჰქონდა. წამყვანი დარგები იყო ნავთობის ინდუსტრია, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო). არც აზერბაიჯანის ეკონომიკა არ გახდა გამონაკლისი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, განიცადა რა მკვეთრი დაცემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარი რიგი მოვლენების გამანადგურებელი ზემოქმედების გამო.

აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდისა და ხანგრძლივი კრიზისიდან მისი გამოსვლის იმპულსი ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებათა ზრდამ მისცა, კონკრეტულად კი ნავთობმოპოვებით დარგში 2000-იანი წლების დასაწყისში განხორციელებულმა მასშტაბურმა უცხოურმა ინვესტიციებმა, რომლებმაც სტიმული მისცა ნახშირწყალბადების საბადოების ათვისებას, ასევე ინფრასტრუქტურის მშენებლობას მათი მოპოვებისა და ტრანსპორტირებისათვის, განაპირობეს რა „ეკონომიკური ბუმი“ და გადაქციეს რა აზერბაიჯანი მსოფლიო ლიდერად ეკონომიკის ზრდის ტემპების მიხედვით 2000-იანი წლების შუაგულში (Вардомский, 2012, с. 174).

აზერბაიჯანის ნახშირწყალბადების ექსპორტის ნახევარზე მეტი ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის, ამასთან აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აქტიურად ცდილობს ენერგომატარებელთა მიწოდების გეოგრაფიის გაფართოებასა და მოცულობების ზრდას. ასე მაგალითად, 2011 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება თურქეთთან თურქეთის მიწებზე გამავალი ტრანსანატოლიური გაზსადენის მშენებლობის შესახებ ევროკავშირში გაზის მისაწოდებლად (Шабельникова, 2014, с. 354).

დღეისათვის აზერბაიჯანი, ნავთობაირის საბადოების ათვისებისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, დასავლეთის მიმართულებით ნახშირწყალბადის რესურსების ტრანსპორტირების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევრაზიული რეგიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ძალთა განლაგებაში (Баймурзаева, 2014, с. 145). ამავე დროს, აზერბაიჯანის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნავთობის ფასებისგან, ეს კი ქმნის სტაბილურობის შესაძლო დაკარგვის ხიფათს საგარეო ფაქტორების ზემოქმედებისას. პრობლემის გადაჭრა ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და მისი ადაპტაციის მეშვეობით არის შესაძლებელი სხვა, ნახშირწყალბადებისგან დამოუკიდებელი სფეროების, მაგალითად, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების გზით.

ევრაზიული რეგიონის ქვეყნებს შორის ნავთობის (მსოფლიო მარაგის 0,03%) და აირის მარაგები (0,6%) ასევე აქვს უზბეკეთს, მაგრამ, ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებთან შედარებით, ამ მარაგებს მნიშნელოვანს ვერ ვუწოდებთ.

დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული ქვეყნები ევრაზიის რეგიონში ბუნებრივი რესურსების ძირითადი მფლობელები და მომპოვებლები არიან, რაც მათ სხვა სახელმწიფოებისგან გამოყოფს და უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმართვის საშუალებას აძლევს. ევრაზიის რეგიონის დანარჩენი ქვეყნები არ არიან მდიდარი ენერგორესურსებით, რაც მათ დამოუკიდებლად ხდის რიგი სანედლეულო ფაქტორისგან: ნედლეულის იმპორ-ტის ფასებისგან, ნედლეულის მიწოდების შესაძლებლობებისგან და ა.შ.

ნახშირის მარაგებით ევრაზიის რეგიონის სახელმწიფოებს შორის ასევე გამოვყოფთ უკრაინას, რომელსაც 2014 წლის კრიზისამდე ამ ენერგორესურსის მსოფლიო მარაგის 3,8% ჰქონდა, რაც შეიძლება შევადაროთ ყაზახეთის ანალოგიურ მაჩვენებელთან. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ნახშირი ყველაზე ეფექტიანი ენერგომატარებელია მიღებული ენერგიისა და მოსაპოვებლად გახარჯული ენერგიის შეფარდების თვალსაზრისით, ყველაზე მოთხოვნადი მსოფლიოში და უნივერსალური კვლავაც ნავთობი და გაზი რჩება (Соколов, 2011, с. 147). ამასთან დაკავშირებით, და ასევე გაზის იმპორტისგან

უკრაინის მაღალი დამოკიდებულების გათვალისწინებით, ამ ქვეყანას არ შეიძლება ეწოდოს ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანა. ამჟამად კი უკრაინაში კატასტროფული ვითარებაა, ქვეყანა სრულმასშტაბიან ომშია ჩართული რუსეთთან და განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ის, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს დონბასის უდიდესი ნაწილი, სადაც ბუნებრივი რესურსების უმთავრესი წყაროებია მოქცეული.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ენერგომატარებელთა პოტენციური მარაგი, მაგრამ ამჟამად, ამა თუ იმ მიზეზთა გამო, არა აქვთ მათი გამოყენების შესაძლებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gill I. Diversified Development: Making the Most of Natural Resources in Eurasia. 2014.
2. Евгений Примаков назвал условия для успеха Евразийского союза, ООО «Айньюс». http://izvestia.ru/news/507752
3. Лукьянов Ф. А. Конец многовекторности, Российская газета. 2014. №6396.
4. BP Statistical Review of World Energy, June 2015.
5. BP Statistical Review of World Energy, June 2014.
6. Геологи открыли в России 33 месторождения нефти и газа, http://mir24.tv/news/economy/11864686
7. Вардомский Л. Б. Социально–экономическое развитие постсоветских стран: итоги двадцатилетия: монография.М., 2012.
8. Key World Energy Statistics 2014. 2014.
9. Основные торговые партнеры Казахстана, Webeconomy.ru http://www.webeconomy.ru/index.php?page=cat&newsid=1485&type=news
10. Энергетическая политика Казахстана и Таможенный союз, Информационно– аналитический портал www.polit–asia.kz/latest–news/148–energeticheskaya–politika– kazakhstana–i–tamozhennyj–soyuz
11. Вардомский Л. Б., Социально–экономическое развитие постсоветских стран: итоги двадцатилетия: монография.М., 2012.
12. Шабельникова О. В., Сотрудничество Азербайджанской Республики и Европейского союза в рамках программы «Восточное партнерство», Каспийский регион: политика, экономика, культура. 2014. № 2 (39).
13. Баймурзаева Ш. Б., Особенности государственности Южнокавказских республик (на примере Азербайджана), Власть. №1, 2014.
14. Соколов А. Н., Эффективность энергоресурсов и смена технологических укладов, Электронный научный журнал «Нефтегазовое дело, №5. 2011. http://www.ogbus.ru

Influence of spatial-territorial factors on Eurasian regional integration processes

Joni Tatunashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

In the analysis of regional integration processes, it is of great importance to study the distribution of resource and financial potentials according to the territory of the region. In the case of a relatively equal distribution of resources and financial potential among the participants of the integration process, one can talk about a high integration potential in the given region, since the participating countries perceive each other as equal partners. The significant difference in the levels of economic development of the integration participants can become a factor of slowing down the interaction process, since economically less developed countries may show a completely understandable fear of maintaining their sovereignty and falling into dependence on their more powerful partners.

According to experts, the Eurasian region is one of the richest in the world in terms of the number of non-renewable natural resources. The region has 11% of the world's agricultural lands, which are mainly located on the territory of Kazakhstan (8.9% of the country's entire territory) and Russia (7.4% of the territory).

Only 4% of the world's population lives in the countries of the region, but 31% of the world's natural gas reserves, 17% of oil, 23% of iron, 14% of gold, 7% of copper are located here.

It is worth noting the fact that one of the problems of the Eurasian region lies in the unequal distribution of natural resource potential according to the countries. This difference is of great importance for the development of Eurasian integration, since the equality of participants both in terms of political-economic influence at the regional and global levels and in terms of physical dimensions is a very important condition. This thesis was confirmed by R. Greenberg during the round table discussion "Big country: perspectives of integration processes in the post-Soviet space within the framework of the Eurasian Union". He noted that today there are no such integrative unions in the world where more than 2/3 of the economy comes to one participant.

According to the area of occupied territory, Russia is 3 times larger than all the countries of the Eurasian region taken together, occupying 76% of the territory of the region.

გეოპოლიტიკური სამკუთხედი აშშ-რუსეთი-ირანი ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში

როლანდ ძნელაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

აშშ - რუსეთის ურთიერთობებს უკვე კარგა ხანია გლობალური განზომილება აქვს. აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობებზე კაცობრიობის ბედია დამოკიდებული. იყო დრო, როცა ეს ორი სახელმწიფო ერთად ებრძოდა გარეშე მტერს. იყო მეტ - ნაკლებად მშვიდობიანი პერიოდებიც, ამჟამად კი ეს ორი სახელმწიფო უკიდურესადაა დაპირისპირებული ერთმანეთთან, რადგან უკრაინაში გაჩაღებული ომის შემდეგ ორ ბირთვულ სახელმწიფოს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

აშშ - რუსეთის ურთიერთობებში ერთ - ერთი საკვანძო რეგიონი ახლო აღმოსავლეთია, სადაც სხვა დიდ გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა ინტერესებიც იკვეთება, მაგალითად როგორებიცაა ირანი, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და ა.შ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კარგა ხნის მანძილზე აშშ-ს ყველა მათგანთან შედარებით უპირატესობა გააჩნდა.

აშშ - რუსეთს შორის წინააღმდეგობის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ირანი. ირანი უდავოდ ჩამორჩება თავისი ძალით საერთაშორისო ურთიერთობების გლობალურ აქტორებს, მაგრამ ეს სახელმწიფო ფლობს ჯერ კიდევ ნაკლებად რეალიზებულ შინაგან ცივილიზაციურ პოტენციალს, რაც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იგი, როგორც რეგიონული დონის „ძალის პოლუსი“.

რუსეთის, აშშ-სა და ირანის ურთიერთობების რეგიონულ დონეზე დაიწყო 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ, როდესაც აშშ-ს პოზიციები ამ სახელმწიფოში ფაქტობრივად დაიმსხვრა და ირანმა დაიწყო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე ირანის საგარეო პოლიტიკა არ გამოირჩეოდა ანტაგონიზმით არც აშშ-სა და არც საბჭოთა კავშირის მიმართ, დროთა განმავლობაში იგი მაინც ჩამოყალიბდა მესამე „ძალის პოლუსად“. ირანისა და რუსეთის მნიშვნელოვან დაახლოებას ხელი შეუწყო 2001 წ. მოსკოვში ირანის პრეზიდენტის მოჰამედ ხათამის ვიზიტმა. ამ ვიზიტის შემდეგ რუსეთსა და ირანს შორის ორმხრივი ურთიერთობები გაღრმავდა. სამაგიეროდ ირანთან დაძაბულ ურთიერთობას დღემდე ინარჩუნებს აშშ, რომლის ინტერესებს კარდინალურად ეწინააღმდეგება ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ირანი.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში პოლუსების სხვადასხვა მოდელთა ურთიერთობების შესახებ, როგორც წესი გლობალური მასშტაბით საუბრობენ. მოცემულ კვლევაში აშშ-ს, რუსეთისა და ირანის ურთიერთობებს ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში განვიხილავთ რეგიონული ურთიერთობების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლე მიმოხილვით შევეხოთ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და მსოფლიო პოლიტიკის რიგ საკითხებს აღნიშნულ კონტექსტში.

კაცობრიობამ არაერთხელ გამოსცადა ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი და მრავალპოლუსიანი სისტემების არსებობა. მართალია ადრეულ ისტორიულ ეპოქებში ამგვარი ტერმინოლოგია არ არსებობდა, მაგრამ რეალურად ამგვარ ვითარებასთან გვქონდა საქმე. დღეისათვის კი უკრაინაში გაჩაღებული ცივილიზაციური დაპირისპირების ფონზე აშკარად იკვეთება მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირების კონტურები.

ძირითადი ნაწილი

„პოლუსი“ ლათინური სიტყვაა და ხაზებისა და სიბრტყეთა გადაკვეთის წერტილს ნიშნავს. ამგვარი გაგების ექსტრაპოლაცია ხდება მსოფლიო პოლიტიკის სივრცეში. სწორედ მისი მეშვეობით მსოფლიო წესრიგი განიხილება, როგორც „ერთპოლარული“, „ბიპოლარული“, „მრავალპოლარული“ ან კიდევ, როგორც „სამპოლუსიანი“. ერთპოლარულ სისტემაში „ძალის ერთადერთ პოლუსად“ გვევლინება ან ჰეგემონი, ან ფედერალური წარმონაქმნი. ჰეგემონი საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების წესებს ამკვიდრებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დომინირების სახით. „ძალის ერთი პოლუსი აკონტროლებს სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთქმედებას და ხელს უშლის მათ მცდელობას მოიპოვონ დამოუკიდებლობა ან ავტონომია. ორპოლარული სისტემისათვის დამახასიათებელია ძალის ორი პოლუსის დომინირება, სადაც თითოეული მათგანი ცდილობს გაანადგუროს მეორე მხარე დესტაბილიზაციის ან ომის მეშვეობით. ორივე „პოლუსი“ მუდმივად ესწრაფვის

საკუთარი გავლენის სფეროში მოაქციოს ახალი წევრები და ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგის გაფართოებას (Rourke, 2002, გვ. 98).

სამპოლუსიანი მოდელისათვის დამახასიათებელია მაქსიმალურად დააღწიოს თავი დანარჩენ ოს პოლუსთან მტრულ ურთიერთობებს და ამით ხელი შეუშალოს მათ მჭიდროდ დაკავშირებას. ამ მცდელობებს შორის მოიაზრება ერთ-ერთ მათგანთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაც (Rourke, 2002, გვ. 125).

მრავალპოლარული სისტემისათვის დამახასიათებელია ოთხი და მეტი „ძალის პოლუსის" დომინირება, რომლებიც ცდილობენ არ დაუშვან ალიანსისა თუ გაერთიანების შექმნა სისტემის სხვა ელემენტებს შორის და ამგვარად მოიპოვონ ჰეგემონობა. აღნიშნული სისტემის უმთავრესი პრინციპია ძალთა ბალანსი. თითოეული „პოლუსი" ცდილობს მინიმალურ დონეზე დაიყვანოს სხვა პოლუსის გავლენა პოლიტიკური საშუალებებით და თუ ეს არაეფექტურია სამხედრო საშუალებებითაც. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ არავინ არ ცდილობს გაანადგუროს სისტემის რომელიმე ელემენტთაგანი, რადგან ის გამოიწვევს ძალთა ბალანსის დარღვევას (აბაშიძე, 2009, გვ. 129).

საერთაშორისო პოლიტიკურ მკვლევართა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ „ძალის პოლუსთა" რაოდენობა რამდენად ახდენს გავლენას სისტემის მიდრეკილებაზე ომის თუ დესტაბილიზაციის მიმართ. ერთნი ფიქრობენ, რომ ერთპოლარული და სამპოლარული მოდელები ნაკლებად არიან მიდრეკილნი ომისაკენ, მაშინ როდესაც ორპოლარულ სისტემაში ამგვარი საფრთხე ნამდვილად არსებობს. იმავდროულად „ძალის პოლუსები" ცდილობენ დააბალანსონ ერთმანეთი. ომისაკენ ყველაზე მიდრეკილ სისტემად მოიაზრება მრავალპოლარული სისტემა, რამდენადაც „ძალათა პოლუსებს" შორის ურთიერთობები ხასიათდება უკიდურესი არასტაბილურობით.

„პოლუსები" ხშირად ძალთა არათანაფარდობით გამოირჩევიან, რაც უარყოფითად აისახება საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირებაზე, თუმცა იმავდროულად ერთიანი პოზიცია იმის შესახებ, თუ ეს ფაქტორი რამდენად უწყობს ხელს სამხედრო კონფლიქტის წარმოქმნას, არარსებობს. არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ძალთა თანაბარი გადანაწილება და „პოლუსებს" შორის გავლენა უფრო უწყობს ხელს სამხედრო ძალის გამოყენებას, იმიტომ, რომ ალბათობა იმისა, რომ რომელიმე მხარე გაიმარჯვებს - თანაბარია. მაშინ, როდესაც „პოლუსთა" არათანაბრობის შემთხვევაში ალბათობა იმისა, რომ შედარებით ძლიერი „ძალის პოლუსი" სამხედრო ძალას მიმართავს, დაბალია (აბაშიძე, 2009, გვ. 131).

სხვა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ვითარება სწორედაც რომ პირიქითაა. კონფლიქტის ალბათობა გაცილებით მაღალია, როცა „პოლუსთა" შორის ერთ-ერთი ფლობს მეტ ძალას ვიდრე სხვები, რამდენადაც მას შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება იერიში მიიტანოს ნაკლებად ძლიერ კონკურენტებზე. როდესაც „პოლუსებს" შორის ძალები შედარებით თანაბარია, ეს ქმნის თავისებურ შეკავების ეფექტს.

არსებობს კიდევ ერთი, მესამე კომპრომისული მოსაზრება, რომლის თანახმადაც „პოლუსებს" შორის ომი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მათი ძალები ან აბსოლუტურად თანაბარია, ან კიდევ ძალზე განსხვავდება. მაგრამ ამ შემთხვევაში კონფლიქტის ძირითად ფაქტორად გვევლინება გადაულახავი წინააღმდეგობები, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს აგრესიამდე შედარებით სუსტი „ძალის პოლუსის" მხრიდან, შედარებით ძლიერის მიმართ.

ასეთი ანალიტიკოსები, მაგ. როგორებიც არიან დ. რურკე და მ. შაიერი, მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ურთიერთობა, პირველ ყოვლისა, იმაზე დამოკიდებული თუ რამდენი „ძალის პოლუსია" მასში (Rourke, 2002, გვ. 48). აქედან გამომდინარე „პოლუსური" სისტემის გაგება გამოიყენება არა მარტო გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, არამედ რეგიონული ურთიერთობების ჩარჩოებშიც, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებშიც, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ ლოკალური „პოლუსური" სისტემის თვალსაზრისით. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა არა მარტო სხვადასხვა „ძალის პოლუსების" ურთიერთობებისაგან შედგება, არამედ იმავდროულად მსგავსი ურთიერთობების აგება ხდება, როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ დონეზე (კოპალიანი & კვეტენაძე, 2021, გვ. 212).

ვფიქრობთ ისეთი სახელმწიფოები, როგორებიც არიან აშშ, რუსეთი და ჩინეთი, ასევე ნაწილობრივ ევროკავშირიც (უფრო ნაკლებად კი ინდოეთი და ბრაზილია), შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ძალის პოლუსები", როგორც გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, ისე რეგიონულ დონეზე (Шафраник, 2013).

ამერიკის შეერთებული შტატები, ცხადია, უმსხვილესი „ძალის პოლუსია", იგი გვევლინება, როგორც გლობალიზაციის უმთავრესი გენერატორი და ფლობს უზარმაზარ პოტენციალს, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიო მასშტაბით (Черноус, 2004, გვ. 207). აშშ-ს სიძლიერე იმითაც განისაზღვრება, რომ წარმოადგენს რა პოლუსს ეს სახელმწიფო იმავდროულად გვევლინება სხვა სახელმწიფოების

მიზიდულობის უმთავრეს ცენტრად და ერთ-ერთ ძირითად სისტემაწარმომქმნელ ელემენტად. აშშ წარმოდგენილია მსოფლიოს არაერთ რეგიონში და ბუნებრივია გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, როგორც რეგიონულ, ისე მსოფლიო მასშტაბით (Черноус, 2004, გვ. 209).

რუსეთის ფედერაცია თავისი სტატუსით გვევლინება, როგორც გავლენის პოლუსი და ძალის ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი რუსეთი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საბჭოთა კავშირის პოტენციალს, მისი გეოპოლიტიკური რესურსები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ის მსოფლიო პოლიტიკაში „ძალის პოლუსად" მოვიაზროთ. რუსეთი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის წარმოადგენს სტრატეგიულ რგოლს და მასზე დიდადაა დამოკიდებული ევრაზიული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ურთიერთობათა სისტემაში სტაბილიზაციის ფაქტორი (ფუკუიამა, 2018, გვ. 197).

გეოგრაფიული და დემოგრაფიული პარამეტრებით, როგორც მსოფლიო, ისე რეგიონული მასშტაბით უდიდეს როლს ასრულებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ამ სახელმწიფოს გააჩნია ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების მაღალი ტემპი, პოლიტიკური ელიტების ეროვნული ამბიციები, რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც მას უმნიშვნელოვანეს „ძალის პოლუსად" აქცევს. სოციალურ- ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარდაქმნები განსაზღვრავს მის, როგორც მსოფლიოს ზესახელმწიფოს სტატუსს. უფრო მეტიც, დღეისათვის ჩინეთი უკვე გვევლინება ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს აზიაში და მის ფარგლებს გარეთაც კი გლობალიზაციის პროცესებზე (Евсеев, 2010, გვ. 304).

ამა თუ იმ სისტემაში არცთუ იშვიათად „ძალის პოლუსად" მოიაზრებენ ერთ ქვეყანას, იმპერიას ან კიდევ ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც ერთ ბლოკში არიან გაერთიანებული. ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირი, რომელმაც წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციით საკმარისი ძალა შეიძინა იმისათვის, რომ დამოუკიდებელი „ძალის პოლუსი" გამხდარიყო საერთაშორისო ურთიერთობების გლობალურ არენაზე (Лавров, 2013). მიუხედავად იმისა, რომ ევროპა აშშ-ს გარკვეული გავლენის ქვეშ იმყოფება, იგი მუდმივად ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო პოლიტიკაში. ჯერჯერობით ევროკავშირის სახელმწიფოებს მსოფლიოს ამომავალი მოწყობის ირგვლივ თავიანთი საერთო სტრატეგია არ შეუმუშავებიათ. გასაგებია, რომ ისინი ყველგან ცდილობენ ხელი შეუწყონ დემოკრატიული პროცესების განვითარებას, მაგრამ გლობალურ სტრატეგიაზე ჯერჯერობით არ შეჯერებულან (Саруханян, 2007, გვ. 158).

ამრიგად, აშშ-ს, რუსეთის, ჩინეთისა და ევროკავშირისაგან განსხვავებით, ისეთი სახელმწიფოები, როგორებიც არიან ირანი, პაკისტანი, თურქეთი, ისრაელი და სხვადასხვა რეგიონების რიგი სახელმწიფი, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის „ძალის პოლუსები".

ირანი უდავოდ ჩამორჩება თავისი ძალით საერთაშორისო ურთიერთობების გლობალურ აქტორებს, მაგრამ ეს სახელმწიფო ფლობს ჯერ კიდევ ნაკლებად რეალიზებულ შინაგან ცივილიზაციურ პოტენციალს, რაც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იგი, როგორც რეგიონული დონის „ძალის პოლუსი" (Зведре, 2001, გვ. 179).

დასკვნა

ამრიგად მთავარი აქცენტი კეთდება სწორედ საერთაშორისო ურთიერთობების რეგიონულ ასპექტებზე ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში. ყაზახეთში 2022 წელს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა აღნიშნული თემის აქტუალობა. აღნიშნულ რეგიონებში „ძალის ძირითად პოლუსებად" გვევლინებიან რუსეთი, აშშ- და ირანი. მოცემულ რეგიონებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩინეთი და ინდოეთი, ამ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ჩინეთს თავიანთი ეკონომიკური ინტერესები აქვთ ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთის ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში ჩინეთი განსაკუთრებულ წინააღმდეგობას არ უწევს, მეტიც, რუსეთის ინიციატივებს ჩინეთი უმეტესად მხარს უჭერს, ამიტომაც ჩვენ აღნიშნულ კვლევაში მათ მოწინააღმდეგე „ძალის პოლუსებად" არ განვიხილავთ.

თურქეთი, ისრაელი და ასევე სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყანა ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეგიონული ძალის პოლუსები, მაგრამ ხსენებულ რეგიონებში მოვლენების განვითარებაზე მათ მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლიათ იქონიონ გავლენა. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ თურქეთის, ისრაელისა და სპარსეთის ყურის ზოგიერთ სახელმწიფოს ინტერესები თანხვედრაშია აშშ-ს ინტერესებთან. ამიტომაც ისინი, ჩვენი აზრით, წარმოადგენენ აშშ-ს „ძალის პოლუსის" ნაწილს.

რუსეთის, აშშ-სა და ირანის ურთიერთობების რეგიონულ დონეზე დაიწყო 1979 წლის ირანის რევოლუციის შემდეგ, როდესაც აშშ-ს პოზიციები ამ სახელმწიფოში ფაქტობრივად დაიმსხვრა და ირანმა დაიწყო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე

ირანის საგარეო პოლიტიკა არ გამოირჩეოდა ანტაგონიზმით არც აშშ-სა და არც საბჭოთა კავშირის მიმართ, დროთა განმავლობაში იგი მაინც ჩამოყალიბდა მესამე „ძალის პოლუსად". ირანისა და რუსეთის მნიშვნელოვან დაახლოებას ხელი შეუწყო 2001 წ. მოსკოვში ირანის პრეზიდენტის მოჰამედ ხათამის ვიზიტმა. ამ ვიზიტის შემდეგ რუსეთსა და ირანს შორის ორმხრივი ურთიერთობები გაღრმავდა. სამაგიეროდ ირანთან დაძაბულ ურთიერთობას დღემდე ინარჩუნებს აშშ, რომლის ინტერესებს კარდინალურად ეწინააღმდეგება ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ირანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Rourke J.T. World politics. International politics on the World Stage, A.B. Mark. USA: McGrawHill,Dushkin, 2002.
2. აბაშიძე ზ., ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა? თბ., 2009.
3. Черноус В., Иранский мир и Юг России: прошлое и современные перспективы, Ростов, 2004.
4. Евсеев В., Военно-политические аспекты иранской ядерной проблемы М., 2010.
5. Саруханян С., Ядерный фактор в российско-иранских отношениях, М., 2007.
6. Зведре Е., Становление системы экспортного контроля в России. Участие России в международном сотрудничестве в области нераспространения и экспортного контроля, Ж., «Ядерный контроль». М., 2001.
7. Шмидт В., Запуск иранского спутника может сорвать «оттепель» между Россией и США, Ж., «Глобалист». 2009.URL: http://globalist.org.ua/novosti/geopolitical-news/iranskijj-sputnikno8412.html
8. Beyond Containment: Defending US Interests in the Persian Gulfб INSS NDU Special Report. 2002.
9. Лавров С., если проблема ядерной программы Ирана будет решена, система ПРО в Европе не нужна, «ИТАР-ТАСС». 2013. 4 декабря. URL: http://itar-tass.com/politika/809885
10. კოპალიანი კ., კვეტენაძე ზ., 2007 წლის მიუნხენის კონფერენცია და ახალი მსოფლიო წესრიგის კონტურები, შრომები, სტუ, თბ., 2021.
11. ფუკუიამა ფ., იდენტობა. იდენტობის თანამედროვე პოლიტიკა და ბრძოლა აღიარებისათვის, თბ., 2018.
12. Шафраник Ю., Снизить внутренние цены на газ и насытить газом всю промышленность, Ж., «Международная жизнь». 2013. июль.
13. Сафранчук И., Концепция «Новый шелковый путь» и политика США в «Большой Центральной Азии», Ж., «Международная жизнь». 2013.июль.

The US-Russia-Iran geopolitical triangle in the Middle East and Central Asia

Roland Dzenladze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The US-Russian Federation has had a global dimension for a long time. There is nothing surprising here, because the fate of humanity depends on the relations between these two states. There was a time when these two states fought together without an enemy. There were more - a few more, and now there are two separate states and the first face-to-face people, because after the war in Ukraine, two nuclear states experienced this situation.

- One of the key regions in the politics of the Russian Federation is the Middle East, where other large geotypes, such as Iran, China, India, Turkey, etc., but justice is a requirement, which is a good thing, the USA has an advantage with all of them.

One of the important factors in the conflict between the USA and Russia is Iran. Iran undoubtedly lags behind in its power in the global global acts of international relations, has not yet been realized, which has not been realized.

Russia, the USA and Iran 1 region start at the regional level After the Iranian revolution of 979, the position of the United States of America in this country was actually financially destroyed and Iran pursued an independent foreign policy. Although at the initial stage Iran's foreign policy was not used in antagonism towards either the US or the Soviet Union, over time it nevertheless developed into a third "pole of power". The difficult rapprochement of Iran and Russia was facilitated by 2001. Iranian President Mohammad Khatami's visit to Moscow. After this visit, bilateral relations between Russia and Iran deepened. Instead, it maintains a tense relationship with the US, which is fundamentally opposed to the policies that Iran has.

„გაყინული კონფლიქტები“ და მათი გავლენა რეგიონზე

ბექა კუჭავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია იმით გამოირჩევა, რომ სახელმწიფოთა უმთავრესი ძალისხმევა მიმართულია პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაციისა და ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ. ამის მიუხედავად არა ერთ რეგიონსა თუ ქვეყანაში ფაქტად რჩება ეთნოპოლიტიკური დაპირისპირება და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამგვარი დაპირისპირებები უფრო და უფრო მწვავდება, ამასთან დესტაბილიზების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება ეთნიკური პრობლემების დარეგულირების გზების ძიება და მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეთნოკონფლიქტების აღსანიშნად გამოიყენება „გაყინული კონფლიქტების“ ცნება (ტერმინი), რაც აღნიშნავს, დიდი მცდელობების მიუხედავად, არსებული ეთნოკონფლიქტების მოუგვარებლად დატოვებას.

გაყინული კონფლიქტები დიდი საფრთხის შემცველებია, რადგან აგრესორი სახელმწიფოს მიერ გამოიყენება კონფლიქტების გასაღვივებლად და საერთოდ კონფლიქტის მიმდინარეობის ვექტორის კონტროლისათვის.

გაყინული კონფლიქტები მაშინ აქტიურდება, როდესაც კონფლიქტის მხარეები განსაკუთრებული გეოპოლიტიკური კატაკლიზმების წინაშე დგებიან.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეთნოკონფლიქტებში აქტიური მონაწილეა (აქტორია) რუსეთის ფედერაცია. მისი პოლიტიკა არ არის მიმართული ეთნოკონფლიქტების დარეგულირებისაკენ. იგი ცდილობს შეინარჩუნოს კონფლიქტური სიტუაცია და საჭიროების შემთხვევაში გააღვივოს საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

რუსეთის დამოკიდებულებაში სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეთნოკონფლიქტების მხარეებად ფიქსირებული ქვეყნებისადმი მკაფიოდ იკვეთება მათი პოლიტიკური კურსის შეცვლის მცდელობაში. ეს განსაკუთრებით მაშინ არის საგრძნობი, როდესაც რუსეთისათვის აშკარა ხდება რეგიონის ქვეყნების სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისაკენ, რადგან რუსეთი ხედავს, რომ თუ სამხრეთ კავკასიაში ადგილი ექნება ეთნოკონფლიქტებს, სამხედრო დაპირისპირებებს, ნატოსა და ევროკავშირის ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებისადმი შენელდება.

მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო ამ რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსრეგიონულ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკურ ვითარებაზედაც.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის გაყინული კონფლიქტების ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენის მინიმიზებისათვის აუცილებელია ამ ქვეყნების გაძლიერება, იმ ინსტიტუციების განვითარება, რომლებიც ნაკლებ საფრთხეს შეუქმნიან ევროპულ ინვესტიციებს.

საკვანძო სიტყვები: გაყინული კონფლიქტები, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, გლობალური ეკონომიკა, ეკონომიკური ინტერვენცია.

შესავალი

რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტების არსებობა, შეიცავს უდიდეს საფრთხეს, რადგან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეგიონის პოლიტიკურ–ეკონომიკურ განვითრებასა და სტაბილურობას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტუალურობას და მიმზიდველობას, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გარდა განაპირობებს მისი ენერგორესურსების მარაგი. გეოგრაფიული თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის რეგიონი გვევლინება დამაკავშირებლად ევროპასა და აზიას შორის. მას დიდი მნიშვნელობა ეკისრებოდა გეოსტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით.

გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის თვალსაზრისით კავკასიის ქვეყნებს უდიდესი როლი აკისრიათ. სატრანზიტო გზების არსებობა, რეგიონს უფრო მიმზიდველსა და ეკონომიკური განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს ანიჭებს.

ძირითადი ნაწილი

აშშ-ს მთვარ ინტერესს კავკასიაში წარმოადგენს რუსეთის „თამაშგარე“ მდგომარეობაში დატოვება. ასევე აღსანიშნავია, ნატოს ინტერესები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი, რომელსაც დიდი როლი ეკისრება გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

ენერგორესურსების წყაროები, რომელიც ევროპის ენერგიით მომარაგების საკითხში იმპორტის ალტერნატივას წარმოადგენს, ამცირებს დამოკიდებულებას ენერგომომარაგების საკითხებში არასტაბილურ ახლო აღმოსავლეთთან. ასევე ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნა და ,,დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენის პერპექტივები, მთავარი არგუმენტია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ნატოში ინტეგრაციისთვის (მაისურაძე, 2014, გვ. 53-59).

რუსეთი დღემდე ცდილობს ,,გაყინული კონფლიქტების" რეგიონში გავლენის სფეროების კონტროლისათვის გამოყენებას და პირდაპირი თუ არაპირი ზეწოლის განახორციელებისათვის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე. რუსეთი ასევე ცდილობს კარგი და სტაბილური ურთიერთობები დაამყაროს და შეინარჩუნოს აზერბაიჯანთან. კონფლიქტების გამწვავებასა და სერიოზულ დაპირისპირებაში გადაზრდის საფრთხე დიდია.

ე.წ. ,,გაყინული" კონფლიქტების ცნება კავკასიის კონფლიქტების აღსანიშნად გამოიყენება, რაც მიუხედავად დიდი მცდელობებისა და მოლაპარაკებებისა, არ იცვლება.

კონფლიქტების გეოპოლიტიკური კუთხით განხილვის დროს მიმდინარე კონფლიქტები რუსეთის მიერ პროვოცირებულ ზეწოლაა. ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება ტერმინით – ,,გაყინული კონფლიქტი". „გაყინული კონფლიქტები" შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც უშუალოდ კონფლიქტში ჩართული ქვეყნების, ისე მთელი რეგიონის დესტაბილიზაციისთვის. ,,გაყინულ კონფლიქტებს" აგრესორი სახელმწიფო იყენებს კონფლიქტის მიმდინარეობის ვექტორების კონტროლისათვის. ისინი აქტიურდება მაშინ, როდესაც კონფლიქტის მხარეები განსაკუთრებული გეოპოლიტიკური ცვლილებების წინაშე დგებიან. რუსეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა არ არის მიმართული კონფლიქტების დარეგულირებისაკენ. ეს ქვეყანა, პირიქით ყველაფერს აკეთებს მათ შესანარჩუნებლად და საჭიროების შემთხვევაში გასაღვივებლად. რუსეთი, მისი გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, საკუთარ პოლიტიკას წარმართავს პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საზღვრების თავისი კონტროლის ქვეშ მოსაქცევად.

მიმდინარე კონფლიქტებსა და რუსეთის მოქმედებებში, მკაფიოდ იკვეთება მისი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილებაში, ან შენელებაში. ეს განსაკუთრებით მაშინაა საგრძნობი, როდესაც რუსეთი გრძნობს კავკასიის ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირისკენ სწრაფვას. იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ კავკასიაში ადგილი ექნება კონფრონტაციებს ეთიკურსა თუ სამხედრო დაპირისპირების სახით, ევროკავშირისა და ნატოს ინტერესი კავკასიის ქვეყნების და, ზოგადად, რეგიონის მიმართ შენელდება. თუ რეგიონში სამხედრო დაპირისპირების საფრთხე გაჩნდება, ეკონომიკური წინსვლა და დესტაბილიზაცია გარდაუვალი გახდება.

სამხრეთ კავკასიის ამჟამინდელი კონფლიქტები შეიარაღებული კონფლიქტებია. ესენია: მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის, ,,სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტული რეგიონები, რომლებიც იარაღის მეშვეობით მოიპოვეს დეფაქტო მდგომარეობა. მიუხედავად არაერთი ცდისა, კონფლიქტების დარეგულირება, ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირება ,,გაყინული კონფლიქ¬ტების" სტადიაზე რჩება. იქიდან გამომდინარე, რომ კავკასია წარსულშიც და ახლაც გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით და ერთმანეთს ეჯახება განსხვავებული კულტურები, ხოლო ამის გამო რეგიონის ქვეყნების ინტერესები კონფლიქტურობით გამოირჩეოდა და გამოირჩევა.

ყარბაღის კონფლიქტის განახლების საშიშროება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოსაც, როგორც მის განვითრებას, ასევე ეროვნულ უსაფრთხოებას, რადგანაც არის საშიშროება კონფლიქტის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოდინებისა, ხოლო ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების დაპიისპირება, რასაც რუსეთი, ცხადია, თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ამ გარემოებას შეუძლია დიდი საფრთხე შეუქმნას საქართველოს ეკონომიკას, ენერგოუსაფრთხოებას.

კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო ამ რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსრეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზეც. ამის თვალსაჩინო მაგალითია ნატოს გეოეკონომიკური ინტერესები. კავკასია განიხილება ნატოს ,,მოწინავე თავდაცვის" სტრატეგიის ტერიტორიად, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს.

რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის ინტერესების თვალსაზრისით, მისი განვითარების უდიდეს ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ,,გაყინული კონფლიქტები", რომლის გაღვივების საფრთხე გეოპოლიტიკური ცვლილებების შესაბამისად იზრდება. ევროკავშირი და აშშ, ეკონომიკური და გეოსტრატეგიული

ინტერესებიდან გამომდინარე, დაინტერესებულნი არიან რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებით. რუსეთი მოლაპარაკების პროცესში გვევლინება როგორც კონფლიქტის მესამე მხარედ. მის მიზანსაც წარმოადგენს კონფლიქტის მოუგვარებლობა და გამწვავება. რითაც იგი კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ინარჩუნებს ძირითადი აქტორის როლს.

კავკასიის რეგიონს გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების ეპოქა სულ უფრო მეტად მიმზიდველს ხდის. ,,გაყინული კონფლიქტები" რეგიონის ეკონომიკური განვითარების დამაბრკოლებლად რჩება, ამიტომ საჭიროა აქტორების მეტი მობილიზება, რათა მოხდეს თანამშრონლობის გაღრმავება. საქართველოსა და აზერბაიჯანის მნიშვნელობა საერთაშორისო არენაზე სულ უფრო მეტად იზრდება. ორივე ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ფართომასშტაბიან სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში. აზერბაიჯანსა და საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რადგანაც აზერბაიჯანის ენერგეტიკული პოტენციალი თანმიმდევრულად იზრდება და მისი მიზანია თავისი პროდუქტის ევროპის ბაზარზე გატანა. საქართველომ კი წამყვანი სატრანზიტო ქვეყნის პოზიცია დაიმკვიდრა. ამიტომ დასავლეთის ქვეყნები დაინტერესებულნი არიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებით. აზერბაიჯანი, რომელიც ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგს ფლობს, მნიშვნელოვანი აქტორია ენერგომატარებლების მარშუტის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია რეგიონსათვის, თუმცა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინვესტიციების განსახორციელებლად აუცილებელია რეგიონში არსებობდეს სტაბილურობა, რომელიც უფრო მეტად გააღრმავებს რეგიონში ეკონომიკურ პოტენციალს (სამხრეთ კავკასია..., 2010, გვ. 36-37).

დღეისათვის ყველასათვის ცხადია, რომ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფანი გაცილებით მეტია, ვიდრე ენერგომარშრუტი. მიუხედავად ამისა, ნავთობი და გაზი მაინც უდიდეს როლს თამაშობს. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიის აღმოსავ¬ლეთ-დასავლეთ დერეფნის, ფუნქციონერისათვის არსებითი მნიშნელობა ენიჭება სარკინიგზო ტრანსპორტსაც. ევროპისათვის ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია აუცილებელი ფაქტორია, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნედლეულის ხელმისაწვდომობა, ახალი ბაზრების გახსნა, სავაჭრო გზებისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარება (სმიტი, 2014, გვ. 8-10).

ინტეგრაციისათვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სატრანზიტო როლი საერთაშორისო გლობალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. რეგიონის აქტორების მიერ ეკონომიკისა და ინვესტიციების მობილიზაცია ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას, მათ შორის რეგიონის პოლიტიკური სტაბილურობის ხარისხის ამაღლებას. ზემოაღნიშნულის წარმატებული გადაწყვეტა რეგიონის ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთობებს, რაც ასევე იქნება რეგიონული თანამშრომლობის განვითარების საფუძველი (სამხრეთ კავკასია, 2010, გვ. 21-22).

რუსეთის ფედერაცია ცდილობს რეგიონში არასტაბილურობის განცდის დამკვიდრებას. ამით საერთაშორისო თანამეგობრობას აგრძნობინოს, რომ რეგიონი იმყოფება სამხედრო მოქმედებების განახლების მუდმივი საფრთხის ქვეშ, პროპაგანდას უწევს აზრს იმის თაობზე, რომ ინსპირაციის მთავარ წყაროს წარმოადგენენ ის ქვეყნები, რომელნიც უშუალოდ არიან ჩართულნი კონფლიქტში და მათ ,,არშემდგარ სახელმწიფოებს" უწოდებს.

,,გაყინული კონფიქტების" რეგიონის ეკონომიკურ განვითრებაზე გავლენის მინიმიზებისათვის აუცილებელია კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის გაძლიერება და იმ შიდა ინსტიტუტების ხელშეწყობა, რომლებიც ევროპულ ინვესტიციებს ნაკლები საფრთხეს შუქმნიან.

დასკვნა

„გაყინული კონფლიქტები" პოლიტიკური ტერმინია და ამჟამად გამოიყენება სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული და დაუსრულებელი ეთნოდაპირისპირებების აღსანიშნად.

გაყინული კონფლიქტები უდიდეს საფრთხეს შეიცავს, რადგან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეგიონის პოლიტიკური და განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი უაღრესად აქტუალურია გეოპოლიტიკური მდებარეობით, ენერგორესურსების სიუხვით. ამიტომ ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ეკისრებოდა გეოსტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით.

ამჟამად ნატოს დაინტერესება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებით გამორჩეულად საგრძნობია, რადგან აღნიშნულთან ერთად მის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს რუსეთის ფედერაცია „თამაშგარე მდგომარეობაში მოქცევა იმითაც, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების

ენერგორესურსების წყაროები ევროპის ენერგიით მომარაგების საკითხში რუსული იმპორტის ალტერნატივას წარმოადგენს.

რუსეთი, თავის მხრივ, დღემდე ცდილობს „გაყინული კონფლიქტების“ გამოყენებას რეგიონში გავლენის სფეროების შესანარჩუნებლად, რეგიონის ქვეყნებზე ზეწოლის განსახორციელებლად.

რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე „გაყინული კონფლიქტების“ გავლენის შესამცირებლად აუცილებელია ამ ქვეყნების ეკონომიკების გაძლიერება და იმ შიდა ინსტიტუციებისათვის ხელშეწყობა, რომლებიც ნაკლებ საფრთხეს შეუქმნიან ევროპის ინვესტიციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მაისურაძე დ. სამხრეთ კავკასიის ეთნოკონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები; მაისურაძე დ. თელავი 2014;
2. სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერპსექტივები; სამეცნიერო კონფერენცია; ბათუმი 2010;
3. სმიტი დ. აზერბაიჯანი და საქართველო: სამხრეთ-კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფნის მყარი სტრატეგიული მნიშვნელობა; 2014.

"Frozen conflicts" and their impact on the region

Beka Kuchava, PhD student

Georgian Technical University

Summary

The modern global civilization is defined by the predominance of the power of the state institutions over the democratization of politics and the promotion of human well-being. Despite this, ethno-political conflicts remain a fact in more than one region or country, and, what is even more important, such conflicts are becoming more and more intense, and are the main source of destabilization. Therefore, the most significant challenge of political scholarship is to search for ways of regulating ethnic problems and developing methodologies after destabilization.

In order to define ethnic conflicts in the South Caucasus region, the concept of "frozen conflicts" is used, which refers to the suspension of existing ethnic conflicts despite the presence of significant risks.

Frozen conflicts are major security threats, as the aggressor can use them to escalate conflicts and control the direction of the conflict overall.

The Russian Federation is an active participant (actor) in the ethno-conflicts of the South Caucasus region. His policy is not aimed at settling ethnic conflicts. It tries to maintain the conflict situation and, if necessary, inflame it to satisfy its own political and economic interests.

Russia's attitude towards the countries fixed as parties to the ethno-conflicts of the South Caucasus region is clearly evident in the attempt to change their political course. This is especially noticeable when the aspiration of the countries of the region towards NATO and the European Union becomes obvious for Russia, because Russia sees that if ethno-conflicts and military confrontations take place in the South Caucasus, the interest of NATO and the European Union in the countries of the South Caucasus region will slow down.

It is important that the frozen conflicts in the South Caucasus region have a significant impact not only on the countries of this region, but also on world transregional processes, including the Euro-Atlantic situation.

In order to minimize the influence of the frozen conflicts of the South Caucasus region on the economic development of the countries of this region, it is necessary to strengthen these countries, to develop those institutions that will pose less threat to European investments.

Key words: frozen conflicts, South Caucasus region, global economy, economic intervention.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა

ანა ჯაგოდნიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოში ევროკავშირისადმი ინტერესი 1990-იანი წლებიდან გაძლიერდა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ვექტორი გახდა. ამ დროიდან იღებს სათავეს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები და ყალიბდება სამეზობლო პოლიტიკა.

საქართველო ევროკავშირს თანდათან დაუახლოვდა სხვადასხვა სავაჭრო და პოლიტიკური შეთანხმებებით, მათ შორის გადამწყვეტი როლი შეასრულა სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებულმა სისტემამ (GSP), პრეფერენციების განახლებულმა სისტემამ (GSP+), შეთანხმებამ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (PCA). 2006 წლიდან საქართველო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ნაწილია. 2010 წლიდან კი გაფორმებულია ღრმა, ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნისა (DCFTA) და უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ეკონომიკური ურთიერთობის სფეროს.

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ევროკავშირის ფინანსურმა დახმარებამ ორ მლრდ ევროს გადააჭარბა. ამჟამად საქართველოს სავაჭრო პარტნიორებად ჩამოყალიბდნენ ევროკავშირის ქვეყნები და ჩაანაცვლეს თურქეთი და რუსეთი.

ევროკავშირი საქართველოს ეხმარება ასევე უსაფრთხოებისა სა ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფაში, დიდი როლი ითამაშა პოლიტიკური კრიზისის მედიაციასა და ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლარიზების შემცირებაში.

თანამედროვე დონეზე ქართველი ხალხის მხარდაჭერა ევროკავშირისადმი საკმაოდ მაღალია. საქართველოში ქართველთა აზრს ევროკავშირის შესახებ აკვირდება ევროპის ფონდი. ევროპის ფონდი აქტიურად მუშაობს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში საქართველოს ჩართულობას.

სტატიაში განხილულია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, ევროკომისიის მიერ ამ პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმის საკითხები, ამ პოლიტიკის განხორციელების მიმართულებები: ფინანსური, ეკონომიკური, სავიზო რეჟიმის თუ თანამშრომლობის ფორმები.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, თანამშრომლობა, ფასეულობები, სამეზობლო პოლიტიკა.

შესავალი

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) ევროკავშირისსამხრეთითდააღმოსავლეთითმდებარე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობა ემყარება ისეთ საერთო ფასეულობებს, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირის მეზობელი ქვეყნების სტაბილურობის, განვითარებისა და უსაფრთხოების ხელშეწყობას. ENP-ის საშუალებით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს უფრო ღრმა პოლიტიკურ ურთიერთობასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2014).

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა 2004 წელს, ევროკავშირში ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შემდგომ მეზობელ სახელმწიფოებთან გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და აღნიშნულ სივრცეში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერის მიზნით შემუშავდა.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე დონეზე ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში 16 ქვეყანაა (ალჟირი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, საქართველო, სირია, სომხეთი, ტუნისი, უკრაინა) ჩართული. აქედან, 12 ქვეყანა სამეზობლო პოლიტიკაში სრულად მონაწილეობს, ხოლო 4 ქვეყნის (ალჟირი, ბელარუსი, ლიბია, სირია) სამეზობლო პოლიტიკის ცალკეულ მექანიზმებში მონაწილეობით შემოიფარგლება.

საზოგადოდ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ორმხრივი მფლობელობის პრინციპს ეფუძნება. ეს გარემოება ევროკავშირისა და სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ცალკეული სუბიექტის მხრიდან გარკვეულ ქმედებებს გულისხმობს. პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს ევროპული საგარეო ქმედების სამსახური, რომელიც ეხმარება ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელს, ვინც უშუალოდ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების

საკითხებს კურირებს.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება ევროკომისიის მიერ მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობით მომზადებული, ქვეყნის ან რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნულ სამოქმედო გეგმებში ევროკომისია განსაზღვრავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარამეტრებს, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს მოცემული ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება (სიბრენ დე იონგი, 2016).

სამოქმედო გეგმა ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში სამეზობლო ინიციატივის საერთო პრინ-ციპებს ემყარება, თუმცა მისი შინაარსი განსხვავდება მოცემულ ქვეყანასთან თანამშრომლობის არსებული დონის, ქვეყნის საჭიროებებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასა და მჭიდრო თანამშრომლობას, ამასთან შემდეგი მიმართულებებით:

1. ფინანსური დახმარება (ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცალკეულ ქვეყნებში შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად 2007-2013 წლებში გამოიყო 12 მილიარდი ევრო);

2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის ბაზარზე დაშვება;

3. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივება;

4. სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერა.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა მრავალმხრივი თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში ხორციელდება.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (Eastern Partnership - EaP). ეს არის ინიციატივა, რომელიც ქმნის ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან.

ევროკავშირის თანამშრომლობა აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებთანაც სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. იგი მოიცავს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მრავალ პროექტსა და პროგრამას, ე. წ. ასოცირების პროცესს (ცალკე ოფიციალურ ხელშეკრულებებს ევროკავშირსა და აღმოსავლეთი პარტნიორობის თითოეულ ქვეყანას შორის) და თავისუფალი სავაჭრო ზონების საკითხებზე მოლაპარაკებებს, ასევე სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივა თავდაპირველად შვედეთისა და პოლონეთის მიერ შემუშავდა. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებულმა რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ აღნიშნული პროცესის დაჩქარება გამოიწვია და გარკვეულწილად განაპირობა კიდეც ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. ამის შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში, ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა. ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, ხოლო 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

როგორც ცნობილია, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების დამკვიდრებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. მის ძირითად მიზანს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის მთავრი მიზანია, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა, თუმცა მოცემული ინიციატივა უფრო შორს მიდის და პარტნიორ ქვეყნებს, ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით, კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო მიზანია, ფართო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება. ორმხრივი თანამშრომლობა, ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს. იგი მოიცავს:

- ახალი, უფრო ფართო ურთიერთობების ჩამოყალიბებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან (PCA) შედარებით გაღრმავებული

შეთანხმებების - ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით, რომლებიც თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას პასუხობს. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ შესაბამისი დონის ვალდებულებები;

● ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნას, რომლებიც დაეფუძნება ყოველ კონკრეტულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებებს (Deep and Comprehensive Free Trade Areas), როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს (სიბრენ დე იონგი, 2016);

● უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივების ხელშეკრულებების (Visa Facilitation and Readmission Agreements) გაფორმების შესაძლებლობებს. თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგმება უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დასამყარებლად;

● ენერგო უსაფრთხოების გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ენერგორესურსების მიწოდებასა და ტრანზიტს, ისევე როგორც, ენერგორესურსების ეფექტიანობის ამაღლებასა და ენერგიის განახლებადი წყაროების ფართო გამოყენებას;

● „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მოვლენა გულისხმობს ერთობლივი მფლობელობის პრინციპზე თანამშრომლობის დაფუძნებას. ეს გარემოება კი ყველა მონაწილე მხარეზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას (Joint Ownership) უწყობს ხელს.

მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი უზრუნველყოფს საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობასა და გამოწვევებთან ერთობლივი გამკლავების შესაძლებლობას. ასეთი ფორმატი, უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში, რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით.

DCFTA - ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ 2015 წლის აპრილში გაფორმდა სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან - საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან. ეს არის სამწლიანი პროექტი, რომელიც ამ ქვეყნებში გარკვეულ რეფორმებს ითვალისწინებს.

ხელშეკრულება ხელს უწყობს სამი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის დღის წესრიგის ჩამოყალიბებას.

ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობა არის საერთაშორისო ორგანიზაცია. ორგანიზაცია საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად 2005 წლის ოქტომბერში საბერძნეთში დაარსდა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2006 წლის ივლისში. ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ მხარეებს წარმოადგენენ ევროკავშირი და კონტრაქტის ხელმომწერი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის რვა ქვეყანა (კაპანაძე, 2006).

2016 წლის 14 ოქტომბერს, ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანებაზე მინისტრთა საბჭომ თანხმობა განაცხადა. ბოსნია და ჰერცოგოვინას დედაქალაქ სარაევოში ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მონაწილეობით მიმდინარე მინისტერიალზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს" ხელი მოაწერა. ახლა საჭიროა პარლამენტისგან რატიფიკაცია, რის შემდეგაც საქართველო ენერგეტიკული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანება, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს გადმოტანა და განხორციელება საქართველოში ხელს შეუწყობს შემდეგ პროცესებს:

• თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკის სექტორის ჩამოყალიბებას, მის ფინანსურ მდგრადობასა და მომხმარებელთა გაზრდილ უფლებებს (ძლიერი, დამოუკიდებელი მარეგულირებელი, გამჭვირვალე და ხარჯზე დაფუძნებული ტარიფი, განცალკევება და ქსელზე ხელმისაწვდომობა), გამჭვირ¬ვალობის ზრდას;

• კორუფციის შემცირებას სექტორში;

• გარე და შიდა ფაქტორების მიმართ ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას;

• ევროკავშირის გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და იმპლემენტაციას;

• მდგრადი, დაბალემისიანი მწვანე ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს მიწოდების უსაფრთხოებას - განახლებადი ენერგიის გამომუშავებისა და ენერგოეფექტურობით ენერგიის მოხმარების შემცირებას. ამასთანავე, ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შემოდინებას ევროპელი და სხვა ინვესტორებისგან, მათ შორის ევროპის საინვესტიციო ბანკიდან.

დასკვნა

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) ევროკავშირის სამხრეთ და აღმოსავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობას არეგულირებს და 16 ქვეყანას მოიცავს (ალჟირი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, საქართველო, სირია, სომხეთი, ტუნისი, უკრაინა).

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ორმხრივი მფლობელობის პრინციპს ემყარება და ამ

პოლიტიკის მონაწილე ცალკეული სუბიექტის მხრიდან გარკვეულ ქმედებებს გულისხმობს და სხვადასხვა ფორმატში ხორციელდება. ერთია აღმოსავლეთ პარტნიორობა (EPE), რომელიც ემყარება ჩარჩო ხელშეკრულებას აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, მოლდოვასთან, საქართველოსთან, სომხეთთან და უკრაინასთან. მისი მიზანია ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობის, კავშირის გაღრმავება თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (Association Agreements) საფუძველზე და გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად არიან იკისრონ შესაბამისი დონის ვალდებულებები თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის (DCFTF), მოქალაქეთა მობილურობის უსაფრთხო გარემოს შექმნის შესახებ, სავიზო რეჟიმის გამარტივების გზით. ასევე ენერგო უსაფრთხოების გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ენერგორესურსების მიწოდებასა და ტრანზიტს, საერთოდ ერთობლივი მფლობელობის პრინციპზე თანამშრომლობის დაფუძნებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში „მითები ევროკავშირი საქართველოს ასოცირების შეთანხმება (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ (თბილისი, საქართველო, 2014)
2. EUMM საქართველოში, „ჩვენი მანდატი (https://www.eumm.en/en/abaut..eumm/mandate,2021)
3. სიბრენ დე იონგი, „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და ევროკავშირი“, ევროპული პოლიტიკის ანალიზი, სექტემბერი N11(2016)12
4. კაპანაძე ს., ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი, 2006

European neighborhood policy

Ana Jagodnishvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Georgia's interest in the European Union has grown stronger since the 1990s and has become a key component of the country's foreign policy. During this time, Georgia established relations with the European Union, leading to the formation of its neighborhood policy.

Georgia gradually got closer to the European Union through various trade and political agreements, among which the Generalized System of Trade Preferences (GSP), the Revised System of Preferences (GSP+), the Agreement on Partnership and Cooperation (PCA) played a decisive role. Since 2006, Georgia is part of the European Neighborhood Policy (ENP). Since 2010, an agreement on the creation of a deep, comprehensive free trade area (DCFTA) and visa-free travel has been signed.

The European Union's neighborhood policy covers the area of economic relations.

In the last three decades, the financial assistance of the European Union has exceeded two billion euros. Currently, EU countries have become Georgia's trade partners, replacing Turkey and Russia.

The European Union also helps Georgia in ensuring the institutional development of security, played a major role in mediating the political crisis and reducing the polarization between our political parties.

At the modern level, the support of the Georgian people to the European Union is quite high. The European Foundation monitors the opinion of Georgians in Georgia about the European Union. The European Foundation is actively working on Georgia's involvement in the process of integration with the European Union.

The article discusses the neighborhood policy of the European Union, the issues of the action plan for the implementation of this policy by the European Commission, the directions of the implementation of this policy: financial, economic, visa regime and forms of cooperation.

The European Union's neighborhood policy is based on the principle of mutual ownership and implies certain actions on the part of individual entities participating in this policy and is implemented in different formats. One is the Eastern Partnership (EPE), which is based on a framework agreement with Azerbaijan, Belarus, Moldova, Georgia, Armenia and Ukraine. Its purpose is to deepen bilateral cooperation with the European Union, on the basis of Association Agreements, and will be signed with those countries that are ready to undertake the appropriate level of obligations on the creation of free trade zones (DCFTF), the creation of a safe environment for the mobility of citizens, through the simplification of the visa regime. as well as strengthening energy security, which provides for the supply and transit of energy resources, generally basing cooperation on the principle of joint ownership.

Key words: European Union, cooperation, values, neighborhood policy.

ისტორიის მეცნიერებები

HISTORY SCIENCES

ნაპოლეონის ეპოქის მეწარმე ქალი

ნინო გომართელი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარინე მესხია, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ღვინო საოცარი პროდუქტია, ზომიერად მიღების
შემთხვევაში ჯანმრთელი თუ ავადმყოფი ადამიანებისათვის
ღვინო და თაფლი არა მარტო სასურველია, არამედ საჭირო და აუცილებელიცაა“
ჰიპოკრატე

რეზიუმე

დღეს საზოგადოება საქმიანი ქალების ნაკლებობას არ განიცდის. დღეს აღარავის უკვირს კომპანიის სათავეში მდგარი სუსტი სქესის წარმომადგენელი, მაგრამ დაახლოებით 250 წლის წინათ ასეთი რამ არათუ წარმოუდგენელი, არამედ შეურაცხმყოფელიც კი იყო გარშემომყოფებისათვის, მით უფრო, თუ საქმე წმინდა მამაკაცურ საქმიანობას - მეღვინეობას ეხებოდა. ნაპოლეონის დროინდელ საფრანგეთში გაბატონებული იყო შეხედულება „საკმარისია ქალი ღვინოს მიაკარო და ის ძმრად გადაიქცევაო“. ვის ეყოფოდა გამბედაობა მის დასარღვევად, თუმცა ერთმა ახალგაზრდა ქალმა არამცთუ დაარღვია არსებული სტერეოტიპი, არამედ კიდევ უფრო მეტად მოუხვეჭა სახელი მეღვინეობით ცნობილ ფრანგებს. ეს არაორდინალური მანდილოსანი, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია არსებულ ტრადიციას, გადადგა მეტად გაბედული ნაბიჯი და გახდა მეუღლის, კლიკოს გვარით სახელგანთქმული Veuve Clicquot-ის სულის ჩამდგმელი.

1972 წელს ფირმის შექმნის 200 წლისთავთან დაკავშირებით, საფუძველი ჩაეყარა საქველმოქმედო ფონდს, რომელიც აჯილდოებს ბიზნესის ნებისმიერ სფეროში მოღვაწე წარმატებულ, მოტივირებულ ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ეს მათთვის ნიშნავს პლატფორმას შემდგომი წინსვლისთვის, კონტაქტების დამყარებას საერთაშორისო ბაზრის წარმომადგენლებთან, მედიასთან, პოლიტიკოსებთან, პოტენციურ თანამშრომლებთან. ქალაქ რეიმსში ყოველწლიურად, აპრილის თვის ბოლო შაბათ-კვირას იმართება საერთაშორისო ვორკშოპი, სადაც ყოფილი პრიზიორები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ქართველი მეღვინეები დიდ წარმატებებს აღწევენ ფრანგული ნატურალური ღვინის გამოფენებზე. ქართველი მეღვინეები სისტემატურად ესწრებიან ფრანგული ღვინის „ბოჟოლე ნუვოს“ წითელი ღვინის ფესტივალს, რომელიც ნოემბრის თვის მესამე ხუთშაბათს ყოველწლიურად იმართება 2005 წლიდან. „ბოჟოლე ნუვოს“ ღვინო წარმატებით იყიდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წელიწადში 69 მილიონი ბოთლის ოდენობით. ფრანგული ორდენის „ღვინის რაინდები“ ხშირად სტუმრობენ კახეთის რეგიონს და კახეთის მეღვინეთა გილდიის წევრებად ერთიანდებიან. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ-ფრანგული ღვინის ტექნოლოგიების სამეცნიერო სასწავლო-კვლევითი ცენტრის კომპლექსი მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გამოვთქვამთ სურვილს, რომ ქართველ მეწარმე

ქალებსაც მიეცეს ამ კონკურსში მონაწილეობის საშუალება, სცადონ ბედი, დაიმსახურონ „Veuve Clicquot" ჯილდო და დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი მსოფლიოს ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: მეწარმე ქალი, შამპანურის წარმოება, ღვინის ბაზარი, პირველი ვინტაჟი, ქართულ-ფრანგული კონტაქტები.

შესავალი

შამპანის პროვინციის ქალაქ რუანში 1777 წლის 16 დეკემბერს, მდიდარი საფეიქრო მრეწველი, პონსარდენის ოჯახში დაიბადა ქალიშვილი ნიკოლ-ბარბ-პონსარდენი. ტრადიციული სამონასტრო განათლების მიღების შემდეგ 1798 წელს გოგონამ მამის მეგობრის ვაჟზე ფრანსუა კლიკოზე იქორწინა. ეს უკანასკნელი დაკავებული იყო საბანკო საქმით, ტექსტილით ვაჭრობით და შამპანური ღვინის წარმოებით. აღნიშნული საქმიანობა მას და მის ოჯახს უზრუნველ მომავალს პირდებოდა. კლიკოს ოჯახმა კარგად გაართვა თავი საფრანგეთში მიმდინარე გადატრიალებების ორომტრიალს, რითაც შეინარჩუნა არსებული ქონებაც და სიცოცხლეც. მაგრამ თანაცხოვრების მე-7 წლისთავზე ფრანსუა კლიკო მძიმე ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა. 28 წლის ნიკოლ ბარბს პატარა ქალიშვილი და შთამბეჭდავი ქონება დარჩა, რომელთაც მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა.

ძირითადი ნაწილი

1772 წელს ანრი კლიკოს დაარსებული შამპანური ღვინის საწარმო ვერც დიდი მოგებით და ვერც პროდუქციის გემოთი ვერ დაიტრაბახებდა. ქალი არჩევანის წინაშე დადგა, ღვინის მეურნეობა ან ბედის ანაბარა მიეტოვებინა, ან თავად უნდა ჩასდგომოდა სათავეში. ნიკოლს ადრეც აინტერესებდა მეუღლის ბიზნესი და გააჩნდა მცირე გამოცდილებაც, რაც მან თანაცხოვრების პერიოდში ღვინის წარმოებაში შეიძინა და ახლა პრაქტიკაში უნდა გამოეყენებინა.

შამპანის პროვინციაში ყველა კლიკოს ქვრივზე ალაპარაკდა, მოგვიანებით კი მთელი საფრანგეთი. ქალი მთელ დროს ახლად შეძენილ ვენახებსა და ღვინის სარდაფებში ატარებდა. კონკურენტებს იმედი ჰქონდათ, რომ ღვინის ბაზარზე კონკურენციას კლიკოს ქვრივი ვერ გაუწევდა, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა. ნიკოლ კლიკო ფირმის ახალი სახელწოდებით "Veuve Clicquot"-„კეთილი ქვრივი" წარდგა ფრანგ მეწარმეთა წინაშე, არაორდინალური გონებით, ამბიციით და მმართველობის უნარით დაჯილდოებულმა მეწარმე ქალმა უპირველესად ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე დაიწყო ფიქრი. მღვრიე სითხისგან კეთილშობილი შამპანური ღვინის დამზადების პროცესი საშუალოდ ორი წელი გრძელდებოდა, რადგან ნალექის მოშორება დიდ შრომას და დროს მოითხოვდა. ღვინის მეწარმეთა შორის ნიკოლმა პირველმა მიაგნო ნალექისაგან გაწმენდის მარტივ ხერხს. მან ბოთლები თავდაყირა დააყენა და ბოთლის ყელში დაწრეტილი მღვრიე მასა ადვილად მოაშორა. ღვინის გაწმენდის მისი საიდუმლო ტექნოლოგია მხოლოდ 1830 წელს გამჟღავნდა. ამ დროისათვის ნიკოლ კლიკომ უკვე უზარმაზარი იმპერიის შექმნა მოახერხა. მას ღვინის სამყაროში კიდევ ორ მნიშვნელოვან გამოგონებას მიაწერენ: მან შექმნა პირველი ვინტაჟი, ანუ ერთი მოსავლის ღვინოები და ასევე შექმნა პირველი ვარდისფერი ე.წ. როზე ღვინო თეთრი და წითელი ღვინის ნაზავით. მანამდე არსებული როზეების დაყენება სხვა მეთოდით ხდებოდა, ყურძნის კანს და წვენს ერთად ტოვებდნენ გარკვეული დროით, ისე რომ კანის პიგმენტი ღვინის წვენში გადასულიყო. „ხარისხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს -საუკეთესო"- ხშირად უმეორებდა იგი თავის ოსტატებს და ამ დევიზით უახლოვდებოდა დასახულ მიზანს, რომელიც მსოფლიო ბაზრის დაპყრობაში მდგომარეობდა.

ფრანგ მეწარმე ქალს გასაღების ფართო ბაზრად ევროპის გარდა რუსეთიც მიაჩნდა, მაგრამ რუსეთში შესვლა დაძაბული ურთიერთობების გამო უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ „Veuve Clicquot"-მა კონტრაბანდული სახით მაინც მოახერხა რუსეთის იმპერიაში შეღწევა, სადაც რუს დიდგვაროვანთა დიდი მოწონება დაიმსახურა. 1812 წლის რუსეთ- საფრანგეთის ომში საფრანგეთის მარცხის და ნაპოლეონის გადადგომის შემდეგ კლიკოს ქვრივმა ისე , რომ სავაჭრო ბლოკადის მოხსნას არ დალოდებია გამარჯვებულ ქვეყანაში შამპანურის დიდი პარტია გააგზავნა. სულ მალე კლიკოს ღვინომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეაღწია, მისი გაყიდვები არნახულად გაიზარდა და მალე აღიარებულ ბრენდად იქცა.

ნიკოლ კლიკო 1866 წელს გარდაიცვალა. ყველა ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ღვინის მწარმოებელი უზარმაზარი იმპერია მრავალრიცხოვან ნათესავებს და ოჯახის წევრებს კი არ დაუტოვა, არამედ წარმოებაში აქტიურ მონაწილეს, მმართველს და მეგობარს, ედუარდ ვერლეს, რომელმაც მადამ კლიკოს სახელს კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუტანა. „Veuve Clicquot" 1987 წლიდან კომპანია LVMH-ის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ფირმის მთავარი ოფისი ისევ რეიმსში მდებარეობს.

ამჟამად მას სათავეში მეწარმე ქალი, სესილ ბონფონდი უდგას. ფირმის ვენახები 598 ჰექტარზეა გადაჭიმული, სარდაფების სიგრძე 36 კილომეტრს შეადგენს, პროდუქცია კი მსოფლიოს 159 ქვეყანაში იყიდება.

1972 წელს ფირმის შექმნის 200 წლისთავთან დაკავშირებით,საფუძველიჩაეყარასაქველმოქმედო ფონდს, რომელიც აჯილდოებს ბიზნესის ნებისმიერ სფეროში მოღვაწე წარმატებულ , მოტივირებულ ქალებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ეს მათთვის ნიშნავს პლატფორმას შემდგომი წინსვლისთვის, კონტაქტების დამყარებას საერთაშორისო ბაზრის წარმომადგენლებთან, მედიასთან, პოლიტიკოსებთან, პოტენციურ თანამშრომლებთან. ქალაქ რეიმსში ყოველწლიურად, აპრილის თვის ბოლო შაბათ- კვირას იმართება საერთაშორისო ვორკშოპი, სადაც ყოფილი პრიზიორები ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ. ამ ღონისძიების მიზანია ერთი საერთო საკონტაქტო ქსელის შექმნა. ამ ჯილდოს სხვა დატვირთვაც აქვს, ვაზის ერთი ძირი გამარჯვებული ქალბატონის სახელის მატარებელი ხდება. კონკურსში მონაწილე ქალების მოღვაწეობის სფერო შეზღუდული არ არის, მას დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს დაფუძნებული საწარმო და წარმატებით უძღვებოდეს მას, გადამწყვეტ როლს თამაშობდეს საწარმოს ზრდაში, იმიჯსა და წარმატებაში, გამოირჩეოდეს სიმამაცით, შორსმჭვრეტელობით, იყოს რისკიანი და ჰქონდეს შემოქმედებითი უნარი. დღემდე მსოფლიოს 24 ქვეყნის წარმომადგენელი გახდა ამ კონკურსის გამარჯვებული. მათ შორისაა ისეთი ცნობილი სახელები, როგორებიცაა Zaha Hadid, Anua Hindmarch და სხვ. გამარჯვებულ ქალბატონებს სპეციალური ჟიური გადასცემს დაწესებულ ჯილდოებთან ერთად მათივე სახელებით ამოტვიფრულ თასს და რეიმსში საპატიო ცერემონიალზე დასწრების საშვს.

დასკვნა

უკანასკნელ წლებში ქართველი მეღვინეები დიდ წარმატებებს აღწევენ ფრანგული ნატურალური ღვინის გამოფენებზე. ქართველი მეღვინეები სისტემატურად ესწრებიან ფრანგული ღვინის „ბოჟოლე ნუვოს“ წითელი ღვინის ფესტივალს, რომელიც ნოემბრის თვის მესამე ხუთშაბათს ყოველწლიურად იმართება 2005 წლიდან. „ბოჟოლე ნუვოს“ ღვინო წარმატებით იყიდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წელიწადში 69 მილიონი ბოთლის ოდენობით. ფრანგული ორდენის „ღვინის რაინდები“ ხშირად სტუმრობენ კახეთის რეგიონს და კახეთის მეღვინეთა გილდიის წევრებად ერთიანდებიან. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ-ფრანგული ღვინის ტექნოლოგიების სამეცნიერო სასწავლო-კვლევითი ცენტრის კომპლექსი მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გამოვთქვამთ სურვილს, რომ ქართველ მეწარმე ქალებსაც მიეცეს ამ კონკურსში მონაწილეობის საშუალება, სცადონ ბედი, დაიმსახურონ „Veuve Clicquot” ჯილდო და დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი მსოფლიოს ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კახაბური დ. ღვინის შემადგენლობასა და ხარისხს შორის დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1967;
2. ებელაშვილი ნ. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოკვლევა ვარდისსფერი და ცქრიალა ღვინოების დამზადების პროცესში მათი ტექნოლოგიების სრულყოფის მიზნით. თბილისი, 2006;
3. ხომასურიძე მ., ფრანგული პარადოქსი. საქართველოს პროფესიონალ
4. ქიმიკოსთა ასოციაცია. 2012;
5. Morata A., White Wine Technology. Spain, 2021,
6. http://vinoge.coms
7. http://www.since1011.com/ka/publications.html

Napoleonic Era Entrepreneur Woman

Nino Gomarteli, professor
Georgian Technical University

Marine Meskhia, professor
Georgian Technical University

"Wine is an amazing product, if consumed in moderation,
wine and honey are not only desirable, but
also necessary and necessary for healthy and sick people."
Hippocrates

Summary

Today, the society does not have lack of a business woman. Today, no one is surprised by the representative of female, who is at the head of the company, and 250 years ago, this was not only unthinkable, but even offensive to others, especially if it was a purely male occupation - winemaking. It will turn into vinegar." Who had the courage to break it, but one young woman not only broke the stereotype, but even more denigrated the name of the French, famous for their wine. This extraordinary woman, who did not pay attention to the established tradition, took a very brave step and became the creator of the spirit of the Widow Clicquot, known by the name of his wife Clicquot.

On December 16, 1777, daughter Nicole-Barbe-Ponsardin was born in the family of Ponsardin, a rich textile manufacturer, in the city of Rouen in the province of Champagne.

In 1972, in connection with the 200th anniversary of the establishment of the firm, the foundation was laid for a charity fund that rewards successful, motivated women from all over the world working in any field of business. This means for them a platform for further advancement, establishing contacts with representatives of the international market, media, politicians, potential employees. Every year, on the last weekend of April, an international workshop is held in the city of Reims, where former laureates share their experiences with each other.

It should be noted that in recent years, Georgian winemakers have achieved great success at French natural wine exhibitions. Georgian winemakers systematically attend the red wine festival of French wine Beaujolais Nouveau, which has been held annually since 2005 on the third Thursday of November. Beaujolais Nouveau wine is successfully sold in many countries of the world in the amount of 69 million bottles per year. The "Knights of Wine" of the French Order often visit the Kakheti region and unite as members of the Guild of Kakheti Winemakers. It should also be noted that the complex of the Georgian-French wine technology scientific training and research center is located in the vicinity of Lisi Lake.

We wish that Georgian women entrepreneurs have the opportunity to participate in this competition, try their luck, earn the "Veuve Clicquot" award and take their rightful place in the world market.

ებრაელი ხალხის „უდრეკი ბებია“- გოლდა მეირი

მარინე სურმავა, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ისრაელის ორიათას ხუთას წლიან ისტორიაში დიდი წვლილი შეიტანა ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეირმა. გამბედავი, ენთუზიაზმით სავსე ქალბატონი, რომელსაც, მძიმე ცხოვრებამ და განადგურების მუდმივმა შიშმა განუვითარა, მტკიცე ნებისყოფა პრაქტიკულად ყოველდღე სწირავდა საკუთარ თავს ერთადერთ ოცნებას - ებრაელი ხალხისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუმცა იდეალისტი ბუნებით მეოცნებე, არასოდეს გაურბოდა სირთულეებსადაყველაზეკრიტიკულსიტუაციაშიც ინარჩუნებდა სიმტკიცეს, თვითრწმენასა და პრაგმატულად აზროვნების უნარს.

გოლდა მეირს ეკუთვნის - „სიონის ვარსკვლავი“, „ისრაელის ოქროს დედა“, „სამშობლოსათვის თავგანწირული ქალი“. სწორედ ასე უწოდებდნენ უდიდეს ებრაელ სახელმწიფო მოღვაწეს გოლდა მეირს. იგი არასოდეს მიდიოდა ისეთ კომპრომისზე, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოსათვის ზიანი მიეყენებინა. გოლდა მეირი ჩართული იყო ბევრ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხის გადაჭრის პროცესში. მან თავი დაიმკვიდრა მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში. მისი მოღვაწეობის პერიოდში ასეთი გამოთქმაც კი დამკვიდრდა: „გოლდა - ერთადერთი მამაკაცია მთავრობაში“.

იგი არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოვებული, ის არასოდეს წერდა წინასწარ გამოსასვლელ სიტყვას, არ შეეძლო წინასწარ დაწერილი წაეკითხა. რაც შეეხება ადამიანებთან ურთიერთობას აქ ის ტიპიური ქალივით იქცეოდა. მასთან ურთიერთობაში მყოფი ხალხი შეხვედრისთანავე დადებითად განეწყობოდნენ გოლდასადმი. მას მკაფიოდ უყვარდა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და არასოდეს იყენებდა შირმულ ფორმულირებას. გოლდა მეირი დაჯილდოვებული იყო მედლებით იგი შეიყვანეს კოლორადოს ქალთა დიდების დარბაზის სიაში. გოლდა მეირმა დაწერა მემუარები - „ ჩემი ცხოვრება“. გოლდა მეირი იერუსალიმში ოთხმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა.

საკვანძო სიტყვები: ქვეყანა, მასწავლებელი, ისრაელი, პრემიერ-მინისტრი, ომი, პოლიტიკა, ემიგრანტი, მთავრობა.

შესავალი

„თუ გსურთ ააშენოთ ქვეყანა, რომელშიც თქვენი შვილები დაბრუნდებიან, თუ გსურთ ააშენოთ ქვეყანა, რომელსაც ისინი მხოლოდ შვებულების პერიოდში დატოვებენ, თუ გსურთ შექმნათ სახელმწიფო, რომელშიც მომავლისადმი შიშის გრძნობა არ გექნებათ, მაშინ გადადგით ორი უმთავრესი ნაბიჯი - გამოაცხადეთ კორუფცია ღალატის ტოლფასად, ხოლო კორუმპირებული თანამდებობის პირები შერაცხეთ ქვეყნის მოღალატეებად მეშვიდე თაობამდე. სამი პროფესიის ადამიანები - სამხედროები, მასწავლებლები და ექიმები აქციეთ ყველაზე მაღალანაზღაურებად და პატივსაცემი პროფესიის წარმომადგენლებად და რაც მთავარია - იმუშავეთ, რადგან არავინ გიშველით, არავინ დაგიცავთ საკუთარი თავების გარდა. მხოლოდ თქვენ და არავინ სხვას, არავის სჭირდება თქვენი ქვეყნის წარმატება და კეთილდღეობა. როდესაც ეს გახდება არა უბრალოდ სიტყვები და ლოზუნგი არამედ ცხოვრების გზა, მხოლოდ მაშინ მიაღწევთ მიზანს“. - ეს სიტყვები რკინის ლედად წოდებულ ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, გოლდა მეირს ეკუთვნის - „სიონის ვარსკვლავი“, „ისრაელის ოქროს დედა“, „სამშობლოსათვის თავგანწირული ქალი“, სწორედ ასე უწოდებდნენ გოლდა მეირს - უდიდეს ებრაულ სახელმწიფოს უდიდეს მოღვაწეს, რომლის პატრიოტიზმი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობა მართლაც ფასდაუდებელია ისრაელის ორიათას ხუთას წლიან ისტორიაში, რადგან მის გარეშე შესაძლოა არც ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფო ყოფილიყო.

ძირითადი ნაწილი

გოლდა მაბოვიჩი რუსეთის იმპერიაში, კიევის ებრაულ გეტოში დაიბადა 1898-1978 წწ. მოიშე იცხაკ და ბლუმა მაბოვიჩების ოჯახში, რომელთაც რვა შვილი ყავდათ, თუმცა ხუთი შვილობაში გარდაიცვალა, მხოლოდ გოლდა გადაურჩა სიკვდილს უფროსს დებთან – შეინასა და კლარასთან ერთად.

მე-20-ე საუკუნის დასაწყისში კიევის გუბერნია არაერთხელ გახდა ებრაელების დევნის ადგილი, რის გამოც „ცარისტული“ რუსეთის დატოვება უამრავ ებრაელს მოუწია. გამონაკლისი არც გოლდას ოჯახი ყოფილა. ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში

გადავიდნენ საცხოვრებლად ქალაქ მილუოკში.

ჯერ კიდევ ადრეულ სასკოლო პერიოდში გოლდამ და მისმა მეგობარმა რეგინა ჰამბურგერმა დაარსეს „ახალგაზრდა დების ამერიკული საზოგადება“ რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ იმ მოსწავლეებისათვის თანხის შეგროვება, რომელთაც არ შეეძლოთ წიგნებისათვის და გადასახადისათვის საჭირო სახსრების მოძიება. ამასთანავე ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა ფოტო, რომელზედაც „ახალგაზრდა დების საზოგადება“ იყო ასახული და პირველი ფოტო რომელზეც გოლდა მეირი გახლდათ აღბეჭდილი სადაც ის სიტყვით გამოდიოდა. თოთხმეტი წლის ასაკში მან დაიწყო ემიგრანტების ინგლისურ ენაში მომზადება, ასევე ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა მილუოკის ბიბლიოთეკაში. გოლდა მიემგზავრება სასწავლებლად დენვერში სადაც შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს მორის მეერსონს. ათას ცხრაას ოცდაერთ წელს იგი თავის მეუღლესთან, დასთან - შეინასთნ და მათ შვილებთან ერთდ მილუოკიდან საცხოვრებლად გადავიდნენ პალესტინაში, იმ დროისათვის საკმაოდ პატარა ქალაქ თელ-ავივში.

1920-30- იანი წლების განმავლობაში გოლდას ებრაულ პროფკავშირში წამყვანი თანამდებობები ეკავა მისი მთავარი ამოცანა ევროპიდან გამოხიზნული ებრაელებისათვის საცხოვრებლების მომზადება და პალესტინის ინგლისური ადმინისტრაციის წინააღმდეგ მოქმედება იყო.

მერხავიაში დაიწყო გოლდა მეირის პოლიტიკური კარიერა. თავდაპირველად ის აირჩიეს დასახლების თავმჯდომარედ, შემდეგ კიბუცების მოძრაობის დელეგატად, სადაც გოლდა შეხვდა მუშათა მოძრაობის არაერთ ლიდერს. 1929 და 1930 წლებში გოლდა ხშირად მიემგზავრებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი იმყოფებოდა მუშა ქალთა კავშირის ყრილობაზე. ორჯერ იმყოფებოდა ინგლისში. აქ იგი წარმოადგენდა მუშათა მოძრაობას. 1940 წლებში გოლდა მონაწილეობას იღებდა ებრაელი მოსახლეობის საპროტესტო აქციებში, რომლებიც ბრიტანეთისაგან მოითხოვდნენ პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. გოლდა აირჩიეს ებრაული სააგენტო „სოხნუტ“-ის პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 1948 წლის 14 მაისს გოლდა მეირი იყო მათ შორის, ვინც ხელი მოაწერა ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციას. აქტს ხელი მოაწერა 38-მა ადამიანმა, რომელთა შორის ორი ქალბატონი იყო - გოლდა და რაჰელ კოენ - კაგანი.

გამბედავი, ენთუზიაზმით სავსე ქალბატონი, რომელსაც, ცხოვრებამ და განადგურების მუდმივმა შიშმა განუვითარა მტკიცე ნებისყოფა, პრაქტიკულად ყოველდღე სწირავდა საკუთარ თავს ერთადერთ ოცნებას - ებრაელი ხალხისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუმცა იდეალისტი, ბუნებით მეოცნებე, არასოდეს გაურბოდა სირთულეებსა და ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც ინარჩუნებდა სიმტკიცეს, თვითრწმენასა და პრაგმატულად აზროვნების უნარს.

1948 წლის მაისში დამოუკიდებელი ისრაელის შექმნის შემდეგ, სექტემბერში მეირი წარდგენილი იყო პირველ დიპლომატიურ წარმომადგენლად მოსკოვში. პირველი სახელმწიფო რომელმაც ისრაელი აღიარა დე-იურედ იყო საბჭოთა კავშირი. 1948 წლის სექტემბერში გოლდა მეირი დაინიშნა ისრაელის პირველ ელჩად საბჭოთა კავშირში ამ თანამდებობაზე ის გახლდათ 1949 წლის მარტამდე. მცირე პერიოდის განმავლობაში ყოფნის მიუხედავად გოლდამ მოახერხა მოსკოვის სინაგოგაში უამრავი მომხრეები შემოეკრიბა. სადაც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ებრაელებს პირადად აუწყა ისრაელის დამოუკიდებლობის შესახებ. 1949 წელს გოლდა პირველ ქნესეთში აირჩიეს.

1958-1966 წლებში მეირი გახლდათ საგარეო საქმეთა მინისტრი ბენ - გურიონის დაჟინებული თხოვნით მაშინ ჯერ კიდევ მერსონის გვარით ცნობილი გოლდა, ივრითულ გვარხე გადავიდა - მეირი, რაც „განმანათლებელს“ ნიშნავს.

1956 წელს ისრაელში დაიწყო სინოისტური კომპანია. გოლდა ცდილობდა ჩიხიდან გამოსვლას, რომელშიც ისრაელი იყო აღმოჩენილი არაბული დაპირისპირებების შედეგად. სამწუხაროდ, მისი არცერთი გამოსვლა არ იყო სათანადოდ გაგებული და აღქმული არაბული მხრიდან, ისინი დემონსტრაციულად ტოვებდნენ და უშლიდნენ ხელს მშვიდობის დამყარებას. არაბული სახელმწიფოების ელჩები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ შენობასა და არ სხდებოდნენ მაგიდასთან სალაპარაკოდ.

მეირი მიიჩნევდა, რომ მეგობრული ურთიერთობები უნდა ჩამოეყალიბებინა ლათინურ ამერიკასა და აფრიკის ქვეყნებთან. გოლდამ აფრიკული ქვეყნების დახმარების ეფექტური სისტემა შექმნა, პირველ რიგში, ის გულისხმობდა მათი განათლების დონის ამაღლებას. აფრიკელებიც ხედავდნენ მეგობარს, რომელიც დახმარებისათვის იყო მოსული. 1962 წელს მეირი ეწვია შორეულ აღმოსავლეთს. იაპონიაში ერთ კვირაზე მეტი გაატარა სადაც ის იმპერატორს, პრემიერ-მინისტრს და საგარეო

საქმეთ მინისტრს შეხვდა.

1966-1968 წლებში გოლდა მეირი სოციალ-დემოკრატიული სიონისტური პარტიის - მაპის გენერალურ მდივანს წარმოადგენდა. 5 წლის განმავლობაში იგი თავმჯდომარეობდა ისრაელის ხელისუფლებას. გოლდა არასოდეს არ მიდიოდა ისეთ კომპრომისზე, რომელსაც შეეძლო სახელმწიფოს ღირსებისათვის ზიანი მიეყენებინა. სწორად ამით ხსნის უამრავი მეცნიერი მის მიერ ხისტად მიღებულ არაერთ გადაწყვეტილებას.

შემდეგი 5 წლის განმავლობაში 1969-1974 წწ. იგი ისრაელის მთავრობას მეთაურობდა. ამ პერიოდში მან თავი დაიმკვიდრა მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში ჩართული იყო ბევრ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხის გადაჭრის პროცესში. გოლდა მეირი, იმ მცირერიცხოვან ქალთა რიგებს მიეკუთვნებოდა, რომელთაც მოახერხეს სახელმწიფო სათავეში მოსვლა, მისი მოღვაწეობის პერიოდში ასეთი გამოთქმაც კი დამკვიდრდა: „ გოლდა- ერთადერთი მამაკაცია მთავრობაში“. გოლდა არაჩვეულებრივი ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული, ის არასოდეს წერდა წინასწარ გამოსვლის სიტყვას, არ შეეძლო წინასწარ დაწერილი სიტყვის წაკითხვა. რაც შეეხება ადამიანებთან ურთიერთობას, აქ ის ტიპიური ქალივით იქცეოდა. ადამიანებს ის ხშირად აფასებდა ირაციონალური შეგრძნებებისა და თანდაყოლილი ინტუიციის საფუძველზე, მაგრამ ერთხელ ჩამოყალიბებული წარმოდგენა ძალიან რთულად ეცვლებოდა. გოლდასთან ურთიერთობაში მყოფი ხალხი შეხვედრისთანავე დადებითად განეწყობოდნენ ხოლმე. მას მკაფიოდ უყვარდა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და არასდროს იყენებდა შირმულ ფორმულირებას: „ამ კითხვაზე პასუხი არ მოიძებნა“, თუ მას არ შეეძლო ან არ სურდა კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ის ახერხებდა საუბრის მიმართულება შეეცვალა ან ანეკდოტი მოეყოლა, რითაც არასასურველ საუბარს თავიდან იცილებდა.

როდესაც გოლდა რომის პაპთან მიდიოდა შეხვედრაზე, ის უნორმო სიამაყეს განიცდიდა, რადგან გოლდა - უბრალო ებრაელი დურგლის შვილი, ებრაულ ხალხს კათოლიკური ეკლესიის მეთაურის წინაშე წარადგენდა „ მე მჯერა, რომ ჩვენ გვექნება მშვიდობიანი ურთიერთობები მეზობლებთან, თუმცა მივიჩნევ, რომ არცერთ მათგანს არ მოუნდება მშვიდობის დამყარება დასუსტებულ ისრაელთან - თუკი ისრაელი ძლიერი არ იქნება, მშვიდობა ვერ დამყარდება“ - ამბობდა ის.

გოლდა მეირს, არ უყვარდა ისეთ კომპრომისებზე წასვლა, რაც ზიანს მიაყენებდა მის ქვეყანას, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მისი არასაკმარისი მოქნილობა და რწმენა იმისა, რომ არაბ-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა შეუძლებელი იყო. ერთხელ მან აღნიშნა: „ისრაელის პრობლემა იმაშია, რომ საბოლოო ჯამში ის ყოველთვის მარტო რჩება“.

1972 წლის ზაფხულში მიუნხენში მიმდინარე ოლიმპიური თამაშების დროს პალესტინური წარმოშობის სამხედრო დაჯგუფება „შავი სექტემბერი“ ისრაელის ოლიმპიურ ნაკრებს სასტიკად გაუსწორდა. ამის შემდგომ მეირმა მოუწოდა მსოფლიოს მოეძებნათ და გასწორებოდნენ ყველას, ვინც მონაწილე იყო ამ ტერაქტისა: „გადავარჩინოთ ჩვენი მოქალაქეები და დავგმოთ ჩადენილი უსიტყვო დანაშაულებრივი ქმედებები“. გოლდას ამ განცხადებას არანაირი გავლენა არ ჰქონია. რის შემდეგაც მან უბრძანა „მოსადს“, რომ დაეწყოთ იმ ადამიანებზე ნადირობა, რომლებიც ტერაქტში გარეულები იყვნენ. ამასთანავე მისი დაჟინებული თხოვნით „პელპისა“ და „შავი სექტემბრის“ თავმჯდომარეები უნდა ეპოვათ. „მოსადმა“ დავალება დამაკმაყოფილებლად შეასრულა და ტერაქტის ორგანიზატორები დასაჯა. ამავე მოვლენებზე 2005 წელს სტივენ სპილბერგმა გადაიღო ფილმი „მიუნხენი“.

მომდევნო წლებში როდესაც გოლდა მეირი ხელისუფლების მეთაური გახდა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა ისრაელისათვის ყველაზე ტრაგიკული იომ-ქიფურის ომი. როგორც ცნობილია, ომი დაიწყო ისრაელის ჯარის მარცხით, რომელმაც ვერ შეძლო წინასწარ გაეთვალა ეგვიპტისა და სირიის მიერ დარტყმის მზადება. ამ ომის დასრულება დიდ წილად არის გოლდა მეირის დამსახურება. ეგვიპტესა და ისრაელს შორის მშვიდობიანი შეთანხმების შესახებ ტექსტს ხელი მოეწერა 1973 წლის 11 ნოემბერს ქაირო-სუეცის გზაზე. 71 წლის გოლდა მეირი პრემიერ-მინისტრის სტატუსით დააბრუნეს აქტიურ პოლიტიკაში. 5 ურთულესი წლის განმავლობაში ებრაელი ერის „კეთილშობილმა ბებიამ“ ძალზე სერიოზული მოლაპარაკებები აწარმოა საერთაშორისო თანამეგობრობასთან და გამარჯვებით დაასრულა იომ-ქიფურის უმძიმესი ომი.

ისრაელის რიგით მეოთხე ლეგენდარული პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი მთელი ძალისხმევით ცდილობდა, რომ ახლადჩამოყალიბებული და ჯერ კიდევ არასაკმარისად ძლიერი ისრაელის სახელმწიფოსათვის გავლენიანი „მფარველი“ მოეძებნათ. სწორედ ეს გახლდათ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ „რკინის ლედად წოდებული ქალი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მუდმივად მოუწოდებდა დახმარება გაეწია მისი

ქვეყნისთვის. ცნობილია, რომ გოლდას პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, ამერიკის მდივნის პოსტი ეკავა ებრაული წარმომავლობის მქონე პირს - ჰენრი კისინჯერს. კისინჯერის ებრაული წარმომავლობის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული გოლდაც, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ თავისი ერის შვილს დიდი დახმარების აღმოჩენა შეეძლო ისრაელისათვის. მეირის ერთ-ერთ წერილში, რომელიც გაგზავნილ იქნა კისინჯერისათვის, გამოხატული იყო თხოვნა იმის შესახებ, რომ პირველ ხარისხოვან პრიორიტეტად ამერიკის შეერთებულ შტატებს - ისრაელი დაესახათ. წერილის გაგზავნიდან გოლდამ მალევე მიიღო პასუხი პრემიერ-მინისტრისაგან, სადაც ხაზგასმით ეწერა - „პირველ რიგში მე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ვარ, მეორე რიგში ქვეყნის სახელმწიფო მდივანი, ხოლო მესამე რიგში - ებრაელი“.

გაეცნო რა გოლდა ჰენრის წერილს, მასთან უმალვე აფრინა ერთობ ლაკონური წერილი, რომელშიც ეწერა: - თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ, ისრაელში, მარჯვნიდან მარცხნივ ვკითხულობთ.

დასკვნა

გოლდა მეირი მიჩნეულია ისრაელის ეროვნულ სიამაყედ. სწორედ ამ გამორჩეულად ნიჭიერ პოლიტიკოსს, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორისა და ისრაელის პრემიის ლაურიატის წოდება მიანიჭეს.

1974 წლის 11 აპრილს გოლდა მეირი გადადგა მეირი დაჯილდოვებული იყო მედლებით: 1971 წელს – „ იერუსალიმის განთავისუფლებისათვის“.

1974 წელს მიენიჭა „ მსოფლიო დედის წოდება“.

1974 წელს მეირს მიენიჭა ასევე ჯეიმს მედისონის ჯილდო „დაუღალავი საზოგადოებრივი შრომისათვის“, რომელიც მას პრიტონის უნივერსიტეტის საზოგადოებამ გადასცა.

1975 წელს მიენიჭა ისრაელის პრემია საზოგადოებასა და ისრაელის სახელმწიფოსათვის გაწეული წვლილისათვის.

1975 წელს გოლდა მეირი შეიყვანეს კოლორადოს ქალთა დიდების დარბაზის სიაში. გოლდა მეირმა დაწერა მემუარები - „ჩემი ცხოვრება“.

1978 წელს გოლდა მეირი ოთხმოცი წლის ასაკში იერუსალიმში გარდაიცვალა. ნიუ-იორკში აღმართულია ძეგლი მის პატივსაცემად.

1982 წელს დიდ ბრიტანეთში გადაიღეს მხატვრული ფილმი გოლდა მეირის საპატივცემულოდ - „ ქალბატონი სახელად გოლდა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოლდა მეირი. ჩემი ცხოვრება. 1975;
2. მახარაძე მ. გოლდა მეირი. 2015;

Relentless grandmother of jewish people - Golda Meir

Marine Surmava, associate professor
Georgian Technical University

Summary

Golda Meir, the former Prime Minister of Israel, assembled a significant contribution to Israel's two thousand and five-hundred-year history. A courageous enthusiastic woman whose hard life and constant fear of destruction had developed a powerful will to her. Every day she devoted herself to her only dream- to gain freedom and independence for the Jewish people. However, an idealist and a dreamer by nature, Golda Meir never shied away from difficulties. In the most critical circumstances, she maintained strength, self-confidence, and the ability to think pragmatically.

Golda Meir has been described as the star of Zion, "the Golden mother of Israel ", and “a woman who sacrificed herself for her motherland”.

She never went for such a compromise that could harm the dignity of her country. Golda Meir was involved in the process of solving many essential international issues. She established herself in the political elite. During her work as a Head of State, an expression was confirmed: “Golda is the only man in the government”.

Golda Meir was gifted with extraordinary oratorical talent, never writing a speech in advance. People who were in contact with Golda Meir would have a positive attitude toward her simplicity, she was clearly stating her position and never used false wording.

Keywords: Country, teacher, Israel, Prime Minister, war, emigrant, politics, government.

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

A R C H E O L O G Y

ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია

თამარ ხოხობაშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლამარა გიორგაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მცხეთამ და მისმა შემოგარენმა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლები შემოინახა. არქეოლოგიურ აღმოჩენათა შედეგად, ანტიკური ხანის ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით, საყურადღებო ძეგლებია გამოკვეთილი. იმ ნაგებობებს შორის, რომელიც არმაზციხის შიდა ტერიტორიაზეა აღმოჩენილი, განსაკუთრებით გამოირჩევა ქვედა ტერასაზე გათხრილ შენობათა კომპლექსი. ამ კომპლექსის მთავარი ნაგებობა ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენციის ე. წ. სვეტებიანი დარბაზის სახელით არის ცნობილი.

ქართლის უძველესი დედაქალაქის მცხეთის სამეფო რეზიდენციის არქეოლოგიური კველევითი სამუშაოები XIX საუკუნის მიწურულს, 1889 წელს, ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ განხორციელდა. არქეოლოგიური კვლევებით გამოვლინდა: სასახლის ნანგრევები, მოხატული კედლის ფრაგმენტები, მინის ჭურჭლის ნატეხები, ძვირფასი სამკაულები და სხვა (თაყაიშვილი, 1968, გვ. 371; კავლელაშვილი, 1996, გვ.133 -149).

გასული საუკუნის ორმოციან წლებში ძეგლზე სტაციონალური არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით. სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა სამეფო სასახლე. არმაზციხე, სადაც იბერიის მეფეთა რეზიფენციია აღმოჩენილი, მოიცავს ორ ნაწილს, კარსნისხევსა და არმაზის მთას შორის მტკვრის ტერასულ ბაქანზე განლაგებულ სამეფო რეზიდენციას და მთის წვერზე მდებარე შიდაციხეს.

ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქართველი და უცხოელი მკვლევარები, არმაზში გამოვლენილი ძვ.წ. III-I საუკუნეებით დათარიღებული სამეფო სასახლის შესწავლის საფუძველზე აღნიშნავენ, მონუმენტურობითა და არქიტექტურული სტილის მიხედვით, სამეფო სასახლე, სავარაუდოდ, ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. არმაზის სვეტებიანი დარბაზი ძლიერ ჰგავს თალ-ჰალაფის სასახლეს, რომლის მსგავსი ნაგებობა აღმოჩენილია კარმირ-ბლურზეც (სომხეთი). არქეოლოგიური აღმოჩენები, მცხეთასა და მის მიდამოებში, გვაძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, წინაელინისტურ ხანაში ქართლის იბერიის სამეფოში საქალაქო ცხოვრების არსებობის შესახებ.

შესავალი

სვეტებიანი დარბაზი, არქიტექტურული სტილის მიხედვით, მონუმენტურობითა და მორთულობით, მეფის სასახლე ან სასახლის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამგვარი მოსაზრება აკად. ანდრ. აფაქიძესაც აქვს გამოთქმული: „შენობის მონუმენტურობა, სწორი გეგმა, აღმოჩენილი სვეტის თავი და სვეტის ძირი საგანგებოდ შერჩეული ქვის კარგად გათლილი ზღურბლი, სქელი და საკმაოდ კარგად შედუღაბებული კედლები, მაშინვე მიგვანიშნებდნენ, რომ საქმე გვქონდა წარჩინებულთა წრის სასახლის, ტაძრის ტიპის ნაგებობასთან, რომელთანაც უთუოდ მჭიდროდ უნდა ყოფილიყო თავის დროზე დაკავშირებული. ასეთ მოსაზრებას სხვა მომენტებიც აძლიერებდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ

სასახლეს ჩრდილოეთით აბანოსაკენ დიდი ღია კარი ჰქონია, რომლის ზღურბლი თავის ადგილზე არის დღემდე შემორჩენილი. კედლების გაწმენდისას ისიც გაირკვა, რომ სასახლის ეზო სათანადო ადგილებში წვრილი ფილაქნებით ყოფილა მოფენილი. ნაგებობის მნიშვნელობის დამახასიათებლად სახურავიც მიუთითებდა, კერძოდ კრამიტის ნატეხები, რადგან კრამიტით გადახურული, ძვირფასი ჩუქურთმებიანი დეტალებით შემკული, სქელკედლიანი და მონუმენტური ნაგებობა, მხოლოდ წარჩინებულთა წრის კუთვნილებად ან საზოგადოებრივ, თუ სახელმწიფო დანიშნულების ნაგებობად უნდა ყოფილიყო მიჩნეული იმთავითვე." (აფაქიძე, 1963, გვ. 28, 18).

ძირითადი ნაწილი

სვეტებიანი დარბაზი სამეფო სასახლის ცენტრალურ ადგილას იდგა. იგი არმაზის ციხის I ხანისაა. პირველი ხანის მშენებლობა ქართლოსს მიეწერება: ... „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი." ამ ხანას უნდა უკავშირდებოდეს ბაგინეთის ნაგებობათა ნაშთების უძველესი ფენა, რომელსაც, პირობითად, არმაზციხე პირველი ეწოდა. „ცნობები, ამ ხანის მშენებლობის შემდგომი საფეხურის შესახებაც, „ქართლის ცხოვრებამ" შემოგვინახა. ახლა უკვე ქართლოსის მეუღლე განაგრძობს მშენებლობას - „და შემდგომ ამისა ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე" (ანდ. აფაქიძე1963, 24, 25).

ძვ.წ. III-I საუკუნეებით დათარიღებული სამეფო რეზიდენციის ე.წ. სვეტებიანი დარბაზი, ქართლის მთის ტერასაზე მდებარეობს, რომლის ფართობი დაახლოებით 185 კვ. მ. აღწევს (24მX12მ.), მისი ღია გალერეა წინა საფასადო მხარესაა. სვეტებიანი დარბაზის ნაგებობის ექსტერიერი მართკუთხა იყო. მის დასავლეთ კედელს მართი კუთხით უკავშირდებოდა ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. ნაგებობის ინტერიერში, გეგმის მიხედვით, აბსიდები იკითხებოდა, რომლებიც გამოყვანილი იყო ალიზის კვადრატული აგურებით. ნახევარი აბსიდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებთან ისახებოდა, ორი დასავლეთის კედელთან. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლის აბსიდების რადიუსია 2.25მ, დასავლეთის 66, კედლის ადსიდებისა კი - 2.1მ. ხის მორების კარკასით იყო გამაგრებული აბსიდების გადაბმის ადგილები.

შემორჩენილი ოთხივე კედელი კარგად გათლილი ქვიშაქვის ბლოკებისაგანაა აგებული. გარედან მხოლოდ სამი კედელი ჩანს - აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. დარბაზის კედლები, გარკვეულ დონემდე, ნაგებია კარგად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით, შემდეგ კი ალიზის აგურით იყო ამოყვანილი. დარბაზის აღმოსავლეთის კედელში იყო გაჭრილი შესასვლელი. შესასვლელი კარის ორივე მხარეს ანტისებრი შვერილია, რაც პოსტამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამორიცხული არა არის, რომ მათზე ქანდაკებები მდგარიყო. დარბაზის შუაში, მთელ სიგრძეზე, ყოველი სამი მეტრის დაშორებით, აღმართული იყო ხის სვეტები, ქვის ბაზისებსა და კაპიტელებში მოქცეული (სულ 6 სვეტი). დარბაზში აღმოჩენილი სვეტის ბაზები და თავები ტოსკანურ ორდერს ჰგავს, რაც დორიული ორდერის რომაული ადაპტაცია იყო (ულრიჩი & ქვენემონი 2013, გვ. 207).

არმაზის გეგმარებაში აშკარაა ფერდობის დატერასება და შენობების სხვადასხვა ტერასაზე განლაგება. სვეტებიანი დარბაზიდან გარკვეული ხედიც იშლება, მაგრამ არ ჩანს შენობებისა და ტერასების დამაკავშირებელი გზები, რადგანაც ნამოსახლარი სრულად არ არის გათხრილი. ამიტომ, ვერ ვიტყვი, თუ რომელ მოდელს - ,,დახურულს" თუ ,,გახსნილს" - მიეკუთვნება სვეტებიანი დარბაზი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ის ხაზოვანი არქიტექტურის ნამუშია. სასახლეების გეგმარების განხილვისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სასახლის ფორმა, დანიშნულების მიხედვით, ყალიბდებოდა ანუ სასახლის ფუნქცია სასახლის ფორმას განაპირობებდა და არა პირიქით (ნილსენი, 1994, გვ.13). ფერდობშია შეჭრილი დარბაზის დასავლეთი კედელი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. შენობის მთავარ ფასადს აღმოსავლეთი კედელი წარმოადგენს, რომელიც ქვიშაქვის ერთ რიგიან პლინტუსს ეყრდნობა. ცენტრალური აღმოსავლეთი ფასადის კედლის შუაში გაჭრილია დარბაზში შესასვლელი ერთადერთი კარის ღიობი (სიგანე 1.65მ), საიდანაც დარბაზში ჩადის ოთხ საფეხურიანი კიბე. როგორც ჩანს, ამ ოთხსაფეხურიანი კიბის საშუალებით დარბაზში ჩადიოდნენ. დარბაზის შიდა სივრცე, ინტერიერი 189 კვ.მ. (21მX9მ).

ხაზოვანი არქიტექტურის ნიმუშს განეკუთვნება სვეტებიანი დარბაზი ფორმით. რომაულ ხანაში ელინისტური სასახლეების არქიტექტურა და მათი განვითარება მოცემულია ინგე ნილსენის წიგნში „ელინისტური სასახლეები – ტრადიცია და განახლება." ელინისტური აღმოსავლეთის

სასახლის არქიტექტურაში ხაზოვანი ფორმები ძალზე გავრცელებული იყო. მაგ, ჰასმონიანთა დინასტიის სასახლე იერიქონში, ციტადელის სასახლე დურა ევროპოსში, უფლისწულის სასახლე კასრ ელ აბდ იორდანიაში (ნილსენი 1994, 241-242). ახლო აღმოსავლეთში რომაულ ექსპანსიასა და გავლენას უკავშირდება მრგვალი ან ოვალური ნაგებობების აღმოცენება და მისი განვითარება ამის დადასტურებაა ჰეროდეს სასახლეები კესარეაში, მასადაში და ზამთრის სასახლეები იმავე იერიქონში (ნილსენი 1994, 185, 194, 241, 242). ელინისტური სტილის სასახლეების არქიტექტურაში ორი მოდელი დომინირებდა - ე.წ. „დახურული“ და „გახსნილი,“ ანუ პერისტილოსი და პორტიკოსი. ამგვარი დაყოფის კრიტერიუმს შენობების განლაგება და სასახლის ლანდშაფტზე მდებარეობა განსაზღვრავდა. დახურულ მოდელში შენობები მთავარი ფასადით შიგნით, პერისტილის გარშემო მდებარეობდა, გახსნილში ლანდშაფტს უყურებდა შენობების პორტიკები და ტერასები. ერთი მოდელის არსებობა არ გამორიცხავდა მეორეს. ერთ სასახლეში ორივეს ნიშნები შეიძლება ყოფილიყო შერწყმული. ხშირ შემთხვევაში სასახლეები ტერასებზე მდებარეობდა. ძირითადი აქცენტი დახურული და შერეული სტილის სასახლეებში პერისტილზე კეთდებოდა, რომლის შესასვლელთანაც ბაღი იყო ხოლმე (აფაქიძე, 1963, გვ. 26-27).

ოთხკუთხა ფოსოები შემორჩენილია (11სმX-8სმ) დარბაზის სამ კედელზე, სამხრეთი კედლის გარდა. ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგმა, დოქტორმა ჯანეტ დილეინმა, წარმოადგინა (დილეინი, 2007) ხარაჩოს ძელების მართკუთხა ფოსოების ინოვაციური კვლევა. ფოსოების ფუნქცია, 1940 - იან წლებში, სხვა და სხვაგვარად განსაზღვრეს დ. მშვენიერაძემ და კ. მელითაურმა. ისინი, მშვენიერაძემ, სიმდიდრის დასაწყობი თაროების კონსოლებისთვის განკუთვნილ ბუდეებად მიიჩნია (მშვენიერაძე, 1952, გვ. 26), მელითაურმა იარაღის დასაწყობ სტელაჟებად. ვ. ნიკოლაიშვილმაც იგივე აზრი გამოთქვა (ნიკოლაიშვილი, 2011, გვ. 22). ა. აფაქიძემ გაიზიარა მშვენიერაძის მოსაზრება, ფოსოები სამშენებლო ხარაჩოთა ბუდეებს მიამსგავსა და აღნიშნა ფოსოების ანტისეისმურ სამაგრებთან კავშირი (აფაქიძე, 1963, გვ. 27). მსგავსი ფოსოები გამოვლენილია მრავალ არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლზე. მაგალითად, პერგამონის აკროპოლისის კედლების შიდა მხარეს, ასოსში - ელინისტური ხანის სტოას კედლებზე, პომპეის სხვადასხვა ნაგებობებზე, ტრაიანეს ტაძრის კოლონების საყრდენ კედლებზე და ა.შ.

დარბაზის იატაკი ვარდისფერი ტუფოგენური ქვიშაქვის ფხვნილითაა მოტკეპნილი. ქვიშაქვის ექვსი ბაზა ჩამწკრივებული იყო ცენტრში, სამხრეთ-ჩრდილოეთ გრძივ ღერძზე, რომელიც ორ ნაწილად ყოფდა დარბაზის სივრცეს. ბაზა მრგვალი იყო (დიამეტრი 0.45მ, სიმაღლე 0.4მ), ჰქონდა მართკუთხა პლინტუსი. ზედაპირზე ამოკვეთილი იყო ფოსო (დიამეტრი 5სმ, სიღრმე 3სმ). გამოვლინდა ადგილმონაცვლებული ქვიშაქვის სადა, მართკუთხა, ექვსი კაპიტელი აბაკუსით. დარბაზს, აღმოსავლეთის ფასადზე, ჰქონდა ხუთ სვეტზე დაყრდნობილი ღია გალერეა. კრამიტის ორფერდა სახურავი ჰქონდა მთლიანად ნაგებობას. ამ აღმოჩენით დასტურდება სტრაბონის ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქი მცხეთა კრამიტით დახურული სახლებისგან შედგებოდა. სვეტებიანი დარბაზი, სავარაუდოდ, აღმოსავლეთი მხრიდან ნათდებოდა, რადგან სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ნაგებობები ჰქონდა მიდგმული. მიწაში ჩადგმული დასავლეთის კედელი ბოლომდე ქვიშაქვის კვადრებით იყო აგებული. სვეტებიანი დარბაზი საფუძვლიანად და არქიტექტურული გეგმის მიხედვით ზედმიწევნით კარგად არის აგებული. ასევე სამშენებლო გეგმის მიხედვით ჩანს მომზადებული. ნაქალაქარის ის ნაწილი, სადაც დარბაზია აშენებული, რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალში გამოიხატება. სამშენებლო ფართობი ხელოვნურად მოსწორებული და საგანგებოდ დატერასებულია, რომელიც შექმნილია ფერდობის მოჭრის შედეგად.

აღმოჩენილია სვეტებიან დარბაზში კედლის შელესილობის ფრაგმენტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დარბაზი შიგნიდან შელესილი იყო. როგორც ჩანს, სხვადასხვა დეკორაციით უნდა ყოფილიყო მორთული შელესილი კედლები. აკად. ან. აფაქიძე აღნიშნავს: „დარბაზში რამდენიმე არტეფაქტი აღმოჩნდა ძვლის ფირფიტა შიშველი ქალის გამოსახულებით, ოქროს ფირფიტების ფრაგმენტები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები, ბრინჯაოს ბალთა და ბრინჯაოს ფარგალი“ (აფაქიძე 1963, 26-27). სვეტებიან დარბაზში აღმოჩენილ ძვლის პატარა ფირფიტაზე გამოკვეთილი შიშველი ქალის ფიგურა, ძალზე წააგავს კალეჰ იაზდიგირდის (ირანი) არქიტექტურული ანსამბლის ერთ-ერთი ოთახის ინტერიერში გამოვლენილ მოხატულობას. ამგვარი შელესილობისა და მოხატულობის გავრცელება პართიაში არშაკიდების დინასტიას უკავშირდება. კალეჰ იაზდიგირდის მოხატული შელესილობა კი გვიანი პართული ხანით, მეორე საუკუნით თარიღდება (ქილი 1977, 8-9). მე-11ˢ

ოთახის წახნაგოვანი სვეტები ბათქაშის სქელი ფენით იყო შელესილი და მასზე ფერადი საღებავით შესრულებული შიშველი ქალის ფიგურა იყო გამოსახული - ე. წ. მოცეკვავე ქალი (ჰერმანი, 1977, გვ. 71). ქალის თმის ვარცხნილობა და პოზა თითქმის იდენტურია სვეტებიან დარბაზში აღმოჩენილ ფირფიტაზე აღბეჭდილი ქალის ფიგურისა. ქართველი მკვლევრები ამ არტეფაქტს ძვ. წ. მესამე - პირველი საუკუნეებით ათარიღებდნენ (აფაქიძე, 1963, გვ. 26-27; ნიკოლაიშვილი 2011, გვ. 22).

სასახლეები სოციალური აქტივობებისთვისაც იყო გამიზნული. მათი მფლობელები საქმეს გართობასა და დროსტარებასთან აკავშირებდნენ. წვეულება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასახლის კარზე, ამიტომ სასახლეებს სასადილო ოთახები ჰქონდა (ნილსენი 1994,168). მეფის ძლევამოსილებისა და სიმდიდრისა წარმოჩენაში მდგომარეობდა სასახლეების ძირითადი დანიშნულება. არქიტექტორის მთავარ ამოცანას მეფისთვის სამფლობელოს ადვილად დანახვა და ხელის მიწვდომა წარმოადგენდა. ამავე დროს, მეფე მისგან ზემყოფი და აღმატებული უნდა ყოფილიყო. აუცილებელი იყო კიბეებით ან პანდუსებით დაკავშირება ტერასებისა და პლატფორმების ერთმანეთთან და მეფის სასახლის მბრძანებლური, გამაკონტროლებელი პოზიციის ჩვენება. იმ ტერიტორიას გადაჰყურებდა მეფის სასახლის მონუმენტური ფასადი, რომელსაც ის განაგებდა. ყოველივე ეს ძლიერი საინჟინრო ტექნიკის ფლობას მოითხოვდა (ნილსენი 1994, 209- 211). ელინისტურ სასახლეებს, განსაკუთრებით, ანტიოქიის, პერგამონისა და ალექსანდრიისას, დიდი გავლენა ჰქონდა რესპუბლიკურ და, ზოგადად, ადრეულ რომაულ არქიტექტურაზე. ეს განსაკუთრებით საცხოვრებელ არქიტექტურაზე - კერძო სასახლეებსა და ვილებზე აისახა (ნილსენი 1994, 216).

დასკვნა

სვეტებიანი დარბაზი უადრესია ნაქალაქარზე გამოვლენილ შენობათა შორის ქვის მშრალი წყობის, სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული სტილის (ხაზოვანი არქიტექტურა) მიხედვით. დ. მშვენიერაძე (1952, 25), ა. აფაქიძე (1963, 26) და კ. მელითაური (1969, 58) დარბაზის ქვის მშრალ წყობას ადასტურებენ. დ. მშვენიერაძე ძვ.წ. მეხუთე საუკუნით ათარიღებს მშრალ წყობას, ანუ ქვითკირის შემოღებამდე დროის მონაკვეთს არდამის, ანუ ალექსანდრე მაკედონელის წინა პერიოდს უკავშირებს (მშვენიერაძე, 1952, გვ. 27), ა. აფაქიძე ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებით განსაზღვრავს, ნაქალაქარის მშრალი წყობით ნაგებ სასიმაგრო კედლებთან ავლებს პარალელს და ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებით ათარიღებს (1963, 25), ძვლის პართული ფირფიტის მიხედვით, ვ. ნიკოლაიშვილი ძვ.წ. მესამე-პირველ საუკუნეებს აკუთვნებს. ამ კვლევების მიხედვით, ის, ჯერჯერობით, ერთადერთი არქიტექტურული ნაგებობაა, რომელმაც არმაზის დედაქალაქობის ხანის ძვ.წ. III - I სს. წარმოაჩინა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აფაქიძე. მცხეთა ქართლის სამეფოს დედაქალაქი. თბ., 1959.
2. ა. აფაქიძე. არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ.IV, ნაკვ.I, თბ., 1958.
3. ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I. თბ., 1963.
4. ა. აფაქიძე,ვ.ნიკოლაიშვილი, გ.ყიფიანი. არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე, 1998 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. III სესია, მცხეთა-თბილისი, 1999.
5. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV. თბ., 1973.
6. ე. კავლელიშვილი არმაზციხე-ბაგინეთის კედლის მხატვრობის ნაშთები ა.წ. I საუკუნისა. მცხეთა XI. თბ., 1996.

The residence of the kings of Kartli (Iberia)

Tamar Khokhobashvili, professor
Georgian Technical University

Lamara Giorgashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Mtskheta and its surroundings have preserved very important monuments for the history of Georgian architecture. As a result of archeological discoveries, important monuments have been identified from the point of view of the history of architecture of the ancient times. Among the structures found in the inner territory of Armaztsikhe, the complex of buildings excavated on the lower terrace stands out. The main building of this complex is the residence of the kings of Kartli (Iberia). year It is known as the pillared hall.

Archaeological research of the royal residence of Mtskheti, the ancient capital of Kartli, was carried out at the end of the 19th century, in 1889, by Ilia Chavchavadze and Ekvtime Takaishvili. Archeological research revealed: ruins of the palace, fragments of painted walls, fragments of glass vessels, valuable jewelry and others (Taqaishvili 1968: 371; Kavlelashvili 1996: 133-149).

In the 40s of the last century, permanent archaeological works were carried out on the monument under the leadership of academicians Simon Janashia and Andria Afakidze. As a result of the works, the royal palace was found. Armaztsikhe, where the residence of the kings of Iberia was found, includes two parts, the royal residence located on the Mtkvari terraced platform between Karsnikhe and Armaz mountains, and the Shidatsikhe located on the top of the mountain.

Georgian and foreign researchers of the history of the Kingdom of Kartli (Iberia) discovered in Armaz BC. Based on the study of the royal palace dating from the III-I centuries, it is noted that, according to its monumentality and architectural style, the royal palace should have been the residence of the kings of Kartli (Iberia). The columned hall of Armazi is very similar to the Tal-Halafi Palace, a similar building of which was also found in Karmir-Blur (Armenia). Archaeological findings in Mtskheta and its surroundings give us the basis for the assumption of the existence of urban life in the Iberian kingdom of Kartli in the pre-Hellenistic period.

ნეოლითისა და ადრესამიწათმოქმედო კულტურის ურთიერთობის საკითხები

ყიფშიძე შორენა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენი კვლევის ობიექტია ნეოლითისა და ადრესამიწათმოქმედო კულტურის ურთიერთობის საკითხები. ახალი ქვის ხანა, ნეოლითი კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ ისტორია ძირითადად სახელმწიფოსა და დამწერლობის წარმოშობიდან იწყება, მაგრამ ნეოლითის ეპოქა იმდენად მნიშვნელოვანია კაცობრიობის ისტორიაში, რომ მეცნიერებმა გადაწყვიტეს მსოფლიო ისტორიის ეს კურსი ნეოლითიდან დაიწყონ.

ასეთ მიდგომას თავისი ახსნა მოეძებნება: ახალი ქვის ხანა, ეს ის ეპოქაა, როდესაც იწყება ადამიანის ცხოვრების ფორმირება, საფუძველი ეყრება თანამდროვე ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ უამრავ მოვლენასა თუ ინსტიტუტს, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა, ტექნოლოგიებისა და მშენებლობის განვითარება, რელიგიური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, წინარე სახელმწიფოს სტრუქტურების ფორმირება და სხვა. მეცნიერების აზრით, ნეოლითის ეპოქა იმხელა ცვლილებების ეპოქაა, რომ მომხდარი ცვლილებების ანალიზის გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის განვითარების სრულყოფილი სურათის შექმნა (ახვლედიანი ლევან, ნეოლითი - ცვლილებები ნეოლითში, სოციალური ორგანიზაციის ფორმები ნეოლითში (ფერაძე, 2014).

ეს ის პერიოდია როცა რადიკალურად იცვლება ადამიანის ცხოვრების ხასიათი, რაც მკვეთრად აისახა მისი ცხოვრების პირობებზე. დასრულდა პალეოლითში გავრცელებული მითვისებით მეურნეობის ხანგრძლივი პერიოდი და საფუძველი ჩაეყარა წარმოებით ეკონომიკას, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას.

სწორედ ნეოლითის ეპოქამ წარმოშვა ადრესამიწათმოქმედო კულტურა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ნეოლითელი ადამიანის ცხოვრების წესი. ადამიანმა ისწავლა მიწაზე მყარად დამკვიდრება, გაჩნდა სოფლის ტიპის დასახლებები, ეტაპობრივად განვითარდა საწარმოო საშუალებები, ჩნდება ქვის დამუშავების ახალი ტექნიკა, რამაც წარმოშვა განსხვავებული სახის იარაღები: ქვის თოხი, ცული, წერაქვი, ხელსაფქვავი და სხვა. საფუძველი ეყრება კერამიკულ წარმოებას, ჩნდება თიხის პირველი ჭურჭელი, რამაც ადამიანის საკვები უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი გახადა. იქმნება უფრო მსხვილი ტომობრივი ერთეულები, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიებს იკავებენ. კიდევ უფრო მტკიცდება ჯერ კიდევ ზედაპალეოლითში ჩასახული გვაროვნული საზოგადოების მატრიარქალური ხასიათი. ყალიბდება ურთიერთობა ტომთა შორის, ამ პერიოდში ადამიანის სულიერი სამყაროც განიცდის ფორმირებას, რამაც გამოიწვია გარკვეული გარდატეხა ადამიანის აზროვნებაში. შეცვლილი ცხოვრების პირობებმა ხელი შეუწყო მოსახლეობის რიცხვის სწრაფ ზრდას, რამაც ხელი შეუწყო ახალი ტერიტორიების ინტენსიურ ათვისებას, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ნეოლითის ეპოქა, ადრესამიწათმოწმედო კულტურა, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, იარაღები, კერამიკული წარმოება.

შესავალი

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში, კავკასიის სხვა რეგიონებთან ერთად, ინტენსიურად ითხრებოდა ადრესამიწათმოქმდო კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. მრავალწლიანი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურის შემქმნელ მოსახლეთა მიერ ათვისებული ყოფილა როგორც გაშლილი ველები, ისე მდინარეთა ჭალისპირა ტერასები და მთისწინეთი. გაირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სხვებზე მეტად დაწინაურებული რეგიონი ყოფილა ქვემო ქართლი, სადაც მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში გაითხარა მრავალსამშენებლო ჰორიზონტიანი ხელოვნური გორა-ნამოსახლარების ჯგუფი,

რომელთა მსგავსი ძეგლები ასევე შესწავლილია აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ქვემო ქართლში კომპლექსური არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ დაახლოებით 1,7-1,8 მილიონი წლიდან ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ყოფილა უძველესი ადამიანის პირველადი და შემდგომი განსახლებისათვი (ჩიქოვანი, 2010, გვ. 83-94).

როგორი იყო კავკასიის და კერძოდ ამიერ-კავკასიის ადრენეოლითური ხანის მოსახლეობის ეკონომიკური საფუძვლები მთლად ნათელი არ არის. თუმცა ადრენეოლითური ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში გვხვდება, როგორც ზღვისპირა ზონაში, ისე შიდა რეგიონებში. დასახლებისათვის გამოიყენებოდა მდინარეთა ფართო ხეობები, ღია გაშლილი ველები, ბორცვოვანი ზოლი და სხვა. კავკასიის ბუნებრივი გარემოს თავისებური ხასიათი, რელიეფის სიჭრელე, კლიმატური პირობების მკვეთრი მერყეობა გარკვეულ გავლენას ახდენდა საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაზე.

ამ დროს თითქმის მთელი კოლხეთი ინტენსიურადაა დასახლებული. უპირატესად მისი ზეგან-ბორცვოვანი ზოლი. კოლხეთის დაბლობი ზედმეტი სინოტივის გამო საცხოვრებლად ჯერ კიდევ ნაკლებად ვარგისი უნდა ყოფილიყო. აქტიურადაა დასახლებული ცენტრალური კოლხეთის მთისწინა ბორცვოვანი ზოლი, სადაც რამდენიმე ათეული ნამოსახლარია გამოვლენილი, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ოდიშის ნამოსახლარი. ამ დროს რამდენიმე ნამოსახლარი ცნობილია უფრო დასავლეთით, სამურზაყანოს მიწა-წყალზე.

როგორი იყო ამ დროის სოფლის გეგმარება, საცხოვრებელი შენობის ტიპი გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება იმის გამო, რომ ნამოსახლარზე გარდა ნივთიერი მასალისა, სხვა ნაშთები თითქმის არ აღმოჩენილა. როგორც ჩანს, ძირითადი სამშენებლო მასალა ხე იყო და საცხოვრებლის ტიპი უპირატესად მიწისზედა მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა უნდა ყოფილიყო, ძირითადად სწორკუთხა ფორმის ფაცხის ან ჯარგვალის ტიპისა. კულტურული ფენა გვიანნეოლითური ხანის ნამოსახლარებზე არ გამოირჩევა თავისი სიმძლავრით. ფენაში ძირითადად საწარმოო იარაღი და კერამიკის ფრაგმენტები გვხვდება.

ამგვარად განვითარებული ნეოლითის სტადიაზე დასავლეთ ამიერკავკასია ფართოდაა დასახლებული. ინტენსიური ცხოვრების ხასიათი აქ არსებული სამეურნეო სისტემის ძლიერების მაჩვენებელია. გაზრდილი მოსახლეობის საზრუნავი ახალი მიწების ათვისება უნდა ყოფილიყო. ქვის ხანის ფინალურ სტადიაზე იწყება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ინტენსიური ათვისება, რომელიც მანამდე შედარებით სუსტად იყო დასახლებული.

ნეოლოთის ეპოქაში ცხოვრების პირობების ცვლილებამ, ადამიანის ცხოვრების ფორმირებამ და მოსახლეობის სიმრავლემ ხელი შეუწყო საკმაოდ მძლავრი ენეოლითური ხანის ადრესამიწათმოქმედო ტომების კულტურის ჩამოყალიბების პროცესის მიმდინარეობას.

ძირითადი ნაწილი

აღმოსავლეთი ამიერკავკასია ნეოლითის ხანაში შედარებით ნაკლებად იყო დასახლებული. მის ცენტრალურ ნაწილში ამ დროს ვრცელდება ადრესამიწამოქმედო კულტურა, რომელიც "შულავერ-შომუთეფეს კულტურის" სახელითაა ცნობილი. ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებში ინტენსიურადაა დასახლებული მტკვრისა და არეზის ორმდინარეთი, ქვემო ქართლისა და არარატის ველები, მილის, ყარაბახის და მუღანის სტეპური ზოლი.

ეს კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სავსებით ჩამოყალიბებული სახით გამოჩნდა სრულიად მყარი ტრადიციებით და თავისებური წეს-ჩვეულებებით. ჩნდება სოფლის ტიპის ხანგრძლივი დასახლებები, ვრცელდება განსხვავებული წესი სამშენებლო საქმეში და არქიტექტურაში, გარკვეული წინსვლა შეინიშნება საწარმოო ძალებში, საკმაოდ დაწინაურებულია წარმოებითი მეურნეობის ფორმები.

ქვემო ქართლის დასავლეთით შიდა ქართლში ,,შულავერ-შომუთეფეს" კულტურა არ გავრცელებულა. დღეს ძველი ნასახლარი ადგილები ხელოვნურ ბორცვებს წარმოადგენენ, რომლებიც თაობების ერთ ადგილას ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად წარმოიქმნენ. სოფელი გამოუმწვარი აგურისაგან, ალიზისაგან ნაგები შენობებისაგან შედგებოდა, ხოლო ნასოფლარის ადგილას თანდათანობით ხელოვნური ბორცვი წარმოიქმნებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქ-

მედო კულტურის ნასოფლარები ძირითადად ქვემო ქართლიდანაა ცნობილი, მარნეულის ველზე მდინარე მტკვრის შუა წელზე, მისი შენაკადების, ხრამისა და დებედის აუზებში. ამ დროის ძეგლები უფრო აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა განჯა-ყაზახის ვაკეზე, რომელიც მარნეულისა და გარდაბნის ველების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

როგორც ჩანს, აქ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხანაში კარგი აგროკლიმატური პირობები შეიქმნა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის. ამიტომაცაა, რომ ეს რეგიონი ამ პერიოდში ინტენსიურადაა ათვისებული. მარნეულის ველზე ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები ჯგუფებადაა განლაგებული, რომლებიც რამდენიმე ხელოვნურად წარმოქმნილი ბორცვისაგან.

მარნეულის ველზე ამ დროის ნამოსახლარებიდან აღსანიშნავია შულავერის გორა, იმირის გორა, ხრამის დიდი გორა, არუხლოს გორა და სხვ. ეს ნასოფლარები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ. მათ ახასიათებთ ერთიანი გეგმარება, მჭიდრო, ქაოტური განლაგება საცხოვრებელი კვარტალებისა, რომელთა შორის თითქმის სრულიად არ იყო დატოვებული თავისუფალი სივრცე. ძირითადი სამშენებლო მასალა თიხა იყო. ხე და განსაკუთრებით ქვა სამშენებლო საქმეში თითქმის არ გამოიყენებოდა. სოფლის არსებობის მთელ მანძილზე გეგმარება და შენობის კონსტრუქცია თითქმის არ შეცვლილა.

დაახლოებით ანალოგიური სურათი ჩანს დასავლეთ აზერბაიჯანის, ქვემო ქართლის მოსაზღვრე, განჯა-ყაზახის ველზე შესწავლილ ნამოსახლარებზე. როგორც სოფლის გეგმარებით, ისე არქიტექტურისა და ინვენტარის ხასიათით ეს ძეგლები არ განსხვავდებიან ქვემო ქართლის ნამოსახლარებისაგან.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში კარგადაა წარმოდგენილი ძვლისა და რქის იარაღები, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა როგორც მეურნეობაში, ისე ნამოსახლარებზე. ხშირად გვხვდება დიდი რაოდენობით სხვადასხვა ფორმის ძვლისა და რქის, განსაკუთრებით ტყავის დამუშავებასთან დაკავშირებული იარაღები სახვრეტები, საპრიალებლები, ნემსები, საფხეკები და სხვა. ასეთი სიუხვე მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ძვლის და რქის ნაწარმისა, განსაკუთრებით უშუალოდ მიწის დასამუშავებელი იარაღისა, არ შეინიშნება კავკასიის სამხრეთით გავრცელებულ ამ დროის კულტურებში.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ტომები, როგორც ჩანს, კავკასიაში პირველები ეცნობიან ლითონს. ,,შულავერ-შომუთეფეს" ჯგუფის ზოგიერთ ძეგლზე ნაპოვნია ლითონის ნივთები. შესაძლოა, ლითონის დამუშავების ჩვევები აქ სამხრეთიდან, ანატოლიიდან ვრცელდება, სადაც ლითონის პირველი ნივთები საკმაოდ ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი. იმ რეგიონებში, სადაც ,,შულავერ-შომუთეფეს" კულტურა იყო გავრცელებული ცნობილია სპილენძის საბადოები.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკურ ცხოვრებაში მიწათმოქმედებასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობას. ნამოსახლარებზე უხვადაა წარმოდგენილი ძვლოვანი მასალა, აშკარად ჭარბობს შინაური ცხოველების ძვლები. სადღეისოდ შესწავლილ ნამოსახლარებზე ნაგებობა, რომელიც შეიძლება საქონლის სადგომს დავუკავშიროთ, არ აღმოჩენილა.

ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება წარმოვიდგინოთ იმდროინდელი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. თუმცა მისი წარმომავლობის საკითხი მთლად ნათელი არ არის თუმცა სავსებით ჩამოყალიბებული სახით ვრცელდება, თავისი მყარი ტრადიციებით როგორც ცხოვრების წესში და მეურნეობაში, ისე სამშენებლო არქიტექტურულსაქმეში.ამკულტურისმატარებელი მოსახლეობა ცალკე სოფლებად ცხოვრობდა. როგორც კი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა აქ სხვადასხვა რეგიონებიდან მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები ვრცელდებიან. შესაძლოა ერთი ტალღა მიგრანტებისა ჩრდილოეთიდან, უპირატესად ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან ვრცელდება, სადაც წარმატებით ვითარდებოდა წარმოებითი მეურნეობა, რასაც შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა მოჰყვა. იქნებ არ იყოს მთლად უსაფუძვლო ვარაუდი, რომ ახლად მოსულების ძირითადი მასა ნახურ-

დაღესტნურ მოსახლეობასთან ახლო მდგომი ხურიტული ტომები ყოფილიყვნენ, რომლებიც საკმაოდ ინტენსიურად ითვისებენ მტკვარ-არაქსის ორმდინარეთს. გარკვეული მასა მოსახლეობისა იქნებ დასავლეთ საქართველოდან მოდის, სადაც ნეოლითის ბოლოსათვის საგრძნობ დემოგრაფიულ აფეთქებას ჰქონდა ადგილი. ისინი შიდა ქართლში გაუსაძლისი პირობების გამო ალბათ უპირატესად ქვემო ქართლის ბარს და მიმდებარე განჯა-ყაზახის ველს იკავებენ. შესაძლებელია მიგრაცია სამხრეთიდან ხორციელდებოდა, სადაც ამ დროისათვის უკვე ყვაოდა ადრესამიწათმოქმედო კულტურები და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა იგრძნობოდა. ამ ვარაუდს თითქოს მხარს უჭერს ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის დამახასიათებელი სამშენებლო-არქიტექტურული ტრადიცია, რომელიც გასაოცარი მდგრადობით ხასიათდება.

შესაძლოა, კავკასიის სხვადასხვა მხრიდან და სამხრეთიდან გადმონაცვლებული მოსახლეობის შერწყმის შედეგად ეყრება საფუძველი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურას. სამშენებლო არქიტექტურულ ტრადიციებში თუ ძნელად მოსაძებნია ადგილობრივი ფესვები, სამაგიეროდ ნივთიერ მასალებს თითქმის არაფერი საერთო არა აქვს წინააზიურ ძეგლებზე მოპოვებულ ინვენტართან. ძვლისა და რქის ინდუსტრიის მაღალი დონე შესაძლოა სწორედ სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილიდან გადმოსახლებული მოსახლეობის დამსახურება იყოს. აქ ნეოლითის ხანაში ამ მასალის დამუშავების ტრადიცია საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. თუმცა ადრესამიწათმოქმედო კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დაახლოებით ერთდროულად სწყვეტს არსებობას. ჩანს, ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში ისეთი პირობები იქმნება, რასაც ამ კულტურის ჩაქრობა მოჰყვა. მორწყვის ტექნიკა და მიწის ხელოვნურად განაყოფიერება ჩანს ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ იდგა. საახოვე სისტემა, ტყის ინტენსიური გაჩეხვა ალბათ გარკვეულ გავლენას მოახდენდა ბუნებრივ გარემოზე, რის შედეგადაც მეურნეობაში კრიზისული ვითარება შეიქმნა და არსებულმა ეკონომიკურმა სისტემამ მისი გადალახვა ვეღარ შეძლო. ამას შედეგად ცხოვრების თანდათანობითი ჩაქრობა მოჰყვა.

60-იანი წლების შუა ხანებამდე აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურა ხასიათდებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული ეტაპის ძეგლებით, რომლის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების პრობლემა დღემდე არ არის საბოლოოდ გადაჭრილი.

აღნიშნული პრობლემის კვლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კი ქვემო ქართლის ენეოლითური კულტურების კვლევას. ცნობილი მკვლევრების აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურა უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლში ძირითადი კერა ამ კულტურის ჩამოყალიბებისა და მისი იქიდან ადრეული განფენისა.

სადღეისოდ აღმოსავლეთ საქართველოში უკვე გამოვლენილია ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ორი ენეოლითური: შულავერ-შომუთეფესი და წოფის (წოფის კულტურა).

კულტურები, მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპის ძეგლები, მონიშნულია მათი პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, კულტურული კავშირების ორიენტაცია, განვითარების დონე და სხვა საკითხები.

წოფის ნამოსახლარის მასალის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში: არაგვისა და მტკვრის ხეობებში, კახეთში - იორ-ალაზნის ველზე და თვით ქვემო ქართლში წოფის ტიპის ნამოსახლარების გამოვლენის შემდეგ. ახალმა აღმოჩენებმა ცხადყო, რომ საქმე გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოს სრულიად ახალ, შულავერ-შომუთეფეს კულტურისაგან განსხვავებულ, წოფის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებთან, რომლის შესწავლას სათავე დაუდო წოფის ნამოსახლარმა (მუსხელიშვილი, ჯაფარიძე, მელიქიშვილი & სხვ., 2012, გვ. 11-16).

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხანაში გვხვდება აგრეთვე „შულავერ-შომუთეფეს“ კულტურისაგან განსხვავებული ხასიათის კულტურა — სიონის კულტურა. შემდეგში ამ კულტურის ძეგლები გამოვლინდა სამხრეთ - კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის სხვა მხარეებშიც შიდა ქართლში, კახეთში და არაგვის ხეობაში. სიონის ტიპის ძეგლები გარკვეული თავისებურებებით გამოირჩეოდნენ, რაც ვლინდება, როგორც დასახლების ხასიათში, სამშენებლო არქიტექტურულ ტრადიციებში, ისე ნივთიერ მასალაში.

მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა სიონის

კულტურა საგრძნობლად განსხვავდება „შულავერ-შომუთეფეს“ კულტურისაგან. ნაკლებადაა აქ წარმოდგენილი ძვლისა და რქის იარაღები. განსხვავებულია აგრეთვე კერამიკული მასალა, რომელიც უფრო მეტ საერთოს ავლენს დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითის ხანის თიხის ჭურჭელთან. გარკვეული მსგავსება შეინიშნება მილის-ყარაბაღის-მუღანის ველებზე, ნახიჩევანის მხარეში, არარატის ველზე აღმოჩენილ ძეგლებთან, სადაც ისინი ლეილა-თეფეს კულტურის სახელითაა ცნობილი. ლეილა-თეფეს მსგავსი კერამიკა ცნობილია უფრო სამხრეთით მესოპოტამიაში, ჩრდილო სირიაში და სხვ. ამ ხასიათის თიხის ჭურჭელი დამახასიათებელია ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული მაიკოპის კულტურისათვის. ვარაუდობენ, რომ ეს კულტურა კავკასიაში სამხრეთიდან ვრცელდება.

სიონის ტიპის ძეგლები „შულავერ-შომუთეფეს“ კულტურაზე რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს და ალბათ ძვ. წ. V ათასწლეულის მეორე ნახევარს და IV ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნებიან. როგორც ჩანს, ერთხანს ეს კულტურები თანაარსებობდნენ და დაახლოებით ერთდროულად მიმდინარეობდა მათი ჩაქრობის პროცესი (ნებიერიძე, 1986, გვ. 5-8).

დასკვნა

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგ საკითხებზე მკვლევართა არა ერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს, თუმცა ვიცით, რომ 60-იან წლებამდე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამი-წათმოქმედო კულტურის უძველეს ძეგლებად ითვლებოდა ე.წ. მტკვარ-არეზის კულტურის ნამოსახლარები.

აზერბაიჯანში ქიულ-თეფე I-ის (ნახიჩევანის რ-ნი) მრავალფენიანი ნამოსახლარი ბორცვის შესწავლა გახდა პირველი მაუწყებელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მტკვარ-არეზამდელი ადრესამიწათმოქმედო კულტურის აღმოჩენისა. „შომუ-თეფე“-შულავერის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლების აღმოჩენამ და მათ ინტენსიურმა შესწავლამ ცხადი გადახა, რომ დაიწყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურის კვლევის ახალი ეტაპი.

მიუხედავად ინტენსიური კვლევა-ძიებისა, რომელიც წარმოებდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და რომელიც დაგვირგვინდა განვითარებული, აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ადრესამიწათმოქმედო კულტურის გამოვლენით, აღნიშნულ რეგიონში, მეზოლით-ადრენეოლითის სუსტი შესწავლის გამო, ჯერჯერობით მაინც არ ხერხდება ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვისა და პირველადი განვითარების კერების დადგენა. მისი ჩასახვა-განვითარების სრული სურათის მთლიანობაში აღდგენა. აქედან გამომდინარე ჯერჯერობით კავკასიის არც ერთ რეგიონში არ არის აღდგენილი მწარმოებლური მეურნეობის განვითარების მეტ-ნაკლებად სრული სურათი.

ამ მხრივ უკეთესი სიტუაციაა დასავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც კავკასიის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ყველაზე უკეთაა შესწავლილი მეზოლით-ადრენეოლითური კულტურები და ასევე მრავლადაა გამოვლენილი ადრე-სამიწათმოქმედო კულტურის შემდგომი ეტაპის ძეგლები (ნებიერიძე, 1986, გვ. 5-8).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ლევან, ნეოლითი - ცვლილებები ნეოლითში, სოციალური ორგანიზაციის ფორმები ნეოლითში https://guguliperadze.blogspot.com/2014/04/blog-post_6872.html
2. ჩიქოვანი გ. აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურათა შესწავლის საკითხები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, N 19, 2010 წ. გვ. 83-94. http://saunje.ge/index.php?id=1828&lang=ka
3. წოფის კულტურა https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90
4. მუსხელიშვილი დ. ჯაფარიძე ო. მელიქიშვილი გ. აფაქიძე ა. ლორთქიფანიძე მ. მეტრეველი რ. სამსონაძე მ. ასათიანი ნ. ჯამბურია გ. ოთხმეზური გ. ნათმელაძე მ. ბენდიანიშვილი ალ. დაუშვილი ალ. საქართველოს ისტორია ტომი 1 უძველესი დროიდან ქრისტიანობის მიღებამდე, გამომცემლობა პალიტრა L - თბილისი - 2012 გვ. 11-26

5. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, ,,მეცნიერება“ თბილისი 1986, გვ. 5-8 https://guguliperadze.blogspot.com/2014/04/blog-post_6872.html

The relationship issues between Neolithic period and early agricultural culture

Shorena Kipshidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The object of our research is the relationship issues between Neolithic period and early agricultural culture. New Stone Age, Neolithic period is one of the most important period in history of mankind. A common opinion in modern history is that basically the history starts from the origin of state and script, but Neolithic age is so important in the history of mankind, the scientists decided to start this cursus begin from the Neolithic Age. This point of view has its explanation! New Stone Age, this is the era, when begin the formation of human life, the foundation is laid for many events or institution that is characteristic of modern civilization, such as: agriculture, development of technology and constructions, formation of religious institutions, formation of structure of the previous state and so on. According to scientists, Neolithic age is an era of so many changes, that it is almost impossible to create a complete picture of the development of humanity, without analysing the changes that have taken place. (Levan Akhvlediani, Neolithic, changes in Neolithic Age, Forms of social organizations in Neolithic. This is era, when the nature of human life changes radically, which had a sharp impact on his living conditions. The long period of widespread appropriative farming in the Paleolithic came to the end, and foundation was laid for a production economy, forming and herding. Exactly the Neolithic era created early agricultural culture, which radically charged the lifestyle of Neolithic humans. Man has learned to settle firmly on the land, appeared new settlements like villages, gradually developed production facilities, appeared new technic of stone processing and after that created many different kinds of tools: stone hoe, axe, pick, hand mill and so on. The foundation is laid of ceramic production, appeared the first pottery, which made humans food much more perfect and various. New, larger tribal units are formed and they occupy certain territories. The Mathriarchal character of tribal community, which was conceived in the upper Paleolithic is still being getting stronger, began formation between tribes. At this period humans spiritual world also was forming, this made a great turning in humans thoughts. Changed life conditions promoted quick reproduction of population, intensive assimilation of new territories, after that the foundation was laid for developing early agricultural cultures.

Key words: Neolithic Age, early Agricultural culture, Agriculture, cattle breeding, tools, Caramical production.

დიდი მცხეთის საფორტიფიკაციო - თავდაცვითი ნაგებობანი

ლამარა გიორგაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ქართლის (იბერიის) დედაქალაქი მცხეთა და მისი შემოგარენი - დიდი მცხეთის მიდამოები - მდიდარია უწყვეტი ისტორიულ - კულტურული ცხოვრების ამსახველი ძეგლებით, რომელთა თარიღი უძველეს დროში იღებს სათავეს. არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ ქართლის სამეფოს სოციალ - ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მცხეთა ერთ-ერთ ძლიერად გამაგრებულ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა, სხვადასხვა უბნად იყოფოდა და ყველა უბანი ციხეებითა და გალავნებით იყო გამაგრებული. ციხე-სიმაგრეში მუდმივად უნდა მდგარიყო ჯარი, რომელიც მზად იქნებოდა საბრძოლველად, ის ქვეყნის ძირითად მმართველს ემორჩილებოდა და ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს იცავდა. აქ აღმოჩენილი საფორტიფიკაციო - თავდაცვითი ნაგებობანი ძლიერი იარაღი იყო ქართლის (იბერიის) სამეფოს სამხედრო - სტრატეგიული და ეკონომიკური სიძლიერისთვის.

დიდი მცხეთის ციხე-სიმაგრეთა სისტემა იცავდა და მეთვალყურეობდა არა მარტო საქალაქო ცენტრებს, არამედ მეთვალყურეობდა სასოფლო სამეურნეო რაიონებს - ქალაქის სასოფლო უბანს, რადგან ქალაქის ეკონომიკური სიძლიერე. მისი სასოფლო უბნის დაწინაურების გარეშე შეუძლებელი იყო. ამ თვალსაზრისითაც, დიდი მცხეთის ციხე-სიმაგრეები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ქალაქის ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. ამიტომ არის რომ ძველი ქართული და უცხოური საისტორიო მწერლობა ქალაქებს ყოველთვის მათ დაბეთან ერთად განიხილავს.

ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქის მცხეთის საფორტიფიკაციო - თავდაცვით ნაგებობას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის ქართლის (იბერიის) სამეფოსა და ქართველი ხალხის თვითმყოფადობის გადარჩენაში. მისი სიმტკიცისა და აუღებლობის დიდი დამსახურებაა, რომ ქართველებმა გაუძლეს უდიდეს და უამრავ დამპყრობელს ქვეყანა შეინარჩუნეს.

საკვანძო სიტყვები: ქართლი, იბერია, თავდაცვითი ნაგებობა, მცხეთა, არქეოლოგიური გათხრები, ქართლის სამეფო.

შესავალი

ქართლის (იბერიის) სამეფოს დედაქალაქის მცხეთის შემოგარენში XX საუკუნის ორმოციანი წლებიდან არქეოლოგიური გათხრები ანდ. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, გ. ლომთათიძის და ალ.კალანდაძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ქალაქის სხვადასხვა ნაგებობების უმეტესობა სწორედ ამ ბოლო პერიოდში გამოვლინდა. მცხეთის შემოგარენში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია აღმოჩენილი. მეტ-ნაკლები სისრულით გამოვლენილი ქალაქის უმთავრესი შენობები უბნების თავისებურ სახეს ქმნიან. აღმოჩენილთა შორის გამოირჩევა ანტიკური ხანის ქართლის დედაქალაქისათვის დამახასიათებელი საფორტიფიკაციო - თავდაცვითი ნაგებობანი, ციხე-სიმაგრეები, გალავან - ზღუდეები, სათვალთვალო კოშკები და სხვა.

მშენებლობის ხელოვნების მაღალი დონის ხუროთმოძღვრული ძეგლები მცხეთაში უტრადიციოდ არ აღმოცენებულა. ამ მხრივ, საყურადღებო მასალას გვაძლევს უფლისციხის გამოქვაბულები. ვარაუდობენ, რომ იქ, ქალაქური ტიპის მოსახლეობის გაჩენასთან ერთად, ძალიან დიდი სამუშაოები განხორციელდა კლდესამუშაოს წარმოსაქმნელად. დედაქალაქობის ხანის მცხეთის ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას, როგორც ჩანს, ქართლის სამეფოში აქვს ფესვები გადგმული და მისი ქალაქები დიდხანს ინახავდნენ ამ ტრადიციას.

მცხეთასა და მის შემოგარენში აღმოჩენილი ხუროთმოძღვრული ძეგლები აჩვენებს საქალაქო მშენებლობის ორ უმთავრეს საფეხურს. პირველი საფეხური იწყება ძ. წ. IV საუკუნიდან, განსაკუთრებული გაძლიერება ემჩნევა III საუკუნისათვის, როცა მკვეთრი გარდატეხა ხდება მშენებლობის ტექნიკაში და იწყებენ დუღაბის ფართოდ გამოყენებას. II საფეხური ახ. წ. I ს. ემთხვევა, როდესაც რომაელთა ლაშქრობის მორღვეულ ციხე-სიმაგრეთა აღდგენა და გამაგრება მიმდინარეობს. ამ საქმეში რომაელებიც მონაწილეობენ. ეს საფეხური ქართლის (იბერიის) სამეფოს ხელახალი გაძლიერების შედეგია და მისი მომასწავებელიც, მაგრამ ის იმდროინდელ საგარეო ვითარებასაც შეესაბამება.

შიდაციხის ანუ არმაზციხის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, როგორც აღინიშნა, დედაქალაქის

ძლიერების ხანას მიეკუთვნება და თვითონაც არის მანიშნებელი ამ ძლიერებისა შემდეგში. დიდი მცხეთის ციხე-სიმაგრეები ძლიერი ხელისუფლების წყაროც უნდა გამხდარიყვნენ, რადგან ისინი დიდი მცხეთისაკენ მიმავალ უმთავრეს სავაჭრო გზათა გასაყარზე იდგნენ და ასე თანდათან იზრდებოდა მცხეთის ციხე-სიმაგრეთა ეკონომიკური მნიშვნელობა. შესაბამისად იზრდებოდა დედაქალაქის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. ქართლის (იბერიის) სამეფოს მაგისტრალური სავაჭრო გზები მცხეთაში იყრიდნენ თავს. ამიტომ, ამ ქვეყანაში გამვლელი უცხოელი მცხეთის ციხე- სიმაგრეებს გვერდს ვერ აუვლიდა.

შიდა ციხის ნაგებობების მთელი კომპლექსი მოხდენილად შეკრულ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს. ამ მხრივ, პირველ რიგში შიდა ციხის ადგილმდებარეობა იქცევს ყურადღებას. მცხეთის შიდაციხე (არმაზციხე) გაშენებულია ძნელად მისადგომ ადგილას, ისევე, როგორც ურარტულ-აქამენიდური ხანის ციხეები, რომელთაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ და მოსახლეობისთვის თავშესაფარს წარმოადგენდნენ. არმაზციხეს მდებარეობა მოხერხებული ჰქონდა, მთაგრეხილის დასასრულზეა, რის გამოც მაღლობზე გაბატონებული სათვალთვალო კოშკიც შიდა ციხის ტერიტორიაზეა (სიმაღლე 677 მ.) და დედაქალაქისაკენ მიმავალ გზებს შეუფერხებლად მეთვალყურეობს.

შიდაციხის უბანზე აღმოჩენილ სამ კულტურულ ფენას, როგორც გამოირკვა, შეესაბამება სამი არასინქრონული ფენა შიდა ციხის ზღუდეგალავანშიც. ამას, თავის მხრივ, მოწმობს წერილობითი წყაროებიც, როლებიც საკმაოდ დიფერენცირებულად წარმოადგენენ შიდაციხის არაერთბაშად აშენებას და სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში აშენებულ ნაგებობას სხვადასხვა მეფეს მიაწერენ. მაგ. ქართლოსს აქ მიეწერება პირველი მშენებლობა: ... „და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჳსისა ქართლი.“ ამ ხანას უნდა უკავშირდებოდეს ბაგინეთის ნაგებობათა ნაშთების უძველესი ფენა, რომელსაც, პირობითად, არმაზციხე პირველი ეწოდა. „ცნობები, ამ ხანის მშენებლობის შემდგომი საფეხურის შესახებაც, „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა. ახლა უკვე ქართლოსის მეუღლე განაგრძობს მშენებლობას - „და შემდგომ ამისა ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე“ (აფაქიძე, 1963, გვ. 24, 25).

შემდეგი ხანა არდამის სამშენებლო მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ეს არის შემდეგი საფეხური, რომელსაც არქეოლოგებმა მეორე კულტურული ფენა უწოდეს. ამ ორ ფენას ბრწყინვალედ ანსხვავებს ლეონტი მროველი: „და მანვე არდამმა მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქჳითკირისა და ამის გამო დაისწავლეს ქჳითკირი. ამანვე (არდამ) მოჰკიდა კარი - ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წამოზღუდა ცხჳრი არმაზისი, ვიდრე მტკუარამდე.“ ეს ერთადერთი მაგალითი არ არის არმაზციხე II დასახასიათებლად. მშენებლობა მთელ სამეფოში იყო მიმდინარეობდა, არსებული საერთაშორისო ვითარება მოითხოვდა დედაქალაქისა და ქართლის (იბერიის) სამეფოს ქალაქების გამაგრებას.

მესამე კულტურული ფენა აშენებული ჩანს მას შემდეგ, რაც ქართლმა რომაელი სარდლის პომპეუსის ლაშქრობა გადაიტანა. აქედან უნდა დაწყებულიყო ახალი საფეხური. სწორედ ამ ხანას უკავშირდება მესამე კულტურული ფენა - არმაზციხე III. ამ საფეხურის დასახასიათებლად მრავალი ცნობაა შემონახული ქართულ საისტორიო მწერლობასა და უცხოურ წყაროებშიც (მაგ. სტრაბონი, დიონი, პტოლემაიოსი და ა. შ.).

ძირითადი ნაწილი

მცხეთის დედაქალაქობის პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა არმაზციხეს. იგი წარმოადგენდა ქალაქის დედაციხეს. სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენებს შეიცავს დედაციხის (არმაზციხის) ნაქალაქარზე 3 კმ-ზე აღმოჩენილი ბურჯებიანი ზღუდე - გალავანი. მაღალი ოსტატობით ნაგები საფორტიფიკაციო - თავდაცვითი ნაგებობანი გამოირჩევიან გრანდიოზულობითა და მშენებლობის ხელოვნებითაც. კლდეში ამკვეთილ ფოსოებში ჩასმულ ქვათლილთა საძირკველზე ალიზის დიდი კედლებია ამოყვანილი. ქვათლილები კლდეშიც არიან ჩამაგრებული და ერთმანეთთან უწყვეტად გადაბმული. ალიზის წყობა გარდიგარდმო დატანებული მუხის ძელებითაა შემაგრებული და თანაც შელესილია. ამდენად, ზღუდეს მონოლითური სახე აქვს მიღებული. კოშკები და კონტრფორსები ოთხკუთხა მოყვანილობისაა და კრამიტითაა გადახურული. ამასთან დაკავშირებით ანდ. აფაქიძე აღნიშნავს: „ არმაზციხის ნაქალაქარზე ძვ. წ. IV – III საუკუნეების ზღუდისა და კოშკების ნაშთების აღმოჩენა, იმასაც

ადასტურებს, თუ რა სიძლიერით დაუწყიათ ქართლის სამეფოს მეთაურებს, არამარტო დედაქალაქის, არამედ სამეფოს უმთავრეს ციხე - ქალაქთა გამაგრება“ (აფაქიძე, 1963, გვ. 128).

ქალაქი შემოსაზღვრული იყო ქვის გალავნით, რომელიც მთლიანად შემოუყვებოდა ქართლის ქედს და მდინარე მტკვრამდე ჩადიოდა. ქალაქს ჩრდილოეთიდან ერთი შესასვლელი ქონდა. შესასვლელში ყოფილა სადარაჯო სახლი მცველებისათვის. არმაზციხის ჩრდილოეთ კიდეზე, მტკვრის პირას, გაჭრილი ბუნებრივი კლდე-კარი შიდაციხეში მოხერხებულ შესასვლელს წარმოადგენდა, როგორც „არმაზით კერპი“ ქალაქიდან, ისე მტკვრის ნაპირზე მდებარე მცხეთა - ქალაქიდან. აღმოჩენილია გარე და შიდა სასიმაგრო კედელები, რომლებიც შემდგომმა მეფეებმა კიდევ უფრო გვიან ააგეს. არქეოლოგიური კვლევებით დადგინდა, გარე სასიმაგრო კედელი, რომელიც ბასტიონს (სათავდაცვო ნაგებობას) წარმოადგენდა, მთლიანად ჯდებოდა ბერძნულ საფორტიფიკაციო სისტემის ტიპში, ხოლო შიდა სასიმაგრო კედელი, სადაც კოშკები შიგნითკენაა განზიდული, რომაული კასტელუმის სისტემისაა.

ციხე-გალავნის უმაღლეს აღგილზე, საიდანაც კარგად ჩანს მდინარეების მტკვრისა და არაგვის ხეობები, აღმოაჩინეს დიდი ქვათლილებით ნაგები ბურჯებიანი დარბაზის ფრაგმენტი, რომელიც პირველ პერიოდს მიეკუთვნება. ამ დარბაზში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიკვლეულია ბათქაშის კვალი. დარბაზის გათხრებისას უამრავი ნივთი აღმოჩნდა. მათში ყველაზე მნიშვნელოვანია ძვლის მოჩუქურთმებული ფირფიტა, რომელიც პართული კულტურის ნიმუშს წარმოადგენს. ეს დარბაზი დიდად ჰგავს თალ-ჰალაფის სასახლეს, რომელიც აღმოჩენილია სომხეთში. არქეოლოგები აღნიშნავენ, რომ ციხის-გალავნის უმაღლეს ადგილას ქვათლილებით ნაკეთი ყველაზე მაშტაბური მრავალწახნაგოვანი შენობის ფრაგმენტი, სავარაუდოდ, იმ ნაგებობის ნაშთია, რომელზედაც ფარნავაზმა - „ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა“.

არმაზციხის უძველესი ფენის სიმაგრეთა მშენებლობაში შეიმჩნევა კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი. როგორც ცნობილია, შიდაციხის ზღუდეები, ძირითადად, მცირე ქედებს აუყვება, მაგრამ ზუსტად თხემზე ამოყვანილი არ არის, ოდნავ გარეთაა და შიდა ციხის შიგნით ექცევა. ამის გამო კლდოვანი ქედი ზღუდე-გალავნის თავისებურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ზღუდის ასეთი აშენების შემთხვევაში საძირკვლის გამოთხრა ძნელდება, საძირკვლის გამოთხრისას თავდამსხმელი კლდეს წააწყდება და შიდაციხეში ვერ შეაღწევს. მეორე მხრივ, დამხვდურები უპირატეს მდგომარეობას იღებენ ზღუდის მთელ სიგრძეზე და არამარტო კოშკებთან. ციხის შიგნით კედლების ამოყვანა აადვილებდა კედლის დაცვას - კოშკებიდან, ბურჯებიდან და ქონგურებიდან მეთვალყურეობას.

გამოვლენილია მშენებლობის ორი ძირითადი საფეხური. ამასთან დაკავშირებით აკად. ანდ. აფაქიძე აღნიშნავს: -„პირველ სამშენებლო საფეხურზე (ძვ. წ. IV - III სს.) ქვათლილი და ალიზ - აგურია უმთავრესი სამშენებლო მასალა. ალიზ-აგურის კედლები ქვათლილთა საძირკვლებზეა ამოყვანილი. კლდეში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩასმული ქვათლილები და ე. წ. უწყვეტითაა ერთიმეორესთან გადაბმული, წყობა უდუღაბოა. მეორე სამშენებლო საფეხურზე, ძვ. წ. III საუკუნიდან, მშენებლობაში გამოყენებულია დუღაბი“ (ანდ. აფაქიძე, 1963, გვ. 22).

უძველესი ფენა (მთავარი კოშკი) ნაგებია მშრალად, უხეშად დამუშავებული ქვის ლოდებით. მომდევნო პერიოდის (ძვ. წ IV-III საუკუნეების მიჯნა) კედელი (ზემოდან I ფენა), რომელიც მთავარი კოშკიდან იწყება და ქედის რელიეფს ქვედა ტერასებამდე მიჰყვება, ნაგებია საგანგებოდ გათლილ-გამოკოდილი ქვათლილებითა და გამომწვარი ან გამომშრალი ალიზით, უდუღაბოდ. ხის ან ქვის უწყვეტით გადაბმული ქვათლილები ციცაბო კლდეში ამოკვეთილ საგანგებო ბუდეებშია ჩასმული და საფეხურების შთაბეჭდილებას ქმნის. მშენებლობისთვის გამოყენებულია ქვიშაქვის კარგად ან ნაკლებად დამუშავებული კვადრები, ალიზის აგური და კირხსნარი. ქალაქის არსებობის ბოლო ეტაპზე კი ჩნდება გამომწვარი აგურიც. შენობების გადახურვისთვის გამოყენებულია იბერიული, ე. წ. მცხეთური კრამიტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ არმაზციხის სამშენებლო ტექნოლოგია მთლიანად ეხმიანება და ჯდება იმდროინდელი ბერძნული ტექნიკის მოთხოვნებში, ამდენად მისი შენობები მაღალი ოსტატობითაა ნაგები.

საძირკვლის ქვათლილთა რიგების რაოდენობა ქედის დაქანების შესაბამისად იცვლება. საგანგებოდ არის გამაგრებული ციხე–ქალაქის სამხრეთი მხარე. აქ ზღუდე ორმაგია, ზოგან მისი სიმაღლე 6 მეტრს აღწევს, სიგანე – 2,8-3 მ. ქვათლილებზე ამოყვანილია თიხის ხსნარზე ნაწყობი, გარედან თიხისავე ხსნარით შელესილი და შემდეგ შერუჯული ალიზის კედელი, რომელიც ყოველ 10 მეტრზე გამაგრებულია. კედლის ორივე მხარე 3-3,5 მეტრით გამოწეულია მძლავრი ბურჯებით

(10X11მ) და წყობაში დატანებულ ქვათლილთა გამჭოლი თარაზული წყობით კედელი და ბურჯები ერთმანეთთან დაკავშირებულია მუხის დიდი (0,2X0,12 მ) ოთხკუთხა კოჭებით.

როგორც ირკვევა, ქართლის სამეფოს ანტიკური ხანის ქალაქების თავდაცვით ნაგებობათა, მშენებლობის ადრინდელ (უძველეს) საფეხურზე, ქვათლილების საძირკველზე ამოყვანილია ალიზის ზღუდე - გალავნები. ძვ. წ. III საუკუნემდე დუღაბი ქართლის ქალაქებში გავრცელებული არ ჩანს. გაბატონებულია, ძირითადად, მშრალი ქვის წყობა ქვათლილებისა,სათანადოსიმაგრეები-უწყვეტითაა შემტკიცებული. ეს არის ერთადერთი სახე საქალაქო თავდაცვითი ნაგებობათა მშენებლობისა ძვ წ. III საუკუნემდე. ძვ. წ. III საუკუნიდან დუღაბი ფართოდ ვრცელდება სამეფოში, ამასთან დაკავშირებით, წყდება ან მკაცრად იზღუდება, ციხე - სიმაგრეების და ზღუდეების ალიზით მშენებლობა. ალიზით, აგურით და ქვით შერეული მშენებლობა შეიძლება, მაგრამ დუღაბი და ალიზი, როგორც ჩანს, ერთიმეორეს გამორიცხავდნენ.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვითაც, ამ ხანისათვის (ძვ. წ. III ს), ქართლის (იბერიის) სამეფოში ივარაუდება დუღაბის შემოღება. ლეონტი მროველი არდამის დახასიათებისას აღნიშნავს: „აქამომდე არ იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა.“ თავის დროზე ამ საკითხის გამო საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა თეიმურაზ ბატონიშვილმა. თეიმურაზის მიხედვით, არდამის მოღვაწეობაში მთავარი ის კი არ უნდა იყოს, რომ მან თითქოს პირველმა ააშენა დუღაბით, არმაზის სახელთან ჩანს დაკავშირებული მთელს ქართლის (იბერიის) სამეფოში გავრცელება ქვითკირისა. ესე იგი ახალი საფეხური სამშენებლო ხელოვნების განვითარებისა ქართლის სამეფოში. ამ მხრივ ლეონტის ცნობას და თეიმურაზის განმარტებას არქეოლოგიური გათხრებიც ეთანხმება.

შემდგომი პერიოდის (I საუკუნე) კედელი (სისქე 2,8-4 მ, შემორჩენილი სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 4-5 მეტრი, III ფენა), რომელიც გარს აკრავს შიდაციხეს, უკავშირდება წინა კედელს და მიჰყვება მეორე წყალგამყოფს. ეს კედელი კარგად გათლილი ქვათლილების საფუძველზეა ამოყვანილი, ალიზით არის ნაგები. ქვათლილები გადაბმულია მერცხლის კუდის ფორმის ხის უწყვეტებით. კედლის წინ ყრია ღორღის სქელი ფენა, რომელიც იცავდა კედელს დანგრევისა და დაზიანებისაგან.

II-III საუკუნეების (II ფენა) კედელი, რომლის ნაწილები აღმოჩნდა ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში და პირველ წყალგამყოფზე, აგებულია წინა პერიოდის კედლების გასამაგრებლად. აქ უხვადაა გამოყენებული კირის დუღაბზე ნაწყობი ქვედა ფენების საშენი მასალა. უკანასკნელი ზედა ფენის (V-VI საუკუნეები) ნატეხი ქვის კედელიც წინა პერიოდის კედლების გასამაგრებლადაა აგებული.

არმაზის საფორტიფიკაციო -თავდაცვითი ნაგებობანი (ციხე-სიმაგრეები, ბურჯებიანი გალავან-ზღუდეები, სათვალთვალო კოშკები და სხვ.) მსგავსია ურარტუსა და აქემენიდთა ირანის სუსის, პერსეპოლისის, პასარგადის, თუშფის ციტადელისა, თოპრაქყალასა და წოვინარის სათავდაცვო ნაგებობებისა.

დასკვნა

დიდი მცხეთის ციხე-სიმაგრეები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ქალაქის ეკონომიკური სიძლიერის საქმეში. ამიტომ არის, რომ ძველი ქართული და უცხოური საისტორიო მწერლობა ქალაქებს ყოველთვის მათ დაბებთან განიხილავს. ანტიკური ხანის მცხეთის, როგორც ქალაქის მნიშვნელობაში

ძველი დედაქალაქის შიდაციხის უბანი, როგორც ირკვევა, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა მცხეთის ცხოვრებაში. ეს იყო მთავარი ციხესიმაგრე დედაქალაქისა. ქართულ წყაროებში შემონახული აკროპოლისის შესატყვისი სახელები „შიდა ციხე“ ან „ციხის ციხე.“ არმაზციხის ეფექტურობას განაპირობებდა ერთიანი საფორტიფიკაციო ქსელი, რაც სხვადასხვა ადგილას მდებარე ძირითადი ციხეების ურთიერთკავშირს ქმნიდა. ამ უბნის მოსახლეობას სამეფო კარის ახლო წრე წარმოადგენდა. აქ არის საგულისხმებელი სამეფო რეზიდენცია. ამ უბანზეა აღმოჩენილი სასახლის ტიპის ნაგებობანი, სამეფო კარის სამაროვანი, აბანო, მარანი, წყალსადენი და სხვა.

დიდი მცხეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერების ხანას მიეკუთვნება და ანტიკური ხანის მცხეთის, როგორც სტრატეგიული ცენტრის მნიშვნელობას, კარგად გვიჩვენებენ. შემდეგში, როგორც ჩანს, დიდი მცხეთის საფორტიფიკაციო - თავდაცვითი ციხე - სიმაგრეები ძლიერი ხელისუფლების წყაროც უნდა გამხდარიყო, რადგან ისინი დიდი მცხეთისაკენ მიმავალ უმთავრეს გზათა გასაყარზე იდგნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაშვილი თ., ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია, თბ., 2009;
2. აბესაძე ც., ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 2011;
3. აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისთვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსმმ, XXII-B, თბ., 1961;
4. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944;
5. აფაქიძე ა., მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბ., 1978;
6. აფაქიძე ა., ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკონოვანი გზა, თბ., 1972;
7. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1974.

Fortification - defense buildings of Mtskheta

Lamara Giorgashvili, PhD student
Georgian Technical University

Summary

Mtskheti, the capital of Kartli (Iberia) and its surroundings - the surroundings of Great Mtskheti - are rich in monuments depicting continuous historical and cultural life, whose date originates in ancient times. Architectural monuments revealed by archeological excavations represent the most important historical source in all spheres of social-economic, political and cultural life of the Kingdom of Kartli. One of the heavily fortified fortress-towns of Mtskheta was brought to the fort, Foda was another district, and all the districts It was full of prisons and prisons. An army should be permanently stationed in the fortress, ready to fight. He mainly protected the interests of the ruling party and the central government. The fortification-defense structures found here were a powerful weapon for the military-strategic and economic strength of the Kingdom of Kartli (Iberia).

The system of fortresses of Great Mtskheti protected and supervised not only the city centers, but also the agricultural districts - the rural district of the city, because the economic strength of the city was impossible without the promotion of its rural district. From this point of view, the fortresses of Didi Mtskheti played a prominent role in the economic strengthening of the city. That is why old Georgian and foreign historical writings always consider cities together with their districts.

Mtskheti, the capital of the Kingdom of Kartli (Iberia), has one of the most important roles in the preservation of the identity of the Kingdom of Kartli (Iberia) and the Georgian people. It is thanks to his strength and invincibility that Georgians withstood the biggest and numerous invaders and preserved the country.

Key words: Kartli, Iberia, defensive building, Mtskheta, archaeological excavations, Kartli kingdom.

წრფივი პროგრამირების ორეული ანუ მეორადი ამოცანები

რუსუდან გოგიბერიძე, აკადემიური დოქტორი
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

რეზიუმე

წრფივი პროგრამირების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: ვიპოვოთ

$$F = \sum_{j=1}^{n} c_j x_j$$

წრფივი ფუნქციის ექსტრემუმი (მაქსიმუმი ან მინიმუმი შეზღუდვებით:

$$\sum_{j=1}^{n} a_{ij} x_j \le b_i\,, \quad (\, j = \overline{1,n}\,; \quad j = \overline{1,n}\,), \quad x_i \ge 0\,.$$

წრფივი პროგრამირების ყოველ ამოცანას შეიძლება შევუსაბამოთ ე.წ. მეორადი – ორეული წრფივი პროგრამირების ამოცანა: ვიპოვოთ მინიმუმი (მაქსიმუმი), ასევე წრფივი ფუნქციისა

$$F^* = \sum_{i=1}^{m} b_i y_i$$

შეზღუდვებით

$$\sum_{i=1}^{m} a_{ij} y_j \ge c_i \qquad (\, j = \overline{1,n}\,), \quad y_i \ge 0\,.$$

მეორადი ამოცანა შედგება ასე: ძირითადი ამოცანის F ფუნქციის ცვლადების C_i კოეფიციენტები მეორადი ამოცანის შეზღუდვების თავისუფალი წევრებია. ძირითადი ამოცანის შეზღუდვების თავისუფალი b_i წევრები მეორადი ამოცანის F^* ფუნქციის უცნობების კოეფიციენტებია, მეორადი ამოცანის შეზღდვების y_i უცნობების კოეფიციენტების მატრიცა ძირითადი ამოცანის y_i უცნობების კოეფიცინეტების შესაბამისი A მატრიცის ტრანსპორტირებული A' მატრიცაა. შესაძლებელია შემთხვევები:

ძირითადი წრფივი პროგრამირების ამოცანას აქვს ამონახსენი, მეორად-ორეული ამოცანასაც აქვს ამონახსენი და $F_{\max} = F^*_{\min}$ (ამოცანები 3) და 4));

თუ ძირითადი ამოცანის მიზნის ფუნქცია არაა ზემოდან შემოსაზღვრული (ან მეორადი ამოცანის მიზნის ფუნქცია არაა შემოსაზღვრული ქვემოდან), მაშინ მეორად ამოცანას არა აქვს ოპტიმალური ამონახსენი, (ამოცანები 5) და 6)).

თუ n=2, მაშინ ორივე შემთხვევისათვის გამოიყენება გეომეტრიული ინტერპრეტაცია (ამოცანები 3), 4)). მაგრამ, თუ n >2, მაშინ ამ მეთოდის გამოყენება ზოგადად შეუძლებელია, გამოიყენება ე.წ. სიმპლექს-მეთოდი, ანუ გეგმის თანდათანობით გაუმჯობესების მეთოდი, იტერაციების სასრულ რიცხვჯერ გამოყენებით მიიღება ოპტიმალური ამონახსენი. ამ მეთოდის შრომატევადობის გამო სტატიაში ამოცანები ამოსნილია პროგრამული პაკეტის „MATLAB”-ის გამოყენებით (ამოცანა 8).

თუ n >2, მაგრამ შეზღუდვათა სისტემას აქვს სპეციფიკური სახე, მაშინ ხდება ამ სისტემის დაყვანა n = 2 შემთხვევაზე და გამოიყენება გეომეტრიული მეთოდი სიბრტყეზე. თუ არ გვაქვს საქმე ასეთ სპეციფიკურ შემთხვევებთან, მაშინ აუცილებელი ხდება სიმპლექს-მეთოდის გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: წრფივი პროგრამირება, წრფივი პროგრამირების ძირითადი ამოცანის მეორადი ანუ ორეული ამოცანები, გეომეტრიული ინტერპრეტაცია, საბაზისო ამონახსენი, იტერაცია, სიმპლექს-მეთოდი.

შესავალი

წრფივი პროგრამირების ყოველ ამოცანას შეიძლება შევუსაბამოთ სხვა წრფივი პროგრამირების

ამოცანა, რომელსაც ვუწოდებთ ძირითადი-გამოსავალი ამოცანის ორეულ, მეორად ან შეუღლებულ წრფივი პროგრამირების ამოცანას.

ვთქვათ, ძირითადი წრფივი პროგრამირების ამოცანაა: ვიპოვოთ

$$F = c_1x_1 + c_2x_2 + \cdots + c_nx_n = \sum_{j=1}^{n} c_jx_j \quad (1)$$

მიზნის ფუნქციის მაქსიმუმი შეზღუდვებით:

$$\begin{cases} a_{11}x_1 + a_{12}x_2 + \cdots + a_{1n}x_n \le b_1, \\ a_{21}x_1 + a_{22}x_2 + \cdots + a_{2n}x_n \le b_2, \\ \dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots \\ a_{k1}x_1 + a_{k2}x_2 + \cdots + a_{kn}x_n \le b_k, \\ a_{k+1,1}x_1 + a_{k+1,2}x_2 + \cdots + a_{k+1.n}x_n = b_{k+1}, \\ \dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots \\ a_{m1}x_1 + a_{m2}x_2 + \cdots + a_{mn}x_n = b_m \end{cases} \quad (2)$$

$$x_j \ge 0, \ (j = \overline{1,\ell}; \ \ell \le n),$$

განმარტება: ამოცანას, რომელშიც საძიებელია

$$F^* = b_1y_1 + b_2y_2 + \cdots + b_my_m \quad (3)$$

ფუნქციის მინიმუმი შეზღუდვებით:

$$\begin{cases} a_{11}y_1 + a_{21}y_2 + \cdots + a_{m1}y_m \ge c_1, \\ a_{12}y_1 + a_{22}y_2 + \cdots + a_{m2}y_n \ge c_2, \\ \dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots \\ a_{1i}y_1 + a_{2i}y_2 + \cdots + a_{mi}y_i \ge c_i, \\ a_{1,i+1}x_1 + a_{2,i+1}y_2 + \cdots + a_{m,i+1}y_m = c_{i+1}, \\ \dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots\dots \\ a_{1n}y_1 + a_{2n}y_2 + \cdots + a_{mn}x_m = c_m, \end{cases} \quad (4)$$

$$y_i \ge 0, \ (i = \overline{1,k}; \ k \le m)$$

ეწოდება წრფივი პროგრამირების (1) – (2) ამოცანების ორეული-მეორადი წრფივი პროგრამირების ამოცანა, ე.ი. (1) – (2) და (3) – (4) ორეული-მეორადი – შეუღლებული წყვილებია. (ძირითადი ამოცანის შეზღუდვების „≤“ პირობა გადაიქცა ორეული ამოცანის შეზღუდვების „ ≥ “ პირობად, „ = “ დარჩა „ = “-ად).

ძირითადი ნაწილი

(3) – (4) ამოცანის შედარებიდან (1) – (2) ამოცანასთან, ვხედავთ, რომ:

1) მიზნის F ფუნქციისათვის საძიებელია მაქსიმუმი, (3) – (4) ამოცანისათვის კი - მინიმუმი.

2) ძირითადი ამოცანის შეზღუდვების უცნობების კოეფიციენტების მატრიცა

$$A = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & \cdots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \cdots & a_{2n} \\ \hdashline a_{m1} & a_{m2} & \cdots & a_{mn} \end{pmatrix}$$

(3) – (4) ამოცანაში შეცვლილია A-ს ტრანსპონირებული მატრიცით:

$$A' = \begin{pmatrix} a_{11} & a_{21} & \cdots & a_{m1} \\ a_{12} & a_{22} & \cdots & a_{m2} \\ \hdashline a_{1n} & a_{2n} & \cdots & a_{mn} \end{pmatrix}.$$

3) ცვლადთა რაოდენობა m მეორად (3) – (4) ამოცანაში ტოლია ძირითადი (1) – (2) ამოცანის შეზღუდვათა რაოდენობის, ხოლო მეორადი (3) – (4) ამოცანის შეზღუდვათა რაოდენობა n ტოლია ძირითადი (1) – (2) ამოცანის ცვლადთა რაოდენობის.

4) ძირითადი ამოცანის მიზნის ფუნქციის c_i კოეფიციენტები მეორადი ამოცანის შეზღუდვათა თავისუფალი წევრებია, ხოლო შეუღლებული ამოცანის მიზნის ფუნქციის ცვლადთა კოეფიციენტები წარმოადგენენ ძირითადი ამოცანის შეზღუდვათა თავისუფალ b_i წევრებს.

5) ორმაგი-მეორადი ამოცანის სიმეტრიულ წყვილში „≥“ იცვლება „≤“ პირობით.

ამრიგად გვაქვს:

$$F = \sum_{j=1}^{n} c_jx_j, \quad (5)$$

$$\sum_{j=1}^{n} a_{ij}x_j = b_i, \quad (6)$$

$$x_i \ge 0, \quad (i = \overline{1,m}, \ i = \overline{1,m})$$

ორეული - მეორადი ამოცანა:

$$F^* = \sum_{i=1}^{m} b_iy_i, \quad (7)$$

$$\sum_{i=1}^{m} a_{ij}y_i \ge c_i, \ (j = \overline{1,n}) \quad (8)$$

$$Y_i \ge 0.$$

თითოეული ეს ამოცანა ფაქტიურად დამოუკიდებელ წრფივი პროგრამირების ამოცანას წარმოადგენს.

ლემა 1. თუ X ძირითადი – გამოსავალი ამოცანის ოპტიმალური გეგმაა, ხოლო Y - ორეული ამოცანის

ოპტიმალური გეგმა, მაშინ

$$F(X) \le F^*(Y).$$

ლემა 2. თუ $F(X^*) \le F^*(Y^*)$, მაშინ X^* არის (1) – (2) ამოცანის ოპტიმალური ამონახსნი, ხოლო $F_{\max} = F^*_{\min}$ არის (3) – (4) ამოცანის ოპტიმალური ამონახსნი, ამავე დროს

$$F_{\max} = F^*_{\min}.$$

ამოცანა 1. შევადგინოთ მეორადი-ორეული ამოცანა, თუ მოცემულია ძირითადი ამოცანა:

$$F = 2x_1 + x_2 + 3x_3 \longrightarrow \max$$

$$\begin{cases} -x_1 + 3x_2 + 5x_3 = 12, \\ 2x_1 - x_2 + 4x_3 = 24, \\ 3x_1 + x_2 + x_3 = 18, \end{cases}$$

$$x_1, \quad x_3 \ge 0 \quad x_3 \ge 0.$$

ამოხსნა:

$$A = \begin{pmatrix} -1 & 3 & 5 \\ 2 & -1 & 4 \\ 3 & 1 & 1 \end{pmatrix}; \qquad A' = \begin{pmatrix} -1 & 2 & 3 \\ 3 & -1 & 4 \\ 5 & 4 & 1 \end{pmatrix};$$

$$F^* = 12y_1 + 24y_2 + 18y_3 \longrightarrow \min.$$

$$\begin{cases} -y_1 + 2y_2 + 3y_3 \ge 2, \\ 3y_1 - y_2 + y_3 \ge 1, \\ 5y_1 + 4y_2 + y_3 \ge 3 \end{cases}$$

(ძირითად ამოცანაში შეზღუდვები გამოსახული იყო „=“ პირობით, ხოლო მეორადში „≥“ პირობით).

თუ $n \ge 3$, შემდგომში ასეთ ამოცანებს ამოვხსნით სიმპლექს-მეთოდით კომპიუტერული პროგრამით „MATLAB“ (ამოცანა 8).

ამოცანა 2.

$$\begin{cases} 2x_1 - x_2 + 4x_3 \ge 12, \\ x_1 + 3x_2 - 2x_3 = 13, \\ 2x_1 + 5x_2 - 6x_3 \le 12, \end{cases}$$

$$x_2, \quad x_2, \quad x_3 \ge 0.$$

ამოხსნა:

$$A = \begin{pmatrix} 2 & -1 & 4 \\ 1 & 3 & -2 \\ 2 & 5 & -6 \end{pmatrix}; \qquad A' = \begin{pmatrix} 2 & 1 & 2 \\ -1 & 3 & 5 \\ 4 & -2 & -6 \end{pmatrix};$$

$$F^* = 12y_1 + 13y_2 + 12y_3.$$

$$\begin{cases} 2y_1 + y_2 + y_3 \ge 4, \\ -y_1 + 3y_2 + 5y_3 \ge 1, \\ 4y_1 - 2y_2 + 6y_3 \ge -4; \end{cases}$$

აქ ძირითად ამოცანაში შეზღუდვებში მოცემული „≤“ და „=“ პირობები გადაკეთდა „≥“ პირობად.

თუ ძირითად და ორეულ-ორმაგ ამოცანებში უცნობათა რაოდენობა $n = 2$, გამოვიყენებთ ამოხსნის გეომეტრიულ მეთოდს.

ამოცანა 3. $F(x_1, x_2) = 3x_1 + 8x_2 \longrightarrow \max$

$$\Omega = \begin{cases} -3x_1 + 4x_2 \le 17, \\ x_1 + x_2 \le 6, \\ x_1, \ x_2 \ge 0. \end{cases}$$

ავაგოთ Ω არე.



ნახ. 1

ცხადია, $A\left(0,\ \frac{17}{4}\right)$, $C(6, 0)$; $F(O) = F(0, 0) = O$ B

წერტილი კი წარმოადგენს I და I წრფეების გადაკვეთის წერტილს:

$$\begin{cases} -3x_1 + 4x_2 = 17, \\ x_1 + x_2 = 6, \end{cases} \Rightarrow \begin{matrix} x_1 = 1, \\ x_2 = 5, \end{matrix} \quad B(1,5)$$

$$F(A) = F\left(0,\ \frac{17}{4}\right) = 3\cdot 0 + 8\cdot\frac{17}{4} = 34\,;$$

$$F(B) = F\left(1,\ 5\right) = 3\cdot 1 + 8\cdot 5 = 43$$

$$F(C) = F\left(6,\ 0\right) = 3\cdot 6 + 8\cdot 0 = 18\,.$$

ე.ი. $F^* = 17y_1 + 6y_2$.

ამოცანა 4. შევადგინოთ ამოცანა 3)-ის ორეული - მეორადი ამოცანა:

$$F^* = 17y_1 + 6y_2\,,$$

$$\begin{cases} -3y_1 + y_2 \ge 3, \\ 4y_1 + y_2 \ge 8, \\ y_1, y_2 \ge 0. \end{cases}$$

ამოცანა 4. შევადგინოთ ამოცანა 3)-ის ორეული - მეორადი ამოცანა:

$$F^* = 17y_1 + 6y_2\,,$$

$$\begin{cases} -3y_1 + y_2 \ge 3, \\ 4y_1 + y_2 \ge 8, \\ y_1, y_2 \ge 0. \end{cases}$$



ნახ. 2

ცხადია, D წერტილი მოცემული I და II წრფეების თანაკვეთის წერტილია

$$\begin{cases} -3y_1 + y_2 = 3, \\ 4y_1 + y_2 = 8, \end{cases} \quad y_1 = \frac{5}{7}; \quad y_2 = \frac{36}{7}; \quad D\left(\frac{5}{7};\ \frac{36}{7}\right);$$

$$F^*(D) = F^*\left(\frac{5}{7},\ \frac{36}{7}\right) = 17 \cdot \frac{5}{7} + 6 \cdot \frac{36}{7} = 43.$$

$F^*_{\min} = 43$; ე.ი. $F^*_{\min} = F_{\max} = 43$.

ამოცანა 5. ვიპოვოთ F მიზნის ფუნქციის მინიმუმი

$$F = -3x_1 - 4x_2 \longrightarrow \min$$

$$\Omega = \begin{cases} -5x_1 + 3x_2 \geq 5 \\ x_1 + x_2 \geq 8 \\ x_1,\ x_2 \geq 0. \end{cases}$$ შეზღუდვებით

ცხადია, A წერტილი I და II წრფეების თანაკვეთაა:

$$\begin{cases} -5x_1 + 3x_2 = 6, \\ x_2 + x_2 = 0, \end{cases} \Rightarrow x_1 = \frac{19}{8}, x_2 = \frac{45}{8}\ ‘\ A\left(\frac{19}{8};\ \frac{45}{8}\right);$$

$$F_{\min}(A) = F_{\min}\left(\frac{19}{8};\ \frac{45}{8}\right) = -3 \cdot \frac{19}{8} - 4 \cdot \frac{45}{8} = -\frac{237}{8}.$$

ამოცანა 6. ვიპოვოთ ამოცანა 5-ის ორეულიმეორადი ამოცანის მაქსიმუმი, თუ ის არსებობს.

$$F^* = 5y_1 + 8y_2,$$

$$\Omega_1 = \begin{cases} -5y_1 + y_2 \leq -3 \\ 3y_1 + y_2 \leq -4 \\ y_1, y_2 \geq 0. \end{cases}$$



ნახ. 3



ნახ. 4

როგორც ვხედავთ F^*-ს მაქსიმუმი არ აქვს, მიზეზი ამოცანა 5-ის შეზღუდვების Ω არის შემოუსაზღვრელობაა.

თუ შეზღუდვები ტოლობებითაა გამოსახული, ამავე დროს თითოეული განტოლება შეიცავს ორ ძირითად, საბაზისო ცვლადებს და მხოლოდ თითო დამატებით სხვა განსხვავებულ ცვლადებს, შეგვიძლია დავიყვანოთ ორ განზომილებაზე და გავაგრძელოთ 3, 4, 5, 6 ამოცანების ანალოგიურად.

ამოცანა 7.

$$F = -x_1 + 4x_2 + 3x_3 + 2x_4 - 23 \to \max \qquad (9)$$

შეზღუდვებით

$$\Omega = \begin{cases} x_1 - 5x_2 + x_3 = 5 \\ -x_1 + x_2 + x_4 = 4 \\ x_1, x_2, x_3, x_4 \geq 0. \end{cases} \qquad (9)$$

ამოხსნა: I და I ტოლობებიდან:

$$\begin{cases} x_1 - 5x_2 = 5 - x_3 \\ -x_1 + x_2 = 4 - x_4 \end{cases} \qquad (10)$$

შეზღუდვები ახლა ასე გადავწეროთ:

$$\begin{cases} x_1 - 5x_2 = 5 - x_3 \\ -x_1 + x_2 = 4 - x_4 \end{cases} \Rightarrow \qquad (11)$$

მიზნის (9) ფუნქცია (10) ტოლობებით მიიღებს სახეს:

$$F = -x_1 + 4x_2 + 3(5 - x_1 + 5x_2) + \\ +2(4 + x_1 - x_2) - 23 = -2x_1 + 17x_2. \qquad (12)$$

ამრიგად, ამოცანა ასე ჩამოყალიბდება, ვიპოვოთ (12) მიზნის ფუნქციის მაქსიმუმი (11) შეზღუდვებით, ამის მიხედვით შეიძლება ადვილად შევადგინოთ მეორედი ამოცანაც და ამოვხსნათ გეომეტრიული ინტერპრეტაციით, როგორც ამოცანები 3, 4, 5, 6.

მაგრამ, თუ შეზღუდვები არ არის ასეთი სპეციფიკური სახის, ამავე დროს n >2, მაშინ ამ გზის გამოყენება შეუძლებელია, აუცილებელი ხდება სიმპლექს-მეთოდის გამოყენება, რომელიც ნაჩვენები იქნება ამოცანა 8-ში.

ამოცანა 8. სამი A, B, C სახის პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენება სამი სახის ნედლეული.

თითოეული ნედლეული შეიძლება გამოყენებულ იქნას არაუმეტეს 180, 210, 244 კგ რაოდენობით. პროდუქციის ერთი ერთეულის დასამზადებლად გამოყენებული ნედლეულები და ერთი ერთეული პროდუქციის ფასი მოცემულია ცხრილში:

ნედლეულის სახე	ნედლეულის დანახარჯების ნორმა კგ პროდუქციის ერთეულზე		
	A	B	C
I	4	2	1
II	3	1	3
III	1	2	5
ერთეული პროდუქციის ფასი (ლარი)	10	14	12

უნდა ვიპოვოთ პროდუქციის გამოშვების ოპტიმალური გეგმა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება მაქსიმალური ღირებულება, ამ მაქსიმუმისათვის გამოყენებული თითოეული ნედლეულის რაოდენობა, ამავე დროს დახარჯული ნედლეულის რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური.

ამოხსნა: დავუშვათ, რომ წარმოება უშვებს A პროდუქციის x_1 რაოდენობას, B პროდუქციის - x_2, C პროდუქციის x_3 რაოდენობას. ოპტიმალური გეგმის განსაზღვრისათვის უნდა ამოიხსნას წრფივი პროგრამირების ამოცანა. რომლის მიზნის ფუნქციაა:

$$F = 10x_1 + 14x_2 + 12x_3 \longrightarrow \max \qquad (13)$$

შეზღუდვებია:

$$\begin{cases} 4x_1 + 2x_2 + x_3 \le 180, \\ 3x_1 + x_2 + 3x_3 \le 210, \\ x_1 + 2x_2 + 5x_3 \le 244 \\ x_1, x_2, x_3 \ge 0. \end{cases} \qquad (14)$$

ჩავწეროთ ამ ამოცანის ორეული-მეორადი წრფივი დაპროგრამების ამოცანა:

საწარმოსათვის საჭირო ნედლეულის ყოველ სახეს შევუსაბამოთ ნედლეულის რაოდენობები შესაბამისად y_1, y_2, y_3, , მაშინ მიზნის ფუნქცია იქნება:

$$F^* = 180y_1 + 210y_2 + 244y_3 \longrightarrow \min \qquad (15)$$

შეზღუდვებით

$$\begin{cases} 4y_1 + 3y_2 + y_3 \ge 10, \\ 2y_1 + y_2 + 2y_3 \ge 14, \\ y_1 + 3y_2 + 5y_3 \ge 12. \end{cases} \qquad (16)$$

ამ ამოცანის ამოსახსნელად აუცილებელია გამოვიყენოთ სიმპლექს-მეთოდი-ამოხსნის ანალიზური მეთოდი, ანუ გეგმის თანდათანობით გაუმჯობესების მეთოდი, რომლის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დასაშვები ამონახსნების სიმრავლიდან ვიღებთ რაიმე ამონახსნს და გარკვეული (საკმაოდ რთული) გარდაქმნების გამოყენებით გადავდივართ ახალ ამონახსნზე ისე, რომ ახალი ამონახსნის შესაბამისი ფუნქციის მნიშვნელობა ნაკლები იქნება წინა ამონახსნის შესაბამისი მიზნის ფუნქციის მნიშვნელობაზე. ასეთი იტერაციების სასრულ რიცხვჯერ გამოყენებით მიიღება ოპტიმალური ამონახსენი. ამ მეთოდის დიდი შრომატევადობის გამო არ მოგვყავს მისი დაწვრილებითი აღწერა, არამედ ჩამოყალიბებული ამოცანა 8-ის (13) – (14) და (15) – (16) მეორადი ამოცანების სიმპლექს-მეთოდით ამოხსნა მოგვყავს „MATLAB" პროგრამით.

```
A = [4 2 1; 3 1 3; 1 2 5];
B = [180; 210; 244];
Ib = [0; 0; 0];
f = [-10; -14; -12];
[x, fmin] = linprog(f,A,B,[],[],Ib,[]);
disp(x)
disp(-fmin)
```

პასუხი:

$$x_1 = 0.000,\ x_2 = 82.000,\ x_3 = 16.000,$$
$$f\max = 1.3400e + 003$$

შეუღლებული

$$F^* = 180y_1 + 210\,y_2 + 244\,y_3 \to min$$

$$\begin{cases} 4y_1 + 3y_2 + y_3 \ge 10, \\ 2y_1 + y_2 + 2y_3 \ge 14, \\ y_1 + 3y_2 + 5y_3 \ge 12. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} -4y_1 - 3y_2 - y_3 \le -10, \\ -2y_1 - y_2 - 2y_3 \le -14, \\ -y_1 - 3y_2 - 5y_3 \le -12. \end{cases}$$

$$y_1, y_2, y_3 \ge 0.$$

პროგრამა

```
A = [-4 -3 -1; -2 -1 -2; -1 -3 -5];
B = [-10; -14; -12];
Ib = [0; 0; 0];
f = [180; 210; 244];
[x,fmin] = linprog(f,A,B,[],[],Ib,[]);
disp(x)
disp(fmin)
```

პასუხი:

$$y_1 = 5.7500,\ y_2 = 0.0000,\ y_3 = 1.2500,$$
$$f\min = 1.3400e + 003$$

მივიღეთ, რომ პროდუქციის ოპტიმალური გეგმა $F_{\max}$ ფუნქციისათვის არის

$$X^* = (0,\ 82,\ 16)$$

პროდუქციის საერთო ფასია:

$$F_{\max} = 10 \cdot 0 + 14 \cdot 82 + 12 \cdot 16 = 1340 \text{ ლარი}$$

ხოლო მეორადი ამოცანისათვის ოპტიმალური გეგმაა:

$$Y^* = \left(\frac{23}{4},\ 0,\ \frac{5}{4}\right)$$

$$F^*_{\min} = 180 \cdot \frac{23}{4} + 210 \cdot 0 + 244 \cdot \frac{5}{4} = 1340 \text{ ლარი.}$$

ლიტერატურა

1. Акулич И. Математическое программирование в примерах и задачах. «Высшая школа», Москва, 1986. 317 с.
2. ზ. ნაცვლიშვილი, გ. ტაბიძე, რ. დანელია, ჯ. გიორგობიანი, მ. კუბლაშვილი. დისკრეტული მათემატიკის საფუძვლები. „განათლება“, თბილისი, 1990, 430 გვ.
3. Ануфриев И., Смирнов А., Смирнова Е. „MARLAB 7“, 1097 с. Москва, 2005 с.

Dual or Secondary Problems of Linear Programming

Rusudan Gogiberidze
Business and Technology University

Summary

The main problem of linear programming is to find:

$$\sum_{j=1}^{n} a_{ij} x_j \le b_i$$

The extremum of a linear function with maximum or minimum constraints:

$$\sum_{j=1}^{n} a_{ij} x_j \le b_i, \quad (i = \overline{1,m};\ \ j = \overline{1,n}), \quad F^* = \sum_{i=1}^{m} b_i y_i .$$

Each problem of linear programming can be matched with the so-called secondary - dual linear programming problem: to find the minimum (maximum) as well as the linear function

$$F^* = \sum_{i=1}^{m} b_i y_i$$

with constraints

$$\sum_{i=1}^{m} a_{ij} y_j \ge c_i \qquad (j = \overline{1,n}), \quad y_i \ge 0 .$$

The secondary problem consists of: the coefficients C_i of the variables of the function F of the main problem are the free members of the constraints of the secondary problem. The free b_i members of the constraints of the main problem are the coefficients of the unknowns of the function F^* of the secondary problem, the matrix of unknown coefficients y_i of the constraints of the secondary problem is the transported A′ matrix of the matrix A corresponding to the coefficients of unknowns y_i of the main problem. Possible cases:

The basic linear programming problem has a solution, the secondary-dual problem also has a solution and $F_{\max} = F^*_{\min}$ (Problems 3) and 4));

If the objective function of the main problem is not bounded from above (or the objective function of the secondary problem is not bounded from below), then the secondary problem does not have an optimal solution (Problems 5) and 6)).

If n = 2, then geometric interpretation is used for both cases (Problems 3), 4)). But if n >2, then this method is generally impossible to use, the so-called simplex method, i.e. the method of gradual improvement of the plan, the optimal solution is obtained by using a finite number of iterations. Due to the labour-consuming character of this method, the problems in the article are solved using the software package “MATLAB” (Problem 8).

If n >2, but the system of constraints has a specific form, then this system is reduced to n = 2 cases and the geometric method on the plane is used. If we do not deal with such specific cases, then it becomes necessary to use the simplex method.

Key words: linear programming, secondary or dual problems of the main problem of linear programming, geometric interpretation, basic solution, iteration, simplex method.

დამოკიდებულება თბილსისხლიანთა მასასა და მოხმარებულ ჟანგბადს შორის

მაია გიგინეიშვილი ასოცირებული პროფესორი
სააქციო საზოგადოება „კურაციო“

ნინო თავაძე, პროფესორი
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

მანანა ჩიხლაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ გულაშვილი, სტუდენტი
საქართველოს ტექნიური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ცოცხალი ორგანიზმს ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმშვიდის დროსაც კი ფიზიოლოგიური ფუნქციებისა და ბიოქიმიური პროცესების წარმართვისთვის აუცილებლად სჭირდება გარკვეული ენერგია, უჯრედთა კვებისთვის და ფუნქციონირებისთვის, სუნთქვისთვის, გამოყოფისთვის, ორგანიზმის ტემპერატურის შენარჩუნებისთვის, სისხლის მიმოქცევისთვის, ტვინის სასიცოცხლოდ აუცილებელი ნერვული ცენტრების ფუნქციონირებისთვის და ენდოკრინული ჯირკვლების მუდმივი სეკრეციისთვის. ნებისმიერი სამუშაო, ფიზიკური თუ გონებრივი, ასევე საკვების მიღება, ფსიქო-ემოციური სტრესი, გარემოს ტემპერატურის რყევა და სხვა გარე თუ შიგა ფაქტორები, ცვლის გაცვლითი პროცესების ინტენსივობას და შესაბამისად ენერგოხარჯსაც.

ენერგოხარჯს ორგანიზმი ინაზღაურებს საკვები პროდუქტების (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების) მიღების საშუალებით. ორგანიზმში მოხვედრილი საკვები გადის გადამუშავების მრავალსაფეხურიან პროცესს - მეტაბოლიზმს, რის შედეგადაც ხდება საკვების მოლეკულათა ქიმიური კავშირების ენერგიის გამონთავისუფლება და მომარაგება, ანუ მეტაბოლიზმი იმ ქიმიურ რეაქციათა კასკადია, რომელიც ორგანიზმს უნარჩუნებს სტრუქტურას, აძლევს ზრდის, გამრავლების და გარემოსთან ურთიერთობის უნარს.

მეტაბოლიზმი შეიძლება იყოს აერობული, ანუ პროცესი მიმდინარეობდეს ორგანიზმში ჟანგბადის უწყვეტი მიწოდების ხარჯზე და ანაერობული, რომელიც არ თხოულობს ჟანგბადს. აერობული მეტაბოლიზმი ანაერობულთან შედარებით საკვების ერთიდაიგივე რაოდენობიდან მეტ ენერგიას იძლევა, და უზრუნველყოფს თბილსისხლიანთა ორგანიზმის ენერგოხარჯის დიდ ნაწილს, შესაბამისად აერობული პროცესი ორგანიზმის ენერგომომარაგების მთავარი მექანიზმია. ის ფუნქციონირებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ყოველგვარი შეჩერების გარეშე. თუ კუნთებს გარკვეულ პირობებში (მაგალითად, კუნთების ინტენსიური მუშაობის დროს) შეუძლიათ ენერგიით უზრუნველყოფა ანაერობული პროცესებით, მაშინ ისეთი ორგანოები, როგორიცაა ტვინი, გული და სხვა, ენერგიას იღებენ ექსკლუზიურად აერობული პროცესების შედეგად.

სხეულის მასა განსაზღვრავს ბიოლოგიურ რიტმთა სიხშირეს, ცხოვრების წესს, მისი სენსომოტორული რეაქციის სიჩქარეს და მეტაბოლიზმის ინტენსიობას, თუ ორგანიზმში ჟანგბადის რაოდენობა აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. დადგენილია რომ არსებობს პროპორციული დამოკიდებულება თბილსისხლიანთა მასასა და დროის ერთეულში მოხმარებულ ჟანგბადის რაოდენობას შორის. გარკვეული დაშვებების გამოყენებით და ენერგიის მუდმივობის კანონზე დაყრდნობით შევეცადეთ ამ ფუნქციონალური დამოკიდებულების მათემატიკური გამოსახულების მიღებას. ჩვენი აზრით მიღებული კანონზომიერების გაცნობა სასურველი და საჭირო იქნება სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის საკითხებით დაინტერესებულ ბაკალავრიატის სტუდენტებსა და მაგისტრებისთვის.

შესავალი

ყველა თბილსისხლიანს ფილტვების სახით გააჩნია გარემოდან ჰაერის შეწოვის უნიკალური მოწყობილობა. ორგანიზმში ჟანგბადის შეღწევა ასევე ხდება სხეულის ზედაპირის საშუალებით ჰაერიდან ჟანგბადის დიფუზიის ხარჯზე. მაგრამ მისი წილი გაცილებით ნაკლებია ფილტვების მიერ ორგანიზმში მოხვედრილ ჟანგბადის

წილზე. ფილტვების შიგა ზედაპირის ფართობი, რომლის საშუალებითაც ხდება სისხლსა და ჰაერს შორის აეროცვლა (კერძოდ, ჰაერიდან სისხლში გადადის ჟანგბადი, ხოლო სისხლიდან ჰაერში ნახშირორჟანგი), გაცილებით აღემატება სხეულის ზედაპირის ფართობს. მაგალითად, ზრდასრული ადამიანის შემთხვევაში ის 80-90მ^2-ია, რაც თითქმის 100-ჯერ მეტია მისი სხეული ზედაპირის ფართობზე.

ორგანიზმს მოთხოვნილება ჟანგბადზე იზრდება მშვიდი მდგომარეობიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასვლისას. ამასთან თბილსისხლიანები ცივ სისხლიანებთან შედარებით მეტ ჟანგბადს მოიხმარენ რადგან შედარებით ცივ გარემოში კარგავენ მეტ სითბურ ენერგიას თბოგამტარობით, ასევე კონვექციისა და გამოსხივების გზით. გარემოში თბილსისხლიანთა ტემპერატურის შენარჩუნება ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების შედეგად გამოყოფილი სითბოს ხარჯზე ხდება.

მეტაბოლიზმი ჩვეულებრივ იყოფა 2 ეტაპად: კატაბოლიზმი და ანაბოლიზმი. კატაბოლიზმის დროს რთული ორგანული ნივთიერებები იშლება უმარტივესებამდე, ჩვეულებრივ ათავისუფლებს ენერგიას, ხოლო ანაბოლიზმის დროს უფრო რთული ნივთიერებები სინთეზირდება უმარტივესი ნივთიერებებისგან ენერგიის ხარჯვით.

მეტაბოლიზმის ქიმიური რეაქციების სერიას ეწოდება მეტაბოლური გზები. მათში, ფერმენტების მონაწილეობით, ზოგიერთი ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი მოლეკულა თანმიმდევრულად გარდაიქმნება სხვებად.

ძირითადი ნაწილი

შევისწავლოთ დამოკიდებულება თბილსისხლიანთა მასასა და დროის ერთეულში მოხმარებულ ჟანგბადის რაოდენობას შორის. გამოთვლების გამარტივების მიზნით დაუშვათ რომ ორგანიზმის საშუალო სიმკვრივეა $\frac{Q}{\Delta t} = 20\rho\pi R^2 hq.$ აქვს R რადიუსისა და h სიმაღლის ცილინდრის ფორმა და მისი მასის ერთეული თითოეულ წამში მოიხმარს q სმ^3 ჟანგბადს. მაშასადამე დროის ერთეულში გამოყენებული ჟანგბადის მოცულობაა $\frac{Q}{\Delta t} = 20\rho\pi R^2 hq.$. გამოთვლილია, რომ ორგანიზმის მიერ 1სმ^3 ჟანგბადის მოხმარებისას გამონთავისუფლებული სითბური ენერგია, საკვების ტიპისგან დამოუკიდებლად, საშუალოდ 20ჯ-ს შეადგენს. ამიტომ მეტაბოლური პროცესების შედეგად დროის ერთეულში გამონთავისუფლებული სითბოს რაოდენობა იქნება:

$$\frac{Q}{\Delta t} = 20\rho\pi R^2 hq. \qquad (1)$$

ჩავთვალოთ რომ გარემოსთან კონტაქტისას თბილსისხლიანები სითბოს ძირითადად თბოგამტარობის ხარჯზე კარგავენ. ცნობილია, რომ უფრო თბილი სხეულიდან ნაკლებად თბილ სხეულზე, დროის ერთეულში თბოგამტარობით გადაცემული სითბოს რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$q = \frac{k(R+h)}{10\rho Rh} \qquad (2)$$

სადაც k გარემოს თბოგამტარობის კოეფიციენტია (ჰაერი - 0,024 ვტ/მ.კელ, წყალი - 0,56ვტ/მ.კელ) S სხეულის გარემოსთან შეხების ფართობი, $q = \frac{k(R+h)}{10\rho Rh}$ ტემპერატურული გრადიენტი. მოცემულ პირობებში სხვადასხვა ზომის ბიოორგანიზმისგან დამოუკიდებლად $q = \frac{k(R+h)}{10\rho Rh}$ მუდმივია, გავითვალისწინოთ (2)-ში და გავუტოლოთ (1)-ს, მივიღებთ:

[illegible], საიდანაც

$$q = \frac{k(R+h)}{10\rho Rh}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა $q = \frac{k(1+a)\pi^{1/3}}{10\rho^{2/3}a^{2/3}}m^{-1/3} \sim m^{-1/3}$, რომელიც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული რიცხვია, მივიღებთ

$$q = \frac{k(1+a)\pi^{1/3}}{10\rho^{2/3}a^{2/3}}m^{-1/3} \sim m^{-1/3} \qquad (3)$$

რადგან $q = \frac{k(1+a)\pi^{1/3}}{10\rho^{2/3}a^{2/3}}m^{-1/3} \sim m^{-1/3}$ გამოვსახოთ R m-ით და შევიტანოთ (3)-ში

$$q = \frac{k(1+a)\pi^{1/3}}{10\rho^{2/3}a^{2/3}}m^{-1/3} \sim m^{-1/3} \qquad (4)$$

დასკვნა

თბილსისხლიანთა სითბური ენერგიის ბალანსის ანალიზით მივიღეთ რომ მათი ერთეულოვანი მასის მიერ დროის ერთეულში გამოყენებული ჟანგბადის რაოდენობა მცირდება მისი მასის უკუპროპორციულად. რადგან ჟანგბადი ხმარდება საკვების დაჟანგვას, გასაგებია რომ მღრნელების მიერ მიღებული საკვების რაოდენობის ფარდობა მათ მასასთან გაცილებით აღემატება გაცილებით დიდი ზომის ცხოველებისთვის იგივე თანაფარდობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ჩიხლაძე, მ. გიგინეიშვილი, ო. კეთილაძე. სამედიცინო ფიზიკის საფუძვლები. სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია. სტუ-ის ბიბლიოთეკა. რეგისტრაციის ნომერი: CD–4522. 2018.
2. Биологический энциклопедический словарь / глав. ред. М. С. Гиляров. — М.: Советская энциклопедия, 1986. — С. 250.
3. В. И. Розенгарт, Р. А. Зарембский (энд.), В. В. Фролькие (гер.), Ю. Е. Вельтищев Большая медицинская энциклопедия под редакцией Петровского Б. В., 3-е издание. — М., 1974—1989. — Т. 17
4. К.Ю. Богданов Физик в гостях у биолога | -М., Наука 1986.

The relationship between the mass of warm-blooded animals and the consumed oxygen

Maia Gigineishvili, Associate Professor
"Curatio" Joint Stock Company

Nino Tavadze, professor
Aviation University of Georgia

Manana Chikhladze, associate professor
Georgian Technical University

Mariam Gulashvili, student
Georgian Technical University

Summary

Even during physical and psychological rest, a living organism definitely needs a certain amount of energy to carry out physiological functions and biochemical processes, for cell nutrition and functioning, breathing, excretion, maintaining body temperature, blood circulation, functioning of vital nerve centers of the brain and for constant secretion of endocrine glands.Any work, physical or mental, as well as eating, psycho-emotional stress , environmental temperature fluctuations and other external and internal factors change the intensity of exchange processes and therefore energy consumption.

The body compensates the energy expenditure with food products (proteins , fats, carbohydrates) through intake. The food entering the body goes through a multi-stage recycling process - metabolism, as a result of which energy is released and supplied by the chemical bonds of food molecules, i.e. metabolism is a cascade of chemical reactions that maintain the body's structure, gives it the ability to grow, reproduce and interact with the environment.

Metabolism can be aerobic, that means, the process takes place at the expense of the continuous supply of oxygen in the body, and anaerobic, which does not require oxygen. Compared to anaerobic metabolism, aerobic metabolism provides more energy from the same amount of food, and provides a large part of the energy expenditure of the body of warm-blooded animals, therefore the aerobic process is the main mechanism of energy supply of the body. It functions for a lifetime without any interruption. If the muscles under certain conditions (for example, during intensive muscle work) can provide energy through anaerobic processes, then such organs as the brain, heart and others, receive energy exclusively as a result of aerobic processes.

The mass of the body determines the frequency of biological rhythms, lifestyle, the speed of its sensorimotor reaction and the intensity of metabolism, if the amount of oxygen in the body meets the needs. It is established that there is a proportional relationship between the mass of warm-blooded animals and the amount of oxygen consumed per unit of time. Using certain assumptions and based on the law of energy constancy, we tried to obtain a mathematical representation of this functional dependence. In our opinion, getting to know the obtained regularities will be desirable and necessary for undergraduate students and masters interested in medical physics and biophysics issues.

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

საბანკო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ხერხები

გიორგი ცაავა, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ანი ტატიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია საბანკო საქმიანობის ხარისხის ძირითად კომპონენტებს შორის კავშირების დადგენისადმი მკაფიო მიდგომა, მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის თვალსაზრისით, მოყვანილია თითოეული კომპონენტის დეტალური აღწერა, მაგალითები პრაქტიკიდან, მითითებები საჭირო მეთოდიკებზე და გადაწყვეტილებებზე. ასევე, განხილულია შემდეგი ცნებები: ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და შესაბამისი სტანდარტები, მომხმარებელთა მომსახურება, საბანკო მომსახურების ხარისხის სტანდარტი, საბანკო პროცესის ხარისხის სტანდარტი, საბანკო პროდუქტები და მათი ხარისხის სტანდარტი; განხილულია მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას მომხმარებლების და მათი ინტერესებს მნიშვნელოვანი როლი, მომხმარებლებზე ორიენტირებული მიდგომების განვითარება, მათი ინტერესების და ქცევის შესწავლა, რისთვისაც კომპანიები იყენებენ სვადასხვა კვლევებს, რადგან ზუსტად იცოდნენ რა მიმართულებით უნდა გაზარდონ ბიზნესის ეფერტურობა და მომხმარებლებს შესთავაზონ მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება .

საკვანძო სიტყვები: **საბანკო საქმიანობა, ხარისხის ძირითადი კომპონენტები, ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, მომხმარებელთა მომსახურება, საბანკო მომსახურების ხარისხის სტანდარტი, საბანკო** პროცესის ხარისხის სტანდარტი, საბანკო პეროდუქტის ხარისხის სტანდარტი .

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ბანკის მომხმარებლის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ხერხებს, განხილულია საბანკო საქმიანობის ხარისხი. მომხმარებლის კმაყოფილების თვალსაზრისიდან. რამდენადაც **ხარისხი (მარტივად რომ ვთქვათ) - არის ობიექტის დაინტერესებული მხარეების მხრიდან მოთხოვნებისადმი შესაბამისობის დონე,** მაშინ ხარისხს შეიძლება ჰქონდეს მრავალი სახე, დაინტერესებული მხარეების რიცხოვნობიდან გამომდინარე, როგორებიცაა, მაგალითად: **ბანკის ლიკვიდობის მართვის ხარისხი, ბანკის რისკების მართვის ხარისხი და ა.შ.**

ჩვენ განვიხილავთ ბანკის საქმიანობის ასპექტებს, რომლებიც მომხმარებლის კმაყოფილებაზე ახდენენ ზეგავლენას.

ცნება „ხარისხის მენეჯმენტის სისტემა“ (ხმს), ავტორის მოსაზრების მიხედვით, წარმოადგენს ფუნდამენტალურს და მოიცავს თავსთავში სამ შემადგენელს: **მომსახურებას, პროცესს და პროდუქტს** (იხ. სქემა 1)

თითოეული ნიშნული, სამი კომპონენტიდან, შეიძლება ბანკის მიერ იქნას გამოყენებული როგრც საბანკო საქმიანობის და მომხმარებლების კმაყოფილების ხარისხის ამაღლების ცალკე და დამოუკიდებელი ხერხი, ასევე, ერთიანი ხარისხის



სქემა 1. ბანკის ხარისხის ძირითადი ცნებები/კომპონენტები (მომხმარებლებისთვის)

მენეჯმენტის სისტემის ჩარჩოებშიც, იმაზე დამოკიდებულებაში, თუ რა არის ბანკისათვის უფრო მნიშვნელოვანი და რაში ხედავს იგი თავის სტრატეგიას და კონკურენტულ უპირატესობას; უფრო მეტი ყურადღება, შეიძლება, რამოდენმე ხერხიდან ერთ-ერთ დაეთმოს.

მომსახურების ხარისხის სტანდარტი ადგენს, თუ როგორ იქნას ორგანიზებული ურთიერთდამოკიდებულება მომხმარებელთან და უზრუნველყოფილი მასზე მორგებული პროდუქტები და საბანკო მომსახურება.

ბიზნეს-პროცესის ხარისხის სტანდარტი განსაზღვრავს, როგორ უნდა იყოს მოწყობილი ბიზნეს-პროცესი და როგორ წარვმართოთ იგი; ვინ რა ფუნქციები უნდა შეასრულოს ბიზნეს-პროცესში და რაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი;

პროდუქტის ხარისხის სტანდარტი ადგენს, როგორ გავხადოთ პროდუქტის ღირებულება და რეალიზაციის პირობები, კონკურენტუნარიანი და სარგებლიანი მომხმარებლისთვის .

სტანდარტი ხარისხის მენეჯმენტის სისტემაზე (ხმს), (მაგალითად, ISO 9001) განსაზღვრავს, როგორ შევკრათ ერთიან მთლიანობაში საბანკო საქმიანობის ხარისხის ყველა კომპონენტი, უზრუნველყოფილ იქნას სისტემის ფუნქცონირება და დოკუმენტირე-ბა [1].

ძირითადი კომპონენტებიდან თუ როგორი ხერხი უნდა იქნას შერჩეული წყვეტს თვით ბანკი. ბანკების ნაწილი უპირატესობას ანიჭებენ - მომხმარებლის მომსხურების ხარისხს, თითოეული მომხმარებლისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. სხვები, პირიქით, მომხმარებლის მომსახურების მასობრიობაზე, სტაბილური და მასშტაბური ტექნოლოგიების და ბიზნეს-პროცესების შემუ-შავებზე. ცალკეული ბანკები უპირატესობას ანიჭებენ ხერხს-მომხმარებლები მოიზიდონ და შეინარჩუნონ პროდუქტების ხარისხით მისი ვიწრო გაგებით (ანუ სარგებლიანი ტრიფებით, ხელშეკრულეების პირობებით და ა.შ.).

განვიხილოთ ხარისხის უზრუნველყოფისადმი მიმართებაში ჩამოთვლილი მიდგომები უფრო დეტალურად: **ბანკის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა (ხმს) მომსახურბის ხარისხი ბანკში; ბანკის ბიზნეს-პროცესების ხარისხი ;**

ბიზნეს-პროცესების ხარისხის შეფასება; პრო-დუქტების ხარისხის შეფასება; საბანკო საქმიანობის ხარისხის შეფასება.

ბანკის ხარისხის მენეჯენტის სისტემა (ხმს) - არის ხარისხის მართვის მიმართებაში ურთი-ერთდაკავშირებული მეთოდური, ტექნიკური, ინფორმაციული, ორგანიზაციული და სხვა საშუა-ლებების ერთობლიობა.

ხმს-ის დანერგვით, ჩვენ, ასე თუ ისე, ბანკის ბიზნეს-პროცესებს ავღწერთ, ხოლო შემდეგ, მათ ვმართავთ. სხვა სიტყვებით, ბიზნეს-პროცესებს და ხმს-ას არ შეუძლიათ ერთმანეთისაგან

დამოუკიდებლად არსებობა, თუ ჩვენ ვსაუბრობთ რეალური ხმს-ის შესახებ, რომელიც პრაქტიკაში მუშაობს და შედეგები მოაქვს.

„კომერციული ბანკის ხარისხის მენეჯმენის ტიპიური სისტემა“ [2]. ესაა მონაცემების ელექტრონული ბაზა, რომელიც ბანკში ხმს-ის ფუნქციონირების აგების, სერთიფიცირებისა და ორგანიზაციისათვის დოკუმენტების, მეთოდიკისა და მასალების ყველა საჭირო ნიმუშებს მოიცავს.

მომსახურბის ხარისხი ბანკში: გამომდინარე იქედან, რომ ყველა ჩვენგანი წარმოვადგენთ ბანკის მომხმარებლებს და გარკვეული პერიოდულობით მათ მოსახურეობებს ვიყენებთ, ამდენად, ჩვენ გვინდა, რომ მომსაურების მოლოდინის დრო (რიგები ბანკის საოპერაციო დარბაზებში) იყოს ნაკლები, დაგვხვდნენ თავაზიანი და კომპეტენ-ტური თანამშრომლები, საბანკო ოფისები იყოს კომფორტული და ჰქონდეთ მუშაობის მოხერ-ხებული გრაფიკი, ხოლო ბანკში ვიზიტისას ყოველ-თვის დაგვრჩეს კარგი შთაბეჭდილება. ყოველივე აღნიშნული მომსახურების ხარისხის მართვის სისტემის რეალიზებისა და გაკონ-ტროლების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ხმს-ის ქვესისტემას წარმოადგენს.

მომსახურების ხარისხი (მოცემული სტატიის ჩარჩოებში) - არის მექანიზმების, ღონის-ძიებების, წესების და ატრიბუტების ერთობ-ლიობა, რომლებიც ბანკთან კონტაქტისას მომხმარებელთა კმაყოფილებაზე ახდენენ ზე-გავლენას, მაგრამ ძირითად საბანკო ბიზნეს-პროცესების შესრულებასთან (პროდუქტების და მომსახურეობების რეალიზაცია) პირდაპირ არ არიან დაკავშირებულები.

ბანკში მომსახურების ხარისხის უზრუნველ-ყოფის და გაუმჯობესების მიმართებაში, მნიშვნე-ლოვანია, საქმიანობა განვასხვავოთ ბანკის ძირი-თადი (პროდუქტიული) ბიზნეს-პროცესების შესრულებისაგან. სხვა სიტყვებით, ძირითადი ბიზნეს-პროცესები მოქმედებაში შედის მას შემდეგ, როგორც კი მომხმარებელი კმაყოფილია მომსახურების ხარისხით და მან საჭირო პროდუქტის შეძენა გადაწყვიტა.

ბიზნეს-პროცესების ხარისხი მიიღწევა მათი აღწერისა და ოპტიმიზაციის ხარჯზე, ბიზნეს-მოდელირების თანამედროვე პროგრამული პრო-დუქტების (მაგალითად, Business Studio), ბოზნეს-პროცესების მართვის მექანიზმების დანერგვისა და შემდგომში მუდმივად გამოყენების მეშვეობით.

ბანკის ბიზნეს-პროცესების მართვის პროცე-დურები (ეტაპები) დეტალურადაა განხილული წყაროში, ხოლო საერთო სახით პროცესი წარმოდ-გენილია სქემაზე 3.

ბიზნეს-პროცესების აღწერა (სტანდარტიზაცია) შესაძლებლობას იძლევა:

სქემა 2. ხარისხის მართვის სისტემის (ხმს) პროცესების მართვა

- თითოეული პროცედურის შესრულების ეტალონური ხერხის შექმნა, რომელიც საუკეთესო შედეგებამდე მიგვიყვანს;
- პროცესში ყველა მონაწილის (ბანკის ქვედანაყოფების) ურთიერთქმედების ეფექტიანობის გაუმჯობესებას;
- პასუხისმგებლების დადგენა, როგორც თითოეულ პროცედურაზე, ასევე ყველა პროცესზე .
- პროცედურების შესახებ ბანკის თანამშრომლების ინფორმირება და სწავლება ;
- პროცესების ყველა პროცედურების შესრულების დროისადმი მოთხოვნების, ასევე სხვა მოთხოვნების და მაჩვენებლების დადგენა (ხარისხი, ეფექტიანობა, შედეგიანობა);
- საოპერაციო რისკების შეფასება და მინიმალიზაცია;
- მოქმედების ინსტრუქციების შექმნა კრიტიკული სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში.

ბანკის ნებისმიერი ძირითადი პროცესისათვის (დაკავშირებული რეალიზაციასთან, პროდუქტის/მომსახურეობის სასიცოცხლო ციკლთან) რეკომენდებულია შემდეგი სტრუქტურის (პროცედურების ჯაჭვის) დადგენა:

- გაფორმება (მაგალითად, მომხმარებლისთვის ახალი საბანკო ბარათის გაფორმება და გაცემა);
- მომსახურება (მაგ.: საბანკო ბარათთან დაკავშირებული ოპერაციების ბანკომატების მეშვეობით მომსახურეობა, ბარათის ბლოკირება/განბლოკვა, „SMS-სერვისის“ მომსახურების პარამეტრების ცვლილება და სხვა);
- დახურვა (მაგალითად, ბარათის დახურვა და განადგურება).

ხარისხი უნდა იქნას დაცული ყველა ამ პროცედურებში, და არამხოლოდ გაფორმებისას.

ბიზნეს-პროცესების ხარისხის შეფასება შეიძლება განხორციელდეს, მინიმუმ, ორი მეთოდით: **ბიზნეს-პროცესების მაჩვენებლების ანალიზის და მომხმარებლთა სახვადასხვა სახის კვლევის მეთოდით.**

ბანკის პროდუქტების ხარისხი (ფინანსური და სახელშეკრულებო ნაწილი):

საბანკო პროდუქტების/მომსახურეობების ხარისხის ქვეშ ავტორი გულისხმობს:

- პროდუქტის ფინანსურ ნაწილს (ტარიფები);
- სახელშეკრულებო ნაწილს (ხელშეკრულებების პირობები);

ბანკის მთლიანობაში პროდუქტიული ხაზის მახასიათებლებს (ანუ გარკვეული პროდუქტების/მომსახურეობების არსებობას ან არარსებობას და მათ ხელმიასწვდომობას, თითოეული პროდუქტის პარამეტრების მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისობას.

შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს-პროცესები - ხარისხის დინამიური მხარეა, ხოლო პროდუქტები კი - სტატისტიკური მხარე. სხვა სიტყვებით, პროდუქტების და მათი პარამეტრების მოთხოვნების შეფასებისათვის არ არის საჭირო - ბიზნეს-პროცესების შესრულების მონიტორინგი, მაჩვენებლების სტატისტიკის შეგროვება და სხვადასხვა დაკვირვებები. ყოველივე მკაფიოდ დაფიქსირებულია ბანკის ნორმატიულ დოკუმენტებში.

საბანკო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების, მომხმარებელთა კმაყოფილებასთან მიმართებაში, განხილული **სამი მიმართულების (მომსახურება, პრპცესი, პროდუქტი) საფუძველზე გაიანგარიშება საბანკო საქმიანობის ხარისხის (მომხმარებელთა საერთო კმაყოფილების) ინტეგრალური ინდექსი.**

მოცემული ინტეგრალური ინდექსი ტოლია ბანკში მომსახურების ხარისხის (მომხმარებელთა მომსახურების ხარისხით კმაყოფილება), ბანკის ბიზნეს-პროცესების ხარისხის (მომხმარებლების ბიზნეს-პროცესების ხარისხით კმაყოფილება) და ბანკის პროდუქტების ხარისხის (მომხმარებელთა პროდუქტებისხარისხითკმაყოფილება)ინდექსების საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობას.

კიდევ ერთხელ, გავამახვილოთ ყურადღება, რომ მოცემული ნაშრომის ჩარჩოებში საბაკო საქმიანობის ხარისხს ვაფასებთ, უპირველედ ყოვლისა, მომმხარებლის თვალსაზრისიდან გამომდინარე და არ ვითვალისწინებთ ბანკის სხვა „შიდა“ მუშაობის ხარისხის ასპექტებს, ისეთებს, როგორიცაა საბანკო რისკების მართვის ხარისხი, ფინანსების მართვის ხარისი, სტრატეგიული მართვის ხარისი და ა.შ.

დასკვნა

ყოველივე ზემოთაღნიშნულების საფუძველზე, შეიძლება შემდეგი სახის მოკლე დასკვნა იქნას გაკეთებული:

განხილულია საბანკო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები (ხერხები) რომელიც მოიცავს თავსთავში სამ შემადგენელს: **მომსახურებას, პროცესს და პროდუქტს**

- **ხაზგასმულია,** რომ თანამედროვე დროში

ხარისხის ცალკეული ლოკალური გაუმჯობესება არ არის საკმარისი, არამედ სისტემური მიდგომაა საჭირო, რომელიც ყველა მიმათულებების, მიდგომების, სტანდარტებისა და შემუშავებების სისტემაში გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა და სწორდ ამით რამდენიმე ჯერადად ამაღდება მოცემული საქმიანობის გამჭვირვალობა, მომგებიანობა და ეფექტიანობა.

- **შეთავაზებულია** ბანკის სხვა „შიდა" მუშაობის ხარისხის ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობა, თუნდაც ისეთების როგორებიცაა: საბანკო რისკების მართვის ხარისხი, ფინანსების მართვის ხარისი, სტრატეგიული მართვის ხარისხი.
- **შეთავაზებულია** თანამედროვე საბანკო სისტემაში მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანი ადილი მომხმარებლებს და მათ ინტერესებს დაეთმოს . რადგან მომხმარებლებზე ორიენტირებული მიდგომების განვითარებასთან ერთად, მომხმარებლის კველავა (მათი ინტერესების და ქცევის შესწავლა) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. რადგან ზუსტად იცოდნენ კომპანიებმა რა მიმართულებით უნდა გაზარდონ ბიზნესის ეფერტურობა და მომხმარებლებს შესთავაზონ მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება და პროდუქტები .

მომხმარებელთა კმაყოფილება პოზიტიური გამოცდილებით ყალიბდება, რაც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე როგორიცაა მომსაურების ან პროდუქტის მაღალი ხარისხი, გამართლებული მოლოდინები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Методические рекомендации Банковской Ассоциации Страны (БАС) по организации функционорования системы менеджмента в коммерческом банкею
2. Исаев Р.А. – Банковский менеджмент и бизнес-инжиниринг. – Москва: ИНФРА-М, 2011. – 400 с.
3. Типовая система менеджмента качества коммерческого банка (в составе комплексной типовой бизнес-модели коммерческого банка).
4. https://act-global.com/ka/georgia/product/business-function/customer-satisfaction
5. https://nbg.gov.ge/

Methods of provision and improvement of banking services

Abstract

The article presents the characteristics of banking activities, including a clear approach to establishing connections, a vision of increasing customer users, a detailed description of the design of the above mentioned components, examples from practice, references to the necessary methods and solutions. Also, the following concepts are discussed: quality management system and relevant standards, customer service, banking service quality standard, banking process quality standard, banking products and their quality standard; There are discussed the important role of customers and their interests in the development of a marketing strategy, the development of customer-oriented approaches, the study of their interests and behavior, for which companies use various studies, in order to know which direction they should increase business efficiency and offer customers services and products tailored to their needs In the following article. The main directions (methods) of ensuring and improving the quality of banking activities are also discussed, which include three components: service, process and product.

There are also suggestions about a need to consider other aspects of the quality of the bank's "internal" work, even such as: the quality of banking risk management, the quality of financial management, and the quality of strategic management.The paper emphasizes that individual local improvement of quality in modern banks is not enough, but a systematic approach is needed, which provides the opportunity to combine all directions, approaches, standards and development systems, and, by this, the transparency, profitability and efficiency of the given activity will be increased several times. Customer satisfaction is shaped by a positive experience, which depends on factors such as the high quality of the service or product.

Key words: main components of the quality of banking activity, quality management system, customer service, banking service quality standard, banking process quality standard, banking product quality standard.

ინოვაციური საწარმოო სისტემების ენტროპიული ანალიზის მეთოდოლოგია

მაია აბალოიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში ასახულია ინოვაციური საწარმოო სისტემების ენტროპიული ანალიზის მეთოდოლოგია. შესწავლილია ენტროპიული ანალიზის შესაძლებლობები ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის და საწარმოო სისტემის ფუნქციონირების ხარისხის შეფასებისთვის. როგორც თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგი, ჩვენს მიერ შემოთვაზებულია ალგორითმი ინოვაციური განვითარების მონიტორინგისთვის, რომელიც წარმოადგენს საწარმოო მონაცემების მონიტორინგის სისტემის შექმნის საფუძველს ინოვაციური საქმიანობის მაღალი დონის მისაღწევად.

ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ინოვაციური პროცესების ენტროპიაზე, ზოგადად, ენტროპიაზე, რომლის ცნებაც პირველად მეცნიერებაში შემოიტანეს ენერგიის შეუქცევადი გაბნევის დასახასიათებლად. შემდგომ შემოთავაზებულ იქნა ენტროპიის სტატისტიკური გაგება, როგორც თერმოდინამიკური სისტემის მიკრომდგომარეობების სიმრავლის საზომისა, რომელიც დაკავშირებულია სისტემის მაკრომდგომარეობის ალბათობასთან. რაც შეეხება ენტროპიის სხვა კლასიკურ გაგებას, იგი დაკავშირებულია ინფორმაციის თეორიასთან. კ. შენონმა ინფორმაცია განსაზღვრა, როგორც ღირებულება, რომელიც ავსებს ენტროპიას; სამუშაოს შესრულების ყოველი პროცესი არის ინფორმაციული ურთიერთქმედებების პროცესი, რომელშიც ინფორმაცია გამოდის მოძრაობის წარმმართველ მიმართულებად, რომელიც ასრულებს მართვის ფუნქციას.

სტატიაში ნაჩვენებია ტერმინ „ენტროპიას“ გამოყენების სფეროები საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში. აღნიშნულია, რომ იგი პირველად დაინერგა თერმოდინამიკის ფარგლებში, როგორც თერმოდინამიკური სისტემის მდგომარეობის ფუნქცია. სტატისტიკური ენტროპიის ცნება კი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეცნიერებებში. ეკონომიკაში ი. ვ. ფრანგიშვილი ენტროპიას განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური სისტემის მომავალი მდგომარეობის გაურკვევლობის რაოდენობრივ საზომს. გარდა ამისა, სტატიაში წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები ენტროპიის ცნებაზე და მათი ინტერპრეტაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ფართოდაა განხილული ენტროპიის სახეები, ინოვაციური პროცესების ენტროპია. სხვადასხვა თვალსაზრისითაა განხილული ენტროპიის გავლენა ინოვაციურ საქმიანობაზე.

საკვანძო სიტყვები: ენტროპია, ეფექტიანობა, ალგორითმი, მონიტორინგი, კონკურენტული უპირატესობა, მოდელი, ალბათური სისტემები.

შესავალი

ინოვაციურ საქმიანობას, როგორც პროექტირების, ანალიზის, დიაგნოსტიკის და მართვის ობიექტს, აქვს რიგი განსაკუთრებული ფიზიკური თავისებურებები, რომლებიც განასხვავებს მას სხვა საქმიანობიდან. კერძოდ, საჭიროა მთელი გარდაქმნების თანმიმდევრული ჯაჭვის ანალიზი სამეცნიერო-ტექნიკური ჩანაფიქრიდან საწარმოო სისტემის კონკურენტული უპირატესობის მიღწევამდე. ეს თანმიმდევრობა გამოირჩევა გარდაქმნების მაღალი დინამიზმით და დიდი რაოდენობის შემთხვევითი რხევებით.

გარდა ამისა, ინფორმაციული მხარდაჭერა ინოვაციური პროექტირების სფეროში ასოცირდება ისეთ სირთულეებთან, როგორიცაა პარამეტრების და ცვლადების დიდი რაოდენობა. სირთულე გამოწვეულია მათ შესახებ არასრულყოფილი და არადეტერმინირებული საწყისი ინფორმაციის არსებობით.

ძირითადი ნაწილი

ინფორმაციის ანალიზისა და სტრუქტურირებისათვის მაღალდინამიურ, მრავალდონიან და ნაკლებადსტრუქტურირებულ ინოვაციურ სფეროში საჭიროა მოქნილი და ერგონომიული ინსტრუმენტარიუმი. ინფორმაციული უზრუნველყოფის ერგონომიულობა გაიგება როგორც ადამიანიური აზროვნების პრინციპებთან შესაბამისობა რთულად ფორმალიზებად ინფორმაციასთან მუშაობისას. ანალიზის სისტემების მოქნილობა გულისხმობს მოდელის პარამეტრების დაზუსტებას მართვის ობიექტის შესახებ ახალი ინფორმაციის მიღებისას. სტატიაში განხილულია ენტროპიის ანალიზის მოდელების გამოყენების შესაძლებლობები და საწარმოო სისტემების

ინოვაციური განვითარებისა და ინოვაციური პროცესების შესწავლისას მიღბული გამოცდილება.

ინოვაციური პროცესების ენტროპია. ენტროპიის ცნება პირველად მეცნიერებაში შემოიტანა რ. კლაუზიუსმა ენერგიის შეუქცევადი გაბნევის დასახასიათებლად. შემდგომში ლუდვიგ ბოლცმანმა შემოგვთავაზა ენტროპიის სტატისტიკური გაგება, როგორც თერმოდინამიკული სისტემის მიკრომდგომარეობების სიმრავლის საზომისა, რომელიც დაკავშირებულია სისტემის მაკრომდგომარეობის ალბათობასთან. ენტროპიის სხვა კლასიკური გაგება დაკავშირებულია ინფორმაციის თეორიასთან: ჰარტლიმ შემოიტანა ინფორმაციის სიდიდის ლოგარითმული ზომა, რომელიც გულისხმობდა სისტემის მდგომარეობების სიმრავლის არსებობას. უფრო მოგვიანებით კ. შენონმა შემოგვთავაზა ადიტიური სიდიდე, რომელსაც ენტროპია ეწოდება შემთხვევითი სიდიდის ენტროპია ან ინფორმაციული ენტროპია. ის განისაზღვრება, ალბათობის მოუწესრიგებელი დისკრეტული განაწილების სიდიდის საშუალებით ალტერნატიული მდგომარეობის სიმრავლეზე.

კ. შენონმა ინფორმაცია განსაზღვრა, როგორც ღირებულება, რომელიც ავსებს ენტროპიას; სამუშაოს შესრულების ყოველი პროცესი არის ინფორმაციული ურთიერთქმედებების პროცესი, რომელშიც ინფორმაცია გამოდის მოძრაობის წარმმართველ მიმართულებად, რომელიც ასრულებს მართვის ფუქნციას.

როგორც ენტროპიის ძირითადი თვისებებიდან ჩანს, დახურულ სისტემაში ხდება განსხვავებების აღმოფხვრა, ქრება მისი მიზანმიმართული არსებობა. ღია სისტემებში ენტროპიას შეუძლია მატებაც და შემცირებაც. ასეთ სისტემებში არსებობს საკუთარი მზარდი ენტროპია, იმპორტირებული და ექსპორტირებული ენტროპია, ასევე თავისუფალი ენერგია, რომელიც აკომპენსირებს საკუთარი ენტროპიის ზრდას.

ენტროპია - ფართოდ გამოიყენება საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში ტერმინად. პირველად დაინერგა თერმოდინამიკის ფარგლებში, როგორც თერმოდინამიკური სისტემის მდგომარეობის ფუნქცია. ენტროპია წარმოადგენს ენერგიის შეუქცევადი დისპერსიის საზომს (უწესრიგობის საზომი) ან ენერგიის უსარგებლობის ზომას, რადგან სისტემის მთლიანი ენერგიის გარდაქმნა სასარგებლოდ შეუძლებელია, გამოიყენება მხოლოდ ნაწილი სასარგებლო სამუშაოდ.

ვინაიდან სისტემის დეგენერაციის ხარისხი არანაირად არ არის დაკავშირებული მის ფიზიკურ მახასიათებლებთან, სტატისტიკური ენტროპიის ცნება შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მეცნიერებებში. შემდგომში იგი გამოიყენეს სოციალურმა მეცნიერებებმა და შეიცვალა მისი შინაარსი მკვლევართა მიზნებისა და კონცეფციების შესაბამისად. ყველაზე ზოგადი გაგებით (როგორც ყველა სფეროს განმარტების ბირთვი, საფუძველი) საქმე ეხება ენტროპიის ცნების ფოკუსირებულ ობიექტში დანაკარგებს. ამასთან ი.გ. მარკოვი ხაზს უსვამს ენტროპიის ფუნქციონალურ ბუნებას: ენტროპია არ ეხება სისტემის შიდა სტრუქტურულ თავისებურებებს, ის განსაზღვრავს მის მოქმედებას ზოგადად. ამიტომაც პრაქტიკულ ღირებულებას ენტროპიული შეფასებები იძენს იქ, სადაც სისტემებისადმი გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები.

ეკონომიკაში ი.ვ. ფრანგიშვილი ენტროპიას განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური სისტემის მომავალი მდგომარეობის გაურკვევლობის რაოდენობრივ საზომს. ვ.ტ. პრესლერი ასაბუთებს, რომ ის სფეროები რომლებიც იყენებენ ენტროპიას ინფორმაციული ანალიზისთვის, ეკონომიკაში ფოკუსირებულია ორი სახის პრობლემის გარშემო: ეკონომიკური სისტემების მდგრადობის განსაზღვრა, ასევე მოვლენათა სიმრავლის დინამიკის და შესაბამისი სტრატეგიების შეფასება.

გ. ა. კრასნოვი ანალოგიას აკეთებს ეკონომიკურ და თერმოდინამიკურ სისტემებს შორის: თერმოდინამიკაში ენტროპია განსაზღვრავს სისტემის სითბური ენერგიის ნაწილს, რომელიც არ შეიძლება გარდაიქმნას სამუშაოდ, ხოლო ეკონომიკურ სისტემაში ის დაკავშირებულია სტრუქტურულ ხარჯებთან რომლებიც არ გამოიყენება პირდაპირ პროდუქციის წარმოებისას.

ანალოგიურად, ა. ი. ჩალენკო ამტკიცებს, რომ კვლევაში ენტროპიის ცნების დასანერგად აუცილებელია გადავიდეთ სისტემის სტრუქტურული განხილვიდან პროცესულში. ავტორი ასაბუთებს ეკონომიკური სისტემის პოტენციალის ეფექტიანობის შემცირებას გვერდითი პროცესების არსებობით, რომლებიც მოიხმარენ მის რეზერვებს სასარგებლო შედეგის შექმნის გარეშე.

ენტროპიის გავლენა ინოვაციურ საქმიანობაზე განიხილება თვითორგანიზაციის პრინციპების თვალსაზრისით, რომლებიც არიან მმართველობითი ინოვაციის წყარო და ინოვაციური საქმიანობის მარეგულირებლები. ტექნიკური და საწარმოო სისტემების ფუნქციონირების მახასიათებლების შესწავლისას ენტროპიის ზომა გამოიყენება სისტემის სირთულის და მასზე გარე ზემოქმედების დონის გავლენის რაოდენობრივ საზომად.

ლ.ს. უსოვი ინოვაციურ საწარმოო სისტემებში გამოყოფს ნეგენტროპიის და ენტროპიის წყაროებს. პირველს იეკუთვნება ინტელექტი, ფული, იაფი ნედლეული, მუშაკთა მაღალი კვალიფიკაცია. ენტროპიის დაგროვებას იწვევს ნეკროზი და კაპიტალის ექსპორტი, ნარჩენების ზრდა, არაპროდუქტიული ტექნოლოგია, სპეციალისტების გადინება და არააღდგენადი ნედლეული და სხვა ფაქტორები. ავტორი აღნიშნავს ნეგენტროპიის შეგნებული ფორმირების საჭიროებას ყველა მონაწილის მხრიდან საწარმოო პროცესებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების გზით.

ა. ს. დულესოვი ირწმუნება, რომ საშუალო პირობით ენტროპიას აქვს არსებითი მნიშვნელობა ტექნიკურ სისტემებში დანაკარგების პრობლემის გადასაჭრელად. ტექნიკური სისტემების შესწავლას საფუძვლად უდევს განზოგადებული ენტროპიის განმარტება, რომელიც გამოწვეულია ცალკეული ელემენტების და სისტემების შრომისუნარიანობაზე გარე ალბათური ფაქტორების ზემოქმედებით.

ს.ვ. ჩუპროვი ხაზს უსვამს, რომ საწარმოო სისტემის გაჯერება მისი მართვა ინფორმაციით ლოკალიზაციას უკეთებს და ასუსტდებს ნორმალური ფუნქციონირების რხევებს და ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტის ზრდას.

ა. ა. ბორისოვი საწარმოო-ტექნიკური სისტემის ენტროპიას განსაზღვრავს როგორც მისი ხარისხის ზრდის საზომს: შედეგად ინოვაციური პროექტების ათვისების შედეგად სისტემის ენტროპია უნდა შემცირდეს. ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ განვითარებისთვის ინვესტიციების ზრდის ტემპი ტექნოლოგიური ინოვაციების ათვისებისთვის საჭირო ინვესტიციების ზრდის ტემპი არ აღემატება წარმოების ზრდის ტემპს.

დასკვნა

ამრიგად, სტატიაში წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები ენტროპიის ცნებაზე და წარმოდგენილია მათი ინტერპრეტაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ფართოდაა განხილული ენტროპიის სახეები, ინოვაციური პროცესების ენტროპია. სხვადასხვა თვალსაზრისითაა განხილული ენტროპიის გავლენა ინოვაციურ საქმიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Теоретический подход к выявлению, анализу и оценке развития хозяйственных связей на основе энтропийного исследования взаимодействий в строительном комплексе Текст научной статьи по специальности «Экономика и бизнес» Шиндина Татьяна Александровна. https://cyberleninka.ru/article/n/teoreticheskiy-podhod-k-vyyavleniyu-analizu-i-otsenke-razvitiya-hozyaystvennyh-svyazey-na-osnove-entropiynogo-issledovaniya
2. Энтропийный подход к рассмотрению организации как комплексной адаптивной системы Текст научной статьи по специальности «Экономика и бизнес» Коларж Вячеслав Вячеславович https://cyberleninka.ru/article/n/entropiynyy-podhod-k-rassmotreniyu-organizatsii-kak-kompleksnoy-adaptivnoy-sistemy
3. file:///C:/Users/tamriko/Downloads/metodologiya-entropiynogo-analiza-innovatsionnyh-proizvodstvennyh-sistem%20(2).pdf
4. https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/43047/;jsessionid=744D414D893098A1DB1A63C707162F69?sequence=1
5. Дулесов, Хрусталев В.И. Определение энтропии как меры информации при сравнении прогнозных и реальных показателей предприятия // «Современные проблемы науки и образования», 2012.
6. Прангишвили И.- Энтропия и другие образцы систем: проблемы управления сложными системами; 2003 г. http://apolov-oleg.narod.ru/olderfiles/1/Prangishvili_I.V_JEntropiinye_i_dr-88665.pdf

Methodology of entropy analysis of innovative production systems

Maya Abaloidze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article describes the methodology of entropy analysis of innovative production systems. The possibilities of entropy analysis for the evaluation of the effectiveness of innovative activities and the quality of the functioning of the production system have been studied. Based on theoretical and practical research, we have proposed an algorithm for innovative implementation monitoring, which represents a framework for creating a monitoring system for operational data to support high-level innovative activities.

Mainly, attention is focused on the entropy of innovative processes, in general, entropy, the concept of which was first introduced in science to characterize the irreversible dissipation of energy. A statistical understanding of entropy as a measure of the multiplicity of microstates of a thermodynamic system related to the probability of the macrostate of the system was then proposed. As for the other classical understanding of entropy, it is related to information theory. K. Shannon defined information as the value that complements entropy; Each process of work performance is a process of informational interactions, in which information comes out as a guiding direction of movement, which performs a management function.

The article shows the areas of use of the term "entropy" in natural and exact sciences. It is noted that it was first introduced in the framework of thermodynamics as a function of the state of a thermodynamic system. The concept of statistical entropy can be used in various sciences. in economics i. V. Frangishvili defines entropy as a quantitative measure of the uncertainty of the future state of the economic system. In addition, the article presents the views of different authors on the concept of entropy and their interpretation regarding the mentioned issue. Types of entropy, entropy of innovative processes are widely discussed. The impact of entropy on innovative activity is discussed from different points of view.

Key words: entropy, efficiency, algorithm, monitoring, competitive edge, model, probabilistic systems.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების ბაზრის თავისებურებები

რუსუდან ქუთათელაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელზა ვეკუა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურებების (პროდუქტების) ბაზრის განვითარების ძირითად ტენდენციები და ასევე საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების რეგიონული ბაზრის განვითარების ტენდენციები. დაზუსტებულია მოთხოვნები იმ მაჩვენებლების მიმართ, რომლებიც ახასიათებენ მისი განვითარების ტენდენციებს. დასკვნის სახით წარმოდგენილია კვალიფიციური შრომითი რესურსებით რეგიონის ეკონომიკის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ტენდენციების კვლევისთვის აუცილებელი პირობები.

სტატიაში ჩამოყალიბებულია საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურებების (პროდუქტების) ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები და არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების განვითარების ის მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ ახასიათებს საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზარს. აღნიშნულია, რომ საკმაოდ მაღალი ტემპებით იზრდება არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა და მათი კონტინგენტის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ანალოგიური მაჩვენებლებისგან.

სტატიაში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების ბაზრის განვითარების ტენდენციებზე. გარდა ამისა, ჩამოთვლილია ის სპეციალობები, რომელზედაც განსაკუთრებული მოთხოვნაა. ესენია – ჰუმანიტარული, იურიდიული და ეკონომიკური პროფილის სპეციალობები.

საბაზრო ცვლილებებმა ეკონომიკაში გავლენა მოახდინეს სპეციალისტთა მომზადების სტრუქტურულ გარდაქმნაზე. ჰუმანიტარულ-სოციალურ სპეციალობებზე (ეკონომიკა, განათლება, ხელოვნება) ჩარიცხული სტუდენტების ხვედრითი წილი გაიზარდა. ვითარდება არასახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კვალიფიციური შრომითი რესურსებით რეგიონის ეკონომიკის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ტენდენციების კვლევისთვის აუცილებელია:

რეგიონის ეკონომიკის განვითარების ტენდენციების განსაზღვრა დარგებში დასაქმების პროგნოზირებისათვის;

შრომის ბაზრის კვლევა შრომით რესურსებზე მოთხოვნის პროგნოზირებისთვის სპეციალისტთა მომზადების ციკლის ხანგრძლივობაზე არანაკლები პერიოდისთვის;

მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის შესწავლა უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზარზე, შრომის ბაზრის კვლევის შედეგებისა და ეკონომიკის განვითარების ტენდენციების შესაბამისად მისი აქტიური ჩამოყალიბების ჩათვლით.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო მომსახურება, შრომის ბაზარი, მცირე მეწარმეობა, ფასიანი მომსახურება, ჰუმანიტარული პროფილი, ეკონომიკური პროფილი, იურიდიული პროფილი.

შესავალი

უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების ბაზრის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზება მნიშვნელოვნად აღემატება მათზე მოთხოვნის შესაძლებლობებს [1]. საგანმანათლებლო მომსახურებების გაწევის ციკლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, დაუშვებელია იმის ლოდინი, თუ როდის გაფორმდება ოფიციალური სახით ეს მოთხოვნა. მისთვის საჭიროა მზადება, მისი პროგნოზირება, მიზანმიმართულად ჩამოყალიბება, მ.შ. რეგიონული და დარგობრივი სეგმენტებისა და ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურებების (პროდუქტების) ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები

მცირე ბიზნესის საწარმოთა ორგანიზაციის

ფუნქციონირებასთან, საწარმოთა საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ, სამართლებრივ, საინფორმაციო, ენობრივ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სპეციალობებზე მოთხოვნის მდგრად ზრდას;

მაღალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და ექსპლუატაციასთან კავშირის მქონე არატრადიციულ სპეციალობებზე მოთხოვნის ზრდას;

რეგიონული გავლენის გაძლიერებას საგანმანათლებლო საქმიანობის პოლიტიკაზე (სპეციალობების ნაკრები, სწავლების ფორმები, ფინანსური მხარდაჭერის არსებობა, რეგიონული შეკვეთა);

მოთხოვნისა და შეთავაზების ბალანსის დარღვევას საგანმანათლებლო მომსახურებების ცალკეული სახეების მიხედვით, კერძო საგანმანათლებლო სტრუქტურების რიცხვის ზრდის ხარჯზე.

საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზარს ყველაზე მკაფიოდ ახასიათებს არასახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების განვითარების მაჩვენებლები.

საკმაოდ მაღალი ტემპებით იზრდება არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა. არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის კონტინგენტის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ანალოგიური მაჩვენებლებისგან. არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების დომინანტურ მიმართულებებსა და სპეციალობებს წარმოადგენს ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური, ეკონომიკისა და მენეჯმენტის სპეციალობები.

უმაღლესი სკოლის არასახელმწიფო სექტორის განვითარების თავისებურებას წარმოადგენს მისი კონცენტრაცია საქალაქო ცენტრებში-თბილისში, ბათუმში და ქუთაისში. არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა უმეტესობა სწავლობს ქალაქ თბილისში. ავტორის აზრით, ასეთი სიტუაცია შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზებით:

- მოსახლეობის შემოსავლების დონით;
- ტერიტორიის ხელსაყრელი მდგომარეობით;
- საქმიანი აქტიურობის მაღალი დონით;
- მცირე მეწარმეობის ინტენსიური განვითარებით;
- უმაღლესი სასწავლებლების ფილიალების არსებობით რეგიონებში.

გარდა ამისა, უმაღლესი სასწავლებლის მარკეტინგულ საქმიანობაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების რეგიონული ბაზრის განვითარების ტენდენციები. უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო მომსახურებებისა და პროდუქტების ბაზრის განვითარების ტენდენციების კვლევა უნდა დაიწყოს მოსახლეობის მომსახურებათა სტრუქტურის და მასში საგანმანათლებლო მომსახურებების წილის განხილვით.

ყველაზე მკაფიოდ მომსახურებათა ბაზარზე ცვლილებების ტენდენციას ასახავს მათი სტრუქტურა. ფასიანი მომსახურებების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები დაკავშირებულია ფასიანი მომსახურებების განვითარებასა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებასთან.

საგანმანათლებლო მომსახურებების წილი მნიშვნელოვნად იზრდება. გამოცოცხლება საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზარზე დაკავშირებულია აღნიშნულ სფეროში სრულფასოვანი კონკურენტული გარემოს შექმნასთან. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ზრდას თან ახლავს კონკურსის ზრდა აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებში ჩარიცხვისას, ამასთან, განსაკუთრებული მოთხოვნაა ქვემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე:

- ჰუმანიტარული პროფილის;
- იურიდიული პროფილის;
- ეკონომიკური პროფილის.

საბაზრო ცვლილებებმა ეკონომიკაში გავლენა მოახდინეს სპეციალისტთა მომზადების სტრუქტურულ გარდაქმნაზე. ჰუმანიტარულ-სოციალურ სპეციალობებზე (ეკონომიკა, განათლება, ხელოვნება) ჩარიცხული სტუდენტების ხვედრითი წილი გაიზარდა. ვითარდება არასახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

სპეციალისტების მომზადება კომერციულ უმაღლეს სასწავლებლებში ორიენტირებულია სპეციალობებზე, რომლებიც სარგებლობენ ყველაზე მაღალი მოთხოვნით შრომის ბაზარზე. გასული წლების მაგალითებზე საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალი იქნა გამოკვლეული. გავეცანით კვლევის შედეგებს, სადაც ყველაზე მაღალი მოთხოვნა ფინანსისტებზე და საკრედიტო ექსპერტებზეა, რაც 20.1%-საღწევს, ასევე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება გაყიდვების მენეჯერებზე, სადაც ეს მონაცემი 18.5%-ია. სხვა პროფესიებზე მოთხოვნა კი შემდეგნაირად გამოიყურება – ტექნიკური პერსონალი – 13.2%; ექიმი/სამედიცინო პერსონალი – 9.7%; დისტრიბუცია/ვაჭრობა – 8%; აიტი სფეროს მენეჯერი – 7.4%; სხვადასხვა სფეროს მენეჯერი – 7.2%; მასწავლებელი ტრენერი კონსულტანტი – 6.4%ტუროპერატორი – 3.5%; მარკეტინგი – 3.1%; იურისტი – 1.9%; ინჟინერი –1%.

დუალიზმის - ორი ურთიერთმოქმედი ბაზრის პირობებით:

უშუალოდ ფუნქციონირებენ საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზარზე;

ობიექტურად ფიქსირდებიან შრომის ბაზარზე.

ამიტომაც საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზრის განვითარების ტენდენციების გამოსავლენად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ორი სახის ბაზრის სპეციფიკა და თავისებურებები.

საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურებების (პროდუქტების) ბაზრის გამოსაკვლევად აუცილებელია დაზუსტდეს მოთხოვნები იმ მაჩვენებლების მიმართ, რომლებიც ახასიათებენ მისი განვითარების ტენდენციებს:

მაჩვენებლები უნდა ახასიათებდნენ განათლების სისტემის მომსახურებათა ღირებულებით მოცულობას და დინამიკას; აჩვენებდნენ ადგილს, რომელსაც იკავებენ მოცემული მომსახურებები ფასიანი მომსახურებების საერთო მოცულობაში;

მაჩვენებლები უნდა ასახავდნენ მოსახლეობის დანახარჯების სტრუქტურას ფასიანი მომსახურებების მიღებაზე და სახელმწიფო საბიუჯეტო დანახარჯებს განათლებაზე;

მაჩვენებლები უნდა ასახავდნენ სასწავლო დაწესებულებების სტრუქტურას და სტუდენტთა რიცხოვნობას სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების ჭრილში;

მაჩვენებლები უნდა ახასიათებდნენ ბაზრის დარგობრივ სტრუქტურას, სწავლების ფორმებს, დანახარჯებს სასწავლო პროცესის განხორციელებაზე.

თავის მხრივ, შრომის ბაზარი ზემოქმედებას ახდენს უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემაზე შრომითი რესურსების რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებელების მიმართ მოთხოვნების მეშვეობით.

დასკვნა

კვალიფიციური შრომითი რესურსებით რეგიონის ეკონომიკის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ტენდენციების კვლევისთვის აუცილებელია:

რეგიონის ეკონომიკის განვითარების ტენდენციების განსაზღვრა დარგებში დასაქმების პროგნოზირებისათვის;

შრომის ბაზრის კვლევა შრომით რესურსებზე მოთხოვნის პროგნოზირებისთვის სპეციალისტთა მომზადების ციკლის ხანგრძლივობაზე არანაკლები პერიოდისთვის;

მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის შესწავლა უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო მომსახურებების ბაზარზე, შრომის ბაზრის კვლევის შედეგებისა და ეკონომიკის განვითარების ტენდენციების შესაბამისად მისი აქტიური ჩამოყალიბების ჩათვლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Панкрухин А.П. Маркетинг образовательных услуг в высшем и дополнительном образовании / Учебное пособие, М., Интерпракс, 1995
2. გიგაური ი. მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე. დისერტაცია. თბ., თსუ. 2012;
3. ვალიშვილი თ. საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მარკეტინგული კვლევის საფუძვლები. დისერტაცია. ქუთაისი, 2011.
4. თოდუა ნ. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. მონოგრაფია. თბ., 2012;
5. https://umteam.ru/ka/sovremennye-problemy-nauki-i-obrazovaniya-marketingovyi-analiz/
6. Fisher S. "Globalization and Its Challenges", American Economic Review Papers and Proceedings, (May 2003), p.1-32.
7. http://www.krueger.princeton.edu/krueger.pdf
8. Richard A. Easterlin. Education and Economic Development Since the Industrial Revolution. Edited by Gabriel Tortella. Valencia, Spain: Generalitat Valenciana, 1990. Pp. x, 353. The

Peculiarities of the market of educational services and products of Georgian higher education institutions

Rusudan Kutateladze, professor
Georgian Technical University

Elsa Vekua, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article discusses the main trends in the development of the educational services (products) market of Georgia, as well as the trends in the development of the regional market of educational services and products. The requirements for the indicators that characterize its development trends are clarified. As a conclusion, the necessary conditions for researching the development trends of the system of providing the economy of the region with qualified labor resources are presented.

The article describes the development trends of the educational services (products) market of Georgia and the indicators of the development of non-state educational institutions that most clearly characterize the market of educational services. It is noted that non-state higher education institutions and their contingent structure, which determines state higher education institutions, are growing at high rates.

The article mainly focuses on the development trends of the higher education educational services and products market. In addition, the specialties for which the demand is listed are considered. These are humanitarian, legal and economic specialties.

Market changes in the economy have influenced the structural transformation of specialist training. The meeting share of students enrolled in humanitarian and social specialties (economy, education, art) has increased. Non-state higher educational institutions of development.

Finally, it is possible that the development system of the economic system with labor resources in the region

- Determining the development trends of the region's economy to forecast employment in the fields;
- The demand for labor market research labor resources during a period not less than the duration of the forecasted specialist training cycle;
- Study of the current and prospective demand for the sale of educational services of the higher education institution, according to the results of the labor market and the trends in the development of the economy according to its active formation.

Key words: educational services, labor market, small entrepreneurship, paid services, humanitarian profile, economic profile, legal profile.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები შუა საუკუნეების საქართველოში

ივანე ოსაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, უცხოელ მოგზაურთა ცნობები, საარქივო დოკუმენტები, სამარხებში აღმოჩენილი ადგილობრივი ფულის ნიშნები და უცხო ქვეყნის მონეტები ნათლად გვიჩვენებს, რომ ვაჭრობა და საბაზრო ურთიერთობები საქართველოში უძველესი დროიდან იღებს სათავეს. სტატიაში გაანალიზებული და გამოკვეთილია ფაქტორები, რამაც განაპირობა საქართველოს როლი მსოფლიო გლობალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ხაზგასმულია, რომ საქართველოს ინტენსიური სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობა აზია-ევროპის მიჯნაზე გეოგრაფიულმა მდებარეობამაც განაპირობა, სადაც გადიოდა მრავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზა და სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალი. საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცე საშუალებას იძლეოდა ყველაზე მოხერხებული და მოკლე გზით დაკავშირებოდნენ ერთმანეთს აზიისა და ევროპის ქვეყნები, რაც მათ სავაჭრო ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამებოდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არა მარტო სახმელეთო, არამედ სამდინარო მაგისტრალები და შავი ზღვა. საქართველოზე გამავალი „დიდი აბრეშუმის გზა“ შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა საბერძნეთთან და ბიზანტიასთან. აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალით ცხადად ჩანს, რომ V-VI საუკუნეებში ეგრისი და იბერია ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობაში არიან ჩაბმული ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან.

საქართველოს სავაჭრო - საქარავნო გზებით გადიოდა ნედლი აბრეშუმი კავკასიის, ირანისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დასავლეთში. საყურადღებოა, რომ ადრე და გვიან შუა საუკუნეებში ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობაში უმთავრესი ადგილი ნედლ აბრეშუმსა და მისგან ნაწარმოებ ქსოვილს ეკავა.

„დიდი აბრეშუმის გზის“ ტრანსაზიური მაგისტრალის გავლით დასავლეთში (ბიზანტიაში) შედიოდა გარდა ნედლი აბრეშუმისა და აბრეშუმის ქსოვილებისა, მრავალნაირი სანელებელი, ძვირფასი ქვები, სპილოს ძვალი, ნელსაცხებელი და სხვა.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო, ტრანზიტული, მაგისტრალი, აბრეშუმის გზა, ბიზანტია.

შესავალი

საქართველოში სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობა და აღებმიცემობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ძალზე მდიდარი მასალა, უცხოელ მოგზაურთა ცნობები, არქივებში შემორჩენილი დოკუმენტები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სამარხებში აღმოჩენილი ადგილობრივი ფულის ერთეულები და უცხო ქვეყნის მონეტები.

საქართველოში ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა აზია-ევროპის გზაშესაყარზე მდებარეობამაც განაპირობა. ჩვენს ქვეყანაზე მრავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზა და საქარავნო მაგისტრალი გადიოდა. საქართველოს სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალების მეშვეობით წარმოებდა ვაჭრობა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის.

„დიდი აბრეშუმის გზა“ შორეულ აღმოსავლეთს საბერძნეთთან და ბიზანტიასთან აკავშირებდა. დიდი მნიშვნელობისა იყო სამდინარო მაგისტრალებიც. მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალებით მტკიცდება, რომ V-VI საუკუნეებში ეგრისი და იბერია აქტიურად არიან ჩაბმული საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

საქართველოს სავაჭრო გზებით გადიოდა აბრეშუმი კავკასიის, ირანისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ევროპასა და აზიას შორის ადრე და გვიან შუა საუკუნეებში ვაჭრობის უმთავრეს საგანს ნედლი აბრეშუმი და მისგან

ნაწარმოები ქსოვილი შეადგენდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მეაბრეშუმეობის სამშობლოდ აღიარებულია ჩინეთი, სადაც ჯერ კიდევ შანის პერიოდში ანუ II ათასწლეულის დასაწყისიდან თუთის ხისა და აბრეშუმის ჭიის მოშენებას მისდევდნენ (აბესაძე, 1957, გვ.116).

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან მოყოლებული განსაკუთრებით აქტიურდება ურთიერთობა ჩინეთსა და მეზობელი აზიის ხალხებს შორის. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან იწყება მსოფლიო ვაჭრობაში ჩინეთის ჩართვა. ამ დროს იქმნება ტრანსაზიური მაგისტრალი, ცნობილი „დიდი აბრეშუმის გზა“ (Манандян, 1930, 82).

ამ საქარავნო გზით აღმოსავლეთიდან დასავლეთში (ბიზანტიაში) შედიოდა ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ქსოვილი, ძვირფასი ქვები, ნელსაცხებელი, სპილოს ძვალი, მრავალნაირი სანელებელი და სხვა. (Пигулевская, 1951, გვ. 133).

ძირითადი ნაწილი

საქართველო ადრიდანვე ჩაება შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობაში. ადრეელინისტურ ხანაში ხდება იმ დიდი სავაჭრო სატრანზიტო გზის წამოწევა, რომელიც ინდოეთში იწყებოდა და ფოთთან გამოდიოდა „აბრეშუმის გზის“ ფასიდ - ჰირკანის გზა. ამ დროს განსაკუთრებით იზრდება ქალაქების - ფაზისის, დიოსკურიის (სოხუმის), პიტიუნტის, ქუთაისის, არქეოპოლისისა და პეტრას მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობაში (ჯანაშია, 1949, გვ. 37-38).

ანტიკური პერიოდიდან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობაში დიდ როლს ასრულებდა შავი ზღვა (Берадзе, 1989). 5. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები კოლხეთის ნავსადგურების მეშვეობით უკავშირდებოდნენ ჩრდილო კავკასიას და აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებს. მის პორტებში ჩინეთიდან და ინდოეთიდან შემოდიოდა მრავალი საქონელი, რომელიც შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში იგზავნებოდა. ნაწილი ამ საქონლისა საქართველოს პორტებშიც ხვდებოდა (ჯავახიშვილი, 1951, 248).

ადრეულ შუა საუკუნეებში აბრეშუმის ნაწარმს ევროპაში უკვე კარგად იცნობდნენ, მაგრამ იგი მეტად იშვიათი და ძვირად ღირებული იყო. IV საუკუნეში ბიზანტიას უკვე უშუალო საზღვარი ქონდა სასანიანთა ირანთან, როგორც შუამდინარეთში, ასევე კავკასიაში. ამ ორი სახელმწიფოს პოლიტიკური ურთიერთობის ხასიათი და შეჯახებანი მნიშვნელოვნად იყო განპირობებული სავაჭრო ინტერესებით. მათ შორის ვაჭრობაში ჩინური აბრეშუმის ხვედრითი წილი სულ უფრო იზრდებოდა. ჩინური აბრეშუმი ბიზანტიაში და შემდეგ ევროპაში ორი გზით ხვდებოდა - სახმელეთო, რომელიც შუა აზიის გავლით და კასპიის ზღვის შემოვლით, კონსტანტინეპოლის მიმართულებით კავკასიაზე გადიოდა, და სხვა საზღვაო - ინდოეთის ოკეანის გავლით ევროპისაკენ მიემართებოდა (მანჯავიძე, 1990). სპეციალურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული საქართველოს ქალაქების სატრანზიტო როლის შესახებ შიდა და საერთაშორისო ვაჭრობაში (კუცია, 1985, 8. კაციტაძე, 1972).

სატრანზიტო მნიშვნელობის გარდა საქართველო სხვადასხვა სახის საქონლისა და ხელოსნური ნაწარმის ფართო ასორტიმენტის მწარმოებელიც იყო. თბილისში წარმოდგენილი იყო ხელოსნობის თითქმის ყველა ცნობილი დარგი. აქაური ხელოსნები ხელოსნური წარმოების 60-მდე დარგს მისდევდნენ. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV; 1973, 540)

როგორც V-VI, ასევე XI-XIII საუკუნეებში საქართველოს ქალაქები გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. მარკო პოლო საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველოში აბრეშუმის ძაფისგან ძვირფასი ოქროქსოვილი მზადდებოდა. XVII-XVIII საუკუნეებში აბრეშუმით ვაჭრობით დიდ პოტენციაზე მიუთითებდნენ არქანჯელო ლამბერტი, ტავერნიე, ტურნეფორი, გიულდენშტედტი, პეისონელი და სხვები. მაგალითად ადამ ოლეარიუსის ცნობით, ირანის შაჰმა ისმაილმა (XVII ს.) ქართლის მეფისგან ხარკად 300 საპალნე ანუ 1800 ფუთი აბრეშუმი წაიღო. ერთი თურქული საბუთის მიხედვით კი, XVI ს. ბოლოს გონიოს საბაჟოში ყოველწლიურად 60 ათასი ახჩა შემოდიოდა შირვანისა და დასავლეთ საქართველოს ექსპორტიდან (Olearius Ad, 1670)

საქართველოში აბრეშუმის წარმოების შესახებ შედარებით სრული ცნობები XVIII საუკუნისათვის მოგვეპოვება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, საიდანაც ირკვევა, რომ მეაბრეშუმეობა ყველაზე განვითარებული ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოში,

კერძოდ კი კახეთში. კახეთში აბრეშუმის მეურნეობის დაწინაურებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ის ახლოს მდებარეობდა გილან - შემახა - ასტრახანის „აბრეშუმის გზასთან“, რომლის საშუალებითაც გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა. (Бердзенишвили, 1938, გვ. 27).

დასავლეთ საქართველოში აბრეშუმის წარმოებით გამოირჩეოდა სამეგრელო (ოდიში), სადაც „ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან და გურიისაგან.“ აბრეშუმის ქსოვილების დამზადების თაობაზე ვახუშტი აღნიშნავს:... ქსოვენ ლარს არა დიდ - ფასსა, უოქრომკედოსა და ხმარობენ სხვებიცა...“ (ბაგრატიონი, 1941, გვ. 88-96)

ამავე პერიოდში მეაბრეშუმეობის მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკაში, წილზე საგარეო ვაჭრობაში, მიუთითებს სახელმწიფო სამართლის ოფიციალური დოკუმენტი - „დასტურლამალი“, რომელშიც დეტალურად არის გადმოცემული საშინაო და საგარეო ვაჭრობის ფაქტობრივი მონაცემები. (დასტურლამალი, 1955)

XII-XV საუკუნეებში საქართველო თავისებურ ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის, ამიტომ მისი სავაჭრო - სატრანზიტო ურთიერთობები და პოტენციალი, ევროპასა და აღმოსავლეთს შორის გლობალური სავაჭრო-ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი იყო. ამ პერიოდში ქართული აბრეშუმი დიდი რაოდენობით იგზავნებოდა იტალიაში, მეაბრეშუმეობის ევროპულ ცენტრში - ლუკკაში. საქართველოდან საექსპორტოდ გადიოდა აგრეთვე ხილი, არაყი, დიდი რაოდენობით ენდრო, რომელიც ინდოეთშიც კი იგზავნებოდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჰყავდათ ასევე ქართული (კახური) ჯიშიანი ცხენები, ცნობილი გურჯის სახელით (მანჯავიძე, 1990).

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის, მეფე უშუალო მონაწილეობას იღებდა ვაჭრობაში და ხელს უწყობდა სავაჭრო საქმიანობის ნორმალურად წარმართვას. წარმოებდა სავაჭრო მაგისტრალების დაცვა, გზების გაყვანა, ხიდების აგება: მოეწყო მრავალი სატრანზიტო პუნქტი, ქარვასლა, ზარაფხანა... (ჟორჟოლიანი, 1987).

გზების დაცვისა და მუდმივი შეკეთება - აღდგენის შესახებ ცნობები ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. ირკვევა, რომ გზების მიმდებარე სოფლების მოვალეობაში შედიოდა მათი კუთვნილი მონაკვეთის დაცვა - შეკეთება. მდინარეთა დაბალი დინების ადგილებში ეწყობოდა დამბები, ჯებირები, გოდორყურები, ქვის ყორეები.... რომელთა განახლება მუდმივად მიმდინარეობდა. (ბერიაშვილი 1986, 1990). ასეთი სოფლები ზოგიერთი სახის გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ. შეღავათები იყო დაწესებული აგრეთვე საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობაში ჩაბმული მსხვილი კომერსანტებისთვის. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, 1985).

ქართველი მეფეები შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდნენ კათოლიკე მისიონერების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ სახელმწიფოს ეგიდით ჩატარებულ სავაჭრო ოპერაციებში.

სავაჭრო საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობდა აგრეთვე ეკლესია, რომელიც მრავალრიცხოვანი საშინაო თუ საგარეო სავაჭრო ობიექტის მფლობელი იყო. მაგალითად თბილელი ეპისკოპოსის კუთვნილი ქარვასლის შემოსავლისგან „ასი მარჩილი თეთრი“ გამოიყოფოდა სიონის ეკლესიის სარგებლობაში. ქარვასლების მფლობელი იყო თბილისის ჯვრის მონასტერი. ალავერდის მთავარეპისკოპოსის ცნობით, მონასტერს მხოლოდ ადგილ - მამულიდან 24 საპალნე აბრეშუმი შემოსდიოდა და აქტიურად იყო ჩაბმული ვაჭრობაში. ასევე მცხეთის საკათალიკოსოს ეკონომიკურ სიძლიერესა და სავაჭრო ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობაზე მეტყველებს „ქართული სამართლის ძეგლებში“ შემონახული XVII საუკუნის „წყალობის წიგნები“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1988). საქართველოს ეკლესია-მონასტრების შემოსავალში მნიშვნელოვანი წილი განეკუთვნებოდა ბაჟიდან შემოსულ თანხებს, ბაჟის აღების უფლება საქართველოს ქალაქებში და სავაჭრო-სატრანზიტო პუნქტებში მათ სამეფო კარისგან ჰქონდათ ბოძებული (მეგრელაძე, 1963, გვ. 203).

XVI-XVIII საუკუნეებში დასავლეთიდან და ირანიდან მომავალი გზები თბილისში იყრიდა თავს. აქედან დასავლეთისაკენ გზა მიდიოდა ახალციხისა და ქუთაისის მიმართულებით, შავი ზღვის ქართულ ნავსადგურებთან. მნიშვნელოვანი სატრანზიტო-გამშვები პუნქტი იყო სურამი (ბერძენიშვილი, 1966).

საქართველოს გარკვეული წვლილი მიუძღვის რუსეთის აბრეშუმის წარმოების განვითარებაში.

ქართველი ვაჭრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ XIII ს-ში სხვადასხვა სახის საქონლის გადატანაში არა მარტო ამიერკავკასიიდან და ირანიდან ასტრახანამდე, არამედ ასტრახანიდან ვოლგის მაგისტრალით მოსკოვამდე.

ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთში მეაბრეშუმეობის მანუფაქტურული წარმოების გამართვაში. 1735 წელს გენერალ ანშეფ ვ. ლევაშოვის მიერ დაარსებულ ციხესიმაგრე ყიზლარში გაიხსნა პირველი რუსული სააბრეშუმო საწარმო. მისი თავდაპირველი მოსახლენი თერგის კაზაკებთან და კავკასიელ მთიელებთან ერთად ქართველებიც იყვნენ. ისინი გილანიდან იყვნენ გადმოსახლებული და სააბრეშუმო საქმის მაღალ ოსტატებს წარმოადგენდნენ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსული სააბრეშუმო წარმოების ერთ-ერთი საფუძველჩამყრელი ქართველი ოსტატები იყვნენ. (მანჯავიძე, 1990).

XVII-XVIII საუკუნეებში ამიერკავკასიელი ვაჭრები რუსეთში აბრეშუმის გასატანად ინტენსიურად იყენებდნენ ვოლგა-კასპიის მაგისტრალს. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა დარუბანდის სავაჭრო - სატრანზიტო მნიშვნელობა. ამ გზის ძირითადად ქართველი ვაჭრები აკონტროლებდნენ და მათი რიცხვი ორჯერ აღემატებოდა სხვა ეროვნების ვაჭრების რაოდენობას. (მანჯავიძე, 1990).

საქართველოზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალების მნიშვნელობა მათი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობითაც იყო განპირობებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზის მონაკვეთი სხვებთან შედარებით გაცილებით უსაფრთხო იყო, ხოლო საბაჟო გადასახადი - ზომიერი. აბრეშუმი საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან საქონელს წარმოადგენდა, ამაზე მოწმობს მის გატანა-შემოტანაზე დაწესებული გარკვეული ოდენობის ფულადი გადასახადი, რაც ნათლად ჩანს როსტომ მეფის (1639) „თბილისის ბაჟის“ ნუსხიდანაც (ფუთურიძე, 1955, გვ.149). იმპორტული და ადგილობრივი აბრეშუმი იზმირისა და ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებით დაუბრკოლებლად გაჰქონდათ ევროპაში გასაგზავნად. ამიტომ რეგიონზე გამავალი საქარავნო მაგისტრალი საერთაშორისო დანიშნულებისა იყო და ორგანულად უკავშირდებოდა მსოფლიოს მსხვილ ბაზრებს. (გაბაშვილი, 1976).

ამიერკავკასიაზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალების ფუნქციონირება დიდი ხნის განმავლობაში არ შეცვლილა და მათი მეშვეობით ცხოველი სავაჭრო ოპერაციები წარმოებდა სხვადასხვა მიმართულებით.

თავრიზი-თბილისი-არზრუმის სავაჭრო სატრანზიტო გზამ, რომელიც ოდითგანვე ირანსა და ოსმალეთს აკავშირებდა, XIX საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა (მანჯავიძე, 1990).

დასკვნა

საქართველოს სავაჭრო მნიშვნელობა და ეკონომიკური პოტენციალი განისაზღვრებოდა ქვეყნის საექსპორტო - საიმპორტო შესაძლებლობებით და იმ სატრანზიტო მაგისტრალით, რომელიც ევროპა-აზიის ვაჭრობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

განხილული მასალის საფუძველზე კეთდება არგუმენტირებული დასკვნა, რომ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს ორმაგი როლი ეკისრებოდა და ის გვევლინება, როგორც:

1. თვით ამ სავაჭრო ურთიერთობების სუბიექტი და ნედლი აბრეშუმისა თუ სხვა საქონლის ექსპორტიორი;

2. ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო მაგისტრალი, მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით და ვაჭრობისთვის ხელსაყრელი სოციალურ - პოლიტიკური სტრუქტურით.

საქართველოზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალის მნიშვნელობის ანალიზის საფუძველზე ნათელი ეფინება ამიერკავკასიის ხალხების ისტორიული განვითარების ურთიერთკავშირებს, რეგიონში არსებულ საერთო პოლიტიკურ ინტერესებს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების და საერთოდ მწარმოებლური სფეროს განვითარების დინამიურობას, რაც ჩვენი ქვეყნისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით იყო განპირობებული.

თავისი გეოპოლიტიკური სივრცით, საქართველო ევროპისა და აზიის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების თანხვედრის შესაყარზე მდებარეობდა. იგი ვითარდებოდა და მდიდრდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების განუწყვეტელი ურთიერთობის არეალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ, მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი; 1957
2. Манандян ; О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1930
3. Пигулевская Н; Византия на путях в Индию, М-Л, 1949.
4. ჯანაშია ს., შრომები, ტ.1, თბ., 1949.
5. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1951
6. მანჯავიძე დ., რუსეთ-ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი და საქართველო (XVII-XVIII სს.), დისერტაცია. თბ., 1990;
7. კუცია ვ. თბილისი და აღმ. ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა XVII-XVIII ს-ში, თბ. 1985
8. კაციტაძე დ., XVII - XVIII საუკუნეთა ქართული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შუქზე, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“. თბ., 1972.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 540;
10. Бердзенишвили Н. Очеры из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв), Тб., 1938
11. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941
12. დასტურმალი, 1955
13. ჟორჟოლიანი გ. საქართველო XVII საუკუნის 30-90-იან წლებში. თბ., 1987
14. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, ი. დოლიძის რედაქციით, თბ. 1985
15. მეგრელაძე დ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ჯულაბაშვილების დავთარი), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის; ნაკ. 35, თბ.1963
16. ფუთურიძე ვ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955
17. გაბაშვილი ვ. ბაზარი შუა საუკუნეების საქართველოში - „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, წიგნი 1. თბ. 1976
18. Плавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989

Trade and economic relations in medieval Georgia

Ivane Osadze, associate professor
Georgian Technical University

Asmat Pipia, Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Summary

As a result of archaeological excavations, materials found, information from foreign travelers, archival documents, local currency signs found in settlements, and foreign coins indicate that trade and economic relations have been ongoing in Georgia since ancient times. The article analyzes and examines the factors that show the role of Georgia in the global trade and economic relation. It is emphasized that Georgia's intense trade and economic relations were determined by its geographical location on the border of Asia and Europe, where many strategically important roads and trade-caravan highways passed. Georgian geopolitics provided the opportunity to be the most influential and shortest route connecting the countries of Asia and Europe with each other, which corresponded to their commercial interests the most. From this point of view, not only land, but also river highways and the Black Sea played an important role. The "Great Silk Road" passing through Georgia connected the countries of the Far East with Greece and Byzantium. The discovered numismatic material clearly shows that in the 5th-6th centuries Egris and Iberia were engaged in intensive trade relations with European and Asian states.

Raw silk from the Caucasus, Iran and Far East countries passed through Georgian trade and caravan routes to the West. It is noteworthy that in the early and late Middle Ages, the main place in the trade between Europe and Asia was occupied by raw silk and cloth made from it.

Through the trans-Asian highway of the "Great Silk Road" in the West (Byzantium), in addition to raw silk and silk fabrics, various spices, precious stones, ivory, slow cooker and others entered.

The trade importance and economic potential of Georgia was determined by the country's export-import capabilities and the transit highway, which was an integral part of Europe-Asia trade.

Key words: trade, transit, highway, silk road, Byzantium.

ადამიანური რესურსების ფორმირება განვითარების ტენდენციები

სოფიო გურგენიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ეკონომიკის განვითარებაში ადამიანთა როლის შესახებ მეცნიერულ წარმოდგენათა განვითარების საწყის ეტაპზე ადამიანი განიხილებოდა, როგორც სპეციალური რესურსი („შრომითი რესურსები“) და როგორც საზოგადოებრივი განვითარების სუბიექტი. ადამიანის შესახებ წარმოდგენათა შემდეგი საფეხურია მისი როგორც ეკონომიკური განვითარების სუბიექტის, განხილვა. აქედან წარმოიშვა ისეთი ცნებების გამოყენების აუცილებლობა, როგორიცაა: „ინდივიდი“, „პიროვნება“. მოცემულ შემთხვევაში ადამიანი განიხილება როგორც სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სუბიექტი.

დღეისათვის ჩვენ ქვეყანაში კვლავ აქტუალურია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია, წარმოებისა და მართვის ახალი ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის რაციონალიზაცია და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ყოველივე ზემოაღნიშნული მიიღწევა მხოლოდ სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის გატარებით. ქვეყანაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და მისი ნორმალური ფუნქციონირება შესაძლებელია მსოფლიო მეურნეობასთან სრულფასოვანი ინტეგრაციის პირობებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შრომითი ურთიერთობების ეროვნული სისტემის თანაწყობას მსოფლიოში მიღებული სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სისტემასთან. ამ მიზნის მიღწევა ორგანიზაციულ განვითარებაზე ორიენტაციით არის შესაძლებელი, რისთვისაც მნიშვნელოვანია თითოეული ორგანიზაცია შეიმუშავებდეს და გარკვეული პერიოდულობით ანახლებდეს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის ქცევისა და მოქმედებების ერთიანობასა და მათ მთლიან პროგრესს ორგანიზაციის საჭიროებების შესაბამისად.

ორგანიზაციული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების, მოტივაციის, პერსონალის განვითარების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება და პერიოდულად გადახედვა. ორგანიზაციის მოტივაციის პოლიტიკა უნდა ასახავდეს პერსონალის მოტივაციის სისტემას და ის უნდა მოიცავდეს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ სტიმულებს. მოტივაციის პოლიტიკა უნდა მუშაობდეს საუკეთესო კადრების შენარჩუნებისთვის, რაც უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ორგანიზაციის გრძელვადიანი წარმატებისთვის.

თანამშრომლების განვითარების პოლიტიკა უნდა ასახავდეს კავშირს საქმიანობის შეფასების შედეგებსა და თანამშრომლების განვითარების გეგმებს შორის. პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ ყალიბდება თითოეული თანამშრომლის პირადი განვითარების გეგმა საქმიანობის შეფასების საფუძველზე და რომელი მეთოდები გამოიყენება განვითარებისთვის. ამასთან, პერსონალის განვითარების პოლიტიკამ და პროცედურებმა უნდა განსაზღვროს ორგანიზაციული სწავლების საჭიროებების მეთოდოლოგია და წესები, ინფორმაციის მოპოვების გზები, პრიორიტეტული ტრენინგები, ტრენინგის შესაძლებლობები და შესაბამისი ღონისძიებები. ტრენინგებიდან მიღებული ცოდნა უნდა გავრცელდეს მთელ ორგანიზაციაში. ამ პროცესებზე კონცენტრაცია ორგანიზაციას საუკეთესო სამუშაო გარემოს და მიმზიდველი ორგანიზაციული კულტურის მქონე დამქირავებლად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტის ფლობა, სოციალური სუბიექტები, კონკურენტუნარიანი სტრატეგია, ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური კაპიტალი

შესავალი

ადამიანური რესურსები საზოგადოების მთავარი სიმდიდრეა. იგი მოიცავს ადამიანთა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, კავშირებსა და ძალისხმევას, ასევე, ადამიანების ფიზიკურ და ემოციურ ჯანმრთელობას, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ინდივიდუალურ თვისებებსა და მოტივაციებს. ცნება „ადამიანური რესურსები“ უფრო ტევადია, ვიდრე ცნებები „პერსონალი“ და „შრომითი რესურსები“. იგი, მათგან განსხვავებით, მოიცავს სოციო-კულტურულ და პიროვნულ-ფსიქოლოგიურ თვისებათა ერთობლიობას.

ძირითადი ნაწილი

ყველა სხვა რესურსებისგან განსხვავებით, ადამიანური რესურსების სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში:

1. ადამიანები ფლობენ ინტელექტს. შესაბამისად. გარეგან ზემოქმედებაზე მათი რეაქცია ემოციურია და გააზრებული, რის გამოც მართვის სუბიექტსა და ადამიანებს შორის ურთიერთზემოქმედების პროცესი ორმხრივია;
2. ინტელექტის ფლობის წყალობით, ადამიანებს შეუძლიათ მუდმივად სრულყოფა და განვითარება, რაც საზოგადოებისა და ცალკეული ორგანიზაციის შრომითი კოლექტივის წინსვლის მთავარი წყაროა;
3. ადამიანები ირჩევენ საქმიანობის განსაზღვრულ სახეობას (ფიზიკური ან გონებრივი შრომა და ა. შ.) და აქვთ განსაზღვრული მიზნები. ადამიანური რესურსების მართვას განსაზღვრავენ როგორც ორგანიზაციაში გაერთიანებულ ადამიანთა დასაქმების, წინსვლა-განვითარებისა და კეთილდღეობის მისაღწევად გამიზნულ სტრატეგიულ, მრავალმხრივ და მწყობრ სისტემას.

ადამიანური რესურსების მართვის მიზნებია:

1. დაეხმაროს ორგანიზაციას იმ სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებაში, რომლებიც ინტეგრირებულია ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიასთან;
2. აქტიური მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციაში მაღალეფექტიანი ორგანიზაციული კულტურის განვითარება-დამკვიდრებაში;
3. უზრუნველყოს ორგანიზაციაში ნიჭიერი, უნარიანი და მონდომებული თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება;
4. შექმნას ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს შორის კეთილსასურველი გარემო და ხელი შეუწყოს ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას;
5. ხელი შეუწყოს ადამიანების მართვის სფეროში ეთიკურ მიდგომას.

ადამიანური რესურსების მართვის მთავარი დებულება ისაა, რომ მსოფლიოში მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორია არა მიწა, კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები, როგორც ამას, თავის დროზე, სავსებით სამართლიანად თვლიდნენ კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, არამედ მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსები და სამეცნიერო ბაზა (ცხადია, ყოველივე ეს არ ამცირებს მიწის, კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას).

გესტი (1987) აღნიშნავს, რომ ,,ადამიანური რესურსების მართვა ძირითადად ემყარება მოტივაციისა და ერთგულების თეორიებს, აგრეთვე, ორგანიზაციული სფეროდან მომდინარე სხვა იდეებს". ადამიანური რესურსების მართვის ცნება ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ თეორიებს:

მოტივაციის თეორია. ეს თეორია, განსაკუთრებით მოლოდინისა და მიზნის დასახვის თეორიები ხსნის იმ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მიზნით ნაკარნახებ ქცევაზე. შესაბამისად, ის გავლენას ახდენს კადრების მართვის მიდგომებზე, რომლებიც თანამშრომელთა ვალდებულებების გაზრდას, მათ წახალისებასა და შესრულებული სამუშაოს შეფასებას ემსახურება.

რესურსებზე დაფუძნებული თეორია გვასწავლის, რომ კონკურენტუნარიანი უპირატესობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ორგანიზაცია ფლობს ღირებულ და იშვიათ რესურსს, რომელიც საშუალებას იძლევა, ადამიანური რესურსების მართვამ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები.

სოციალური გაცვლის თეორია. ამ თეორიის თანახმად სოციალური სუბიექტები გრძნობენ ვალდებულებას, რომ სიკეთეზე სიკეთით უპასუხონ. თანამშრომლები ორგანიზაციას სიკეთეზე სიკეთით მხოლოდ იმ შემთხვევაში უპასუხებენ, თუ მათ ამ ორგანიზაციაში კარგად ეპყრობიან. ეს თეორია დაკავშირებულია ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის ურთიერთგაცვლის თეორიასთან, რომელიც **გრაენის** (1976) მიერ იქნა წამოყენებული.

დაინტერესებულ მხარეთა თეორია. ორგანიზაციაში დაინტერესებული მხარეა მრავალი სხვადასხვა ჯგუფი, მათ შორის აქციონერები, მენეჯერები, დასაქმებულები, მომხმარებლები და საერთოდ, საზოგადოება. ორგანიზაციებმა პოლიტიკის ჩამოყალიბება-განხორციელების დროს ამ სხვადასხვა მხარის ინტერესები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

არსებობს ადამიანური რესურსების სხვადასხვა მოდელი. მათ შორისაა:

ადამიანური რესურსების თანხვედრის მოდელი. ფომბრუნმა და სხვებმა (1984) წარმოადგინეს ,,თანმხვედრი მოდელი", რომლის მიხედვით, კადრების სისტემისა და ორგანიზაციული სტრუქტურის მართვა ორგანიზაციის სტრატეგიას უნდა ერგებოდეს. ,,ხელმძღვანელობის უმნიშვნე-ლოვანესი ამოცანაა, ოფიციალური სტრუქტურისა და

კადრების სისტემის იმგვარი თანხვედრა, რომელიც ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს“.

ადამიანური რესურსების მართვის ჰარვარდის მოდელი. ბეერმა და სხვებმა (1984) შექმნეს მოდელი, რომელსაც მოგვიანებით ,,ჰარვარდის ჩარჩო“ დაერქვა. მათი ვარაუდით, ადამიანური რესურსების მართვა მოიცავს ყველანაირ გადაწყვეტილებასა და ქმედებას მენეჯმენტის დონეზე და ისინი ზეგავლენას ახდენენ ორგანიზაციასა და მუშაკებს შორის ურთიერთობებზე. ამ მოდელის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ორგანიზაციებს მართებთ შეიმუშაონ ყოვლისმომცველი და სტრატეგიული ხედვები ორგანიზაციის ადამიანური რესურსების სფეროსთვის. მათ საჭიროდ მიაჩნიათ, აგრეთვე, ადამიანის შეფასების გრძელვადიანი ხედვის შემუშავება. **ბეერმა და მისმა** კოლეგებმა პირველებმა წამოაყენეს პრინციპი, რომლის თანახმადაც, კომპანიაში ადამიანური რესურსების მართვას კონკრეტული რგოლის, ჯგუფის, დეპარტამენტის მენეჯერები უნდა ასრულებდნენ.

მათი მოსაზრებით, ადამიანური რესურსების მართვა ორი მახასიათებლით გამოირჩევა. კერძოდ,

1. მიმართულების (რგოლების) მენეჯერები მეტ პასუხისმგებლობას იღებენ კონკურენტუნარიანი სტრატეგიისა და საკადრო პოლიტიკის ერთმანეთთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
2. კადრების მართვის მისია ისეთი პოლიტიკის ჩამოყალიბებაა, რომელიც საერთო გაძლიერებისთვის კადრების განვითარებას უზრუნველყოფს.

ადამიანური რესურსების მართვის კონტექსტუალური მოდელი. ამ მოდელში გათვალისწინებულია იმ გარემო ფაქტორების მნიშვნელობა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ადამიანური რესურსების მართვის საქმიანობაზე. მაგალითად, სოციალური, ინსტიტუციური და პოლიტიკური ძალების ზეგავლენა, რომლებსაც სხვა მოდელებში სათანადო ყურადღება არ ექცევა. ეს მოდელი ხელს უწყობს კადრების მართვის სისტემის იმ გარემოში ინტეგრირებას, სადაც ის იქმნება. მარტინ-ალკასარის და სხვების (2005) შეხედულებით ,,ერთი მხრივ, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია განაპირობებს კონტექსტს, ხოლო მეორე მხრივ, მას განაპირობებს კონტექსტი“. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება-განხორციელებაში ჩართულია დაინტერესებულ პირთა საკმაოდ დიდი წრე. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული მხარეები, რომლებიც თავადაც ახდენენ ზეგავლენას სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე და ამასთანავე, მის გავლენასაც განიცდიან.

ადამიანური რესურსების მართვის 5-P მოდელი. შულერის (1992) აზრით, აღნიშნულ მოდელში ახსნილია, როგორ მუშაობს ადამიანური რესურსების მართვა შემდეგი ხუთი მიმართულებით:

ადამიანური რესურსების ფილოსოფია - როგორ ხედავს ორგანიზაცია საკუთარ ადამიანურ რესურსებს, რა როლს თამაშობენ თანამშრომლები ორგანიზაციის (კომპანიის, ფირმის, საწარმოს და ა. შ.) საერთო წარმატებაში;

1. ადამიანური რესურსების პოლიტიკა - მისი დანიშნულებაა ორგანიზაციაში ადამიანებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის რეკომენდაციების შემუშავება და სტრატეგიული საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი საკადრო პროგრამებისა და პრაქტიკის განვითარება-დანერგვა;
2. ადამიანური რესურსების პროგრამები - მათი ჩამოყალიბება ხდება კადრების მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე და მისი მიზანია ორგანიზაციის სტრატეგიული საჭიროებიდან ნაკარნახევი ორგანიზაციული ცვლილებების შემოღება და განხორციელება;
3. ადამიანური რესურსების პრაქტიკა. ეს არის ქმედებები, რომლებსაც საკადრო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებისას მიმართავენ. ისინი მოიცავს რესურსებით უზრუნველყოფას, სწავლა-განვითარებას, საქმიანობის წახალისებას, შრომით ურთიერთობებსა და საქმის წარმოებას;
4. ადამიანური რესურსების პროცესი. ესაა ფორმალური პროცედურები და მეთოდები, რომელთა მიზანია სტრატეგიული საკადრო გეგმებისა და პოლიტიკის ამოქმედება.

ადამიანური რესურსების მართვის ევროპული მოდელი. ადამიანური რესურსების მართვის საკითხების მკვლევარი **ბრიუსტერი** (1993) ევროპული მოდელის შემდეგ ვარიანტს გვთავაზობს:

1. საკანონმდებლო ბაზა;
2. მიზნები - ორგანიზაციული მიზნები და სოციალური საზრუნავი-ადამიანი როგორც ძირითადი რესურსი;
3. ყურადღების ობიექტი-ხარჯების სარგებელი და გარემოს ანალიზი;
4. ურთიერთობა თანამშრომლებთან, პროფკავშირების მეშვეობით ან მის გარეშე;
5. ურთიერთობა მიმართულების/რგოლის მენეჯერებთან;

6. ადამიანური რესურსების სპეციალისტი-მენეჯერების როლი: არაერთგვაროვანი, შემწყნარებლური, მოქნილი.

ადამიანური რესურსების მართვის რბილი და ხისტი მოდელები. სტორი (1989) განასხვავებს ადამიანური რესურსების მართვის „რბილ'" და „ხისტ" მოდელებს. ხისტი მოდელი კადრების მართვისას ყურადღებას ორგანიზაციის რაოდენობრივ, საანგარიშო და სტრატეგიულ მხარეებზე ისევე რაციონალურად ამახვილებს, როგორც ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ ფაქტორზე. ამის საპირისპიროდ, რბილი ვერსია დასაბამს იღებს ადამიანური ურთიერთობების სკოლიდან. იგი ყურადღებას ამახვილებს კავშირურთიერთობებზე, მოტივაციასა და ლიდერობაზე. თუმცა, კინოიმ აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების მართვის ხისტი და რბილი მოდელები ერთმანეთის შემავსებელი უფროა, ვიდრე ურთიერთგამომრიცხავი. მათ შორის დიდი განსხვავება არაა.

ადამიანური კაპიტალის მართვა მოიცავს ორგანიზაციის თანამშრომლების **ცოდნას, კვალიფიკაციას, შესაძლებლობებსა და უნარს,** განავითარონ და განაახლონ ორგანიზაციის საქმიანობა და, შესაბამისად, შემატონ მას დამატებული ღირებულება.

ის ადამიანებს განიხილავს ისეთ აქტივად, რომელშიც მიზანშეწონილია ინვესტიციების განხორციელება, რესურსების დაგროვებისა და სწავლა-განვითარების პოლიტიკის გატარებით. ის, აგრეთვე, მიანიშნებს ორგანიზაციის საქმიანობაში თანამშრომლების მიერ შეტანილი წვლილის დაფასებასა და მათი მართვისას კადრების საქმიანობის ეფექტიანობის დადგენის საჭიროებაზე.

ადამიანური კაპიტალის ცნება. ადამიანური კაპიტალი ორგანიზაციაში ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობებისაგან შედგება. შულცს (1981) მოჰყავს ადამ სმიტის (რომელმაც შემოიღო ადამიანური კაპიტალის ცნება) მოსაზრება -,,ერების სიმდიდრე მომდინარეობს ადამიანების მიერ დაგროვილი შესაძლებლობებიდან - მათი განათლებიდან, გამოცდილებიდან, უნარ-ჩვევებიდან და ჯანმრთელობიდან".

ადამიანები შეიძენენ, ინარჩუნებენ და იყენებენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (ადამიანურ კაპიტალს) და ქმნიან ინტელექტუალურ კაპიტალს. მათი ცოდნა მდიდრდება ურთიერთკავშირით დამყარებული ურთიერთობითა და კომუნიკაციით (სოციალური კაპიტალი) და შედეგად წარმოიქმნება ორგანიზაციის საკუთრებად დაგროვილი ცოდნა, რომლის მფლობელი არის ორგანიზაცია (ორგანიზაციული კაპიტალი).

ამრიგად, ადამიანური კაპიტალი შედგება **ინტელექტუალური, სოციალური და ორგანიზაციული** კაპიტალისაგან.

ინტელექტუალური კაპიტალი ესაა ორგანიზაციაში არსებული ცოდნის ძირითადი მარაგი. იგი შეიძლება განხილულ იქნეს არამატერიალურ რესურსად, რომელიც სხვა რესურსებთან (ფული და ფიზიკური აქტივები) ერთად ქმნის ბაზარს, ანუ ბიზნესის (საქმიანობის) საერთო ღირებულებას;

სოციალური კაპიტალი ადამიანური კაპიტალის მეორე კომპონენტია. იგი ორგანიზაციის შიგნით და გარეთ არსებული ურთიერთობების ქსელებიდან წამოსული ცოდნის მარაგისგან შედგება. პუტნამის (1996) განსაზღვრებით სოციალური კაპიტალი არის ,,სოციალური ცხოვრების თავისებურებები -გაერთიანებები, ნორმები და ნდობა-რომელიც მონაწილეებს საშუალებას აძლევს ერთობლივად უფრო ეფექტიანად იმოქმედონ საერთო მიზნების მისაღწევად".

ორგანიზაციული კაპიტალი კი ორგანიზაციის საკუთრებად დაგროვილი ცოდნაა, რომელიც ინახება მონაცემთა ბაზებში, სახელმძღვანელოებში და ა.შ. (იონდტი, 2000). მას ხშირად სტრუქტურულ კაპიტალს უწოდებენ (ედვინსონი, მელონი, 1997).

დასკვნა

ადამიანური კაპიტალის თეორიაზე დამყარებული ადამიანების მართვის მიდგომა მოიცავს პასუხებს შემდეგ კითხვებზე:

1. საქმიანობის რომელი ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორები ქმნის ღირებულებას?
2. რომელი უნარ-ჩვევები გვჭირდება ამჟამად და დაგვჭირდება მომავალში ჩვენი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად?
3. რომელი უნარ-ჩვევების განახლება გვჭირდება ინოვაციურ პროგრესთან მიმართებაში?
4. როგორ უნდა შევიძინოთ, განვავითაროთ და შევინარჩუნოთ ეს უნარ-ჩვევები?
5. როგორ უნდა განვავითაროთ და დავამკვიდროთ გარემო, რომელშიც გავრცელდება იმგვარი ორგანიზაციული და ინდივიდუალური ცოდნა, რომელიც პასუხობს როგორც ჩვენს, ასევე თითოეული თანამშრომლის მოთხოვნილებებს.
6. როგორ უზრუნველვყოთ ჩვენს ორგანიზაციაში შექმნილი აშკარა და უხილავი ცოდნის თავმოყრა, შენახვა და ეფექტიანი გამოყენება?
7. როგორ უნდა ვაქციოთ ორგანიზაცია საუკეთესო სამუშაო გარემოს და მიმზიდველი ორგანიზაციული კულტურის მქონე დამქირავებლად?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Упрравление персоналом. Авторский кщллектив. Под общей ред. А. Турчинова. М., 2013.
2. .Управление персоналом. Энциклопедичесский словарь. Под общей ред. А. Кибанова.М.,1998.
3. Шкатулла В. Настольная книга менеджера по кадрам. М.,2011.
4. .Desler G., Human Resource Management., Florida., Pearson fducation., 2010.
5. Cainst., Malloch M., Fvansk.,O Connor B. N. (eds), The SAGE handbook of vorkplace learning.SAGE publications, 2016.
6. Cummings T., Worleu C. Organization development and change. Cengage learning,2008.
7. Dowing P.J., Festing M., Engle A. D. Internztional human resourse management managing people in a multinational context. Thomson learning, 2018.
8. Leiyu Shi.Managing Human resources care organizations, 2017.

Human Resource Formation and Development Trends

Sofia Gurgenidze, PhD Student
Georgian Technical University

Summary

At an early stage of scientific research in economic development a human's role was evaluated as a special resource (human resource) and as a subject of social development. At a later stage a human was considered as a subject of economic development. This gave origin to terms like an "individual" and a "person". In this case a human is considered as a subject of social and labor relations.

Currently, key elements of the social-economic reform, such as stabilization of social-economic and political environment, invention and establishment of new manufacturing and management technologies, rationalization of the finance and banking systems and improvement of social welfare and quality of lifestyle are still critical challenges facing our country. These challenges can only be addressed by implementation of consistent policy in social and labor relations. Establishment of social market economy in the country and its well-organized functioning is possible with integration into global production. This primarily refers to adaptation of domestic labor relations with the internationally recognized social and labor relation system. This goal can be achieved by continuous organizational development efforts. For this reason, it is essential for each organization to develop and periodically renew its human resource management strategy and action plan that will ensure alignment of its personnel conduct and behavior and entire progress with its organizational needs.

For organizational development it is essential to develop and periodically renew employee performance evaluation, motivation, personnel development policy and procedures. Staff motivation policy shall define both monetary and non-monetary incentives and be targeted at maintaining best human capital crucial for the long-term success of any organization. Personnel development policy should reflect the correlation between the results of performance evaluation and personnel development plan. The policy should prescribe rules for developing an individual development plan and setting career development criteria. In addition, a personnel career development policy and procedures should prescribe organizational training needs identification methodology, priority trainings, training opportunities and respective actions. Knowledge gained at the trainings should be expanded throughout the organization. Concentrating on above processes will turn an organization into an attractive employer with desirable working environment and organizational culture.

Key Words: Intelligence, social subjects, competitive strategy, economic policy, social capital.

რევოლუციური ცვლილებები, კომპანიებში კანდიდატის შერჩევის პროცესში, ხელოვნური ინტელექტის უპირატესობები და ნაკლოვანებები

თეიმურაზ გოდერძიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბიზნესში პერსონალის შერჩევა და შეფასება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მზარდი ტენდენცია გახდა. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით ადამიანური რესურსების დიჯიტალიზაცია ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია თანამედროვე სამყაროში. დღეს, როდესაც ინოვაციური ტექნოლოგიები და რობოტიზაცია სულ უფრო მეტად ინერგება ორგანიზაციებსა და საწარმოებში, იგი არსებითად ცვლის პერსონალის შერჩევის და მართვის სისტემებს.

რეკრუტირება – მიმართულება, რომელიც ორიენტირებულია პერსონალის მოძიებასა და შერჩევაზე. თანამედროვე რეკრუტირება იყენებს, როგორც ტრადიციულ მეთოდებს, რომლებიც უკვე მტკიცედ არის დამკვიდრებული პრაქტიკაში, ასევე ინოვაციურ მიდგომებსა და ციფრულ ინსტრუმენტებს. მნიშვნელოვანია ამ უკანასკნელის შესწავლა, რომელიც ამჟამად სწრაფად ვითარდება. შეფასებული უნდა იყოს მისი პერსპექტივები და გამოყენების ეფექტურობა. პერსონალის მართვის სისტემის გაუმჯობესება ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების გამოყენებით შეიძლება დაეხმაროს ორგანიზაციებს პერსონალის შერჩევასა და დასაქმებაში, საუკეთესო კანდიდატების მოძიებაში და შეფასებაში.

პერსონალის მართვაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ის, რომ მას შეუძლია დაეხმაროს ორგანიზაციებს პერსონალის შერჩევის პროცესის გამარტივებაში. ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს შეუძლიათ კანდიდატების მონაცემების დიდი მოცულობის გაანალიზება, როგორიცაა რეზიუმეები, აპლიკაციები, რათა გამოავლინონ საუკეთესო კანდიდატები სამუშაო ადგილისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს შერჩევის პროცესში მიკერძოების შემცირებას და უზრუნველყოფს ყველაზე კვალიფიციური კანდიდატების განხილვას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ მას შეუძლია გააუმჯობესოს მონაცემების დამუშავების სიზუსტე, ალგორითმებს შეუძლიათ მონაცემების გაანალიზება უფრო ობიექტურად და თანმიმდევრულად, ვიდრე ადამიანებს. მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გააანალიზოს თანამშრომლების პროდუქტიულობა, გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები, დაგეგმოს მიზნობრივი ტრენინგები და განვითარების პროგრამები. აღნიშნული გაზრდის თანამშრომლის კვალიფიკაციას და სამუშაოს შესრულების ეფექტურობას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას აქვს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. კერძოდ, თუ ორგანიზაცია ახალი პერსონალის შესარჩევად ან შემდგომი მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოიყენებს ხელოვნური ინტელექტის სისტემებს, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა შეიძლება იყოს კანდიდატების და თანამშრომლების განცდა, რომ მათი შეფასება არ ხდება ინდივიდუალური მახასიათებლებით, არამედ ფასდებიან, როგორც მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც არ მოიცავს პიროვნული თვისებების შეფასებას. ზემოთ აღნიშნული წარმოქმნის დისკომფორტს და ორგანიზაციის მიმართ უნდობლობას. ასევე მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ადამიანური ურთიერთობების შეზღუდული რაოდენობა და პერსონალური შეფასების დანაკლისი, რაც აუცილებელია ნდობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

თანამედროვე ციფრულ სამყაროში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენება პერსონალის მართვაში არის სიახლე და ინოვაცია, რომლის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ბიზნესში, თუმცა მნიშვნელოვანია წინასწარ შეფასებული იყოს, როგორც რისკები, აგრეთვე მისი სარგებელი და გაანალიზებული იყოს ამ სისტემის დანერგვით მიღებული შედეგები. ორგანიზაციების ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვრონ მისი შესაბამისობა მოთხოვნილ ამოცანებთან და შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ტექნოლოგიები, HR სპეციალისტი, პერსონალის მართვის სისტემები, დიჯიტალიზაცია, შემუშავებული ალგორითმები, ჩატბოტები.

შესავალი

ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ სხვადასხ-

ვა პროგრამულ უზრუნველყოფებს თანამშრომელთა მონაცემების დასამუშავებლად და შესანახად. არსებული ბაზების გამოყენება მნიშვნელოვანია პერსონალის კარიერული ზრდის დასაგეგმად. HR სპეციალისტები, ყველაზე ხშირად გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებში იყენებენ შემდეგ სისტემებს:

- E-Staff
- Experium
- 1C
- Huntflow
- Talantix HeadHunter

მონაცემთა ბაზები საშუალებას იძლევა, მოახდინონ თითოეული კანდიდატის ანკეტირება და მათი სამსახურეობრივი ისტორიის შექმნა. ბაზებში შეყვანილია, როგორც თანამშრომლის პერსონალური მონაცემები, ასევე კარიერის განმავლობაში მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებები, მიმდინარე კვალიფიკაცია და განვლილი ტრეინინგები. ზემოთ აღნიშნულზე დაყრდნობით ხდება ახალი თანამშრომლის რეიტინგის გამოყვანა და კარიერული განვითარებაში ჩართვა. გლობალური დიჯიტალიზაცია და ციფრული განვითარება კარნახობს არა მხოლოდ რეკრუტირების ოპერაციების ავტომატიზაციას, არამედ მათი ხარისხობრივი ტრანსფორმაციის აუცილებლობას. ორგანიზაციის ციფრული ტრანსფორმაციის მთავარი მიზანია რეკრუტირების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების მინიმუმამდე დაყვანა, ფინანსური, მატერიალური და დროის დანახარჯების შემცირება. რეკრუტირების ეფექტურობა პირდაპირ გავლენას ახდენს ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების პოტენციალის განვითარებაზე და პროდუქტიულობის გაზრდაზე. რეკრუტირების ინოვაციური ტექნოლოგიები სულ უფრო აქტუალური ხდება.

ძირითადი ნაწილი

პერსონალის მართვის სისტემებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული არსებობს გარკვეული რისკები გადაწვეტილებები მიღების დროს მიკერძოების ალ-ბათობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შეამციროს ზოგიერთი სახის მიკერძოება, როგორიცაა გენდერული ან რასობრივი მიკერძოება, მას ასევე შეუძლია დანერგოს მიკერძოების ახალი ფორმები. მაგალითად, თუ ალგორითმის მოსამზადებლად გამოყენებული იყო მიკერძოებული მონაცემები, თავად ალგორითმი იქნება მიკერძოებული. ამან შეიძლება გამოიწვიოს არასამართლიანი შეფასება გარკვეული კანდიდატების ან თანამშრომლების. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი ვერ შეძლებს ადამიანის განსჯას ან ინტუიციურად შეფასებას, რაც ხშირად გადამწყვეტია.

ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სატელეფონო და ვიდეო ზარების განხორციელების დროს, შეიძლებაგამოყენებულიიყოსჩატბოტები,რომელიც არ საჭიროებენ დამსაქმებლის მონაწილეობას კანდიდატების შერჩევის პროცესში. ჩატბოტი არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც შექმნილია ადამიანებთან საუბრის სიმულაციისთვის, როგორც წესი, ბუნებრივი ენის დამუშავების და მანქანური სწავლების ტექნიკის გამოყენებით. ჩატბოტების გამოყენება შესაძლებელია მომხმარებლებთან საუბრებისთვის და პროცესების ავტომატიზაციისთვის, იგი გამოიყენება სხვადასხვა ციფრულ პლატფორმებზე. ჩატბოტი შეიძლება ინტეგრირებული იყოს, როგორიცაა Facebook Messenger-ში, Slack-ში, WhatsApp-ში და სხვა აპლიკაციებში. მათი გამოყენება აგრეთვე ხდება CRM და ERP სისტემებში, მომხმარებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად. ჩატბოტი შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა მიზნისთვის და წინასწარ განხორციელდეს მისი პროგრამირება კონკრეტულად სკრიპტების, კითხვების ან სხვა დავალებების შესასრულებლად.

რეკრუტირების პროცესში შესაძლებელია ჩატბოტების დანერგვა და გამოყენება ვიდეო ინტერვიუს ჩატარების დროსაც. ჩატბოტი წინასწარ შედგენილი კითხვების მიხედვით ახდენს კანდიდატის შეფასებას და ქულების მინიჭებას, შემდეგ ანაწილებს და აჯგუფებს მოცემულ კანდიდატებს შესაბამისობების მიხედვით და გამოყოფს მაღალი ქულის მქონე კანდიდატებს. დამსაქმებელსა და კანდიდატს შორის ინტერაქტიული კომუნიკაციის ჩატბოტები არის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და ინოვაციური ტექნოლოგია მასობრივი რეკრუტირებისთვის, თუ დამსაქმებლის ამოცანაა არანაკლებ 20-30 ახალი თანამშრომლების სამსახურში აყვანა და ამ კანდიდატების ორგანიზაციაში დროულად დასაქმება.

ჩატბოტთან ურთიერთქმედების რამდენიმე გზა არსებობს. მაგალითად, ჩატბოტის ბმული განთავსდეს დამსაქმებლის ვებსაიტზე ან ჩართული იყოს თითოეული კომპანიის ვაკანსიის აღწერაში სამუშაოს ძიების სერვისებზე. გარდა ამისა, ბმული შეიძლება გავრცელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მესინჯერებისა და სოციალური ქსე-

ლების საშუალებით, რომლებშიც დაგენერირებული იქნება QR კოდით. კანდიდატის ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში მიჰყვება მიღებულ ბმულს ან დაასკანირებს QR კოდს. კანდიდატი მიიღებს დეტალურ ინფორმაციას ვაკანსიის შესახებ და პასუხობს დამსაქმებლის კითხვებს, რომლებიც წინასწარ არის ჩაწერილი. ორგანიზაციის ჩატბოტი ამუშავებს და აანალიზებს კანდიდატის მონაცემებს და ატარებს ინტერვიუს. HR პროცესებში ჩატბოტები მნიშვნელოვნად ამცირებენ დამქირავებელზე დატვირთვას, კანდიდატების თავდაპირველი შერჩევა და ონლაინ ინტერვიუების ჩატარება მოკლე დროში ზრდის ეფექტურობას და შესაძლებლობას ქმნის ბევრი კანდიდატის შეფასებას. ჩატბოტების გამოყენება ხსნის კომუნიკაციის შესაძლებლობას ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს, უზრუნველყოფს სწრაფ გამოხმაურებას, იგი მოსახერხებელია, როგორც კანდიდატისთვის ასევე დამსაქმებლისთვის. უახლოეს წარსულში, როდესაც მსოფლიო მასშტაბით განვითარდა კოვიდ პანდემია, ბიზნესმა კადრების შერჩევა დაიწყო დისტანციური გასაუბრებებით. მიუხედავად იმისა, რომ პანდემია თითქმის დასრულდა, ბევრი ორგანიზაცია მაინც ახდენს კანდიდატებთან პირველად ინტერვიუებს დისტანციურად Zoom აპლიკაციის გამოყენებით. ზემოთ აღნიშნული მეტყველებს, რომ ტექნოლოგიები აქტიურად ვითარდება და ინერგება პრაქტიკაში, მისი გამოყენება თავდაპირველად ქმნის დისკომფორტს, ვინაიდან ის არის სიახლე, თუმცა ადამიანი მალე ახდენს ადაპტაციას და შემდეგ მოსწონს მისი გამოყენება. ჩატბოტები, ასევე არის სიახლე კანდიდატების შერჩევის პროცესში, თუმცა მისი ეტაპობრივად დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციის სტრუქტურაში გარდაქმნის არსებულ მიმართულებას.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ HR პროცესებში ჩატბოტების დანერგვის მიზანშეწონილობა და პროდუქტიულობა განისაზღვრება ალგორითმის ხარისხის და შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებით, ამიტომ მნიშვნელოვანია ღია კითხვების გამორიცხვა. გამოყენებული არ უნდა იყოს ისეთი კითხვები, სადაც კანდიდატმა უნდა უპასუხოს, მხოლოდ „დიახ“ ან „არა“. კითხვების ფორმულირება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პასუხმა უნდა მოგვცეს შესაძლებლობა კარგად გავაანალიზოთ კანდიდატის საბაზისო ცოდნა, არსებული გამოცდილება, მისი მოტივაცია.

ხელოვნური ინტელექტის მქონე უახლესი სისტემები ახდენენ კანდიდატების მონაცემების ანალიზისა და რეკრუტირების პროცესების ავტომატიზაციას. გლობალურ ბაზარზე სხვადასხვა ორგანიზაციები უკვე აქტიურად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ აპლიკაციებს კანდიდატების შერჩევის პროცესში. აღნიშნული აპლიკაციების ჩამონათვალი შემდეგია:

- HireVue - არის ვებ ციფრული პლატფორმა შექმნილი ინტერვიუების ჩასატარებლად, მასში ჩაშენებულია ხელოვნური ინტელექტი სისტემა და დიალოგის დროს შეუძლია კანდიდატის ემოციების წაკითხვა.
- AssessFirst - პლატფორმა აფასებს გამოკითხულის ქცევას, პოტენციალს და მოტივაციას.
- Pymetrics - აღჭურვილია ხელოვნური ინტელექტის სისტემით და საშუალებას იძლევა განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა კანდიდატი ვაკანსიის მოთხოვნებს.
- Paradox - პარადოქსი ურთიერთქმედებს კანდიდატებთან ტექსტის საშუალებით.
- hireEZ - კანდიდატის შეფასებას ახდენს ანალიტიკისა და მისი მახასიათებლების შეფასებით.
- AllyO - არის ხელოვნური ინტელექტის მქონე რეკრუტირების პლატფორმა, რომელიც იყენებს ბუნებრივი ენის დამუშავებას და მანქანურ სწავლებას კანდიდატების შემოწმების, დაგეგმვისა და კომუნიკაციის ავტომატიზაციისთვის.
- Ideal- არის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ავტომატიზაციის პლატფორმა, რომელიც იყენებს პროგნოზირებულ ანალიტიკას საუკეთესო კანდიდატების იდენტიფიცირებისთვის და კანდიდატების სკრინინგის, დაგეგმვისა და კომუნიკაციის ავტომატიზაციისთვის.
- Entelo - არის ხელოვნური ინტელექტის მქონე დასაქმების პლატფორმა, რომელიც იყენებს პროგნოზირებულ ანალიტიკას სამუშაოს საუკეთესო კანდიდატების იდენტიფიცირებისთვის და ჩართვისთვის.

იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განიცდის ბიზნესი ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას, პერსონალის მართვის სფეროს შერწყმა ციფრული ტექნოლოგიებთან შესაძლებლობას იძლევა გააუმჯობესოს ადამიანური კაპიტალის მართვის პროცესები. მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციის Deloitte-ის მიერ 130 ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ 7000 კომპანიიდან გამოკითხულთა 74% პოზიტიურად აფასებს ადამიანური რესურსების კაპიტალის დიჯიტალიზაციას.

ტექნოლოგიური სიახლეების მიუხედავად, ადამიანის სრულად ჩანაცვლება შეუძლებელია. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ინსტრუმენტებიც კი, რომელიც ავტომატიზირებულია და ადამიანების მიერ არის შექმნილი მიდრეკილია შეცდომებისკენ. ხელოვნურ ინტელექტს ნამდვილად აქვს ადგილი პერსონალის რეკრუტირების და მართვის პროცესებში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს პოტენციური საფრთხეები, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ ტექნოლოგიას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის კაპიტალში.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი მხარეებია:

დროის დაზოგვა: ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია სწრაფად და ეფექტურად შეასრულოს დავალებები. მენეჯერებს ან დასაქმებულებს გამოუნთავისუფლოს დრო სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებზე ფოკუსირებისთვის.

ობიექტური გადაწყვეტილების მიღება: ხელოვნური ინტელექტის დაპროგრამება შესაძლებელია ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მიღებული გადაწყვეტილებები არ იქნება მიკერძოებული, რაც თავის მხრივ გაზრდის კომპანიის მიმართ ნდობას და შექმნის სამართლიანობის განცდას.

ხარჯების შემცირება: ხელოვნური ინტელექტი ახდენს პროცესების ავტომატიზაციას და პერსონალის დაქირავების და მართვის ხარჯების შემცირებას.

გადაწყვეტილების მიღების სიზუსტე: ხელოვნური ინტელექტის მიერ გაკეთებული შეფასება შეიძლება იყოს უფრო ზუსტი, ვიდრე ადამიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ბევრი მონაცემების ერთდროული ანალიზი და პროგნოზირება. აღნიშნული შეიძლება დაეხმაროს რეკრუტერებსა და მენეჯერებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უარყოფითი მხარეები:

პირადი შეხედულების არარსებობა: ხელოვნურ ინტელექტს არ შეუძლია კანდიდატებთან ან თანამშრომლებთან ურთიერთობების დამყარება ისე, როგორც ეს ადამიანებს შეუძლიათ. აღნიშნულმა შეიძლება გაართულოს კომპანიაში პოზიტიური მიდგომების ჩამოყალიბება და გრძელვადიან პერსპექტივაში შეინარჩუნოს თანამშრომლები.

შეზღუდული კონტექსტური გაგება: ხელოვნური ინტელექტს შეიძლება გაუჭირდეს გარკვეული როლის სამუშაოს შეფასება, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა დეტალებზე ან ფაქტორებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კანდიდატზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის სისტემას შეიძლება გაუჭირდეს იმის აღიარება, რომ კონკრეტული კვალიფიკაცია ან გამოცდილება აუცილებელია კონკრეტული როლისთვის.

მიკერძოების რისკი: მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს უფრო ობიექტური, ვიდრე ადამიანები, ის მაინც ისეთივე მიუკერძოებელია, რომელ მონაცემებზეც ისწავლა. თუ მონაცემები შეიცავდა მიკერძოებას, სისტემამ გადაწყვეტილების მიღებისას შეიძლება გაიმეოროს ეს მიკერძოება.

ადამიანის ზედამხედველობის საჭიროება: ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება დაუშვას შეცდომები ან გამოტოვოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რის გამოც აუცილებელია ადამიანის ზედამხედველობა.

დასკვნა

თანამედროვე პერსონალის მართვის სისტემებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კომპანიებს შესაძლებლობას მისცემს გაზარდონ პროდუქტიულობა, სწრაფად მოიძიონ ახალი კანდიდატები, დაამუშაონ მათი მონაცემები, ხელი შეუწყონ მათ განვითარებას, ობიექტურად შეაფასონ ისინი. ხელოვნური ინტელექტი ათავისუფლებს მენეჯერებს რუტინული საქმიანობისგან. კომპანიები, რომლებიც გეგმავენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას თავიანთ საქმიანობაში, მნიშვნელოვანია იყვნენ გამჭვირვალე და შეძლონ თავიანთი ალგორითმების პრინციპების ახსნა. ყველა კომპანია ინდივიდუალურად აფასებს თავისი ბიზნესის მიზნებს, ამოცანებს და საჭიროებებს, სწორედ კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სურთ თუ არა, ახალი ტექნოლოგიის გამოყენება თავიანთ საწარმოში. ტექნოლოგიური სფერო იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ დღეს ბაზარი უკვე გვთავაზობს მზა აპლიკაციებს და სისტემებს, რომლის გამოყენება და ინტეგრაცია ორგანიზაციაში მარტივად შეიძლება მოხდეს და ამისთვის აღარ არის, ცალკე განყოფილების ან გუნდის შექმნა, საკმარისია პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა და მორგება კომპანიის საქმიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Nicastro, D. 7 Ways Artificial Intelligence is Reinventing Human Resources.CMS (2018).
2. Dr. Owais Ahmed Lecturer at Dept. of Management Studies, North Campus, University of Kashmir, JK
3. ARTIFICIAL INTELLIGENCE IN HR (December 2018)
4. Evgeni Aizenberg and Jeroen van den Hoven, Designing for human rights in AI (December 2020)
5. Weijiao Huang, Khe Foon Hew, Luke K. Fryer, Chatbots for language learning—Are they really useful? A systematic review of chatbot-supported language learning (24 September 2021)
6. Sachin Modgil, Rohit Kumar Singh, Claire Hannibal, Artificial intelligence for supply chain resilience: learning from Covid-19 The International Journal of Logistics Management ISSN: 0957-4093 (17 October 2022)
7. https://alpaca.ge/interview-warmup-tool/
8. https://www.nature.com/articles/s41599-021-00995-4
9. https://www.soocial.com/ai-in-hr-statistics/

Revolutionary changes in the process of selecting the candidate in companies, advantages and disadvantages of Artificial Intelligence

Teimuraz Goderdzishvili,PhD student
Georgian Technical University

Summary

In the business world, personnel selection and evaluation using artificial intelligence have become a growing trend. Digitization of human resources by introducing innovative technologies is one of the major steps forward in the modern world. Today, when innovative technologies and robotics are increasingly introduced in organizations and enterprises, it fundamentally changes personnel selection and management systems. Recruiting is a direction focused on the search and selection of personnel. Modern recruitment uses both traditional methods, which are already firmly established in practice, and innovative approaches and digital tools, It is important to study the latter, which is currently developing rapidly. Its prospects and effectiveness should be evaluated. Improving the personnel management system using artificial intelligence algorithms can help organizations in the selection and recruitment of personnel, finding and evaluating the best candidates. One of the main advantages of using artificial intelligence in HR Management is that it can help organizations streamline the recruitment process. Artificial intelligence algorithms can analyze large amounts of candidate data, such as resumes and applications, to identify the best candidates for a job. This will help reduce bias in the selection process and ensure that the most qualified candidates are considered. Another advantage of using artificial intelligence is that it can improve the accuracy of data processing, and algorithms can analyze data more objectively and consistently than humans. For example, artificial intelligence can analyze employee productivity, identify areas for improvement and plan targeted training and development programs. This will increase the qualifications of the employee and the efficiency of work performance. The use of artificial intelligence has both advantages and disadvantages. In particular, if the organization uses artificial intelligence systems to select new personnel or further improve their qualifications, one of the main problems can be the feeling of candidates and employees that they are not evaluated on individual characteristics, but are evaluated as a set of data that does not include the assessment of personal characteristics. The above causes discomfort and mistrust toward the organization. It is also important to consider the limited number of human relationships and the lack of personal evaluation that is necessary to build trust and relationships. In the modern digital world, the introduction of new technologies, including the use of artificial intelligence systems in personnel management, is a novelty and innovation that can be used in any type of business, although it is important to assess in advance both the risks and their benefits and to analyze the results obtained from the introduction of this system. Heads of organizations must determine their relevance to the required tasks and then make a decision.

Keywords: artificial intelligence, modern technologies, HR specialist, personnel management systems, digitalization, developed algorithms, chatbots.

მარკეტინგული ხარჯების ბიუჯეტირება კორპორაციულ ფინანსებში და ქართული კორპორაციების პრაქტიკა

ლელა კალანდია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი: პროფესორი ირინა ფიჩხაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბიუჯეტირება უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ბიზნესის მიზნების მისაღწევად. ამ კვლევის მიზანია შეისწავლოს მარკეტინგული დეპარტამენტების ჩართულობა კორპორაციის ბიუჯეტირების პროცესში და უფრო მეტიც, გამოიძიოს ბიუჯეტის გამოყენების მოტივაცია, კომუნიკაცია, შესრულების შეფასება და კონტროლი ქართულ ბიზნეს გარემოში, მარკეტინგის დეპარტამენტის მენეჯერების პერსპექტივიდან. კვლევა იძლევა დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომ მარკეტინგის დეპარტამენტები ქართულ კომპანიებში სრულად არ იყენებენ ბიუჯეტირების მეთოდებით შემოთავაზებულ ფართო პოტენციალს მარკეტინგის ეფექტური მართვის სფეროში.

ტრადიციულად, მარკეტინგის მენეჯერები ცდილობენ თავი აარიდონ ფინანსებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, ამჯობინებენ პოპულარობის კვლევებს და მომხმარებლებთან პოზიტიური კომუნიკაციაზე აქცენტირებას, ვიდრე ზუსტ გაანგარიშებებს და პირდაპირ კავშირებს ფინანსურ შედეგებზე. თუმცა, ფაქტია, რომ თანდათან ბიზნესის მართვა ვითარდება ტოტალური აღრიცხვისა და კონტროლის მიმართულებით, მენეჯმენტის აღრიცხვა ინერგება ყველაზე მოწინავე კომპანიაში და მარკეტინგის მენეჯერები ასევე დგანან თავიანთი ხარჯების დაგეგმვისა და ანალიზის საჭიროების წინაშე (Бригхэм, 2007, გვ. 99). ხშირად, მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილები განვითარებასა და ორგანიზების შესახებ არ არის დასაბუთებული შესაბამისი გათვლებით და, როგორც წესი, არის ინტუიციური ბუნების. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის სტრატეგიის, ფინანსური და ეკონომიკური მიზნების ნაკლებობა და კრიტერიუმები. ასევე ინფორმაციის უზრუნველყოფის სიჩქარე ხშირად არ იძლევა მისი გამოყენების საშუალებას მართვის მიზნებისთვის.

მარკეტინგის დეპარტამენტს აქვს შეზღუდული ჩართულობა ბიუჯეტირების პროცედურებში, რამაც თავის მხრივ შეიძლება ახსნას ბიუჯეტის შეზღუდული გამოყენება, როგორც შესრულების საშუალება, შეფასება და კომუნიკაცია მარკეტინგის დეპარტამენტის პერსპექტივიდან.

თემის აქტუალობა განისაზღვრება სამომავლო ოპერაციებთან დაკავშირებით პროგნოზების სიზუსტის გაზრდის საჭიროებით და საწარმოების ხარჯების ოპტიმიზაციით მომგებიანობის გაზრდა, მომავალში პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით.

კვლევა ეყრდნობა ზოგად სამეცნიერო მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პრობლემების გადაჭრის სისტემატური მიდგომის გამოყენებას. ნაშრომში გამოყენებულია ემპირიული კვლევა - რომელიც ეფუძნება წამყვანი ქართული კორპორაციების მენეჯერთა გამოკითხვებსა და ინტერვიუებს, ხოლო ემპირიული მტკიცებულება ეფუძნება მარკეტინგის დეპარტამენტის მმართველებისგან მიღებულ პასუხებს, ჯამში 30 ქართულ კომპანიაში, განსხვავებული სტრუქტურირებული კითხვარით. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლია ქართული კომპანიების მიდგომები და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები, თუ როგორ გავხადოთ მარკეტინგის ხარჯების ბიუჯეტირების მეთოდები პრაქტიკული და მარტივი, რათა გავზარდოთ კომპანიის ეფექტიანობა და დავნერგოთ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

კვლევის სიახლე მდგომარეობს ბიუჯეტირების მეთოდის ისეთ სრულყოფასა და მოდულების შექმნაში, რომლიც ბიზნესს მისცემს მარკეტინგული ბიუჯეტირების მარტივად მართვის/კონტროლის საშუალებას, ასევე მარკეტინგული ეფექტურობის გაზომვისა და თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით სწორი მოდულების შექმნას, რაც დროში დაეწევა მომხმარებელთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს, აამაღლებს კორპორაციების იმიჯს და გაზრდის მათ მოგებას.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, მარკეტინგული ბიუჯეტირება, ფინანსები, ანალიზი.

შესავალი

მარკეტინგული ბიუჯეტირების მეთოდები და კვლევის შედეგები

ზოგადად, მარკეტინგული ბიუჯეტირების პროცესი კომპანიებში გაანალიზებულია ფართოდ და მრავალი გზით. ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ მარკეტინგი მენეჯერების საბიუჯეტო გადაწყვეტილებები ზოგადად შორს არის ოპტიმალური გადაწყვეტილებისგან, რომელიც პასუხობს კითხვაზე, თუ როგორ განსაზღვრავს მენეჯერი მათ ბიუჯეტს. მაგრამ ემპირიული კვლევები ბიუჯეტირებაზე იძლევა უაღრესად ჰეტეროგენულ (შერეულ, ჭრელ) შედეგებს და ეფუძნება სხვადასხვა კონცეფციებს, თუ როგორი ბიუჯეტები განისაზღვრება (ჯეიმს ვაჰოვიჩი, 2008, გვ. 144).

ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა მიუთითებს, რომ მარკეტინგული ბიუჯეტის განსაზღვრა მიჰყვება გადაწყვეტილების კომპლექსურ პროცესს, რომელზეც გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, ის ძალიან ექვემდებარება პოლიტიკურ გავლენებს კომპანიის შიგნით ისე, რომ გავლენიანი ფაქტორების გაზომვა ძალიან რთულია (Piercy N., 1990, გვ. 29). ძირითადად, მენეჯერებს შორის გამოკითხვების შედეგად აიდენტიფიცირებენ ბიუჯეტის შედგენის მარტივ მეთოდებს, როგორიცაა „გაყიდვების პროცენტი“, რომელსაც ისინი მიმართავენ მარკეტინგული ბიუჯეტის განსაზღვრას. ისინი პრაქტიკაში ამ მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, რადგან მარტივია მისი გაგებაც და განხორციელებაც.

მომგებიანი ფირმები უფრო მეტად მიმართავენ უფრო დახვეწილ მეთოდებს, როგორიცაა „მიზანი და დავალება“. მაგრამ განხილული ემპირიული შედეგები სიფრთხილით უნდა იქნას განხილული. კვლევების აჩვენებს, რომ უმეტესობა მენეჯერებისა ბიუჯეტირებისას ძალიან ხშირად იგნორირებას უკეთებს თეორიულ წვლილს (მეცნიერულად დადგენილ ცოდნას) ისე, რომ მოდელები არასრულია და შედეგები არ არის დაკავშირებული მარკეტინგული ბიუჯეტირების ნორმატიულ ლიტერატურასთან.

საერთო ჯამში მარკეტინგის ბიუჯეტირების მეთოდები შეიძლება იყოს დაყოფილი გაყიდვებზე ორიენტირებულ მეთოდებად, როგორიცაა "გაყიდვების პროცენტი", კონკურენციაზე ორიენტირებული მეთოდები, როგორიცაა „კონკურენტული პარიტეტი“ და მოგებაზე ორიენტირებული მეთოდები, როგორიცაა „მიზანი და დავალება“ (Albers S.,1998 გვ. 456-461).

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოში მარკეტინგის ბიუჯეტირებისას ბრენდების 51.2% გაყიდვებზე ორიენტირებული მეთოდებს იყენებს, ბრენდების 33.2%-ისთვის კონკურენციაზე ორიენტირებული მეთოდებს და ბრენდების 15,6%-ისთვის გამოიყენება მოგებაზე ორიენტირებული მეთოდები (Chintagunta, 1993, გვ. 303-304).

მარკეტინგული ხარჯების ბიუჯეტირების კონცეპტუალური ჩარჩოს მიზანია წლიური ბიუჯეტის განაწილების პროცესისა და შედეგების გაუმჯობესება იმისათვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს დისკონტირებული მოგება პროდუქტის პორტფელიდან დაგეგმვის ჰორიზონტზე (ხუთი წელი).

შედეგად, ემპირიული მოდელირება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოგების გასაუმჯობესებლად, 50%-ზე მეტი პოტენციალით მოგების დისკონტირებული ფულადი ნაკადებზე მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

მარკეტინგის ბიუჯეტირების პროცესი

ძირითადად, ბევრ კომპანიაში, პირველ რიგში, მენეჯმენტის მიერ შემუშავებულია ზოგადი სტრატეგია და მისგან გამომდინარეობს მარკეტინგული მიზნები. შემდეგ, პროგნოზებისა და მიზნების საფუძველზე, ფინანსური ფარგლებით აღნიშნულია მომავალი დაგეგმვის პერიოდი და ამ ფარგლებში განისაზღვრება ბიუჯეტი, რომელიც შემდეგ მენეჯმენტის შეფასება და ანალიტიკური მოდელები უნდა იწვევდეს მიზნების მიღწევას (Fischer M., Sönke N.,Wagner & Frie M.,: 2011, გვ. 576).

მარკეტინგის ბიუჯეტი ძირითადად რჩება ტოპ-მენეჯმენტთან და ქვედანაყოფების მენეჯერებთან (მაგ. პროდუქტის მენეჯერები). თუ მხოლოდ აღმასრულებელთა დავალებებს შეასრულებენ - პროცესს ეწოდება ზემოდან ქვევით პროცესს. მეორე მხრივ, თუ პროდუქტის მენეჯერს, აქვს კომპეტენცია, გადაწყვიტოს მარკეტინგული ბიუჯეტი, არსებობს ქვემოდან ზევით პროცესის სტრუქტურა. ზემოდან ქვევით მიდგომის უპირატესობები მდგომარეობს პორტფელის მთლიანი მოგების მაქსიმალური გაზრდაში. გარდა ამისა, ხდება შრომატევადი კოორდინაციის პროცესების თავიდან აცილება. ქვემოდან ზევით მიდგომით პირველ რიგში სარგებლობს ბაზართან და მომხმარებელთან ახლოს მყოფი პროდუქტის მენეჯერები, რაც მათ ოპტიმალური ბიუჯეტის შედგენის შესაძლეობლობას იძლევა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა ხელს უწყობს თანამშრომლის მოტივაციას (Mitchell L. A., 1993, გვ. 612). კომპანიების თითქმის 90% იყენებს კომბინირებულ პროცესის ფორმებს, რომელშიც ურთიერთმონაწილეობით დასახულია

კორპორატიული მიზნები და სტრატეგიები და ამის შესახებ ბიუჯეტი გადაწყვეტილია. უმეტეს კომპანიებში ბიუჯეტირების პროცესში სხვადასხვა დეპარტამენტები არიან ჩართულები, თუმცა, აქ ხშირად არის ზედა და ქვედა იერარქიულ დონეებსა და საფინანსო და მარკეტინგის დეპარტამენტებს შორის კომუნიკაციის სირთულეებიც. პირველ შემთხვევაში არსებობს მარკეტინგის, როგორც დანახარჯის ან საინვესტიციო ფაქტორის განსხვავებული აღქმა და მეორე შემთხვევაში, კორპორაციული ინტერესები უპირისპირდება დეპარტამენტის ინტერესებს.

მარკეტინგული ხარჯების სახეები და მნიშვნელობა დაგეგმვისას

- მარკეტინგული ბიუჯეტის ფორმირებისას გამოყენება ხარჯების შემდეგი კლასიფიკაცია:
- მარკეტინგული კვლევის ხარჯები;
- სარეკლამო პროდუქციის დამზადება და განთავსება (ციფრული, ბეჭდური, აუდიო-ვიზუალური, სარეკლამო კონსტრუქციები და სარეკლამო ბანერები);
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები;
- გაყიდვების ხელშეწყობის ხარჯები (დანახარჯების ცალკეული ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის პროდუქტებისა და სერვისების შესახებ ცოდნის გაფართოებას, როგორც მის გარეთ, ასევე მის შიგნით).

მარკეტინგული ხარჯების ბიუჯეტის მართვა და კონტროლი

მარკეტინგის კონტროლში იგულისხმება მარკეტინგის სტრატეგიისა და გეგმების, აგრეთვე, მათი კორექტირების ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის კომპლექსური გამოკვლევა. მარკეტინგის კონტროლის აუცილებლობას განაპირობებს რიგი მიზეზები. ჯერ ერთი, შეუძლებელია შეიქმნას ისეთი მარეკეტინგული გეგმა, რომელშიც ყველა მოსალოდნელი ცვლილება იქნება გათვალისწინებული. ამის მიზეზი ცვალებადი საბაზრო სიტუაციები და უამრავი გარე ფაქტორია. ამიტომ საჭირო ხდება გეგმების პერიოდულად გადამოწმება და დაზუსტება. მეორე, მხოლოდ დაშვებული შეცდომის დროულად გამოვლენის შემთხვევაშია შესაძლებელი არახელსაყრელი შედეგების თავიდან აცილება, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა სტრატეგიისა და გეგმების შესრულების შედეგების შემოწმების გზით (ჯეიმს ს. ვან ჰორნინ, ჯონ მ. ვ., 2008, გვ. 516).

კონტროლის მიზანი საერთოდ, და მათ შორის მარკეტინგის კონტროლის მიზანიც, არ უნდა იქნეს დაყვანილი სტრატეგიებიდან და გეგმებიდან გადახრის დაფიქსირებაზე. მარკეტინგის კონტროლის მიზანია კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილება და დასახული მიზნის (ან მიზნების) მიღწევა. მარკეტინგის კონტროლი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად. თავდაპირველად რაოდენობრივად აფასებენ წინასწარ დადგენილი მაჩვენებლების მიხედვით სტრატეგიებისა და გეგმების შესრულებას; შემდეგ აანალიზებენ ყოველგვარ გადახრას გეგმიური მაჩვენებლებიდან; ბოლოს ხორციელდება სტრატეგიებისა და გეგმების კორექტირება (Fischer L.A. 1993, გვ. 16). კონტროლის სისტემის ეფექტიანობის და დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ ის აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: ჰქონდეს სტრატეგიული მიმართულება, ჩატარდეს დროულად, იყოს მარტივი და ეკონომიური.

პრაქტიკაში მარკეტინგის კონტროლს აქვს ოპერატიული და სტრატეგიული ხასიათი. ოპერატიული კონტროლი მოიცავს წლიური გეგმების შესრულების კონტროლს და მომგებიანობის კონტროლს. წლიური გეგმების შესრულების კონტროლის დროს მიმდინარე საქმიანობის შედეგებს უდარებენ წლიური გეგმების მაჩვენებლებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ გეგმების კორექტირებას. მომგებიანობის კონტრო-ლი ხორციელდება მთლიანად საწარმოს, აგრეთვე, ცალკეული საქონლის, რეგიონის, ბაზრის, გასაღების არხის მიხედვით. სტრატეგიული კონტროლი ითვალისწინებს ძირითადი მარკეტინგული სტრატეგიების შედარებას მათი შესრულების შესაძლებლობებთან. სტრატეგიული კონტროლი ხორციელდება მარკეტინგ-აუდიტის გზით, რომელიც ითვალისწინებს მარკეტინგის ყველა ძირითადი სფეროს და არა მხოლოდ პრობლემურის შემოწმებას. წლიური გეგმების შესრულების კონტროლი განხილული უნდა იქნეს როგორც პროცესი, რომელიც შედგება ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ოთხი ეტაპისაგან: გასაკონტროლებელი მაჩვენებლების განსაზღვრა, მიმდინარე საქმიანობის შედეგების გაზომვა, მიმდინარე საქმიანობის შედეგების ანალიზი, გეგმების კორექტირება საჭიროების შემთხვევაში.

საწარმოს მარკეტინგული გარემოს, მისი მიზნებისა და ამოცანების, სტრატეგიებისა და მიმდინარე საქმიანობის ყოვლისმომცველ, სისტემატურ და მიუკერძოებელ შემოწმებას, მოულოდნელი პრობლემების და შესაძლებლობების დრო-

ულად გამოსავლენად და რეკომენდაციების შესამუშავებლად მათი თავიდან აცილების ან გამოყენების მიზნით, უწოდებენ მარკეტინგ-აუდიტს (Котлер, Армстронг, 2009, გვ. 1035).

მარკეტინგ-აუდიტი ან მარკეტინგის რევიზია ხორციელდება ან საწარმოს საკუთარი სარევიზიო სამსახურის ან კიდევ სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ სათანადო ანაზღაურების საფუძველზე. მარკეტინგ-აუდიტის ორივე გზა ხასიათდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებით. საწარმოს სარევიზიო სამსახურის მიერ ჩატარებული რევიზია იაფი ჯდება, მაგრამ მუშაკთა მცირე რიცხოვნების გამო არ ხერხდება კომპლექსური რევიზიის ჩატარება. ამასთან, გარემოს შეჩვეულ რევიზორებს უჭირთ მიუკერძოებელი შეფასება, რადგან მათთვის ძნელია შეჩვეულ გარემოში ნაკლოვანებათა დანახვა (Albers S, 1993, გვ. 21:). სპეციალიზებული სამსახურის მიერ ჩატარებული რევიზია საწარმოს ძვირი უჯდება, სამაგიეროდ, „უცხო თვალი“ უკეთესად ხედავს ნაკლოვან მხარეებს, რაც საქმიანობის უკეთესად წარმართვის შესაძლებლობებს მკვეთრად აფართოებს.

მარკეტინგ-აუდიტის მიზნებისთვის ქართულ კომპანიებში ჩვენს მიერ კვლევისას გამოყენებულ იქნა ფილიპ კოტლერის კლასიკური „მარკეტინგის რევიზიის კითხვარი“. მენეჯერთა უმრავლესობამ გასცა კითხვარს პასუხები, თუმცა ჩვენი დაკვირვებით, პასუხთა უმეტესობა ეფუძნებოდა არა კომპანიის მენეჯერთა მიერ ჩატარებულ კვლევას და ანალიზს, არამედ გამოცდილებით დაგროვილ ცოდნას, საწარმოს სპეციფიკის ცოდნას და ისტორიულ ფინანსურ მონაცემებს. ამავდროულად მენეჯერთა უმრავლეობის მიერ იყო აღნიშნული, რომ მათ არ ჩაუტარებიათ სრული მარკეტინგ-აუდიტი, ან თუ ჩაუტარებიათ, _ ფრაგმენტულად, ძირითადად ბაზრის კვლევის, მომხმარებელთა კმაყოფილების და კონკურენტთა კვლევის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ კომპანიების უმეტესობას უჭირს მარკეტინგული ხარჯების ეფექტურობის გაზომვა და მაქსიმუმ, შეუძლიათ მარკეტინგული კვლევების ანალიზის შედეგად პერიოდული შედარებითი კოეფიციენტების განსაზღვრა, თუმცა მარკეტინგის ხარჯების და გაყიდვების/მოგების/კონკურენტულობის ზრდის პირდაპირი კავშირების გაზომვა უკიდურესად გართულებულია.

ქართული კომპანიების თანამედროვე პრაქტიკა მარკეტინგული ხარჯების ბიუჯეტირებისას ჩვენს მიერ გაანალიზებულია 100-ზე მეტი ქართული კომპანიის მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგებები (2018-2021წწ.) (www.saras.gov.ge) რომელიც მიეკუთვნებიან სააქციო საზოგადოებებს ან ჰოლდინგურ საწარმოებს (3 ან მეტი შვილობილი კომპანიით, 1-ლი და მე-2 კატეგორიის საწრმოები) და გამოკითხულია 30-ზე მეტი კომპანიის მმართველი და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ერთი შეხედვით, თანამედროვე ქართულ კორპორაციების მენეჯმენტს მარკეტინგის არსი და მნიშვნელობა კარგად ესმის, თუმცა საქმეზე ვაწყდებით მრავალ ფაქტორს, რომელიც ეწინააღმდეგება ამ მტკიცებას. ასეთებია: 1) გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე ბიუჯეტის დამტკიცება და მნიშვნელოვანი კორექტირებები პროცესში ბიუჯეტის შემცირებისკენ. 2) მარკეტინგის სპეციალისტთა ნაკლებობა კორპორციებში (ხშირად მენეჯერებად ინიშნებიან არაპროფესიონალები ნეპოტიზმის გავლენით), რაც იწვევს სპონტანურ და ინტუიციურ გადაწყვეტილებებს. 3) შედეგების გაზომვა მხოლოდ ერთი ინსტრუმენტით (მაგ. მხოლოდ გაყიდვების ზრდით, ან ინტერნეტ-რეიტინგებით), ნაცვლად კომპლექსური ანალიზისა. 4) ხშირად ხდება ბიუჯეტის ფორმირება, მაგრამ არ ხდება ყოველთვიური მართვა და მენეჯერები მხოლოდ წლის შემაჯამებელ ანგარიშებში ასახული შედეგებით შემოიფარგლებიან. მმართველობით ანგარიშებებში ძალიან მცირე ადგილი უკავია მარკეტინგული ამოცანების და მათი შესრულების ანალიზს (Ramaseshan, B., 2008, გვ. 101).

მარკეტინგის მართვის პროცესში ქართული კომპანიების მიერ სხვადასხვა მმართველობითი სტრუქტურა გამოიყენება, ძირითადად ვერტიკალური. მიუხედავად ამისა, მარკეტინგის დეპარტამენტის როლი შედარებით დაკნინებულია, თუ შევადარებთ ევროპულ ან ამერიკული კომპანიების სტრუქტურას. კითხვაზე - რა ფუნქცია-მოვალეობა ეკისრება თქვენს კომპანიაში მარკეტინგის დეპარტამენტს? - მმართველთა აბსოლუტური უმეტესობისთვის (98%) მარკეტინგის დეპარტამენტი გაიგივებულია მხოლოდ რეკლამის დამზადება-განთავსებასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობასთან. შესაბამისად, მარკეტინგის უმნიშვნელოვანს კომერციულ შემადგენელს (შესყიდვა, რეალიზაცია, მიწოდება) მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელები არ მიიჩნევენ მათი მოქმედების სფეროდ. უფრო მეტიც, მარკეტინგის დეპარტამენტი უმეტეს შემთხვევაში საერთოდ არ მონაწილეობს არც შესყიდვებში, არც ფასწარმოქმნაში, რეალიზაციის პროცეში

ორიენტირებული არიან ფასდათმობების (ან აქციების) შეთავაზებების შექნაში და არ არიან ორიენტირებული გაყიდვების ხარისხის ამაღლებაზე, მიიჩნევენ რა, რომ პერსონალის გადამზადება და ხარისხის ამაღლება მხოლოდ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციაა. ჩვენთვის აღმოჩენა იყო ის ფაქტი, რომ სავაჭრო აგენტების (შუამავალთა) მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება (რაც საქონლით მოვაჭრე კომპანიებში დაახლოებით ბრუნვის 15-20% შეადგენს), ან პერსონალის გაყიდვების ბონუსები (რაც საქონლით მოვაჭრე კომპანიებში დაახლოებით ბრუნვის 3-5% შეადგენს), _ მარკეტინგის დეპარტამენის მმართველებისთვის არ წარმოადგენს მარკეტინგულ ხარჯებს.

მარკეტინგული ბიუჯეტირების პრინციპების გამოყენება: გამოკითხვით დგინდება, რომ ძირითადად ქართული კომპანიები ბიუჯეტის შედგენისას იყენებენ პრიციპს „გაყიდვების პროცენტი“ ბრუნვიდან, რომელიც ფორმირდება საპროგნოზო შემოსავლებიდან. ასეთი კომპანიების ოდენობა 64%-ია, მეორე ადგილზეა „კონკურენციის“ პრინციპი - 25% და მხოლოდ მესამე ადგილს იკავებს „მიზანი და დავალება“ ანუ მოგებაზე ორიენტირებული პრინციპები - 11%.

გამოკითხულ კომპანიათა მენეჯერები ხაზს უსვამენ მათი მომსახურების/ საქონლის წინ წაწევაზე დახარჯულ თანხებს და მიუთითებენ მოგებაზე, რომელიც მიიღო ამა თუ იმ წელს კომპანიამ კონკრეტული მარკეტინგული აქტივობების შედეგად, თუმცა, უმრავლესობის აზრით, ისინი კომპანიის წლიური ბრუნვის 5-8% ხარჯავენ მარკეტინგული მიზნებისთვის. თუმცა ამავდროულად აშკარაა, რომ მათ მიერვე გამოქვეყნებულ ფინანური ანგარიშგებების შესაბამისად (გამოკითხული კომპანიების 98% შემთხვევაში) მარკეტინგული ბიუჯეტების მოცულობა ბრუნვასთან მიმართებაში რეალურად 1%-დან 3% -მდე ფარგლებში მერყეობს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მარკეტინგული ბიუჯეტების კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება ქართულ კორპორაციებში. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ სამწუხაროდ, მარკეტინგული ბიუჯეტების კონტროლი შემოიფარგლება:

1) ფინანასური დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის გადახარჯვის კონტროლით; და

2) მარკეტინგის დეპარტმენტის მხრიდან ფულადი სახსრების ათვისების კონტროლით, ამავდროულად ხშირად სრულადაა უგულებელყოფილი მარკეტინგ-აუდიტის პრინციპები.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები ქართული კომპანიების მარკეტინგული ბიუჯეტირების კონტექსტში:

1. მნიშვნელოვანი როლი ბიუჯეტირებისას ჰარმონიზაციის პროცესში ენიჭება ტოპ-მენეჯენტის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. მთავარი პრობლემა არის სტრატეგიის, ფინანსური და ეკონომიკური მიზნების ნაკლებობა.
2. მარკეტოლოგებისა და ფინანსისტების შეხედულებები სრულ თანხვედრაში არაა. მარკეტინგის დეპარტამენტს აქვს შეზღუდული ჩართულობა ბიუჯეტირებაში პროცედურებში,
3. ქართულ კორპორაციებში არ იყენებენს ყველა საჭირო ინსტრუმენტს მიზნების მისაღწევად და მათ უნდა მიაქციონ ყურადღება არა მარტო გაყიდვების ზრდას და მომხმარებლებთან კომუნიკაციის ხარისხს, არამედ თავისი წვლილი შეიტანონ ფასწარმოქმნასა და მიწოდების ჯაჭვის სრულ ციკლში.
4. ირკვევა, რომ მარკეტინგის ბიუჯეტირების კვალიფიციური გამოყენება შეუძლებელია საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარების გარეშე, როგორც დაქირავებულ მუშაკებთან, ასევე დამქირავებლებთან, შესაბამისად, მათი ყურადღება მიპყრობილი უნდა იქნას კომპლექსური პროგრამების დახმარებით. ასევე მარკეტინგულ პრინციპებზე დაყრდნობით, შესაძლებელია აიგოს პრაქტიკული ქმედებების მოდელი, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მარკეტინგული საქმიანობის ოპტიმიზაცია.
5. მარკეტინგის ბიუჯეტირების სფეროში მარკეტინგის პრიორიტეტებად ბაზარზე ითვლება მზარდი ცვლილებები ციფრული მარკეტინგის მიმართულებით, მათი ადაპტაცია მომხმარებელთან კომუნიკაციაში და სპექტრის მრავალფეროვნება განაპირობებს სამომხმარებლო მოთხოვნის პერსონიფიკაციას.
6. პროფესიონალური დაგეგმარე ბის შედეგად მარკეტინგის ბიუჯეტირებამ უნდა უზრუნველყოს საწარმოს ოპტიმიზაცია და მოგების გაზრდა, ეს მიზანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ფინანსური სამსახურის ამოცანა.
7. კომპანიების წარმატება და მომხმარებლები-

სათვის მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა წარმოუდგენელია მარკეტინგული ღონისძიებების გატარების გარეშე. შედეგად, კომპანიები მოიპოვებენ უპირატესობას და სამომხმარებლო ბაზარზე დაიკავებენ საკუთარ ადგილს. მარკეტინგის ბიუჯეტირების გარეშე შეუძლებელია მოთხოვნაზე დროული და სწორი რეაგირება.

8. მომხმარებლის კვლევაზე დაფუძნებული მარკეტინგის ბიუჯეტირება დაეხმარება ბაზარზე არსებულ ფირმებს გააუმჯობესონ თავიანთი ბრენდის იმიჯი. ქართული კომპანიების ნაწილი უგულებელყოფს კვლევების მნიშვნელობას და მას ან ფუჭ ხარჯად მიიჩნევს, ან კვლევების შედეგებს სათანადოდ არ იყენებენ.
9. მნიშვნელოვანია საწარმოთა სპეციფიკაზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფის მოდულების დანერგვა მარკეტინგის ბიუჯეტირების ყველა ასპექტის გათვალისწინებით, რაც საშუალებას მისცემს მენეჯმენტს გააუმჯობესონ პროგნოზების სიზუსტე და არ ჩამორჩნენ დროის და ბაზრის გულისცემას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯეიმს ს. ვან ჰორნინ, ჯონ მ. ვაჰოვიჩი, „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“, თბ. 2008;
2. Albers, Sönke: Regeln für die Allokation eines Marketing-Budgets auf Produkte oder Marktsegmente Zeitschrift für betriebswirtschaftliche Forschung; 1993
3. Chintagunta, Pradeep K.: Investigating the Sensitivity of Equilibrium Profits to Advertising Dynamics and Competitive Effects, Management Science; 1993
4. Fischer, Marc, Sönke Albers, Nils Wagner and Monika Frie: Dynamic Marketing Budget Allocation across Countries, Products, and Marketing Activities, Marketing Science, 2011
5. Fischer, Lionel A.: An Examination of Methods of Setting Advertising Budgets: Practice and the Literature, European Journal of Marketing; 1993;
6. Piercy, Nigel: The Politics of Setting an Advertising Budget, International Journal of Advertising; 1990
7. Ramaseshan, B. “Ram”: Research Note: Marketing Budgeting Practices of Retailers, European Journal of Marketing. 2008
8. Бригхэм Юджин Ф. Финансовый менеджмент / Бригхэм Юджин Ф., Майкл С. Эрхардт. – СПб.: Питер, 2007
9. Котлер Филип, Армстронг Гари. Основы маркетинга. Профессиональное издание, 12-е изд.: Пер. с англ. - М.: ООО И. Д. Вильямс, 2009
10. https://www.saras.gov.ge

Budgeting of marketing expenses in corporate finance and practice of Georgian corporations

PhD student - Lela Kalandia
Georgian Technical University

Supervisor, Professor Irina Pichkhaia
Georgian Technical University

Summary

Budgeting is an essential tool for achieving business goals. The purpose of this study is to examine the involvement of marketing departments in the budgeting process of a corporation, and furthermore, to investigate the motivation, communication, performance evaluation, and control of budgeting in the Georgian business environment, from the perspective of marketing department managers. The research provides evidence that marketing departments in Georgian companies do not fully utilize the wide potential offered by budgeting methods in the field of effective marketing management.

Traditionally, marketing managers try to avoid any issues related to finance, preferring to focus on popularity

studies and positive communication with customers, rather than precise calculations and direct links to financial results. However, the fact is that gradually business management is developing in the direction of total accounting and control, management accounting is introduced in the most advanced companies, and marketing managers are also faced with the need to plan and analyze their costs. Often, management decisions about development and organization are not supported by appropriate calculations and are usually intuitive in nature. One of the main reasons is the lack of strategy, financial and economic goals and criteria. The speed of providing such information often does not allow its use for management purposes.

The marketing department has limited involvement in budgeting procedures, which in turn may explain the limited use of the budget as a means of performance, evaluation, and communication from the perspective of the marketing department.

The relevance of the topic is determined by the need to increase the accuracy of forecasts regarding future operations and increase profitability by optimizing the costs of enterprises, with the help of software in the future.

The research is based on the general scientific methodology, which provides for the use of a systematic approach to solving problems. Empirical research is used in the paper - which is based on surveys and interviews of managers of leading Georgian corporations, and empirical evidence is based on responses received from managers of the marketing department, in a total of 30 Georgian companies, with a differently structured questionnaire. We tried to investigate the approaches of Georgian companies and develop recommendations on how to make the budgeting methods of marketing expenses practical and simple, in order to increase the efficiency of the company and introduce the appropriate software.

The novelty of the research lies in the perfection of the budgeting method and the creation of modules that will allow businesses to easily manage/control marketing budgeting, as well as to measure marketing effectiveness and create the right modules with modern software tools, which will catch up with the demands and needs of customers in time, raise the image of corporations and increase their profits.

Keywords: Marketing, Marketing Budgeting, Finance, Analyse

სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ალექსი ქურდოვანიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დაზღვევა წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტებსა და სუბიექტებს შორის შეთანხმებას, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ ხდება გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯების და ზარალის ანაზღაურება სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ. დაზღვევის დახმარებით შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება. დაზღვევის აუცილებობა წარმოიშობა იმდენად, რამდენადაც რისკი არსებობს ნებისმიერ ქმედებაში. რისკი როგორც მოვლენა, შეიცავს ქმედების დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს. სწორედაც, სარისკო ქმედებების შედეგების ფინანსური დანახარჯების თავიდან აცილების მიზნით ხდება დაზღვევის განხორციელება.

სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი პრინციპის მიხედვით სადაზღვევო ორგანიზაცია (მზღვეველი) აზღვევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს (დაზღვეული) იმ რისკებისაგან, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩდნენ. დამზღვევი დაზღვეულს გადასცემს სადაზღვევო პოლისს, რომელიც არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი და არის იურიდიული მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების დადების შესახებ. სადაზღვევო პოლისში მიეთითება დაზღვევის კონკრეტული მონაცემები (დამზღვევი, დაზღვეული, სადაზღვევო თანხა პრემია და სხვა). სადაზღვევო პოლისში გაწერილია დაზღვევის პირობები. დაზღვევის მისაღებად დამზღვევი პირები სადაზღვევო ორგანიზაციას წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით უხდიან სადაზღვევო პრემიას ანუ ფულად შენატანს. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას, ანუ წინასწარ განსაზღვრული რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაცია დაზღვეულ პირებს ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად უნაზღაურებს ზიანს. სადაზღვევო ლიმიტი კი წინასწარ განისაზღვრება და ეთითება სადაზღვევო პოლისში. შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ არასდროს დადგეს საჭიროება რაიმე სახის ზიანის ანაზღაურებისა, თუმცა დასაზღვევო კომპანია ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ლიმიტების გათვალისწინებით, ანაზღაურების მოთხოვნისას ზიანი სრულად ან ნაწილობრივ დაფაროს. ამასთან, ხარჯების ანაზღაურება არ ხდება ავტომატურად, საჭიროა დამზღვევმა პირმა მიმართოს მზღვეველს. დაზღვევის საჭიროებას ცხოვრებაში არსებული რისკები განაპირობებს, ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ დაზღვევა იმდენგვარი შეიძლება არსებობდეს, რამდენნაირი რისკიც არსებობს. ქართულ ბაზარზე გავრცელებული დაზღვევის სტანდარტულ ტიპების მიხედვით სადაზღვევო პროდუქტები სამ ძირითადი მიმართულებით შეგვიძლია დავაჯგუფოთ: **პირადი ინტერესების დაზღვევა,** რომელშიც შედის ჯანმრთელობის, სამოგზაურო და სიცოცხლის დაზღვევა; **ქონებრივი ინტერესების დაზღვევა** და **პასუხისმგებლობის დაზღვევა.**

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, რისკი, ჯანმრთელობის დაზღვევა, ქონების დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა.

შესავალი

საქართველოში გავრცელებული დაზღვევის სტანდარტულ ტიპების მიხედვით სადაზღვევო პროდუქტები სამ ძირითადი მიმართულებით შეგვიძლია დავაჯგუფოთ: 1. **პირადი ინტერესების დაზღვევა,** რომელშიც შედის ჯანმრთელობის, სამოგზაურო და სიცოცხლის დაზღვევა 2. **ქონებრივი ინტერესების დაზღვევა** და 3. **პასუხისმგებლობის დაზღვევა.**

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1.1. ჯანმრთელობის დაზღვევა არის პირადი ინტერესის დაზღვევის ერთ -ერთი ძირითადი სახე. **ჯანმრთელობის დაზღვევაში იგულისხმება მდგომარეობა, როდესაც** ადამიანი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შედეგად შეიძლება დადგეს რისკის წინაშე. ამ დროს ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება არც თუ ისე მცირე ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და დაზღვევის შემთხვევაში შესაძლებელია შემცირდეს ან მოხდეს სამედიცინო ხარჯების

სრულად არიდება.ჯანმრთელობის დაზღვევა არის ორი ტიპის - **კერძო და სახელმწიფო დაზღვევა.** ზოგადად მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა სისტემა არსებობს, მათგან ძირითადი არის კერძო და სახელმწიფო დაზღვევის შრწყმის სხვადასხვაგვარი კომბინაცია.

სახელმწიფო დაზღვევის სახეა **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა,** რომელიც საქართველოში 2013 წლიდან მოქმედებს და რომლის მიზანია მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პროგრამით მოსარგებლეები არიან :

ა) საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები, პირადობის ნეიტრალური მოწმობის და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, აგრეთვე საქართველოში სტატუსის არმქონე, მაგრამ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, გარდა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების მოსარგებლეებისა. აგრეთვე 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირები და იმ ბრალდებული/მსჯავრდებული პირები, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობაში, რადგან თუ კერძოდ დაზღვეულ მოქალაქეს ამა თუ იმ მიზეზით შეუწყდება სადაზღვევო კონტრაქტი, ამ შემთხვევაში მოქალაქე ჩაერთვება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში (მინიმალური პაკეტი);

ბ) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები (ვეტერანების პაკეტი);

გ) მიზნობრივი ჯგუფი - სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების მოსარგებლეები კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული გარემოებების დადგომისას, როდესაც ადგილი აქვს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდებისა და დაფინანსების გაგრძელებას

დ) „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების მოსარგებლეები კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული გარემოებების დადგომისას, როდესაც ადგილი აქვს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდებისა და დაფინანსების გაგრძელებას (ასაკობრივი ჯგუფი).

1.1.პირადი ინტერესების დაზღვევევის მეორე სახეა სამოგზაურო დაზღვევა, რომელიც ფარავს საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით მოგზაურობის რისკებთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა, მაგალითად, სამედიცინო მომსახურებასთან, მოგზაურობის გაუქმებასთან, დაკარგულ ბარგთან თუ სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები.

1.2. პირადი ინტერესების დაზღვევის მესამე სახეა **სიცოცხლის დაზღვევა,** რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის/მემკვიდრის მიერ ფულადი კომპენსაციის მიღებას. მსოფლიოში გავრცელებულია სიცოცხლის დაზღვევის სხვადასხვა სახეობა. სიცოცხლის დაზღვევა შესაძლებელია გარდაცვალების რისკს არც უკავშირდებოდეს (მაგალითად, სადაზღვევო კომპენსაციის გაცემა კონკრეტული ასაკის მიღწევისას მოხდეს). როგორც წესი, სიცოცხლის დაზღვევის სახეობები გრძლევადიანია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სადაზღვევო ორგანიზაციების მხრიდან ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისში სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევის გაერთიანება მიღებული პრაქტიკაა.

2. სადაზღვევო პროდუქტების მეორე ჯგუფს წარმოადგენს **ქონებრივი ინტერესების დაზღვევა** რომელიც გვაძლევს საშუალებას თავიდან იქნეს აცილებული იმ რისკებიდან გამომდინარე ხარჯები, რომლებიც უძრავ ან მოძრავ ქონებას შეიძლება დაემუქროს. არსებობს ქონების დაზღვევის არაერთი სახეობა, რომელიც შესაძლოა შემდეგნაირად დავაჯგუფოთ, ესენია:

2.1. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა (აგროდაზღვევა) შეიძლება მოიცავდეს სოფლის მეურნეობის კულტურების, ცხოველების, ფრინველების, თევზის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების

სხვა ქონების დაზღვევას. აგროდაზღვევა კარგი საშუალებაა სოფლის მეურნეობის მიმართულებით ისეთი რისკებისგან თავის დასაცავად, როგორიცაა სტიქიური უბედურებები (მათ შორის სეტყვა, ხანძარი, წყალდიდობა, გვალვა, და ა.შ.) ან მღრღნელებისა და მწერების მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება.

2.2. ტრანსპორტის დაზღვევა - მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების (მაგ. ავტომობილების, გემებისა და თვითმფრინავების) დაზღვევას და მინიმუმამდე დაჰყავს, ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული, გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯები.

სხვა სახის ქონების დაზღვევა - ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დააზღვიონ საკუთარი ან ბიზნესის ქონება (მაგ. საცხოვრებელი თუ საოფისე შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, შინაური ცხოველები, ავეჯი, ძვირფასეულობა) სხვადასხვა რისკისგან, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობა, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები, და ა.შ. გაითვალისწინეთ, რომ დროთა განმავლობაში ქონების ცვეთისგან მიღებულ ზარალს დაზღვევა არ ანაზღაურებს.

3. სადაზღვევო პროდუქტების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება **პასუხისმგებლობის დაზღვევა** პასუხისმგებლობის დაზღვევა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს თავიდან აირიდონ ის ფინანსური ზარალი, რომელიც მათი საქმიანობის შედეგად მესამე პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთანაა დაკავშირებული. მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობების დაზღვევა შეიძლება შემგდეგნაირად დავაჯგუფოთ:

3.1. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა - იგი დაზღვეულ პირებს იცავს ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც ისინი, საკუთარი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, უნებლიედ აყენებენ ზიანს მესამე პირებს. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით ხშირად სარგებლობენ ექიმები, აუდიტორები, არქიტექტორები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. მაგალითისთვის, საქართველოში ნოტარიუსების უმრავლესობა სარგებლობს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით, რაც გულისხმობს, ნოტარიუსის საქმიანობის პროცესში, ნოტარიუსის გაუფრთხილებლობის გამო მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამას გარდა, მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებულია ექიმის მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით სარგებლობაც, რაც ემსახურება სამედიცინო პროცედურებისა და კლინიკური კვლევების ჩატარებისას პაციენტისადმი მიყენებული ზიანით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას.

3.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა - იგი მოიცავს, მათ შორის, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევას დასაქმებული პირის მიერ სამუშაო ადგილზე მიღებული დაზიანებისთვის, ასევე, მესამე პირისადმი ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევას (რომელსაც ზოგჯერ ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევასაც უწოდებენ), რომელიც დამზღვევს დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ მისი ბრალეულობით ავტომობილის მართვის დროს დაზიანდება სხვისი ავტომობილი, მესამე პირი ან ქონება. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან, საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი, საზღვარგარეთ რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის მფლობელები ვალდებულნი არიან შეიძინონ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ამგვარი ვალდებულების გავრცელება იგეგმება საქართველოში რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის მფლობელებზეც. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთი ფორმაა ასევე ე.წ. მომატებული საფრთხის (საშიშ საწარმოთა) პასუხისმგებლობის დაზღვევა, რაც ფარავს მაღალი რისკის მქონე (მაგ. ბირთვული ან ქიმიური) საწარმოების მიერ მესამე პირებისთვის და გარემოსთვის მიყენებული ზარალის ხარჯებს.

დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით. **ნებაყოფლობითი დაზღვევა** ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით. ნებაყოფლობით დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი, ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია. **სავალდებულო დაზღვევა** არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით - „სავალდებულო დაზღვევის შესახებ“. სავალდებულო დაზღვევისას მზღვეველი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება დამზღვევთან კანონით განსაზღვრული პირობებით. მზღვეველს უფლება აქვს შესთავაზოს დამზღვევს ამ უკანასკნელისათვის კანონით დადგენილზე უფრო ხელსაყრელი პირობები. სავალდებულო დაზღვევას ახორციელებს საქართველოს ნებისმიერი ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია ქართულ ბაზარზე გავრცელებული დაზღვევის სტანდარტულ ტიპები, სადაც სადაზღვევო პროდუქტები სამი ძირითადი მიმართულებით არის დაჯგუფებული. განხილულია პირადი ინტერესების დაზღვევა, რომელშიც შედის ჯანმრთელობის, სამოგზაურო და სიცოცხლის დაზღვევა, ასევე ქონებრივი ინტერესების დაზღვევა და პასუხისმგებლობის დაზღვევა. მოცემულია, რომ დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოების დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ც., აბრამია თ., ცაავა დ., რისკოლოგია, თბ., 2018;
2. ირემაშვილი ქ., მხარეთ უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთირთობაში. დისერტაცია, თსუ, 2016;
3. ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, "მერიდიანი", თბ., 2001;
4. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“;
5. Boccara S., Medical Malpractice, Tort Law and Economics, Encyclopedia of Law and Economics, Editor Faure M., Second Edition, Volume 1, Edward Elgar Publishing, 2009.

Basic principles of insurance activity

Alexi Kurdovanidze, PhD student

Technical University of Georgia

Summary

Insurance is an agreement between financial instruments and entities, according to which, in exchange for the payment of a predetermined amount, unforeseen financial expenses and losses are reimbursed by the insurance organization. With the help of insurance, it is possible to avoid or reduce the financial loss caused by the occurrence of potential risks. The need for insurance arises to the extent that risk exists in any activity. Risk as an event contains signs of the possibility and contingency of an action. It is precisely in order to avoid the financial costs of the results of risky actions that insurance is implemented.

According to the basic principle of insurance activity, the insurance organization (insurer) insures a natural or legal person (insured) against the risks they may face. The insurer gives the insured an insurance policy, which is a signed document issued by the insurer and is a legal certificate of the conclusion of the insurance contract. The insurance policy specifies specific insurance data (insurer, insured, insurance amount, premium, etc.). The terms of insurance are written in the insurance policy. In order to get insurance, insured persons pay an insurance premium or monetary contribution to the insurance organization at pre-agreed intervals. In the event of an insured event,

Upon arrival, the insurance contract provides for the payment of insurance indemnity, that is, in case of the realization of predetermined risks, the insurance organization compensates the insured persons for the damage in accordance with the terms of the contract and the insurance limit. The insurance limit is determined in advance and indicated in the insurance policy. It may happen that there is never a need for compensation of any kind of damage, although the insurance company is obliged to cover the damage in full or in part, taking into account the conditions and limits stipulated in the contract. However, reimbursement of expenses is not done automatically, the insured person needs to apply to the insurer. The need for insurance is determined by the risks in life, in general we can say that there can be as many types of insurance as there are risks. According to the standard types of insurance common in the Georgian market, we can group insurance products in three main directions: 1. Personal interest insurance, which includes health, travel and life insurance 2. Property interest insurance and 3. Liability insurance.

Keywords: insurance, risk, health insurance, property insurance, liability insurance.

ფინანსური რისკების მართვის ასპექტები კორპორაციებში

ლელა კალანდია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღევანდელ არაპროგნოზირებად გარემოში, ფინანსური რისკების მართვა მაღალი დინამიკურობით ხასიათდება. ნებისმიერი ბიზნეს-ორგანიზაციის მიზანია მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი მინიმალური კაპიტალის დანახარჯით. საქმიანობა, რომელიც სხვადასხვა სფეროში ხორციელდება და დაკავშირებულია სხვადასხვა ბიზნეს-ოპერაციებთან, არის გარკვეული სახის რისკების და მასთან დაკავშირებული დანაკარგების საფრთხის შემცველი. სწორედ ასეთი სახის დანაკარგებთანაა დაკავშირებული ფინანსური რისკები. ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები მეტ აქტუალურობას იძენს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორები, საქონლის და მომსახურების, ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობა იზრდება. საქართველოში საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშემწყობი ორგანოა ეროვნული ბანკი, რომელიც ხელს უწყობს საფინანსო სექტორის სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, რისკების კონტროლს და პოტენციური რისკების შემცირებას.

თანამედროვე საფინანსო პირობებში შეუძლებელია გვერდი აუარო დანაკარგს. ბიზნეს-ორგანიზაციების საქმიანობა მუდმივ კავშირშია ფინანსურ რისკებთან. არასტაბილურობის პირობებში კი რისკები სულ უფრო მეტად იზრდება, განსაკუთრებით დიდი ისინი კრიზისების პერიოდში, აქედან გამომდინარე ერთ-ერთ ძირითად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს კრიზისულ სიტუაციებში მოსალოდნელი რისკების წინასწარ განჭვრეტა და მათი მართვის მეთოდების სწრაფად და ხარისხიანად შემუშავება შესაძლო დანაკარგების და ზარალის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა ‘‘რისკი’’ განიმარტება როგორც ‘‘ალალბედზე მოქმედება, სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა’ ეს არის ზარალის დადგომის პოტენციური შესაძლებლობა. რისკი არის მოვლენა უარყოფითი შედეგებით ან ამ მოვლენის შესაძლებლობა, იგი დაკავშირებულია კონკრეტულ ობიექტთან და იწვევს არსებული მდგომარეობის გაუარესებას.

რისკის ცნება წარმოიშვება მაშინ, როცა არსებობს დაგეგმილსა და ფაქტიურ შედეგებს შორის გადახრის შესაძლებლობა, რაც უკავშირდება მომავალს და, როგორც წესი, აუარესებს ადამიანის, ორგანიზაციის, საზოგადოების მდგომარეობას. არ არსებობს რისკის ერთი, ცალსახოვანი განმარტება: ეკონომისტებს, ფინანსისტებს, რისკის მენეჯერებს, სტატისტიკოსებს რისკის საკუთარი კონცეფციები და განმარტებები აქვთ.

საკვანძო სიტყვები: რისკი, შანსი, ფინანსური რისკები, გლობალიზაცია, ორგანიზაცია, სტიქიური უბედურება, საფრთხე.

შესავალი

ზოგადად, რისკის განმარტება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად, მაგრამ ძირითადად მისი არსი ორგვარად გამოიხატება:

რისკი არაკეთილსასურველი შემთხვევის მოხდენის, ზარალის, დანაკარგების ალბათობაა, შესაძლებლობაა, რომელიც შეიძლება დადგეს განუსაზღვრელ დროს. როდესაც ადამიანი იკვლევს იმ კონკრეტულ საფრთხეებს, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის სამეწარმეო საქმიანობას, მაგ.: მაღალი კონკურენცია, კაპიტალის უკმარისობა, უხარისხო ნედლეულის მოწოდება, სადისტრიბუციო ქსელის ავტომობილის გაჩერება, სტიქიური უბედურებები, ასეთ შემთხვევაში ეს საფრთხეები, რისკები, წარმოჩინდება, როგორც მოსალოდნელი ზარალის შესაძლო მიზეზები. ზოგადად, რისკი, როგორც ზარალის დადგომის მიზეზი, სხვადასხვა გარემოებათა ერთობლიობაა, რომლის შედეგი უცნობია და, შესაბამისად, არაა უსაფრთხო. მეორეც, რისკი დაკავშირებულია მომავალთან, გაურკვევლობასთან და შემთხვევითობასთან. თუ რისკი არასოდეს დადგება, მისი ალბათობა ნულის ტოლია. თუ რისკი აუცილებლად დადგება, მისი ალბათობაა 1=100%. რისკების უმრავლესობა ამ შუალედშია თავმოყრილი ანუ რისკების უმეტესობა შეიძლება მოხდეს, შეიძლება - არა.

რისკის საპირისპირო ცნებაა შანსი, - ‘‘პირობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებას, მოგებას‘‘, დაგეგმილ და რეალურ შედეგებს შორის დადებითი

გადახრის ანუ მოსალოდნელ შემთხვევაზე კეთილ-სასურველი შედეგის მიღების შესაძლებლობა. შანსი მოგების, მიღების შესაძლებლობაა (გ. გიგოლაშვილი, 2018). მოსალოდნელი შედეგების მიხედვით ამ აზრს ნათლად გამოხატავს სიტყვები: "წაგების რისკი და მოგების შანსი": რისკი ყოველთვის ასოცირებულია დანაკარგებთან, არსებული მდგომარეობის გაუარესებასთან, ზარალთან, წაგებასთან, ხოლო შანსი – რაღაცის შემენასთან, მიღებასთან, მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, გამარჯვებასთან.

რისკ-მენეჯმენტის სპეციალისტების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი რისკის მართვა შესაძლებელია, რისკების პროგნოზირება და მისი დაწევა - სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი სფეროა, და თუ მას არ ექნება რისკების მართვის არსებულ ყველა ძირითადი ფუნქციის აბსოლუტურ და სრულფასოვან მართვაზე პრეტენზია, შესაძლებელია ის პრაქტიკული მიზნით მიღებული იქნას, როგორც რისკ-მენეჯმენტი.

ზოგადად, ჩვენ არ ვიცით თუ რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ რისკს, მაგრამ შედეგი შესაძლებელია გაიზომოს ფულადი ერთეულით და შესაბამისად დადგინდეს მოსალოდნელი შედეგის ღირებულება. რისკი, რომლის შედეგების გაზომვა შესაძლებელია ფულადი ერთეულით და გარკვეულწილად შესაძლებელია დადგინდეს მოსალოდნელი შედეგის ღირებულება, წარმოადგენს ფინანსურ რისკს. ფინანსური რისკები დაკავშირებულია ფინანსური რესურსების (ანუ ფულადი საშუალებების) შესაძლო დანაკარგებთან (ვერულავა, 2013).

ძირითადი ნაწილი

ფინანსური რისკების კლასიფიკაცია

ფინანსური სტაბილურობის შემცირების რისკი ან ფინანსური განვითარების დისბალანსი. კაპიტალის სტრუქტურის არასრულყოფილება, რაც საწარმოში ნასესხები სახსრების გადაჭარბებული წილითაა განპირობებული და საწარმოს ფულადი ნაკადები დისბალანსის გამომწვევია. როგორც ფინანსური რისკების ნაწილი, ამ ტიპის რისკი წამყვან როლს ასრულებს საფრთხის ხარისხის მიხედვით.

საწარმოს გადახდისუუნარობის (ან დაუბალანსებელი ლიკვიდობის) რისკი. მიმდინარე აქტივების ლიკვიდობის დონის შემცირება იწვევს საწარმოს პოზიტიურ და უარყოფით ფულადი ნაკადების დისბალანსს. ფინანსური შედეგების თვალსაზრისით, ამ ტიპის რისკი ასევე ერთ-ერთი ყველაზე საშიშია.

საინვესტიციო რისკი - ფინანსური ზარალის შესაძლებლობა საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის პროცესში.

ინფლაციის/დეფლაციის რისკი - რისკი იმისა, რომ ინფლაციის ზრდის დროს მიღებული ფულადი სახსრები უფასურდება რეალური მსყიდველუნარი-ანობის თვალსაზრისით. ინფლაციის დროს მეწარმე განიცდის რეალურ დანაკარგებს. დეფლაციური რისკი - ეს არის რისკი იმისა, რომ დეფლაციის დროს ხდება ფასების დონის დაცემა, წარმოების ეკონომიკური პირობების გაუარესება და შემოსავლის შემცირება.

საპროცენტო რისკი. შედგება მოულოდნელი ცვლილებისგან როგორც სადეპოზიტო, ასევე სესხის საპროცენტო განაკვეთები ფინანსურ ბაზარზე. ამ ტიპის ფინანსური რისკის მიზეზი: სახელმწიფო რეგულირების გავლენით ფინანსური ბაზრის გარემოს ცვლილებები; აწევა ან დაცემა უფასო ფულადი რესურსების შეთავაზებები და სხვა ფაქტორები.

სავალუტო რისკი. ამ ტიპის რისკი თანდაყოლილია საწარმოებში, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება (იმპორტი ნედლეული, მასალები და ნახევარფაბრიკატები და მზა ექსპორტის პროდუქტები). ეს გამოიხატება გათვალისწინებულის მიუღებლობაში შემოსავალი ცვლილების პირდაპირი გავლენის შედეგად საწარმოს საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებში გამოყენებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი ამ ოპერაციებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებთან.

საკრედიტო რისკი მონაწილეობს ფინანსურ საქმიანობაში, საწარმოები მათთვის საქონლის მიწოდებისას (კომერციული) ან სამომხმარებლო კრედიტი მყიდველებისთვის. მისი გამოვლენის ფორმა არის გადაუხდელობის ან დაგვიანებული ანგარიშსწორების რისკი საწარმოს მიერ კრედიტით გამოშვებულ მზა პროდუქციაზე და ასევე აღემატება ვალების ამოღების სავარაუდო ბიუჯეტის ზომას.

საგადასახადო/საკანონმდებლო რისკი. ამ რისკს აქვს მთელი რიგი გამოვლინებები: ახალი ტიპის გადასახადებისა და მოსაკრებლების დანერგვის ალბათობა. ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული ასპექტები, შესაძლებლობა არსებული გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების დონის გაზრდა, გარკვეული გადასახადის განხორციელების პირობების შეცვლა, არსებული საგადასახადო შეღავათების გაუქმების ალბათობა;

საწარმო, სავაჭრო ან მომსახურების სფეროების რეგულირების, შესაბამისად ახალი ფინანსური ვალდებულებების ტვირთის წარმოშობა.

სტრუქტურული რისკი. ეს რისკი წარმოიქმნება საწარმოს მიმდინარე ხარჯების არაეფექტური დაგეგმვითა და მართვით, რაც განაპირობებს ფიქსირებული ხარჯების გაზრდას და შემოსავლების შემცირებას.

კრიმინოგენური რისკი - ქურდობის, ძარცვის, თაღლითობის, მითვისების, გაფლანგვის და სხვა კრიმინალური მოქმედებებით გამოწვეული რისკები. ხშირად პარტნიორების მიერ ფიქტიური გაკოტრების გამოცხადება; დოკუმენტების გაყალბება, რომელიც უზრუნველყოფს მესამე პირების მიერ ფულადი სახსრების და აქტივების მითვისებას, საკუთარი პერსონალის მიერ გარკვეული ტიპის ქურდობა და სხვა (ღუღუნიშვილი, 2020).

სხვა სახის რისკები. სხვა ფინანსური რისკების ჯგუფი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ წარმოშობის ალბათობის ან ფინანსური ზარალის დონე არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოებისთვის, როგორც ზემოთ განხილული. მათ შორისაა ბუნებრივი და გლობალური კატასტროფის რისკები, პოლიტ-ეკონომიკური და სხვა მსგავსი "ფორს-მაჟორული რისკები". რამაც შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ გათვალისწინებულის შემოსავლის დაკარგვა, არამედ საწარმოს აქტივების დაკარგვაც კი. ზოგადად ფორს-მაჟორული რისკები იშვიათობას წარმოადენს, თუმცა მათი ეფექტი ხშირად კატასტროფულია საწარმოთათვის (Юджин, 2007).

რისკების იდენტიფიცირება და შეფასება

ფინანსური რისკების მართვის სისტემის მთავარი მიზანია საწარმოს სტაბილურობის შენარჩუნება მისი განვითარების პროცესში, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ზარალი ბიზნეს ოპერაციებში. ამიტომ მან უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები: საწარმოს საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეების, სისუსტეების იდენტიფიცირება. ყველა შესაძლო საფრთხის მულტიფაქტორული შეფასება, მათი ალბათობა, მოსალოდნელი ზიანი. მიღებული საფრთხის განეიტრალების ან მინიმუმამდე დაყვანის ღონისძიებების შემუშავება. ფულადი რისკების მრავალი სახეობა არსებობს, ამიტომ აუცილებელია თითოეული მათგანის იდენტიფიცირება. მათი ეტაპობრივი მართვა არის მთელი კორპორაციული სისტემის წარმატების გასაღები (Клевец, 2020).

გაანგარიშების მეთოდები შეირჩევა უკვე შეგროვებული ინფორმაციის მოცულობის, მენეჯმენტის კვალიფიკაციის გათვალისწინებით:

ა) ეკონომიკური და სტატისტიკური - რომელიც მოითხოვს დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციას;

ბ) საკალკულაციო და ანალიტიკური - გამოთვლაზე გამოყენებულია ფინანსური აქტივობის შედარებით ზუსტი, დაგეგმილი მაჩვენებლები;

გ) ანალოგი - არასასურველი მოვლენის ალბათობის დასადგენად, გაანალიზებულია მსგავსი ოპერაციების გამოცდილება;

დ) ექსპერტი - გამოიყენება გამოთვლილი ან შედარებითი მონაცემების არარსებობის შემთხვევაში, სპეციალისტების გამოკითხვის საფუძველზე შეფასების და შედეგების მათემატიკური დამუშავებით.

სტრეს-ტესტირება. სტრეს-ტესტირება (ანუ ტესტირება სიმტკიცეზე) არის ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს რისკების მენეჯმენტი და გაზარდოს ბიზნესის დაგეგმვისა და პროგნოზირების სანდოობა. ეს არის რთული ამოცანა, რომელიც ბიზნესში არსებული ცოდნის, კომპეტენციებისა და ინფრასტრუქტურის ერთობლიობას მოითხოვს.

ტესტირების დაწყებამდე უნდა განისაზღვროს მიზნები სტრესზე ტესტირებისთვის. აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ სტრეს–ტესტირება მოიცავს როგორც რაოდენობრივ ასევე თვისობრივ ბიზნეს ანალიზს. კონცენტრაციის ზემოქმედების შესაფასებლად სტრეს-ტესტისთვის როგორც წესი, განიხილავენ მსხვილ კონტრაგენტთან დაკავშირებულ შესაძლო შოკურ დარტყმას (მაგალითად, მთავარი მომწოდებელი საქმიანობიდან გადის ან უმსხვილესი კლიენტი წყვეტს საწარმოსთან საქმიანობას).

სტრეს-ტესტირებისას გამოიყენება ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც მარტივი და ადაპტირებადია რთულ გარემოში. ამ მაჩვენებლების გამოყენება ხდება, როგორც შესრულების ხარისხის ძირითადი მაჩვენებელი (KPI) მომავალი ტესტირებისთვის (მენქიუ, 2008). სტრესზე ტესტირება მუდმივად იხვეწება ახალი ინფორმაციის და ახალი რისკების იდენტიფიკაციის საფუძველზე, როგორიცაა მაგალითად კრიზისი, რომელიც მოსალოდნელზე მეტ ხანს გრძელდება ან მომხმარებლებისა და მომწოდებლების შეფერხება (ჰაინე, 2020).

ზემოთ განხილული პრინციპებიდან გამომდინარე იქმნება ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა. წამყვანი კომპანიები ინვესტირებას ახდენენ ფინანსური რისკების მართვაში, რაც მათ საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ თავიანთი ბიზნესის სტაბილურობა და მომგებიანობა. პრაქტიკაში, ინ-

ტეგრირებულმა მიდგომამ ყველაზე კარგად დაიმკვიდრა თავი - შეფასების მეთოდებისა და მართვის ინსტრუმენტების შერჩევა, თანამედროვე მეთოდების მთელი სპექტრის გათვალისწინებით.

რისკების მართვა

რისკის მართვა გულისხმობს საწარმოს მიერ კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას გარკვეული ტიპის რისკების ალბათობის შესამცირებლად და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფინანსური ზარალის ოდენობის შესამცირებლად. ფინანსური რისკის მართვა ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს, რომელთაგან მთავარია:

ა) რისკების აღების გაცნობიერება. საწარმომ შეგნებულად უნდა მიიღოს რისკები, თუ იმედოვნებს, რომ მიიღებს შემოსავალს თავისი საქმიანობის განხორციელებიდან.

ბ) მიღებული რისკების მართვადობა. პორტფელი მოიცავს იმ რისკებს, რომელთა განეიტრალება ყველაზე ადვილია მართვის პროცესში, ამ შემთხვევაში ადვილი იქნება პირობების შექმნა სტაბილური შემოსავლის უზრუნველსაყოფად მინიმალური რისკით.

გ) ინდივიდუალური რისკის მართვის დამოუკიდებლობა. ფინანსური ზარალი სხვადასხვა ტიპის რისკებთან დაკავშირებით ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და მათი მართვის პროცესში ინდივიდუალურად უნდა განეიტრალდეს.

დ) დროის ფაქტორის აღრიცხვა რისკის მართვაში. კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს რისკების მართვაში დროის ხარისხი, რადგან რაც უფრო ნაკლები დრო დაიხარჯება ოპერაციის განხორციელებაზე, მით უფრო მცირე იქნება მასში მოყვანილი ფინანსური რისკები.

ე) საწარმოს სტრატეგიის გათვალისწინება რისკების მართვისას. ფინანსური რისკების მართვის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ზოგად კრიტერიუმებსა და მიდგომებს, რომლებსაც თავად საწარმო ავითარებს.

რისკების პრევენცია. რისკების პრევენცია გულისხმობს მათი კონცენტრაციის ან წარმოქმნის ალბათობის შემცირებას პრევენციული ღონისძიებების ნაკრების შემუშავების გზით. ის შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მეთოდებს: აცილება – ქმედებები, რომლებიც მიმართულია კონკრეტული საფრთხის შესაძლებლობის აღმოფხვრაზე. ასეთი ღონისძიებები მოიცავს აშკარად საეჭვო ტრანზაქციების უარყოფას, ნასესხები სახსრების პროცენტის შემცირებას, მიმდინარე აქტივების წილის ზრდას, ჰეჯირების და სვოპების დადებას. დივერსიფიკაცია - გულისხმობს ინვესტიციების განაწილებას სხვადასხვა აქტივებს შორის, კომპანიებს შორის სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში, წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების ასორტიმენტის ზრდას. მეთოდი გამოიყენება მრეწველობის, ინვესტიციების და თუნდაც სახელმწიფო რისკების წინააღმდეგ ბრძოლაში. მინიმიზაცია - ეხება საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია. მეთოდი გულისხმობს არასასურველი სიტუაციების ვარიანტების მაქსიმალურ შემცირებას. ლიმიტირება - შიდა სტანდარტების დაწესება, რომელიც ზღუდავს სესხების წილს, ლიკვიდური აქტივების მინიმალურ რაოდენობას, საკრედიტო ლიმიტს, დეპოზიტების მაქსიმალურ რაოდენობას, ინვესტიციებს ერთი ემიტენტის ფასიან ქაღალდებში და სხვა. დაზღვევა - უმართავ რისკებთან გამკლავება თუ საფრთხის თავიდან აცილების ან მისი ალბათობის შემცირების გზა არ არსებობს, დაზღვევა არის ზომა შესაძლო ზარალის გასანეიტრალებლად. ეს არის მექანიზმები, რომლებიც შესაძლებელს ხდის შესაძლო ზარალის დაფარვას ამისთვის გათვალისწინებული შიდა რეზერვების ან სადაზღვევო კომპანიების გადახდების ხარჯზე. ამავდროულად მნიშვნელოვანია სადაზღვევო პრემიების და გამოქვითვის ოდენობის შეთანხმება, აგრეთვე ზარალის განეიტრალების ასეთი მეთოდის მიზანშეწონილობის დადგენა თანაფარდობის მიხედვით (ბასილია & ლიპარტია, 2018).

ფინანსური რისკების მონიტორინგი და კონტროლი. ფინანსური რისკების კონტროლის პროცესში, მათი მონიტორინგისა და ანალიზის შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებულია ადრე მიღებული მენეჯმენტის გადაწყვეტილებების კორექტირება, რაც მიზნად ისახავს საწარმოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭირო დონის მიღწევას.

ზოგჯერ ფინანსურმა რისკმა შეიძლება გამოიწვიოს მაღალი შემოსავალი, სხვა დროს კი შეიძლება გაანადგუროს ბიზნესი. მნიშვნელოვანია საწარმოს მენეჯმენტს ესმოდეს ფინანსებთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები და შეძლოს მათი სწორადმართვა. რისკები უნდა გაიზომოს და შეფასდეს იმისათვის, რომ მათ არ გადააჭარბონ ბიზნესის საერთო შესაძლებლობებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება გრძელვადიან ვალდებულებებს და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობას. რა რისკია მისაღები და რა არა ბიზნესის წარმოების სხვადასხვა მახასიათებელთანაა დაკავშირებული. ბიზნესის წარმოების სხვადასხვა ასპექტის

ხარისხის მაჩვენებელი, წინასწარ განსაზღვრული პარამეტრები და წახალისების სისტემები ჯანსაღი რისკის აღების წინაპირობებია (ჰორნინ & ვაჰოვიჩი, 2008).

ყველაზე გავრცელებული და განსხვავებული ფინანსური რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და საოპერაციო რისკი.

ფინანსური რისკების მართვის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები მხოლოდ საწარმოს ფუნქციონირების რისკები არაა. ის დაკავშირებულია სხვა, გლობალურ რისკებთან, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების შემცირება, უმუშევრობა, ინფლაცია და სხვა, რასაც ხშირად მასშტაბურ პოლიტ-ეკონომიკურ კრიზისებამდე მივყავართ. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კორპორაციული მართვის ორგანოებმა შესაბამის კომიტეტებთან ერთად სათანადოდ შეაფასონ კომპანიის წინაშე არსებული გამოწვევები და შეიმუშაონ რისკების პრევენციის გზები.

რისკ-მენეჯმენტის გამართული სისტემა აუცილებელია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, იქნება ეს დიდი კორპორაცია თუ პატარა კომპანია. სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია გადადგას შესაბამისი ნაბიჯები და მიიღოს ზომები რისკების პრევენციისთვის, რისთვისაც მას ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს კონტროლის შიდა სისტემა. სამეთვალყურეო საბჭომ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გადახედოს და შეაფასოს კომპანიის რისკ-მენეჯმენტისა და კონტროლის შიდა სისტემის ეფექტიანობა და წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში აქციონერებს. აქციონერებისადმი ანგარიში უნდა მოიცავდეს მატერიალური კონტროლის ყველა ელემენტს, მათ შორის ფინანსური, საოპერაციო და შესაბამისობის კონტროლის შედეგებს. OECD-ის პრინციპების მიხედვით, „საბჭოს აქვს პასუხისმგებლობა კომპანიას ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა რისკებთან დაკავშირებით, მათი ხარისხის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების დასახვისთვის კომპანიის სტრატეგიიდან გამომდინარე.“ საბჭო უნდა დარწმუნდეს, რომ კომპანიაში არსებობს ანგარიშგებისა და მონიტორინგის გამართული სისტემა. პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული მენეჯმენტის გუნდიც, რომელმაც სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად უნდა განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი. საბჭომ ასევე შეიძლება დააარსოს სპეციალიზებული კომიტეტი, რომელიც დაეხმარება მას რისკ-მენეჯმენტის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებაში. მსოფლიოს 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი იყო ის, რომ აუცილებელია რისკებისათვის ჯეროვანი ყურადღების მიქცევა. ამასთანავე, სხვადასხვა სახის კვლევამ აჩვენა, რომ არამხოლოდ პატარა კომპანიები, რისკებს ჯეროვან ყურადღებას არც ბირჟის ლისტინგში მყოფი კორპორაციები უთმობდნენ. მაგალითად, McKinsey-ის 2011 წლის კვლევის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოების დროის მხოლოდ 14% ეთმობოდა რისკ-მენეჯმენტს, OECD-ის ქვეყნების უმეტესობაში რისკ-მენეჯმენტის წესები განისაზღვრება კორპორაციული მმართველობის კოდექსებით. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის, დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა კოდექსი და საფრანგეთის AFEP-MEDEF კოდექსი. ამასთანავე, პერიოდულად აქვეყნებენ რეკომენდაციებს საერთაშორისო ორგანიზაციები. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. მაგალითად, ზოგან რისკ-მენეჯმენტის წესები მოცემულია ლისტინგში მყოფი კომპანიების მარეგულირებელ ნორმებში (ინდოეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ), კომპანიებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნორმებში (ავსტრია, გერმანია, თურქეთი, იაპონია) და ასევე ბირჟის მარეგულირებელ წესებში (მექსიკა). OECD-ის იურისდიქციაში გამონაკლისია სინგაპური, სადაც არსებობს სპეციალური, სინგაპურის კორპორაციული მართვის საბჭოს მიერ გამოცემული „რისკის მართვის სახელმძღვანელო ლისტინგში მყოფი კომპანიებისათვის“.

როგორც წესი, რისკ-მენეჯმენტი სამეთვალყურეო საბჭოში დელეგირებულია აუდიტის კომიტეტზე. მაგალითად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის წესების მიხედვით განსაზღვრულია, რომ „მაშინ როცა აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი მენეჯმენტის მოვალეობაა მართონ რისკები, აუდიტის კომიტეტის მოვალეობაა შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები და პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც იმუშავებს მენეჯმენტის გუნდი“. აუდიტის კომიტეტმა ასევე უნდა განიხილოს კომპანიის ფინანსური რისკები და გაუწიოს ზედამხედველობა მათი პრევენციის გზებს. არ არის აუცილებელი აუდიტის კომიტეტი მარტო გაუმკლავდეს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ მისი მოვალეობაა ზოგადი პრინციპების შემუშავება.

რისკის გაწევა არის ბიზნესის მამოძრავებელი ძალა, წარუმატებელი რისკ-მენეჯმენტის უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის შედეგიანობაზე

ხშირად ბოლომდე ვერ ფასდება. მათ შორის ის ფინანსური და დროითი რესურსები, რომელიც სჭირდება მენეჯმენტს სიტუაციაში გასარკვევად და შესაბამისი ნაბიჯების გადასადგმელად. რისკების ერთად თავმოყრა და ერთიანობაში განხილვა, როგორც წესი, წარუმატებელი შედეგით სრულდება. ასეთი პრაქტიკა იყო ფინანსურ ინსტიტუტებში კრიზისის წინ და შედეგიც ვნახეთ. ამიტომ სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია იმაზე, რომ იდენტიფიცირებული იყოს რისკები და თითოეულ მათგანის პრევენციისათვის შემუშავდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა და თუ ეს საჭიროა, სამუშაო პროცესში ჩაერთოს სათანადო ფუნქციების მქონე კომიტეტი.

საქართველო OECD -ის წევრი ქვეყანა არაა. ქვეყანაში კორპორაციული რისკების რეგულირება მხოლოდ საფინანსო ინსტიტუტების არეალზე ხდება. ფინანსური რისკების მართვის წესები და რეგულაციების შემუშავებულია საფინანსო ინსტიტუტებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუმცა ანალოგიური მექანიზმები ბიზნეს-სექტორისთვის არ არსებობს. პრაქტიკაში მხოლოდ ერთეული მსხვილი საწარმოები და საერთაშორისო კორპორაციები იყენებენ რისკ-მენეჯმენტს. მართალია თანდათანობით აუდიტორული კომპანიები ცდილობენ დანერგონ რისკ-მენეჯმენტის სერვისები, თუმცა მათზე მოთხოვნა მეტად სუსტია. ბიზნეს-სექტორის ფინანსური რისკის დაზღვევის მექანიზმების სახელმწიფო დონეზე არ არსებობს. ბოლო წლების განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები მიმართულია ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებისა და მოქნილობისკენ, თუმცა არსებული საკანონმდებლო ბაზა მხოლოდ დამდგარი შედეგების რეგულირებას ან სანქცირებას ემსახურება. შედარებისთვის მოვიყვანთ შრომის უსაფრთხოების შესახებ რეგულაციას, რომელმაც მეტ-ნაკლებად დაარეგულირა დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვის ინტერესი საკანონმდებლო დონეზე და კომპანიებს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვის პარალელურად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დაქირავების ვალდებულება დააკისრა, როგორც ცნობილია ეს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მაღალი რისკის შემცველ სამუშაოებზე ყოველწლიურად დაღუპული პერსონალის მზარდი რიცხოვნობით (მეშახტეებსა და სამშენებლო სექტორში.

ფინანსური რისკების მენეჯერების არსებობა მნიშვნელოვნად გადააზღვევდა კომპანიების ფინანსურ რისკებს.

საკანონმდებლო დონეზე დამდგარ ფინანსური რისკების შედეგებს პასუხობს საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ," რომელიც რეაბილიტაციის გზით საწარმოს გადარჩენისკენაა მიმართული კრედიტორთა საუკეთესო ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ამ ახალი კანონით პრაქტიკაში ინერგება ამერიკული და გერმანული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება, სადაც საწარმოსა და კრედიტორებს შორის გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი აწონასწორებს საწარმოს გადარჩენისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების ინტერესებს სამართლებრივად და ხელს უწყობს გადახდისუუნარო ბიზნესს თავი დააღწიოს გაკოტრებას რეაბილიტაციის გზით.

დასკვნა: ფინანსური რისკების შეფასებისა და მართვის ეს მცირე ნაშრომი მცდელობაა დაანახოს ბიზნეს-სექტორს ფინანსური რისკების მართვის აუცილებლობა, მისცეს ბიძგი რომ საწარმოებმა შექმნან რისკების მართვის პოლიტიკა და მინიმუმ თვითრეგულირებადი გახადონ საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით. აღნიშნული მოდელების საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს ციფრული მოდულების შექმნა, რომელიც გაამარტივებს რისკების მართვის პროცესს, რაც მისცემს საწარმოთა მენეჯმენტს მეტი დრო დაუთმონ განვითარებას. ნაშრომმა შესაძლოა მისცეს ბიძგი დაინტერესებულ საზოგადოებას სპეციალისტების დამხმარებით შეიმუშაონ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები, რომელიც დაიცავს ქვეყნის მაცოცხლებელ ბიზნეს-სექტორს ფინანსური რისკებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯეიმს ს. ვან ჰორნინ, ჯონ მ. ვაჰოვიჩი, „ფინანური მენეჯმენტის საფუძვლები", თბ. 2008
2. გრეგორი მექიუ, „ეკონომიკის პრინციპები", თბ. 2008
3. ენტონი ატკინსონი, რობერტ კაპლანი, ელა მეა მათსუმურა, დ. მარკ იანგი, „მმართველობითი აღრიცხვა", თბ. 2009

4. პოლ ჰაინე, „ეკონომიკური აზროვნება“, ტომი მე-2, თბ., 2012

5. თენგიზ ვერულავა. რისკი და ზარალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2013

6. ბერიკაშვილი ლ., „ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის პირობებში“ - დისერტაცია, 2019

7. ბასილია კ., ლიპარტია ზ. „ ფინანსური კონტროლი“, სახელმძღვანელო. -თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ , 2012

8. თამარ ღუღუნიშვილი, „ბიზნეს-რისკების აქტუალური საკითხები საქართველოში (თაღლითობის ბიზნეს-რისკის მაგალითზე), სამაგისტრო ნაშრომი, თბ, 2020

9. Энциклопедия финансового риск-менеджмента / под ред. А.А. Лобанова и А. В. Чугунова. – 2-е изд., перераб. и доп. – М.: Альпина, Бизнес Букс, 2006.

10. Бригхэм Юджин Ф. Финансовый менеджмент / Бригхэм Юджин Ф., Майкл С. Эрхардт. – СПб. : Питер, 2007. – 960 с.

11. Клевец А. Управление финансовыми рисками: от выявления до укрощения. 2020. https://finacademy.net/materials/article/upravlenie-finansovymi-riskami

12. Lukianenko A.V., Kuzmicheva I.A. Corporate financial risk management // Applied and Fundamental Research International Journal. - 2015. - No8-1.

13. ღლონტი გ. კორპორაციული მართვა და რისკ-მენეჯმენტი. https://bm.ge/ka/article/korporaciuli-martva-da-risk-menejmenti/14392

Aspects of financial risk management in corporations

Lela Kalandia, PhD student
Georgian Technical University

Summary

In today's unpredictable environment, financial risk management is characterized by high dynamics. The goal of any business organization is to get maximum revenue with minimum capital expenditure. Activities that are carried out in different fields and related to different business operations are subject to certain types of risks and related losses. Financial risks are associated with such losses. Financial risks and their management methods become more relevant in the conditions of modern globalization when the international movement of production factors, goods and services, and financial assets between countries increases. The National Bank is the body promoting the stability of the financial sector in Georgia.

In modern financial conditions, it is impossible to avoid loss. The activities of business organizations are constantly connected with financial risks. In conditions of instability, the risks increase more and more, especially during crises, therefore one of the main current problems is to anticipate the risks expected in crisis situations and to quickly and qualitatively develop their management methods in order to reduce or avoid possible losses and damages.

According to the definition of the Georgian language in the dictionary, the word "risk" is defined as "acting on a whim, putting yourself in a dangerous situation." This is the potential possibility of loss. A risk is an event with negative consequences or the possibility of this event, it is related to a specific object and causes the deterioration of the existing situation.

The concept of risk arises when there is a possibility of a deviation between planned and actual results, which is related to the future and usually worsens the condition of a person, organization, or society. There is no single, unambiguous definition of risk: economists, financiers, risk managers, and statisticians have their own concepts and definitions of risk.

Keywords: risk, chance, financial risks, globalization, organization, natural disaster, danger.

ავტომატური საინფორმაციო სისტემის შესაძლებლობები სამედიცინო დაწესებულებებში

ნინო კარგაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია ინფორმაცია ავტომატური საინფორმაციო სისტემის, ტესტირების შედეგების შესახებ. შეფასდა ადამიანური ფაქტორის გავლენა შესაძლო დეფექტებზე გარდაცვალების სამედიცინო მოწმობის შევსების პროცესში გარდაცვალების აღრიცხვის სახელმძღვანელო და ავტომატური მეთოდებით. დადგენილია, რომ სიკვდილის შემთხვევის დარეგისტრირების პროცესის ავტომატიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს შეცდომების რაოდენობას მკაცრი მოხსენების ფორმებში - სამედიცინო სიკვდილის მოწმობებში (MCC). აპრობაციის შედეგი იყო დასკვნა, რომ აუცილებელია MCA-ების გაცემის პროცესების ავტომატიზაცია, რათა გაიზარდოს მოსახლეობის სიკვდილიანობის შესახებ ინფორმაციის სანდოობა, მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ამავდროულად, AIS-ის გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს MSS-დან მონაცემების შენახვისა და ანალიზის ამოცანებს.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ MCC ველები პირობითად იყოფა სამ ბლოკად:

19-I და 19-II პუნქტების ველები „სიკვდილის მიზეზი“;

გარდაცვლილის პერსონალური მონაცემების შემცველი ნივთების ველები, პასუხის ვარიანტის არჩევის შესაძლებლობით (პუნქტები 1-17, 20, 21);

ერთეულების ველები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას MSS-ისთვის სამედიცინო გარდაცვალების მოწმობის შევსებაში და გაცემაში მონაწილე ექიმების შესახებ (პუნქტები 18, 22, 23).

და ეს ბლოკები განხილულია ცალ-ცალკე და დეტალურადაა აღწერილია მათი თავისებურებები.

საბოლოოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ გარდაცვალების აღრიცხვის არსებული ტექნოლოგიების მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც შესაძლებელს გახდის აღმოფხვრას მკაცრ საანგარიშო დოკუმენტებში შეცდომები რეგიონებში სიკვდილიანობის მაჩვენებლების შესახებ, შეამციროს დრო და ფინანსური ხარჯები შევსების სისწორის შესამოწმებლად. ქაღალდზე წარდგენილი დოკუმენტები. AIS "RSS"-ის შექმნა და გამოყენება ხსნის ხარისხობრივად ახალ შესაძლებლობებს დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ მონაცემების ობიექტური ანალიზისთვის სანდო სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: ავტომატური საინფორმაციო სისტემა, სიკვდილის რეგისტრაცია, სამედიცინო სიკვდილის მოწმობა, დემოგრაფია.

შესავალი

სამედიცინო სიკვდილის მოწმობები (MCC) ფორმებზე ჩვეულებრივ ივსება ხელით. MSS-ის ფორმირების ეს მეთოდი დაკავშირებულია მცდარი მონაცემების შემოტანის შესაძლებლობასთან. MSS-ის შემოწმების პროცესში ხდება გარდაცვალების მიზეზების კოდირების შეცდომების იდენტიფიცირება და გასწორება, გამოტოვებული სვეტების აღნიშვნა და შევსება, ცვლილებების შეტანა და ა.შ. შემოწმების შედეგების საფუძველზე დგება აქტი MSS-ის შევსებისას გამოვლენილ შეცდომებზე. ბოლო წლებში MSS კოდირების შეცდომის მაჩვენებელი საშუალოდ 20%-ს შეადგენდა, რაც, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ რეგიონში სიკვდილიანობის სტატისტიკური მაჩვენებლები სწორად მივიჩნიოთ.

ძირითადი ნაწილი

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო სამედიცინო სიკვდილის მოწმობების შევსების ხარისხის გაუმჯობესება, ავტომატური საინფორმაციო სისტემის გამოყენებით, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს ადამიანის ფაქტორით გამოწვეული შეცდომის დაშვების შესაძლებლობას. ასევე, MCC-ის რეგისტრატორის მიერ AIS "RSS"-ის გამოყენების ეფექტურობის ხარისხის დადგენა დოკუმენტების შევსების ტრადიციულ (მექანიკურ) მეთოდთან შედარებით. გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდოლოგია: მაუწყებლის რეგისტრატორი პირველადი დოკუმენტაციის მონაცემების საფუძველზე (სამედიცინო ისტორია, ამონაწერი სიკვდილის შემდგომი ექსპერტიზის ოქმიდან (ბარათიდან) და ა. შ. ხელით ავსებდა გარდაცვალების მოწმობას. ამავდროულად, იგივე პირველადი დოკუმენტაციიდან მონაცემების შეტანა AIS RSS-ში ასევე განხორციელდა MIAC-ის რეგისტრატორის მიერ. სამუშაოების შედეგად, როგორც ხელით, ასევე AIS „RSS“-ის დახმარებით 144 სამედიცინო გარდაცვალების მოწმობა შეივსო.

MCC ველები პირობითად იყოფა სამ ბლოკად:

- 19-I და 19-II პუნქტების ველები „სიკვდილის მიზეზი“;
- გარდაცვლილის პერსონალური მონაცემების შემცველი ნივთების ველები, პასუხის ვარიანტის არჩევის შესაძლებლობით (პუნქტები 1-17, 20, 21);
- ერთეულების ველები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას MSS-ისთვის სამედიცინო გარდაცვალების მოწმობის შევსებაში და გაცემაში მონაწილე ექიმების შესახებ (პუნქტები 18, 22, 23).

ბლოკში „სიკვდილის მიზეზი“ გათვალისწინებული იყო ველების შევსების 5 ძირითადი შესაძლო ხარვეზი: გარდაცვალების ძირითადი მიზეზის კოდის შევსების უმოქმედობა; სიკვდილის გამომწვევი მიზეზის არასწორი კოდის შეყვანა; MCC-ის შევსება სიკვდილის მთავარი მიზეზის კოდის მეოთხე სიმბოლოს მითითების გარეშე; MSS-ის შევსება მეოთხე სიმბოლოს შემოღებით, თუ ამის საჭიროება არ არის; სიკვდილის მთავარი მიზეზის კოდში არასწორი მეოთხე სიმბოლოს შეყვანა. MSA-ს შევსებისას ეს ხარვეზები სანკტ-პეტერბურგის MIAC-ის სპეციალისტების მიერ განიხილება დოკუმენტის შესრულების ხარისხის ძირითად კრიტერიუმად და მათ მუშაობაში გამოიყენება 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან. შეცდომების მითითებისას მხედველობაში არ იქნა მიღებული შემდეგი ცარიელი ველები:

ა) დაავადება ან პათოლოგიური მდგომარეობა, რომელმაც უშუალოდ სიკვდილი გამოიწვია;

ბ) პათოლოგიური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია მდგომარეობა ან დაავადება, რამაც გამოიწვია სიკვდილი;

გ) გარეგანი მიზეზი დაზიანებებისა და მოწამვლისას.

ჯანდაცვის დაწესებულებების თანამშრომლები, რომლებშიც გაიცემა გარდაცვალების სამედიცინო მოწმობა, არ ახორციელებენ სიკვდილის მიზეზების მრავალჯერად კოდირებას. როგორც წესი, სიკვდილის მთავარი მიზეზი კოდირებულია. ზოგიერთ შემთხვევაში, პათოლოგიური მდგომარეობა, რომელმაც უშუალოდ სიკვდილამდე მიგვიყვანა, დამატებით არის კოდირებული. ზოგადად, MCC დეფექტების შესწავლისას, აღმოჩნდება, რომ მათი შევსებისას შეცდომების გაანგარიშება ხორციელდება ექსკლუზიურად სიკვდილის მთავარი მიზეზის კოდირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოწმება აჩვენებდა შეცდომებს „სიკვდილის მიზეზების“ პუნქტში დარჩენილი ქვეპუნქტის შევსებისას ხელით ჩანაწერით შემთხვევების 100%-ში. საერთო ჯამში, MSS-ის ხელით შემოწმებისას, ველების პირველი ბლოკის დოკუმენტების შევსებისას გამოვლინდა 25 შეცდომა.

ძირითადი დაავადების კოდის არარსებობა იშვიათი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომაა და მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ხელით შესვლის პროცესში. ეს ნიშნავს, რომ პუნქტი „სიკვდილის მიზეზი“ საერთოდ არ იყო შევსებული და, შესაბამისად, დამახინჯებას გამოიწვევს სიკვდილის მიზეზების საერთო სტატისტიკურ ანალიზში. ხელით შემოწმებისას დაშვებული შეცდომების საერთო რაოდენობიდან ამ კრიტერიუმის მიხედვით შეცდომა 4%-ს შეადგენდა. გარდაცვალების ძირითადი მიზეზის არასწორი კოდი გამოვლინდა 5 შემთხვევაში და შეადგინა საერთო შეცდომების 20%. ეს ჩვეულებრივი შეცდომა ნიშნავს, რომ მითითებული კოდი რევიზიის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით არ შეესაბამება დიაგნოზის ტექსტის ხაზს. სიკვდილის მთავარი მიზეზის კოდის მეოთხე სიმბოლო 6 შემთხვევაში არ იყო მითითებული, რაც შეცდომის საერთო რაოდენობის 24%-ს შეადგენდა. სიკვდილის მთავარი მიზეზის კოდის მეოთხე სიმბოლოს არსებობა, საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, დაფიქსირდა 2 შემთხვევაში, შეცდომების საერთო რაოდენობის 8%. სიკვდილის მთავარი მიზეზის კოდის არასწორი მეოთხე სიმბოლო აღმოჩნდა 11 სამედიცინო სიკვდილის მოწმობაში, (44%) სულ 151.

ა) ძირითადი კვლევა №3, ბ) ტექნიკური მეცნიერებები

გ) შეცდომების რაოდენობა. MSS-ის პირველი ბლოკის შევსებისას აღმოჩენილი შეცდომები ხელს უწყობს მონაცემების დამახინჯებას მოსახლეობის სიკვდილის მიზეზების ანალიზისას. ეს შეცდომები ეფუძნება საცნობარო წიგნის არასწორ გამოყენებას და თითქმის მთლიანად აღმოიფხვრება AIS "RSS"-ის გამოყენებისას. 144 სამედიცინო სიკვდილის სერთიფიკატში „სიკვდილის მიზეზის“ ბლოკის შევსების შემოწმებისას AIS „RSS“-ში მონაცემების შეყვანისას აღმოჩნდა 2 შეცდომა.

შეცდომები AIS-ის გამოყენებით MSS-ის შევსებისას დაფიქსირდა კრიტერიუმით „სიკვდილის მთავარი მიზეზის არასწორი მეოთხე სიმბოლო“ და გამოწვეული იყო სამედიცინო ისტორიიდან სიკვდილის მთავარი მიზეზის შესახებ ინფორმაციის რეგისტრატორის ალტერნატიული ხედვით. ცხადია, ასეთი შეცდომები ადამიანის ფაქტორმა განაპირობა. ასევე აშკარაა, რომ AIS "RSS"-ის გამოყენებისას შეცდომები MSS-ში მონაცემების შეყვანისას პირველი ბლოკის კრიტერიუმების მიხედვით (არ არის სიკვდილის მთავარი მიზეზის

კოდი, სიკვდილის მთავარი მიზეზის არასწორი კოდი, მეოთხე სიმბოლო არ არის მითითებულია, მეოთხე სიმბოლოს არსებობა, როცა ეს არ არის საჭირო) ტექნიკურად გამორიცხულია. ამრიგად, MCA-ს შევსებისას ადამიანური ფაქტორის გამო შეცდომები შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორი არასწორად შეიყვანს სიკვდილის მთავარ მიზეზს პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. MSS-ში „სიკვდილის მიზეზის“ ბლოკის შევსების შეცდომების შესახებ მონაცემთა ანალიზი ხელით და მონაცემთა შეყვანის მეთოდით AIS „RSS“-ის გამოყენებით საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ შეცდომების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება AIS-ის გამოყენებისას. AIS "RSS"-ის გამოყენებისას შეცდომების რაოდენობა "სიკვდილის მიზეზი" ბლოკში შემცირდა 12,5-ჯერ, მონაცემთა ხელით შეყვანასთან შედარებით. მეორე MSS ბლოკი მოიცავს გარდაცვლილის პირად მონაცემებთან დაკავშირებულ პუნქტებს და რამდენიმე პასუხის მქონე ნივთებს. MCC-ის მეორე ბლოკში ინფორმაციის შეტანის ხარვეზები განიხილებოდა არა მხოლოდ არასწორად შეყვანილ ინფორმაციას, არამედ შეუვსებელ პუნქტებსაც. ინფორმაციის ობიექტური ნაკლებობის შემთხვევაშიც კი (მაგალითად, მონაცემების ნაკლებობა განათლებაზე, ნათესავებს, ნათესავებს და ა.შ.), AIS-ის გამოყენებით შესვლისას შეგიძლიათ აირჩიოთ პასუხის ვარიანტი „უცნობი“. გამონაკლისს წარმოადგენს კონკრეტული საცხოვრებელი ადგილის და პროფესიის არმქონე პირების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის შემთხვევები (მომტკიცების დროს დამუშავებულ მოწმობებს შორის ასეთი შემთხვევები არ ყოფილა). MSS ველების მეორე ბლოკში შეცდომის შედეგია გარდაცვლილთა ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის, მათი განათლებისა და ეკონომიკაში დასაქმების შემდგომი სტატისტიკური გამოთვლების დამახინჯება ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ზოგადად, MSS-ში მონაცემების ხელით შეყვანისას აღმოჩნდა 92 შეცდომა. შეცდომების უმეტესობა გამოწვეულია დაკარგული ნივთებით. AIS "RSS"-ში მონაცემების შეყვანისას არ დაფიქსირებულია შეცდომები საცნობარო წიგნების გამოყენებასთან პასუხის ვარიანტებთან. შეცდომები მხოლოდ გარდაცვლილის სახელის შეყვანისას იყო დაცული. ტექნიკურად შეუძლებელია ამ ნივთის შევსების კონტროლი. MCC პუნქტების მეორე ბლოკში, AIS "RSS"-ის გამოყენებით ხელით შეყვანისა და შესვლისას შეცდომების რაოდენობა იყო, შესაბამისად, 92 და 5. ზოგადად, AIS "RSS"-ის გამოყენებისას დოკუმენტის შევსებისას შეცდომების რაოდენობა 18,4-ჯერ შემცირდა. MCC ველების მესამე ბლოკი (ცხრილი 4) მოიცავს ველებს, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო სიკვდილის მოწმობის გაცემაში მონაწილე ექიმების მონაცემებს. MSS-ში მონაცემების ხელით შეყვანის ყველა შემთხვევაში, ამ ველებში შეცდომები გამოწვეული იყო მათი გამოტოვებით. ასეთი შეცდომების რაოდენობა იყო 72. ისინი მითითებული იყო პუნქტის „სამედიცინო გარდაცვალების მოწმობის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დასახელება“ შევსებისას. ეს შეცდომა საკმაოდ ხშირად გვხვდება ყველა ჯანდაცვის დაწესებულებაში, სადაც სამედიცინო გარდაცვალების მოწმობა გაიცემა.

ვინაიდან ყველა ექიმის პერსონალური მონაცემები, რომლებიც მონაწილეობენ სამედიცინო გარდაცვალების მოწმობის გაცემაში, შედის იმ დაწესებულებების ანგარიშებში, რომლებშიც სისტემა დაინსტალირებულია AIS RCC-ში, ასეთი შეცდომები სრულიად გამორიცხულია. AIS „RSS“-ის ტესტირების შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავება სამედიცინო სიკვდილის მოწმობების შევსების სხვადასხვა მეთოდებში დაშვებული შეცდომების რაოდენობაში. მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, რომ AIS "RSS"-ის გამოყენებამ შეიძლება შეამციროს შეცდომების რაოდენობა MSS-ის შევსებისას 27-ჯერ. MSA-ს შევსებისას შეცდომების მიზეზების ანალიზი ასევე საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადამიანური ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ საქმიანობის შედეგებზე. შეცდომების შესახებ მონაცემების დახარისხებამ MCC ბლოკების მიხედვით შესაძლებელი გახადა დოკუმენტის ყველაზე დაუცველი ადგილების იდენტიფიცირება მისი შევსების ხარვეზების თვალსაზრისით. დადგინდა, რომ შსს-ს გაცემაზე პასუხისმგებელი მომხმარებელთა რეგისტრატორისა და თავად დაწესებულების, შსს-ს AIS "RCC"-ში რეგისტრაციის პროცესის მონაწილის გათვალისწინების აუცილებლობა იძლევა რწმუნებათა სიგელების შეცდომების თავიდან აცილებას. ექიმების შსს-ში. შევსებული დირექტორიების გამოყენება AIS "RSS"-ში მნიშვნელოვნად ამცირებს შეცდომების შესაძლებლობას მეორე ბლოკის ველებში, გარდა ამ ველების იგნორირების შესაძლებლობისა.

ვინაიდან ბევრი MSS ელემენტი უგულებელყოფილია რეგისტრატორების მიერ ან არასწორად შევსებული, აშკარაა, რომ MSS-ის შევსების მიდგომის ფორმალიზება AIS "RSS"-ის გამოყენებით ქმნის პირობებს ადამიანის ფაქტორის ზემოქმედების შესამცირებლად სიკვდილიანობის დოკუმენტაციის ხარისხზე. ჯანდაცვის დაწესებულებები.

დასკვნა

გარდაცვალების აღრიცხვის არსებული ტექნოლოგიების მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც შესაძლებელს გახდის აღმოფხვრას მკაცრ საანგარიშო დოკუმენტებში შეცდომები რეგიონებში სიკვდილიანობის მაჩვენებლების შესახებ, შეამციროს დრო და ფინანსური ხარჯები შევსების სისწორის შესამოწმებლად. ქაღალდზე წარდგენილი დოკუმენტები. AIS "RSS"-ის შექმნა და გამოყენება ხსნის ხარისხობრივად ახალ შესაძლებლობებს დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ მონაცემების ობიექტური ანალიზისთვის სანდო სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kolba A.N., Bertash S.A., Rahmanova Z.B., Jurov V.A. About some necessary conditions of creation of system of demographic monitoring. Materials of 6th annual Russian nauch. praktich. conf. «MedSotsEkonomInform». Moscow, 1999, pp. 216-223
2. Skvortsova V.I. The letter of the deputy minister of public health services and social development of the Russian Federation from 19.01.2009 №14-6/10/2-178 «About an order of delivery and fi lling of health certifi cates on a birth and death», Public health services, 2009, no 7, p. 127.
3. Pogorelova E.I.management on coding of causes of death. Moscow, CNIIOIS, 2008. p. 72.
4. Pogorelova E.I. About errors at fi lling of the health certifi cate on death. Problems of social public health services and medicine history, 2007, no1, pp. 43-47.
5. The international statistical classifi cation of illnesses and the problems connected with health; 10th revision: In 3 V., World Health Organization, Geneva, 1995-1998, v. 1-3.

Opportunities of automatic information system in medical institutions

Nino Kargadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

The article presents information about automatic information system, testing results. The influence of the human factor on possible defects in the process of filling out the medical certificate of death by manual and automatic methods of death registration was evaluated. Automating the death registration process has been found to significantly reduce the number of errors in strict reporting forms - Medical Death Certificates (MCC). The outcome of the trial was the conclusion that it is necessary to automate the processes of issuing MCAs in order to increase the reliability of population mortality information, based on evidence. At the same time, the use of AIS will significantly facilitate the tasks of data storage and analysis from MSS.

The article focuses on the fact that MCC fields are conditionally divided into three blocks:

1. Fields "cause of death" in paragraphs 19-I and 19-II;

2. fields of items containing personal data of the deceased, with the possibility of choosing an answer option (items 1-17, 20, 21);

3. Entities fields that contain information about doctors involved in filling out and issuing a medical death certificate for MSS (items 18, 22, 23).

And these blocks are discussed separately and their features are described in detail.

Finally, it can be said that the existing technologies of death registration should be modernized by using new computer technologies, which will make it possible to eliminate errors in strict reporting documents on mortality rates in regions, reduce time and financial costs for checking the correctness of filling. Documents submitted on paper. The creation and use of AIS "RSS" opens qualitatively new opportunities for objective analysis of data on the demographic situation based on reliable statistical information.

Key words: automatic information system, death registration, medical death certificate, demography.

საჯარო ინფორმაციის მიღების კანონიერი შეზღუდვა

ანა მელქაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. როგორც ცნობილია, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს და მის დანიშნულებას საზოგადოების თითოეული წევრის ნების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების განხორციელება წარმოადგენს. თანამედროვე სახელმწიფოს ვალდებულებაა განათლებული და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბება, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის თავისუფლად მიღება და გავრცელების შესაძლებლობა.

ამავე დროს, დემოკრატიულ სახელმწიფოში ინფორმაციის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ვალდებულებას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საჯარო პოლიტიკის განხორციელების ღიაობას.

როგორც ცნობილია, ინფორმაციის მიღების უფლება საერთაშორისო საზოგადოების მიერ ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად იქნა აღიარებული, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელი და მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, თითოეული ადამიანის პიროვნული თუ პროფესიული განვითარებისა და ზოგადად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის.

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სიტყვის გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს საჯარო ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლებაც, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ინფორმაციის, კერძოდ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ მსურველთათვის.

სტატიაში საკმაოდ დეტალურადაა განხილული ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, განმარტებულია საჯარო ინფორმაციის არსი და ასევე თითოეული მოქალაქის უფლება საჯარო ინფორმაციის მიღება/გამოთხოვასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია, კონსტიტუცია, საჯარო დაწესებულება, პირადი ინფორმაცია, კომერციული საიდუმლოება, პირადი საიდუმლოება, პირადი ცხოვრება.

შესავალი

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება არ ვრცელდება ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაციაზე. ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობას ღიად და გამჭვირვალედ უნდა ახორციელებდეს, თუმცა გარკვეული კატეგორიის საჯარო ინფორმაცია დახურულია, რადგან შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული და პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროებას. ასეთი სახის ინფორმაციას საჯარო დაწესებულებაში მინიჭებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი გრიფი (8. გვ 23).

ძირითადი ნაწილი

პირადი საიდუმლოება

ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუვალია. თუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა არღვევს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ ადამიანის უფლებას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ამგვარი მონაცემები საიდუმლო ინფორმაციად მიიჩნიოს.

პირადი საიდუმლოება სახეზეა, თუ იგი პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, დაეთანხმოს ან უარი თქვას პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაზე. თუმცა, აღნიშნული არ ვრცელდება თანამდებობის პირებზე - საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუ იგი თანამდებობის პირების შესახებ არსებულ მონაცემებს ეხება. ამგვარი ქმედება დღევანდელ პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში არ ხორციელდება. საჯარო დაწესებულება ხშირად თანამდებობის პირის შესახებ სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს პირად ინფორმაციას მიაკუთვნებს და ასაიდუმლოებს (7. გვ 119).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აბსოლუტურად ნოვაციური ხასიათის განმარტება გააკეთა, როდესაც პერსონალური მონაცემები ორ ძირითად სახედ დაჰყო:

ჩვეულებრივი და განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალური მონაცემები. სასამართლო ჩვეულებრივ მონაცემებად მიიჩნევს ყველა იმ მონაცემს, რომელიც საჯარო დაწესებულებაში პირის (გარდა თანამდებობის პირებისა) საქმიანობას ან სხვა ქმედებებს შეეხება, ხოლო განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემებად მიიჩნევს იმ დოკუმენტებს, რომლებიც პირის შეწყალებას, ან სხვა მსგავს საკითხებს მოიცავს.

სზაკ-ის 27 1 მუხლი - პირადი საიდუმლოება

პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

1. პერსონალური მონაცემები

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, რომელიც ძალაშია 2012 წლის პირველი მაისიდან. კანონი ეყრდნობა კონვენციას ,,პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ", რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის N 2010-II ს დადგენილებით.

კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის თავისუფლების ზოგადი კონსტიტუციური პრინციპიდან, რომელიც საქართველოს სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზანია სუბიექტისთვის თავისუფლების მინიჭება, თავად გადაწყვიტოს არის თუ არა თანახმა მის პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გააცნოს სხვას, რაც მისი თავისუფალი სფეროს განსაზღვრის მნიშვნელოვანი ელემენტია.

პირადი ცხოვრების განსაზღვრისათვის ძირითადად გამოყოფენ სამ სფეროს - ინტიმურს, კერძოს და საჯაროს. ინტიმური სფერო არის ხელშეუხებელი, ხოლო კერძოში ჩარევა ნაწილობრივ დასაშვებია, საჯარო სფერო კი სრულიად დაუცველია. (9. გვ 8-9)

2. პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

საჯარო ინფორმაციის მომთხოვნმა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას უნდა წარადგინოს შესაბამისი პირის მიერ სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ განსხვავებით სხვა სახის მონაცემებისგან, პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ ექვემდებარება გაცემას, თუ სახეზე არაა კანონით დაშვებული გამონაკლისი. (1. გვ 268)

სზაკ-ის 43-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება პერსონალური მონაცემების დამუშავებისას შეზღუდულია. მაგალითად, მას არ აქვს უფლება, დაამუშაოს საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირის რელიგიურ მრწამსთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ან ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული საკითხები.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია მხოლოდ ის მონაცემები დაამუშაოს, რომელიც პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას ეხება.

სზაკ-ის 43-ე მუხლი - პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი საჯარო დაწესებულების ვალდებულება:

ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან;

გ) შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ მიზნებთან და ვადებთან შესაბამისობის კონტროლის პროგრამა;

დ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით გაუთვალისწინებელი, აგრეთვე არა ზუსტი, არა სარწმუნო, არა სრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით;

ე) შეინახოს შესწორებული მონაცემები, მათი გამოყენების დროის მითითებით, შესაბამის მონაცემებთან ერთად მათი არსებობის მანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

ვ) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამოიწურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს

განსაზღვრული კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლებას;

ზ) საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, აგრეთვე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;

თ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ი) პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემამდე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა ისინი ზუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული;

კ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები.

3. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება.

სზაკ-ის 44-ე მუხლი სწორედ იმ გამონაკლისზე საუბრობს, რომელიც პერსონალური ინფორმაციის გაცემის წესს შეეხება. მიუხედავად საჯარო დაწესებულებისვალდებულებისა,გაასაიდუმლოოს ასეთი სახის მონაცემი. თანამდებობის პირების შესახებ არსებული პირადი მონაცემები ყველასთვის ხელმისაწვდომია.

სზაკ-ის 44-ე მუხლი - პერსონალური მონაცემების საიდუმლოება

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

2. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა.

4. პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა სზაკ-ის 45-ე მუხლის საფუძველზე, პერსონალური მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს, მხოლოდ პირის ინდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს პირის სახელსა და გვარს, პირად ნომერს, საცხოვრებელ მისამართს და ა.შ. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა მესამე პირისთვის გაცნობის შემთხვევაში საჭიროა დავაში მონაწილე მხარეების პერსონალური ინფორმაციის (თუ იგი არ წარმოადგენს თანამდებობის პირს, ან ადმინისტრაციულ ორგანოს) დაშტრიხვა. (8. გვ 27)

5. პირად მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება.

სზაკ-ის 46-ე მუხლი - მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება

პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უკანონოდ მოპოვებული მონაცემების განადგურება. პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანამდე პირის განცხადება საჯარო ინფორმაციის უზუსტობის შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და თან უნდა დაერთოს მას. აღნიშნულ საკითხზე საჯარო დაწესებულება ან საჯარო მოსამსახურე გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.

თუ პირის შესახებ არსებულ მონაცემებში დაშვებულია შეცდომა, ან იგი მოპოვებულია უკანონოდ, ამ პირის თანხმობის გარეშე, პირი, ვისაც ეხება აღნიშნული მონაცემები, უფლებამოსილია, მოითხოვოს მასში ცვლილებების შეტანა ან/და მათი

განადგურება. პერსონალური ინფორმაციის დამუშავების უფლება გულისხმობს სწორი ინფორმაციის დამუშავების ვალდებულებას, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია,

არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

მაგალითად, საჯარო დაწესებულებამ პირის დაუკითხავად მოიპოვა ინფორმაცია მისი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. პირს უფლება აქვს მოითხოვოს ამგვარი ინფორმაციის განადგურება. (8. გვ. 28)

6. საჯარო დაწესებულებაში თქვენს შესახებ არსებული ინფორმაციის მიღების უფლება.

პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს მასზე არსებულ მონაცემებს ისე, რომ ისინი ხელმისაწვდომი არ გახადოს სხვა პირებისთვის. (8.გვ 28)

სზაკ-ის 39-ე მუხლი - პერსონალური ინფორ-მაციის ხელმისაწვდომობა

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად, სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები. საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრა ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. კანონის უპირველეს მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, რომლის გარანტადაც სწორედ მისი პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოება გვევლინება. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში, მონაცემთა შეგროვება შეიძლება მოხდეს უშუალოდ იმ პირის მეშვეობით, ვისზეც იქმნება მონაცემები. მაგალითად, ფიზიკური პირი თავად აწვდის მონაცემთა

დამმუშავებელს კონკრეტულ ინფორმაციას. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მას აუცილებლად განუმარტოს მონაცემთა დამუშავების მიზანი.

კომერციული საიდუმლოება

კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემები კომერციული საქმიანობის წარმმარ-თველი პირის „დათო საგინაძე". ამ კატეგორიაში არ შედის ინფორმაცია, სახელისა და გვარის შესახებ. მაგალითად, კომერციულ საიდუმლოებად ვერ ჩაითვლება კონკრეტული იურიდიული პირის დირექტორის, ან ხელმძღვანელის სახელი. კომერციული საიდუმლოება მაშინ არის სახეზე, თუ იგი კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა მეწარმეთა შესახებ არსებულ მონაცემებს შეიცავს. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არსებული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს საიდუმლოების შემცველი. აქედან გამომდინარე, თუ საჯარო დაწესებულება ამ მიზეზით იტყვის უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, პასუხი იქნება საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო ხასიათის და საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს წარმოეშობა შეცილების მართლზომიერი უფლება. (5. გვ 27)

მაგალითად, ქ . თბილისის მერიასა და ერთ-ერთ შპს-ს შორის ქალაქის გამწვანებაზე გაფორმებული ხელშეკრულება არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას.

სზაკ-ის 27 2 მუხლი - კომერციული საიდუმ-ლოება

1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორ-მულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/ და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

2. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმ-ლოებას.

3. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებუ-ლია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერცი-ული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გა-რდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღია-ობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმ-ლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლო-ბით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე

მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

4. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

პროფესიული საიდუმლოება

პროფესიული საიდუმლოება წარმოადგენს მონაცემთა ისეთ სახეს, რომელიც პერსონალურ ან კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს და რომელიც პროფესიული საქმიანობის შედეგად გამოვლინდა. პროფესიული საიდუმლოების მატარებელი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო.

პროფესიული საიდუმლოება მოწესრიგებულია „სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის პირველი მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით ასეთ ინფორმაციას მიეკუთვნება:

აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასას და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ არის სახელმწიფო საიდუმლოება ან სხვა პირის პირადი ან კომერციული საიდუმლოება, ასევე ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას.

მაგალითად, ჟურნალისტმა სამსახურეობრივი საქმიანობის დროს კერძო წყაროდან მიიღო ინფორმაცია თანამდებობის პირის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ჟურნალისტს აქვს სრული უფლება არ გაამჟღავნოს წყაროს წარმომავლობა, რადგან ეს მისი პროფესიული საიდუმლოება არის. (8. გვ 30)

სზაკ-ის 27 3 მუხლი - პროფესიული საიდუმლოება

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.

სახელმწიფო საიდუმლოება

სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოება არის – „ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით აღიარებულია

სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.“ ასეთი სახის მონაცემებს წარმოადგენს თავდაცვის, ეკონომიკის და საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში არსებული შემდეგი საკითხები: (5. გვ 24)

დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, კონსტიტუციის თანახმად, დემოკრატიული სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქის უფლებაა გაეცნოს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ყოველ ინფორმაციას, თუ ისინი, არ შეიცავენ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. ასევე, საჯარო დაწესებულებებიც, თავის მხრივ, ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორც ეს შეესაბამება თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს. ასევე აღინიშნა, რომ თითოეულ მოქალაქეს, საქართველოს კანონმდებლობით, აქვს უფლება თავად აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა. ასევე აღვნიშნეთ, რომ საჯარო ინფორმაცია, თუ ის არ წარმოადგენს სახელმწიფო ან სხვა სახის საიდუმლოებას, უნდა გაიცეს მოქალაქეებზე დაუყოვნებლივ.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასევე საკანონმდებლო ნორმების არსებობისა, ვიცით, რომ სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება ყოველთვის არ არის მარტივი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ვიცით, რომ საჯარო დაწესებულებების დამოკიდებულება საჯარო

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებისადმი არაერთგვაროვანია. საჯარო ინფორმაციას, რომელსაც ერთი ადმინისტრაციული ორგანო დაუბრკოლებლად გასცემს, შეიძლება მეორე ადმინისტრაციულმა ორგანომ საიდუმლო ინფორმაციად მიიჩნიოს და ამ მოტივით შეზღუდოს საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პრაქტიკაში მოქმედი საკანონმდებლო ნორმების განსხვავებული ინტერპრეტირება ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადეიშვილი ზ., ტურავა პ., იზორია ლ., ვარდიაშვილი ქ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005.
2. ლორია ვ., წკეპლაძე ნ., გიორგაძე გ., კოპალეიშვილი მ., ხარშილაძე ი., ჩქარეული ც., ლორია ხ., ლორია ა., სალხინაშვილი მ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004.
3. მენაბდე ვ., შალამბერიძე ა., თოდუა თ., და სხვ. ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში, სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები 2008-2010 წწ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2011.
4. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003.
5. წკეპლაძე ნ., ადეიშვილი ზ. და სხვ. ინფორმაციის თავისუფლება, გზამკვლევი, მესამე გამოცემა, 2005.
6. ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, თბილისი, 2004.
7. წკეპლაძე ნ., ტურავა პ., ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005.
8. ჯორბენაძე ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკლევი პირველი გამოცემა, 2012.

Legal restriction of receiving public information

Ana Melkadze, PhD student

Georgian Technical University

Summary

The existence of a democratic state is impossible without freedom of information. As is well known, the principle of democratic governance and its application to each member of society's rights and demands represents the cornerstone of democracy. The obligation of the democratic state is to provide education and informed participation in public affairs, for which reason the state must ensure public access to information and the possibility of its dissemination.

At the same time, freedom of information in a democratic state primarily implies the obligation of the government to the public, ensuring access to public information, transparency of government activities and openness to the implementation of public policy.

As it is known, the right to receive information has been recognized by the international community as one of the fundamental human rights, which is vital and important for the formation of public opinion, the personal or professional development of each person, and the existence of a strong civil society in general.

In addition to freedom of expression, any citizen of Georgia has been granted the right to freely receive public information under the Constitution of Georgia, which implies the obligation of the State to provide access to information, in particular, public information.

The article discusses in quite detail a number of issues related to freedom of information , explains the essence of public information and the right of each citizen to receive / request public information.

The article mentions that according to the Constitution, it is the right of any citizen of a democratic state to get acquainted with all the information available in public institutions, unless they contain state, commercial or professional secrets. Also, public institutions, in turn, are obliged to ensure access to public information as it is consistent with the principles of a free and democratic state. Also, every citizen, according to the legislation of Georgia, has the right to choose the form of receiving the information.

Keywords: information, constitution, public institution, personal information, commercial secret, personal secret, personal life.

შრომის მოტივაციის გავლენა ორგანიზაციის წარმატებაზე

წულაია მილანა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა და მიზანი არის თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა. თითოეული ორგანიზაცია არის ინდივიდუალური, მისი მიზნებიდან, ამოცანებიდან, მუშაობის სტილიდან და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე. შესაბამისად, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის განსხვავებული მართვის სტილი, სამოტივაციო პოლიტიკა და კორპორატიული კულტურაა ადეკვატური, თუმცა შესაძლებელია იმ ზოგადი რჩევების შესახებ საუბარი, რომლებიც დაეხმარება ორგანიზაციათა უმეტესობის ხელმძღვანელობას თანამშრომელთა შრომითი მოტივაციის, კმაყოფილების გაზრდასა და შესაბამისად მაღალ მაჩვენებელთა მიღწევაში.

შრომის მოტივაცია გავლენას ახდენს კომპანიის შემოსავალზე და მოგებაზე, ასევე რეპუტაციაზე. რადგან დასაქმებულების შრომის პროდუქტიულობა იზრდება კომპანიის თანამშრომლები უკეთესად მუშაობენ. შესაბამისად იზრდება მოზიდული კლიენტების და მათთან გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობაც.

მოტივირებული დასაქმებული თავად წარმოადგენს იმ ორგანიზაციის რეკლამას, სადაც საქმიანობს. ნაცნობებს დასაქმებულები უყვებიან რომ კარგი სამსახური აქვთ და დადებითად ახასიათებენ იმ ორგანიზაციას, სადაც საქმიანობენ. ზოგჯერ სოციალურ მედიაში წარმოებულ საინფორმაციო კამპანიას შეუძლია ისეთი შედეგები გამოიწვიოს, რომლებიც გადაფარავს დასაქმებულების შრომის დაბალი მოტივაციით, ან არასათანადო შრომის მოტივაციის მეთოდების გამოყენებით განპირობებულ შედეგებს.

დასაქმებულების მოტივირების მიზნით ორგანიზაციის მენეჯმენტი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს. მაგალითად, თანამშრომლები სარგებლობენ ბონუს სისტემით, პრემიით, მენეჯერები ან მათი სუპერვაიზერები მიმართავენ ვერბალური წახალისების ფორმებს, როგორებიცაა მადლობის გამოცხადება, შექება, თვის ან წლის საუკეთესო თანამშრომლად აღიარება. კონკურენციის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოტივირებული თანამშრომლების ყოლა ორგანიზაციაში.

საკვანძო სიტყვები: დასაქმებულები, სუპერვაიზერები, შრომის მოტივაცია.

შესავალი

დასაქმებულების შრომის მოტივაციის დონე მნიშვნელოვნად განაპირობებს ორგანიზაციის საბაზრო წარმატებას, თუმცა სამუშაო ძალის შრომის მოტივაცია არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომლის გამოც ორგანიზაცია წარმატებული, ან წარუმატებელი შეიძლება იყოს ბაზარზე. შრომის მოტივაცია გავლენას ახდენს კომპანიის შემოსავალზე და მოგებაზე, ასევე რეპუტაციაზე. რადგან დასაქმებულების შრომის პროდუქტიულობა იზრდება კომპანიის თანამშრომლები უკეთესად მუშაობენ. შესაბამისად იზრდება მოზიდული კლიენტების და მათთან გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობაც.

ძირითადი ტექსტი

ორგანიზაციის ადამიანური რესურსი მისი წარმატების ერთერთი ხელშემწყობი ფაქტორია. თუმცა ზოგიერთი ორგანიზაციის მმართველი გუნდი ვერ აცნობიერებს დასაქმებულების შრომის მოტივაციის მნიშვნელობას და სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოტივაციისთვის საჭირო მეთოდების დანერგვას, ასევე მათ გაუმჯობესებას. არასათანადოდ მოტივირებული თანამშრომლების შემთხვევაშიც კი არის შესაძლებელი საბაზრო წარმატების მიღწევა, რაც არაერთხელ დაადასტურა საქართველოში შრომის მოტივაციის სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებმა. მაგალითად, 2020 წელს საქართველოს საბანკო სექტორში-TBC ბანკში და საქართველოს ბანკში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დასაქმებულები არ იყვნენ სათანადოდ მოტივირებულები. ისინი ხშირად ფიქრობდნენ სამუშაოს შეცვლის თაობაზე. დასაქმებულების შრომის მოტივაციის მთავარ წყაროს წარმოადგენდა მატერიალური მოტივატორები: ხელფასი, ბონუსი და პრემია,

რაც იმას ნიშნავს რომ სამუშაო დასაქმებულების მიერ აღიქმებოდა როგორც შემოსავლის წყარო. გამოკითხულ ორგანიზაციებში შექმნილი იყო არაჯანსაღი კორპორაციული გარემო. მაგალითად, გამოიკვეთა რომ არსებობდა ნეპოტისტური მიდგომები და ხდებოდა დასაქმებულების მიკერძოებულად დაწინაურება. დასაქმებულებსა და მათ სუპერვაიზერებს შორის არასათანადო კომუნიკაცია არსებობდა. მაგალითად, მენეჯერები ვერ განუსაზღვრავდნენ დასაქმებულებს იმ ამოცანებსა და ფუნქციებს, რომლის შესრულებაც სურდათ (არაბული, 2020, გვ. 42). მიუხედავად ამისა ეს ორგანიზაციები წარმატებულად ოპერირებდნენ ბაზარზე და საბანკო სფეროში დომინანტი კომპანიები არიან. ორგანიზაციის საბაზრო წარმატება, რომ არასათანადოდ მოტივირებული დასაქმებულების პირობებშიც სავსებით შესაძლებელია ეს საქართველოში ჩატარებულმა სხვა კვლევებმაც დაადასტურა. მაგალითად, 2020 წელს საქართველოს უნივერსიტეტის მაგისტრანტმა იუზა თოფურიამ გამოიკვლია შრომის მოტივაციის გავლენა იმ ორგანიზაციების საბაზრო წარმატებაზე, რომლებიც საქართველოში ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში ოპერირებენ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკვლეული ორგანიზაციები: საქართველოს უნივერსიტეტი, ბენზინგასამართი ქსელი ,,ვისოლი", მაღაზიების ქსელი ,,ბიბლუსი", ლოგისტიკური კომპანია ,,giant logistics" ვერ იყენებდნენ სათანადოდ ადამიანურ რესურსებს თუმცა თითოეული მათგანი წარმატებულ კომპანიად ითვლებოდა ბაზარზე (თოფურია, 2020, გვ. 60). მიუხედავად ამისა, ისევე როგორც საქართველოს საბანკო სექტორში ჩატარებული კვლევის შემთხვევაში, თოფურიას მიერ გამოკითხული რესპონდენტებიც აღნიშნავდნენ, რომ შრომის მოტივაცია მნიშვნელოვანია დასაქმებულებისთვის, რადგან სწორედ მოტივირებული თანამშრომლები აუმჯობესებენ შრომის ხარისხს. მხოლოდ მოტივირებული თანამშრომლების შემთხვევაშია შესაძლებელი დასაქმებულების შრომის პროდუქტულობის გაზრდა.

ამავე წყაროს მიხედვით მოტივირებული თანამშრომლები ნაკლებად ფიქრობენ ორგანიზაციის დატოვებაზე, რის შედეგადაც კომპა-ნიას ეძლევა შესაძლებლობა შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრები (თოფურია, 2020, გვ. 60).

დასაქმებულების შრომის მოტივაციის ამაღლება მნიშვნელოვნად ამარტივებს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევას და აჩქარებს მის განვითარებას. უმჯობესდება დასაქმებულების შრომის ხარისხი. მოტივირებულ თანამშრომლებს არ ესაჭიროებათ მითითება როგორ მოიქცნენ. მათ არც ზედამხედველობის გაწევა არ სჭირდებათ. ისინი საკუთარი ძალებით, ზედამხედველი მენეჯერების მითითებების გარეშე ასრულებენ დასახულ ამოცანებს და ხელს უწყობენ კომპანიის მიზნების მიღწევას (Mangi & Kansaro, 2019, გვ. 56). მოტივირებული თანამშრომლების შრომის პროდუქტიულობა უფრო მაღალია ვიდრე დემოტივირებული, ან არასათანადოდ მოტივირებული თანამშრომლების (Manzoor, 2012, გვ. 37). მოტივირებული თანამშრომლები ქმნიან უკეთეს პროდუქტს და სთავაზობენ მომხმა-რებლებს უკეთეს სერვისებს. ისინი თავს მიიჩნევენ ორგანიზაციის ნაწილად, რაც უბიძგებთ არ დატოვონ სამსახური და არ ეძებონ სამუშაო სხვა კომპანიაში (Jalloh, 2016, გვ. 84).

შრომის არასათანადო მოტივაცია პირობითი ცნებაა. იგი ვლინდება ორგანიზაციებში კვლევების ჩატარების და მიღებული შედეგების დამუშავების შედეგად. დასაქმებულები თავად აფასებენ შრომის მოტივაციის დონეს 7 ან 10 ბალიანი შკალით. შემდგომში ხდება რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება და მიღებული სურათის შეფასება. მაგალითად, მკვლევარი აფასებს ორგანიზაციაში გამოკითხულიპირებისრამდენმაპროცენტმაშეაფასა საკუთარი შრომის მოტივაცია მაქსიმალურ ქულაზე, რამდენმა საშუალო და რამდენმა მათგანმა დაბალ ქულაზე. ამის შემდეგ ხდება მიღებული პასუხების საერთო რაოდენობის მიხედვით პროცენტული წილის დაანგარიშება. თუ გამოკითხულების 40% თვლის, რომ მისი შრომის მოტივაცია 7 ბალიან შკალაზე 4 ქულით უნდა შეფასდეს, სადაც 1 ქულა მინიმუმია, ხოლო 7 მაქსიმუმი, მაშინ ცალსახაა რომ დასაქმებულების შრომის მოტივაცია დაბალია. ასევე შესაძლებელია ორგანიზაციაში დასაქმებული პირების შრომის მოტივაციის დონის გამოკვლევა მათთვის ე.წ. ,,დახურული" (optional) კითხვების დასმის შედეგად, რომლებზეც თანამშრომლები პასუხობენ შემოთავაზებული პასუხების მიხედვით. მაგალითად, აღნიშნავენ რომ მათი შრომის მოტივაცია დაბალია, მაღალია ან საშუალო (კატუკია, 2016, გვ. 77).

დასკვნა

როგორც შვიდი ასევე ათბალიანი შკალით შრომის მოტივაციის შეფასების შემთხვევაში ხდება მიღებული პასუხების პროცენტული წილის დაანგარიშება და მკვლევარის მიერ იმის შეფასება რამდენად მაღალია შრომის მოტივაციის დონე გამოკითხულ ორგანიზაციაში. აქედან გამომდინარე შრომის არასათანადო მოტივაცია შეფასებითი ცნებაა და კონკრეტული კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგების ანალიზზეა დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული, ბ., (2020). შრომის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოს საბანკო სექტორში, კავკასიის უნივერსიტეტი.
2. თოფურია, ი., (2020). შრომის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოს მაგალითზე, საქართველოს უნივერსიტეტი.
3. კატუკია, ა., (2016). მოტივაციის კვლევა შედარებით მენეჯმენტში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
4. Jalloh, A., (2016). The Effects of Motivation on Employee Performance: A Strategic Human Resource Management Approach, international journal of management sciences and business research, vol. # 5, issue, 12, 2016, pp. 81-96
5. Mangi, A., A., & Kansaro, H., A., (2019). motivation tools and organizational success: a critical analysis of motivational theories, The Government: Research Journal of Political Science Vol. # 4, pp.44-52
6. Manzoor, Q., A., (2012). Impact of Employees Motivation on Organizational Effectiveness, European Journal of Business and Management, # 3, pp. 36-45
7. Kihelstrom.G.,(2020). the Relationship between Employee Motivation, Engagement and Revenue, Forbes

The influence of work motivation on the success of the organization

Milana Tsulaia, PhD student

Georgian Technical University

Summary

The level of employee motivation significantly determines the market success of the organization, although the motivation of the workforce is not the only factor that can make the organization successful or unsuccessful in the market. Labor motivation affects the company's revenue and profit, as well as reputation. As employee labor productivity increases, the company's employees perform better. Accordingly, the number of attracted clients and contracts signed with them also increases.

One of the biggest challenges and goals of modern management is to take care of employee motivation. Each organization is individual based on its goals, tasks, work style and field of activity. Accordingly, different management styles, motivational policies and corporate culture are adequate for different organizations, however, it is possible to talk about the general tips that will help the management of most organizations to increase employee motivation, satisfaction and, accordingly, achieve high performance.

In order to motivate employees, the management of the organization uses different methods. For example, employees benefit from a bonus system, a bonus, managers or their supervisors apply forms of verbal encouragement, such as gratitude, praise, recognition as the best employee of the month or year. In conditions of competition, it is especially important to have motivated employees in the organization. The human resource of the organization is one of the factors contributing to its success. However, the management team of some organizations does not understand

the importance of motivating employees and does not pay due attention to the introduction of methods necessary for motivation, as well as their improvement. Even in the case of improperly motivated employees, it is possible to achieve market success, which has been repeatedly confirmed by the results of research conducted in the field of labor motivation in Georgia.

Increasing the work motivation of employees significantly simplifies the achievement of the goals set by the organization and accelerates its development. The quality of work of employees improves. Motivated employees don't need to be told what to do. They don't even need to be supervised. They perform the assigned tasks on their own, without instructions from the supervisor managers, and contribute to the achievement of the company's goals. Labor productivity of motivated employees is higher than that of demotivated or improperly motivated employees. Motivated employees create better products and offer better services to customers. They consider th emselves a part of the organization, which motivates them not to leave their job and not to look for a job in another company.

Key words: employees, supervisors, work motivation.

პირველადი ჯანდაცვა საქართველოში: დანიშნულება, გატარებული რეფორმები და დღეს არსებული გამოწვევები

ნინო ელისაბედაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პირველადი ჯანდაცვის არსი, დანიშნულება და იმ რეფორმების შედეგები, რომლებიც მასში გატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან.

როგორც ცნობილია, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში პირველადი ჯანდაცვა მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს, რადგანაც მას აბარია პაციენტების, მათი ოჯახების და იმ თემის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რომელსაც იგი ემსახურება. 2014 წელს საქართველოს მთავრობამაც ევროპის დარად პირველადი ჯანდაცვა პრიორიტეტად გამოაცხადა, მაგრამ მის სახელმწიფო დაფინანსებაში ეს არ ჩანს. პირველადი ჯანდაცვის წილად მოდის ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების 23,2%, ჰოსპიტალურ სექტორზე კი - 65,5%. პირველად ჯანდაცვაში პაციენტთა მიმართვიანობა საქართველოში არის 3,6, ევროპაში კი - 7,5. ამასთან, საქართველოს პირველად ჯანდაცვაში ჯიბიდან გადახდებს უკავია 47%, გერმანიაში 5% და ა. შ.

საქართველოს პირველად ჯანდაცვაში განხორციელებული რეფორმების („ოჯახის ექიმის“ ინსტიტუტის ფორმირება, „სოფლის ექიმის“ პროგრამის განხორციელება და სხვ.) მიზანი იყო პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციებისთვის იმიჯის ამაღლება, პაციენტების მათკენ შემობრუნება, მაგრამ ეს არ მოხდა. პირველად ჯანდაცვის კლინიკებს საქართველოში დღეს მხოლოდ პაციენტთა 51% მიმართავს.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სიღრმისეული რეფორმები დაიწყო 2000 წლიდან. ფინანსურად მასში მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთი, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვები. შემუშავდა 200-2009 წლების პირველადი ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმა, დაფუძნდა პირველადი ჯანდაცვის დეპარტამენტიც, რომელიც ერთი წლის შემდეგ, ისევ გაუქმდა და ა. შ. მართალია ამის შემდეგ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში მოსახლოების მიმართვიანობა 25%-ით ამაღლდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა პირველადი ჯანდაცვის მოწესრიგებაში საბოლოო გამარჯვებას. შედეგად, 2015 წელს შესაბამისმა სამინისტრომ პირველადი ჯანდაცვის ახალი, ძირეული რეფორმა გამოაცხადა და ამ სფეროს განვითარების 2016-2023 წლების პროექტიც მიიღო.

დღეს 2022 წელია, ანუ ამ ვითომდა ძირეული რეფორმის გამოცხადებიდან გავიდა ექვსი წელი, რომლის განმავლობაში პირველად ჯანდაცვაში პაციენტთა მიმართვიანობა 3,6-მდე ამაღლდა. მაგრამ არც ეს არის საკმარისი. „ოჯახის ექიმის“ და „სოფლის ექიმის“ ინსტიტუტი საქსართველოში კვლავაც განუვითარებელია: კვლევები აჩვენებს, რომ რესპოდენტთა 18% „ოჯახის ექიმის“ ინსტიტუტს აფასებს უარყოფითად, 47% მოითხოვს მასში კარდინალურ ცვლილებებს და ა. შ.

ამ გამოწვევებზე პასუხის გასაცემად, სტატიაში ხაზგასმულია იმის აუცილებლობა, რომ საქართველოს შესაბამისი ორგანოები უნდა გაეცნონ ევროპულ ჩარჩოს - „ჯანმრთელობა 2020“-ს და ევროპულად ააგონ საქართველოს პირველადი ჯანდაცვა.

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა; პაციენტი; „ოჯახის ექიმი“; „სოფლის ექიმი“; „ჯანმრთელობა - 2020“.

შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) განმარტებით „პირველადი ჯანდაცვა არის პაციენტებისთვის სოციალურად მისაღებ მენციერულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურება, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა ოჯახის დამათითითოეული წევრისთვის“ [1]. პირველადი ჯანდაცვის საბაზო ორგანიზაციებია პოლიკლინიკები და ამბულატორიები. მათი ფუნქციებია [2. გვ. 12]: პაციენტების მიღება, დიაგნოზის დადგენა და მკურნალობა; საექიმო კონსულტაცია როგორც ამბულატორიულად, ისე პაციენტის ბინაზე; პაციენტებისთვის გამოკვლევების ჩატარება; პაციენტის გადამისამართება უფრო მაღალი დონის სამედიცინო დაწესებულებაში; რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა; არგადამდები ქრონიკული დაავადებების მართვა.

აღნიშულ ფუნქციებს პირველადი ჯანდაცვა ახორციელებს გარკვეული მიზნების

შესასრულებლად, რომელთა შორის მთავარია: პაციენტების დაავადების მიზეზების დადგენა და მათი პრევენცია, პაციენტების ჯანმრთელობის სტაბილურობის შენარჩუნება და ხელშეწყობა, პაციენტების მხარდაჭერა დაავადების ყველა სტადიზე, პაციენტებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მათში პირველადი ჯანდაცვის მიმართ იმედის და ნდობის ჩანერგვა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში პირველადი ჯანდაცვა სათანადოდ არ არის განვითარებული და მოსახლეობაშიც ნდობით არ სარგებლობს.

ძირითადი ტექსტი

პირველად ჯანდაცვას ოთხი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: პირველი დონის კონტაქტი პატიენტთან, ანუ პაციენტის მკურნალობის მთელ იერარქიულ კიბეზე „მეკარიბჭის“ როლის შესრულება; პაციენტზე მუდმივი მეთვალყურეობა; ყოვლისმომცველობა და კორდინირება. პაციენტის მძიმე დაავადებების შემთხვევაში პირველადი ჯანდაცვის „მეკარიბჭის“ როლს განსაზღვრავს მის მკურნალობაში ამ რგოლის პირველადობა, მანამ, სანამ პაციენტი გადამისამართდება მეორე და მესამე დონის რგოლებში. ამ პროცესს მეტად ნათლად გვიჩვენებს შემდეგი პირამიდა (იხ. ნახაზი 1).

ნებისმიერი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის მოწყობაში პირველად ჯანდაცვას განსაკუთრებული როლი ენიჭება. საქმე ის არის, რომ ჯანდაცვის მეორე დონის რგოლს შეხება აქვს და პასუხისმგებელია მსუბუქი დაავადების პაციენტებზე, მესამე დონის რგოლი - მძიმე დაავადების მქონე პაციენტებზე, პირველადი ჯანდაცვა კი, პასუხისმგებელია პაციენტების დაავადების ყველა შემთხვევაზე, რადგან მას აბარია პაციენტების, მათი ოჯახების და იმ თემის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რომელსაც იგი ემსახურება და მათი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სადარაჯოზე დგას.

ასეთ საპასუხისმგებლო საქმეს ქვეყანაში ახორციელებენ პოლიკლინიკები და ამბულატორიები, უფრო ზუსტად მათი ზოგადი პრაქტიკის ანუ საოჯახო მედიცინის ექიმები. საქართველოში ამერიკის დარად უკვე დამკვიდრებულია სპეციალობა „ოჯახის ექიმი“, ევროპაში კი, იგი კვლავაც ზოგადი პრაქტიკის ექიმად მოიხსენიება. საქართველოში საოჯახო მედიცინის გუნდი იგეგმება 1000-2000 მცხოვრებზე ერთი ექიმის და ერთი ექთნის საშტატო ადგილის ანგარიშით [4. გვ. 37].

დღეის მდგომარეობით (2020 წლის სტატისტიკით) საქართველოში ფუნქციონირებს 2286 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, ანუ 2015 წელთან შედარებით 99 ერთეულით ნაკლები [5. გვ. 82]. ეს შემცირება გამოიწვია მთელი რიგი სოფლების მთლიანად დაცლამ, და აგრეთვე, მცირეკომლიან სოფლებში ამბულატორიების გაერთიანებამ. რაც შეეხება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში პაციენტთა მიმართვიანობას, მან 2020 წელს შეადგინა 13686 ათასი, რაც 3,3%-ით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (13244 ათასი) [5. გვ. 82].

ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებუ-



ნახაზი 1. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ადგილი ჯანდაცვის საერთო სისტემაში [3. გვ. 2].

ლებებში პაციენტების მიმართვიანობის ასეთი მცირე ზრდა 5 წლის განმავლობაში, თანაც, იმ პერიოდში როცა ქვეყანაში დაიწყო და მძვინვარებდა „კოვიდ-19“-ის პანდემია, გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს მოსახლეობას არა აქვს პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებების მიმართ ნდობა და იქ დასაქმებული ექიმების პროფესიონალიზმის იმედი.

საინტერესოა ინფორმაცია პირველად ჯანდაცვაში სამოქმედო ზონის მოსახლეობით ექიმების დატვირთვის შესახებ. სახელმწიფო აუდიტის გამოკვლევით [6. გვ. 21] რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში იგი 661 მცხოვრებია, შიდა ქართლში - 1430, მცხეთა-მთიანეთში - 1210, გურიაში - 1533, კახეთში - 1534, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 1667, ქვემო ქართლში - 1666, იმერეთში - 1712, აჭარაში - 1824 და სამცხე-ჯავახეთში - 1839. თუ არ ჩავთვლით რაჭას, სადაც ერთ ექიმზე მოდის საშუალოდ 661 მცხოვრები, ყველა დანარჩენი რეგიონების პირველადი ჯანდაცვის ექიმების დატვირთვა სტანდარტის ფარგლებშია (1000-2000). მაგრამ იგივე გამოკვლევით დადგენილია, რომ ერთ ექიმზე მოსულ მოსახლეობის რაოდენობის ეს მაჩვენებლები გაშუალებულია და რეგიონების შიგნით ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში (სოფლები) ამ საკითხში არსებობს პრობლემები. კერძოდ, საქართველოს 60 ტერიტორიულ ერთეულში ერთი ექიმის დატვირთვა 500 მოსახლემდეა, 121 ტერიტორიულ ერთეულში 501-დან 1000 მოსახლემდე, 202 ერთეულში 1001-დამ 1500-მდე, 195-ში - 1501-დან 2000-მდე, 132-ში 2001-დან 2500-მდე, 38-ში - 2501-დან 3000-მდე და 19-ში 3001-დან 6300-მდე [6. გვ. 222]. მაშასადამე, საქართველოს 132 სოფელში ერთი სოფლის ექიმის დატვირთვა სტანდარტს 500 მცხოვრებით აღემატება, 38 სოფელში - დატვირთვის ეს გარდამეტი 1000 მცხოვრებია, ხოლო 19 სოფელში - 4300 მცხოვრები.

იგივე გამოკვლევით დადგენილია, რომ არსებობს საართველოში ტერიტორიული ერთეულები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა საკმარისია იქ ექიმის საშტატო სამუშაო ადგილის მოსაწყობად, მაგრამ ფაქტიურად, მათ მხოლოდ თითო ექთანი ემსახურებათ (მაგალითად, ახალქალაქის რაიონი, სოფ. კოჭიო - მოსახლეობა 3209, სოფელი შულდა - მოსახლეობა 2139, სოფ. კარწახი - მოსახლეობა 992). მართალია, ამ სოფლებში ექთნები მუშაობენ, მაგრამ, ექთნის მომსახურება პაციენტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის არ არის საკმარისი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პირველად ჯანდაცვაში შექმნილი ეს ვითარება საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ სფერიოს დიდ ნაკლად მიაჩნია, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

ბევრი პრობლემებია გადასაჭრელი საქართველოს რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მოწყობის და გამართული მუშაობის ხაზითაც. იმის მიუხედავად, რომ ყოველ წელს სახელმწიფო დაფინანსებით შენდება ახალი ამბულატორიები (2019 წელს აშენდა 86 ამბულატორია), ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში ეს საკითხი მეტად პრობლემურია, ამბულატორიისთვის შენობების დიდი ნაწილი დაქირავებულია სხვა შენობებში - სკოლებში, კერძო სახლებში, მუნიციპალიტეტის შენობებში და ა. შ. ამბულატორიისთვის განკუთვნილ ახალ შენობებში მხოლოდ 2%-ია განთავსებული [6. გვ. 219]. ამბულატორიებისთვის შეუფერებელ შენობებში პაციენტებისთვის მომსახურების გაწევა, ცხადია, არ შეესაბამება სტანდარტს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2021 წლის 15 სექტემბერს შექმნილ დოკუმენტში საქმიანობის ძირითად 13 მიმართულებათა შორის პირველადი ჯანდაცვის რეფორმა დასახელებულია რიგით მეორე მიმართულებად. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, თუმცა, დაგვიანებით, მაგრამ კარგია რომ გაიცნობიერა პირველადი ჯანდაცვის მნიშვნელობა და დანიშნულება. თუმცა, იმავე დოკუმენტში წარმოდგენილ დასახელებულ სამინისტროს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებულ ვარიანტში პირველადიჯანდაცვისმართვისრაიმესტრუქტურამ (დეპარტამენტი, ცენტრი, ქვედანაყოფი) ვერ ჰპოვა ადგილი. ასეთ დროს, სამინისტროს მმართველობით აპარატში შექმნილია სამი ისეთი სტრუქტურა - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი, აუდიტის დეპარტამენტი და ანალიტიკის დეპარტამენტი, რომლებშიც სავარაუდოდ, 60-70% პარალელურ საქმიანობას აქვს ადგილი. ჩვენი აზრით, შეიძლება ამ დეპარტამენტების გაერთიანება და გამოთავისუფლებული სამუშაო ადგილებით პირველადი ჯანდაცვის დეპარტამენტის შექმნა [7. გვ. 6].

2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას (DCFTA). ამ შეთანხმებით საქართველომ მთელი რიგი ვალდებულებები აიღო შესასრულებლად, რომელთა შესრულება საქართველოს დაახლოვებს ევროკავშირთან. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასოცირების

შესახებ შეთანხმება ხელს შეუწყობს „ჯანდაცვის სისტემაში ევროპული სტანდარტების დანერგვას.

ევროპაში ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია პირველადი ჯანდაცვა (ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სამედიცინო მომსახურება), რომელიც ახდენს მოსახლეობაში დაავადებათა სიმპტომების ადრეულ გამოვლენას, მათ პრევენციას და მკურნალობას. მართალია, 2014 წელს საქართველოს მთავრობამ პირველადი ჯანდაცვა პრიორიტეტად გამოაცხადა [8. გვ. 165], მაგრამ ჯანდაცვის დაფინანსებაში ეს არ ჩანს. ამის გარდა, მთლიან სახელმწიფო ხარჯებში ჯანდაცვის ხარჯები უნდა შეადგენდეს 15%-ს მაინც [9. გვ. 12], ევროპაში იგი მერყეობს 4-20%-ის ფარგლებში, საქართველოში კი იგი შეადგენს 6,9%-ს [10. გვ. 104]. ასე რომ, ამ მაჩვენებლითაც ვერ ვაკმაყოფილებთ სტანდარტს. ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსებაში უმეტესი წილი კვლავაც ჰოსპიტალურ სექტორზე მოდის. ამბულატორიულ მომსახურებაზე და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მთლიან ხარჯებში სახელმწიფოს ხარჯებმა 2018 წელს დაიკავა 23,2%, ჰოსპიტალურ სექტორში კი 65,5% [11. გვ. 6].

2012 წლიდან დღემდე ჯანდაცვის დაფინანსება თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და ამან გაზარდა პირველად ჯანდაცვაში პაციენტთა მიმართვიანობაც, კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე იგი 1,1-დან 3,0-მდე გაიზარდა. მაგრამ ევროპის შესაბამისი მაჩვენებელი 7,5-ია [10. გვ. 15]. ასე რომ, ამ მაჩვენებლით თითქმის 2-ჯერ ჩამოვრჩებით ევროპას [9. გვ. 70]. თვით ჯანდაცვის სამინისტროს კვლევით, იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც სამედიცინო პრობლემა აქვთ, მხოლოდ 50,9% ირჩევს მიმართოს პირველად ჯანდაცვის დაწესებულებებს.

პირველად ჯანდაცვაში ჯიბიდან გადახდებს გერმანიაში უკავია 5%, ავსტრიაში 10%, ესტონეთში - 5%, ლიტვაში - 3%, სლოვენიაში - 30% [11. გვ. 2], საქართველოში კი - 47%. მართალია, იგი 2012-2020 წლებში მნიშვნელოვნად შემცირებულია (75,7%-დან 47%-მდე), მაგრამ ევროპის ქვეყნებთან შედარებით მიანც ძალზე მაღალია. იგივე მაჩვენებელი ევროპისა და აზიის განვითარებას ქვეყნებში 29,5%-ს შეადგენს [13. გვ. 260], ხოლო OECD-ის ქვეყნებში 33%-ს [14. გვ. 206].

მეორე რეკომენდაცია, რომელიც საქართველომ მიიღო ევროკავშირიდან ასოცირების შეთანხმებით, ეს არის ჯანდაცვაში რეფორმების გაგრძელება. ჯანდაცვის რეფორმირება საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წ.) დაიწყო და იგი დღესაც მიმდინარეობს.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის რეფორმები, პირველ რიგში, გამოიხატა იმაში, რომ ქვეყანაში დაიწყო სტაციონალურ მკურნალობაზე ორიენტირებული მედიცინის რეორიენტაცია პირველად ჯანდაცვასა და პროფილაქტიკაზე. უკვე 90-იან წლებიდან გაცნობიერებული იქნა უცხოეთის სამედიცინო სფეროს წარმატება პირველად ჯანდაცვაში, რომელიც ხასიათდებოდა ჯანმრთელობის უკეთესი მაჩვენებლებით და შედარებით დაბალი ხარჯებით [15]. უცხოეთის პრაქტიკით ჩვენთვისაც ცხადი გახდა, რომ ბევრად ნაკლები ხარჯიანია პაციენტებისთვის პრევენციული სერვისების მიწოდება დაავადების ასარიდებლად, ვიდრე ამ დაავადების გართულებული სტაციონალური მკურნალობა.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის რეფორმირების პროცესს ფინანსურად დაუჭირა მხარი მრავალმა დონორმა. ეს იყო მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკი და სხვები. მათი მხარდაჭერით, საქართველოში შემუშავდა პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი. მასში შედიოდა [16. გვ. 41]:

- საოჯახო მედიცინის განვითარება და ოჯახის ექიმი ინსტიტუტის ფორმირება.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკების მომზადება.
- რეფერალური ლაბორატორიების შექმნა.
- პირველადი ჯანდაცვის ინსტიტუციური განვითარება.
- სოფელ ადგილებში პაციენტების მიმართვიანობის მექანიზმის შემუშავება.

ამ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით საქართველოში დაიწყო დიდი ბრიტანეთის პირველადი ჯანდაცვის მოდელის დანერგვა, რომელიც ფოკუსირებული იყო საოჯახო მედიცინაზე. შედეგად, 1995 წელს საქართველოში დაფუძნდა ოჯახის ექიმთა ასოციაცია, ხოლო 1997 წელს, დიდი ბრიტანეთის დეპარტამენტმა (DFID) საქართველოში განახორციელა 48 ოჯახის ექიმის და 16 საოჯახო მედიცინის ტრენერის პროგრამა. შეიქმნა და აღიჭურვა საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი. შეიქმნა ასევე საოჯახო მედიცინის ხუთი სადემონსტრაციო ცენტრი.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სიღრმისეული რეფორმები დაიწყო 2000 წლიდან, როდესაც ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა პირველადი ჯანდაცვის დეპარტამენტი (რომელიც სამწუხაროდ, ერთი წლის შემდეგ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტს შეუერთდა) და, როდესაც შემუშავდა

ჯანდაცვის 2000-2009 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა [17]. ამ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული იქნა პირველადი ჯანდაცვის ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, საოჯახო მედიცინის ეროვნული და რეგიონული ცენტრების შექმნა (2003 წლისთვის), ხოლო შემდეგ, კერძოდ, 2008 წლისთვის პჯდ-ის ცენტრების ეროვნული ქსელის შექმნა.

2003 წელს საქართველომ დაიწყო პირველადი ჯანდაცვის ფორმირების დიდი პროგრამა 40 მლნ აშშ დოლარის ღირებულებით [18]. ფინანსურად მასში მონაწილეობა მიიღო დიდმა ბრიტანეთმა (7 მლნ დოლარი), მსოფლიო ბანკმა (25 მლნ დოლარი) და ევროკავშირმა (7,5 მლნ დოლარი). ცალკეული პროექტები ამავე საფეროში განახორციელეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (შიდა ქართლში და გურიაში) და იაპონიის მთავრობამ.

დამტკიცდა პირველადი ჯანდაცვის გენგეგმაც, რომლის პილოტირება დაიწყო 2003 წელს და დამთავრდა 2006 წელს (საქართველოს ოთხ რეგიონში).

2009 წელს საქართველოში შეიქმნა პირველადი ჯანდაცვის საკორდინაციო საბჭო და მართვის კომიტეტი. ეს იყო მეტად დიდი მნიშვნელობის ღონისძიება და მთავრობის პოლიტიკური ნების გამოხატვა ამ სფეროს გასაძლიერებლად.

ამ პერიოდიდან ზემოთ დასახელებული პირველადი ჯანდაცვის საკორდინაციო საბჭოს ინიციატივით საქართველოს მთავრობამ ერთმანეთისგან გამიჯნა პირველადი ჯანდაცვით უზრუნველყოფის ქალაქის და სოფლის მოდელები - ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში პირველადი ჯანდაცვა საოჯახო მედიცინის ცენტრებით ამოქმედდა, სოფლებში კი - „სოფლის ექიმის“ ინსტიტუტით. „სოფლის ექიმს“ ინდმეწარმის სტატუსი მიეცა.

ამ პროგრამის მიხედვით, ბიუჯეტური რესურსების შეზღუდულობის გამო, საქართველოს მთავრობამ შეწყვიტა სოფლად პირველადი ჯანდაცვის ობიექტების დაფინანსება და მოახდინა მათი მიყიდვა სოფლის ექიმებზე ნომინალურ ფასად. ამასთან, გამოუყო 1340 აშშ დოლარის ერთჯერადი გრანტები და 3400 დოლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურა. ამ პროგრამით, სოფლის ექიმებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიიღეს ინდმეწარმის სტატუსი, თუმცა, მათ სამოქმედო სფეროში რაიმე კარდინალური გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდათ. შედეგად, ამ სტატუსით საქმიანობა გააგრძელა სოფლის ექიმების 60-80%-მა, დანარჩენებმა მიატოვეს ეს საქმიანობა. ასე რომ, საქართველოს მთავრობის ეს პროგრამა წარმატებით ვერ დამთავრდა.

იგივე მოხდა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიც. არც აქ აღმოჩნდა პირველადი ჯანდაცვის გეგმა წარმატებული. ქვეყნის მთავრობას დაგეგმილი ჰქონდა 217 ე. წ. „ზედმეტი“ („ჭარბი“) პირველადი ჯანდაცვის ობიექტის ლიკვიდაცია, მაგრამ რადგან, ეს ობიექტები პრივატიზებული იყო (2011 წლისთვის პირველადი ჯანდაცვის თითქმის ყველა ობიექტი პრივატიზებული იყო [2. გვ. 36]), მან ვერც ეს მოახერხა და ვერც მათი გადანაწილება დეფიციტურ რეგიოებში.

საქართველოში 2015 წლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა.

ამ პროგრამით, კერძო სადაზღვევო კომპანიებს ქვეყნის მთავრობამ ჩამოართვა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების მართვის უფლება და გადასცა იგი სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამ პროგრამის ამოქმედებიდან ერთი წლის თავზე, ამბულატორიებში მოსახლეობის მიმართვიანობა 25%-ით ამაღლდა [2. გვ. 36]. თუმცა, ეს არ ნიშნავდა პირველად ჯანდაცვის მოწესრიგებაში საბოლოო გამარჯვებას, რადგან, ამის მიუხედავად, საქართველოში ამბულატორულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მიმართვიანობა ერთ სულ მცხოვრებზე ანგარიშით 2011 წელს მხოლოდ 2,1% შეადგენდა, ევროპის ქვეყნებში კი 7,5%-ს, ამ მაჩვენებლით რომ საქართველო ევროპის ქვეყნებთან შედარებით ბოლოდან მეორე ადგილზეა [2. გვ. 54], ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ პირველადი ჯანდაცვის რეფორმირება მთლიანად სრულყოფილი არ იყო. ამის შედეგად, 2015 წლიდან, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოცილური დაცვის სამინისტრომ პირველადი ჯანდაცვის რგოლის ახალი რეფორმა გამოაცხადა და პირველადი ჯანდაცვის სტრატეგიული განვითარების 2016-2023 წლების პროექტიც მიიღო. ამ ღონისძიებას მან „პირველადი ჯანდაცვის **ძირეული** რეფორმა უწოდა“.

დღეს, 2022 წელია, ანუ ამ **ძირეული რეფორმის** გამოცხადების დღიდან 6 წელი უკვე გავიდა. ამ პერიოდში მიმართვიანობა, მართალია, იგი 2019 წლისთვის 3,5-მდის ამაღლდა [19. გვ. 82], მაგრამ არც ეს არის საკმარისი. პირველადი ჯანდაცვა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტი საქართველოში კვლავაც განუვითარებელია. კვლევის შედეგებმა, რომელიც ჩაატარეს ამ სფეროს სპეციალისტთა ჯგუფმა 300 რესპოდენტზე, აჩვენა, რომ ზოგადად ოჯახის

ექიმის ინსტიტუტს რესპოდენტთა 18% აფასებს უარყოფითად, 30% - დადებითად, 47% მოითხოვს მასში კარდინალურ ცვლილებებს, ხოლო 5%-ს პასუხი არ აქვს [2. გვ. 57]. იგივე კვლევით ოჯახის ექიმის პროფესიონალიზმით უკმაყოფილოა 88,4% [2. გვ. 561]. ზემოთ ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული დაპირება, რომ იწყებოდა პირველადი ჯანდაცვის ძირეული რეფორმა, ჯერ-ჯერობით ცარიელ დეკლარირებად დარჩა. ასეთ დროს, ევროპის პოლიტიკის ჩარჩო „ჯანმრთელობა - 2020“. დღესაც პირველადი ჯანდაცვის ერთგული რჩება.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარებისთვის სახელმძღვანელოდ არსებული ასეთი საუკეთესო ნიმუშის არსებობის მიუხედავად, 2017 წელს საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილ დოკუმენტში - „საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისთვის“, - ხუთი საკითხია განხილული, რომელთაგან არცერთი არ არის პირველადი ჯანდაცვა. ეს საკითხებია [20. გვ. 6]:

- მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურება.
- მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრები.
- სამკურნალწამლო საშუალებები.
- ჯანდაცვის დაფინანსების სისტემა.
- მმართველობის და ჯანდაცვის ელექტრონული სისტემა.

ცხადია, თითოეულ მათგანში ერთი-ორი ხაზით მოიხსენიება პირველადი ჯანდაცვის ხაზით დაგეგმილი ცვლილებები (მაგალითად, პირველად ჯანდაცვაში ვიზიტების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში გაიზრდება არანაკლებ 8-მდე (გერმანიაში იგი 11,5%-ია) [20. გვ. 11], ამბულატორულ მედიკამენტებზე დანახარჯები შემცირდება 30%-მდე, ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში პირველად ჯანდაცვასა და პრევენციაზე დანახარჯები ამაღლდება 40%-მდე და ა. შ. [20. გვ. 15]), მაგრამ, ჩვენი აზრით, უკეთესი იყო, პირველადი ჯანდაცვა ამ დოკუმენტში გამოყოფილიყო ცალკე საკითხად. ამით მას დიდი მნიშვნელობის და დანიშნულების სტატუსი მისცემოდა.

დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხები საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემაჯამებელი დასკვნა იმის შესახებ,რომმსოფლიოში,მ.შ.ევროპაში,სახელმწიფო მთავრობები მეთოდურადაც დ ფინანსურადაც გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ პირველად ჯანდაცვას, ვიდრე ჰოსპიტალურ სექტორს, რადგანაც, პირველადი ჯანდაცვის დონეზე ხდება მოსახლეობაში სამედიცინო პრობლემის გამოვლენა და მისი პრევენცია. შედეგად, იმ ქვეყნებში პირველადი ჯანდაცვა მაღალგანვითარებულია და მოსახლეობის დიდი ნდობით სარგებლობს. საწინააღმდეგო მდგომარეობაა საქართველოში. მიუხედავად მრავალი რეფორმისა, ეს სფერო კვლავ განუვითარებელია. დაბალია „ოჯახის ექიმის და „სოფლის ექიმის“ მიმართ ნდობა. ამას იწვევს მათი დაბალი პროფესიონალიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიში. 2008.
2. ვერულავა თ. პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მისი როლი ჯანმრთელობის კაპიტალის ამაღლებაში. თბ., 2021. გვ. 12.
3. პირველადი ჯანდაცვის არსი, ფილოსოფია და როლი, მოდული I, საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი. გვ. 2.
4. პირველადი ჯანდაცვის განვითარების ეროვნული გენერალური გეგმა. თბ., 2006. გვ. 37.
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2021. გვ. 82.
6. სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური. თბ., 2015. გვ. 21.
7. ჯანდაცვა 2020-2030. ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები, პანდემიის მართვა და პრობლემები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2021. გვ. 6.
8. როსტიაშვილი თ., მიქანაძე თ. პირველადი ჯანდაცვა - თანამედროვე ჯანდაცვის მართვის პრიორიტეტული მიმართულება. სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის კონფერენციის შრომების კრებული. ტ. 1. 2020. გვ. 165.

9. Organisation of African Unity. 2001. African Summit on NIV/AIDS Tuberculosis and Other Related Infectius Diseases Abuja Declaration on NIV/AIDS, Tuberculosis and Other related Infections Diseases.
10. ვერულავა თ. ჯანმრთელობის კაპიტალი - წარმოების მდგრადი განვითარების ფაქტორი. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1. 2019. გვ. 104.
11. ჯანდაცვის სფეროს გამოწვევა - პირველადი ჯანდაცვა, ბარომეტრის მე-12 ტალღა, საერთაშორისო ფონდი „კურაციო“. 2019. გვ. 6.
12. ჯანდაცვის ეფექტურობის შეფასება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2013.
13. ერგეშიძე ა., კაკულია ნ. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფისკალური მდგრადობის შეფასება საქართველოში 2015-2030 წლებში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში - მასალების კრებული, თსუ, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2016. გვ. 260.
14. Health a Glance: OECD Indicators. p.: OECD Publishing. 2017. p. 206.
15. Starfeld B. Primary Care. New-York. #4. Oxford Universitu Press. 1998.
16. გზირიშვილი რ. დამოუკიდებელი საქართველო - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემები, ანალიტიკური მიმოხილვა. თბ., 2012. გვ. 41.
17. Strategic Health Plan for Georgin 2000-2009. Ministry of Health Labour and Social Affaris. MHLSA. 1999.
18. სდკსჯეც (2019). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველო: თანამშრომლობის მეოთხედი საუკუნე. თბ., 2019.
19. ვერულავა თ., ჯორბენაძე რ. პირველადი ჯანდაცვის მეკარიბჭეობა და მიმართვიანობა: პაციენტის თვალსაზრისი ოჯახის ექიმის როლზე. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1. 2020. გვ. 82.
20. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისთვის. თბ., საქართველოს პარლამენტი. 2017. გვ. 6.

Primary health care in Georgia: purpose, implemented reforms and current challenges

Nino Elisabedashvili, PhD studenti
Georgian Technical University

Summary

In the article it is discussed the essence, purpose of primary health care and the results of the reforms that have been implemented in it since Georgia gained independence.

As it is well known, primary health care in highly developed countries receives special attention from the government because it is responsible for taking care of the health of patients, their families and the community it serves. In 2014, the government of Georgia declared primary health care as a priority for Europe, but this is not reflected in its state funding. Primary health care accounts for 23.2% of the state funding of health care, and the hospital sector - 65.5%. The referral rate of patients in primary healthcare is 3.6 in Georgia, and 7.5 in Europe. In addition, in primary healthcare in Georgia, out-of-pocket payments account for 47%, in Germany 5%, etc.

The goal of the reforms implemented in the primary health care of Georgia (the formation of the "Family Doctor" Institute, the implementation of the "Village Doctor" program, etc.) was to raise the image of the primary health care organizations, to turn patients to them, but this did not happen. Today, only 51% of patients refer to primary healthcare clinics in Georgia.

In-depth reforms of primary healthcare in Georgia started in 2000. Financially, Great Britain, the World Bank, the European Union and others participated in it. The general plan for the development of primary health care for

the years 200-2009 was developed, the department of primary health care was also established, which was abolished again a year later, etc. Although after that, the referral rate of primary care institutions increased by 25%, but this did not mean the final victory in the regulation of primary care. As a result, in 2015, the relevant ministry announced a new, fundamental reform of primary healthcare and adopted the 2016-2023 project for the development of this field.

Today is 2022, that is, six years have passed since the announcement of this supposedly fundamental reform, during which the number of patients referred to primary health care rose to 3.6. But even this is not enough - the institution of "family doctor" and "rural doctor" in Saksartvelo is still underdeveloped: studies show that 18% of respondents evaluated the institution of "family doctor" negatively, 47% call for cardinal changes in it and etc.

In order to respond to these challenges, the article emphasizes the need for the relevant bodies of Georgia to familiarize themselves with the European framework - "Health 2020" and to build the primary health care of Georgia in a European manner.

Key words: primary health care; the patient; "Family doctor"; "Village Doctor"; "Health - 2020".

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება და კრედიტუნარიანობის გაანგარიშების მაჩვენებლები

ანა ტატიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია პასუხისმგებიანი დაკრედიტების პოლიტიკის მნიშვნელობა, ქვეყანაში სოციალურად მდგრადი და ეფექტიანი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად, აღნიშნულია, რომ ინდივიდუალური მსესხებელის დაკრედიტების რისკის გამოვლენიდან დაცვა მისი კრედიტუნარიანობის განსაზღვრაში მდგომარეობს. შეთავაზებულია მსესხებელის კრედიტუნარიანობის განსაზღვირის მიზნით შემდეგი სახის მაჩვენებლების გამოყენების აუცილებლობა, როგორებიცაა: საწარმოს ლიკვიდობის, გადაფარვის, ფინანსური მდგრადობის და საკუთარი სახსრების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტები, საკრედიტო რისკის მაჩვენებელი, დამატებითი მაჩვენებლების სისტემა: დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა, დაკრედიტებული გარიგების შემოსავლების მაჩვენებელი, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების ბრუნვადობა, საქმიანი აქტივობის კოეფიციენტი.

ბანკი, მსესხებელის დაკრედიტებისას, კრედიტის დაუბრუნებლობის სამომავლო რისკის ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული, ამიტომ მნიშვნელოვანია კრედიტუნარიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის სრულყოფა.

შეფასებულია მსესხებელთა გადახდისუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით მიზნით ეროვნული ბანკის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ფარგლებში დებულების ცალკეულ მოთხოვნებში შეტანილი ცვლილებები, კერძოდ, ფიზიკურ და იურიდულ პირებზე გაცემული და სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხებისათვის "სესხის მომსახურებისა" (ე.წ. PTI – payment to income ratio) და "სესხის უზრუნველყოფის" (LTV – Loan to value ratio) კოეფიციენტების მოთხოვნების განსაზღვრა როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში, რომელიც წარმოადგენს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებს და მოქმედებს სესხის პირობებზე. ჰეჯირებული და არაჰეჯირებული მსესხებლის ცნების შემოღება, სესხის გაცემის შეზღუდვა შემოსავლების დადასტურების გარეშე და სესხის მომსახურების კოეფიციენტების მაქსიმალური ლიმიტის განსაზღვრა, მსესხებლების მიერ ფინანსური სიძნელეების გარეშე კრედიტის დაფარვის მიზნით .

მიმდინარე კრიზისულ პირობებში, როდესაც მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია მრავალ საგარეო ფაქტორზე, ბანკისთვის მომხმარებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მსესხებელის კრედიტუნარიანობის ანალიზის მეთოდიკა, მომხმარებლის ანგარიშგების სტანდარტული ფორმების და დამატებითი მონაცემების მინიმალური მოცულობის საფუძველზე, მომხმარებლის მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მითითებულია, რომ სკრედიტო პორტფელის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბანკებმა მოახდინონ პორტფელის დივერსიფიკაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის ფარგლებში დაწესებული სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების ზღვრები მოქმედებს მოთხოვნის მხარეზე და უზრუნველყოფს როგორც მსესხებლების, ისე ბანკების მდგრადობას.

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლიანი დაკრედიტება; კრედიტუნარიანობის განხსზღვრა; სესხის მომსახურების კოეფიციენტი; უზრუნვეყოფის კოეფიციენტი.

შესავალი

მიმდინარე კრიზისულ პირობებში, როდესაც მსესხებლების ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია მრავალ საგარეო ფაქტორზე, ბანკისთვის მომხმარებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მსესხებელის კრედიტუნარიანობის ანალიზის მეთო-დიკა, მომხმარებლის ანგარიშგების სტანდარტული ფორმების და დამატებითი მონაცემების მინიმალური მოცულობის საფუძველზე, მომხმარებლის მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ძირითადი ნაწილი

სანდო და ძლიერი საბანკო სისტემა მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და აღმავალ ხასიათზე. საბანკო სექტორი არის საქართველოს ეკონომიკის ერთ–ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კერძო სექტორი, სადაც ორი უმსხვილესი ბანკის თიბისი ბანკის და საქართველოს ბანკის წილი



საკრედიტო პორტფელის გადანაწილება %

მთლიანი აქტივების 77.56% –ს შეადგენს.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული ბანკი ახორციელებს მაკროპრუდენციულ პოლიტიკას. რომელიც გულისხმობს სისტემური რისკების გამოვლენას, შეფასებას, მუდმივ მონიტორინგსა და საპასუხო ღონისძიებების შემუშავებას ამ რისკების აღმოსაფხვრელად.

ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის პირველ კვარტალში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისთვის დაკრედიტების არასაპროცენტო პირობები გაამკაცრა. რომელიც რეგულატორული ცვლილებებით იყო განპირობებული. კერძოდ, იპოთეკურის სესხების პორტფელის დოლარიზაციის და მისგან მომდინარე რისკების შემცირების მიზნით, 2022 წლის იანვრიდან შეამცირა უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების ვადიანობა 15-დან 10 წლამდე.

მსესხებელთა გადახდისუნარიანობის ზრდის მიზნით, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ცალკეულ მოთხოვნებში ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, 2022 წლის აპრილიდან ძალაში შევიდა ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწვეტილება, რის თანახმადაც სესხის მომსახურების კოეფიციენტის 25%-იანი მოთხოვნა 1000 ლარის ნაცვლად 1500 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებზეც გავრცელდა. ცვლილების ამოქმედებიდან, 2022 წლის მეორე კვარტალში, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 1000-დან 1500 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხების მოცულობა დაახლოებით განახევრდა. თუ დავუშვებთ, რომ 1000- დან 1500 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებზე გაცემული სესხები იმავე ტემპით უნდა გაზრდილიყო, როგორც 1500 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე პირებზე, მივიღებთ, რომ აღნიშნული ცვლილების შედეგად 1 წელიწადში სამომხმარებლო სესხების წლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 7.1 პროცენტით შემცირდება, რაც მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდას წლიურად 1.3 პროცენტით შეამცირებს.

ცვლილება შეეხო სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის მაქსიმალურ მაჩვენებელსაც (LTV) და განისაზღვრა ლარში გაცემული სესხებისთვის 85%



წყარო: სებ.

სესხის მომსახურებისა (PTI) და უზრუნველყოფის (LTV) კოეფიციენტების განაწილება

ხოლო დოლარში გაცემული სესხებისთვის 70 %.

სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადა 4- დან 3 წლამდე შემცირდა. ამის მიზეზად დასახელდა სამომხმარებლო სესხების ჭარბი ზრდა, როგორც ინფლაციაზე დამატებითი ზეწოლა.

თითოეულმა ბანკმა, თავისთვის კრედიტების ცალკეული სახეობების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრით, საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და ხარისხი სისტემატიურად უნდა გაანალიზოს. მაგალითის სახით განვიხილოთ მსესხებელის კრედიტუნარიანობის ანალიზის მოდელი.

კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის ბანკში გულმოდგინედ შეისწავლება მსესხებლის კრედიტუნარიანობა - მისი შესაძლებლობა თავისდროულად დაფაროს საკრედიტო დავალიანება.

მსესხებელის კრედიტუნარიანობის დონის შეფასებისათვის გამოიყენება რიგი მაჩვენებლები, როგორებიცაა: ლიკვიდობის კოეფიციენტი; გადაფარვის კოეფიციენტი; ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი; საკუთარი სახსრების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი; საკრედიტო რისკის მაჩვენებელი; დამატებითი მაჩვენებლების სისტემა.

გადახდისუნარიანობის ცნება - უფრო ფართეა, იგი ყველა სახის ვალდებულებებისა და დავალიანებების თავისდროულად დაფარვის უნარს და შესაძლებლობას ნიშნავს. მსესხებლის კრედიტუნარიანობა და გადახდისუნარიანობა მის ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულდან გამოდინარე, შესაძლებელია მოკლე დასკვნის გაკეთება: აღნიშნულია, რომ ინდივიდუალური მსესხებელის დაკრედიტების რისკის გამოვლენიდან დაცვა მისი კრედიტუნარიანობის განსაზღვრაში მდგომარეობს.

დასკვნა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული საზედამხედველო რეფორმების მიზანია საფინანსო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და არსებული რისკების შემცირება მსესხებელთა გადახდისუნარიანობის ზრდის მიზნით, ეროვნული ბანკის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ცალკეულ მოთხოვნებში შეტანილი ცვლილებები დადებითად აისახება როგორც ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხზე ასევე მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, გადამუშავებული და შევსებული მესამე გამოცემა. - თბილისი, გამოცემა „დანი“, 2021.
2. Шароян Е.А. – Управление внутренними рисками в условиях финансовой неопределенности, магистерская диссертация, «Южно-Уральский государственный университет», кафедра «Банковское дело», Челябинск, 2016 г.
3. https://nbg.gov.ge
4. https://matsne.gov.ge
5. https://bm.ge

Responsible lending and creditworthiness calculation indicators

Ana Tatishvili

Georgian Technical University

Summary

The paper discusses the importance of a responsible lending policy to create a socially sustainable and effective economic environment in the country. Protection of the individual borrower against the detection of lending risk lies in the determination of his creditworthiness. To determine the borrower's creditworthiness we need to use the

following idicators, such as coefficients of the enterprise's liquidity, coverage, financial stability, and efficiency of usingfunds'funds, Credit risk indicator, and the system of additional indicators: receivables turnover, credit transaction revenue index, inventory turnover, business activity ratio.

When lending to the borrower, the bank is exposed to the future risk of non-return of the loan. Therefore, it is essential to improve the methodology for determining creditworthiness. To promote the solvency of borrowers, the changes made in the separate the requirements of the regulation within the framework of responsible lending of the National Bank have been evaluated, in particular, determination of requirements for "loan service" (so-called PTI - payment to income ratio) and "loan security" (LTV - loan to value ratio) coefficients for loans issued to individuals and legal entities and classified as standard, in both national and foreign currency, which is a macroprudential policy instrument and affects loan conditions. Introducing the concept of hedged and non-hedged borrowers, limiting lending without confirming income and determining the maximum limit of loan service ratios, for borrowers to repay the loan without financial difficulties.

To increase the solvency of the borrowers, the changes have been made in the separate requirements of the National Bank's responsible lending regulations. In the current crisis conditions, when borrowers' financial situation depends on many external factors, determining the customer's creditworthiness for the bank is associated with certain difficulties. The borrower's creditworthiness analysis methodology, based on the standard forms of user reporting and the minimum amount of additional data, provides an opportunity to receive information about the user's current economic and financial situation. The limits of loan servicing and collateral ratios set by the National Bank of Georgia within the framework of ensuring financial stability act on the demand side and ensure the stability of both borrowers and banks. In order to ensure the stability of the credit portfolio, it is necessary for banks to diversify the portfolio. The goal of the supervisory reforms carried out by the National Bank of Georgia is to promote the stable and sustainable functioning of the financial system, to establish a competitive environment and to reduce existing risks in order to increase the solvency of borrowers.

Keywords: responsible lending; creditworthiness threshold; loan service ratio; provisioning ratio.

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 20 ნაბეჭდი გვერდი, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: მარცხენა – 30 მმ, ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

შეგიძლიათ ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილ იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. უცხოურ ენაზე დაწერილი ნაშრომის ტექსტი იწყება რეზიუმეთი იმ ენაზე რა ენაზეც არის თვითონ ტექსტი.

სტატიის სტრუქტურა:

1. სტატიის სათაური;
2. ავტორის/ავტორების სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.
3. რეზიუმე ქართულ ენაზე ან იმ ენაზე, რა ენაზეც არის სტატია (მინიმუმ 230 სიტყვა);
4. საკვანძო სიტყვები (4-5 სიტყვა);
5. შესავალი
6. ძირითადი ნაწილი
7. დასკვნა
8. ლიტერატურის სია ქართულ და ინგლისურ ენაზე
9. რეზიუმე ინგლისურ ენაზე (მინიმუმ 300 სიტყვა)
10. ციტირების მითითება უნდა მოხდეს აპა სტილით.

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ♦ ნახაზებისა და ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი უნდა იყოს JPJ ან TIF ფორმატში;
- ♦ ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- ♦ სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ♦ ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- ♦ ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს;
- ♦ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.
- ♦ რედაქცია უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში, გამოსაქვეყნებელ ნაშრომს ჩაუტაროს დამატებითი რეცენზირება, გამოქვეყნების მიზანშეწონილობის დასადგენად.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კორპ. VI, სართ. VIII, ოთახი № 805ბ

ტელ.: +995 599 557 993; +995 577 938 858; ელ-ფოსტა: ganatleba2018@gmail.com

ჟურნალის ყველა ნომრის ნახვა შეგიძლიათ **web**-გვერდზე:
https://gtu.ge/Journals/newsletters/
DOI: https://doi.org/10.36073/2346-8300